ქართული წყაროთმცოდნეობა

XIII - XIV

2011 / 2012

UDC (უაკ) 930.2 (051.2)
ქ – 279

რედაქტორები
გიული ალასანია და მარიამ ჩხარტიშვილი

სარედაქციო კოლეგია
გონელი არახამია
ივან ბილიარსკი
ვახტანგ გოილაძე
ანდრეა კარტნი
ალექსეი ლიდოვი
ქეთევან მანია
გიორგი მაჭარაშვილი
დავით მერკვილაძე
ნატო სონღულაშვილი
სოფო ქადაგიშვილი
ნიკო ჯავახიშვილი

გამომცემელი
მარიამ ჩხარტიშვილი

Editors
Giuli Alasania & Mariam Chkhartishvili

Editorial Board
Goneli Arakhamia
Ivan Biliarsky
Andrea Carteny
Vakhtang Goiladze
Niko Javakhishvili
Sopo Kadagishvili
Alexei Lidov
George Macharashvili
Ketevan Mania
David Merkviladze
Nato Songulashvili

Publisher
Mariam Chkhartishvili

ჟურნალის სრული ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია
ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ვებ–გვერდზე www.georgianstudies.ge

The full electronic version of the journal is published on the web-site of
The Georgian Studies Institute: www.georgianstudies.ge

გამომცემლის საკონტაქტო მონაცემები:
ელ–ფოსტა
chkharti@georgianstudies.ge
ტელ. 599714015
© ტექსტი – ავტორები, 2011 / 2012
© შედგენა – გ. ალასანია, მ. ჩხარტიშვილი, 2011 / 2012

გამომცემლობა "უნივერსალი", 2011 / 2012

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტელ. 222 36 09, 599 17 22 30

ISSN 1987 – 9563

შინაარსი

რედაქტორებისაგან 11-12

ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები

გონელი არახამია
ეგროსი, ეგრისი, მეგრელი და ეგრისწყალი *ქართლის ცხოვრებაში* 15-20

ვახტანგ გოილაძე
ბასილ ბაგრატის ძის პიროვნება და წარმომავლობა 21-29

ეკა კვაჭანტირაძე
ავტორის თვითცნობიერება და ძველი სომხური მწერლობა 30-41

ლადო მირიანაშვილი
სერობის წესები ქართულ მონასტრებში და სერობის ბოლოს
'ღმრთისმშობლისაჲს აღღების' ტრადიციაზე მიმანიშნებელი,
XI-XIII საუკუნეების სატრაპეზოების ერთი არქიტექტურული დეტალი 42-50

ნიკოლოზ ჟღენტი
მეფე დავით IV-ის 'აღმაშენებლად' მოხსენიების პირველი ოფიციალური პრეცენდენტები 51-60

ნატო სონღულაშვილი
სოციალური სტრუქტურა XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში (პროლეტარი) 61-71

მარიამ ჩხარტიშვილი, ქეთევან მანია
ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია და ე.რენანის *რა არის ერი?* 72-89

დავით ჯავახიშვილი
მეფე ერეკლე II-ის მეუღლეები 90-96

ნიკო ჯავახიშვილი
ქართულ წყაროებში პოლონეთისა და ბალტიისპირეთის
ქვეყნების შესახებ დაცული ცნობები (XVIII საუკუნე) 97-102

თემო ჯოჯუა
XVI საუკუნის I ნახევარში ალასტნის ჭალთა წმ. გიორგის მონასტერში
გადაწერილი მეტაფრასი (A-613//S5226) და მისი ანდერძ-მინაწერები
(მასალები ჯავახეთის სამწიგნობრე კერების ისტორიისათვის) 103-152

ისტორიოგრაფიული ძიებანი

მზია სურგულაძე
წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (1959–2009) 155-170

წყაროს თარგმანი, პუბლიკაცია, კომენტარი

აპოლონ თაბუაშვილი
სტატისტიკური ცნობები 1794 წლის *ხალხის აღწერის დავთრიდან* 173-177

დავით მერკვილაძე
ახლადაღმოჩენილი საბუთები სოფელ ჭალა-ტყიდან 178-185

ირინე ნაჭყებია
ლეიტენანტ ტრეზელის რამდენიმე ცნობა საქართველოს შესახებ (1809 წელი) 186-195

ნატო სონღულაშვილი
რამდენიმე დოკუმენტი კავკასიის სკოლების ნაციონალიზაციის შესახებ (1917 წელი) 196-198

ცაცა ჩხარტიშვილი
მღვდელ იოსებ ჩიჯავაძის წერილები 199-205

დოდო ჯუმბურიძე
წყაროები აფხაზეთის ისტორიისათვის (1805–1821) 206-214

სამეცნიერო თარგმანი

რუსუდან ლაბაძე
ეველინ პატლაჟანის *ბავშვი და მისი მომავალი ბიზანტიურ ოჯახში (IV-XII სს)* 217-222

საერთაშორისო პრეზენტაცია

რიჩარდ კულეშა
ჩვილების მკვლელობა სპარტაში 225-234

მერაბ ღაღანიძე
სულხან-საბა ორბელიანი და დასავლური ქრისტიანობა 235-238

წიგნების მიმოხილვა

გონელი არახამია, თამაზ ბერაძე, ხათუნა წიკლაური
მეტად საჭირო წიგნი 241-243

მანუჩარ გუნცაძე, ნათია თურაზაშვილი
თედო ჟორდანიას თხზულებათა კრებულის პუბლიკაცია 244-245

ქეთევან მანია
ახალი ნაშრომი ქართული იდენტობის ისტორიაზე 246-248

ქეთევან მანია
დავით აღმაშენებლის *გალობანი სინანულისანის* თარგმანი პოლონურ ენაზე 249-252

ქეთევან მანია
საყურადღებო ნაშრომები ქართულ ნუმიზმატიკაში 253-256

მარინე ქადაგიძე
წელიწდეული *წახნაგი*: 2009-2010 წლების გამოშვებები 257-261

ნიკო ჯავახიშვილი
სოლიდური საისტორიო კრებული 262-263

კეით ჰითჩინსი
ევა ფუხსლოხერის *მამული, ენა, მართლმადიდებლური სარწმუნოება და ნაციის მშენებლობა: ქართული მაგალითი* 264-266

პოლემიკა

ლელა სარალიძე
მორიგი მითი: მეწშევიკურ საქართველოს მიერ ოსთა "გენოციდი". პასუხი ლ. ჯიოევის მიერ ცხინვალის რეგიონში გამომავალ გაზეთში *რესპუბლიკა* (2011 წლის 8 ივნისი) დაბეჭდილ სტატიაზე *სამხრეთ ოსეთის გენოციდის 91-ე წლისთავი* 269-274

ქრონიკა

მანუჩარ გუნცაძე, ზაზა ცინაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილის დაბადების 165-ე წლისთავისა და მისი თხზულებების პირველი ტომის გამოცემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია 277-279

ლერი თავაძე
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ჟურნალის
– *მრომების* პირველი ტომის პრეზენტაცია 280-281

ლერი თავაძე
შოთა მესხიას იუბილესადმი მიძღვნილი
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის კონფერენცია 282-283

სოფო ქადაგიშვილი
მეხუთე *ვია ეგნატია* კონფერენცია მაკედონიაში 284-285

სოფო ქადაგიშვილი
საერთაშორისო კონფერენცია რომში: *ნაციათა თვითგანსაზღრა XX საუკუნეში* 286-288

გამოსათხოვარი

ლია ახალაძე
პროფესორი ვალერი სილოგავა – ქართული წყაროთმცოდნეობის თვალსაჩინო მკვლევარი 291-296

მარიკა ნასიძე
აკადემიკოსი თინათინ ყაუხჩიშვილი: მეცნიერი და მასწავლებელი. *მოგონება* 297-299

Contents

Editorial 11-12

Source Criticism and Historical Representation

Goneli Arakhamia
Egrosi, Egrisi, Megreli and Egrisitskali in *The Life of Kartli* 15-20

Vakhtang Goiladze
Basili Son of Bagrat: Genealogy and Some Personal Features 21-29

Eka Kvachantiradze
Author's Self-Consciousness and Ancient Armenian Historiography 30-41

Lado Mirianashvili
Rules for the Trapeza in the Georgian Monasteries, and a Certain Feature in the Layout of the 11th-13th Century Refectories Reflecting Tradition of the Lifting of the Panaghia in the end of Meals 42-50

Nikoloz Zhgenti
The First Precedents of the King David's IV (1089-1125) Official Mentioning as the 'Builder' 51-60

Nato Songulashvili
Concerning the Social Structure of Georgia in 1920s (Workers) 61-71

Mariam Chkhartishvili, Ketevan Mania
Conceptualizing Georgian Nation and *What is a Nation*? by E. Renan 72-89

David Javakhishvili
The Spouses of the King Erekle II 90-96

Niko Javakhishvili
Evidences on Poland and Baltic Area Countries Preserved in the Georgian Historical Sources (18th Century) 97-102

Temo Jouja
Metaphrastic Collection (A-613//S5226) Copied in the First Half of the 16th Century at Chalta St.George Monastery in Alastani, its "Testaments" and Colophons (Materials for the History of Literature Centers of Javakheti) 103-152

Historiography

Mzia Surguladze
Source-Studies and Historiography at the National Centre of Manuscripts (1959-2009) 155-170

Source Publication and Translation

Apolon Tabuashvili
Statistic Accourt of 1794 Census 173-177

David Merkviladze
Newfound Documents from Chala-tke Village 178-185

Irina Natchkebia
Some Information about Georgia by the Lieutenant Trezel (1809) 186-195

Nato Songulashvili
Documents Concerning the Schools' Nationalization in Caucasus (1917) 196-198

Tsatsa Chkhartishvili
Letters by the Priest Iosef Chijavadze 199-205

Dodo Chumburidze
Some Sources on Abkhazian History (1805-1821) 206-214

Academic Literature Translation

Rusudan Labadze
Evelyne Patlagean on Childhood in Byzantine Society 217-222

International Presentation

Ryszard Kulesza
Spartan Infanticide 225-234

Merab Ghaghanidze
Sulkhan-Saba Orbeliani and Western Christianity 235-238

Book Reviews

Goneli Arachamia, Tamaz Beradze, Chatuna Tsiklauri
The Very Helpful Book 241-243

Manuchar Guntsadze, Natia Turazashvili
On Publication of the Collection of Works by Tedo Zhordania 244-245

Ketevan Mania
Recently Published Book on the History of Georgian Identity 246-248

Ketevan Mania
The Canon of Repentance by David the Builder in Polish Translation 249-252

Ketevan Mania
Valuable Investigations in Georgian Numismatics 253-256

Marine Kadagidze
Yearbook *Tsakhnagi*: Issues of 2009-2010 257-261

Niko Javakhishvili
Reputable Magazine *Historical Collection* 262-263

Keith Hitchins
Eva Fuchslocher, *Vaterland, Sprache, Glaube. Orthodoxie und Nationenbildung am Beispiel Georgiens* 264-266

Polemics

Lela Saralidze
One more Myth about Ossetians' "Genocide" by Social Democratic Government of Georgia 269-274

Events

Manuchar Guntsadze, Zaza Tsinadze
Scientific Conference Dedicted to Varlam Cherkezishvili's 165th Annyversary and the Publication of His Works (Volume I) 277-279

Leri Tavadze
Presentation of the *Proceedings* of the Institute of Georgian History 280-281

Leri Tavadze
Conference Held by Institute of Georgian History Dedicated to 95th Anniversary of Shota Meskhia 282-283

Sopo Kadagishvili
The Fifth *Via Egnatia* Conference in Macedonia 284-285

Sopo Kadagishvili
International Conference in Rome: *Self-determination of Nations in the Twentieth Century* 286-288

Obituaries

Lia Akhaladze
Prof. Valeri Silogava: the Outstanding Researcher in Field of Georgian Source Study 291-296

Marika Nasidze
Recalling Academician Tinatin Kaukhchishvili: Scholar and Teacher 297-299

რედაქტორებისაგან

ამჯერად რედკოლეგია მკითხველს ერთად აკინძული სახით სთავაზობს ჟურნალის 2011–2012 წლების გამოშვებებს ანუ *ქართული წყაროთმცოდნეობის* მეცამეტე და მეთოთხმეტე ტომებს.

როგორც ეს კარგად ჩანს *შინაარსიდან*, პუბლიკაციები განაწილებულია რამდენიმე რუბრიკაში.

წარმოდგენილი მასალის ქრონოლოგიური ჩარჩოები ფართოა: უძველესი პერიოდი, შუა საუკუნეები, ახალი და უახლესი ხანა. მრავალფეროვანია მათი სამეცნიერო პროფილიც. ესაა წყაროთმცოდნეობითი, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი, ისტორიული გამოკვლევები, აგრეთვე, წყაროს თარგმანი და პუბლიკაცია, სამეცნიერო თარგმანი.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ახალი წიგნების მიმოხილვას, სამეცნიერო ცხოვრების ქრონიკას, საერთაშორისო პრეზენტაციებს. ამჯერად ამ რუბრიკაში ქვეყნდება ორი მოხსენება, რომლებიც წარმოდგენილი იყო მეოთხე *ვიპ ეგნატია* კონფერენციაზე. როგორც წინა გამოშვებიდან იცის მკითხველმა, ამავე სახელწოდების საერთაშორისო სამეცნიერო ქსელის ხელშეწყობით ეს კონფერენცია 2009 წელს ჩატარდა საქართველოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის *საქართველოს ისტორიის ინსტიტუტისა* და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის *აბრეშუმის გზის ინსტიტუტის* ეგიდით.

გასულ წელს ქართულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. ქართველ მეცნიერთა რიგებს გამოაკლდნენ შესანიშნავი მკვლევრები, ქართული წყაროთმცოდნეობის დარგის თვალსაჩინო მოღვაწენი პროფესორი ვალერი სილოგავა და აკადემიკოსი თინათინ ყაუხჩიშვილი. რუბრიკაში *გამოსათხოვარი* მათ შესახებ იბეჭდება მათივე მოწაფეების, აწ უკვე თავად მეცნიერების, წერილები.

მიუხედავად სახელწოდებისა, *ქართული წყაროთმცოდნეობა* არასოდეს შემოიფარგლებოდა მხოლოდ სპეციფიკურად წყაროთმცოდნეობითი ან მხოლოდ ქართველოლოგიური გამოკვლევებით. ბოლო გამოშვებებში ტენდენცია საკითხების ფართო სპექტრის დაფარვისა, უფრო შესამჩნევი ხდება და რედაქტორთა სურვილია მან შემდგომი განვითარება ჰპოვოს.

ჟურნალის სრული ელექტრონული ვერსია განთავსდება ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: www.georgianstudies.ge.

ამიერიდან სტატიების მიღება ჟურნალში იწარმოებს მუდმივად მთელი წლის განმავლობაში. რედაქციაში სტატიების შემოსვლის თარიღის მიხედვით განისაზღვრება მათი გამოქვეყნების რიგითობა.

ჟურნალის მეთხუთმეტე ანუ მომდევნო გამოშვებიდან რედაქცია ავტორებს სთხოვს დაიცვან გაფორმების გარკვეული წესები. ეს წესები ქვეყნდება ჟურნალის წინამდებარე გამოშვებაში. სტატიის ფორმის მზა ნიმუშის გადმოტვირთვა შესაძლებელია ზემოთ აღნიშნული ვებ-გვერდიდან.

ჟურნალის მომზადებაში სულ უფრო და უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდა მკვლევრები. ესენი არიან ი.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის *საქართველოს ისტორია* მაგისტრანტები, მაგისტრები და ი.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის *საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია* დოქტორანტები. ისინი წარმოდგენილნი არიან რედკოლეგიაშიც, არიან ავტორები კვლევითი სტატიებისა,რეცენზიებისა თუ სამეცნიერო ცხოვრების ამსახველი საინფორმაციო წერილებისა. ჟურნალის ამგვარი ''გაახალგაზრდავება'', უფრო სწორედ მის ფურცლებზე ქართული მეცნიერების სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა თანამშრომლობა, ქმნის სათანადო პირობებს მეცნიერების განვითარებისათვის. სწორედ რედაქციაში არსებული ამგვარი ატმოსფერო, რედაქტორების ღრმა რწმენით, *ქართული წყაროთმცოდნეობის* მომავალი წარმატებული საქმიანობისათვის ხელშემწყობი ფაქტორი იქნება.

გიული ალასანია
მარიამ ჩხარტიშვილი
თბილისი,
2012 წლის 20 თებერვალი

Editorial

The editorial board proposes thirteenth and fourteenth issues of the journal (for 2011-2012 years) bound in one volume.

The papers are published under the several rubrics

In debth chronological coverage of the publications is from antiquity to middle ages, modernity and post modernity.

The angles of the scientific inquiries are also rather diverse: source study, source critical and historical researches, investigations dedicated to historical representation, source publications and translations, academic translations with relevant commentaries etc.

Important place occupy the publications of the book reviews, reports on the events of academic life and in Georgia as well as abroad, papers presented at the international scholarly confeneces and symposia . For this time under the last mentioned rubric there are published two presentations both made at the fourth *Via Egnatia* conference. As readers already are aware from the previous issue, this conference was held in Tbilisi in 2009 with the support of international scientific network *Via Egnatia*. .The conference was organized under the aegis of *The Institute of Georgian History* (Faculty of Humanities, Javakhishvili Tbilis State University) and *The Silk Road Institute* (The International Black See University).

The last year was marked by great losses for Georgian humanitarians. Two outstanding researchers and important contributors in field of Georgian source studies Professor Valeri Sologava and Acadamician Tinatin Kaukhchishvili passed away. To the bless memory of these scholars are dedicated papers under the rubrics *obituaries.*

Georgian Source Studies was never limited by researches dedicated solely source criticism or studies in field of Georgian studies. The coverage of the topics concerned in papers always was much broader. In the previous issue this tendency became especially salient. The editors welcome the developments in this direction.

From now on the full electronic version of the journal will be published at the web-site of the recently found *Georgina Studies Institute*: www.georgianstudies.ge.

From next issue it will be possible to submit papers permmanenetly the whole year round. The accepted papers will be published according to the date of their submition.

From the next issues the editorial board will ask the authors to follow strictly special publishing requirements and prepare papers according to provided template using the specific style for references and notes. *Guidelines for Contributors* are published at the end of present volume. As for template for papers, it can be downloaded from the above web-site.

New generation of researchers, namely, master and doctoral students (Tbilisi State university Master program *History of Georgia* and Tbilisi State University doctoral program *Georgian Source Studies and Historiography*) were actively involved in preparation of this volume as authors, as well as members of the editorial board. Just this cooparation between different generations of Georgian scholars establishes favorable atmosphere for scholarship developments and makes the editors to believe in *Georgian Source Studies'* successful future.

Giuli Alasania
Mariam Chkhartishvili
Tbilisi
February, 20, 2012

ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები

ეგროსი, ეგრისი, მეგრელი და ეგრისწყალი *ქართლის ცხოვრებაში*

გონელი არახამია

ქართლის ცხოვრების არქაული ისტორიის ამსახველ ნაწილში, რომლის ავტორობა XI ს-ის ისტორიკოსს ლეონტი მროველს მიეწერება, როგორც ცნობილია, წარმოდგენილია კავკასიელი ხალხების გენეალოგიური სქემა, რომელიც ასე გამოიყურება:

> პირველად ვაჩსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა – ამათ თჳსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი (ყაუხჩიშვილი 1959: 3).

ბაბილონის გოდოლის დანგრევისა და ენათა განყოფის შემდეგ თარგამოსმა თავის მრავალრიცხოვან შთამომავლებთან ერთად ბაბილონი დატოვა და დაემკვიდრა არარატისა და მასისის მთებს შორის. თარგამოსს ჰყავდა რვა შვილი:

> რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქუა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მეექუსესა ჰეროს, მეშვიდესა კავკას, მერვესა ეგროს (ყაუხჩიშვილი 1955: 4).

დგება დრო, როდესაც თარგამოსის ნაგრამს 'ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა', მაშინ თარგამოსმა თავის რვავე შვილს მიუჩინა სამკვიდრო და ყოველ მათგანს დაუწესა საზღვრები. თავისი წილხვედრი მიწა-წყალი მიიღო ეგროსმაც:

> ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღჳს ყურისა, და უჩინა საზღუარი აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქჳან ლიხი, დასავლით ზღუა, (ჩრდილოთ) მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუდების წუერი კავკასიისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თჳსი ეგრი. აწ მას ადგილსა ჰქუია ბედია (ყაუხჩიშვილი 1955: 5).[1]

ამჯერად არ არის საინტერესო მოყვანილი ცნობების რეალურობის საკითხი ან მათში ასახული ეთნოგენეტიკური კონცეფციის წარმოშობის დრო და მოტივი. ამ პრობლემებზე დიდძალი ლიტერატურა არსებობს როგორც სამამულო, ისე საზღვარგარეთულ კავკასიოლოგიაში და ის სპეციალისტებისათვის კარგადაა ცნობილი. ჩემთვის ამჯერად მთავარია ის, თუ როგორ წარმოუდგენია *ქართლის ცხოვრების* მემატიანეს ეთნარქ-ეპონიმ ეგროსის, ხორონიმ ეგრისის და ეთნონიმ მეგრელის ურთიერთმიმართება. მემატიანე კი გვეუბნება: მეგრელთა ეთნარქ-ეპონიმის ეგროსის წილხვედრი ქვეყანა მოქცეულია ლიხის ქედს, შავ ზღვასა და მდ. ყუბანს ('მდინარე მცირისა ხაზარეთისა') შორის, ამ ქვეყნის მცხოვრებთ კი მეგრელი ჰქვია. ვიმეორებ, ასეთია ცალსახად ქართველი მემატიანის აზრი ეგროს-მეგრელის მიმართებაზე და მემატიანის შესაბამისი სტრიქონების დაწერიდან დღემდე ვინც კი შეხებია აღნიშნულ ცნობებს, სხვა აზრი ზემოთ მოყვანილი სიტყვების ავტორისათვის არ მიუწერია. გამონაკლისია გ. წულაია, რომელიც განიხილავს რა *ქართლის ცხოვრების* აღნიშნული ნაწილის ავტორის, ლეონტი მროველის, ისტორიული კონცეფციის ეთნოკულტურულ ასპექტებს, წერს, რომ ეთნონიმი მეგრელი ლეონტი მროველთან არ გულისხმობს ეპონიმ ეგროსის წილხვედრი ქვეყნის მკვიდრს, რომ ეთნონიმი მეგრელი, თითქოს არ არის კორელაციაში ეპონიმ ეგროსთან. მისივე აზრით, ეთნონიმი მეგრელი ლეონტი მროველისავე კონცეფციით, მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთ შუაზღვისპირეთის ლაზურ (ჭანურ) მოსახლეობას და არა იმ ტერიტორიის მცხოვრებთ, რომელსაც იმავე ლეონტი მროველთან ეგროსის წილი მიწა-წყალი ანუ ეგრისი ჰქვია (წულაია 1987: 180).

აღნიშნულის მაჩვენებლად გ. წულაიას მოყავს *ქართლის ცხოვრებისავე* ერთი ცნობა, სადაც ლაზთა (ჭანთა) განსახლების ერთ-ერთი ცენტრი, ტრაპიზონი იწოდება ქალაქად, რომელიც მდებარეობს 'სოფელსა მეგრელთასა' (ყაუხჩიშვილი 1955: 39). თავისი აზრის დასტურად მიაჩნია გ. წულაიას ის გარემოებაც, რომ ლეონტი მროველთან ეთნონიმების ჩამონათვალში მეგრელნი კავკასიანთა წინ არის დასახელებული, ხოლო ეპონიმების სიაში კავკასი წინ უსწრებს ეგროსს (წულაია 1987: 180). არც ერთი ამ არგუმენტთაგანი არანაირად არ ცვლის ლეონტი მროველისეული თვალსაზრისის ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ ტრადიციულ გაგებას. საქმე ისაა, რომ ცნობა, სადაც ტრაპიზონი 'მეგრელთა სოფლის' ქალაქად იწოდება, სრულებით არ ეკუთვნის იმ ავტორს (ლეონტი მროველს), რომლის კონცეფციის კომენტირებასაც გ. წულაია ცდილობს. ეს ცნობა ეკუთვნის ჩანართს, რომელიც *ქართლის ცხოვრების* ტექსტში შეიტანეს XVIII საუკუნეში წმ. ანდრია პირველწოდებულის *მიმოსვლის* ქართული თარგმანის ერთ-ერთი ვერსიიდან (გრიგოლია 1954: 301-302). ასე რომ, ტრაპიზონის 'მეგრელთა სოფელში' მდებარე ქალაქად დასახელებას არანაირი კავშირი არა აქვს ლეონტი მროველთან, რომელმაც ეგროსის ხვედრი ქვეყნის, ეგრისის საზღვრები სავსებით გარკვევით მოხაზა და მის მოსახლეობას მეგრელნი უწოდა.[2] რატომ მიაჩნია გ. წულაიას ლეონტი მროველის აზრის გამომხატველად სულ სხვა მწიგნობრის (წმ. ანდრიას *მიმოსვლის* ქართველი მთარგმნელის) შეხედულება, უბრალოდ გაუგებარია. რაც შეეხება მეორე არგუმენტს, ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ლეონტი მროველთან ეპონიმების ჩამონათვალში ეგროსი მართლაც არის დასახელებული კავკასიანთა წინ, ხოლო ეთნონიმების სიაში კავკასიანთა შემდეგ, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ეგროსი და მეგრელი ლეონტი მროველის წარმოდგენაში დაცილებულია ერთმანეთს. საქმე ისაა, რომ ეპონიმების სიის ეგროსის, და, შესაბამისად, ქვეყანა ეგრისის ერთადერთი შესატყვისი ეთნონიმების სიიდან არის მეგრელნი. ეს მკაფიოდ ჩანს ეთნონიმ – ეპონიმების დაწყვილებიდან: ქართველნი – ქართლოსი, რანი – ბარდოსი, მოვაკნელი – მოვაკანი, ჰერი – ჰეროსი, ლეკი – ლეკანი, კავკასიანი – კავკასი. აშკარაა, რომ მეგრელის შესატყვისად რჩება მხოლოდ ეგროსი. ამის ფონზე რა მნიშვნელობა აქვს რიგითი თანამიმდევრობა ეთნონიმებისა ემთხვევა თუ არა ეპონიმებისას? მით უფრო მაშინ, როდესაც აღნიშნულ სიებში რიგითი ნომრების ასეთივე დაცილება გვაქვს ჰერისა და ლეკის დასახელების დროსაც: ეთნონიმების ჩამონათვალში ჯერ ჰერია დასახელებული, შემდეგ – ლეკი, ეპონიმების სიაში პირიქით – ჯერ ლეკანი, მერე – ჰეროსი. გ. წულაიას ლოგიკით გამოდის, რომ ჰერებს ჰერეთში არ უცხოვრიათ, ლეკებს – ლეკეთში. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც სხვაა. როგორი განსხვავებაც არ უნდა იყოს ეპონიმური და ეთნონიმური შესატყვისობების რიგითობაში, მთავარი ისაა, რომ ლეონტი მროველისავე სხვა მონაცემები უკლებლივ, გამონაკლისის გარეშე, სწორედ იმას გვიჩვენებენ, რომ ეგრისი და მეგრელი (ხელნაწერების ვარიანტული ფორმით მეგრი) სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან.

საილუსტრაციოდ მრავალთაგან რამდენიმე მაგალითს მოვიყვან. ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილი ტექსტიდან: მეფე ფარნავაზი 'ჟამით-ჟამად მივიდის ***ეგრისს*** და კლარჯეთს და მოიკითხნეს ***მეგრელნი*** და კლარჯნი' (ყაუხჩიშვილი 1955: 25); 'ადერკის მეფობასა მოვიდეს ათორმეტთა წმიდათა მოციქულთაგანი ანდრია და სიმონ კანანელი აფხაზეთს და ***ეგრისს***. და მუნ აღესრულა წმიდა სიმონ ქალაქსა ნიკოფსისასა, საზღვარსა ბერძენთასა. ხოლო ანდრია მოაქცია ***მეგრელნი*** და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა, ხოლო ვითარცა ესმა მეფესა ადერკის ***მეგრთაგან*** სჯულისა დატევება, განუწყრა და წარავლინა ერისთავნი მისნი, იძულებით კუალად მოაქციენა ***მეგრელნი***' (ყაუხჩიშვილი 1955: 37); ამაზასპის მეფობის დროს მეამბოხე ერისთავების მიერ მაშველად მოწვეულმა ოვსებმა 'გამოვლეს გზა თაკუერისა და მოვიდეს ერისთავთა თანა ***ეგრისთა***... ოვსთა და ***მეგრთა*** გარდამოვლეს მთა მცირე და შეკრბეს იგინი ერთად და ერისთავნი ქართლისანი გადგომილნი' (ყაუხჩიშვილი 1955: 57).

მაგალითების გამრავლება იოლად შეიძლება, მაგრამ მოყვანილი ციტატების ხაზგასმული ადგილებიც საკმარისია კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ იმაში, რომ ლეონტი მროველისათვის მეგრელი (მეგრი) ეგრისის მცხოვრებია და არავითარი დაშორება მათ შორის არაა. ასე რომ, გ. წულაია სრულიად უმართებულოდ მიაწერს ლეონტი მროველს იმას, რაც ამ უკანასკნელს აზრადაც არ მოსვლია. ცხადია, ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ ყველას, მათ შორის, გ. წულაიას,

სრული უფლება აქვს ნებისმიერ საკითხზე ჰქონდეს თავისი აზრი და მის დასამტკიცებლად მოიხმოს ლეონტი მროველის ცნობებიც, გაიზიაროს ან უარყოს ისინი, გაუკეთოს მისთვის სასურველი ინტერპრეტაცია – მეცნიერებაში ამ სავსებით ნორმალურ მოვლენას ვერავინ გახდის სადავოდ, მაგრამ ძნელია თუნდაც დაგვიანებით, ურეპლიკოდ დარჩეს ის, რასაც ისტორიული წყაროს შინაარსის დამახინჯება ჰქვია. მიუხედავად ამისა, შეიძლებოდა გ. წულაიას აღნიშნული ნააზრევი ერთი ავტორის, მართალია, მცდარ, მაგრამ უწყინარ მოსაზრებად ჩაგვეთვალა და საგანგებო მსჯელობის საგნად არც გაგვეხადა, რომ არა ამ მოსაზრების გამოყენება უკვე სხვა, უფრო შორსმიმავალი, არცთუ უწყინარი და აკადემიური ინტერესებით ნასაზრდოები "თეორიის" შესაკოწიწებლად.

სიტყვა ეხება აფსუურ სეპარატისტულ ისტორიოგრაფიასა და პოლიტიკურ პუბლიცისტიკაში ფართოდ აჟიტირებულ "თეორიას", რომლის თანახმად ტერიტორია მდ. ჭოროხის ქვემო დინების და ლიხის ქედის ჩრდილოეთით ე.ი. მთელი დასავლეთი საქართველო უძველესი დროიდან დასახლებული იყო აფსუების ("აფხაზების") წინაპრებით, რომლებიც სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით თანდათანობით, ეტაპობრივად შეავიწროვეს და "მშობლიური" მიწა-წყლიდან განდევნეს ქართველთა წინაპრებმა, კერძოდ, მეგრელებმა. ეს "თეორია" სხვა ავტორებთან შედარებით ყველაზე უფრო სრულყოფილი სახით გ. გუმბამ წარმოდგინა (გუმბა 2003). მისი აზრით, ლეონტი მროველისეული "ეგრისი", "მეგრელნი" და მდ. "ეგრისწყალი" ე.წ. "მცოცავი", "მოხეტიალე" ცნებებია და სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტერიტორიას და მდინარეებს აღნიშნავს. კერძოდ, ჯერ კიდევ ძვ.წ. IV-III საუკუნეებში ლეონტი მროველისეული ეგრისი ესაა მდ. ჭოროხის ქვემო დინების ერთი პატარა რეგიონი, რომელიც სხვა წყაროებით ეგრის სახელწოდებითაა ცნობილი, მეგრელნი ამ დროისათვის სწორედ ამ ეგრის მოსახ-ლეობას აღნიშნავს, ხოლო ეგრისწყალი მდ. ჭოროხს. მოგვიანებით ჭოროხის ქვემო დინებიდან ჩრდილოეთისაკენ დაძრული მეგრელნი თანდათანობით უკვე ახ.წ. V-VI საუკუნეებისათვის იკავებენ ტერიტორიას მდ. ტეხურამდე და ტეხურის შესართავიდან მდ. რიონის ზღვასთან შეერთებამდე, ამ გადაადგილების კვალდაკვალ სახელწოდება ეგრისი და მეგრელნი უკვე ამ ტერიტორიაზე და მის მოსახლეობაზე ვრცელდება, ასევე გადაადგილდება ჰიდრონომი ეგრისწყალი და ის მდ. რიონის აღმნიშვნელი ხდება, იგივე პროცესები გრძელდება VIII-X საუკუნეებში, როდესაც ჰიდრონომი ეგრისწყალი კიდევ უფრო ჩრდილოეთით გადაინაცვლებს და ამჯერად მდ. ენგურის სახელწოდებად იქცევა (გუმბა 2003). გ. გუმბას ამ "კონცეფციის" მთელ არგუმენტაციას აქ არ განვიხილავ. ამჟამად შევეხები მის ნააზრევში ლეონტი მროველისეული ცნობების გარდასახვას. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ გ. გუმბა უყოყმანოდ იზიარებს გ. წულაიას ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ლეონტი მროველს "მეგრელთა" განსახლების ტერიტორია დასავლეთ საქართველოში, ეგრისში კი არა, ჭოროხის შესართავის სამხრეთით ეგულებოდა და თავისი "კონცეფციის" დასაბუთებაში მას ფრიად საპატიო ადგილი მიუჩინა. ამასთანავე გ. გუმბა უფრო შორსაც მიდის – თუ გ. წულაია ეგრისს მაინც დასავლეთ საქართველოსთან აიგივებდა და მხოლოდ მეგრელებს განასახლებდა ჭოროხის შესართავის სამხრეთით, გ. გუმბა ეგრისსაც ჭოროხის ხეობაში, მისი ერთ-ერთი მომცრო რეგიონის ფარგლებში ათავსებს, რითაც, "ლოგიკურ შესაბამისობაში" მოყავს ერთმანეთთან ტერიტორია (ეგრისი) და მოსახლეობა (მეგრელნი). ამის შემდეგ გ. გუმბა იოლად ახდენს ლეონტი მროველისეული ეგრისწყლის იდენტიფიკაციას მდ. ჭოროხთან ანუ ეგრისის (და შესაბამისად მეგრელთა სამკვიდროს) ჩრდილოეთ საზღვარს ძვ.წ. I ათასწლეულში.

გ. გუმბა საქმის ვითარებას ისე წარმოუდგენს მკითხველს, თითქოს ასე ფიქრობდეს ლეონტი მროველიც და წყაროს ამგვარი ჩვენება იყოს მისთვის ამოსავალი. ლეონტი მროველი კი, სინამდვილეში, სულ სხვანაირად ლაპარაკობს. ამ უკანასკნელის ჩვენებით, ქართლის და ეგრისის დამპყრობელ აზონზე გამარჯვების შემდეგ ფარნავაზმა დალაშქრა აზონის მოკავშირე საბერძნეთი. მან 'მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორისა და ეკლეციით შემოიქცა, მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი და წარმოვიდა მცხეთად' (ყაუხჩიშვილი 1955: 23). ამით ფარნავაზმა დაასრულა ქართლისა და ეგრისის გათავისუფლება და ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება, მაგრამ ამ გაერთიანების მიღმა დარჩა ეგრისის (ეგროსის წილხვედრი ქვეყნის) ერთი ნაწილი: 'ხოლო ეგრისწყალს ქვემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვიდრთა მის ადგილისათა არ ინებეს განდგომა ბერძენთა' (ყაუხჩიშვილი 1955: 24). ამის შემდეგ, ლეონტისავე ცნობით,

ფარნავაზმა ეგრისის ის ნაწილი, რომელიც სამეფოს ფარგლებში დარჩა, ორ საერისთავოდ დაჰყო. ქუჯის მისცა 'ქუეყანა ეგრისის წყალსა და რიონს შუა, ზღვიდან მთამდე, რომელს არს შინა ეგრისი და სუანეთი და დაამტკიცა ერისთავად მუნ და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი' (ყაუხჩიშვილი 1959: 24).[3] ეგრისის მეორე ნაწილში ფარნავაზ მეფემ რვა ერისთავთაგან 'ერთი გაგზავნა მარგვს ერისთავად და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუამდე რიონს ზემოთ და ამან ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი: შორაპანი და დიმნა' (ყაუხჩიშვილი 1955: 24).

მოყვანილი ამონარიდებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ არ შეიძლება ლეონტი მროველისათვის ეგრისწყალი მდ. ჭოროხი ყოფილიყო, რიონზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მემატიანე სავსებით გარკვევით გვეუბნება, რომ ეგროსის წილხვედრი ქვეყანა (ეგრისი) ალექსანდრე მაკედონელის შემოსევამდე და აზონის გაბატონებამდე ერთიანი და განუყოფელი იყო ლიხის მთიდან მდ. ყუბანამდე ('მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა'). თუ აზონსა და მის მოკავშირე ბერძნებზე გამარჯვებული ფარნავაზ-ქუჯის სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა დარჩა მიწა-წყალი ეგრისწყლის 'ქვემოთ', დანარჩენი ტერიტორია ეგრისწყლიდან ლიხის მთამდე ორ საერისთავოდ დაიყო. ქართული სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული ეგრისის ერთი, სახელდობრ, მარგვის საერისთავო რაკი ლიხის მთასა და მდ. რიონს შორის არის მოქცეული, აშკარაა, რომ მდ. რიონი ამ საერისთავოს ჩრდილოეთი მიჯნაა. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ქუჯის საერისთავო (შინა ეგრისი და სვანეთი), რომელსაც მარგვის საერისთავოსაგან მდ. რიონი მიჯნავს, ცხადია, ამ უკანასკნელის ჩრდილოეთით ექცევა, შესაბამისად, ეგრისწყალი კიდევ უფრო ჩრდილოეთით თავსდება. ამიტომ ყოვლად გაუგებარია ეგრისწყლის გაიგივება მდ. ჭოროხთან, რომელიც რიონის დინებიდან შორს, სამხრეთით მიერთვის შავ ზღვას. გაუგებარია ისიც, თუ რატომ უგულებელჰყოფს გ. გუმბა ლეონტისავე ცნობებს სვანეთისა და ციხე-გოჯის შესახებ, რასაც, სხვათა შორის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეგრისწყლის იდენტიფიკაციის საქმეში. ლეონტი მროველის მიხედვით, ქუჯის საერისთავოში შიდა ეგრისის გარდა ხომ სვანეთიც არის მოქცეული და საერისთავოს ცენტრად ციხე-გოჯია დასახელებული? სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ორიენტირები (სვანეთი და ციხე-გოჯი) ცალსახად გამოხატავენ ლეონტი მროველის შეხედულებას: მას ეგრისწყლად არც ჭოროხი წარმოუდგენია და არც რიონი – ამას გამორიცხავს სვანეთის ტერიტორიული ფარგლები (ენგურისა და ცხენისწყლის ხეობათა ზემო ნაწილები) და ციხე-გოჯის მდებარეობა მდ. ტეხურზე. სვანეთისა და ციხე-გოჯის ჭოროხის ხეობაში გადატანა ნამეტანი რომაა, ეს, როგორც ჩანს, გ. გუმბასაც კარგად უგრძვნია. ის სვანეთზე არაფერს ამბობს, მაგრამ ციხე-გოჯის შესახებ ლეონტისეული ცნობის მნიშვნელობას ეგრისწყლის იდენტიფიკაციის დადგენაში იოლად აქარწყლებს – აღნიშნულ ცნობას, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გვიანდელ ჩანართად აცხადებს.

უნდა ითქვას, რომ სპეციალურ ლიტერატურაში მროველისეული ეგრისწყლის იდენტიფიკაციის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ი. ჯავახიშვილი მას მდ. ოხოჯესთან აიგივებს (ჯავახიშვილი 1983: 23), ზოგი მდ. ენგურთან (ბერაძე 1967: 141; არახამია 2009: 105), სხვები მდ. ღალიძგასთან (ყაუხჩიშვილი 1973: 845, 863, 887; ბურჯანაძე 1963: 153; ინგოროყვა 1954: 128; ანჩაბაძე 1959: 7; მუსხელიშვილი 1977: 110-111; ლეთოდიანი 1991: 15), მაგრამ ამ მოსაზრებათა ავტორებისათვის ეგრისწყლის ძიების არეალი სამხრეთით მდ. ენგურს არ სცილდება თვით ამგვარი ძიების უაზრობის გამო.

გ. გუმბას და აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის სხვა წარმომადგენლებს ლეონტი მროველისეული ეგრისწყალი ე.წ. "მოხეტიალე" ჰიდრონიმად წარმოუდგენია, მაგრამ წინასწარი აკვიატების გარეშე საკუთრივ ლეონტი მროველის თხრობისათვის თვალის გადავლებაც კი ნათელს ხდის, რომ ამ მემატიანის ნააზრევში ოდნავი მინიშნებაც კი არ მოიპოვება მდ. ეგრისწყლის ამგვარი "ხეტიალის" შესახებ.

შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ პოლემიკა გ. გუმბასა და მისი თანამოაზრეების პოზიციაზე რაიმე გავლენას მოახდენს იმ უბრალო მიზეზით, რომ მათი აზრის მოძრაობას არა ჭეშმარიტების ძიება, არამედ პოლიტიკური მოტივი წარმართავს. რაკი ასეთი მოტივით ნასაზრდოებ ფანტაზიას არანაირი სამანები არ გააჩნია, გ. გუმბას და მის კოლეგებს არაფერი აბრკოლებთ ქართველთა და აფსუათა წინაპრების სამკვიდრო ტერიტორიებს შორის საზღვარი დროსა და სივრცეში სურვილისამებრ გაავლონ. გაკვირვებას ის იწვევს მხოლოდ, რომ შეუზღუდავი წარმოსახვითი

გეოგრაფიის ავტორს რაში დასჭირდა მოეხმო ქართველი მემატიანის ცნობები, რომლებიც, როგორც ვნახეთ, ამ საქმეში ვერაფრით შეეწია.

შენიშვნები

[1] ეგროსის მიერ დაარსებული ქალაქის სახელწოდების სწორი ფორმაა ეგრი (იხ. გოილაძე 2010: 61-67).

[2] მაგრამ მთავარი მხოლოდ ეს როდია. არსებითი, მაინც, ისაა, რომ გ. წულაიას მიერ მოხმობილი ცნობა სრულებით არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ 'მეგრელთა სოფელი' ოდესმე, თუნდაც დროის რაღაც მონაკვეთში, მხოლოდ და მხოლოდ მდ. ჭოროხის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას მიემართებოდა და არ ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოზეც ე.ი. ლეონტი მროველისეულ ეგრისზე. საქმე ისაა, რომ ქ. ტრაპიზონი "მეგრელთა" განსახლების მიწა-წყალზე მარტო გ. წულაიას მიერ მითითებულ ცნობაში როდია დასახელებული. ანალოგიურია ბიზანტიელი ავტორის, ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის *ისტორიის* 1142 წლით დათარიღებული ქართული თარგმანის ჩვენებაც: 'და ჰყვა მის თანა ცოლი თჳსი, და მიიწია რაჲ ***ტრაპეზუნტად*** სანახებთა მათ ***სამეგრელოჲსათა***'. აღნიშნული ისტორიის ბერძნულ ტექსტში ქართული თარგმანის 'სამეგრელოს' ბერძნული "ლაზიკა" შეესაბამება (ყაუხჩიშვილი 1952: 422). ეს შესატყვისობა სრულებით არ არის შემთხვევითი – მას მყარად ჩამოყალიბებული ტრადიცია აქვს: ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნილ ყველა ძეგლში, რომელიც კი შემოგვრჩა და ისინი შემოგვრჩა XI საუკუნის დასაწყისიდან, გამონაკლისის გარეშე ქართველი მთარგმნელის მიერ ბერძნული ტექსტის 'ლაზი' ითარგმნება როგორც 'მეგრელი', ხოლო 'ლაზიკა' როგორც 'სამეგრელო', 'საეგრო', 'კერძოჲ სამეგრელოჲსა', 'მეგრელთა სოფელი' ან 'მეგრელთა ქვეყანა' (იხ. ბერაძე 1967: 131-135; ყაუხჩიშვილი 1941: 40-41,43). ასეა განურჩევლად იმისა, ბერძნული ორიგინალის 'ლაზი' და 'ლაზიკა' მიემართება ჭოროხის და რიონის მიდამოებს თუ ენგურისა და კოდორის ხეობებს. გ. წულაიას მიერ მოხმობილი ცნობის სხვა ანალოგიურ ცნობებთან ერთიან კონტექსტში განხილვა თვალნათლივ მოწმობს იმას, რომ XI-XIII სს. ქართველი მწიგნობრებისათვის ეთნონიმი 'მეგრელი' თანაბრად მიემართება როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის – ჭოროხის სამხრეთით მცხოვრებ ლაზებს (ჭანებს), ისე ჭოროხის შესართავის ჩრდილოეთით (დასავლეთ საქართველო) მკვიდრ მოსახლეობასაც. ლეონტი მროველი კი "მეგრელთა" განსახლების არეალს მკაცრად შემოსაზღვრავს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიით, რითაც ის განსხვავდება ძველი ბიზანტიელი ავტორებისა და მათი თხზულებების ქართველი მთარგმნელებისაგან. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ლეონტი მროველისეული "მეგრელის" გავრცელება ჭოროხის ხეობის ლაზებზე, საერთოდ, მით უფრო, ამ ეთნონიმის მხოლოდ ლაზის მნიშვნელობამდე დავიწროება, სულ ერთია დროის რა მონაკვეთში, უხეში ძალდატანებაა მემატიანის ნააზრევზე.

[3] *ქართლის ცხოვრების* ხელნაწერებსა და, შესაბამისად, გამოცემებში ციტირებული ადგილი ასეა წარმოდგენილი: 'და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა, ზღჳთგან მთამდე, ***რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი***' (იხ. ყაუხჩიშვილი 1959: 24; მეტრეველი 2008: 43). ეგრისის ტერიტორიის საზღვრების (ლიხის ქედიდან მდ. ყუბანამდე) შესახებ ლეონტი მროველის მკაფიოდ ჩამოყალიბებულ შეხედულებას არ შეესაბამება ის აზრი, რაც მოტანილ ტექსტში იკითხება ანუ ეგრისის ტერიტორიული მოცულობის დავიწროება ქუჯის საერისთავოს ფარგლებით (მიწა-წყლით რიონსა და ეგრისწყალს შორის). ამასთან დაკავშირებით შეუძლებელია არ გაგვახსენდეს "ქართლის ცხოვრების" სხვა მონაკვეთში დაცული ანალოგიური ცნობა ეგრისის საერისთავოების შესახებ. მხედველობაშია ვახტანგ გორგასლის მეფობის აღწერაში დაცული შემდეგი ჩვენება: "და სამნაღირ, ერისთავი შიდა ეგრისისა (ვარიანტი: ეგრისა) და სუანეთისა; და ბაკურ, ერისთავი მარგჳსა და თაკუერისა" (ყაუხჩიშვილი 1959: 185, მეტრეველი 2008: 221). როგორც ვხედავთ, ორივეგან – როგორც ლეონტი მროველის თხზულებაში, ისე ვახტანგ გორგასლის მეფობის აღწერაში – საუბარი ეხება ეგრისის ერთსა და იმავე საერისთავოებს. ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში, სადაც მთლიანად არის გაზიარებული ეგრისის საზღვრების შესახებ ლეონტი მროველის თვალსაზრისი, ქუჯის საერისთავოს ტერიტორიული მემკვიდრის – სამნაღირის საერისთავოს შემადგენლობაში სვანეთთან ერთად დასახელებულია შიდა ეგრისი და არა მთელი ეგრისი. აქ უკვე აღარაა ის წინააღმდეგობა, რაც ქუჯის საერისთავოს შესახებ ცნობაში გვაქვს ეგრისის საზღვრებთან დაკავშირებით – სამნაღირის საერისთავო მოიცავს არა ეგრისს მთლიანად, არამედ მის ნაწილს, შიდა ეგრისს. ლოგიკურია, რომ ასეთივე უნდა ყოფილიყო ლეონტი მროველის აზრი სამნაღირის საერისთავოს შორეული წინამორბედის, ქუჯის საერისთავოს შესახებაც. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილი თხზულების განსახილველი ადგილი ხელნაწერებში დამახინჯებულია და ასე უნდა გასწორდეს: 'და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა, ზღჳთგან მთამდე, რომელ არს შინა ეგრისი და სუანეთი'.

დამოწმებანი

ანჩაბაძე 1959: З. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии, Сухуми (1959).

არახამია 2009: გ. არახამია. საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები. თბილისი (2009).

ბერაძე 1967: თ. ბერაძე. ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. III. თბილისი (1967).

ბურჯანაძე 1963: ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბილისი (1963).

გოილაძე 2010: ვ. გოილაძე. ეგრი და ეგრისი *ქართლის ცხოვრებაში*. ქართული წყაროთმცოდნეობა. XII. თბილისი (2010).

გრიგოლია 1954: კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება. თბილისი (1954).
გუმბა 2003: Г. Гумба. Об истоках исторической концепции грузинского историка XI века - Леонтия Мровели - http://www. kolhida. ru/index.php3?path=abigi/book@sourse=abhazovedenie2.
ინგოროყვა 1954: პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბილისი (1954).
ლეონტიანი 1991: დ. ლეონტიანი. აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური ურთიერთობა ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII საუკუნეებში, თბილისი (1991).
მეტრეველი 2008: ს. ყაუხჩიშვილი. ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბილისი (2008).
მუსხელიშვილი 1977: დ.მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბილისი (1977).
ყაუხჩიშვილი 1952: ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV. ნაკვ. II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და კომენტარები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი (1952).
ყაუხჩიშვილი 1955: ს. ყაუხჩიშვილი. ქართლის ცხოვრება. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი (1955).
ყაუხჩიშვილი 1941: ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV ნაკვ. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი (1941).
ყაუხჩიშვილი 1973: ს. ყაუხჩიშვილი. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი (1973).
წულაია 1987: Г. Цулая. Историческая концепция грузинского историка XI века Леонтия Мровели, История СССР. №4. Москва (1987).
ჯავახიშვილი 1983: ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ.II. თხზულებანი 12 ტომად. ტ.II. თბილისი (1983).

Egrosi, Egrisi, Megreli and Egrisitskali in *The Life of Kartli*

Goneli Arakhamia

Medieval Georgian historical chronicle *Life of Kartli* (History of Georgia), while concerning the ancient period the history of Georgia provides information about the West Georgia as well. According to the Leonti Mroveli (11th c) the eponim Egrosi's country was called Egrisi, while its population was referred as Megreli, and the region's main river - Egristskali (currently Enguri).

Some scholars incorrectly explain Leonti Mroveli's point of view. For example historian G. Gumba in his article tries to convince the reader, that Leonti Mroveli under the khoronim Egrisi and etnonim Mengreli did not implied the West Georgia and its people, or the river Enguri , but territories outside of the West Georgia. The falsification of this kind is common for Abkhazian historians,who attempt to justify the Abkhazian separatist movement by history. Meanwhile Leonti Mroveli provides evidence according to which clear that the above region in perception of the medieval author was connected exclusively with Georgian realm. This is very easy to guess for the reader being free from fixed ideas.

ბასილ ბაგრატის ძის პიროვნება და წარმომავლობა

ვახტანგ გოილაძე

XI ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი პიროვნება, ხახულის ლავრაში მოღვაწე ბასილ ბაგრატის ძე ჯერ კიდევ ნაკლებადაა ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის. ქვემოთ, ბასილ ბაგრატის ძის პიროვნების შედარებით სრული სურათის წარმოსაჩენად მის წარმომავლობის საკითხსაც შევეხები.

თუ იმ საქებარ სიტყვებს გავითვალისწინებთ, რომლებიც ბასილ ბაგრატის ძეზე ძველმა ქართულმა ძეგლებმა შემოგვინახა, იგი XI ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს ერთ-ერთი დიდი მოღვაწე უნდა ყოფილიყო. მაგრამ, სამწუხაროდ, მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჩვენამდე არ მოუღწევია (ლოლაშვილი 1977:221). საერთოდ, ბასილის მოღვაწეობის შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით, თუმცა თანამედროვეთა (ასევე გვიანი ხანის ავტორების) მიერ ბასილისადმი მიმართული სიტყვები გვავალდებულებს მისი პიროვნება, წარმომავლობა შედარებით კარგად ვიცოდეთ.

ვნახოთ, ვინ რას წერდა ბასილ ბაგრატის ძეზე.

როგორც წმ. გიორგი მთაწმიდელის *ცხოვრებიდან* ჩანს, 1019 წელს ხახულში მისი ჩასვლისას, ბასილი უკვე სახელგანთქმული მოღვაწე იყო. წმ. გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი გიორგი მცირე ბასილ ბაგრატის ძეს 'დიდს', 'მომღვარს და განმანათლებელს ქუეყანისა ჩუენისას' უწოდებს (აბულაძე 1967:116). ბასილ ბაგრატის ძის მიმართ წმ. გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფის ასეთი სიტყვები ნათლად წარმოაჩენს ბასილის პიროვნებას.

1027–1034 წლებში ხახულის ლავრაში გადაწერილი ხელნაწერის ანდერძში ბასილი ბაგრატის ძის შესახებ ნათქვამია:

> ხოლო უმეტეს ყოველთა ადიდენ ღმერთმან მამაჲ ბასილი, კაცი ღმერთშემოსილი, მსგავსებითა და ღირსებითა სწორი წმიდათა მოციქულთა, ნავთსაყუდელი ყოველთა უცხოთა და მიეცინ ღმერთმან მადლი...

ანდერძის ავტორის სიტყვით, 'ღმერთშემოსილი მამაჲ ბასილი' პირველი იყო იმ პირთა შორის, რომლებმაც წიგნის წერისას მას რამდენჯერმე ნუგეში სცეს (მეტრეველი 1952:195). რა წყაროებზე დაყრდნობით, არა ჩანს, მაგრამ უფრო გვიან ქართლის კათალიკოსმა ანტონ I-მა (გარდ. 1788 წ.) თავის *წყობილსიტყვაობაში* ბასილს შემდეგი სტრიქონები უძღვნა:

> ვასილი წარმო მეშუთაგან ჩინებულთა,
> *ძე ბაგრატისი, ვჰგონებ რეცა მეფისა,*
> ქრისტეს შედგომა, ქრისტესად მოქმედება
> მისთა მცნებათა, ნიადაგ დამცუმლობით
> აწ წესებულებს, წმიდათა თანა მკჳდრად.
>
> მოქალაქობა ვასილისა საქებელ,
> სახარებისა ჰსჯულთა დაცუა უქცეველ,
> ქრისტესდა მუდამ ჴმევა სიბრძნეთა თჳსთა,
> ეკკლესიისა, სამკაულ-ყოფა ამით,
> *ქებულ არს, აწცა იქების წიგნთა შინა* (ბარამიძე 1972:168).

იოანე ბაგრატიონი კი *კალმასობაში* ბასილს ახასიათებს, როგორც ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიაში განსწავლულ მწიგნობარს, მთარგმნელს, 'რიტორ-მთხრობელს და მაღალ ფრასასა ზედან დამთხზველს'. მას 'ქართველთა ეკლესიათა სამკაულს' უწოდებს (კეკელიძე, ბარამიძე 1948:172).

როგორც ჩანს, გვიან შუასაუკუნეებში შედგენილ კატალოგში, რომელშიც ე. მეტრეველის სიტყვით, ერთი კულტურული წრის წევრები – ტაოსა და ათონის მონასტრებში მოღვაწენი არიან ჩამოთვლილნი, XI ს-ის ლიტერატორთა შორის დასახელებულია 'ბასილ ბაგრატის ძე ხახულს მყოფი' (მეტრეველი 1952:194). მეფე ბაგრატ მეოთხეზე თხრობისას ვახუშტი ბატონიშვილი, როგორც ჩანს, ზემოხსენებულ კატალოგზე დაყრდნობით წერს – 'მთარგმნელნი ამ ჟამთა იყვნენ'-ო და სხვებთან ერთად ბასილ ბაგრატის ძესაც ასახელებს (ყაუხჩიშვილი 1973: 144).

აღნიშნული კატალოგი დღეს XIX ს-ის ნუსხებით (A–1580; A–1767) არის შემორჩენილი და მას სათაურად აქვს: 'ძველთა ქართველთა მთარგმნელთათვის წმიდათა მამათა მეცნიერთათვის, თუ რომელსა, რომლის მეფის დროს, ან სადაურნი იყუნენ და ამათ გადმოიღეს ელინურიდამ სრულიად საღმრთო წერილი' (მეტრეველი 1952: 194).

ალბათ, დამეთანხმებით, პიროვნება, რომელმაც თავისი თანადროული, ისე გვიანი ხანის ქართველი მოღვაწეებისაგან ასეთი საქებარი სიტყვები დაიმსახურა, ჩვენგანაც მეტი პატივისცემისა და ყურადღების ღირსია. მისი წარმომავლობის გასარკვევად ჩემ მიერ მოყვანილი მასალით იქნებ ბასილ ბაგრატის ძის ბიოგრაფიას ერთი საინტერესო შტრიხი შევმატო.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჩვენი მეცნიერები ბასილს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-ის ძედ მიიჩნევენ, რაც მკვლევართა ნაწილს აეჭვებს. XI ს-ის გამოჩენილი მოღვაწის ბასილი ბაგრატის ძის ბიოგრაფიის შესავსებად, მართლაც, საინტერესოა იმის გარკვევა, თუ ვისი ძე იყო იგი.

დასმული საკითხის არა თუ გადასაწყვეტად, აზრის გამოსათქმელადაც კი, მართალია, ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში ხელმოსაკიდი მასალა არაა, მაგრამ მ. ჩამჩიანისა და მ. ბროსეს ნაშრომებზე დაყრდნობით ამ საკითხზე ე. მეტრეველმა თავისი თვალსაზრისი უკვე გამოთქვა, თანაც, რადგან ჩემი ვარაუდით, ბაგრატ III-ის ბიოგრაფიის ერთი დეტალი გარკვეულ საფუძველს იძლევა მ. ჩამჩიანის ცნობის სხვაგვარი ინტერპრეტაციისათვის, მე შევეცადე ე. მეტრეველის მიერ მოხმობილი მასალა ცოტა სხვა მხრივ გამეანალიზებინა და ისე მიმეწოდებინა მკითხველისათვის. რამდენად რეალურია ჩემი დასკვნები, ეს თვით მკითხველმა განსაჯოს.

XI ს-ის პირველ ნახევარში ხახულის ლავრაში მოღვაწე 'ღმერთშემოსილი ბასილი' რომ ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი იყო, ეს მთლად დადასტურებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ თუ გვიან შექმნილი ტრადიცია (ბაგრატ III-ის ძედ ბასილის მიჩნევის შესახებ) მცდარი არ არის, მაშინ დღეს ქართულ მეცნიერებაში მიღებულ შეხედულებას ჩემი დასკვნები გარკვეულწილად გაამყარებს.

ბასილ ბაგრატის ძის წარმომავლობით ჯერ კიდევ კათალიკოსი ანტონ I დაინტერესდა. მისი *წყობილსიტყვაობიდან* ზემომოყვანილ სტროფში, როგორც ვნახეთ, აღნიშნულია: 'ვასილი... ძე ბაგრატისი, ვჰგონებ რეცა მეფისა'. თუ ანტონ პირველმა ბასილის მხოლოდ მეფის ძეობაზე მიუთითა, 1813–1828 წლებში შედგენილ *კალმასობაში* იოანე ბატონიშვილმა ბასილი ბაგრატის ძე ბაგრატიონად გამოაცხადა *(ბასილი ბაგრატოანისათვის)*, თუმცა, ბასილი რომ ბაგრატ III-ის ძე იყო, ამის შესახებ მას არაფერი უთქვამს (ბარამიძე 1980:188). ბასილ ბაგრატ III-ის ძედ პირველად პლატონ იოსელიანმა მიიჩნია. 1853 წელს ანტონ პირველის *წყობილისიტყვაობის* გამოცემისას, იმ ადგილას, სადაც ანტონი 'ვასილი ბაგრატის ძეზე' წერს, სქოლიოში განმარტა: 'ამან გარდამოიღო ბერძულით წიგნი, *ლავსაიკონი*. ვასილი იყო ძე მეფისა ბაგრატისა (1008 – 1014) ვითარცა ჰგონებს კათოლიკოსი ანტონ I. ამანვე გარდამოიღო ბერძულით წიგნი *ეფრემ ასურისა* (იოსელიანი 1853: #717-718, შენ. 129)[1].

მსგავს დასკვნამდე მივიდა რუსი საეკლესიო მოღვაწე პორფირი უსპენსკი (1804–1885). მისი სიტყვით, ათონის მთაზე მოღვაწე ექვთიმეს წმიდა შრომაში ეხმარებოდნენ: იოანე გრძელისძე, არსენ ნინოწმიდელი ეპისკოპოსი და მონაზონი ვასილი ძე მეფე ბაგრატ III-ისა, რომელმაც თარგმნა "ლავსაიკონი" და ეფრემ ასურის თხზულებანი (1008 წ.) (უსპენსკი 1877: 162).

ე. მეტრეველის სიტყვით, დასახელებულ ავტორებს (ე.ი. პ. იოსელიანსა და პ. უსპენსკის. – ვ.გ.) საიდან აქვთ ეს ცნობები მიღებული, არ ჩანს. ბასილი ბაგრატის ძის შესახებ ზოგიერთი ცნობა... დაცულია ძველსა და მოგვიანო ხანის წყაროებში. ამისდა მიუხედავად, მისი ვინაობა დადგენილად

მაინც ვერ ჩაითვლება. ბასილი უძველესი წყაროების მიხედვით, ბაგრატის ძედ არის ცნობილი. ეს წყაროებია: XI საუკუნის თვენი (H-1710) და ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა (მეტრეველი 1952:198).

ასე რომ, ბასილი რომ მაინცდამაინც ბაგრატ III-ის ძე იყო, ამის შესახებ ძველ წყაროებში ხელმოსაკიდი მასალა არაა. აღნიშნულის მიუხედავად, თვალსაზრისი – ბასილი რომ ბაგრატ III-ის ძე იყო, ქართული ლიტერატურის გამოჩენილმა მკვლევარმა კ. კეკელიძემაც გაიზიარა. იგი წერდა: ფერის ჯოჯიკის ძეს 'ცოლად ჰყოლია ბაგრატ III-ის ქალი, დაი ბასილი მოღვაწისა და გიორგი პირველისა" (კეკელიძე 1960: 214). 1962 წელს გამოცემულ ძველი ქართული მწერლობის კერებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში ლ. მენაბდემ აღნიშნა: 'ხახულის ცნობილი მოღვაწეა ბაგრატ მესამის (975–1014) შვილი ბასილი, რომელსაც გიორგი მთაწმიდელის აღზრდაშიც მიუღია მონაწილეობა' (მენაბდე 1962: 456). შემდეგში ბაგრატ III-ის ძედ ბასილის მიჩნევის თვალსაზრისი აისახა ქართულ ენციკლოპედიაში ბასილი ბაგრატის ძისადმი მიძღვნილ ი. ლოლაშვილის წერილში (ლოლაშვილი 1977: 221).

როგორც ე. მეტრეველი წერს, მართალია, წმ. გიორგი მთაწმიდელი პირადად იცნობდა ბასილის, ამავე დროს ის იზრდებოდა მისი დის ოჯახში კონსტანტინოპოლში და, თითქოს, გამორიცხულია რაიმე შეცდომა მის მოწოდებულ ცნობებში, მაგრამ იმავე წმ. გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ბასილი მეფის (ბაგრატ III-ის) ძე იყო. 'ძნელი დასაჯერებელია, – დასძენს ე. მეტრეველი, – რომ ბაგრატ მესამეს ჰყოლოდა ისეთი სახელმოხვეჭილი ძე და ასული, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ფერის ჯოჯიკის ძის მეუღლე და აღუნიშნავი დარჩენილიყო სუმბატის ქრონიკაში და *მატიანე ქართლისაში*, ეს წყაროები არც ბასილს და არც ფერისის მეუღლეს არ იცნობენ, ორივე წყაროში კი მეფეთა გენეალოგიაზე დეტალური ცნობებია დაცული' (მეტრეველი 1952:198).

ე. მეტრეველის დასკვნით, ბასილი არ უნდა იყოს ბაგრატ III-ის ძე, თუმცა, – დასძენს იგი, – ამგვარი ნეგატიური პასუხი არ წყვეტს საკითხს, მხოლოდ ეჭვქვეშ აყენებს აქამდე სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ შეხედულებას (მეტრეველი 1952:199).

ამრიგად, თვალსაზრისი, თითქოს ბასილ ბაგრატის ძე ბაგრატ III-ის ძე უნდა ყოფილიყო, ე. მეტრეველმა მხოლოდ ეჭვქვეშ დააყენა.

ბასილ ბაგრატის ძის თანამედროვე სუმბატ დავითის ძისა და "მატიანე ქართლისას" ავტორის ცნობებიდან გამომდინარე, ბაგრატ III-ს მხოლოდ ერთი ძე ჰყავდა – გიორგი. თუ ბასილსა და ფერისის მეუღლესაც მის შვილებად ჩავთვლით, მაშინ გამოდის, რომ ბაგრატს ორი ძე და ერთი ასული ჰყოლია.

ერთი ცხადია, ბასილი ბაგრატის ძის წარმომავლობა და მშობლები როგორც გიორგი მთაწმიდელს, ისე XI ს-ში ხახულის ღავრაში მოღვაწე სხვა პირებს კარგად ეცოდინებოდათ. მაგრამ ისინი, ისე, როგორც სუმბატ დავითის ძე და *მატიანე ქართლისას* ავტორი, ბასილის მშობლების შესახებ არაფერს გვამცნობენ, გამოსავალი ერთია: ბასილის წარმომავლობა და მშობელთა ვინაობა ან ისე ნათელი და საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ თანამედროვეებმა მასზე მითითება საჭიროდ არ ჩათვალეს, ან ბასილზე საუბრისას მისი მშობლების მითითებას სპეციალურად აარიდეს თავი.

ბასილ ბაგრატის ძე შეიძლებოდა ბაგრატ III-ის პაპის – ბაგრატ II რეგვენის (გარდ. 994 წ.) ძედაც მიგვეჩნია და ერთხანს, სანამ მ. ჩამჩიანის ცნობას გავეცნობოდი, ასე ვფიქრობდი კიდეც. ქვემოთ მინდა ამ მხრივაც გადავხედო მასალებს.

1019 წელს, როცა ტაძრისის დედათა მონასტრიდან მამამ ათი წლის გიორგი ხახულში ჩაიყვანა[2], ბასილ ბაგრატის ძე თანამოღვაწეთა შორის უკვე დიდად დამსახურებული პიროვნება იყო. მას რომ 1019 წლისათვის 'ჩვენი ქვეყნის განმანათლებლის' სახელი მოეხვეჭა, მონასტერში საკმაოდ დიდ ხანს უნდა დაეყო, მაგრამ რამდენი წელი?

ე. თაყაიშვილის მიერ მოყვანილი მასალებიდან გამომდინარე, ბაგრატ II-ის შვილებიდან ცნობილია: ძე სუმბატ II (992 წელს უშვილოდ გარდაიცვალა), ქალიშვილი – ბაგრატ II არტანუჯელის მეუღლე (ბაგრატ III-ის მიერ 1011/1012 წელს თმოგვის ციხეში დახოცილი სუმბატ და გურგენ არტანუჯელების დედა) და ბაგრატ III-ის მამა გურგენ მეფეთა-მეფე 994 წლიდან (გარდ. 1008 წ.) (თაყაიშვილი 1949: ტაბულა II).

ასე რომ, ძველი ქართული წყაროები საკმაოდ ზუსტ ცნობებს გვაწვდიან ბაგრატ II რეგვენის ოჯახის წევრთა შესახებ. ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არავითარი ისეთი მინიშნება არა გვაქვს, რაც ბასილს ბაგრატ II რეგვენის ძედ გვავარაუდებინებს. ამ მხრივ ბაგრატ III-ის ბიოგრაფია უფრო ხელმოსაკიდ მასალას იძლევა.

ბასილს თუ ბაგრატ II რეგვენის ძედ მივიჩნევთ, მაშინ ის, სავარაუდოდ, თავის ძმაზე გურგენ მეფეთა-მეფეზე (ვგულისხმობ, რომ გურგენი ბაგრატის პირმშო იყო) 2/3 წლით უმცროსი (ხოლო მისი და ფერისის მეუღლე 4/5 წლით) უნდა ყოფილიყო და 1019 წლისათვის ხანში შესული იქნებოდა. ასეთად კი იმ დროისათვის არც ბასილი და არც მისი და არ წარმოგვიდგება. 1019 წელს როცა წმ. გიორგი მთაწმიდელის ბიძა – 'გიორგი მწერალი' ფერისის ოჯახში ტვარწატაფს 'სულისა მათისა კეთილისა მასწავლებლად' მიიწვიეს, ფერისის ძე ჯოჯიკი შესაძლოა, უკვე ბიზანტიის სამსახურში იყო. 1036 წელს, როცა მისი საფასით ოშკის ტაძარი მოიხატა, იგი ცოცხალი აღარ იყო. ტაძრის წარწერაში ჯოჯიკი პატრიკიოსის ბიზანტიური ტიტულით იხსენიება (შოშიაშვილი 1980: 52; გოილაძე 2008: 125-128).

ასე რომ, ბასილ ბაგრატის ძის თანადროულად ბაგრატ II რეგვენის თანამედროვეთა – თორნიკე ერისთავისა და მისი თანამებრძოლის ჯოჯიკის (ფერისის მამის) მესამე თაობა ცხოვრობდა.

ბასილი ბაგრატის ძეს თუ ბაგრატ III-ის ძედ მივიჩნევთ, მაშინ, ერთი ნათელია: იგი ბაგრატის უფროსი ძე უნდა ყოფილიყო და ტახტის მემკვიდრეც, მაგრამ რაღაც მიზეზით სამეფო ტახტს მან საეკლესიო მოღვაწეობა ამჯობინა. ხახულის ლავრაში მონაზვნად აღიკვეცა (ბასილი მისი მონაზვნობის სახელი უნდა ყოფილიყო) და საეკლესიო-ლიტერატურულ ასპარეზზე დიდი წარმატებით იღვაწა. თანამედროვეთა მიერ მაღალი შეფასება – 'ჩვენი ქვეყნის განმანათლებლის' სახელი მოიხვეჭა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მ. ჩამჩიანის ცნობა გარკვეულ საფუძველს იძლევა ბასილ ბაგრატის ძის ბაგრატ III-ის ძედ მისაჩნევად, თუმცა გამოთქმული თვალსაზრისი მხოლოდ ვარაუდის სახით მინდა მივაწოდო სამეცნიერო საზოგადოებას.

1014 წელს ბაგრატ III-ის გარდაცვალებისას საქართველოს სამეფო ტახტზე ასული მისი ძე გიორგი I, როგორც ი. ჯავახიშვილი წერს, იმ ხანად ჯერ კიდევ სრულჰასაკოვანი არ იყო. ახალგაზრდა მეფე მაშინ 'წლისა ათექუსმეტისა' ყოფილა. უფრო მეტიც, *ქართლის ცხოვრების (მატიანე ქართლისას)* ანა დედოფლისეულ ნუსხაში გიორგის წლოვანებად 12 წელია მითითებული. ასე რომ, – დასძენს ი. ჯავახიშვილი, – სუმბატის ცნობებიდან გამომდინარე, გიორგი I 998, ხოლო *მატიანე ქართლისას* ავტორის ცნობით, 1002 წელს დაბადებულა (ჯავახიშვილი 1983:133).

ამრიგად, ბასილი, თუ იგი, მართლაც, ბაგრატ III-ის ძე იყო, გიორგი I-ზე გაცილებით ადრე უნდა დაბადებულიყო. თავის მხრივ, 977/978 წელს, როცა ბაგრატ III აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში) მეფედ დასვეს, ისიც მცირეწლოვანი იყო. *მატიანე ქართლისას* ავტორისა და სუმბატ დავითის ძის ცნობებით, ბაგრატ III 'მეფობდა ოცდათექუსმეტ წელ და გარდაიცვალა მცითა შუენიერითა' შემკული ქრონიკონს სლდ (=234 წ.) თუესა მაისსა შვიდსა, დღესა პარასკევსა" (ყაუხჩიშვილი 1955: 133,383).

ამ ცნობის გაანალიზებისას ი. ჯავახიშვილი წერს: აღნიშნულიდან გამომდინარე, ბაგრატ III გამეფებულა (1014 - 36) = 978 წელს. ამგვარივე თარიღი ჩანს ათონის მონასტრის ერთ ხელნაწერში შენახულ ანდერძისდა მიხედვით. მასში 1002 წელი, რადგან ბაგრატ III-ის მეფობის 25 წლადაა მითითებული, მისი გამეფება (1002 - 25) = 977 წელზე მოვა, ხოლო თუ დასაბამიდან ავიღებთ, მაშინ 978 წელი გამოვა (6607 - 5604) = 25 წ. (ჯავახიშვილი 1983: 125).

ამრიგად, 977/978 წელს გამეფებული ბაგრატ III მცირეწლოვანი იყო და იგი მაშინვე არ შედგომია ქვეყნის მართვას. ამის შემდეგ 'ვითარ გარდახდა ამას შინა წელიწადო ორი, იწყო განგებად' (ყაუხჩიშვილი 1955: 275). ე.ი. 979/980 წელს ბაგრატ III სრულწლოვანი (18 წლის) გახდა, გადმოვიდა ქართლში და ქვეყნის მართვას შეუდგა, დაახლ. იმავე ხანს მას მეუღლეც უნდა შეერთო, თუმცა, მისი გარდაცვალებისას (1014 წ.) საქართველოს ტახტზე ასული მისი ძე – გიორგი I მხოლოდ 998 ან 1002 წელს გამოდის დაბადებული.

რა მოხდა 979/980 წლიდან 997/1001 წლამდე მთელი 18/20 წლის განმავლობაში ბაგრატ III-ს მეუღლე არ ჰყავდა?

მატიანე ქართლისას ავტორი ბაგრატ III-ის დახასიათებისას, მართალია, ცდილობს სრულად წარმოაჩინოს მისი ღვაწლი, მაგრამ ბაგრატ III-ის ოჯახური მდგომარეობის შესახებ არაფერს გვამცნობს. ჩასაფიქრებელი კი ნამდვილად არის, განა დაახლ. 980 წლიდან (როცა ბაგრატ III სრულწლოვანი გახდა) 997 ან 1001 წლამდე იგი უცოლო იყო?

ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთაც მივუთითე, გარკვეულ ისტორიულ სიმართლეს ხომ არ უნდა შეიცავდეს ე. მეტრეველის მიერ მოხმობილი მასალა. მისი სიტყვით, ერთადერთი ცნობა, რომელიც, თითქოს, გიორგის გარდა ბაგრატის სხვა ვაჟიშვილებზედაც მიუთითებს, შემოუნახავს XVIII სომეხ ისტორიკოსს მ. ჩამჩიანს, რომლის მიხედვით შეუვსია მ. ბროსეს მის მიერ შედგენილი ქართველ ბაგრატიონთა გენეალოგია (მეტრეველი 1952: 198). ამ გენეალოგიიდან, – წერს ე. მეტრეველი, – ვგებულობთ, რომ ბაგრატს ჰყოლია ორი მეუღლე, პირველისაგან მას ჰყავდა ძე გურგენი, იგივე გიორგი, შემდგომ გამეფებული, ხოლო მეორისაგან ძენი, რომელთა სახელებს არ იცნობს არც ჩამჩიანი. ამ ცნობას რომ დავუჯეროთ კიდეც, – დასძენს ე. მეტრეველი, – შეუძლებელია ბაგრატ III-ის შვილებში მეორე მეუღლისაგან ბასილიც ვივარაუდოთ, ვინაიდან ამავე ცნობის მიხედვით, სინამდვილეში ბასილი ბევრად უფროსი უნდა ყოფილიყო გიორგი პირველზე (მეტრეველი 1959: 199).

რა ისტორიული საბუთი უდევს საფუძვლად მ. ჩამჩიანის ცნობას, მ. ჩამჩიანი ასეთ ამბავს თვითონ ხომ არ შეთხზავდა? ძველ სომხურ ხელნაწერთა მინაწერებში ან რომელიმე ავტორთან იქნებ, მართლაც, იყო მსგავსი მითითება[3].

ჩემ მიერ ზემომოყვანილი მასალიდან გამომდინარე, სავარაუდებელი ერთია, ბაგრატ III-ს იმ მეუღლის გარდა, რომლისგანაც გიორგი I შეეძინა, შეიძლება, მართლაც ჰყავდა პირველი მეუღლე, რომლისგანაც მ. ჩამჩიანის ცნობით, გურგენი (და ქალიშვილი) შეეძინა. აქვე იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ უძველესი ქართული ტრადიციით შვილიშვილი ხშირად პაპის სახელს ატარებდა, მ. ჩამჩიანის ცნობა უფრო რეალურ ხასიათს მიიღებს. ახალგაზრდა ბაგრატ III-მ თავის პირმშოს (პირველი მეუღლისაგან), როგორც ჩანს, თავისი მამის – მეფეთა-მეფის გურგენის სახელი დაარქვა. გურგენი და გიორგი (ე. მეტრეველი ამ სახელებს აიგივებს) სულაც არაა ერთი და იგივე სახელი. გიორგი I-ის შემდეგ ბაგრატიონთა სახლიდან გამოსული მეფეები ქართულ წყაროებში მხოლოდ გიორგის სახელით იწოდებიან. გამოთქმული ვარაუდი თუ მისაღებია, მაშინ გურგენის დაბადება დაახლ. 981/982 წელსაა სავარაუდებელი. ერთი-ორი წლით გვიან, დაახლ. 983/984 წ. დაიბადებოდა ფერის ჯოჯიკის ძის მომავალი მეუღლე (მისი დაბადების თარიღად 983 წელი უნდა მივიჩნიოთ)[4]. ჩემი ვარაუდით, სწორედ ბაგრატ III-ის პირმშო გურგენი შედგა ხახულის ახლადაგებულ ლავრაში მონაზვნად და ბასილად იწოდა[5]. საეკლესიო ასპარეზზე მოღვაწე ბასილი, რა თქმა უნდა, საერო ცხოვრებაში აღარ მონაწილეობდა და იგი XI ს-ის ისტორიკოსების თვალთახედვის მიღმა დარჩა, თუმცა, თანამოღვაწეთა შორის მუდამ ბაგრატის ძედ იწოდებოდა და დიდი პატივითაც სარგებლობდა.

დაახლ. 981 წელს დაბადებული ბასილი 1019 წელს, როცა ხახულის ლავრაში მცირეწლოვანი გიორგი მიიყვანეს, 38 წლისა იქნებოდა, და, მართლაც, შეიძლება იგი იმ ხანად ქვეყნის წინაშე დამსახურებული პიროვნება ყოფილიყო (ე. მეტრეველის ვარაუდით, ხახულში გიორგის მისვლისას ბასილი საკმაოდ ხანში შესული იყო). აღნიშნულს გარდა, როგორც მე ვვარაუდობ, ის ბასილი, რომელმაც დემეტრესთან (დიმიტრი) (ამ დემეტრესა და სვიმეონ აფხაზეთის კათალიკოსს წმ. გიორგი მთაწმიდელი თავის გამზრდელებად ასახელებს) ერთად ღრმა სიბერეში 1040 წლის შემდგომ ხანაში ხახულიდან იერუსალიმში ხელნაწერი გააგზავნა (მეტრეველი 1952: 278), იგივე ბასილ ბაგრატის ძეა, გამოდის, რომ XI ს-ის შუახანებში ბასილი კვლავ ცოცხალი იყო, რაც ბაგრატ II რეგვენის (გარდ. 994 წ.) ძედ მის მიჩნევას საეჭვოდ ხდის.

ზემოთ ფერისის მეუღლის (იგი თუ, მართლაც, ბაგრატ III-ის ქალიშვილი იყო) დაბადება დაახლ. 983 წელს ვივარაუდე. 1022 წელს, როცა ბასილ II-მ აჯანყებაში მონაწილეობისათვის ფერისი სიკვდილით დასაჯა, იგი კარგა ხნის გათხოვილი უნდა ყოფილიყო,[6] რადგან მათი ძე ჯოჯიკი (როგორც ნ.შოშიაშვილი ვარაუდობს, მას პაპის – თორნიკე ერისთავის თანამებრძოლის ჯოჯიკის სახელი ერქვა) 1036 წლის წინა ხანაში იმპერიის ასპარეზზე საკმაოდ დაწინაურებული და შეძლებული პიროვნება ჩანს. იგი იმ მიწების გამგებლად მიაჩნიათ, რომელიც 1001 წელს

დავით III კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ იმპერიამ საქართველოს ჩამოაცილა (შოშიაშვილი 1980: 58). ჯოჯიკ ფერისის ძე, როგორც ითქვა, პატრიკიოსის ბიზანტიური ტიტულით იხსენიება 1036 წელს მისი საფასით მოხატულ ოშკის ტაძრის ფრესკულ წარწერაში. ამავე წარწერიდან გამომდინარე, 1036 წელს იგი ცოცხალი აღარ ყოფილა (შოშიაშვილი 1980:52). იქნებ მამასავით ისიც იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა?

ჯოჯიკ ფერისის ძე იმპერიის ერთგული ვერ იქნებოდა.

როგორც საქართველოს მეფე გიორგი I, ისე ქართველი დიდებულები ბიზანტიის მიერ ქართული მიწების ("დავითის მემკვიდრეობა") მიტაცების ფაქტს ვერ ეგუებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ფერისი იმპერიის სამსახურში იყო და პატრიკიოსის მაღალ ტიტულს ატარებდა, იგი ქართველ პატრიოტად რჩებოდა.

XI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი კედრენეს ცნობით, 1001 წელს დავით III-ის გარდაცვალების შემდეგ ბასილ II იბერიაში ჩავიდა და ქართულ მიწებს დაეუფლა, უკან გაბრუნებისას თან წაიყვანა იბერიის დიდგვაროვნები, რომელთაგან უმთავრესნი იყვნენ ბაკურიანი, ფევდატე და ფერისი, ღვიძლი ძმები, რომელნიც მან პატრიკიოსთა ხარისხში აიყვანა (ყაუხჩიშვილი 1963: 46).

ბიზანტია-საქართველოს ომის მიმდინარეობისას, როცა იმპერატორმა ბასილ II-მ "კუალად უბოროტესადრე შურის-გებით მოაოჴრნა" სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და დასაზამთრებლად ქალდეაში – ტრაპიზონის ახლოს ჩავიდა, მის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფერის ჯოჯიკის ძე იყო. გიორგი კედრენეს ცნობით, აჯანყებაში ქართველებიც მონაწილეობდნენ, აჯანყების მომზადებაში კი გიორგი I-ის ("აბაზგის მთავრის") ხელიც ერია (ყაუხჩიშვილი 1963: 47-48). აჯანყების მიმდინარეობისას მან ომისათვის სამზადისი დაიწყო, მაგრამ აჯანყება დამარცხდა.

აჯანყების მეთაურთაგან ბასილ II-მ ქსიფიასს თუ მხოლოდ დედაქალაქიდან გასახლება აკმარა ('ექსორია ყო კუნძულსა რომელსამე'), ფერის ჯოჯიკის ძე (ე.ი. გიორგი I-ის დის ქმარი ?) სიკვდილით დასაჯა ('თავი წარკვეთეს'). *მატიანე ქართლისას* ავტორის ცნობით, სიკვდილით დასჯილთა შორის მხოლოდ ფერისი იყო ქართველი – ნათესავით ტაოელი, სხუანი იყვნეს ბერძენნი (ყაუხჩიშვილი 1955: 286-287)[7]. სასჯელს ვერც ფერისის ოჯახი გადაურჩა. როგორც ზემოთ ითქვა, ბასილ II-მ ფერისის მეუღლე ოჯახით ტაოდან (სოფ. ტვარწატაფიდან) კონსტანტინოპოლში გაასახლა, სადაც მათ 12 წელი დაჰყვეს. გადასახლებულთა შორის ასე მოხვდნენ ფერისის ოჯახში 'სულისა მათისა კეთილისა მასწავლებლად' მიწვეული 'გიორგი მწერალი' და მისი ძმისწული მცირეწლოვანი გიორგი (მთაწმიდელი).

* * *

ამ გამოკვლევის დასრულების შემდეგ მეჩვენებოდა, ბაგრატ III-ს რომ ორი მეუღლე ჰყავდა, სათანადოდ ვერ დავასაბუთე. ამ საკითხის დადებითად გადაჭრას – ე.ი. რაიმე ხელმოსაკიდი ცნობის მოპოვებას, არც მოველოდი. ვფიქრობდი, ასეთი ცნობა 250-წლიან ქართულ ისტორიოგრაფიას შეუმჩნეველი არ დარჩებოდა-მეთქი. მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. ერთ დღეს, შემთხვევით ხელში ავიღე კრებული, რომელშიც, სხვა წერილებთან ერთად, გამოქვეყნებულია ამირან ჩხარტიშვილის გამოკვლევა *X-XI სს-ის ჭედური ხელოვნების რამდენიმე ძეგლის შესახებ.* ამ წერილის გადათვალიერებისას გამაკვირვა იმან, რომ ჩემთვის საინტერესო ცნობას ბრეთის საწინამძღვრო ჯვრის წარწერა შეიცავდა.

წარწერაში ნათქვამია: 'ქ. დაამყარე და ადიდე ბაგრატ, აფხაზთა მეფე ძეი მეფეთა მეფისა გურგენისი. ქრისტე შეიწყალე მართა დეოფალი' (ჩხარტიშვილი 2001: 155).

წარწერაში 'ბაგრატ აფხაზთა მეფის' (ბაგრატ III-ის) მამად და მეფეთა მეფის ტიტულით მოხსენიებული გურგენი რომ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-ის მამაა, ეს საეჭვო არაა. იგი 994 წლიდან იწოდებოდა მეფეთა-მეფედ. მეორე მხრივ, წარწერაში როგორც გურგენი, ისე ბაგრატ III, რადგან ისინი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებით არ იხსენიებიან (როგორც ცნობილია, 1001 წელს იმპერატორმა ბასილ II-მ ბაგრატ III-ს კურაპალატის, ხოლო მის მამას – გურგენ მეფეთა-მეფეს მაგისტროსის ტიტული უბოძა), ავტორი სამართლიანად

მიუთითებს, რომ ჯვარი 994-1001 წლებს შორის უნდა იყოს დამზადებული (ჩხარტიშვილი 2001: 156, ჩუბინაშვილი 1959: 72).

ბრეთის საწინამძღვრო ჯვარი გაბრიელ საფარელის მიერაა დამზადებული (ბერიძე 1967:62-64). მესხ მოღვაწეს ბაგრატ III-ის ოჯახური ამბები კარგად ეცოდინებოდა. ჯვრის დამზადებისას ბაგრატ III-ის პირველი მეუღლე მართა დედოფალი გარდაცვლილი ყოფილა.

დღემდე ბასილი ბაგრატის ძეს ბაგრატ III-ის ძედ, როგორც ვნახეთ, მხოლოდ ფილოლოგები (კ. კეკელიძე, ლ. მენაბდე, ი. ლოლაშვილი) მიიჩნევდნენ. ისტორიკოსებს ამ საკითხზე რომ არაფერი უთქვამთ, ეს ჩემთვის გასაგებია. ერთ ხანს მეც ვფიქრობდი, რომ ბაგრატიონთა სახლის ისტორიკოსს – თვით ბაგრატ III-ის თანამედროვე სუმბატ დავითის ძეს, ბაგრატ III-ის ოჯახური ამბები მხედველობიდან არ გამორჩებოდა (ამის შესახებ ე. მეტრეველმაც მიუთითა), მაგრამ, როგორც *მატიანე ქართლისას* ავტორს, ისე სუმბატს ყველაფერი დიდი სიზუსტით არა აქვთ გადმოცემული (მაგალითად, *მატიანე ქართლისას* ავტორის ცნობით, ბაგრატ IV ცხრა წლისა გამეფდა და 1072 წლის 24 ნოემბერს 56 წლისა გარდაიცვალა (ყაუხჩიშვილი 1955: 315). ამ ცნობიდან გამომდინარე, ბაგრატ IV 1016 წელს დაბადებულა და 1022 წელს მძევლად წაყვანისას სამისა კი არა, 6 წლისა იქნებოდა).

ყოველივე ზემოთქმულის, განსაკუთრებით კი ბრეთის საწინამძღვრო ჯვარზე არსებული წარწერის სახით ჩვენ ხელთაა უნიკალური ცნობა, რომელიც ახალი მასალით ავსებს ჩვენს ცოდნას საქართველოს გამაერთიანებელი მეფის – ბაგრატ III-ის ოჯახის შესახებ. ახლა ვიცით, რომ მისი პირველი მეუღლის სახელი ყოფილა მართა, რომელიც 1001 წლის წინა ხანაში გარდაცვლილა. ბაგრატ III-ს მისგან უნდა შესძენოდა გურგენი (იგივე ბასილი ბაგრატის ძე) და ასული (ფერის ჯოჯიკის ძის მეუღლე). ვისი ასული იყო მართა დედოფალი, ამის შესახებ ჯერჯერობით ხელმოსაკიდი მასალა არა გვაქვს[8]. X ს-ის 90-იანი წლების დასასრულს ბაგრატ III-მ, როგორც ჩანს, მეორე ცოლი შეირთო, რომლისგანაც 998 წელს[9] გიორგი I შეეძინა. ბრეთის წარწერით გარკვეულწილად დადასტურდა ქართულ მეცნიერებაში არსებული მითითება XI ს-ის პირველ ნახევარში ხახულის ლავრაში მოღვაწე ბასილი ბაგრატის ძის ბაგრატ III-ის ძედ მიჩნევის შესახებ. რაც შეეხება ბაგრატ III-ის კურაპალატის ტიტულით მოხსენიებას, 1001 წლის შემდეგ შესრულებულ წარწერებში იგი ყოველთვის ამ ტიტულითაა ნახსენები[10].

ამრიგად, ბრეთის საწინამძღვრო ჯვარზე არსებული წარწერიდან გამომდინარე, არ ცდებოდა კ. კეკელიძე, როცა ქართულ საისტორიო ტრადიციაზე (ანტონ I კათალიკოსი, იოანე ბაგრატიონი, პლატონ იოსელიანი) დაყრდნობით, ბასილ ბაგრატის ძე ბაგრატ III-ის ძედ მიიჩნია. თანამედროვეთა მიერ ჩვენი ქვეყნის განმანათლებლად, მოძღვრად, 'ღმერთშემოსილად, 'მსგავსებითა და ღირსებით წმიდათა მოციქულთა სწორად' სახელდებული ბასილი ბაგრატის ძე XI ს-ის I ნახევარში ხახულის ლავრაში მოღვაწე ერთ-ერთი გამორჩეული ლიტერატორი (მთარგმნელი) უნდა ყოფილიყო. ბასილი და მისი და, ფერის ჯოჯიკის ძის მეუღლე, ბაგრატ III-ს, როგორც ჩანს, პირველი მეუღლისაგან – მართასაგან შეეძინა. მართა დედოფალი X ს-ის 90-იან წლებში გარდაცვლილა.

ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელმა ბასილი ბაგრატის ძემ წარმატებით იღვაწა სასულიერო ასპარეზზე და თანამედროვეთა შორის დიდი სახელი მოიხვეჭა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული (ე. მეტრეველი), მამის სახელით ბასილის მოიხსენიება მის წარჩინებულ წარმომავლობაზე მიუთითებს.

ბასილ ბაგრატის ძისა და მისი დის ბაგრატ III-ის შვილებად მიჩნევის შემდეგ ნათელი გახდება, გიორგი I-თან ერთად ფერის ჯოჯიკის ძის ოჯახის წევრები თავდადებით რატომ იბრძოდნენ ბასილ II-ის წინააღმდეგ. სავარაუდოა, რომ სწორედ გიორგი I-თან ახლო ნათესაობის გამო დასაჯა ბასილ II-მ, 1022 წელს აჯანყების მონაწილეთაგან სიკვდილით მხოლოდ ფერის ჯოჯიკის ძე, მისი ოჯახი კი ტაოდან კონსტანტინოპოლში გაასახლა.

შენიშვნები

[1] აკად. კ. კეკელიძის თანახმად, პალადი ჰელენოპოლელის *ლავსაიკონი* ქართულად ეფრემ მცირემ თარგმნა (კეკელიძე 1960: 260). ე. მეტრეველის შენიშვნით, კი პლატონ იოსელიანის ცნობა საეჭვოა, რადგან *ლავსაიკონის*

ერთადერთი ეფრემისეული თარგმანია ცნობილი, თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ბასილი ბაგრატის ძის თარგმანი ან გამოვლენილი არ არის, ანდა დაკარგულია (მეტრეველი 1952: 197, შენ. 3).

[2] წმ. გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში ფერის ჯოჯიკის ძე ბასილ ბაგრატის ძის "დის - სიძედ" არის დასახელებული. იქვე ვკთქვამია, რომ 'დაჲ ბასილისი' იმისთვის ვახსენე, რომ "არა უდარეს იყო ღირსი ესე დედაკაცი ღმრთის-მსახურებითა ძმასა თჳსსა ნეტარსა ბასილისსა" (აბულაძე 1967: 117). აღნიშნულ ცნობაზე დაყრდნობით აკად. კეკელიძემ ფერისი სამართლიანად მიიჩნია ბასილის დის ქმრად. ასე გაიგო ეს ცნობა ნ. ლომოურმაც (ლომოური 1981: 23). 2008 წელს გამოცემულ *ივირონის აჯტებისადმი* წამძღვარებულ გამოკვლევაში, პირიქით, ბასილია დასახელებული ფერისის სიძედ (ლეფორი და *სხვები* 2008: 26). იქვე შენიშვნაში მითითებულია: 'ამკარაა, რომ ბასილი ფერისის სიძეა და არა ჯოჯიკის ძმა, ლომოურის აზრი, რომ ბასილი ჯოჯიკის სიძეა მცდარია' (გვ. 26, შენ. 4). ასეთი რამ ნ. ლომოურის დასახელებულ ნაშრომში არაა. იმავე გამოკვლევაში რატომღაც ნათქვამია, რომ გიორგი ხახულში ჩასვლისას 6 წლისა იყო და 1020 წლის მახლობლად ფერისი გიორგის მზრუნველად დაინიშნა" (ლეფორი და *სხვები* 2008: 64).

[3] ა. აბდალაძის მიერ გამოცემულ ნაშრომში (აბდალაძე 2005) ბაგრატ III-ზე არავითარი ცნობა არაა. სომეხი ისტორიკოსი მიქაელ ჩამჩიანი კონსტანტინოპოლში დაიბადა 1738 წელს. 1760 წლიდან სწავლობდა ვენეციაში, მიიღო სასულიერო განათლება. იყო მხითარისტთა კონგრეგაციის წევრი. მან პირველად გამოიყენა მრავალრიცხოვანი ძველი სომხური ხელნაწერები. რაც შეეხება მ. ბროსეს ცნობას, ნაშრომის 160–161 გვერდებს შორის ჩართული ბაგრატიონთა სახლის გენეალოგიაში, იგი, მართლაც, მიუთითებს ბაგრატ III-ის მეორე ქორწინებიდან ანონიმი შვილების შესახებ. პირველი ქორწინებიდან ნაშობი გურგენის დედად სომხეთის მეფის სენაქერიმის ასული მარიამი ჰყავს მითითებული. შენიშვნაში კი ჩამჩიანის ნაშრომის (II ტ. გვ. 869) და XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობაზე დაყრდნობით წერს, სენაქერების ასული ბაგრატ III-ის მეორე მეუღლე იყოო (ბროსე 1851: 160-161). "მატიანე ქართლისას" ცნობით (გვ. 299), სენაქერების ასული მარიამი ბაგრატ IV-ის დედა იყო (ჯავახიშვილი 1983: 143).

[4] ეს მხოლოდ ვარაუდია. ფერისის მეუღლე შეიძლება ბასილზეც უფროსი იყო. როგორც ცნობილია, 998 წელს ფერისი მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში გურგენ მეფეთა-მეფის 6000-იან ლაშქარს სარდლობდა. სავარაუდოდ, ამ გამარჯვების შემდეგ უნდა შეერთო მას ცოლად ბასილი ბაგრატის ძის დაჲ.

[5] როგორც საქართველოში ისე ბიზანტიაში არსებული ტრადიციით, მშობლები უფროს შვილს ხმირად ღვთისმსახურად აწესებდნენ. ასე მაგალითად, გიორგი მთაწმიდელის მშობლებმა 'პირველი ნაყოფი თჳსი' ღმერთს შესწირეს (აბულაძე 1967: 111); ასევე, ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ I-მა უფროსი ძე – სტეფანე დაბადებისთანავე ღვთისმსახურებისათვის განაწესა (ლოპარევი 1914: 23)

[6] დაახლ. 983/984 წელს დაბადებული თუ 16/17 წლისა გათხოვდა, 1022 წელს ჯოჯიკი 20/21 წლისა იქნებოდა. მკვლევრებს ასევე ფერისის ძეებად მიაჩნიათ გიორგი და ვარაზვაჩე. ვ. კოპალიანის თანახმად, გიორგი ათონის ივერიის მონასტრის ## 56,73 და 96 აღაპებში მაგისტროსად და ამავე მონასტრის დიდ მოამაგედ იხსენიება, ხოლო ვარაზვაჩე ერთხანს გადასახლებაში იყო. გადასახლებიდან დაბრუნებულს დიდი თანამდებობა მისცეს. ის პროტოსპათარის ტიტულს ატარებდა და ქ. ედესის მმართველი იყო. თავისი გონიერი მოქმედებით ქალაქი მაჰმადიანთა ურდოებისაგან იხსნა (კოპალიანი 1969: 137)

[7] როგორც კედრენე გვამცნობს, ფერისი 'ყველაზე უწინარეს მიეკედლა აჯანყებულებს' (ყაუხჩიშვილი 1963: 48).

[8] ვინაა 'მართა დედოფალი', – წერდა აკად. გ. ჩუბინაშვილი, – უცნობი რჩება. ამ ტიტულის მიხედვით იგი სამეფო ან ერისთავის საგვარეულოს წევრი უნდა ყოფილიყოო. იგი იქვე შენიშნავს: თ. ჟორდანია (ჟორდანია 1892: 152) ფიქრობდა, რომ "მართა დედოფალი" ბაგრატ III-ის უცნობი მეუღლე უნდა იყოსო (ჩუბინაშვილი 1959: 72-73). თ. ჟორდანიას ეს მნიშვნელოვანი მინიშნება, რატომღაც, დღემდე უყურადღებოდ რჩებოდა. ამ ცნობას მეც გვიან, ამ გამოკვლევის დამთავრების შემდეგ მივაქციე ყურადღება. 980 წელს ქართლში გამეფებულ ბაგრატ III-ს მეზობელი სამეფოს მხარდაჭერა ესაჭიროებოდა და ვასპურაკანის სამეფოსთან დანათესავება გამართლებული პოლიტიკური ნაბიჯი იქნებოდა. 960 წელს ვასპურაკანის ტახტზე ასულ სენაქერიმ II-ს ბაგრატ III-ის თანატოლი ასული ეყოლებოდა. მარი ბროსე ამ მხრივ, იქნებ, მართლაც არ ცდება. მითუმეტეს, ვახუშტი ბატონიშვილი გიორგი I-ის მეუღლედ ელენე დედოფალს ასახელებს (ყაუხჩიშვილი 1963:144).

[9] *ქართლის ცხოვრების* ძველ სომხურ თარგმანში გიორგი I-ის გამეფებისას, მის წლოვანებად რადგან 16 წელია დასახელებული (აბულაძე 1953: 222), გიორგი I-ის დაბადების თარიღად 998 წელი უნდა მივიჩნიოთ.

[10] ბაგრატ III-ის ბიოგრაფიისათვის არანაკლებ საინტერესოა ბედიის თასის წარწერა. ისე, როგორც ბრეთის ჯვრის წარწერაში, ბედიის თასის წარწერაშიც ბაგრატ III კურაპალატის ტიტულის გარეშეა მოხსენიებული, ხოლო მისი დედა – გურანდუხტ დედოფალი ცოცხლად იხსენიება.

წარწერაში ვკითხულობთ: 'ქ. წმიდაო ღვთისმშობელო მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და დედასა მათსა გურანდუხტ დედოფალსა ამის ბარძიმისა შემწირველთა, ამის საკურთხევლისა შემკობთა და ამის წმიდისა საყდრისა აღმშენებელთა ამინ' (ჩხარტიშვილი 2001: 157). სოფ. ახალსოფლის (თეთრი წყაროს რ-ნი) ძველი ეკლესიიდან თბილისში ჩამოტანილ ქვაზე არსებულ წარწერაში გურანდუხტ დედოფალი უკვე გარდაცვლილად იხსენიება: 'ქ. წმიდაო მო[წამე]ო ბაგრატ, ადიდე ბაგრატ [მეფე]თა-მეფე და ადიდე სული გურანდუხტ დედოფლისა' (ბაქრამე, ბოლქვაძე 1953: 28).

დამოწმებანი

აბდალაძე 2005: ა. აბდალაძე. სომხურ ხელნაწერთა X-XIII საუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი (2005).

აბულაძე 1953: ი. აბულაძე. *ქართლის ცხოვრების* ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ. თბილისი (1953).
აბულაძე 1967: ი. აბულაძე. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბილისი (1967).
ბარამიძე 1972: რ. ბარამიძე. ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, წიგნი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რ. ბარამიძემ, თბილისი (1972).
ბარამიძე 1980: რ. ბარამიძე. იოანე ბატონიშვილი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 5. თბილისი (1980).
ბაქრაძე, ბოლქვაძე 1953: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი. დასაბეჭდად მომზადებულია ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ. თბილისი (1953).
ბროსე 1851: M. Brosset. Additions et eclaircissements àl' Histoire de la Géorgie, depuis l'antiquité jusqu'er 1469 de J.C. St-Pétersbourg (1851).
გოილაძე 2008: ვ. გოილაძე. ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ ეპიგრაფიკაში. თბილისი (2008).
თაყაიშვილი 1949: ე. თაყაიშვილი. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. თბილისი (1949).
იოსელიანი 1853: პ.იოსელიანი. წყობილ-სიტყვაობა, ქმნილი ანტონისაგან პირუელისა კათალიკოს-პატრიარხისა ყოვლისა საქართუელოსა, თფილისი (1853).
კეკელიძე, ბარამიძე 1948: იოანე ბატონიშვილი. კალმსობა, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. ტ. II, თბილისი (1948).
კეკელიძე 1960: კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი (1960).
კოპალიანი 1969: ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბილისი (1969).
ლეფორი და სხვები 2008: ჟ. ლეფორი, ნ. იკონომიდისი, დ. პაპახრისანთუ, ელენე მეტრეველის თანაავტორობით, ივირონის აქტები, I, დაარსებიდან XI საუკუნის შუა წლებამდე. ფრანგულიდან თარგმნა ცისანა ბიბილაშვილმა. თბილისი (2008).
ლომთათრი 1981: Н. Ломоури. К истории грузинского петрицонского монастыря. Тбилиси (1981).
ლოპარევი 1914: Хр. Лопарев. Греческие житья святых VIII-IX веков. Петроград (1914).
მენაბდე 1962: ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I, ნაკვ. II, თბილისი (1962).
მეტრეველი 1952: ე. მეტრეველი. ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI საუკუნეში. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ. XI. თბილისი (1952).
მეტრეველი 2007: ე. მეტრეველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, ნაკვ. I. თბილისი (2007).
ჟორდანია 1892: თ. ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. ტფილისი: მ. შარაძის სტამბა (1892).
უსპენსკი 1887: П. Успенский. История Афона (часть III), Киев (1877).
ყაუხჩიშვილი 1963: ს. ყაუხჩიშვილი. *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი მეხუთე, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი (1963).
ყაუხჩიშვილი 1955: ს. ყაუხჩიშვილი: *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I. თბილისი (1955).
ყაუხჩიშვილი 1973: ს. ყაუხჩიშვილი. *ქართლის ცხოვრება,* ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი (1973).
შოშიაშვილი 1980: ნ. შოშიაშვილი. ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი (1980).
ჩხარტიშვილი 2001: ა. ჩხარტიშვილი. X-XI სს-ის ჭედური ხელოვნების რამდენიმე ძეგლის შესახებ. ნარკვევები III. თბილისი (2001).
ჩუბინაშვილი 1959: Г. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Тбилиси (1959).
ჯავახიშვილი 1983: ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი II. თბილისი (1983).

Basili Son of Bagrat: Genealogy and Some Personal Characteristics

Vakhtang Goiladze

Basil son of Bagrat who lived in the first half of the eleventh century was referred as great, master, translator by his contamporaries as well as the compilers of the next times, However, the compilations by Basil are not available and datails of his biography are not known.

The article provides some evidence and novel interpretations by which the author conlcudes that Basil was son of the Geogian King Bagrat III from his first wife Martha. Despitie the fact that he was the king's firstborn son, he refused to occupy the throne , instead became the monk and devoted his life to making compilations . He was so influential and famous writer that was entitled as the Illuminator of the country.

ავტორის თვითცნობიერება და ძველი სომხური საისტორიო მწერლობა

ეკა კვაჭანტირაძე

ძველი სომხური საისტორიო მწერლობის ტიპოლოგიის კვლევისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ავტორობის საკითხია. როგორც ცნობილი ფილოსოფოსი და ისტორიის თეორეტიკოსი ბენედეტო კროჩე შენიშნავს, ისტორიის არსებობას იწყებენ იქიდან, საიდანაც ჩნდება ჭეშმარიტების ძიების პროცესი; იქიდან, საიდანაც აზრი ტოვებს მითოლოგიური ისტორიის სივრცეს და მიწიერი და ადამიანური ისტორიის სფეროსკენ ბრუნდება; იქიდან, საიდანაც ავტორი ცხოვრების სინამდვილესთან მიმართებაში პრობლემის დასმას იწყებს და ამ სინამდვილეს აღიქვამს როგორც ადამიანთა ინტერესების რთულსა და არაერთმნიშვნელოვან ურთიერთდაპირისპირებას. (კროჩე 1998: 111). მაშასადამე, ისტორიული აზროვნების სათავეს ახალი დროის მოაზროვნეები სწორედ ავტორის აქტიური და კრიტიკული პოზიციის გაჩენას უკავშირებენ. აქ ავტორი გამიჯნულია, განყენებულია იმ მოვლენებისაგან, რომელთა მიუკერძოებელ გადმომცემად და გამომძიებლად იგი თავის თავს სახავს.

სტატიის მიზანია ძველ სომხურ ისტორიოგრაფიაში ავტორის თვითცნობიერების ხარისხის გამოვლენა: რამდენად ჩანს ისტორიულ თხრობაში ავტორი თავისი იდეური, პოლიტიკური თუ ზნეობრივი მსოფლმხედველობით, რამდენადაა ჩამოყალიბებული მის მიერ ისტორიის წერის მიზანი, ამოცანები, მეთოდები, ავტორისეული დამოკიდებულება ისტორიულ წყაროებთან, ტრადიციასთან, ან ამის საპირისპიროდ ავტორისეული თხრობა ანონიმურია, მოვლენათა გადმოცემის სტილი ობიექტიურია.

ძველ სომხურ საისტორიო თხზულებებში ყოველთვის "ისმის" ავტორის ხმა, უმრავლეს შემთხვევაში ავტორი მკაფიოდ წარმოუდგენს მკითხველს მის ისტორიოსოფიულ შეხედულებებს, მსოფლმხედველობას, ნაშრომის შექმნის პროცესს, აცნობს წერის მისეულ მეთოდიკას.

აგათანგელოსი პირველი ისტორიულ-თეოლოგიური ნაშრომის ავტორია სომხურ ისტორიოგრაფიაში, რომელმაც თავის *სომხეთის ისტორიაში* წარმოადგინა ქრისტიანული ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრი: ჰაგიოგრაფია (ცხოვრება, მოწამეობა), ისტორია, ლიტურგიკა, აპოლოგეტიკა. ამით მან მის შემდეგდროინდელ ისტორიკოსებს ქრისტიანული მწერლობის განვითარების ერთგვარი პროგრამა დაუსახა, რაც შესრულდა კიდეც (ტერ-დავთიანი და არევტაშიანი 2004: 13, 15).

თავისი თხზულების შესავალში აგათანგელოსი ისტორიკოსის საქმიანობას, რომელსაც სიბრძნის ზღვაში ცურვას უწოდებს, უდარებს მეზღვაურის ზღვის ტალღებთან ბრძოლას. ავტორის აზრით, ისტორიის წერისათვის საჭიროა 'დიდი ძალისხმევა და ბევრი დრო, იმისთვის, რომ თანმიმდევრული თხრობა მოიტანო საუკუნეთა განმავლობაში მომხდარი ღირსეული ამბებისა' (ტერ-მკრტიჩიანი და კანაიანი 1909: 6). ის არაფრით დათანხმდებოდა ამ საქმის შესრულებას, რომ არა მეფის ბრძანება.

აგათანგელოსს კარგად აქვს ჩამოყალიბებული ისტორიული თხზულების წერის მეთოდიკა. ისტორიის "სტილში" ანუ თანმიმდევრულ გადმოცემას აგათანგელოსი დიდ ყურადღებას აქცევს და რამდენჯერმე აღნიშნავს მის აუცილებლობაზე შესავალში. ისტორიის წერას ის 'სიტყვებით ვაჭრობას' უწოდებს და წერს:

> დავისახეთ მიზნად გამოგვეკვლია ისტორიის ფურცლები, გამოვიტანეთ გასაყიდად ყველაფერი, რაც გავიგეთ ამ წიგნებიდან მოკვდავთა საქმეებზე, გადმოვცემთ მას თანმიმდევრობით, მწყობრად, დროის მიხედვით, მომხდარ მოვლენათა შესაბამისად" (ტერ-მკრტიჩიანი და კანაიანი 1909: 6).

აგათანგელოსი ხატოვნად აღწერს ისტორიული თხზულების წერის პროცესს:

> დავჯდები გონების რაშზე და გავალ სიბრძნის ასპარეზზე, გავემართები მიზნისკენ, დავჭიმავ მარჯვენის ძალას, საწერ თითებს სიძლიერეს მივანიჭებ, ენას აღელვებულ აზრს, რათა ჩემმა ბაგეებმა ბრძნული სიტყვები გამოთქვან. შევიძენ სიმტკიცეს, რათა ჩემი თხრობის ბორბალი მწყობრად ვაბრუნო და შევძლო თავდაჯერებულად შევცურო ქრონოლოგიის ზღვის ტალღებში (ტერ-მკრტიჩიანი და კანაიანი 1909: 12).

ძველ სომხურ ისტორიოგრაფიაში ავტორი მკვლევრის სტატუსით გვევლინება. მოვსეს ხორენაცის *სომხეთის ისტორიის* დასაწყისი ნაწილის თავების სახელწოდებების უბრალო ჩამონათვალითაც შეიძლება ვიმსჯელოთ ავტორზე, როგორც გარკვეული გამოკვლევის შემქმნელზე. მოვიყვანთ მაგალითებს: '[იმის შესახებ], თუ რატომ ვისურვეთ ბერძნული მატიანეებიდან გვეჩვენებინა ჩვენი ამბები, მაშინ როდესაც ქალდეურსა და ასურულში უფრო ხშირადაა ისინი [აღწერილი]'; 'იმის შესახებ, რომ სხვა მეისტორიენი არ ეთანხმებიან [წმინდა წერილს] ადამისა და დანარჩენი მამამთავრების თაობაზე'; „იმის შესახებ, რომ ნოეს სამი ვაჟის შთამომავლობითი შტოები ტოლფარდია აბრაჰამამდე, ნინოსამდე, არამამდე და რომ ნინოსი არაა ბელი, არც ბელის ვაჟი'; 'იმის შესახებ, რომ სხვა სიძველეთმცოდნენი ზოგ რამეს მოსეს დარად მოგვითხრობენ, ზოგს კი სხვანაირად"; „მოკლედ განმარტება იმისა, რომ წარმართთა მიერ ბელად სახელდებული ჭეშმარიტად საღმრთო წერილისეული ნებროთია'; '[იმის შესახებ], თუ რის მიხედვით ვწერთ ისტორიას მარ აბას კატინას შემდეგ'; 'სხვა მეისტორიეთა ცნობები არტაშესის მიერ სამყაროს დაპყრობისა და კრიუსოსის გათოკვის შესახებ'; 'აგათანგელოსის სიტყვაძვირობის შესახებ"; „[გაუწყებთ], თუ რა თხზულებები არსებობს პაჰლავიანთა შესახებ'; 'კაპადოკიის კესარიის ეპისკოპოსის, ფირმილიანოსისა და მისი ისტორიის შესახებ' (აბდალაძე 1984: 57, 59, 61, 64, 66, 110, 112, 154, 155, 161).

მოვსეს ხორენაცი თხზულების დასაწყისშივე წარმოგვიდგება ავტორად, რომელსაც მუდმივი კონტაქტი აქვს მკითხველთან, ესაუბრება მას და უხსნის მის მიერ ამა თუ იმ ავტორის მოსაზრებების გაზიარებისა თუ უარყოფის მიზეზებს. საერო ისტორიის შექმნას ხორენაცი დიდმნიშვნელოვან საქმედ მიიჩნევს, ამიტომ იწყებს განსჯას იმის შესახებ, რომ მის დრომდე ძველი სომხეთის ისტორიის წერას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა, სომეხი მეფეები არ ინტერესდებოდნენ ეროვნული ისტორიის შექმნით, ამიტომ სომხური წყაროები მცირე რაოდენობით მოიპოვება. ამგვარად, ხორენაცის მიზანი – შექმნას ეროვნული ისტორია აიძულებს მას უარი თქვას იმ საისტორიო წყაროებზე, რომლებიც მისთვის უთუოდ ხელმისაწვდომი იქნებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, არ ესადაგებოდა მისი ნაშრომის უმთავრეს პათოსს. ამის გამო ხორენაცი აცხადებს, რომ ცარიელ ადგილზე ქმნის სომხეთის ისტორიას და იძულებულია მიმართოს უცხოურ წყაროებს, კერძოდ ბერძნულსა და ბერძნულად ნათარგმნს. ავტორისავე ცნობით, ის იცნობდა აგრეთვე სპარსულ, სირიულ, ეგვიპტურ და ქალდეურ მატიანეებსაც, მაგრამ ბერძნულ წყაროებს უპირატესობას ანიჭებს. ხორენაცი აშკარად 'ელინოფილია'. აი, რას წერს თავისი ნაშრომის მეორე თავში:

> ბერძენთა მეფეებმა იზრუნეს როგორც [თავიანთი] მმართველობის [აღწერა], ისე [იმაზეც, რომ] მეცნიერების მონაპოვრები ეანდერძათ ბერძნებისათვის, ამასთანავე, თავიანთი საშინაო საქმეების მოწესრიგების შემდეგ საჭიროდ მიიჩნიეს . . . ყოველი ნათესავის მატიანეები, წიგნები ბერძნულად ეთარგმნათ . . . ბერძენთა ქვეყნის მრავალმა სახელოვანმა, მეცნიერებასთან წილნაყარმა კაცმა იზრუნა არა მარტო უცხოთესლთა მეფეების დივანთა თუ ტაძრების წიგნთა ბერძნულად გადასაღებად. . . . დიადი და გასაოცარი ხელოვნებანი, აქა-იქ სიმწრით მოძიებული შეკრიბეს და გადაიტანეს ბერძნულ ენაზე . . . ადამიანებმა, რომელთა სახელები ჩვენ დანამდვილებით ვიცით, შეკრიბეს ესენი ელინთა ქვეყნის განსადიდებლად. ქების ღირსნი არიან როგორც სწავლულნი, ვინც დაშვრა სიბრძნის სხვაგან მოპოვებისათვის, ასევე და უფრო მეტად მეცნიერების მონაპოვართა შემწყნარებელნი და პატივისმცემელნი. ამიტომაც უყოყმანოდ ვუწოდებ მთელ საბერძნეთს სიბრძნის დედას ან ძიძას (აბდალაძე 1984: 58).

ბერძნული წყაროების უპირატესობას ხორენაცი მათ სანდოობაში ხედავს და აღნიშნავს: 'ნათქვამი საკმარისია ბერძნული მატიანეების გამოყენების საჭიროების ცხადსაყოფად' (აბდალაძე 1984: 58). მოვსეს ხორენაცის ეს სიტყვები არა მარტო ბერძნული კულტურისადმი პიეტეტის გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს, არამედ აქ თავად ამ სიტყვების ავტორის, როგორც ისტორიული პროზის შემქმნელის, მსოფლმხედველობა და ძირითადი პრიორიტეტები ისახება.

საყურადღებოა ხორენაცის თვალსაზრისი ისტორიის წერის შესახებ. მოვიყვანთ მის რამდენიმე პოსტულატს:

> ძველი ისტორიის წერა მეტად ძნელი საქმეა; ამ ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად საჭიროა ბევრი დრო, ბევრი მუშაობა, წერის დროს აჩქარება შეცდომებს იწვევს; ისტორიაში უნდა შევიტანოთ მხოლოდ ჭეშმარიტი ამბები, უკუვაგდოთ მცდარი ცნობები. ისტორიკოსმა შეგნებულად არ უნდა იცრუოს; ისტორიკოსმა წინააღმდეგობრივი ცნობებიდან გარკვეული დასკვნა უნდა გამოიტანოს; წყაროების ღირსების გარკვევა ძნელი საქმეა, მაგრამ თუ ისინი ერთმანეთს ეთანხმებიან, მაშინ სარწმუნოა; როცა ერთი და იგივე საკითხზე ბევრი წყარო მოგვეპოვება. ხანგრძლივი ძიება უნდა ჩავატაროთ; ძნელია ყოველთვის გაიმიჯნოს მცდარი და ჭეშმარიტი ცნობები, ამიტომ შეიძლება სხვადასხვა ისტორიკოსმა წყარო სხვადასხვანაირად გაიაზროს, გაიგოს; თხრობა ქრონოლოგიური სახით უნდა გაიმართოს; მისი დარღვევა იშვიათ შემთხვევაში შეიძლება; არ არსებობს ჭეშმარიტი ისტორია ქრონოლოგიის გარეშე; ერთი და იგივე ამბის განმეორება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება, მაგალითად, გრიგოლ განმანათლებლის შესახებ (აბდალაძე 1984: 61, 64, 66, 82, 85, 86, 95, 96, 112, 123, 155-56).

ავტორის თვითცნობიერების გასარკვევად მნიშვნელოვანია ისტორიკოსის წყაროებისადმი დამოკიდებულების გამოვლენა. კაცობრიობის გაჩენის შესახებ საუბრისას ხორენაცი უპირისპირებს ერთმანეთს ბეროსისა და აბიდენოსის ცნობებს. ნოესა და მისი ვაჟების შთამომავლობით შტოებზე თხრობის დაწყებამდე ხორენაცი აფიქსირებს ამ საკითხის ძიების სიძნელეს და აღნიშნავს:

> ყველას კარგად მოეხსენება თუ რა ძნელი და თავსატეხია ჟამთააღმწერლობის შექმნა დასაბამიდან ჩვენამდე. განსაკუთრებით რთულია ნახარართა გვარების წარმომავლობის გამოყვანა ნოეს სამი ძისაგან, მეტადრე როცა მოინდომებენ ძიებას თითოეული ეპოქის მიხედვით. საქმე ისაა, რომ საღვთო წერილი გამოყოფს თავისიანებს, თავის საკუთარ ერს, ხოლო სხვებს . . . უგულებელყოფს, მათი [შთამომავლობის] შესახებ არაფერს ამბობს. ჩვენ შევუდგებით ამ საკითხზე საუბარს, რამდენადაც ეს შესაძლებელია [გადმოვცეთ] რაც სარწმუნო, ჩვენი აზრით სავსებით ეჭვმიუტანელი ვპოვეთ ძველ ისტორიებში" (აბდალაძე 1984: 61-62).

ამრიგად, სომეხი ავტორი თხრობის დაწყებამდე აუწყებს მკითხველს, რომ ამ საკითხის კვლევა მეტად რთული საქმეა, არწმუნებს მას, რომ მისთვის ჭეშმარიტების კრიტერიუმი წყაროთა სანდოობა იქნება, თან თავს იზღვევს შესაძლო უზუსტობების შემთხვევაში და აღნიშნავს რამდენადაც შესაძლებელიაო.

ნინოსის იდენტიფიკაციისას ბელთან ან ბელის ვაჟთან ხორენაცი უდარებს ერთმანეთს აბიდენოსისა და კეფალიონის ცნობებს. სომხურ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ აბიდენოსს მიაწერს ხორენაცი სომხური საისტორიო ტრადიციებისაგან შეთვისებულ ცნობებს, კეფალიონის ცალკეული ნაწყვეტები კი მოყავს ევსები კესარიელის *ქრონიკის* მეშვეობით, ანუ არც ერთი ბერძნული წყარო ხორენაცის ნანახი არ აქვს. სწორედ ეს არის საინტერესო ავტორისეული პოზიციის დასადგენად. იმისათვის, რომ მეტი ავტორიტეტი მოუპოვოს თავის ნაშრომს, ის რაც შეიძლება მეტ წყაროს ასახელებს, მათ შორის ისეთებსაც, რომლებთანაც შეხება არ ჰქონია. პირველი წიგნის მეხუთე თავის ბოლოს ხორენაცი კიდევ ერთხელ არწმუნებს მკითხველს: „ყოველივე ეს ნამდვილად ბერძნულ მწერლობაში დავძებნეთ, თუმცა თვითონ ბერძნებმა ქალდეურიდან გადაიღეს თავიანთ ენაზე" (აბდალაძე 1984: 64). ხორენაცი მუდმივად აფიქსირებს მისი, როგორც მკვლევარ-ისტორიკოსის წყაროებისადმი დამოკიდებულების უმთავრეს კრიტერიუმს – სარწმუნოობას. თხზულებაში ძირათადად კონკრეტული ამბის თხრობის დაწყებისას ან დამთავრებისას, ხშირად გვხვდება ამგვარი

ფრაზები: 'მრავალრიცხოვანი წყაროებიდან შეძლებისდაგვადად სარწმუნო ავირჩიეთ და თანმიმდევრულად წარმოვადგინეთ'.

ხორენაცი სომხეთის ისტორიის თხრობის დასაწყისში ასახელებს მის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს სირიელ მარ აბას კატინას და ასე ახასიათებს მას: 'კაცი გონიერი, ქალდეური და ბერძნული მწიგნობრობის მცოდნე' (აბდალაძე 1984: 67). მარ აბას კატინას ნაშრომს ხორენაცი იყენებს თავისი ნაშრომის I წიგნის IX თავიდან II წიგნის X თავის ჩათვლით, სადაც აღნიშნავს: 'აქ მთავრდება მხცოვანი მარ აბას კატინას თხზულება' (აბდალაძე 1984: 140). ხორენაცის მიხედვით, არშაკუნთა დინასტიის პირველი მეფე ვალარშაკი აგზავნის სირიელ მარ აბას კატინას თხოვნის წერილით თავის ძმასთან არშაკთან, რათა მისცეს მას უფლება ნინევიის სამეფო არქივით სარგებლობის და იქიდან სომხეთის ისტორიის ამოღების. არშაკმა შეასრულა ძმის თხოვნა. მარ აბასმა არქივში იპოვა მატიანე, რომელიც ასე იყო დასათაურებული 'ესე მატიანე ალექსანდრეს ბრძანებით ქალდეველთა ენიდან თარგმნილია ბერძნულად და შეიცავს წინაპრების შესახებ უტყუარ ცნობებს' (აბდალაძე 1984: 68).

ხორენაცის მონათხრობით, მარ აბასი ამ მატიანეებიდან იწერს მხოლოდ 'სარწმუნო' სომხეთის ისტორიას და წარუდგენს ვალარშაკს. ვალარშაკი ინახავს ამ მატიანეს სამეფო საცავში, მის ერთ ნაწილს კი ქვაზე ამოაკვეთინებს. სწორედ ამით სარგებლობს ხორენაცი. სომხურ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული მოვსეს ხორენაცისა და მარ აბას კატინას თხზულებების ურთიერთმიმართების საკითხზე. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ხორენაცის მიერ მოთხრობილი მთელი ეს ისტორია ვალარშაკის წერილისა და მარ აბასის ნინევიის არქივში მუშაობის შესახებ არ არის სარწმუნო, თუნდაც იმიტომ, რომ პართული დინასტიის ბატონობის დროს ნინევია უკვე დიდი ხნის დანგრეული იყო. სომეხ ისტორიკოსთა ნაწილის მოსაზრებით კი რეალურად არსებობდა მარ აბას კატინას თხზულება (არის მოსაზრება ამ თხზულების არ არსებობის შესახებაც), რომლითაც სარგებლობდა ხორენაცი. მაგრამ ჩვენთვის ამჯერად ეს არ არის საინტერესო. ყურადსაღებია ისტორიკოსის სურვილი თავისი თხზულების სანდოობისა და სარწმუნოობისათვის ჩართოს ნაშრომში მოთხრობა, რომელსაც რეალური ელფერი აქვს, გამოხატავს სომეხი მეფის ვალარშაკის სრულიად ბუნებრივ სურვილს 'განვიზრახე შევიტყო ჩემამდე თუ ვინ ფლობდა სომეხთა ქვეყანას, როგორ გაჩნდნენ სანახარაროები'. (აბდალაძე 1984: 68).

ხორენაცი წარმოუდგენს მკითხველს იოლად სარწმუნო ვერსიას და ამ ხერხით შემოაქვს კიდევ ერთი წყარო სხვა მრავალ დასახელებულთა შორის. II წიგნის X თავში ხორენაცი წერს, რომ დაასრულა მარ აბას კატინას თხზულებით სარგებლობა და იწყებს თხრობას იულიუს აფრიკანოსის (III–IV სს.) მიხედვით. ამ შემთხვევაშიც ხორენაცის სურს ამ წყაროს ჭეშმარიტებაში დაარწმუნოს მკითხველი და წერს: აფრიკანოსმა

> მთლიანად გადმოიღო, რაც ედესის და ურჰას სიძველეთსაცავის აქტებში ჩვენს მეფეთა შესახებ იყო ნათქვამი. იქ გადაიტანეს წიგნები ნინოხინიდან, აგრეთვე სატაძრო მატიანეები პონტოს სინოპიდან. ამაში ეჭვი ნურავის შეეპარება, რამეთუ ჩვენ თვითონ ვნახეთ ის არქივი. ამის მოწმე და თავდებია ევსები კესარიელის საეკლესიო წიგნიც . . . დაძებნე იგი გელარქუნიში, სიუნიქის გავარში და მისი პირველი კარის მეცამეტე თავში იპოვი ცნობას, რომ ედესის სიძველეთსაცავის [მატიანეებში] აღწერილია ჩვენი ადრინდელი მეფეების მთელი საქმიანობა" (აბდალაძე 1984: 110).

ამგვარად, ხორენაცი თავისი თხზულების მეტი ავტორიტეტულობისათვის ასახელებს წყაროებს, რომლებიც შესაძლოა არც კი უნახავს (აბიდენოსი, კეფალიონი), ან მკითხველ საზოგადოებას სთავაზობს განსაკუთრებულად სანდო წყაროებს, რომლებიც მსოფლიოს უძველესი არქივების მასალებზეა დაფუძნებული (მარ აბას კატინა, იულიუს აფრიკანოსი).

თხზულების დასაწყისში ლაზარ ფარპეცის მოყავს ისტორიის წერის გეგმა, მიზანი, მეთოდიკა. ის აღნიშნავს:

> მე გადავიკითხე სომხეთის პირველ ისტორიკოსთა მრავალი მატიანე" (ტერ-მკრტიჩიანი და მალხასიანი 1904: 1). ამ მატიანეებიდან ის პირდაპირ ასახელებს სამს: აგათანგელოსს, ფავსტოს

ბუზანდის და კორიუნს. ლაზარ ფარპეცის თავისი დამოკიდებულება აქვს სამივე მათგანთან. ყველაზე მეტად ის აგათანგელოსს აფასებს: „ხანგრძლივი კითხვის შემდეგ მათში ვიპოვე სომხეთის ქვეყნის დროთა და საუკუნეთა შესახებ მრავალმხრივი განსხვავებანი პირველი წიგნის ჭეშმარიტი და უცილობელი თხრობისაგან, რომელიც შესაფერისად მოგვითხრო და გაგვაცნო ჩვენ ნეტარმა აგათანგელოსმა, კაცმა განსწავლულმა მეცნიერებით და აღსავსემ ყოველგვარი ცოდნით, სიტყვათა ჭეშმარიტად გამწყობმა და ღირსეულად აღმწერმა ისტორიულად თავისი თქმულისა. მან სწორად ააგო, დაალაგა და აღბეჭდა . . .“ და ჩამოთვლის საკითხებს, რომლებზეც საუბარია აგათანგელოსის თხზულებაში და ასკვნის: „ყოველივე ეს და ამაზე უმეტესიც მოგვითხრო ჩვენ ნეტარმა ღვთის კაცმა წმინდა აგათანგელოსმა თავის მტკიცესა და უცთომელ თხზულებაში (ტერ-მკრტიჩიანი და მალხასიანი 1904: 2-3).

სრულიად განსხვავებულია ლაზარ ფარპეცის მიერ ფავსტოს ბუზანდის ისტორიის შეფასება:

ზოგიერთმა მისი თხზულების ზოგი ადგილის სიტყვები ჩათვალა არაშესაბამისად [იმ] პირველისა, აგათანგელოსად რომ იწოდება. ეჭვობენ და იძულებული არიან არ თქვან ის, რომ შეუფერებელი თხზულება ბიზანტიელ სწავლულს ეკუთვნის... ნუთუ ამისთანა ქალაქში (კონსტანტინოპოლი – ე.კ.) და ასეთ სწავლულთა სიმრავლეში გაწვრთნილი კაცი ფავსტოსი, მსმენელთათვის ამნაირ უსიამოვნო სიტყვებს გააწყობდა თავის ისტორიაში? ღმერთმა ნუ ქნას! ამიტომაც ჩვენს სუსტ გონებას ეს საქმე დაუჯერებლად მიაჩნია და ვამბობ, იქნებ ვინმემ სხვამ კადნიერი და უმეცარი სიტყვით ურცხვად ხელი მოჰკიდა და შიგ ჩაწერა ზოგი რამ [თავისი] სურვილისამებრ. ამ ვიღაცამ... გადაასხვაფერა, გააფუჭა და საჭიროდ მიიჩნია ფავსტოსის სახელით დაეფარა თავისი შეცდომები (ტერ-მკრტიჩიანი და მალხასიანი 1904: 1, 3, 4).

აგათანგელოსისა და ფავსტოს ბუზანდის თხზულებებს ლაზარ ფარპეცი, როგორც ჩანს, იყენებდა იმდენად, რამდენადაც მას სჭირდებოდა წინა საუკუნეებში მომხდარი ამბების გახსენება.

კორიუნის *მაშტოცის ცხოვრებას* ლაზარ ფარპეცი ასახელებს პირველ თავში სომხური ანბანის გამოგონების ამბის გადმოცემისას.

თუკი ვინმეს მოუნდება სწორად გაიგოს ყველაფერი, ეს სწორედ იმავე ნეტარი მაშტოცის მოწაფის სასურველი კაცის კორიუნის ისტორიის წიგნში წაიკითხავს და გაიგებს მისი ცხოვრების ამბავსაც და სომხური ასოების პოვნის შესახებაც. თუ როდის, სად, ან ვის მიერ იქნა აღმოჩენილი სომხეთის მეფის ვრამ შაპუჰის მხურვალე ვედრებით. [ყველაფერი] ეს რიგზე დააწყო და სისწორით აღწერა ზემოთ ხსენებულმა სულიერმა კაცმა კორიუნმა. მეც იქიდან მრავალგზის წაკითხვით გავიგე ეს ჭეშმარიტად (ტერ-მკრტიჩიანი და მალხასიანი 1904: 13, 37, 70).

ამრიგად, ძველი სომეხი ისტორიკოსები მუდმივ კონტაქტში არიან მკითხველ საზოგადოებასთან, მას უხსნიან ისტორიული თხზულების წერის მეთოდოლოგიას, აცნობენ რაც შეიძლება ბევრ წყაროს, თამამად გამოხატავენ დამოკიდებულებას მათ მიმართ სანდოობის თვალსაზრისით.

ახლა მოკლედ მიმოვიხილოთ რა დოზითაა გაცხადებული ავტორისეული პოზიცია ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში. ევსები კესარიელის *საეკლესიო ისტორიის* პირველ წიგნს ამ თხზულების შესავლის ფუნქცია აქვს დაკისრებული. ამის შესახებ თავად ავტორი გვამცნობს: ‘რაზე უნდა გვესაუბრა საეკლესიო ისტორიის შესავლის ადგილას, თუ არა მაცხოვრის სიტყვის ღვთიურობაზე, ჩვენი სწავლების დოგმატების წარმომავლობაზე. ქრისტიანული სულისკვეთების სახარებისეული ცხოვრების სიძველეზე, და არც თუ ისე შორეულ წარსულში ჩვენი მაცხოვრის ამქვეყნად მოვლინებაზე...’ (ევსები 1858: 54). და მართლაც, *საეკლესიო ისტორიის* I წიგნში ჩვენ ვხვდებით ავტორის ისტორიოსოფიული შეხედულებების შესახებ მსჯელობას. ეს შეხედულებები გადმოცემულია, აგრეთვე, IX წიგნში, რომლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს რიტორიკული თხზულება – ტვიროსის ეპისკოპოსის პავლინოსის მიმართ წარმოთქმული პანეგირიკი. ამგვარად, ევსების, როგორც ავტორს, აქვს ისტორიის მისეული ხედვა, იგი თხზულების თეორიულ ნაწილებში მსჯელობს ამის შესახებ და თავისი თხზულების გადმოცემის მეთოდსა და სტილს უქვემდებარებს ამ კონცეფციას.

ევსების საისტორიო თხზულებების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი არის წყაროებიდან ვრცელი მონაკვეთების ციტირება. მეცნიერთა გამოთვლებით, *საეკლესიო ისტორიაში* ასეთი 250 ციტატაა (კრივუშინი 1998: 57-64), მაგრამ ეს ციტატები არა ანონიმურად გადმოტანილი მასალაა, არამედ ისინი ავტორისეული შრომის ნაწილია და ავტორისეულ კონცეფციას და ისტორიოსოფიულ შეხედულებებს უკავშირდება.

მართალია, სოკრატე სქოლასტიკოსი ევსების *ისტორიის* გამგრძელებლად მიიჩნევს საკუთარ თავს, მაგრამ მას წინამორბედისაგან სრულიად დამოუკიდებელი ისტორიული კონცეფცია აქვს. სოკრატე თავად აყალიბებს თავის ამოცანას, აღწეროს ის მოვლენები, რომლებსაც ევსების შემდეგ მის დრომდე ეკლესიის ისტორიაში ჰქონდა ადგილი:

> ვინაიდან ჩვენი მიზანია აღვწეროთ ის მოვლენები, რომლებსაც ეკლესიაში ჰქონდა ადგილი ამ დროიდან (კონსტანტინეს ხანიდან – ე.კ.) დღევანდლამდე, თხრობის დასაწყისად მისი (ევსების – ე.კ.) „ისტორიის“ დასასრულს ავიღებთ და გადავცემთ მკითხველს ნაწილობრივ იმას, რაც მოვიპოვეთ ხელნაწერებში, ნაწილობრივ კი იმას, რაც შევიტყვეთ მთხრობელთაგან. თანაც სრულიად არ ვიზრუნეთ ენის მაღალფარდოვნებაზე (სოკრატე სქოლასტიკოსი 1996: 7).

მაშასადამე, ავტორისათვის ისტორიის წყაროები, ისევე როგორც ეს ანტიკურ ტრადიციაში იყო, წერილობითი დოკუმენტები და თვითმხილველთა მონათხრობია. ამასთანავე სოკრატე განსაზღვრავდა, თუ კონკრეტულად როგორ მოვლენას აღწერს იგი. აქ ის პრობლემას შეეჯახა, რადგან იმპერიის ისტორია ისე გადაეჯაჭვა ეკლესიის ისტორიას, რომ მათი გაცალკევება სულ უფრო და უფრო რთული ხდებოდა. ამიტომ სოკრატე მოგვითხრობს არა მხოლოდ შიდასაეკლესიო ისტორიას, არამედ ქრისტიანულ - იმპერიულ ისტორიასაც. ტექსტის ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ ეს ორი თემა აბსოლუტური პარალელიზმით მიედინება *საეკლესიო ისტორიაში* (კრივუშინი 1998: 120-132).

სოკრატეს ეკლესიის ისტორიის საკუთარი ხედვა აქვს და ის არაერთხელ ლაპარაკობს ამის შესახებ. ეკლესიის ისტორია სოკრატეს ესმის, როგორც საეკლესიო განხეთქილებათა ისტორია. თხზულების ცალკეული წიგნების შესავალ ნაწილებში და თეორიულ გადახვევებში ჩვენ ვხვდებით ამგვარ მსჯელობას: 'ეკლესიაში რომ არ წარმოშობილიყო განხეთქილება და მღელვარება, მე დუმილი მომიწევდა. როცა (ისტორიის) საგანი არ წარმოადგენს ამბავს, თხრობა ზედმეტია' (სოკრატე სქოლასტიკოსი 1996: 18). სხვაგან სოკრატე იმეორებს ამ აზრს: 'მე ხომ არაფერი მექნებოდა სათქმელი, არეულობის მოყვარე ხალხს მშვიდობიანი ცხოვრება რომ აერჩია' (სოკრატე სქოლასტიკოსი 1996: 48). სოკრატეს ამგვარი მიდგომა ძალზე მნიშვნელოვანია იმის გასაანალიზებლად, თუ რა ტრანსფორმაციას განიცდის საეკლესიო ისტორიის ჟანრი. როგორც ევსებისათვის, ასევე სოკრატესათვის ჭეშმარიტად ქრისტიანული ცხოვრება სულიერი ფენომენია და მიწიერი ისტორიის მიღმა დგას. მაგრამ თუ ამქვეყნიურ მოვლენათა სფეროს ევსები ისტორიის მიღმა ტოვებს, სოკრატე მას საეკლესიო ისტორიის აღწერის საგნად მიიჩნევს. ევსების პოზიცია ამ თვალსაზრისით ოპტიმისტურია ეკლესიის მიმართ. სოკრატე ეკლესიის ისტორიას, მასში მიმდინარე მოვლენებს კრიტიკული და პესიმისტური კუთხით აფასებს. სოკრატე ნებსით თუ უნებლიედ, როგორც კრივუშინი აღნიშნავს, ბერძნულ-რომაული ისტორიოგრაფიის კონცეპტუალურ სამყაროში იძირება (კრივუშინი 1998: 218). ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ სოკრატე ევსების თხზულების გაგრძელებად სახავს საკუთარ ნაშრომს, მას წინამორბედისაგან დამოუკიდებელი ისტორიულ-ფილოსოფიური ხედვა აქვს. ავტორის მსოფლმხედველობა ამ შემთხვევაშიც იწვევს გარკვეულ ცვლილებებს ისტორიული თხზულების სტრუქტურაში, კომპოზიციაში და, შეიძლება ითქვას, მთლიანად ჟანრშიც კი.

საეკლესიო ისტორიის ავტორებს, მიუხედავად მათი საერთო ქრისტიანული მიმართულებისა, ისტორიის საზრისის მკვეთრად ინდივიდუალური გააზრება ახასიათებთ. IV-VI სს-ის მანძილზე ამ ჟანრის განვითარება წარიმართა საეკლესიო ისტორიის სეკულარიზაციის მიმართულებით. ამის მიზეზი, ერთის მხრივ, თავად ისტორიული სინამდვილე იყო (ეკლესიისა და სახელმწიფოს ცხოვრება უმჭიდროესად გადაეჯაჭვა ერთმანეთს), ხოლო, მეორეს მხრივ, უთუოდ ის ანტიკური ისტორიოგრაფიული ტრადიცია და, კერძოდ, კი

ავტორის მაღალი თვითცნობიერება და ინდივიდუალიზმი, რომელიც ასე ძლიერად ვლინდებოდა საეკლესიო ისტორიის ავტორებთან. ამ ჟანრის ფუძემდებლის ფილოსოფიურ-იდეოლოგიური მიმართულება მისივე გამგრძელებლებმა საკუთარ შეხედულებებს დაუქვემდებარეს, რითაც საბოლოო ჯამში ამავე ჟანრის ფარგლებიდან გავიდნენ. ამის მაგალითად ევაგრეს ისტორიული ნაშრომი გამოდგება.

მეხუთე წიგნის დასასრულს ევაგრეს მოთავსებული აქვს ვრცელი ისტორიოგრაფიული ექსკურსი. ის აქ საუბრობს საეკლესიო ისტორიოგრაფიის ტრადიციის (ისტორიის წერის) უწყვეტობის შესახებ. ევაგრე ამბობს, რომ ქრისტიანული ეკლესიის წარსული ქრისტედან მოყოლებული აღწერა ევსებიმ, ხოლო მის შემდგომ ეს ტრადიცია თეოდოსი მცირის დროს გააგრძელეს თეოდორიტემ, სოკრატემ, სოზომენემ და თვითონაც ამ ხაზის გამგრძელებელია. თუმცა ამის შემდეგ იგი საკმაოდ აფართოებს მისი ჟანრის ფარგლებს და ისტორიის უწყვეტობის შესახებ საუბრობს. ამ უწყვეტი ტრადიციის მამამთავრად მას მოსე მიაჩნია, რომლის მემკვიდრეობა ძველი აღთქმის ისტორიის ტრადიციაა. ნიშანდობლივია, რომ ამ საერთო ისტორიოგრაფიულ მიმდევრობაში ევაგრე ანტიკურ საისტორიო მწერლობასაც გულისხმობს. ის ჩამოთვლის ანტიკური ისტორიკოსების გრძელ რიგს: დიონისე ჰარკანასელს, პოლიბიოსს, აპიანეს, დიოდორე სიცილიელის, დიონ კასიუსს, ჰეროდიანეს, ნიკოსტრატე ტრაპეზუნდელის, დექსიპეს, ევსების, არიანეს, აზიმიუს კვადრატს, ზოსიმეს, პროკოფი კესარიელის, აგათია მირინელს და იოანე მალალას (მის თანამედროვეს). ამგვარად, ევაგრეს ჩამონათვალში ძველი აღთქმის ისტორიოგრაფიის და საეკლესიო ისტორიის გვერდით თავის ადგილს ანტიკური ისტორიოგრაფიაც ჰპოვებს. როდესაც ევაგრე ლაპარაკობს მოსეზე, როგორც „პირველ ისტორიკოსზე დედამიწის ზურგზე“, რომელიც შეუცდომლად გადმოსცემს იმას, რაც მან ღვთისგან სინას მთაზე შეისმინა, ამით ევაგრე მთელი ისტორიოგრაფიული ჟანრის (ანტიკური ისტორიის ჩათვლით) საკრალიზაციას ახდენს და მის ღვთაებრივ წარმომავლობაზე მიუთითებს.

ეს ისტორიოგრაფიული ექსკურსი ევაგრესათვის ცარიელი დეკლარაცია როდია. თუ პირველი სამი წიგნი ევაგრეს *ისტორიისა* საერო ისტორიის გვერდით საეკლესიო ისტორიულ თხრობასაც შეიცავს, უკანასკნელ სამ წიგნში საერო ისტორია აბსოლუტურად დომინანტურია. შეიძლება ითქვას, რომ მე-4 წიგნიდან ევაგრე უკვე იმპერიის ისტორიას წერს და არა ეკლესიის ისტორიას (კრივუშინი 1998: 211).

ავტორი, მისი სუბიექტური ხედვა გამოკვეთილია თეოფანეს გამგრძელებელთან. ავტორი კარგად წარმოაჩენს თავის კრედოს, ისტორიკოსის დანიშნულებას – ეძიოს მოვლენათა მიზეზები და გამოააშკარაოს იგი. იმპერატორ მიქაელ III-ის შესახებ თხრობის დროს, ის ამბობს: 'ჭეშმარიტად ცარიელი და უწონადია ისტორიის სხეული, თუ იგი საქმეთა მიზეზებზე არაფერს ამბობს' (ლუბარსკი 1992: 74).

თეოფანეს გამგრძელებელი არა მარტო ახდენს ამ მეთოდის დეკლარირებას, არამედ რიგ შემთხვევებში ცდილობს მოვლენათა მიზეზების წვდომას. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ესპანელი არაბების შესახებ თხრობა. ავტორი ამბობს, რომ არაბებმა მათი მიწის სიმწირისა და ძალზე მჭიდროდ დასახლების გამო სამშობლო დატოვეს, რათა ცხოვრების ახალი ადგილები მოეძებნათ (ლუბარსკი 1992: 35). ისტორიული დეტერმინიზმის ეს ჩანასახი სრულიად უცხოა წინა ეპოქების ქრონისტებისათვის. თეოფანე გამგრძელებელს ახასიათებს 'ეჭვი' მოვლენათა მიზეზების ძიების დროს და ეს ავტორის სუბიექტური პოზიციის არსებობის ძალზე ნიშანდობლივი საბუთია.

იოანე პსელოსთან კიდევ უფრო ვითარდება და სრულყოფილებამდე აღწევს ის ნიშნები, რომლებიც ჯერ კიდევ თეოფანეს გამგრძელებელთან შეინიშნებოდა. *ქრონოგრაფია* პსელოსთან საგრძნობლად სცილდება ამ ჟანრის კლასიკურ ნიმუშებს (ასეთები ამ საუკუნეშიც ჯერ კიდევ მრავლად იქმნებოდა). ავტორის პიროვნების და შეხედულებების გახსნის, ძეგლის სტრუქტურისა და კომპოზიციის, ისტორიული გმირის ხასიათის წარმოჩენის დროს იოანე პსელოსი ბევრ შემთხვევაში ისტორიის ჟანრს უფრო უახლოვდება და ანტიკური

ისტორიოგრაფიული ტრადიციების ამღორძინებლად გვევლინება. *ქრონოგრაფიის* ავტორი თავად მსჯელობს იმ პრინციპებზე, რომლის მიხედვითაც მან ეს შრომა შეადგინა:

> მე შევიტანე ისტორიაში ბევრი ღირსეული საქმე, არ დავანაწევრე ოლიმპიადებად და არც გავანაწილე წლის დროების მიხედვით ისტორიკოსის (თუკიდიდე – ე.კ.) მსგავსად, არამედ მოგითხრობთ ყველაზე მნიშვნელოვანზე, რაც მიტივტივდება გონებაში. როცა ვწერ ... გავურბივარ მოვლენების დეტალურ აღწერას. მე ავირჩიე საშუალო გზა მათ შორის, ვინც წერდა ძველი რომის შესახებ, და მათ შორისაც, ვინც ჩვენს დროში ქმნის ქრონოგრაფიებს. მე არ ვბაძავ არც პირველების დეტალურ მოთხრობას, არც უკანასკნელთა შემოკლებულ გადმოცემას. მინდა ჩემი ნაშრომი არ იყოს მოსაწყენი და არც გამოტოვო რაიმე მნიშვნელოვანი (ლუბარსკი 1978: 185).

პსელოსი ღიად მსჯელობს მისი თხზულების მემუარულ ხასიათზე და თვითონვე აცნობიერებს მისი შრომის ჟანრულ სპეციფიკას, როგორც გარდამავალს, რაღაც საშუალოს ძველ ავტორებსა (ანტიკურ ტრადიციისა) და მის თანამედროვე ქრონოგრაფიას შორის. თავად პსელოსის ბიოგრაფიისათვის ცნობები ძირითადად მისი „ქრონოგრაფიიდან“ არის ცნობილი. უკვე აქედან ცხადია, რამდენად კარგად ჩანს ავტორის პიროვნება, მისი ვინაობა, მისი ცხოვრება და შემოქმედებითი პრინციპები *ქრონოგრაფიიდან*.

ამრიგად, სომეხ და ბიზანტიელ ისტორიკოსთა თვითცნობიერების კვლევისას გვრჩება თანამედროვეობის განცდა, ანუ ისინი თითქმის იმავე ხერხებსა და მეთოდებს იყენებენ, რასაც ჩვენ დღეს – მოიპოვებენ წყაროებს, ადარებენ და აჯერებენ ერთმენეთს, არ იწერენ პირდაპირ, არამედ ცდილობენ გამოყონ მათგან რაციონალური მარცვალი, დაადგინონ ჭეშმარიტი ისტორია, სურთ დაუმტკიცონ მკითხველს თავიანთი ნაშრომების სარწმუნოობა, რაც სხვადასხვა წყაროთა სანდოობაზეა დაფუძნებული.

მსგავსია სომხური და ბიზანტიური ისტორიოგრაფიის მიდგომა ავტორის ვინაობის გაცხადების საკითხშიც. თითქმის ყველა შემთხვევაში ვიცით სომხური ისტორიული თხზულების ავტორის სახელი, ისევე როგორც ადრებიზანტიელი ავტორების შესახებ ინფორმაციას მათივე თხზულებებიდან ვიგებთ: მაგალითად, ამიანე მარცელინე იყო რომის არმიის მეომარი, მონაწილეობდა აღმოსავლეთში წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში; ზოსიმე სამეფო კარზე საფინანსო აპარატში მსახურობდა; პროკოფი კესარიელი, მხედართმთავარ ველისარიუსის მდივანი, მონაწილეობდა ბერძენ-სპარსელთა ომებში.

ახლა რაც შეეხება სომეხ ავტორთა დასახელებას: კორიუნი – მესროპ მაშტოცის მოწაფე და, როგორც თვითონ წერს, თხზულების შესავალში ყველაზე უმცროსი იყო მათ შორის. თხზულებაში კორიუნი ორჯერ ასახელებს თავის თავს. ერთხელ, როცა ვაღარშაპატში შეკრებილმა მოწაფეებმა დაამთავრეს სწავლა და მათ ჯგუფებად აგზავნიდნენ სომხეთის სხვადასხვა კუთხეებში და მეორედ, როცა რამდენიმე მოწაფე მიემგზავრებოდა სომხეთიდან კონსტანტინოპოლს (კორიუნი 1994: 34, 53). აგათანგელოსიც თავისი თხზულების შესავალში წერს, რომ იყო რომიდან, სწავლობდა ლათინურ და ბერძნულ მწიგნობრობას, იმყოფებოდა სომეხთა მეფის თრდატ არშაკუნის კარზე, სადაც მისი ბრძანებით დაწერა *სომხეთის ისტორია* (ტერ-მკრტიჩიანი და კანაიანი 1909: 9-10). მოვსეს ხორენაცი წერს, რომ ის წმ. საჰაკმა და მესროპ მაშტოცმა გაგზავნეს სხვა ახალგაზრდებთან ერთად სასწავლებლად ალექსანდრიაში. გზად ისინი შეჩერებულან ედესაში. იმუშავეს არქივებში, შემდეგ გადავიდნენ პალესტინაში, შემდეგ კი ეგვიპტეში განაგრძეს მუშაობა, შემდეგ იმყოფებიან ათენში, ამის შემდეგ ბიზანტიაში (აბდალაძე 1984: 232-33). ლაზარ ფარპეცი, მისივე გადმოცემით, იყო სოფ. ფარპიდან, იზრდებოდა საქართველოში არშუშა პიტიახშის კარზე. დაწყებითი განათლება მან არშუშას სახლში მიიღო. შემდეგ მისი მასწავლებელი იყო აჰან არწრუნი. სწავლის დასასრულებლად ლაზარი გააგზავნეს ბიზანტიაში. კონსტანტინოპოლიდან ლაზარ ფარპეცი სიუნიქში მიდის საცხოვრებლად. მას შემდეგ რაც მისი მეგობარი ვაჰან მამიკონიანი სომხეთის მარზპანი გახდა ლაზარი ვაღარშაპატის მონასტრის წინამძღვარი ხდება. აქ მას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა და განმარტოვდა ბერძნულ მხარეში, ქ. ამიდში. (ტერ-მკრტიჩიანი და მალხასიანი 1904: 157).

მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, ცნობილია თითქმის ყველა სომხური ისტორიოგრაფიული ძეგლის ავტორი.

არის თუ არა მედიევალური ქართული ისტორიოგრაფიის, კერძოდ, *ქართლის ცხოვრების* ჩამოყალიბება ზემოთ აღწერილი კულტურული პროცესის მსგავსი და შესაძლებელია განვიხილოთ ის, როგორც ავტორისეული ისტორია? აქ ჩვენ აშკარა სიძნელეებს წავაწყდებით. როგორც ვნახეთ, ანტიკური და ბიზანტიური ხანის *ისტორიებს*, ისევე როგორც ძველ სომეხ ისტორიკოსებს აქტიური ავტორისეული პოზიცია ახასიათებთ. ბიზანტიური ისტორიული თხზულებები ტრადიციულად იწყება შესავლით – პროოიმიონით, როგორც აგრეთვე სომხური საისტორიო ნაშრომები, სადაც ავტორი თავის მიზნებსა და ამოცანებზე მსჯელობს, სადაც აყალიბებს ისტორიულ კონცეფციას და შესაძლოა ასახელებს წყაროებსაც (პატარიძე და კვაჭანტირაძე 2005: 22-23). ამგვარ დასაწყისს *ქართლის ცხოვრებაში* ვერ ვხედავთ. თხრობა იწყება შესავლის გარეშე; 'პირველად ვახსენოთ ესე ...' – ეს ავტორისეული რემარკა, შეიძლება ითქვას, მთელი ბიზანტიური თუ სომხური ისტორიული თხზულებების პროოიმიონის ადგილს იკავებს (პატარიძე და კვაჭანტირაძე 2005: 22-23), რასაც უშუალოდ მოსდევს ბიბლიურ მამამთავართა შესახებ თხრობა.

შევადაროთ მოვსეს ხორენაცის *სომხეთის ისტორიის* და *ქართლის ცხოვრების* დასაწყისი ნაწილები. ხორენაცი თხზულების დასაწყისში იძლევა ბიბლიურ ეთნოგენეტიკურ სქემას. ასევე იწყება ლეონტი მროველის თხზულება. სომხურ თხზულებაში ის უფრო ვრცელი და თხრობითია, *ქართლის ცხოვრებაში* მოკლე და მშრალი. მოვსეს ხორენაცი იწყებს თხრობას ადამიდან, ასახელებს სეთს, ენოსს, კაინანს და ა.შ. ყვება რაც იცის მათ შესახებ, შემდეგ წერს ნოეზე და იხილავს მისი სამი ვაჟის: სემის, ქამის და იაფეთის გენეალოგიას. ხორენაცი წერს: 'იაფეთმა შვა გამერი (გომერი), გამერმა შვა თირასი (თარში), თირასმა შვა თორგომი (თარგამოსი), თორგომმა შვა ჰაიკი' (აბდალაძე 1984: 62) და ა.შ. ამისგან განსხვავებით *ქართლის ცხოვრება* პირდაპირ იწყება კავკასიელ ხალხთა წარმომავლობით, რომელთაც ერთი ჰყავთ წინაპარი – თარგამოსი. *ქართლის ცხოვრების* ქართველთა ბიბლიური წინაპრით თარგამოსით დაწყება იმის მანიშნებელია, რომ 'თარგამოსამდე' ავტორი ბიბლიურ ისტორიას გულისხმობს და თხრობას იწყებს იქიდან, საიდანაც ამ ერთიან გენეალოგიაში ერთ-ერთი განშტოების 'ქართლის' წინაპარი ეგულება. ამას სხვა მიზეზიც აქვს, რაზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

ქართლის ცხოვრება ერთი წინადადებით კმაყოფილდება ეთნოგენეტიკური კონცეფციის გადმოცემისას: 'თარგამოს იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეთისა, ძისა ნოესი' (ყაუხჩიშვილი 1955: 3). ბიბლიური სქემა დარღვეულია როგორც სომხურ, ისე ქართულ წყაროში.

ბიბლიური სქემა:

ნოე
|
იაფეთი
|
გომერი
|
თოგარმა (თარგამოსი)

სომხური სქემა:

ნოე
|
იაფეთი
|
გომერი
|
თირასი
|
თორგომი (თარგამოსი)

ქართული ვარიანტი მიყვება სომხურს, ოღონდ ამოვარდნილია ერთი თაობა – გომერი, ამასთან თირასი (თარში) გამოცხადებულია თარგამოსის მამად, ისევე როგორც სომხურ ვარიანტში. *ბიბლიის* მიხედვით თარგამოსის მამაა არა თირასი, არამედ გომერი. გომერი და თირასი კი ძმები არიან, იაფეთის ძეები. სხვადასხვა აქვთ მიზანი ქართველ და სომეხ ავტორებს. ხორენაცი აგრძელებს ჰაიკის გენეალოგიას: 'ჰაიკმა შვა არამანეაკი, არამანეაკმა შვა არამაისი, არამაისმა შვა ამასია' (აბდალაძე 1984: 62) და ა.შ. ანუ მისი ამოცანაა სომეხ ეპონიმთა სიის დაზუსტება. ქართველი ავტორი კი ცდილობს კავკასიის ხალხთა საერთო წინაპრობა დაადასტუროს და ჩამოთვლის თარგამოსის რვა ძეს: პირველი ჰაოსი, მეორე

ქართლოსი და ა.შ. ხორენაცი წერს *სომხეთის ისტორიას*, რომელსაც არშაკუნთა მეფობის გაუქმებით ამთავრებს. *ქართლის ცხოვრება* კი სახელმწიფოს იდეოლოგიური ძეგლია, რომელსაც დასაწყისი ანუ კავკასიის საერთო წარმომავლობა შემდგომში კავკასიაში ქართველთა პრიმატის დასამტკიცებლად სჭირდება. შესაძლოა ქართველმა ავტორმა იცის კიდეც დარღვეული ბიბლიური სქემის შესახებ, მაგრამ ითვალისწინებს სომხურ ქრისტიანულ მწერლობას, სადაც სომხები თარგამოსის შთამომავლებად მიიჩნევიან. ამიტომ თუ ქართველ ავტორს სურს კავკასიელთა საერთო წარმომავლობა დაამტკიცოს ქართლოსი არა გომერის, ან ავანის, არამედ სწორედ თარგამოსის შვილად უნდა გამოაცხადოს. სომხურ წყაროებში ხშირად სომხეთს 'თორგომის სახლი' ეწოდება, სომხებს 'თორგომიანნი', სომხურ წელთაღრიცხვას კი 'თორგომიანთა წელთაღრიცხვა' (აბდალაძე 1982: 137).

ადრე შუა საუკუნეების ბიზანტიაში მეტად პოპულარული იყო გენეალოგიური სიების შედგენა, მათი შთამომავლობების დადგენა, რომელსაც სხვადასხვა ხალხები თარგმნიდნენ თავიანთ ენებზე (კეკელიძე 1956: 168). ასე ექვთიმე ათონელს (X ს. ბოლოს) უთარგმნია ქართულად იპოლიტე რომაელის (III ს.) და ეპიფანე კვიპრელის (IV ს.) შრომები თავისი ნაშრომისათვის „ხალხთა წარმომავლობის წიგნი". აქ ექვთიმე განსაკუთრებულ ინტერესს ქართველი ტომებისა და მათი მეზობლებისადმი იჩენს. ერთ ადგილას ის სომხებსა და ქართველებს სემის შთამომავლებად მიიჩნევს, სხვა ადგილას კი „სომეხნი ქუენანი" იაფეთის შთამომავლებად მოიხსენიებიან (კეკელიძე 1956: 171-172). იპოლიტე რომაელის ქრონიკაში სომხეთი იაფეთის ნაწილია, სომხები კი იაფეთის შთამომავლობას წარმოადგენენ. სომხებს იაფეთის მოდგმას უკავშირებენ ეპიფანე კვიპრელი და ევსები კესარიელიც. გიორგი ამარტოლი თავის „ქრონოგრაფიაში" (XI ს-ის ბოლოს და XII ს-ის დასაწყისში ითარგმნა ქართულად) იაფეთის წილხვდომილ ქვეყნად მიიჩნევს მცირე და დიდ სომხეთს (ყაუხჩიშვილი 1920: 21). ქართველები სემის შთამომავლები არიან ექვთიმე ათონელისა და ეპიფანე კვიპრელის მიხედვით. იპოლიტე რომაელთან და ევსები კესარიელთან სემისაგან შთამომავლობენ ჰურონი, ეპიფანე კვიპრელთან სემია მეგრელთა წინაპარიც.

საყურადღებოა იპოლიტე რომაელის სომხური თარგმანი (შესრულებულია 628-640 წლებში), რომელშიც იაფეთის შთამომავალნი არიან სომხებთან ერთად ქართველებიც. ანუ ზემოთ განხილულ ბიზანტიურ წყაროებში ქართველები და ქართველური ტომები ყველგან სემის შთამომავლებად მიიჩნევიან, სომხები კი იაფეთის. გამონაკლისია მხოლოდ იპოლიტეს ქრონიკის სომხური თარგმანი, სადაც ქართველებიც სომხებთან ერთად იაფეთის შთამომავლებად ითვლებიან. ეს, ვფიქრობთ, სომეხი მთარგმნელის ან შემდეგდროინდელი რედაქტორის "დამსახურებაა". *ქართლის ცხოვრების* ავტორი, რომელიც ალბათ იცნობდა როგორც ბიბლიურ ტრადიციას, ისე ბიზანტიურ მწერლობას, არ ითვალისწინებს მათ და სომხურ ტრადიციაზე დაყრდნობით იძლევა ეთნოგენეტიკურ სქემას. ეს უნდა აიხსნას არა სომხური ისტორიოგრაფიული გავლენით, არამედ ქართველი ავტორის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მიზნებით, რომელიც მის მიერ დასახულ გეგმაში გამოიხატება – დაასაბუთოს კავკასიელ ხალხთა საერთო წინაპრობა.

ამრიგად, მსგავსია ქართული და სომხური თხზულებების დასაწყისის სტრუქტურა, მაგრამ განსხვავებულია ავტორისეული ამოცანები. ქართველი ავტორის პოზიცია ფეოდალური საქართველოს ტერიტორიულ-პოლიტიკური პრეტენზიების გამომხატველია, მისი გავლენისა და ინტერესების სფეროში შემავალი ერების ურთიერთდამოკიდებულების ამსახველია და საბოლოოდ კავკასიის გამაერთიანებელი საქართველოს სახელმწიფოს კონსოლიდაციას ემსახურება (აბაშიძე 1993: 52-53), ხორენაცისეული კონცეფცია კი ჰაიკიდი, შემდეგ არშაკუნი მეფეების აღზევებასა და დამხობას ასახავს, რითაც ჯერ ბიბლიური სქემის გადმოცემით, შემდეგ კი მხოლოდ ჰაოსის გენეალოგიით იფარგლება.

ამის შემდეგ ქართული და სომხური თხზულებები ერთ ჭრილში ვითარდება: *ქართლის ცხოვრებაში* ჰაოსისა და მისი შვიდი ძმის (თარგამოსიანების) ანუ კავკასიელი ხალხების ბრძოლა გადმოცემულია ნებროთის (აქემენიანთა სპარსეთის მამამთავრის) წინააღმდეგ, რომელშიც გამარჯვებული ჰაოსი გამოდის. ხორენაცი კი წერს ჰაიკისა და მისი შვილების ბრძოლაზე ბელის წინააღმდეგ, ამასთან იქვე განმარტავს, რომ ბელი და ნებროთი

ერთი და იგივეა. ბრძოლის მიმდინარეობაც ერთნაირადაა აღწერილი, ოღონდ როგორც ზემოთ აღწერილ შემთხვევაში, ქართული თხზულების თხრობა უფრო ლაკონიურია, სომხურისა – ვრცელი. ბრძოლის ადგილიც ერთი და იგივეა – *ქართლის ცხოვრებაში* მასისის მთა, სომხურ თხზულებაში არარატის ქვეყანა. ხორენაცი დაწვრილებით აღწერს ჰაიკის სამხედრო აღჭურვილობას, ბრძოლის ადგილებს, ბელის ლაშქრის შემადგენლობას და სხვ. ერთნაირად მთავრდება ბრძოლა: ქართლის ცხოვრების მიხედვით – ჰაოსმა 'სტყორცნა ისარი და ჰკრა მკერდსა ნებროთისსა, ფიცარსა ზედა რვალისასა, და განვლო ზურგით. მაშინ დაეცა ნებროთ და იოტა ბანაკი მისი' (ყაუხჩიშვილი 1955: 7). ხორენაცის გადმოცემით: ჰაიკმა ..ბოლომდე მოზიდა ფართოკამაროვანი მშვილდი და სამფრთიანი ისარი მოახვედრა მას (ბელს) გულის ფიცარზე. ისარმა მის ზურგში გაატანა და ჩაერჭო მიწაში. . . იგი დაენარცხა მიწაზე და სული განუტევა (აბდალაძე 1984: 72). შემდეგ *ქართლის ცხოვრება* აგრძელებს ქართლოსის შვილების ისტორიას, ხორენაცი კი ჰაოსისა და ჰაიკიდი მეფეების გენეალოგიას. შემდეგ ერთი და იგივე ადგილას ხორენაცი წერს ალექსანდრე მაკედონელის მოსვლისა და არშაკუნი მეფეების ისტორიას, „ქართლის ცხოვრება" კი ალექსანდრე მაკედონელის მოსვლისა და ფარნავაზიანი მეფეების ცხოვრებას. ამგვარად, საერთო აქვს სტრუქტურა ქართული და სომხური თხზულებების დასაწყის ნაწილებს, მაგრამ განსხვავებულია ავტორისეული წერის მიზანი, პოზიციები.

ბიზანტიური და სომხური საისტორიო თხზულებათაგან განსხვავებით, *ქართლის ცხოვრებას* არ ასახელებს ავტორებს (გამონაკლისს წარმოადგენს სუმბატ დავითის ძის სახელდება), არ იმოწმებს წყაროებს. *ქართლის ცხოვრება* ანონიმური ისტორიაა, მიუხედავად იმ რამდენიმე სახელისა, რომლებსაც ორი ცნობილი მინაწერიდან ვიცნობთ და რომელთა ავტორობის, რედაქტორობისა თუ უბრალოდ გადამწერის სტატუსზე დავა დღემდე გრძელდება. საკუთრივ ქართლის ისტორიის კონტექსტში ანონიმის თხრობა ავტორიტეტულია და ის წყაროების დასახელებას არ საჭიროებს.

ამრიგად, ავტორის თვითცნობიერების საკითხში ჩვენს მიერ განხილული პარამეტრების მიხედვით ძველი სომხური ისტორიოგრაფია გამოკვეთილად ავტორისეული ისტორიაა, ისევე როგორც ბიზანტიური საისტორიო მწერლობა. მათგან სრულიად განსხვავებული – ანონიმური ტრადიციის მატარებელია მედიევალური ქართული ისტორიოგრაფია, კერძოდ, *ქართლის ცხოვრება*.

დამოწმებანი

აბაშიძე 1993: ე. აბაშიძე. „ქართლის ცხოვრების" წარმოქმნისა და განვითარების საკითხები, თბილისი (1993).

აბდალაძე 1984: ა. აბდალაძე. მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბილისი (1984).

ევსები 1858: Церковная история Евсевия Пмфила, Санкт-Петербург (1858).

კეკელიძე 1956: კ. კეკელიძე. ხალხთა კლასიფიკაციის საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი (1956).

კორიუნი 1994: Կորյուն. Վարք Մեսրոպ Մաշտոցի. Սրեվան (1994).

კრივუშინი 1998: К. Кривушин. Ранневизантийская церковная историография, Санкт-Петербург (1998).

კროჩე 1998: Б. Кроче. Теория и история историографии, Москва (1998).

ლუბარსკი 1978: Я. Любарский. Михаил Пселл. Личность и творчество, Москва (1978).

ლუბარსკი 1992: Я. Любарский. Продолжатель Феофана, Санкт-Петербург (1992).

პატარიძე და კვაჭანტირაძე 2005: ლ. პატარიძე, ე. კვაჭანტირაძე. „ქართლის ცხოვრების" შედარებითი ტიპოლოგია (საკითხის დასმისათვის), ანალები, №1, (2005).

სოკრატე სქოლასტიკოსი 1996: Сократ Схоластик. Церковная история, Москва (1996).

ტერ-დავთიანი და არევტაშიანი 2004: Агатангелос. История Армении. Перевод с древнеармянского, вступительная статья и комментарии К. Тер-Давтяна и С. Аревташяна, Ереван (2004).

ტერ-მკრტიჩიანი და კანაიანი 1909: Ագաթանգեղոս Պատմութիւն Հայոց. Աշխ. Ղ. Տեր-Մկրտչեան եւ Սմ. Կանայեանց. Տփղիս (1919).

ტერ-მკრტიჩიანი და მალხასიანი 1904: Ագաթանգեղոս Փարպեցւոյ Պատմութիւն Հայոց եւ Թուղթ առ Վահան Մամիկոնեան. Աշխ. Ղ. Տեր-Մկրտչեան եւ Ստ. Մալխասեան. Տփղիս (1904).

ყაუხჩიშვილი 1920: ს. ყაუხჩიშვილი. ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაი, ტფილისი (1920).

ყაუხჩიშვილი 1955: ს. ყაუხჩიშვილი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი (1955).

Author's Self-Consciousness and Ancient Armenian Historiography

Eka Kvachantiradze

Purpose of this article is identification of degree of author's self-consciousness in Armenian historiography: to what extent could be seen the author, with his ideological, political or moral world view in the historical narration, to what extent is formulated the purpose of writing of the history by him, as well as author's attitude towards historical sources, tradition; typological comparison of Armenian historical monuments with the Byzantine and Georgian historiography. In this respect, the work provides overview of Armenian historians: Agathangelos, Koryun, Movses Khorenatsi and Lazar Farbetsi; Byzantine historians: Eusebius of Caesaria, Socrates the Scholastic; Evagrius, follower of Theophanes, John Psellos and Georgian historiographical monument "Kartlis Tskhovreba" (History of Kartli).

With respect of author's self-consciousness, based on the considered parameters, ancient Armenian historiography is apparently author's version of history, similar to Byzantine historian writing. In studying of the issue of authorship of Armenian and Byzantine historians, we have the feeling that these are modern texts, i.e. they apply almost the same techniques and methods, as we do now – they collect the sources, compare and correlate them with one another, they do not write directly, but attempt to find the core of sense, find out the true history, they desire to show to the readers, that their works are trustworthy, what is based on reliability of various sources. Approach of Armenian and Byzantine historiography, with respect of stating of the author is similar as well. Almost in all cases we know the name of author of Armenian historic work; similarly, information of early Byzantine authors could be found in their works. Medieval Georgian historiography (*Kartlis Tskhovreba*) follows the different tradition – the one of anonymity.

სერობის წესები ქართულ მონასტრებში და სერობის ბოლოს 'ღმრთისმშობლისაჲს აღღების' ტრადიციაზე მიმანიშნებელი, XI-XIII საუკუნეების სატრაპეზოების ერთი არქიტექტურული დეტალი[1]

ლადო მირიანაშვილი

შუა საუკუნეების სამონასტრო ტიპიკონებში სატრაპეზოში ერთობლივი სერობის წესების დადგენას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. ეს შემთხვევითი არ არის, რადგან, წმიდა მამათა განმარტებით, მონასტრის სივრცეში ერთობლივი სერობა საკრებულო ეკლესიაში ჩატარებული წირვის ერთგვარ გაგრძელებად მოიაზრება. ერთობლივი სერობის მნიშვნელობის წარმოჩენას ემსახურებოდა სატრაპეზოს გაფორმებაც. სწორედ ამიტომაა აქტუალური სერობის წესთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა. ბიზანტიის იმპერიის მონასტრებთან მიმართებაში ამ ტიპის არაერთი გამოკვლევა არსებობს. სამწუხაროდ, შესაბამისი ქართული ტრადიციები მხოლოდ ეპიზოდურადაა შესწავლილი. წინამდებარე სტატია ქართული მონასტრების სატრაპეზოების მოწყობასთან და მათში სერობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებას ეძღვნება.

ჩვენამდე პრაქტიკულად სრულად და პირვანდელი სახით მოაღწია დავითგარეჯის ორი მონასტრის – 'უდაბნოსა'[2] და ბერთუბნის კლდეში ნაკვეთმა სატრაპეზოებმა, რომლებიც, შესაბამისად, XI საუკუნის დასწყისითა და XIII საუკუნის პირველი მეოთხედით თარიღდება. მათ არქიტექტურულ გეგმარებაში აისახა კონკრეტულად გარეჯის მრავალმთაში, ისევე როგორც სხვა ქართულ მონასტრებში, გარკვეულ საუკუნეებში მოქმედი სერობის წესები. თუ მხედველობაში მივიღებთ "უდაბნოსა" და ბერთუბნის მონასტრებში მოღვაწე ბერთა შესაძლო მაქსიმალურ რაოდენობას (მონასტრების სენაკთა რიცხვზე დაკვირვებით), ორივე მონასტრის სატრაპეზოები, თითქოსდა, საჭიროზე უფრო დიდია. ეს, განსაკუთრებით, ბერთუბნის შემთხვევაშია შესამჩნევი. იმის გათვალისწინებით, რომ ქვაბოვანი მონასტრების ზოგადი არქიტექტურული სტრუქტურა, ნაგები მონასტრის სტრუქტურასთან შედარებით, ცვლილებას ძნელად ექვემდებარება და ამიტომ უფრო კონსერვატულია, არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი წინაპრები სატრაპეზოების კლდეში კვეთისას, დარბაზის ზომებს არა იმჟამიერი მოთხოვნილების, არამედ სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით ადგენდნენ. იგულისხმება დროთა განმავლობაში მონასტრის შესაძლო გაფართოება, თუ ქტიტორს ამასთან დაკავშირებით რაიმე შეზღუდვა არ ექნებოდა დაწესებული. იმავდროულად, გასათვალისწინებელია სხვა გარემოებაც. კერძოდ, მონასტიციზმის საკითხებზე მომუშავე უცხოელმა მკვლევრებმა კარგა ხანია ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ შუა საუკუნეების ბიზანტიური მონასტრების ნაგები სატრაპეზოებიც იმაზე უფრო დიდია, ვიდრე ამას უშუალოდ მონასტერში მოღვაწე მოწესეთა რეალური რიცხოვნობა მოითხოვდა. დღეისათვის საყოველთაოდ გაზიარებული მოსაზრების თანახმად, საჭიროზე უფრო დიდი ზომის სატრაპეზოების აგებას ის განაპირობებდა, რომ კვირადღეს გამართულ ერთობლივ სერობაზე, კოენობიუმის ძმებთან ერთად, მონასტრის ფარგლებს გარეთ მოღვაწე მარტომყოფი ბერებიც ესწრებოდნენ. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელნი მონასტრის საკრებულო ეკლესიაში აღვლენილ ერთობლივ ლოცვებს შაბათის მწუხრისას უერთდებოდნენ, ხოლო კვირას, ზიარების შემდეგ, ძმობასთან ერთად სერობდნენ. მარტომყოფთა რაოდენობა, კენობიტური მონასტრის ტიპიკონით, მკაცრად იყო განსაზღვრული, რადგან მონასტერს არ ჰქონდა ფუფუნება იმაზე მეტი მარტომყოფი შეენახა, რის შესაძლებლობასაც შემოსავლები აძლევდა (მარტომყოფები, კოენობიუმის ძმებისაგან განსხვავებით, ერთობლივ შრომაში არ მონაწილეობენ და მხოლოდ წვრილმანი ხელსაქმით არიან დაკავებული). შესაბამისად, სატრაპეზოს მოცულობა მონასტერში მოსაგრე ზოგადმაცხოვრებელთა და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე მარტომყოფთა საერთო რიცხვის გათვალისწინებით შეირჩეოდა.

მარტომყოფთა ერთობლივ სერობაში მონაწილეობის წესი, როგორც ჩანს, ყოველთვის არ იყო დაცული. ასეთი დასკვნა 1189 წელს მეფე თამარის მიერ გელათის მონასტრისათვის გაგზავნილი სიგელის შინაარსის საფუძველზე გამოგვაქვს. სიგელის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ მოქმედი ტიპიკონის თანახმად, მონასტრის ფარგლებს გარეთ თორმეტი მწირის მოღვაწეობა იყო ნებადართული (ჟორდანია 1897: 73). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: 'მწირი – ესე არს უცხო ვინმე უცხოთა ადგილთა იყოფებოდეს და გამოიზრდებოდეს, გინა სულსა ზრდიდეს და წმიდათა ადგილთა მოილოცვიდეს'. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ციტირებულ სიგელში სიტყვა 'მწირი' მარტომყოფს უნდა აღნიშნავდეს, მით უფრო, რომ, ზოგადად, ტიპიკონით მხოლოდ კენობიტ და მარტომყოფ ბერთა რიცხვი დგინდებოდა. როგორც სიგელის ტექსტიდან ირკვევა, წინამძღვარი გელათის მონასტრისადმი დაქვემდებარებულ მწირებს ერთობლივ სერობაზე დასწრების უფლებას მხოლოდ საერო პირთა მიერ აღაპის გადახდის შემთხვევაში აძლევდა. მეფე თამარმა ასეთი დამოკიდებულება უსამართლობად მიიჩნია და შემდგომში ერთობლივ სერობაში უშუალოდ მონასტერში მოღვაწე ძმებთან ერთად თორმეტივე მწირის მონაწილეობა ბრძანა (ჟორდანია 1897: 73).

სატრაპეზოში სერობის წესების ანალიზის დაწყებამდე აუცილებლად უნდა ვახსენო, რომ იერუსალიმური ტიპიკონის ჩვენამდე მოღწეულ არცერთ ბერძნულ ხელნაწერში სერობის წესები გაწერილი არ არის (სკაბალანოვიჩი 1915: 63), სტუდიური ტიპიკონები კი მათ შესახებ სრულყოფილ მასალას გვაწვდის. ქვემოთ, სერობის წესებთან დაკავშირებით, რამდენჯერმე ვიმოწმებ შიოიმღვიმის ტიპიკონს, რომლის შედგენისას ამოსავალ ნიმუშს იერუსალიმური ტიპიკონი წარმოადგენდა. შიომღვიმის ტიპიკონში სერობის წესთან დაკავშირებული ხარვეზი, რაც იერუსალიმური ორიგინალიდან მომდინარეობდა, სტუდიური ტიპიკონის გამოყენებითაა შევსებული. შიომღვიმის ტიპიკონში, ფაქტობრივად, უცვლელად, უმნიშვნელო ტერმინოლოგიური გადახალისების შემდეგ, ჩაუმატებიათ გიორგი მთაწმინდელის მიერ შესრულებული *დიდი სვინაქსარის* ქართული თარგმანის შესაბამისი ნაწილი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ერთობლივი ტრაპეზი, ლიტურგიული თვალსაზრისით, მთავარ ეკლესიაში ჩატარებული წირვის გაგრძელებად მოიაზრება. წირვის დასრულების შემდეგ, მწყობრად დაწყობილი ბერების ეკლესიიდან სატრაპეზოსაკენ მსვლელობის ნახვა მონასტრებში დღესაც შეიძლება. პროცესიას წინ იმ დღეს მწირველი ხუცესი მიუძღვის. წინამძღოლს წინამძღვარი და წყვილად დაწყობილი ბერები მიჰყვებიან. სტუდიელთა (XI ს.), პანტოკრატორისა (XII ს.) და მწყალობელი ღვთისმშობლის (XII ს.) ბიზანტიური მონასტრების ტიპიკონებით განსაზღვრულია, რომ ბერებს სატრაპეზოსკენ მსვლელობისას 144-ე ფსალმუნი უნდა ეგალობათ. ეს სამადლობელ-სადიდებელი საგალობელია. ვფიქრობთ, შესაბამის პერიოდში იგივე წესი ქართულ მონასტრებშიც სრულდებოდა.

სატრაპეზო, ბიზანტიური ტრადიციის შესაბამისად, საკრებულო ეკლესიის სიახლოვეში, როგორც წესი, ეკლესიის დასავლეთით მდებარეობდა, თუმცა გამონაკლისებიც არსებობდა. ანალოგიური ტრადიცია გარეჯის მონასტრებშიც ჩანს, თუმცა იშვიათ გამონაკლისს აქაც აქვს ადგილი.

გარეჯისა და სხვა ქართული მონასტრების სატრაპეზოების გეგმა, მეტწილად, ჩრდილოეთ-სამხრეთი ღერძის გასწვრივ წაგრძელებული სწორკუთხედია,[3] რომელიც ნიშით ბოლოვდება[4] (ნახ. 1, 2 და 3. ამ ბოლო შემთხვევაში დარბაზი E-W ღერძის გასწვრივაა წაგრძელებული). მაგიდა ერთიანია, გრძელი, დიდ დარბაზებში – ორ-სამ რიგად განლაგებული.[5] ცენტრალური მაგიდის თავთან, ნიშაში, წინამძღვრის დასაბრძანებელია მოწყობილი. გარეჯის სატრაპეზოების მსგავსად, კაპადოკიის სატრაპეზოების მაგიდის თავშიც წინამძღვრის დასაბრძანებელი ნიშაა. ნიშაა სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის სატრაპეზოს მაგიდის თავთანაც, ოღონდ მასში წინამძღვრის დასაბრძანებელი სკამი კი არ დგას, არამედ ტრაპეზია აღმართული (ნახ. 5). ვერ მოუძებნა რა ახსნა სატრაპეზოში ტრაპეზის აღმართვას, ცნობილმა ინგლისელმა მკვლევარმა აზიზ ატიამ, ამ ნაგებობის თავდაპირველ დანიშნულებასთან დაკავშირებით, ეჭვი გამოთქვა: 'ზუსტად არაა ცნობილი, თუ რა თავდაპირველი ფუნქცია ჰქონდა ბიზანტიურ ხანაში აგებულ ამ შენობას: ის სატრაპეზო იყო თუ სამლოცველო. მის აღმოსავლეთ ნიშაში დღემდე ტრაპეზია აღმართული' (ატია 1952: 582). ამ საკითხს ოდნავ ქვემოთ დავუბრუნდები.



ნახ. 1–'უდაბნოს' მონასტრის სატრაპეზოს გეგმა



ნახ. 2 – ბერთუბნის მონასტრის სატრაპეზოს გეგმა



ნახ. 3 – 'მონასტრის' სატრაპეზოს გეგმა (II სართული)



ნახ. 4 – ვატოპედის მონასტრის სატრაპეზოს გეგმა

ძმობის წევრებს მაგიდასთან თავ-თავიანთი ადგილი ჰქონდათ მიჩენილი, შესაბამისად მათი პატივისა. ასეთი დასკვნის გამოტანა კონსტანტინოპოლის მწყალობელი ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის ტიპიკონში (XI ს.) შესული მუხლის საფუძველზე შეიძლება, რომლშიც ვკითხულობთ: 'უფლის წინაშე ვბრძანებ: ყველა ის, ვინც უკმაყოფილებას გამოთქვამს მაგიდასთან მის კუთვნილ ადგილთან დაკავშირებით, გაცილებით უფრო ნაკლებად საპატიო ადგილზე დაისვას' (ტიპიკონი 2000: 479). ასაკისა და პატივის მიუხედავად, ყველა ბერი ერთნაირ საკვებსა და თანასწორ ულუფას იღებდა: 'და ტრაპეზობისას . . . [უ]ხუცესსა ყოველთასა და ყოველთა უდარესსა ერთი და იგი და სწორიმცა [დაე]გების საჭმელიცა და სასუმელი და სხუაჲ ყოველივ[ე]' (ვაჰანის განგება 1939: 68). მონასტერში ბერებთან ერთად საერო პირებიც – მსახურები და ხელოსნები იმყოფებოდნენ. მსახურნი წარჩინებულთ ემსახურებოდნენ (მირიანაშვილი 2000: 48-49), ან სატრაპეზოს, სამზარეულოსა და სახაბაზოს სამსახურს აღასრულებდნენ (ვაჰანის განგება 1939: 64). ჩემი აზრით, საერო პირებისა და ბერებისათვის განსხვავებული კერძები მზადდებოდა და თანაც, ისინი ერთად არ ტრაპეზობდნენ. ამას მაფიქრებინებს წმ. იოანე და წმ. ეფთვიმე მთაწმიდელების *ცხოვრებაში* დაცული ცნობა, რომლის თანახმად მონასტერში მყოფი საერო პირებისათვის საჭმელი ცალკე მზადდებოდა. კერძოდ, წმ. გიორგი მთაწმიდელი მოგვითხრობს, რომ წმ. ეფთვიმე დროდადრო შედიოდა სამზარეულოში და ცეცხლზე შემოდგმული მომცრო ქოთნის დანახვისას მზარეულს ეკითხებოდა, თუ ვისთვის მზადდებოდა კერძი. თუ საჭმელი უძლურთათვის იყო

განკუთვნილი, არაფერს იტყოდა, ხოლო თუ ჯანმრთელი ბერის დასანაყრებლად იყო გამიზნული, კერძის გადაღვრას ან 'საერო საჭმელსა თანა' ჩასხმას უბრძანებდა (აბულაძე 1967: 79).

ნახ. 5 – წმ. ეკატერინეს მონასტრის სატრაპეზო

ნახ. 6 – 'უდაბნოს' მონასტრის სატრაპეზო

ნახ. 7 – სეროზა წმ. ეკატერინეს მონასტრის სატრაპეზოში. ბერძნული ხატიდან



ნახ. 8 – ვატოპედის მონასტრის სატრაპეზოს ინტერიერი

სერობის დროს ბერებს მდუმარება უნდა დაეცვათ. წმ. გიორგი მთაწმინდელი წერს: 'ტრაპეზსა ზედა ყოლადვე არა უბნობნ' (აბულაძე 1967: 75). 'ხოლო არავის ჴელეწიფების უბნობად და [მეტყუელებად] ურთიერთის ტრაპეზსა ზედა' (მუსხელიშვილი 1939: 67). მეტრაპეზეს წესის დამრღვევთა გაფრთხილება და ურჩობის შემთხვევაში სატრაპეზოდან გაძევებაც კი ევალებოდა (მუსხელიშვილი 1939: 67). ვაჰანის ქვაბთა განგებიდან ვგებულობთ, რომ 'ჯერ-არს რაჲთა ყოველთა ტრაპეზობათა წიგნი იკითხვოდის ყოველ[თა] დღეთა, ჟამსა ძმათა საზრდელისა მიღებისასა' (მუსხელიშვილი 1939: 67). აქვე დაცულია ცნობა იმის შესახებ, თუ ვინ შეირჩეოდა ხმამაღლა მკითხველად: 'ხოლო იკითხავს იგი, რომელიცა კანანახობისა მსგე[ფსსა ჰ]მსახურებდეს' (მუსხელიშვილი 1939: 67). დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში ტრაპეზის წესთან დაკავშირებით, არქიმანდრიტი ტარასი შემდეგ ცნობას გვაწვდის: "ტრაპეზის შესავალს კარის თავსა ზედა არს სამწიგნობრე,[6] სადაცა აღსდგების მწიგნობარი და იკითხავს სწავლასა, გინა მამათა ცხოვრებასა ჟამსა პურის ჭამისასა, და ისმენენ ძმანი მდუმარებით, ეგრეთ ვითარცა დავით გარეჯის ტრაპეზსა ზედა' (ნათლისმცემელი 1864: 73). მოყვანილი ცნობიდან ირკვევა,

რომ ნათლისმცემლის სატრაპეზოში სამწიგნობრე სამხრეთ მხარეს იყო მოთავსებული (სატრაპეზოს ერთადერთი შესასვლელი სამხრეთიდან აქვს). ამ ტრადიციისაგან განსხვავებით, სირიისა და ეგვიპტის მონასტრებში, მაგალითად, წმ. ეკატერინესა (სინა) და სირიელთა მონასტრის (ვადი ნატრუნი) ძველ სატრაპეზოებში, სამწიგნობრე აღმოსავლეთ მხარეს იდგა. ნათლისმცემელში სამწიგნობრის სამხრეთით დადგმას პრაქტიკული მოსაზრებით ავხსნი: ეს სატრაპეზო, დავითგარეჯის მონასტრების ქვაბთა უდიდესი ნაწილის მსგავსად, ღიობით სამხრეთისაკენ იხსნება. შესაბამისად, სამხრეთით მდგომ სამწიგნობრეზე დადებული წიგნი სინათლის მაქსიმალური ნაკადით განათდებოდა. ამის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დავითგარეჯის სხვა მონასტრებშიც სამწიგნობრე სამხრეთ მხარეს იდგა. არქიმანდრიტ ტარასის ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ყურადღებას იქცევს ცნობა, რომლის მიხედვით, სამწიგნობრე კარის თავს ზემოთ, ანუ შემაღლებულად იყო მოწყობილი. შემაღლებული სამწიგნობრე გამოსახულია ხატზე, რომლეზეც სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის სატრაპეზოა აღბეჭდილი (ნახ. 7). ასეთი სამწიგნობროების ნახვა ათონის მთის მონასტრებში დღესაც შეიძლება (ნახ. 8).

სატრაპეზოში სერობის დროს კითხვის წესს წმ. იოანე კასიანე (360-435) კაპადოკიურ ტრადიციას უკავშირებს:

> ჩვენ მოგვაწოდეს ცნობა, რომ კოენობიუმში ძმების სერობის დროს წმიდა წიგნის კითხვის წესი მომდინარეობს არა ეგვიპტური, არამედ კაპადოკიური ტრადიციიდან. ეჭვგარეშეა, რომ ეს წესი შემოიღეს არა იმდენად სულიერი წვრთნის მიზნით, არამედ იმისათვის, რომ ბოლო მოეღოთ ფუჭი საუბრებისა და, განსაკუთრებით, კამათისათვის, რაც ასე ხშირად აგორდება ხოლმე სერობის დროს; რადგან დაინახეს, რომ ამის სხვა გზით აღკვეთა ვერ ხერხდებოდა" (კასიანე 1989: წიგნი IV, თავი XVII).

სიჩუმის დაცვის მიზნით მონასტრებში, სპეციალურად, ეპიტირიტისის თანამდებობაც კი შემოიღეს, 'რომელ არს დამხედვარი, იარებოდის ტრაპეზთა ზედა და ამცნებდეს ძმათა დუმილსა' (კოჭლამაზაშვილი, გიუნაშვილი 2005: 193).

სერობის შემდეგ ნამუსრევი ერთად გროვდებოდა და უპოვართ ურიგდებოდათ. დაბეჭითებით შემიძლია ვთქვა, რომ ტიპიკონით დაკანონებული ეს წესი იესო ქრისტეს მიერ პურის გამრავლების ამბიდან მომდინარეობს. აი, რას ვკითხულობთ იოანეს სახარებაში: 'და ვითარცა განძღეს, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: შეკრიბეთ ნეშტი ეგე ნამუსრევი, რაჲთა წუმცა რაჲ წარწყმდების. ხოლო მათ შეკრიბეს და აღავსეს ათორმეტი გოდორი ნამუსრევითა ხუთთა მათ პურთაგან ქრთილისათა, რომელ დაუშთა მათ, რომელთა-იგი ჭამეს' (იოანე 6: 12-13).

დავითგარეჯის 'უდაბნოსა' და ბერთუბნის მონასტრების სატრაპეზოების გეგმარებაში ერთი გამორჩეული ელემენტია: სატრაპეზოს აღმოსავლეთ კედელში აფსიდია ნაკვეთი, მასში კი ტრაპეზია აღმართული (ნახ. 1, 2 და 6). უდაბნოს სატრაპეზოს აფსიდში ვედრებაა გამოსახული. იგივე სცენის ფრაგმენტებია შემორჩენილი ბერთუბნის სატრაპეზოს აფსიდშიც. ხელოვნებათმცოდნეებს გარეჯის სატრაპეზოებში ტრაპეზიანი აფსიდის არსებობის ფაქტი არაერთ სტატიაში აქვთ აღნიშნული, მაგრამ მისი საჭიროების ახსნა არცერთ მათგანს არ უცდია. სატრაპეზოში ტრაპეზის აღმართვა მხოლოდ გარეჯის მრავალმთის მონასტრების სატრაპეზოებისათვის არ არის სახასიათო. იგივეს ვხედავთ, მაგალითად, მდ. ხრამისა და ტორნეს ხევის შესართავთან მდებარე მონასტრის (XIII ს.) სატრაპეზოშიც (ნახ. 3). სატრაპეზოში ტრაპეზის აღმართვის შემთხვევა სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერშიც დასტურდება. ამ მონასტრის ძველი სატრაპეზოს აღმოსავლეთ კედელში ნიშაა, სადაც ტრაპეზია აღმართული (ატია 1952: 582) (ნახ. 5). ამასთან დაკავშირებით, ინგლისელმა მკვლევარმა აზიზ ატიამ გამოთქვა ვარაუდი, რომ აქ, თავდაპირველად, შესაძლოა, სამლოცველო ფუნქციონირებდა. თუ რა დანიშნულება ჰქონდა წმ. ეკატერინეს მონასტრის სატრაპეზოში აღმართულ ტრაპეზს ნათელი ხდება ინგლისელი მოგზაურის ჯონ ლოიდ სტივენსის ჩანაწერიდან, რომელშიც 1835 წლის დეკემბერში წმ. ეკატერინეს მონასტერში მისი სტუმრობაა აღწერილი:

> ოთახი, სადაც ვიტრაპეზეთ, ალბათ, სამოცი ფუტის სიგრძისა იქნებოდა. მის ერთ ბოლოში სამლოცველოა, რომელშიც ტრაპეზია აღმართული. იქვე დგას კათედრა, საიდანაც მთელი სერობის

> განმავლობაში ბერი წმიდათა ცხოვრებებს ხმამაღლა კითხულობდა. სერობის დასრულების შემდეგ ყველა ბერი ფეხზე წამოდგა, პირი მოიწმინდა და სამლოცველოსთან შეგროვდა. ორმა მათგანმა კმევა დაიწყო . . . ბერები იჩოქებდნენ, ლოცულობდნენ და გალობდნენ . . . ვიფიქრე, რომ პურის ჭამის შემდგომ სამადლობელ ლოცვას აღავლენდნენ . . . [თუმცა,] ეს, უბრალოდ, საიდუმლოს აღვლენის შემამზადებელი ცერემონიალი აღმოჩნდა. . . მეც მივირთვი ნაკურთხი პური და შევსვი ღვინო (სტივენსი 2008: 512).

ჯონ ლოიდ სტივენსმა ზემოთ აღწერილი რიტუალი ზიარებად მიიჩნია, რაც არასწორია. ინგლისელი მოგზაურის მიერ აღწერილი ცერემონია ყველა ნიშნით ე.წ. 'ღმრთისმშობლისაჲს აღღების' წესია, რომელიც ბერძნულ და ინგლისურ ლიტერატურაში 'პანაღიის ამაღლების' სახელითაა ცნობილი. მისი ქართული შესატყვისი წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ შესრულებული *დიდი სვინაქსარის* ქართული თარგმანიდან ავიღე, სადაც ვკითხულობთ: 'და ვითარცა ღმრთისმშობლისაჲ აღიღოს მეტრაპეზემან, აღდგენ ყოველნი და იწყონ [ფსალმუნება'. შემდგომ მოყვანილია ფს. 110, 4-10 და ფს. 121, 1-9 ტექსტები. ბლექუელის ქრისტიანული აღმოსავლეთის ლექსიკონი განმარტავს, რომ:

> ლიტურგიის შემდეგ, მეტრაპეზე სეფისკვერიდან ამოკვეთს სამკუთხა ნაწილს, რომელიც პანაღიად იწოდება. ის იჭრება შუაზე და იდება სინზე, გულით ზემოთ. სინი იდგმება პატარა მაგიდაზე სატრაპეზოში. ტრაპეზის დასრულების შემდეგ, მეტრაპეზე თავიდან მოიხდის კუნკულასა და სკუფიას და წარმოთქვამს: "დამლოცეთ წმიდა მამებო და მომიტევეთ მე ცოდვილს". ძმობა პასუხად ამბობს: "ღმერთმა მიგიტევოს და შეგიწყალოს." მეტრაპეზე პანაღიას თითების წვერებით იღებს, ასწევს მაღლა და ამბობს: "დიდია სახელი". პასუხად ისმის: "წმიდა სამების". ლოცვა შემდეგნაირად გრძელდება: "ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელო შეგვეწიე", რაზეც პასუხობენ: "მისი ლოცვით, უფალო, შეგვიწყალე და გვიხსენ ჩვენ". ძმობა ორ ტროპარს გალობს. ამასობაში მეტრაპეზე, რომელსაც გვერდში საცეცხლურიანი სასულიერო პირი მიჰყვება, ძმებს პანაღიას სთავაზობს. თითოეული მათგანი [პანაღიის] ნაწილს ცერითა და [საჩვენებელი] თითით იღებს, გაატარებს მას საკმევლის კვამლში და მიირთმევს (ბლექუელი 1999: 368).

სხვა წყარო აზუსტებს: ყველაზე ხშირად პანაღიის დასაბრძანებელი მაგიდა წინამძღვრის მაგიდის სიახლოვეში დგას. ამ მაგიდაზე პანაღიასთან ერთად იდება: ჭიქა ღვინით, საცეცხლური, ღმრთისმშობლის ხატი და ძველი აღთქმის სამების ხატი. კიდევ ერთი აღწერის მიხედვით, პანაღიის ნაწილს სამი თითით იღებენ, ღვინოში აწობენ, შემდეგ ამ ნაწილით საცეცხლურის ზემოდან ჯვარს გამოსახავენ და მიირთმევენ. 'უდაბნოს' მონასტრის სატრაპეზოს წინამძღვრის ნიშის ძირში მცირე ზომის ქვის მაგიდაა გამოკვეთილი, კიდურა, აღმოსავლეთ ნიშაში კი ძველი აღთქმის სამებაა გამოსახული. ვფიქრობთ, რომ გარეჯის ორი მონასტრისა და მდ. ხრამისა და ტორნეს ხევის შესართავთან მდებარე მონასტრის სატრაპეზოებში არსებული აფსიდები მათში აღმართული ტრაპეზით, 'ღმრთისმშობლისაჲს აღღების' წესის შესასრულებლად გამოიყენებოდა, ისევე როგორც ეს წმ. ეკატერინეს მონასტრის სატრაპეზოს შემთხვევაში დასტურდება.

იმისათვის, რომ 'ღმრთისმშობლისაჲს აღღების' წესში განსხეულებული ევქარისტიული ქმედება ჭეშმარიტი ევქარისტიისაგან გაემიჯნათ, 'ღმრთისმშობლისაჲს აღღების' წესს დიაკვანი, რიგითი ბერი და თვით მედავითნეც კი ასრულებდა (სკაბალანოვიჩი 1915, 71). სტუდიური და იერუსალიმური ტიპიკონების მიხედვით, მონასტრებში ტრაპეზის წესი ერთნაირია, ერთი განსხვავებით: სტუდიური ტიპიკონით დადგენილი წესით, 'ღმრთისმშობლისაჲს აღღება' ხდება, ხოლო იერუსალიმური ტიპიკონით 'ღმრთისმშობლისაჲს' ნაცვლად პურის ნატეხს აღიღებენ (სკაბალანოვიჩი 1915, 71).

საყურადღებოა, რომ სტუდიური ტიპიკონის მიხედვით, ღმრთისმშობელი მხოლოდ საღამოს სერობის დროს მოიხსენიება (სკაბალანოვიჩი 1915, 71). კონსტანტინოპოლის ქრისტე პანტოკრატორის მონასტრის ტიპიკონის თანახმად (XII ს.), 'ღმრთისმშობლისაჲს აღღება' დღეში ორჯერ, შუადღისა და მწუხრის სერობების დროს სრულდებოდა (ტომასი და ჰერო 2000: 747). რაც შეეხება შიომღვიმის ტრაპეზის ტიპიკონს, მასში 'ღმრთისმშობლისაჲს აღღება' მხოლოდ შუადღის სერობის დროს არის ნახსენები. შესაბამისად, 'ღმრთისმშობლისაჲს აღღების' სიხშირესთან დაკავშირებით, ყველა მონასტერს თავისი ინდივიდუალური წესი ჰქონია.

გასაოცრად ეხმიანება მონასტრის სატრაპეზოში სერობის დასრულებისას ბერების მიერ 'ღმრთისმშობლისაჲს აღღების' წესის შესრულება, ქართული ტრადიციული სუფრის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სადიდებელი სადღეგრძელოთი დასრულებას. ვფიქრობ, რომ ქართულ სუფრაზე დამკვიდრებულ ეს ტრადიცია არის საერო ცხოვრების ერთ კონკრეტულ ელემენტში არეკლილი 'ღმრთისმშობლისაჲს აღღების' წესის ანარეკლი, მით უფრო, რომ ეთნოლოგთა დაკვირვებით, ქართული სუფრის მოწყობისა თუ მიმდინარეობის ტრადიციებზე, ხშირად, ქრისტიანული წესების გავლენას ვხედავთ.

მართალია, 'ღმრთისმშობლისაჲს აღღების' წესის შესრულებას საკმაოდ ღრმა ისტორიული ფესვები აქვს, მაგრამ ის, რეალურად, სტუდიური ტიპიკონის მეშვეობით გავრცელდა. მანამდე, 'ღმრთისმშობლისაჲს აღღების' ნაცვლად, იერუსალიმური ტიპიკონით პურის ნატეხის 'აღღების' წესის შესრულება იყო დადგენილი (სკაბალანოვიჩი 1915). მიჩნეულია, რომ იერუსალიმური ტიპიკონი საქართველოში X საუკუნის დამლევამდე იყო ხმარებაში (კეკლიძე 1960: 575), თუმცა მისი გამოყენების ყველაზე გვიანდელი კვალი XI საუკუნის დამდეგის კალენდარშიც შეიმჩნევა. ამის შემდეგ, ხმარებაში შემოვიდა წმ. ექვთიმე მთაწმიდელის მიერ ნათარგმნი კონსტანტინოპოლური ტიპიკონის მოკლე რედაქცია და, მალევე, წმ.გიორგი მთაწმიდელის მიერ ნათარგმნი *დიდი სვინაქსარი*. ეს უკანასკნელი არის კონსტანტინოპოლური ტიპიკონის სრული რედაქცია, რომელშიც შესულია სტუდიური და ათონური ტიპიკონების ელემენტები (კეკლიძე 1960: 575). შერწყმული ტიპიკონი ხმარებიდან, საბოლოოდ, მხოლოდ XIV-XV საუკუნეებში განიდევნა (კეკელიძე 1960: 576). უფრო დიდი ალბათობით სავარაუდოა, რომ საქართველოს მონასტრებში 'ღმრთისმშობლისაჲს აღღების' წესის დამკვიდრება წმ. გიორგი მთაწმიდელის *დიდი სვინაქსარის* მეშვეობით მომხდარიყო. თუმცა, ამასთან დაკავშირებით, ჩნდება კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა წინამდებარე სტატიის ფარგლებში ვერ მოხერხდება, რადგან სპეციალურ კვლევას საჭიროებს. საქმე ისაა, რომ წმ.გიორგი მთაწმინდელს *დიდი სვინაქსარი* დეკანოზის ხარისხში ყოფნის დროს, 1042 წელს უთარგმნია (კეკელიძე 1960: 219, სქოლიო 6). შესაბამისად, ამ წესის შესრულებასთან დაკავშირებულ არქიტექტურულ ელემენტს სატრაპეზოს სივრცეში 1042 წელზე ადრე ვერ ჩართავდნენ. ეს კი წინააღმდეგობაში მოდის სხვებზე უფრო ძველი, "უდაბნოს" მონასტრის სატრაპეზოს გამოკვეთისა და მოხატვის საყოველთაოდ გაზიარებულ თარიღთან, რომელიც XI საუკუნის დასაწყისითაა განსაზღვრული (ვოლსკაია 1974: 83). მომავალი კვლევა, ალბათ, დააზუსტებს 'ღმრთისმშობლისაჲს აღღების' წესის საქართველოში შემოსვლისა, თუ 'უდაბნოს' სატრაპეზოს კლდეში გამოკვეთისა და მოხატვის თარიღებს.

შენიშვნები

[1] 2009 წლის 28 მაისს წინამდებარე სტატია მოხსენების სახით წავიკითხე ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის 9 აპრილის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე (2009 წლის 27–29 მაისი) სათაურით "დავითგარეჯის მონასტრებში ერთობლივი ტრაპეზის ძირითადი წესების რეკონსტრუქცია წერილობით წყაროებსა და XI-XIII საუკუნეების სატრაპეზოების გეგმარებაზე დაყრდნობით."

[2] 'უდაბნოს' მონასტრის დასახელებას ბრჭყალებში ამ დასახელების პირობითობის გამო ვათავსებ.

[3] დღეისათვის, 'უდაბნოს' მონასტრის სატრაპეზოს მთავარი დარბაზის გეგმა, სამხრეთი ნაწილის ჩამოქცევის გამო, თითქმის კვადრატულია. თავდაპირველად, ისიც ჩრდილო-სამხრეთი ღერძის გასწვრივ იყო წაგრძელებული.

[4] ათონის მთის მონასტრების სატრაპეზოებიც აღმოსავლეთ-დასავლეთი ან ჩრდილოეთ-სამხრეთი ღერძების გასწვრივ წაგრძელებული ერთნავიანი ნაგებობებია, რომლებიც გარეჯისაგან განსხვავებით, ნიშით კი არა, არამედ აფსიდით ბოლოვდება (ნახ. 4). აფსიდაში წინამძღვრის დასაჯდომია მოწყობილი.

[5] გარეჯის 'უდაბნოს' მონასტრის სატრაპეზოში დედაქანში ნაკვეთი მაგიდების ორი სრული რიგი და ერთიც რაღაცის (მესამე მაგიდის?) ნაშთია. ვ. წილოსანს თავის გეგმაზე (ნახ. 1) ეს ნაშთი დატანილი არ აქვს. მკვლევრები "უდაბნოს" სატრაპეზოში მაგიდების მხოლოდ ორი რიგის არსებობაზე მიუთითებენ. ორივე რიგის თავში თითო თაღოვანი ნიშაა. მათგან დასავლეთ ნიშაში წინამძღვრის დასაბრძანებელია მოწყობილი. უცნობია თუ ვინ იკავებდა ადგილს კედლის მიმდებარე აღმოსავლეთ ნიშაში. ბერთუბნის მონასტრის სატრაპეზოში დედაქანში ნაკვეთი მხოლოდ ერთი, ცენტრალური მაგიდა და კლდისავე მერხები შემორჩა.

[6] ფრაზა 'კარის თავსა ზედა' მიგვანიშნებს, რომ სამწიგნობრე შემაღლებული იყო. და მართლაც, 1603 წელს დაწერილ ბერძნულ ხატზე, რომელზეც წმ. ეკატერინეს მონასტრის ბერების სერობაა გამოსახული, 'მწიგნობარი ბერი'საკმაოდ მაღალი,

კამარის სიახლოვეში მდებარე კათედრიდან კითხულობს ხელნაწერს (ნახ. 7). ასეთივე მაღალი კათედრა დგას ათონის მთის ვატოპედის მონასტრის სატრაპეზოშიც (ნახ. 8. მარცხნივ, კედლის კუთხესთან, სამწიგნობრეა, რომელზეც კიბეა მიდგმული).

დამოწმებანი

აბულაძე 1967: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.). დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი. (1967).

ატია 1952: Atiya Aziz S., The Monastery of St. Catherine and the Mount Sinai Expedition. In: Proceedings of the American Philosophical Society, vol. 96, no. 5, October (1952).

ბლეკველი 1999: The Blackwell Dictionary of Eastern Christianity. Edited by K.Parry, D.J.Melling, D.Brady, S.H.Griffith & J.F.Healey. Blackwell Publishers, (2000).

ვოლსკაია 1974: А. Вольская, Росписи средневековых трапезных Грузии, Тб. (1974).

კასიანე 1989: John Cassian, The Twelve Books of John Cassian on the Institutes of the Coenobia, and the Remedies for the Eight Principal Faults. bk. IV. ch.XVII. in A Selected Library of the Nicene and Post-Nicene Fathers of the Christian Church, 2nd series, vol.XI, Edinburgh, (1989).

კეკელიძე 1960: კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი. (1960).

კოჭლამაზაშვილი, გიუნაშვილი 2005: ტიპიკონი შიომღვიმის მონასტრისა: XIII ს. ხელნაწერის ტექსტი. გამოსაცემად მოამზადეს ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა და ელგუჯა გიუნაშვილმა. თბილისი. (2005).

მირიანაშვილი 2000: ლ. მირიანაშვილი, სამონასტრო ცხოვრების თავისებურებანი XIX საუკუნის საქართველოში. კრებულში: ქრისტიანობა საქართველოში - ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები. რედ. ნინო აბაკელია და მარიამ ჩხარტიშვილი. თბილისი. (2000).

მუსხელიშვილი 1939: ლ. მუსხელიშვილი, ვახანის ქვაბთა განგება, ქართული სამართლის ძეგლები I, ტფილისი 1939.

ნათლისმცემელი 1864: ტ[არასი] ა[რქიმანდრიტი] "აღწერა საქართველოს მონასტერთა". "უდაბნო ღირსის მამისა ჩვენისა დავით გარეჯელისა". "უდაბნო წმიდისა წინამორბედისა იოანე ნათლისმცემლისა", საქართველოს სასულიერო მახარებელი, 1864, №9.

ჟორდანია 1897: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი II, ტფილისი (1897).

სკაბალანოვიჩი 1915: М.Скабалланович, Толковый типикон, вып. III , Киев (1915).

სტივენსი 2008: Lloyd Stephens John, Incidents of Travel in Egypt, Arabia Petraea and the Holy Land, vol.1. New-York 1838 (Reprinted by Cosimo Inc., 2008).

ტომასი და ჰერო 2000: Byzantine Monastic Foundation Documents: A Complete Translation of the Surviving Founders' Typika and Testaments. Edited by John Thomas and Angela Constantinides Hero, with the assistance of Giles Constable. Dumbarton Oaks, Washington (2000).

Rules for the Trapeza in the Georgian Monasteries, and a certain feature in the Layout of the 11th-13th Century Refectories Reflecting Tradition of the Lifting of the Panaghia in the end of Meals

Lado Mirianashvili

Two rock-cut refectories of High Middle Ages survive at the cave monasteries of Udabno and Bertubani in the Davit-Gareji desert. Refectory of Udabno dates to the beginning of the 11th century and that of Bertubani – to the second decade of the 13th century. Layout of these refectories survives essentially unaltered today. This gives opportunity to study structure of a medieval dining hall and even to reconstruct certain peculiarities associated with *trapeza* in it. This is essential as the *typika* of the Davit-Gareji monasteries are lost.

In architectural plan, medieval refectory in Georgia was an elongated rectangular hall (Ground plan of the refectory at Udabno monastery lacks this feature, as the southern half of the hall collapsed). The hall was often oriented north-south. There was a large niche at the north end of the hall. It held a seat for the father superior. The niche was decorated with wall paintings. Several rows of elongated tables and benches stood parallel to the lengthwise walls of the refectory. Tables in the refectories of Udabno and Bertubani cave monasteries are carved from stone. As the benches did not survive, I consider that they were of wood. Monks, according to their rank, set in order at their appointed places. The father superior set at the head of the central table. His chair was at the same

level as the benches for the brotherhood members. A reader's pulpit stood in the refectory. A monk read from the New Testament and from other sacred texts, while the monks dined in silence. John Cassian mentions the same tradition in his work on the institutes of the coenobia, and notes that it had originated in the Cappadocian monasteries. According to the 13th century *typikon* of the Georgian monastery of Vahani, reading of sacred texts in the refectory was the obligation of a monk who was the leading chanter during that week. As the stone furniture of Udabno and Bertubani refectories lacks stone pulpit, I consider that it was made of wood. According to the 19th century description of the refectory at Natlismtsemeli Monastery, also in Davit-Gareji desert, an elevated pulpit stood at the south end of the hall, over the entrance. The same location of the pulpit is applicable in case of Udabno and Bertubani refectories, as the light enters the caves exclusively from the south.

Food in the Georgian monasteries was simple. Based on the Life of St. Ioannes and St. Euthymos (the both from the Georgian monastery of Iveron on Mount Athos), I assume that a separate meal was prepared for the laymen who laboured in the monastery. The Life mentions that St. Euthymos in a rank of the father superior used to visit the kitchen. Each time, when he noticed a small pot over the fire, he will ask for whom the food was cooked. If he learned that the meal was for a sick monk, he will not say anything; but if the food was for the healthy monk, he would order to pour it out on the ground or to empty the pot into "a meal prepared for the laymen".

It is well known that the monastic refectories in Eastern Christendom were bifunctional buildings, where apart from holding communal meals, prayers were read. There is an apse-shaped niche with the alter table in the east wall of the refectories in Udabno and Bertubani, as well as in "Monasteri". We lack accounts about the rite performed at the niche of the above-mentioned refectories. I suppose that the main ceremony conducted at the apse was the Elevation or Lifting of the Panaghia. To back up this assumption, I adduce account from the diary of Lloyd Stephens John (19th century), about his visit to the Monastery of St. Catherine on Sinai, with which Georgian monks maintained close contacts, as well as the *typikon* of Shio-Mgvime Monastery in Georgia. The pilgrim writes that he was invited to dine with monks. After dinner the monks approached the altar, which stood at one end of the refectory. "They kneeled, prayed, and chanted and went through a long routine of ceremonies." The consecrated bread and wine were distributed at the end of the ceremony. Lloyd Stephens John considered it a sacrament. Actually this was the rite of the Lifting of the Panagia. In the surviving 13th century *typikon* of Shio-Mgvime we find an account about practicing this rite after *trapeza*. According to the text, the Panaghia was Lifted by the refectorian, and psalms 110: 4-10 and 121:1-9 were chanted during the ceremony. As this part of the *typikon* was translated from Greek into Georgian by Giorgi Mtatsmindeli (the Athonite) in 1042, I consider that the tradition of the Lifting of the Panaghia was introduced in Georgian monasteries after 1042 (Earlier, there existed the Jerusalem rite of lifting the consecrated bread).

I suggest that the reflection of a ceremony of the Lifting of the Panagia can be traced in the deeply-rooted Georgian folk tradition, according to which the very last toast at a banquet is always proposed for the Mother of God. With this toast *tamada* (i.e. head of the banquet) pleads the Mother of God for the protection of the host's family, in the first place, and next for the protection of all the guests. The guests depart after the toasting. This is a helpful hint to the ethnographers who have noted many similarities between rules of the traditional Georgian banquet and *trapeza* at the monasteries.

მეფე დავით IV-ის 'აღმაშენებლად' მოხსენიების პირველი ოფიციალური პრეცედენტები

ნიკოლოზ ჟღენტი

დავით აღმაშენებელს, მისი საოცრად წარმატებული მოღვაწეობის გამო, მრავალი დიდებული ეპითეტით ამკობდნენ როგორც თანამედროვენი, ისე სხვა დროის ქართველები.

დავითის თანამედროვე მემატიანე, რომელიც ისტორიოგრაფიაში 'დავითის ისტორიკოსადაა' ცნობილი, მეფეს 'ყოვლად ბრძენი მეფის', 'ძლიერის' და 'დიდის' ეპითეტებით ამკობს. მისივე თანამედროვე არსენი ბერი მას უწოდებს 'ბრძენს', 'მზეს', 'ბრწყინვალეს'. მოგვიანებით, 'თამარის ისტორიკოსი და ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე (XIII ს.) მას 'დიდ დავითს' უწოდებენ. XIV ს-ის მემატიანე ჟამთააღმწერელი დავითს მოიხსენიებს როგორც 'დიდი და სახელოვან' ხელმწიფეებს შორის 'უმეტეს განთქმულ' მეფეს .

თუმცა, 'აღმაშენებლად' დავით მეფეს არ იხსენიებენ აღნიშნული XII-XIV სს-ის საისტორიო თხზულებები, დოკუმენტური და სხვა წყაროები (გოგოლაძე 1989: 43).

წინამდებარე ნაშრომში, ხუთ საისტორიო წყაროზე დაყრდნობით, მსურს წარმოვაჩინო მეფე დავითის ეპითეტის – 'აღმაშენებლის' (რომელიც მის უმთავრესს ზედწოდებად დამკვიდრდა) შემოღების პირველი დოკუმენტურად დაფიქსირებული ოფიციალური შემთხვევები.

ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია აზრი, რომ დავით IV-ის 'აღმაშენებლად' პირველად იწოდება XV ს-ში, კერძოდ, ბაგრატ მეფეთ მეფის გაცემულ ავჟანდაძეთა 1452 წ-ის სასისხლო სიგელში (გოგოლაძე 1989: 44), რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება შიფრით Sd-521. ამ საბუთს ქვემოთ განვიხილავ, თავდაპირველად კი მიზანშეწონილად მიმაჩნია ყურადღება ერთ, უფრო ძველ, საისტორიო წყაროზე გავამახვილო, კერძოდ, სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანეზე.

გერგეტის სამების „მატიანე მოსაჴსენებელი სულთაჲ"

გერგეტის სამების „მატიანე მოსაჴსენებელი სულთაჲ" ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა მრავალი თვალსაზრისით.

ამ შემთხვევაში კი ყურადღება მინდა გავამახვილო ამ ძეგლის უძველეს ნაწილზე, საქართველოს მეფეთა მოსახსენებელის ძველ ფენაზე, რომელიც იწყება მირიან მეფის მოსახსენებლით და მთავრდება დავით აღმაშენებლის მოსახსენებლით. მომყავს ჩვენთვის საინტერესო ნაწილი ამ მოსახსენებლიდან:

„სული დიდისა დავით აღმაშენებელისაჲ კურთხეულ იყავნ უკუნისამდე." (შარაშიძე 1954: 264)

წყაროს გამომცემელმა ქ. შარაშიძემ მატიანის ტექსტის ეს უძველესი ნაწილი, სადაც მეფე დავითი უკვე „აღმაშენებლად" იწოდება, პალეოგრაფიულად XV ს-ის პირველი ათწლეულით დაათარიღა (შარაშიძე 1954: 219, 228-229). ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ უკვე XV ს-ის პირველი ათწლეულისთვის დავით IV „აღმაშენებლად" იწოდება. ასევე, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ წყაროს სახით ჩვენ საქმე გვქონდეს დავით მეფის ამ ზედწოდებით მოხსენიების პირველ პრეცედენტთან, თუმცა, ჩვენს წინაშეა კიდევ ერთი, გერგეტის სულთა მატიანის მსგავსი ტიპის და თანადროული წყარო, სადაც ანალოგიურ სურათს ვხედავთ.

სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე

ამ საისტორიო ძეგლის ტექსტის დასაწყისში მოთავსებულია მეფეთა მოსახსენებლები, სადაც, მეფე მირიანისა და ვახტანგ გორგასლის შემდეგ გვხვდება მეფე დავითის მოსახსენებელი. მომყავს ტექსტი: 'ს(უ)ლსა მეფისა დავით **აღმაშენებ(ე)ლ|ისასა** შ(ეუ)ნდოს ღ(მერთმა)ნ' (კლდიაშვილი 2008: 162).

ამ წყაროს გამომცემელი დ. კლდიაშვილი ძეგლის ჩვენთვის საინტერესო ნაწილს XV ს-ის პირველ ათწლეულში შედგენილად მიიჩნევს (კლდიაშვილი 2008: 61).

როგორც ვხედავთ, მეფე დავითი XV ს-ის დასაწყისში უკვე 'აღმაშენებლადაა' მოხსენიებული. ამ საკითხის შესახებ დ. კლდიაშვილი შენიშნავს შემდეგს:

> აღმაშენებელი ამ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს მაშენებელს. სწორედ ასევე იწოდება ჯვრის მონასტრის მაშენებელი და მისი პირველი წინამძღვარი პროხორე სინას სულთა მატიანის მოსახსენებელში (პროხორე ჯუარისა აღმაშენებელისა საუკუნო იყავნ ჴსენება მისი - Sin. Georg. 77, 197r). აღმაშენებელი დავითის მიმართ მოსახსენებელში ასევე მაშენებლის მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს (კლდიაშვილი 2008: 57).

აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე წყაროში 'აღმაშენებლად', კერძოდ, ჭანცთის იწოდება წმ. გრიგოლ ხანცთელიც (კლდიაშვილი 2008: 179).

მე არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ წმ. პროხორესა და გრიგოლის მოსახსენებელში, დავით მეფის მოსახსენებლისგან განსხვავებით, დაკონკრეტებულია, თუ რისი აღმაშენებელია მოხსენიებული პიროვნება. მიუხედავად იმისა, რომ სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა წმ. გიორგის ეკლესიის აშენება სწორედ მეფე დავითს უკავშირდება, მის მოსახსენებელში ეს მომენტი არაა დაკონკრეტებული, რაც უნდა მიგვითითებდეს იმაზე, რომ დავითი და ეს ორი ისტორიული პირი ერთი მეტსახელით, მაგრამ განსხვავებულ კონტექსტში არიან მოხსენიებულნი.

ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ზემო მოყვანილ გერგეტის სულთა მატიანეში დავითის „აღმაშენებლად" მოხსენიება ხდება იგივე პერიოდში და იმ მონასტერთან დაკავშირებით, რომლის აგებასთანაც დავით მეფეს არანაირი კავშირი არ ჰქონია.

ამ არგუმენტაციაზე დაყრდნობით გამომაქვს დასკვნა, რომ გერგეტისა და სინას მთის სულთა მატიანეებში დავით მეფის მოსახსენებლის შექმნისას, ანუ XV ს-ის პირველი ათწლეულისთვის, 'აღმაშენებელი' უკვე დამკვიდრებული იყო დავითის მთავარ ზედწოდებად, ხოლო მსგავსი სახით სხვა პირების მოხსენიება, რასთანაც საქმე გვაქვს სინას მთის სულთა მატიანეში, ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ავჟანდაძეთა სასისხლო სიგელი

რაც შეეხება ავჟანდაძეთა სასისხლო სიგელს. ეს საბუთი პირველად მ. ბროსემ გამოსცა ფრანგულად 1858 წ-ს (ბროსე 1858: XCIII), ქართული ტექსტი კი ჯერ თ. ჟორდანიამ 1897 წ-ს (ჟორდანია 1897: 264-266), ხოლო შემდეგ ექ. თაყაიშვილმა 1909 წ-ს (თაყაიშვილი 1909: 41-44).

მომყავს Sd-521 სიგელის ტექსტის შემოკლებული, ჩვენთვის საინტერესო ნაწილი:

> მეფემან ღმრთივ გვირ|[გვირგვინოსან]მან, ღმრთივ აღმაღლებ|[ულმან], ღმრთივ დამყარებულმან, ძლი|[ერმან](ან ძლევით) უძლეველმან, იესიან-დავითია|[ნ]-ბაგრატიონ-სოლომონიონ, რანთა, | [ა]ფხაზთა, სომეხთა მეფეთა, შანშე და შა[რვ]|ანშე, ამე ორის ტახტის და სამეფოსა, აღ|[მოს]ავლეთისა ვიდრე დასავლეთამდის, თუით მტ|[კიც]ედ ფლობით მპყრობელისა, ქრისტეს ღმრთ|[ისა] მიერ სულკურთხეულისა მეფეთ-მეფისა დემე|ტრესი ძემან პატრონმან აღმაშენებელმან || კოსტანტილე და დედათა-დედამან ჩემან პატრონ|მან გულაშარ, ესე მტკიცე უქცეველი | ... ფლებელი (სიც), დრო დაუდებელი და მიზეზ|შემ|ლი]ლი და სულისა წმიდისა ჩუენ ღმრთივ გუი|[რგუ]ინოსანმან ძ<ე>ლიერმან და უძლეველმან, მეფე|თ-მეფემან ბაგრატ, ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქ|[ა]რთველთა, კახთა და სომეხთა მეფისა, იესიან-დავითიან|-[სიბრ]ძნითა სოლომონიან, შანშე და შარვანშე, ყო|[ვ]ლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა და ჩრდილ|ოეთისა საკელმწიფოსა მპყრობელმან, კუალად[ვე] | მისი სული კურთხეულისა მეფეთა-მეფისა ბაგრატისა | და დედოფალთა-დედოფლისამან ელენე, მოსდეგი | ჩუენისა კარზედან თქუენ ჩუენი ერთგული | და ერთგულად მოსამსახურე ჩუენი მკვიდრი. | **ოდეს დარუბანდით გამოვიდა ავჟანდაძის გუა|რის კაცი დიდად ნამსახური ნეფისა (sic), როდეს აღმაშენებე|ლი გელათს აშენებდა და გალავნიდაღმა გარდ|მოვარდა, სამას და ხუთი აქიმი მოასხეს და ვერა უშ|ველეს. მაშინღა სხუა ერთი აქიმი მოვიდა ყოველთასა უკანის ბოლოსა, მანასრე თქუა:**

თუ არა | ირმის რბეშიგან დავაწუენთო, არა ეშველების რ|აო. ენეს მოკითხული, შეღონდეს. წამოდგა კაცი, ესრეთ | [თ]ქუა: ავჟანდაძესა უთქსო თორმეტი ფური ირმი (sic) | მეწველიო, სხუა ქუეყანასა ზედან არ იშოებოდა. მოიღო ავჟანდაძემან, იპრიანა ღმერთმან, და||რჩა აღმაშენებელი.

შეგიწყალენით ავჟანდაძე|ნი არჯუევან სკანდას დაღმა და გოგს დაღმა, სადა ძევრისა წყალი შერთვის ყვირილასა ფისისანს და ჩხარა|ს, მას დაღმა სატყისმცველო წყალობად მიგვიცე|მია ავჟანდაძისათვის. მას უკანა დაგვეაჯუენით რათამ|ცა თქვენი ძუელი სიგელი გაგიახლეთ. შეგი|წყალეთ და გიბოძეთ ახალი სიგელი სასისხლო | თქვენ და მომავალთა ყოველთავე, ჩუენ მეფეთ-მეფე|მან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა-დედოფალმან ელენე შეგიწყალეთ დაგიბოძეთ | მტკიცე და უცვალებელი სასისხლო სიგელი, მოკითხული ვქენით და ძველიცა გაჩენილი იყო ლიონ მეფისა|გან, აწ ჩვენც გაგიახლეთ და დაგიმკუიდრეთ... დაიწერა სიგელი ესე ქრონიკო|ნსა ასორმოცსა და ინდიქტიონსა მეფობასა | ჩვენისასა მეათესა, ჴელითა დაიწერა მთავარ|ეფისკოპოზისა დავითისთა.

ჩვენთვის აქტუალური საკითხის დასადგენად უნდა განისაზღვროს ავჟანდაძეთა სიგელის სტატუსი (ოფიციალურია თუ ნაყალბევი) და მისი გაცემის თარიღი.

მ. ბროსეს მიაჩნდა, რომ ამ სიგელში ცდომილება იყო ქრონოლოგიაში (ბროსე 1858) (ბროსე 1858: XCIII).

თ. ჟორდანიასაც სიგელი ყალბად მიაჩნდა:

> 1452 წელს მეფედ არ იჯდა ბაგრატი და მით უმეტეს მისაღები არ არის, ვითომ 1452 წელი იყოს მეათე წელი ბაგრატ II-ის მეფობისა; 2) დემეტრეს ძე კოსტანტინე მეფე არ ყოფილა;[1] 3) თჳთ სათაურში არეულია ცნობები და ზოგან უაზრო; უკანასკნელ შინაარსი გუჯრისა ზღაპრულია: დავით აღმაშენებლის გელათის გალავნიდამ გადმოვარდნა და მისი მორჩენა ირმის რბეში ბანებით და სხვ.“ (ჟორდანია 1897: 264-265).

ე. თაყაიშვილი ავჟანდაძეთა სიგელს ყალბად არ თვლის იმის გამო, რომ მას, მ. ბროსესა და თ. ჟორდანიასგან განსხვავებით, კარგ ტყავზე დაწერილი XV ს-ის ხელით შესრულებული საბუთის დედანი ჰქონდა ხელთ. თუმცა, ექ. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ სიგელის თარიღი (1452 წ.) არაა სწორი. მისი აზრით საბუთი უნდა იყოს 1475 წ-ის, რადგან საბუთის ბოლოს აღნიშნულია, რომ 1452 წ. იყო ბაგრატის მეფობის მეათე ინდიქტიონი, ხოლო ბაგრატი 1465 წ-ს გამეფებულაო. ტექსტის არარეალურობა კი სიყალბის ნიშნად არ მიაჩნია (თაყაიშვილი 1909: 41-42) .[2]

ს. კაკაბაძის აზრით:

> სიგელი არ უნდა იყოს თვით დედანი, არამედ მე-16 საუკუნეში შესრულებული პირი. სიგელი, როგორც სჩანს, თავდაპირველად მიცემული ყოფილა მეფის კოსტანტინე დიმირტის ძის და მისი დედის გულაშარის მიერ, შემდეგ განმეორებული ან დამტკიცებული მეფის ბაგრატის გიორგის ძის მიერ. მე-16 საუკუნეში სიგელის პირის შესრულებისას ამ გარემოებამ ჰოვა სიგელის შესავალში თავისებური, ზემოთ ნაჩვენები გამოხატულება. საყურადღებოა, რომ სიგელში თვით ბაგრატიც სულკურთხეულად არის ნახსენები („კუალადვე მისი სულიკურთხეულისა მეფეთა მეფისა ბაგრატისა დედოფალთა დედოფლისამან ელენე, მოსდეგი ჩუენსა კარზედან“....) ეს გარემოება უნდა ადასტურებდეს ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სიგელი არ არის თვით ასლი, არამედ შემდეგ შესრულებული პირი ...ავშანდაძეთა სიგელი არის უაღრესად საყურადღებო. სიგელში მოხსენებულია, რომ „მოკითხული ვქენით (ავშანდაძეთ სისხლი) და ძველიცა გაჩენილი იყო ლიონ მეფისაგან, აწ ჩუენცა გაგიახლეთ“-ო. აქ მაშასადამე ჩვენ გვაქვს დადასტურება სასისხლო სიგელის მიცემისა ლეონ მეფის დროს (საფიქრებელია ლეონ აფხაზთა მეფე 957-967 წ.) რაც წარმოადგენს უძველესს ჯერჯერობით ცნობილ ფაქტს საქართველოში სასისხლო სიგელის გაცემის შესახებ. ამას გარდა სიგელი შეიცავს საყურადღებო გადმოცემას დავით აღმაშენებელის გელათის გალავნიდან გადმოვარდნის შესახებ. დავით აღმაშენებლის დროს, როგორც სჩანს, ავშანდაძეს ებოძა სატყის მცველო სკანდას დაღმა და გოგს დაღმა, ფისისანს და ჩხარას.“ (კაკაბაძე 1924: 63-64).

ი. ჯავახიშვილი არ იზიარებდა ე. თაყაიშვილის და ს. კაკაბაძის აზრს[4] და ავჟანდაძეთა სასისხლო სიგელს, ტექსტის ‘ზღაპრულობის’ და სხვა მიზეზების გამო, ნაყალბევად აცხადებდა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ერთ-ერთი მიზეზი:

ფრიად დამახასიათებელია აგრეთვე, რომ გელათის აღმაშენებელი, რომელიც გალავნითგანაც კი გადავარდნილა და მბიმედ დაშავებულა, სიგლის თხრობაში უსახელოდ იხსენიება და მხოლოდ „აღმაშენებლად" იწოდება. მართალია, გელათის აღმაშენებლის სახელი ყველამ იცოდა და იცის, **მაგრამ მეფეთა სიგელში წარმოუდგენელია დავით აღმაშენებელი ასე უდიერად მოეხსენებიოს ვისმე და ძმაბიჭურად აღმაშენებლად ეწოდებინოთ**. უეჭველია, შემთხვევითი გარემოება არ უნდა იყოს, რომ გელათის გალავნითგან გადმოვარდნილი მისი აღმაშენებელი უსახელოდ იხსენიება: ეს ამ სიგლის შემთხზველის ოსტატობით აიხსნება, რომ მკითხველს, რომელსაც ისტორიაში დავით აღმაშენებლის შესახებ არაფერი ამის მსგავსი ამოკითხული არ ჰქონდა, მონათხრობის სიმართლის ეჭვი არ აღძვროდა (ჯავახიშვილი 1996: 512-514).

ზ. ჭუმბურიძე ამ საბუთის ტექსტის განხილვისას ყურადღებას ამახვილებს ერთ კონკრეტულ ლექსიკურ ერთეულზე, ვულგარიზმზე, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ მიზეზს რის მიხედვითაც ი. ჯავახიშვილი ამ საბუთს ყალბად მიიჩნევდა (ჯავახიშვილი 1996: 514). გარკვეული მსჯელობის და ანალიზის შემდეგ, ზ. ჭუმბურიძე მხოლოდ აფიქსირებს მის აზრს, რომ ამ ვულგარიზმზე დაყრდნობით შეუძლებელია დადგინდეს საბუთის ნამდვილობა ნაყალბევობის საკითხი (ჭუმბურიძე 2006: 365-372).

ზემოდასახელებულ მეცნიერთა ნაწილის მსგავსად, ავჟანდაძეთა საბუთს მეც ნაყალბევად მივიჩნევ.

აღსანიშნავია, რომ სასისხლო სიგელები გვიანდელი მოვლენაა და მჭიდროდ უკავშირდება ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის პროცესთან დაკავშირებულ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს. ფეოდალთათვის საჭირო გახდა დამატებითი ოფიციალური იმუნიტეტის შექმნა, რაც მოხერხდა სასისხლო სიგელების შემოღებით[5] ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ხშირი ადგილი ექნებოდა ყალბი სასისხლო სიგელების შექმნას.[6]

ჩემი აზრით, ავჟანდაძეების სასისხლო სიგელის ნაყალბევობა კიდევ რამდენიმე მიზეზით მტკიცდება.

ჯერ უნდა აღინიშნოს, რომ საბუთის ტექსტის მიხედვით, ავჟანდაძეებს ლეონ მეფის[7] დროინდელი სასისხლო სიგელიც ჰქონდათ. ეს აშკარა სიცრუეა, რადგან როგორც ზემოთაც აღვნიშნე, სასისხლო სიგელები გვიანი პერიოდის მოვლენაა და მათი გაჩენის თარიღი XIV ს-ის შუა ხანებზე ადრე ვერ გადაიწევს.

ტექსტის მიხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ საბუთს გასცემს მეფე ბაგრატი, მეფე კონსტანტინე, დემეტრეს ძესთან, ერთად. თუმცა, როგორც თ. ჟორდანიაც სამართლიანად შენიშნავს, 1452 წ-ს ბაგრატი ჯერ მეფე არ ყოფილა. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ბაგრატის გაცემული 1466 წ-ის სიგელის ბოლო ნაწილი, სადაც ვკითხულობთ: „*დაიწერა... ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა :იბ: ქკ ̃ს :რნდ: ქელითა ფრიად ცოდვილისა მახარობლისათა...*"(ჟორდანია 1897: 288). გამოდის, რომ 1466 წ-ს, ბაგრატი, ანგარიშობდა მისი გამეფებიდან მე-12 (იბ) წელს, მაშასადამე იმერეთში იგი უნდა გამეფებულიყო, სავარაუდოდ, 1455/56 წლებში.[8]

რაც შეეხება კონსტანტინეს, არაა გამოსარიცხი, რომ იგი 1452 წ-ს, მამის გარდაცვალების შემდეგ,[9] უკვე მეფე ყოფილიყო,[10] რადგან მისი მამა დემეტრეც მეფის ტიტულს ატარებდა. ამგვარი მოვლენა, როცა ფორმალურად ჯერ კიდევ ერთიან სამეფოში იყვნენ ერთი მთავარი მეფე და დანარჩენი „პროვინციის მეფეები", განსაკუთრებით გამოვლინდა სწორედ XV საუკუნეში (ნინიძე 1995).

მეფე ბაგრატი და მეფე კონსტანტინე მუდმივად ებრძოდნენ ერთმანეთს, თუმცა, იყო მცირე პერიოდი, როდესაც ისინი დაზავებულნი იყვნენ. ერთადერთ ცნობას ამ კავშირის შესახებ ვხვდებით 1468 წ-ის ერთ საბუთში, რომელსაც გასცემს მეფე ბაგრატი და კონსტანტინეს იხსენიებს ძმად და პატრონად: '...ჩვენ ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა ღ ̃თივ გვირგვინოსანმან, მეფეთ მეფემან ბაგრატ და ძმამან ჩვენმან პატრონმან კოსტანტინე...' (თაყაიშვილი 1909: 40-41). როგორც ზემოთაც ვნახეთ, ავჟანდაძეთა სასისხლო სიგელშიც კონსტანტინე პატრონად იხსენიება (იხ. ზემოთ).

ისმის კითხვა: რადგან 1452 წ-ს ბაგრატი მეფე არ ყოფილა და კონსტანტინე მხოლოდ ვარაუდის დონეზე შესაძლოა ყოფილიყო მეფის ტიტულით, ხოლო მათი მშვიდობიანი კავშირი დაფიქსირებულია მხოლოდ 1468 წ-ს და ავჟანდაძეთა საბუთში, ხომ არ მიუთითებს ეს ფაქტები

იმაზე, რომ ავჟანდაძეთა სასისხლო სიგელიც 1468 წ-ის ახლო ხანებშია გაცემული? ჩემი აზრით სავსებით შესაძლებელია, თუმცა, იმის გამო, რომ საბუთის ტექსტი სანდოდ არ მიმაჩნია, საბუთის თუნდაც მიახლოებითი თარიღის დადგენას ვერ ვახერხებ.[11]

ამგვარად, ჩემი აზრით, ავჟანდაძეების სიგელი არაა გაცემული მეფის მიერ და ნამდვილად ნაყალბევია, ანუ მისი სტატუსი არაა ოფიციალური. საბუთის თარიღის დადგენა შეუძლებელია, თუმცა, 1452 წ-ზე გვიანდელი უნდა იყოს.[12]

ყოველივე ამის გამო, დავით IV-ის 'აღმაშენებლად'.[13] მოხსენიების პირველი ოფიციალური შემთხვევა არ უნდა დავუკავშიროთ ავჟანდაძეთა სასისხლო სიგელს, როგორც ეს მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

შიო-მღვიმის საბუთი გიორგი მეფისა

1896 წ-ს თ. ჟორდანიამ გამოსცა მეფე გიორგი VIII-ის[14] მიერ შიო-მღვიმის მონასტრისადმი გაცემული ერთი საბუთი, სადაც ვკითხულობთ:

> ქ. ჩუენ ორისავე ტახტისა და საჴელმწიფოჲსა თჳთ-მფლობით ჴელმწიფედ მტ[კიცედ მჰყრობელმან]... მეფეთა მეფემან გი˜გი და მეუღლემან ჩ˜ნმან პატრონმან დედოფალმან ნესტარ დარეჯან ესე... სიგელი... გკარდრე... შიოს უდაბნოს მღუიმისა... მას ჟამსა, ოდეს კარზედა მოგუიდეგით და ძუელნი გუჯარნი და განაჩენნი მის სულკურთხეულისა **აღმაშენებლისა დავითისი** და ჟამთა უკანასკნელობისა და შლილობისაგან დიადი წესი და საქმე შეცულოდა და სულკურთხეულსა პატრონსა მამასა ჩემსა მეფეს ალექსანდრეს ჴელ ეყო და... [სათა]თრო - - ულუფა სჭირვებოდა, იგი ამო[ეკუეთა]. აწ მისად შედეგად ჩუ[ენ ვი]გულისმოდგინეთ მცირითა ამით სამსახურითა მსახურებად წ˜დისა და ღ˜თშემოსილისა [მამასა]- - შიოსი და შემოვსწირეთ და და მოვაჴსენეთ ქუეყანასა სხალტბასა რაც დიდი სათათრო [სდ]ებოდა და პირველთა მეფეთაგან გაჩენილი და შეგდებული, იგი სრულიად ამოუკუეთეთ და [დავწ]ერეთ: ასრე რომე დიდი სათათრო ულუფა არაოდეს და არას ჟამშიგა არა ეთხოვებოდეს. უკეთუ საქართველო განგებითა ღთისაჲთა ამოდ და დაწყობით იყოს, მაშინ არ ეთხოვებოდეს და თუ რადმე ასეთი რამ იქმნას ცოდვათა სიმჭრელისაგან, რომე მიჭირვებით იყოს არ - - - ეთხოვებოდეს. ამა პირსა ზედან შემოგუიწირავს და მოგვიჴსენებია, რომ - - სულკურთხეულისა პატრონისა მამისა ჩუენისა ალექსანდრესთჳს კარგაღებულსა [აღაპსა] - - - შეგვიკვეთია დღესასწაულსა და დღეობასა წ˜ა და ღ˜თ შემოსილისა მამისა [შიოსსა მა]ისსა ცხრასა. იგი თქუენგანცა ასრე გაუთავდეს და არაოდეს მოგეშალოს.
>
> ქ. ქ. ქ. მე გ˜გი ვამტკიცებ" (ჟორდანია 1896: 72-73)

სამწუხაროდ, თვითონ საბუთი ამჟამად დაკარგულია, მისი ტექსტი კი მხოლოდ თ. ჟორდანიას ამ პუბლიკაციით შემოგვრჩა.[15] საბუთის ნამდვილობაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს რამდენიმე მიზეზის გამო.

თვითონ საბუთის ტექსტი და შინაარსი დადგენილ ნორმებს არ სცდება (განსხვავებით ავჟანდაძეთა სიგელისა). საბუთში ნათქვამია, რომ დავით აღმაშენებლის გაცემული შიო-მღვიმის მონასტრის 'ძუელნი გუჯარნი და განაჩენნი... ჟამთა უკანასკნელობისა და შლილობისაგან დიადი წესი და საქმე შეცულოდა'. დავით აღმაშენებლის განსაკუთრებული დამოკიდებულება შიო-მღვიმის მონასტრისადმი ისტორიული ფაქტია.[16] ასევე ფაქტია, რომ სხალტბა[17] იყო ამ მონასტრის ერთ-ერთი მამული.[18]

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ საბუთი დაკარგულია და ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა უშუალოდ მისი შესწავლით გამოვიტანოთ დასკვნები, საბუთის ნამდვილობაში ეჭვი არ უნდა იყოს შესატანი.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის დასადგენად უნდა დადგინდეს ამ საბუთის თარიღი.

თ. ჟორდანია სიგელს 1445-1469 წწ-ით, ანუ გიორგის გამეფებით და მისი გარდაცვალებით ათარიღებდა, თუმცა, შემდგომმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ორივე თარიღი არაა სწორი. მეფე გიორგი გამეფდა 1446 წ-ს, გარდაიცვალა კი 1476 წ-ს (მეტრეველი 2007: 169-170).

როგორც ვხედავთ, საბუთში მეფესთან ერთად იხსენიება დედოფალი ნესტან-დარეჯანი, რაც შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ საბუთის გაცემის ქვედა ქრონოლოგიური

ზღვარი. ნესტან-დარეჯანი იყო გიორგი VIII-ის მეორე თანამეცხედრე, რომელიც მეფე გიორგის 1453 წ-ის შემდეგ უნდა შეერთო.[19] ამგვარად, საბუთის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი უნდა იყოს არა 1446 წ., არამედ 1453 წ.

ასევე შესაძლებელია ამ საბუთის ზედა ქრონოლოგიური ზღვარის უფრო დაზუსტება.

საბუთიდან ირკვევა, რომ მისი გაცემის მომენტში მეფე გიორგის ხელი მიუწვდებოდა სხალტბაზე. როგორც ისტორიოგრაფიაში ცნობილია, 1465 წ-ს ფარავნის ტბასთან დაბანაკებული მეფე გიორგი დაატყვევა სამცხის ათაბაგმა ყვარყვარემ,[20] რის შემდეგაც მეფე გიორგის, რეალურად, ქართლის ტერიტორიაზე ხელი აღარ მიუწვდებოდა. ამგვარად, ზემომოყვანილი სიგელი ვერ იქნება გაცემული 1465 წ-ის შემდეგ, რადგან, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, სიგელის მიხედვით მეფეს ხელი მიუწვდებოდა სხალტბაზე.

ამგვარად, შიო-მღვიმის 1453-1465 წწ-ის სიგელი ყველა ნიშნით სანდო ჩანს და შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ზემო განხილულ სულთა მატიანეში დავით მეფის მთავარი ზედწოდება არაფერ შუაშია, ესაა რიგით პირველი ოფიციალური ფაქტი დავით IV-ის „აღმაშენებლად" მოხსენიებისა.[21] აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ საბუთის დედნის არქონის გამო აღნიშნული დასკვნა საბოლოოდ ეჭვმიუტანელი მაინც ვერ იქნება.[22]

მთის წმ. გიორგის მონასტრის საბუთი

ბოლოს ყურადღება მინდა გავამახვილო მთის წმ. გიორგის მონასტრის 1465-1467 წწ-ის საბუთზე.[23] საბუთი გაცემულია ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI-ის მიერ და წარმოადგენს დავით აღმაშენებლის და მისი ძის დემეტრეს მიერ გაცემული შეწირულობის საბუთის განახლებას. დედანი დაკარგულია, ამიტომ ტექსტი მომყავს საბუთის ყველაზე ძველი K608 პირიდან, რომელიც ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ინახება.

საბუთის თავში ვკითხულობთ: 'თქუენ წმიდაო გ(იორ)გი მ[თისა] მთავარ მოწა|[1]მეო! რაგუარაც **დავით აღმაშენებლისა** |[2] და ძისა მისისა დიმიტრისგან შემოწირული |[3] ყოფილიყო და [ი]ყო'

როგორც აღვნიშნე, ამ სიგელის დედანი დაკარგულია, ხოლო მისი XIX ს-ის აღწერილობა ძალიან ზოგად ინფორმაციას გვაწვდის მისი ტექსტის შესახებ (არქივი 1451;16: 436-439). ამ აღწერილობაში არაა მოხსენიებული არც დავით აღმაშენებელი, თუმცა, საბუთის დედნის და პირის ტექსტი იდენტური უნდა ყოფილიყო.[24]

როგორც ვხედავთ, აქაც დავითი „აღმაშენებლადაა" მოხსენიებული.

დავით აღმაშენებლისა და მისი ძის დემეტრეს ხსენება არაა შემთვევითი. მ. სურგულაძის მიხედვით:

> წინაპარ მეფეთა მოტივი, რომელიც ყოველ განხილულ საბუთში მეორდება, უპირველესად გულისხმობს „მაშენებელ და შემწირველ" მეფეებს, რომელთა სულის „არდასამძიმებლად" ყოველი ახალი მეფე თავს ვალდებულად რაცხს განუახლოს მონასტრებს მათგან შეწირული მამულები. Arenga-ში შენარჩუნებულია წარმოდგენა წინაპარ მეფეთა და შემწირველთა „სულიერი" კავშირის თაობაზე მათ მიერვე შეწირულ მამულებთან და ასევე მათ მიერვე მონასტრებისადმი მინიჭებული უფლებების „განგრძობითობის", უწყვეტობის შესახებ.... Arenga-ს... თემა უჩვენებს სამეფო ხელისუფლებაზე და საკუთრივ მეფის პერსონაზე შემუშავებულ ოფიციალურ შეხედულებებს. ამ შეხედულებებში ჩანს უკვე დამკვიდრებული იდეალიზირებული წარმოდგენები მეფის პერსონაზე: მეფე არის ქრისტიანული სათნოების ნიმუში, იგი განასახიერებს უმაღლესი სამართლიანობისა და ქრისტიანული მოწყალების იდეას – მფარველობს ეკლესიას და მისი მატერიალური კეთილდღეობისათვის ზრუნავს. იგი არის წინაპართა იურიდიული და ზნეობრივი მემკვიდრე და მათი საქმეების გამგრძელებელი. მეფის ღვთისმოსაობა, გამოხატული ეკლესიებზე ზრუნვაში, არის გარანტი ამქვეყნად თვით მისი (მეფის) და ტახტის მემკვიდრის წარმატებებისა...
>
> XIV-XV სს. მეფეთა შეწირულობის სიგელებში ზნეობრივი Arenga ისეთივე შინაარსისაა, როგორიც არის XI-XIII სს. საბუთებში. ძალზე იშვიათად მეფობის „წარმართების" თემა კვლავ შენარჩუნებულია... განახლების აქტი, ჩვეულებრივ, დასაბუთებული არის შეწირულობის სიძველით. მითითება სიძველეზე შეადგენს იურიდიული arenga-ს თემას... წინაპარ მეფეთა, როგორც ძველი შემწირველების თემა ამ საუკუნეების (XV ს. – ნ.ჟ.) საბუთებში იურიდიულ arenga-სთან არის შეერთებული. შეწირულობის

განახლების უეჭველ საფუძვლად მიჩნეულია შეწირულობის სიძველე. უფრო სწორად, სიძველე არის ქცეული იურიდიული ძალის ფაქტორად (სურგულაძე 2006: 79-80).

სავარაუდოდ, მართლაც არსებობდა მეფე დავითისა და მისი შვილის მეფე დემეტრეს მიერ გაცემული შეწირულობის საბუთი ამ მონასტრისადმი, რომელიც სამწუხაროდ არ შემორჩენილა.

ამგვარად, დასკვნის სახით, ისტორიული საბუთების კუთხით, შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. მე არ ვიზიარებ ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ მეფე დავით IV 'აღმაშენებლად' პირველად იხსენიება ავჯანდაძეთა სასისხლო სიგელში, რადგან საბუთი აშკარად ნაყალბევად მიმაჩნია, რის გამო მისი გაცემის თარიღიც ნაყალბევი უნდა იყოს. უცნობია ამ საბუთის შექმნის ნამდვილი თარიღი.
2. შიო-მღვიმის 1453-1465 წწ-ის სიგელი ყველა ნიშნით სანდო ჩანს და შეიძლება დავასკვნათ, რომ ესაა რიგით პირველი ოფიციალური ფაქტი ისტორიულ საბუთებში დავით IV-ის „აღმაშენებლად" მოხსენიებისა. თუმცა, იმის გამო, რომ საბუთის დედანი ჩვენამდე არ შემორჩენილა, აღნიშნული დასკვნა საბოლოოდ ეჭვმიუტანელი მაინც ვერ იქნება.
3. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მთის წმ. გიორგის 1465-1467 წწ-ის სიგელის სახით ჩვენ გაგვაჩნია ისტორიულ საბუთებში საქართველოს მეფე დავით IV-ის 'აღმაშენებლად' მოხსენიების დღემდე შემორჩენილი პირველი ოფიციალური პრეცედენტი.

ეს რაც შეეხებოდა ისტორიულ საბუთებს. ახლა კი ჩემი ნაშრომის მთავარი დასკვნა: ჩვენამდე შემორჩენილი უძველესი პრეცედენტები დავით IV-ის „აღმაშენებლად", როგორც უკვე დამკვიდრებული მთავარი ზედწოდებით მოხსენიებისა, დასტურდება უკვე XV ს-ის პირველი ათწლეულის ორ საისტორიო წყაროში – გერგეტის სამების „მატიანე მოსაჯსენებელი სულთაჲ"-ისა და სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანის ტექსტების უძველეს ნაწილებში.

იმის დადგენა, თუ რომელია ამ ორი წყაროდან უფრო ძველი, ამ ეტაპზე ძალზედ რთულია. თუმცა, ისტორიკოსი თ. ჯოჯუა, გერგეტის სულთა მატიანეში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა მოღვაწეობის ქრონოლოგიაზე დაყრდნობით, ვარაუდობს, რომ გერგეტის სულთა მატიანის ჩვენთვის საინტერესო ნაწილი შექმნილია არა XV ს-ის პირველი ათწლეულში, არამედ XIV ს-ის მიწურულს. თუ ბ-ნ თ. ჯოჯუას ეს ვარაუდი დამტკიცდა შესაბამისი არგუმენტაციით, რაც მისი ერთ-ერთი მომავალი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, ბუნებრივად მივიღებთ დასკვნას, რომ პირველი პრეცედენტი დავითის „აღმაშენებლად" მოხსენიებისა გვხვდება XIV ს-ის მიწურულს, გერგეტის სულთა მატიანეში, ხოლო მოგვიანებით, XV ს-ის პირველი ათწლეულში სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანეში.

ნაშრომის თემატიკასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება. ზემოგანხილული ხუთი საისტორიო წყაროდან, სადაც დავით IV „აღმაშენებლად" იწოდება, ოთხი მათგანი, თავისი შინაარსით და დატვირთვით, ავლენს გარკვეულ კავშირს მეფე დავითის ბიოგრაფიასთან. კერძოდ; 1. სინას მთის ქართველთა ეკლესია აშენებულია ამ მეფის მიერ; 2. ცნობილია დავითის განსაკუთრებული დამოკიდებულება შიო-მღვიმის მონასტრისადმი; 3. დადასტურებულია მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი მის მიერ გაწეული ამაგი; 4. ავჯანდაძეთა სიგელში მოთხრობილია ამბავი მეფის გელათის გალავნიდან გადმოვარდნის შესახებ. ამის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დავით მეფის ამ ზედწოდებით მოხსენიების ჩვენამდე შემორჩენილი პირველი პრეცედენტები და ამავე ზედწოდების მის მთავარ ეპითეტად დამკვიდრება, დაკავშირებულია მის მიერ აღშენებულ ან გამშვენებულ მონასტრებთან. თუმცა, ამ მხრივ ძალზედ საინტერესოა ჩვენს ხელთ არსებული და ზემოთ განხილული მეხუთე, შესაძლოა უძველესი წყარო – გერგეტის სამების „მატიანე მოსაჯსენებელი სულთაჲ", რადგან, ბუნებრივია, გერგეტის სამების მონასტერთან, რომლის აგებასაც XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე ვარაუდობენ (შარაშიძე 1954: 226), მეფე დავითს ვერანაირი კავშირი ვერ ექნებოდა.

კითხვაზე, თუ რატომ ეწოდა ამ დიდებულ მეფეს კონკრეტულად ეს ზედწოდება – „აღმაშენებელი" – პასუხის გაცემა მხოლოდ ვარაუდებითაა შესაძლებელი.

შენიშვნები

[1] თ. ჟორდანიას ეს მოსაზრება მცდარია, რაზეც ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებ.

[2] სიგელის დასათარიღებლად ე. თაყაიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ საბუთის დამწერი „კათალიკოსი დავითი" კონსტანტინეს მეფობისას იხსენიება, თუმცა, როგორც ზემოთაც ვხედავთ, საბუთის დამწერი არის არა კათალიკოსი, არამედ მთავარეპისკოპოსი დავითი (კლდიაშვილი, სურგულაძე 1993: 13).

[3] ამ მოსაზრებას მე არ ვიზიარებ, რაზეც ქვემოთ მექნება საუბარი.

[4] ამ უკანასკნელის აზრს ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებით აკრიტიკებდა, (ჯავახიშვილი 1996: 513-514).

[5] ი. ჯავახიშვილი რადიკალურად უარყოფდა სასისხლო სიგელს, როგორც ოფიციალურ მოვლენას და ჩვენამდე მოღწეულ ყველა სასისხლო საბუთს ყალბად მიიჩნევდა (ჯავახიშვილი 1996: 501-523). თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ასეთი რადიკალური მიდგომა უარყოფილია, რაც ჩემი აზრით სამართლიანია.

[6] უფრო ვრცლად სასისხლო სიგელების შესახებ იხ. მ. სურგულაძე, ქართული საისტორიო აქტები XI-XV სს., თბ. 2006. გვ. 155-185. აქვე მინდა მოვიყვანო საინტერესო ციტატა მ. სურგულაძის ამ ნაშრომიდან: 'ნაწილი სასისხლო სიგელებისა არ არის პირველადი, არამედ განახლებული. ამიტომ ხშირია მითითება ძველ სიგელებზე. აშკარად ნატყუარ საბუთებში ლაპარაკია გვარის ძველთაძველ დამსახურებაზე მეფის წინაშე, რაც ზოგჯერ შეზავებულია ფანტასტიკური ამბების თხრობით. მთავარი ისაა, რომ პირადი დამსახურება ჩათვლილია გვარის აღზევების მიზეზად, საერთოდ კი ნატყუარი საბუთების შემქმნელთა აზროვნება მთლიანად წარსულისკენ არის მიპყრობილი, წყალობის სიძველე გვარის სიძველის დასტურია, ეს კი აღიქმება სოციალური პრესტიჟულობის უმთავრეს ნიშნად (სურგულაძე 2006: 163).

[7] უცნობია, თუ აფხაზეთის რომელ ლეონ მეფეს გულისხმობს საბუთის ავტორი: ლეონ I-ს (720-740წწ.), ლეონ II-ს (758-798წწ.) თუ ლეონ III-ს (957-967წწ.). (მეტრეველი 2007: 59-77).

[8] იგივე აზრისაა ივ. ჯავახიშვილიც (ჯავახიშვილი 1982: 321).

[9] სწორედ 1452 წ-ს გარდაიცვალა მეფე დემეტრე (ყაუხჩიშვილი 1973: 284).

[10] კონსტანტინეს გამეფების თარიღის შესახებ იხ. მირიან მახარაძის ნაშრომი (მახარაძე 2002: 448-453).

[11] მითუმეტეს, იმის გამოც, რომ პალეოგრაფიულად საბუთი მართლაც XV ს-ისაა.

[12] იმ შემთვევაშიც კი თუ მე ვცდები და ეს საბუთი მართლაც ნამდვილია, მისი გაცემის თარიღი მაინც შეუძლებელია იყოს 1452 წ., ქრონოლოგია კი ამ ნაშრომის მთავარი საკითხის დასადგენად უფრო აქტუალურია, ვიდრე საბუთის სტატუსი.

[13] ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ერთი შეხედვით საბუთში უსახელოდ მოხსენიებული აღმაშენებელი მართლაც დავით IV უნდა იყოს, ამის გადაწყვეტით თქმა მაინც შეუძლებელია, რადგან საბუთის ტექსტში აღმაშენებელი ეწოდება ასევე კონსტანტინეს (იხ. ზემოთ საბუთის ტექსტი). მსგავს პრობლემას ზემოთ უკვე შევხვდით სულთა მატიანეს ტექსტში.

[14] საქართველოს მეფე 1446-1466 წწ-ში, კახეთის მეფე 1466-1476 წწ-ში (მეტრეველი 2007: 169-170).

[15] პირთა ანოტირებულ ლექსიკონში საბუთის შიფრის მაგივრად მოცემულია თ. ჟორდანიას ეს პუბლიკაცია (კლდიაშვილი *და სხვები* 1991: 265).

[16] ეს დამოკიდებულება ასახულია მეფე დავითის ანდერძში (ენუქიძე *და სხვები* 1984: 52-59).

[17] სხალტბა (სხალტბისა) - სოფელი მცხეთის მუნიციპალიტეტში (ლექსიკონი 2009: 159).

[18] მართალია, შემორჩენილი არაა დავით აღმაშენებლის რაიმე საბუთი, სადაც სხალტბა შიო-მღვიმის მონასტრის მამულად იხსენიებოდეს, თუმცა, ჩვენამდე მოაღწია 1170 წ-ის გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) სიგელმა, სადაც მინიშნებაა, რომ ჩამოთვლილი მამულები და მათ შორის სხალტბა დავით აღმაშენებლის და დემეტრე I-ის (1125-1155/56წწ.) სიგელებში უკვე შიო-მღვიმის მამული იყო (ენუქიძე *და სხვები* 1984: 67-70). სხალტბა ამ მონასტრის საკუთრებად იხსენიება სხვა საბუთებშიც (ენუქიძე *და სხვები* 1984: 99-104, 112-113).

[19] ი. ჯავახიშვილმა ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლა. გიორგი მეფის პირველი თანამეცხედრე თამარი იხსენიება მხოლოდ 1453 წ-ის ერთ საბუთში. 1460 წ-ის საბუთში კი მეფის თანამეცხედრედ იხსენიება უკვე ნესტან-დარეჯანი. 1457 წ-ის საბუთში პირველად იხსენიება მეფე გიორგის და დედოფალ ნესტან-დარეჯანის ძე ალექსანდრე, თუმცა, ამ საბუთში არ იხსენიება თვითონ ნესტან-დარეჯანი. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილს გამოაქვს დასკვნა, რომ **ნესტან-დარეჯანი** გიორგის დაახლოვებით 1454-1456 წ. უნდა შეერთო (ჯავახიშვილი 1982: 272-273). თუმცა, ჩემი აზრით სავსებით შესაძლებელია, რომ მეფე გიორგის ნესტან-დარეჯანი შეერთო 1453 წელსვე.

[20] უფრო ვრცლად გიორგი მეფის დატყვევების თარიღის შესახებ იხ. ჩემი სტატია (ჟღენტი 2010: 149-151).

[21] ამ აზრისაა ასევე ქ. ტატიშვილი, თუმცა, საბუთის თარიღად იგი 1446-1469 წლებს ასახელებს (ტატიშვილი 2001: 30).

[22] გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ტექსტი შესრულებული ყოფილა შიო-მღვიმის უფრო ძველი საბუთის, კერძოდ 1218-1227 წწ-ის არსენ კათალიკოსის სიგელის მეორე მხარეს, ანუ ვერსო-ზე (ჟორდანია 1896: 50-52, 72).

[23] დათარიღება ჩემია (ჟღენტი 2010).

[24] ჩემს სამაგისტრო ნაშრომში, საბუთის შემორჩენილ პირებსა და დედნის ანოტაციაზე დაყრდნობით, კიდევ ერთხელ დადგინდა საბუთის ტექსტი, რომელიც ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა (ჟღენტი 2011: 204-216).

დამოწმებანი

არქივი 1451;16: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი № 1451, საქმე № 16.

გოგოლაძე 1989: დ. გოგოლაძე, მეფე დავით IV და მისი ზედწოდება - აღმაშენებელი, მაცნე (ისტორიის სერია), №3 (1989).

თაყაიშვილი 1909: ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფილისი (1909).

ენუქიძე *და სხვები* 1984: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ. მეცნიერება, თბილისი (1984).

კაკაბაძე 1924: მოხსენება ს. კაკაბაძისა, განათლ. სახალხო კომისარის სახელზე წარდგენილი, ჩრდ. კავკასიიდან არქივებისა და სამუზეუმო კოლექციების რევევაკუაციის შესახებ 1923 წ. საისტორიო მოამზე. №1. ტფილისი (1924).

კლდიაშვილი *და სხვები* 1991: პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, ტ. I, თბილისი, მეცნიერება (1991).

კლდიაშვილი, სურგულაძე 1993: პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ტ. II, თბილისი, მეცნიერება (1993).

კლდიაშვილი 2008: დ. კლდიაშვილი, ქართული სამონასტრო სულთა მატიანეები, წიგნი I, სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე, თბილისი, ნეკერი (2008).

ლექსიკონი 2009: საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, ნეკერი (2009).

მახარაძე 2002: მ. მახარაძე, კონსტანტინე II გამეფების წლები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 341, თბილისი (2002).

მეტრეველი 2007: საქართველოს მეფეები, რედ. რ. მეტრეველი, თბილისი, ნეკერი (2007).

ნინიძე 1995: დ. ნინიძე, „პროვინციის მეფეები" XIV-XV საუკუნის საქართველოში, თბილისი (1995).

ჟორდანია 1896: თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი" ვაჭანის ქვაბთა, თბილისი (1896).

ჟორდანია 1897: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. II. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ჟორდანიამ (1213 წლიდამ 1700 წლამდე), ტფილისი (1897).

ჟღენტი 2010: ნ. ჟღენტი, მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემული XV საუკუნის საბუთის თარიღის დაზუსტებისათვის. ქართული წყაროთმცოდნეობა, XII, თბილისი, უნივერსალი (2010).

ჟღენტი 2011: ნ. ჟღენტი, მთის წმ. გიორგის საბუთი 1465-1467 წლებისა (დადგენილი ტექსტი და კლასიფიკაცია), ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები IV, თბილისი, მერიდიანი (2011).

სურგულაძე 2006: მ. სურგულაძე, ქართული საისტორიო აქტები XI-XV სს., თბილისი, არტანუჯი (2006).

ტატიშვილი 2001: ქ. ტატიშვილი, დავით აღმაშენებლის ანტონისეული განგება, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, XIX, თბილისი (2001).

ყაუხჩიშვილი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, მეცნიერება (1973).

შარაშიძე 1954: ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), გამოკვლევა და ტექსტები, გერგეტის სამების „მატიანე მოსაკსენებელი სულთაჲ", მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია (1954).

ჭუმბურიძე 2006: ზ. ჭუმბურიძე, ნატყუარია თუ არა აბჟანდაძეთა სასისხლო სიგელი?, შოთა მესხია 90, საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი, თბილისი, ნეკერი (2006).

ჯავახიშვილი 1982: ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, მეცნიერება (1982).

ჯავახიშვილი 1996: ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, თბილისი, მეცნიერება (1996).

ბროსე 1858: M. Brosset, Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX siécle. Introduction et tables des matières, St.-Pétersbourg (1858).

K608: ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, საბუთი K608.

Sd-521: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Sd-521.

The First Precedents of the King David's IV (1089-1125) Official Mentioning as the 'Builder'

Nikoloz Zhgenti

In Georgian historiography it was generally accapted, that king David IV was reffered as the 'Builder' first time (the atribute appeared to be his main epithet) in so called 'Avzhandadze's Charter' dated by 1452 year. After investigating the document and analizing other historical sources, such as *Synodikon* of Gergeti Sameba, *Synodikon* of the Georgian church at the monastery of St. Catherine on Sinai, Shio-Mgvime monastery Deed and Mtis St. George monastery Deed, I have come to the point, that the so called "Avzhandadze's Charter" as well as its date is spurious Thus, it could not serve as source for study of the problem under the analysis.

Grounding on the evidences of other sources, author concludes that, the first case of official reffering the king David as 'the Builder' should be dated by the first ten years of 15th century.

სოციალური სტრუქტურა XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში (პროლეტარი)

ნატო სონღულაშვილი

კაპიტალისტური წყობის დამკვიდრებამ ახალი სოციალური კლასების: პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ბატონყმობის გაუქმებამ მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემა. ახალ გარემოში ახალი მოთხოვნები და გამოწვევები გაჩნდა. არა მხოლოდ პროლეტარიატი და ბურჟუაზია, არამედ მთელი საზოგადოება ძირეულ გარდაქმნებს განიცდიდა. მითუმეტეს, რომ XIX საუკუნეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საკმაოდ გაძლიერდა, რასაც შედეგად ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება მოჰყვა. საქართველო ამ ცვლილებებს განსხვავებულად ხვდება. ის, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილი, ბუნებრივია, აქ მიმდინარე მოვლენების ზეგავლენას განიცდის და მაშინ, როცა ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება მიმდინარეობს, საქართველო თავისუფლებისთვის ბრძოლის ახალ გზებს ეძებს და ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ბრძოლის განსხვავებული მეთოდებით – საზოგადოების ეროვნული ცნობიერების ამაღლების მეშვეობით ყველა სოციალური ფენის თანაბრად ჩართვას ცდილობს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში. ევროპისაგან განსხვავებით, საქართველოში კაპიტალიზმი მოგვიანებით, კერძოდ, XIX საუკუნის II ნახევრიდან იწყებს დამკვიდრებას, რასაც არაერთგვაროვანი რეაქციით ეგებება საქართველოს მოსახლეობა.

საერთოდ, ნებისმიერ გარდაქმნას, ეს იქნება კულტურული, პოლიტიკური თუ სოციალური საზოგადოების ყველა ფენა განსხვავებულად იღებს. ნაწილს უჭირს მასთან შეგუება, ნაწილი კი, დადებითად ხვდება და საკუთარი ინტერესების დაცვისთვის ბრძოლას აგრძელებს. ბატონყმობის გაუქმებას და კაპიტალისტური სისტემის შემოსვლას არც საქართველოს სინამდვილისთვის ჩაუვლია უპრობლემოდ, და ეს გასაგებიც იყო. XIX საუკუნის დასაწყისს საქართველო რუსეთის იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად მის დაქვემდებარებაში შესვლით შეხვდა და ქართველობა განიცდიდა საიმპერატორო კარის რუსიფიკატორული ქმედებების უკიდურესი ფორმებით გამოწვეულ შეშფოთებას, რაც ეროვნული სიმბოლოების: საკუთარი ტერიტორიის, ქართული ენის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვა-გაუქმებაში გამოიხატებოდა. XIX საუკუნის II ნახევრიდან მთლიანად იწყებს შეცვლას ფეოდალურ სისტემაზე აგებული მოდელი და საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დგება. რაც მთავარია, ეს ფაქტი მოდიოდა უკვე არა რუსეთიდან, არამედ ევროპიდან და მის წინაშე უძლური იყო თვით რუსეთიც.

ფეოდალიზმის პერიოდში ურთიერთობა აგებული იყო ბატონსა და გლეხს შორის, კაპიტალიზმის დროს კი – ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ყალიბდება კავშირი. კაპიტალიზმმა განაპირობა არა მხოლოდ ახალი სოციალური კლასების ჩამოყალიბება, არამედ ეკონომიკური ფორმებისაც. პროლეტარიატის, ანუ ამჯერად ჩვენთვის საინტერესო სოციალური კლასის შესახებ ყველა ტიპის წყაროშია საუბარი სხვადასხვა კუთხით. ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის ნაწილი დადებითად აფასებს პროლეტარის როლს ისტორიის მსვლელობაში, მაგალითად, სოციალ-დემოკრატიული პარტია; ნაწილი კი, მაგალითად, სოციალისტ-ფედერალისტები უარყოფითად, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველოში გლეხობაა წამყვანი სოციალური კლასი და სწორედ მათზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ყველა ეროვნული მიზნის განხორციელება. თუმცა ერთი რამ ფაქტია: პროლეტარის თემა ხდება წამყვანი საკითხი XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხის კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საბჭოთა პერიოდის ლიტერატურაში პროლეტარის როლი გაზვიადებულია. ერთის მხრივ, ის წარმოჩენილია როგორც ჩაგრული ფენა, რომელიც ბურჟუაზიის მსხვერპლია და, მეორეს მხრივ, ყველაზე გათვითცნობიერებული სხვადასხვა სოციალურ კლასებს შორის, რომელმაც წამყვანი როლი იტვირთა რევოლუციის მსვლელობაში.

სპეციალური გამოკვლევები უძღვნეს აღნიშნულ საკითხს მეცნიერებმა: იხ. გ. მარგიანის *საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917 წლებში*, ა. ფარსადანაშვილის *საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1914-1917 წლებში*, ე. ხოშტარიას *მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში*, გ. მარგიანის, *სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში*, კ.დოლიძის *ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის საკითხისათვის*, მ. ჯიჯეიშვილის *მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში* და სხვ.

არსებულ გამოკვლევებში ძირითადად აქცენტი კეთდება კაპიტალიზმის გავრცელებასა და მუშათა კლასის ბრძოლის საკითხზე საკუთარი უფლებების მოსაპოვებლად და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. საკითხი ძირითადად ერთი კუთხით არის წარმოჩენილი: რა როლი ითამაშა პროლეტარიატმა ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციებში.

მაგრამ არსებობს პრობლემის მეორე მხარეც და სწორედ ამაზე მინდა გავამახვილო ყურადღება. როგორც უკვე აღვნიშნე, რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, XIX საუკუნის II ნახევრიდან მკვიდრდება კაპიტალიზმი და, ბუნებრივია, საქართველოში, როგორც რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფ ქვეყანაში, გავრცელებას იწყებს ახალი ეკონომიკური სისტემა, რომელმაც ხელი შეუწყო არა მხოლოდ ეკონომიკური ფორმების შეცვლას, არამედ მთელი რიგი გარდაქმნები გამოიწვია როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე საზოგადოების ფართო ფენების ცნობიერების რადიკალურად შეცვლა განაპირობა.

რუსეთის მსგავსად, საქართველოშიც მთელი რიგი ცვლილებები მოჰყვა კაპიტალისტური სისტემის დამკვიდრებას:

> საქართველოს მუშათა კლასის ფორმირება საგლეხო რეფორმების შემდეგ პერიოდში ხდება. მათი აბსოლუტური უმრავლესობა უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხობისაგან იყო გამოსული, ხოლო მისი რეზერვი გაპროლეტარებული ხელოსნობა იყო. საქართველოს მუშათა კლასის რიგებს რუსეთიდან ჩამოსული მუშებიც ავსებდნენ. XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში 35. 402 სამრეწველო მუშა იყო. რომელთაგან ქართველები შეადგენდნენ 70%, შემდეგ მოდიოდნენ სომხები, რუსები და ა.შ (ებრალიძე 1968: 9).

როგორც გლეხის, ასევე პროლეტარის კულტურული და პოლიტიკური შეგნების ამაღლებისთვის ზრუნავდა ქართველი ინტელიგენცია. ამ პერიოდში მიმდინარე გარდაქმნების შედეგად, რომელიც საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარეს შეეხო, ახალი მოთხოვნები და გამოწვევები დადგა დღის წესრიგში. ამ ცვლილებებმა არა მხოლოდ პროლეტარიატის, როგორც ახალი სოციალური ფენის, წარმოშობა, არამედ მისი საშუალებით სოციალიზმის განხორციელებისათვის ბრძოლა განაპირობა.

XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი იდეოლოგია: ნაციონალიზმი და სოციალიზმი. ქართული პოლიტიკური ელიტა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით სოციალიზმის დამკვიდრებისთვის მთავარ წამყვან ძალად პროლეტარს მიიჩნევდა, რომელსაც გლეხობასთან კავშირის შედეგად ამ ისტორიული მისიის განხორციელება უნდა ეტვირთა. სწორედ ამიტომ ყველა მიმართულებით, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა აღნიშნული იდეების პროპაგანდა, ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია ძალ-ღონეს არ იშურებდა საზოგადოების ფართო ფენებში რეალიზებისთვის. ამ მხრივ გამოირჩეოდა ბეჭდური მედია და ის პროკლამაციები, რომლებიც მთელი იმპერიის მასშტაბით ვრცელდებოდა და მათ შორის საქართველოში, ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეშვეობით.

სოციალ-დემოკრატიული პარტია მთელს იმედებს მარტოოდენ პროლეტარიატზე ამყარებს:

ყველა იმ კლასებში, ამბობს მარქსი, რომელთაც ამჟამად უპირდაპირებენ (უპირისპირებენ) ბურჟუაზიას, მხოლოდ პროლეტარიატი წარმოადგენს ჭეშმარიტ რევოლუციონურ (რევოლუციურ) კლასს. დანარჩენი კლასები იღუპებიან წვრილ მრეწველობასთან ერთად: შუათანა წრეები, წვრილი მრეწველნი, ვაჭრები, ხელოსნები – ყველა ესენი ებრძვიან ბურჟუაზიას, რათა დაიცვან საკუთარი არსებობა, როგორც შუათანა კლასისა... ყველა ესენი რეაქციონერები არიან, რადგან ცდილობენ ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას (*სახალხო საქმე* 1919: 1).

საინტერესოა, როგორია პროლეტარის განსაზღვრა XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში. ნოე ჟორდანიას აზრით:

პროლეტარიატი – ეს არის ის ერთადერთი კლასი, რომელიც მოკლებულია საკუთრებას და იძულებულია მხოლოდ თავის ძალღონის გაყიდვით იცხოვროს. როგორც კერძო საკუთრების განხორციელებული უარყოფა, ის პრინციპიალურად სხვავდება არა მარტო შეძლებულთაგან, არამედ წვრილი ბურჟუაზიის ყველა ნაწილებისაგანაც. მხოლოდ პროლეტარიატია პირდაპირ დამოკიდებული კაპიტალისტებისაგან, – დამოკიდებული, როგორც მათი სიმდიდრის შემქმნელი და თვითონ მუდამ გაყვლეფილი (ჟორდანია 1917: 26).

გაზეთი *სოციალ-დემოკრატი* მარქსისტულ განსაზღვრებას სთავაზობს მკითხველს:

პროლეტარი ეწოდება იმ ადამიანს, რომელიც ყოველივე საკუთრებას მოკლებულია და თავის სარჩენად იძულებულია თავისი ფიზიკური ძალ-ღონე ფულის პატრონს მიყიდოს, მიექირაოს და აქედან აღებული ქირით იცხოვროს. მაშასადამე მისი დამახასიათებელი თვისებაა: საკუთრების უქონლობა და ფიზიკური შრომა. პროლეტართა შორის საკუთრების მხრივ სრული თანასწორობაა, არც ერთს ის არ მოერევა, ასეთივე თანასწორობაა შრომის მხრივ – ყველა ცხოვრობს შრომით, მათი ერთადერთი ძალა – შრომაა. ცხადია, პროლეტარიატის გამარჯვება ნიშნავს ამ პრინციპების – ეკონომიური თანასწორობის გამარჯვებას. მასში უარყოფილია კერძო საკუთრება, ისიც უარყოფს ამას სხვებში და ამყარებს საზოგადო საკუთრებას. მასში უარყოფილია უშრომლობა, ისიც უარყოფს სხვაში მუქთახორობას და ყველასათვის აწესებს შრომას, მისი გაბატონება შრომის გაბატონებაა, ხოლო შრომა კი ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა, მაშასადამე, პროლეტარიის გაბატონება ადამიანის, კაცობრიობის გაბატონებაა. ბატონობა მამულის იყო, ბატონობა მემამულის, ბატონობა კაპიტალის კაპიტალისტთა ბატონობაა, ბატონობა შრომის იქნება ბატონობა მშრომელთა ანუ ყველა ადამიანთა. აქედან აშკარაა, სოციალიზმის გამარჯვება შეიძლება მხოლოდ პროლეტარიატის გამარჯვებით. სოციალიზმი მხოლოდ პროლეტარიატის ცხოვრების გამოხატულებაა, ის მხოლოდ მისი ფილოსოფია (*სოციალ-დემოკრატი* 1905: 2).

პოლიტიკური ელიტის მიერ შექმნილი ეს ლოზუნგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გასდევდა თან მუშათა მოძრაობას. აუცილებლობას წარმოადგენდა მთავარი წამყვანი ნაწილის მიერ პროლეტარის მიზნების გამოკვეთა და ჩაბმა სოციალიზმის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამისთვის საჭირო იყო სხვადასხვა ერის მუშებისთვის საერთო იდეოლოგიის შექმნა და საერთო მტრის ხატის დასახვა. მათ უნდა დაენახათ, რომ სხვადასხვა ერის მუშებს აერთიანებთ მხოლოდ ერთი სატკივარი და ერთი მიზანი: ბრძოლა თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ისეთი სახელმწიფოს შექმნა, სადაც მათი უფლებები არ იქნებოდა შელახული. 1919 წელსაც კი ასეთი იდეოლოგია ისევ აქტუალურია:

უბრალო მუშა ვარ. მიცხოვრია და ვცხოვრობ მუშათა წრეებში. ჩემი ბინა ფაბრიკა-ქარხნებშია, ჩემი მასწავლებელი თვით ცხოვრებაა. მიმუშავნია საქართველოში, კავკასიის სამრეწველო ქალაქებში, რუსეთში. ერთად მიწევია შრომის მძიმე უღელი სომეხ, თათარ, რუს, ებრაელ, პოლონელ მუშებთან. მათთან ერთად გვიბრძოლია ჩვენი უფლებისათვის, ჩვენი დიდი მომავლისათვის. განვითარების ისტორიამ ჩვენში შექმნა ფსიქოლოგიურად საერთო ძმობა-ერთობის თვისებები, პროლეტარული მოძრაობის გაერთიანების აუცილებლობა. ჩვენი გრძნობა, ჩვენი ბრძოლის მოთხოვნილება არის უარყოფა ეკონომიურ-პოლიტიკურ მონობისა და ეკლით მოსილ ჩვენს სავალ გზაზე წინ მივიწევთ იქით, სადაც მოსჩანს ჩვენი საბოლოო მიზანი შრომის სამეფო (*ერთობა* 1919ა: 2).

როგორც რუსული, ასევე ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიზანი მდგომარეობდა თვითმპყრობელობის დამხობაში პროლეტარიატის მეშვეობით და სოციალიზმის განხორციელებაში. აღნიშნულის მსვლელობა კი მხოლოდ მშვიდობიანი ფორმით ვერ წარმოედგინათ. სწორედ ამის გამოხატულება იყო ის საპროტესტო გამოსვლები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომელიც მუდმივად მიმდინარეობდა 1900-1917 წლებში და, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პარტია ხელმძღვანელობდა. განსხვავებით ევროპისაგან, ეს მოვლენები სხვადასხვაგვარად ვითარდება რუსეთში. მართალია ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და საზოგადოების დემოკრატიული გარდაქმნის ამოცანა იდგა ბურჟუაზიული რევოლუციის წინაშეც დასავლეთ ევროპაში, მაგრამ რუსეთის პირველი რევოლუცია მისგან განსხვავდებოდა გარკვეულწილად. ამასთან დაკავშირებით კ. დოლიძე წერს: ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და საზოგადოების დემოკრატიული გარდაქმნის ამოცანა იდგა ბურჟუაზიული რევოლუციის წინაშეც დასავლეთ ევროპაში. ამაში მდგომარეობდა 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუციის მსგავსება დასავლეთის XVIII და XIX საუკუნეების ბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციებთან. მაგრამ ამასთან ერთად რუსეთის პირველი რევოლუცია არ იყო დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციის უბრალო განმეორება, რომლებიც მიმდინარეობდნენ კაპიტალიზმის მანუფაქტურული პერიოდისა და განუვითარებელი კლასობრივი ბრძოლის პირობებში, როცა პროლეტარიატი სუსტი და მცირერიცხოვანი იყო, როცა იგი არ გამოდიოდა დამოუკიდებლად, არ ჰყავდა საკუთარი პარტია, არამედ კუდში მისჩანჩალებდა ბურჟუაზიას. რუსეთის პირველ რევოლუციას, რომელიც ახალ ისტორიულ პირობებში მიმდინარეობდა, ახასიათებდა მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებანი. ამ თავისებურებებს უწინარეს ყოვლისა განსაზღვრავდა ახალი იმპერიალისტური ეპოქა, და ის როლი, რომელსაც XX საუკუნის დამდეგს ასრულებდა რუსეთი მსოფლიო იმპერიალიზმის სისტემაში. (დოლიძე 1959: 37).

ბუნებრივია განსხვავებულმა ეკონომიკურმა თუ პოლიტიკურმა გარემომ თავისებური ასახვა ჰპოვა რუსეთის პირველ და მეორე რევოლუციებზე. მართალია, ევროპის მსგავსად რუსეთშიც მიმდინარეობდა კაპიტალისტური წყობის დამკვიდრება, მაგრამ განსხვავებული ფორმით. იგივე კ. დოლიძე აღნიშნავდა:

> რუსეთის პირველი რვოლუციის უმნიშვნელოვანესი თავისებურება იყო ისიც, რომ მის ეკონომიკურ საფუძველსა და ეროვნულ თავისებურებას შეადგენდა აგრარული საკითხი, რომლის არსს წარმოადგენდა შუასაუკუნეობრიობის მოსპობა მიწათმოქმედებაში. ამ აზრით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში გლეხურიც იყო იმ როლის მიხედვით, რომელსაც ამ რევოლუციაში აგრარული საკითხი ასრულებდა. რევოლუციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გლეხობამ, რომელიც აუტანელი ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების გამო მძლავრ რევოლუციურ ძალას წარმოადგენდა (დოლიძე 1959: 40).

ერთი რამ ფაქტია, პროლეტარიატის როლი საკმაოდ იყო წამოწეული საზოგადოებრივი გარდაქმნების პროცესში. სოციალ-დემოკრატიული პარტია კი ამ იდეების რეალიზებას უწყობდა ხელს ფართო მასებში. როგორც ვიცით, ეს პოლიტიკური პარტია მარქსისტულ იდეოლოგიაზე იყო აღმოცენებული. სწორედ მარქსმა და ენგელსმა წამოწიეს პროლეტარიატის ჰეგემონი როლი ახალ ეპოქაში, რომელიც მათი მეშვეობით უნდა შექმნილიყო. სტალინი კი წერდა, რომ რევოლუცია რუსეთში დაიწყო კაპიტალიზმის მანქანური პერიოდისა და განვითარებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, როცა შედარებით მრავალრიცხოვანი და დარაზმული რუსი პროლეტარიატი უკვე დამოუკიდებელ მძლავრ ძალას წარმოადგენდა, ჰყავდა თავისი საკუთარი პარტია და ჰქონდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკუთარი მოთხოვნები. ამის შედეგად არა ლიბერალური ბურჟუაზია, როგორც ეს დასავლეთში იყო, არამედ პროლეტარიატი უნდა ჩასდგომოდა სათავეში ამ რევოლუციას, გამხდარიყო მისი ჰეგემონი (დოლიძე 1959: 38).

> სულ სხვა პირობებია რუსეთში. ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ აქ ბრძოლა მაშინ დაიწყო როცა დასავლეთ ევროპაში პროლეტარიატსა და ბურჟუას შორის ატეხილი ბრძოლა უმაღლეს წერტილამდე გამწვავებულიყო. ფეოდალიზმის ჯაჭვებს პროლეტარიატი ებრძვის არა როგორც

ბურჟუაზიის ყურმოჭრილი ხელქვეითი, არამედ როგორც დამოუკიდებელი, შეგნებული, თავისი უცხოელი მოძმის გამოცდილებით აღჭურვილი ერთეული (*მოგ ზაური* 1905: 109).

ლენინის აზრით:

1848 წლის რევოლუცია 1847 წლის კრიზისმა და შიმშილობამ მოამზადა. რეაქცია კრიზისის დამთავრებასა და მრეწველობის გაფურჩქვნას ემყარებოდა. ახლანდელმა ტერორის რეჟიმმა რუსეთში, პირიქით, უეჭველად უნდა გამოიწვიოს გამწვავება იმ ეკონომიკური კრიზისისა, რომელიც წლობით თავს დასტრიალებს ქვეყანას. 1905 წლის შიმშილობა მთელი თავისი შედეგებით მთელს რუსეთში საგრძნობი იქნება ჯერ კიდევ უახლეს თვეებშიც. რევოლუციის დათრგუნვა უდიდესი სამოქალაქო ომია, ომი მთელი ხალხის წინააღმდეგ. ეს ომი საგარეო ომზე ნაკლებად როდი ჯდება, ამასთან იგი აოხრებს არა სხვის, არამედ საკუთარ ქვეყანას. ახლოვდება ფინანსური კრახი. გარდა ამისა, ახალი სავაჭრო ხელშეკრულებანი რუსეთს განსაკუთრებულ შერყევას უქადიან და მათ მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გამოწვევაც კი შეუძლიათ. ამრიგად, რამდენადაც მეტ ხანს გასტანს რეაქციული ტერორი, მით უფრო საშინელი იქნება ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა (ლენინი 1940: 10).

აქცენტი კეთდება მუდმივად იმაზე, რომ მუშების უკიდურესი მდგომარეობის მიზეზი მთავრობაა და ბურჟუაზია. საჭიროა პროლეტარიატის ორგანიზებული გაერთიანება თვითმპყრობელობის დასამხობად. ქართული პოლიტიკური ელიტა ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ პროლეტარიატი ყველაზე შეგნებული ფენაა, რომელიც ნათლად აცნობიერებს ყველა იმ პრობლემას, რომელსაც თვითმპყრობელობა უქმნის არა მხოლოდ მათ, არამედ მთელ საზოგადოებას, ამიტომ ისტორიული პროცესის შესაცვლელად მთავარ დასაყრდენ ძალად მუშათა კლასს მიიჩნევდნენ.

მართალია, ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია რუსულ ნიადაგზე იდგა და საწყის ეტაპზე უფრო მეტად იყო გამოკვეთილი მათში ანტიქართული იდეოლოგია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეროვნულ განსხვავებულობას და ქართულ სინამდვილეს ისინი არ გამორიცხავდნენ. მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთ ამონარიდს:

რუსეთის მუშათა მოძრაობას რომ დავაკვირდეთ, აშკარად დავრწმუნდებით, რომ მას ამჟამად მარტო ეკონომიური ანუ სოციალური ხასიათი არა აქვს. მუშებმა უწინარეს ყოვლისა მონარქიულ წყობილებას გამოუცხადეს ბრძოლა და ეკონომიური საბაბი დღეს მათთვის მხოლოდ საბაბია პოლიტიკურ ბრძოლის გამოცხადებისათვის და ეს აგრეც უნდა ყოფილიყო. პროლეტარიატი უძლურია გააუმჯობესოს თავისი ეკონომიური მდგომარეობა, თუ ამ პროლეტარიატს ბრძოლისათვის შესაფერი პოლიტიკური ნიადაგი არა აქვს საფუძვლად. პოლიტიკური თავისუფლება, თავისუფალ დაწესებულებათა დამყარება აუცილებელი პირობაა პროლეტარიატის ნორმალური განვითარებისათვის. ყოველივე ეს რუსეთის მუშებმა შეიგნეს და ამიტომ მისცეს თავიანთ მოძრაობას პოლიტიკური ხასიათი. თუ რუსეთში მაგრეა, ჩვენმა მუშათა მოძრაობამ როგორი-ღა მიმართულება უნდა მიიღოს? რა უნდა იყოს დაწერილი მის დროშაზე? დღემდე ჩვენებურ მუშათა მოძრაობას ისეთივე ხასიათი ჰქონდა, როგორიც რუსეთის მოძრაობას აქვს ე.ი. ჩვენშიაც მუშებმა მონარქიას გამოუცხადეს ომი, ჩვენშიაც მუშათა პარტიამ აწინდელ რეჟიმის წინააღმდეგ გაილაშქრა. ჩვენ ამ მოძრაობას სულით და გულით თანავუგრძნობთ, რადგან, მართლაც და, ჩვენშიაც, როგორც მთელ რუსეთში, მონარქიული წესი არის ხალხის დამჩაგვრელი, მის ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესების შემაფერხებელი. ხოლო, ჩვენის აზრით, ჩვენებურ მუშათა მოძრაობას ადგილობრივი ელფერიც უნდა ეტყობოდეს... იმგვარი ელფერი, რომელიც უნდა იყოს ნაყოფი რუსეთსა და საქართველოს შუა არსებულ ეროვნულ სხვადასხვაობისა. ქართველმა მუშა ხალხმა ანგარიში უნდა გაუწიოს საქართველოს მომავალ პოლიტიკურ ორგანიზაციას. საქართველო რუსეთის უბრალო გუბერნიად ვერ დარჩება (*საქართველო* 1905: 5).

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიზანი იყო, რომ მუშებს გაეცნობიერებინათ მათი კავშირის აუცილებლობა საერთო მტრის, თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რის არარსებობის შემთხვევაში წარუმატებლობა გარდაუვალი იქნებოდა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი მიზანი იყო სოციალიზმის განხორციელება, რომლის რეალიზატორი უნდა გამხდარიყო მუშათა კლასი, როგორც ყველაზე გაცნობიერებული სოციალური

ფენა. ფაქტობრივად ეს იყო ერთგვარი იდეოლოგია, რომელსაც ქართული პოლიტიკური ელიტა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურობით ქმნიდა. ეს სრულიად ახალი ეპოქის შექმნას ითვალისწინებდა. ეს იდეა დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდშიც ასევე აქტუალური იყო. 'სოციალიზმი მუშათა კლასის იდეალია. მაგრამ არა საოცნებო იდეალი, არამედ ისტორიულად აუცილებელი მომავალი, რომლის განხორციელება მუშათა კლასის მისიას შეადგენს, ისე როგორც ბურჟუაზიის მისია იყო-ფეოდალური წყობილების ნანგრევებზე ბურჟუაზიული წყობილების აგება' (ერთობა 1919ბ: 1).

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, ფონდი 153, აღწერა 1, საქმე # 1782, ფურც. 32 დაცულია საინტერესო ცნობა მუშების ერთიანობის საჭიროების შესახებ:

> ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მზემ გაანათა მშობლიური მიწა. მე ამ დროს რამოდენიმე ნაცნობთან ერთად წავედი ყანაში, სადაც მოეწყო დოღი, სადაც ჩვენ განვიხილეთ სხვადასხვა საკითხები და ვიდრე მიმდინარეობდა საკითხის განხილვა, რას ნიშნავს სიტყვა 'ამხანაგი' – ამ საკითხმა მიიღო სერიოზული მიმართულება, ყოველი გამოხატავდა თავის შეხედულებას, ერთნი ამტკიცებდნენ, რომ სიტყვა 'ამხანაგი' ნიშნავს ერთმანეთის მოტყუებას, ეს არის ბრმა იარაღი, სხვები ამტკიცებდნენ, რომ ამხანაგი იწოდება მაშინ, როდესაც აგროვებ გემბოლს, მესამენი ამტკიცებდნენ, რომ ეს სიტყვა არის დაცინვა... საბოლოოდ მე დავიწყე ჩემი აზრის გამოთქმა და იმის მტკიცება, რომ მე მყავს ძალიან ბევრი ამხანაგი და ჩვენ ვართ განუშორებლად. შემდეგ მოვიყვანე მაგალითი მერკვილაძის გმირობის, რომელმაც სროლის დროს არ დატოვა ბედის ანაბარა თავისი დაჭრილი ამხანაგი და მან თავი გაწირა ამხანაგებისათვის. დავუმტკიცე მათ, რომ ამხანაგობა თანამედროვე დღეს უფრო შემჭიდროვდა, ვიდრე ადრე... მართალია თანამედროვე დღეს ყველგან კაპიტალისტური წყობაა და მუშები ყოველ ნაბიჯზე იჩაგრებიან, მაგრამ დადგება ისეთი დრო, როდესაც მუშები დაიწყებენ სხვა როლის თამაშს. როდესაც დადგება სოციალისტური წყობა, მაშინ ამხანაგები ითამაშებენ სხვა როლსა (სცსა, ფონდი 153ბ: 32).

თუ XX საუკუნის დასაწყისში აუცილებელი იყო მოწოდება მუშის პოლიტიკური შეგნების საჭიროებისათვის, 10-იან წლებში ვითარება რადიკალურად იცვლება, რაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის აგიტაციის შედეგი იყო, ანუ ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნებთან ერთად ჩნდება პოლიტიკური მოთხოვნებიც.

XX საუკუნის 10-იანი წლებიდან პროლეტარიატის გაფიცვების წარმმართველი უკვე პოლიტიკური მოტივი ხდება. და, რაც მთავარია, ერთობლივი მოღვაწეობა. განსხვავებით 1905-1907 წლების რევოლუციისაგან, სადაც პროლეტარიატი და გლეხობა ნაკლებად იყო გაერთიანებული, რევოლუციის დამარცხება განაპირობა და მთელი სიმძიმე გადავიდა გლეხობაზე. თებერვლის რევოლუციის დროს კი პირიქით მოხდა. რამ განაპირობა ეს? გაზეთი *ერთობა* ასეთ შეფასებას აძლევს აღნიშნულ მოვლენას:

> დღევანდელი საშინელი მსოფლიო ომი უპირველესად დემოკრატიას-სოფლის გლეხკაცობას და ქალაქის წვრილ მესაკუთრეთ დააწვა კისერზე. მაშინ, როდესაც თითქმის მთელი სოფლის გლეხკაცობა ქალაქის ხელოსანნი და წვრილი ვაჭარნი ბრძოლის ველზე გაიხვეტნენ და ათასობით იხოცებოდნენ, ქალაქის მუშა-პროლეტარიატი ძველებურად ქარხანაში იდგა და განაგრძობდა მუშაობას. აგრეთვე ლიბერალურმა ბურჟუაზიამ თავი შეაფარა ზურგში მომქმედ სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში და ომის სუსხი მას არ უგრძვნია. ამასთანავე ერთად ეკონომიური მდგომარეობა მუშა-პროლეტარიატისა არსებითად არ შეცვლილა. უბედურება და გაჭირვება ადამიანს გონს მალე მოიყვანს, თვალებს აუხელს, ასე მოუვიდა დემოკრატიასაც. მან იგრძნო თავისი უმწეო მდგომარეობა, შეიგნო რომ მას მსოფლიო ომი უბედურების მეტს არას მოუტანს. კარგად დაინახა თუ ვინ იყო მისი მოსისხლე მტერი და გაბედულად შეუტია კიდევაც თვითმპყრობელობას. უკანასკნელიც დაემხო. მაშასადამე, მეორე რევოლუციაში გლეხკაცობამ და ქალაქის დემოკრატიამ მიტომ მიიღეს აქტიური მონაწილეობა, რომ ყველაზე უკმაყოფილონი მდგომარეობით ისინი იყვნენ (*ერთობა* 1919ბ: 2).

რა განაპირობებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეების აქტუალობას, მიუხედავად იმისა, რომ იგი რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე იდგა? პასუხი ნათელია: სოციალ-

დემოკრატია საზოგადოების ფართო ფენებს ჰპირდებოდა სრულ ეკონომიკურ და სოციალურ თანასწორობას, თვითმპყრობელობის მარწუხებისგან განთავისუფლებას და სოციალიზმის განხორციელებას.

გარდა იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ბეჭდური მედიის საშუალებით ცდილობდა საკუთარი იდეების აქტუალიზაციას საზოგადოების ფართო ფენებში, ამასთან მთავარი საშუალება იყო პროკლამაციები, სადაც ჩამოყალიბებული იყო მათი პროგრამა და ყურადღება მახვილდებოდა იმ მძიმე მდგომარეობაზე, რომელშიც მუშები იმყოფებოდნენ. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ინფორმაცია ნათლად აჩვენებს ამ პროცესს:

> ... თქვენ ჩუმად ხართ, თქვენ ითმენთ, თქვენ იცდით, თქვენ იმედი გაქვთ! იმედოვნებთ, რომ შესაძლებელი იქნება, კეთილი სიტყვა დაიპყროს მსოფლიოს, რომ საბოლოოდ დატრიალდება ისტორიის ბორბალი და დადგება უკეთესი დღეები, უკეთესი სიტუაცია, წესრიგი. ეს არ იქნება თქვენს მიერ გაგზავნილი ადრესებით და პეტიციებით. რა მიიღეთ თქვენ ამით? თქვენ დაგავიწყდათ მეფის სიტყვა ლიბერალი დეპუტატების კორონაციის დროს 'აზრს მოკლებულ ოცნებაზე?' ნუთუ გადახედვა ყველა ჩვენ სასწავლო საქმეში არ არის ნათელი, რომ მთავრობის გეგმებში არ შედის არავითარი სერიოზული რეფორმა? რას ელოდებით? (სცსა, ფონდი 153ა: 55).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1917 წლამდე გამოსული პროკლამაციები რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით ვრცელდებოდა და გამოდიოდა. ამავე ფონდშია დაცული შემდეგი ინფორმაცია:

> მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ფეხის გადადგმაზე სასტიკად გვდევნიან და გვითვალთვალებენ, მიუხედავად იმისა, რომ ციხეში გვამწყვდევენ, გვასახლებენ, კატორღაში გვაგზავნიან და მით ცდილობენ ჩვენ შეშინებას და გალაჩრებას, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მანიფესტანტები განდევნეს და გადაასახლეს, – მაინც თანდათან ძლიერდება შეგნება პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების სურვილისა (სცსა, ფონდი 153ა: 83).

ბუნებრივია, ხშირ შემთხვევაში ეს იყო იდეოლოგია, რომელსაც ქმნიდნენ მუშების ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. თუმცა XX საუკუნის დასაწყისისგან განსხვავებით შემდეგ პერიოდში უკვე აშკარად შეიმჩნევა პროლეტარიატის ორგანიზებული გამოსვლები:

> მუშებმა დაიწყეს პოლიტიკური ცხოვრების გაუმჯობესება, რევოლუციური მოქმედება. საჭიროა ბრძოლა ყოველდღიური ლოზუნგით და შეგნებული მუშების წინაშე დგას კითხვა პროლეტარიატის ბრძოლის მიზანზე, ამოცანებზე და ფორმაზე. მუშა არასდროს არ გამოვა, არ გადადგამს პრაქტიკულ ნაბიჯს წინასწარ, არ შეცვლის თავის ტაქტიკას. მუშათა კლასს სხვადასხვა ქვეყნებში აქვს თავისი მუშათა კლასობრივი პოლიტიკური ორგანიზაცია სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ფლობს კლასობრივ პოლიტიკას... უნდა ვიბრძოლოთ სამეფო ხელისუფლების დასამხობად, რადგან გვქონდეს თავისუფალი გზა ჩვენი ნამდვილი მიზნისთვის – სოციალიზმისთვის. იმისთვის, რომ მომავალ ბრძოლას ჰქონდეს ძალა და გავლენა ხალხის მასაში, რომ უხელმძღვანელოთ მათ, ჩვენ გვჭირდება მაგარი და გამძლე პროლეტარიატის ორგანიზაცია (სცსა, ფონდი 153გ: 2).

თუ საწყის ეტაპზე მუშათა პარტია მხოლოდ გაფიცვების გამოსვლის მოთხოვნით კმაყოფილდებოდა 1905 წლიდან უკვე ბრძოლის აქტიურ ეტაპზე გამოდის და პროლეტარიატს შეიარაღებული გამოსვლისაკენ მოუწოდებს. ამავდროულად, როგორც ჩანს არსებული სიტუაციით სარგებლობდნენ საეჭვო რეპუტაციის პირები და რევოლუციონერების სახელით გამოდიოდნენ და ხალხს საშინელ მდგომარეობაში აგდებდნენ. ამიტომ ყველა პროკლამაციაში, რომელიც 1905 წლიდან გამოდიოდა საზოგადოებას სიფრთხილისკენ მოუწოდებდნენ და ნამდვილი რევოლუციონერების დახმარებას სთხოვდნენ.

პროკლამაციებში 1905 წელს აქცენტი კეთდებოდა ყველა სოციალური ფენის გაფიცვის საჭიროებაზე. აუცილებელ მოტივად მიიჩნევდნენ სხვადასხვა სოციალური ფენის გაერთიანებას და ორგანიზებული გამოსვლებს მთავრობის წინააღმდეგ. ვინც ჩვენთან არაა, ის ჩვენი წინააღმდეგია, ის მთავრობის ლაქიაა და მის ბედს გაიზიარებს. არ კმარა მარტო გაფიცვა. საჭიროა ბრძოლა თავის

დასაცველად და მტრის მოსაგერიებლად. მთავრობას უნდა გაფიცვის გატეხა და ამით რევოლუციის ჩაქრობა. მაშ შეიარაღდით ყველანი, შეიარაღდით, რითაც შეგიძლიათ, მუდამ მზად იყავით ბრძოლის ველზე გამოსასვლელად. შეტაკება აუცილებელია. რეაქცია მოდის, მას ვერსად გაექცევი, ვერსად დაემალები. მაშ რა დაგვრჩენია? იარაღით ხელში გამოვიდეთ სოციალ-დემოკრატიის პირველ მოწოდებისთანავე ადამიანობის და თავისუფლების დასაცველად (სცსა, ფონდი 156: 219). ერთი სიტყვით, მუშათა მოძრაობამ XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული გარკვეული გზა განვლო. აღნიშნულ მოძრაობას ახალი მიმართულება მისცა პირველმა მსოფლიო ომმა, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება 1918-1921 წლებში, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ მენშევიკები. მათი მოღვაწეობის პარალელურად ბოლშევიკები ცდილობენ ხაზი გაუსვან ხელისუფლების არასწორ დამოკიდებულებას მუშებისადმი და თავის მხარეზე გადაიბირონ. ამისთვის ვრცელდება პროკლამაციები:

> თქვენ ამხანაგო მუშებო, კმაყოფილი არა ხართ სამუშაო დროის მაქსიმუმით, თქვენ ვერ გაკმაყოფილებთ საკატორღო შრომის დაცვა! შრომის პირობები კიდევ უფრო გაუარესდა, თქვენ არ გაგაჩნიათ თავისუფლება კავშირისა, გაფიცვის თავისუფლება, არა გაქვთ თავისუფლება კრებისა, სიტყვისა, ბეჭდვისა. თქვენ, ამხანაგო გლეხებო, დაკმაყოფილებული არა ხართ მიწით, ის ვერც ახლა უზრუნველყოფს თქვენს ადამიანურ არსებობას, თქვენ განწირული ხართ მუდამ შიმშილის და სიცივის მსხვერპლი იყოთ. თქვენ მოგისპეს უფლება თქვენს ჭირ-ვარამზე ილაპარაკოთ. საკმარისია ოდნავი ეჭვი აიღონ, რომ თქვენ უარყოფით უყურებთ, სისხლით გათხუპნულ ჟორდანიას და ჯალათ რამიშვილის მთავრობას, რომ თქვენ, ამხანაგო მუშებო და გლეხებო, დაგატუსაღონ, ჩაგყლაპონ ციხეში და ან გაგაძევონ თავის საბრძანებლიდან (სცსა, ფონდი 1863: 85).

ფაქტობრივად, ყველა პროკლამაციაში საუბარია იმაზე, რომ ხელისუფლება ვერ ასრულებს თავის მოვალეობას და ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებებს და ამიტომ ხალხს მოუწოდებდნენ არ მიეღოთ მონაწილეობა დამფუძნებელი კრების არჩევნებში.

მართალია, ბევრი იწერებოდა იმასთან დაკავშირებით, რომ მუშას არ აქვს სამშობლო და სხვადასხვა ერის წარმომადგენლებმა უნდა იბრძოლონ ერთი მიზნისთვის და ეს – სოციალიზმის განხორციელებაა, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით დღეისათვის არსებულ ისტორიულ მასალებს. ნათლად დავინახავთ, რომ ეს საკითხი განსხვავებულად აღიქმებოდა. გაზეთი *შრომა* წერდა:

> მთელი დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება მუშათა ისეთი ჯგუფი, რომელიც თავის თავს არ აკუთვნებდეს ამა თუ იმ ერს. ისეთი განვითარებული პროლეტარიატიც კი, როგორიც გერმანიაშია, პატრიოტული გრძნობებით არის გამსჭვალული. მუშა ხალხი იბრძვის თავის კლასობრივ ინტერესების დასაკმაყოფილებლად და ამავე დროს არ ივიწყებს, რომ იგი ამა თუ იმ ერს ეკუთვნის, და თუ იმის ერს რაიმე ხიფათი მოელის, იგი მზად არის იბრძოლოს ამ ერის დასაცველად. ეს ეროვნული ბრძოლა იმდენად ბუნებრივი და ძლიერია, რომ მუშა ხალხი ხშირად დაივიწყებს ხოლმე თავის კლასობრივ ანტაგონიზმს და ეროვნულ ნიადაგზედ ბრძოლაში უერთდება მოწინააღმდეგე კლასებს (*შრომა* 1911: 2).

გარდა ამისა, ქართული პოლიტიკური სპექტრი სოციალიზმის განხორციელების აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევდა თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას:

> სოციალისტური პარტია ცდილობს სხვადასხვა ერის მუშა ხალხი შეაერთოს ერთს ძლიერ კლასობრივ არმიად: უმისოდ შეუძლებელია სოციალიზმის მოახლოება. მაგრამ იმ სახელმწიფოში, სადაც ერთი ერი გამეფებულია, ხოლო სხვები დაჩაგრული, შეუძლებელია ეს შეერთება, რადგან დაჩაგრულ ერის მუშა ხალხი ყოველთვის გრძნობს თავის ეროვნულ დაჩაგვრას, ამიტომ იმის კლასობრივ ბრძოლას ნაციონალური ბრძოლა უერთდება. მუშა ხალხი მხოლოდ მაშინ შეუერთდება მჭიდროდ სხვა ერების მუშებს, როდესაც იმისი ერი ისეთივე თავისუფალი იქნება, როგორც სხვა ერი (*შრომა* 1911: 2).

გაზეთი *ზვირთი* კი 1915 წელს აღნიშნავდა: 'მუშათა კლასი თავის სამშობლოსთან მარტო გრძნობით არ არის დაკავშირებული. სამშობლო ის კუთხეა, სადაც მთელი მისი სულიერი და ქონებრივი კულტურა იქმნება. მუშას ავიღებთ, თუ გლეხს – ყველა მჭიდროდ არის დაკავშირებული თავის სამშობლოსთან' (*ზვირთი* 1915: 1).

თუ კარგად დავაკვირდებით არსებულ მონაცემებს, დავინახავთ, რომ პროლეტარიატის ეროვნულ გრძნობებზე საუბარი არა მხოლოდ 1918-1921 წლებშია, როდესაც ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ სოციალ-დემოკრატები და საქართველოს ისტორიიდან გამომდინარე გარკვეულწილად შეცვალეს თავისი პროგრამა, არამედ მანამდეც:

> ჩვენმა მუშებმა ვერ უნდა გაარჩიონ, სად იწყება სამშობლო და სად თავდება თავისი კეთილდღეობა. ჩვენ უნდა შევაღუღოთ მუშა და სამშობლო, ერთ ხორცად და ერთ სულად ვაქციოთ მუშა-სამშობლო და მუშათა კეთილდღეობით ავაგოთ ჩვენი რესპუბლიკის სიმაგრენი. ჩვენ უნდა მივცეთ მუშებს მაქსიმუმი, რისი მიცემაც შეიძლება დღეინდელ პირობებში. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ერთადერთი დამცველი ჩვენი სამშობლოსი არის მუშათა კლასი და მთელი სამშობლოც ამავე კლასს უნდა ემსახურებოდეს. მუშა და გლეხია ჩვენი ჯარი, მუშა და გლეხია ჩვენი მაჯისცემა. ჩვენი სამშობლო მუშისა და გლეხის ქვეყანაა და თუ გვინდა მუშა და გლეხი გამოვიდეს სამშობლოს სადარაჯოზე და თოხითა და წერაქვით დაიცვას ყოველი ნაჭერი მიწისა, ვიზრუნოთ მასზე (*სახალხო საქმე* 1919: 1).

ის ფაქტი, რომ ქართველი პროლეტარის ცნობიერების ეროვნულ ფორმებში მოქცევა პრიორიტეტულია, ნიშნავს იმას, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ პროლეტარიატის ინტერესი კლასობრივი იყო და მათ საწყის ეტაპზე მათი ეკონომიკური მჩაგვრელების წინააღმდეგ უნდა ებრძოლათ, შემდეგში აუცილებელი იქნებოდა მუშის ეროვნული შეგნების ამაღლება, რადგან მათი გამარჯვება იქნებოდა საერთო სახალხო, რაშიც ყველა სოციალური ფენა უნდა ყოფილიყო ჩართული. ამისთვის, გარდა პოლიტიკური დონის ამაღლებისა, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა მუშათა კულტურული შეგნების ამაღლებაც. განათლებული და შეგნებული პროლეტარიატის გარეშე ეს მიზანი განუხორციელებელი იქნებოდა. ამ მიზნით იქმნება სხვადასხვა ორგანიზაციები, რომელთა ამოსავალი სწორედ აღნიშნულის მოწესრიგებაა:

> რაკი ნაციონალური კულტურის მთავარი მატარებელი მუშა ხალხია, ცხადია ამ ხალხის კულტურის სამეფოში შეყვანა, მისი გაკულტუროსნება უდიდესი ნაციონალური საქმეა. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა არა მარტო კულტურული საუნჯის ქონება, არამედ მისი ხალხისთვის ხელმისაწვდომად გადაქცევა. რად გინდათ სკოლები, წიგნები, გაზეთები, თეატრები და სხვა. თუ მუშა-კაცი ამით ვერ სარგებლობს, ის ისარგებლებს ამით მაშინ, როცა მას შესაფერი საშუალებაც მიეცემა. თუ კაცი დღეში 15 საათს მუშაობს და მცირე ხელფასს იღებს, ის ვერავითარი კულტურის მონაწილე ვერ გახდება. მუშის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ბადებს მის კულტურულ გაუმჯობესებასაც. თანამედროვე პროლეტარიატის ბრძოლა არის ბრძოლა კულტურისათვის. სამუშაო დღის შემოკლება, ქირის მომატება, შრომის სამფარველო კანონმდებლობა, თავისუფალი კრებები, პროფესიონალური კავშირები, მუშათა ორგანოები და სხვა. აი რა ქმნის ხალხის კულტურას (*რა ესჭიროება*... 1917: 9).

1917 წელს გამოვიდა სოციალისტ-ფედერლისტური პარტიის ბროშურა სათაურით *რა ესჭიროება მუშა ხალხს* ?, სადაც სხვადასხვა პრობლემასთან ერთად საუბარია მშობლიური ენის საჭიროებაზე: აქ აღნიშნულია ის უარყოფითი შედეგები, რაც მოაქვს დაპყრობილი ხალხისთვის უცხო ენაზე წარმოებულ სამოქალაქო თუ საგანმანათლებლო პროცედურებს. ასეთ შემთხვევაში ყველაზე მეტად იჩაგრება მუშა ხალხი. მუშამ არ იცის სხვა ენა, ვერ კითხულობს უცხო ენაზე გამოცემულ წიგნებსა და გაზეთებს. დაბეჩავებული და დაჩაგრულია დედაენა, მწერლობა ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც შეუძლია დაეწაფოს კულტურულ ცხოვრებას, მიიღოს განათლება, განვითარება. დამჩაგვრელი სახელმწიფო უარყოფს მის დედაენას, კანონები გამოცემულია მისთვის გაუგებარ ენაზე სკოლასა, სასამართლოსა და სხვა დაწესებულებებში გაბატონებულია უცხო ენა (*რა ესჭიროება*... 1917: 11).

1900-1917 წლების კულტურული და პოლიტიკური ელიტის იდეოლოგია პროლეტარიატის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და მათი ჰეგემონ კლასად გადაქცევისთვის, არაფრით განსხვავდება 1918-1921 წლების, ანუ დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის ელიტის იდეებისგან. ისტორიული მოთხოვნილებიდან და ეპოქის გამოწვევიდან გამომდინარე, პროლეტარიატი გახდა წამყვანი სოციალური ფენა, რომელსაც ახალი სახელმწიფოს

მშენებლობის პროცესში გადამწყვეტი მონაწილეობა უნდა მიეღო. მართალია, მუშათა კლასის მთავარი ხელმძღვანელი ძალა – სოციალ-დემოკრატია – რუსული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და მათი იდეალი ისეთი სოციალისტური საზოგადოების შექმნა იყო, სადაც ყველა თანასწორი იქნებოდა, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში არსებული სიტუაცია (და არა მხოლოდ აქ) არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მათი მიზანი განხორციელებულიყო, საჭირო ხდება ქართულ სინამდვილეზე მორგება, განსაკუთრებით ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. აქედან მოყოლებული უფრო მეტი ყურადღება ექცევა მუშების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. და, რაც მთავარია, ეროვნულ ენაზე არსებული ლიტერატურის გაცნობას. რასაც საბოლოო ჯამში უნდა მოყოლოდა როგორც ეროვნული, ასევე კლასობრივი შეგნების ამაღლება. 1920 წელს ივანე გომართელი წერდა:

> რა არის საჭირო, რომ მუშა ხალხმა კლასობრივი ბრძოლა ნაყოფიერად აწარმოვოს? უწინარეს ყოვლისა საჭიროა შეგნება. შეგნებული მუშა ხშირად კაპიტალისტის ხელში ბრმა იარაღია, რომელსაც კაპიტალისტი პროლეტარიატისავე საწინააღმდეგოდ ხმარობს. შეგნებული მუშა კი მტკიცედ დგას კლასთა ბრძოლის ნიადაგზე და მას ვერავინ მოატყუებს. ამგვარი შეგნებისათვის საჭიროა კითხვა, ცოდნა, განვითარება. როელ ენაზე შეუძლია მუშა ხალხს ცოდნა-განვითარების შეძენა? ერთადერთი ენა მუშა ხალხისათვის, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია განვითარდეს, კლასობრივად გაიწვრთნას, არის მშობელი ენა. მშობლიურ ენაზე განვითარება, მშობლიურ ენაზე მწერლობა არავისთვის იმდენად საჭირო არ არის, რამდენადაც მუშა ხალხისთვის (*ჩვენი გზა* 1920; 2).

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული იდენტობის შესასწავლად სოციალური ფენების და, მათ შორის, პროლეტარის ცნობიერების შეფასების გარეშე წარმოუდგენელია პრობლემის სრულყოფილად შესწავლა. როგორ ვხედავთ, პროლეტარიატი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში.

განხილულმა მასალამ გვიჩვენა, რომ არასწორია პროლეტარიატის მხოლოდ ერთი მიმართულებით განხილვა: მისი როლის წარმოჩენა ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციებში. პროლეტარი ახალი ეპოქის შვილია და, რაც მთავარია, ის არა მარტო სოციალიზმის განხორციელებისთვის იბრძვის, არამედ ნაციონალური იდეების ნაკლებობასაც არ განიცდის. მას არა თუ სამშობლოს აღქმის განცდა გააჩნია, არამედ მისი შენარჩუნებისთვის წარმართავს ძალისხმევას.

დამოწმებანი

ებრალიძე 1968: ა. ებრალიძე. საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ: 1903-1917. თბილისი: საბჭოთა საქართველო (1968).

დოლიძე 1959: კ. დოლიძე. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. ბათუმი (1959).

ერთობა 1919ა: ერთობა. 1919. #10.

ერთობა 1919ბ: ერთობა. 1919. #11.

ზვირთი 1915: ზვირთი. 195. #2.

ლენინი 1940: ვ. ლენინი. რუსეთის რევოლუცია და პროლეტარიატის ამოცანები. სახელგამი (1940).

მოგზაური 1905: მოგზაური. 1905. #8.

ჟორდანია 1917: საფრანგეთის რევოლუცია 1848. ტბილისი (1917).

რა ესაჭიროება მუშა ხალხს?: რა ესაჭიროება მუშა ხალხს? ქართლი (1917).

საქართველო 1903: საქართველო. 1903. #2.

სახალხო საქმე 1918: საქართველო. 1918. #814.

სახალხო საქმე 1919: სახალხო საქმე. 1919. #351.

სოციალისტ-რევოლუციონერი 1918: სოციალისტ-რევოლუციონერი. 1918. #42.

სოციალ-დემოკრატი 1905: სოციალ-დემოკრატი. 1905. #1.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი153ა: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა), ფონდი 153, აღწერა 1, საქმე # 361[5].

სცსა, ფონდი 153ბ: სცსა, ფონდი 153, აღწერა 1, საქმე # 1782.

სცსა, ფონდი 153გ: სცსა, ფონდი 153, აღწერა 1, საქმე # 2306.

სცსა, ფონდი 156: სცსა, ფონდი 156, აღწერა 1, საქმე# 4.

სცსა, ფონდი 1863: სცსა, ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე # 319.
შრომა 1911: შრომა. 1911. # 11.
ჩვენი გზა 1920: ჩვენი გზა. 1920. # 4.

Concerning the Social Structure of Georgia in 1920s (Workers)

Nato Songulashvili

Georgian historiography of the Soviet period is rich with researches devoted to the Georgian workers at the opening decades of twentieth century, however, all available investigations on the subject contain data on Georgian workers as a social stratum which had social demands and aspirations. According to these researches workers in Georgia represented definite social class being involved in struggle for obtaining solely social rights.

The author of the present paper tries to show that this is one-sided view of the subject fuelled by the main tenets of Soviet historiography. In fact Georgian workers of the period in question were able to see not only their social tasks, but national ones as well. They had quite clear understanding of the notion of Fatherland and even undertook practical steps for fulfilling specifically national goals.

ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია და ე. რენანის *რა არის ერი?*

მარიამ ჩხარტიშვილი
ქეთევან მანია

მშობლიური ერის ვინაობის შესახებ დისკურსის არსის განმარტება.

სპეციალისტები განასხვავებენ ერების (ნაციების) ორ უმთავრეს ტიპს: პირველი ესაა ერები,[1] რომლებიც წარმოიშვნენ უშუალოდ მოდერნიზაციის პროცესის შედეგად; მეორენი არიან ერები, რომლებიც შეიქმნენ პარადიგმული მოდელის (მოდელების) მიხედვით და ნაციონალიზმის პროდუქტს წარმოადგენენ.

ამგვარად, ამ უკანასკნელთა შემთხვევაში ნაციის ქმნადობის პროცესი, უპირველეს ყოვლისა, ძევს აზროვნების ისტორიის სიბრტყეში და მისი კვლევისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ კოლექტურ-კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ეთნიკური ერთობის (ერთობების) ერად გარდაქმნას წინ უსწრებს 'მშობლიური ერის იდეის' ჩამოყალიბება.

მშობლიური ერის იდეა სხვა არაფერია თუ არა ნაციონალისტური იდეოლოგია. არსებითად ეს არის დისკურსი პოტენციური ნაციის (ანუ იმ ერთობისა, რომლის ნაციად გარდაქმნა ჩვენ-ჯგუფის კულტურულმა ელიტამ ითავა) ისტორიული კონტექსტის, ძირითადი იდენტობრივი მარკერების და ნაციონალური ერთობის სამერმისო პერსპექტივის შესახებ.

კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებულ ერთობათა კონცეფციები არსებობდა წინა მოდერნის ხანაშიც. მხედველობაში გვაქვს ეთნიკური რჩეულობის მითები[2], წარმომავლობის მითები. არსებითად ამგვარი 'მითოლოგიის' ფორმას წარმოადგენს მშობლიური ერის იდეაც.

ნაციონალისტური კონცეფციები, მსგავსად ძველი მითებისა, მოგვეწოდება, როგორც ერთობის შესახებ სინამდვილის ამსახველი დისკურსები. ოღონდ, რამდენადაც ისინი ახალი დროის ტექსტები არიან, მათში მოცემული მტკიცებულებები უმეტესწილად ემყარება არა ზებუნებრივი ძალების შემოჭრას პროფანულ სამყაროში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წინა მოდერნის ეპოქის ანალოგიური ფუნქციის მქონე ნარატივებში, არამედ მეცნიერების მონაცემებს და რაციონალურ დასკვნებს.

მაგრამ აღნიშნული გარემოება, როდი ნიშნავს იმას, რომ ამგვარი აზრობრივი სისტემები მკაცრად მეცნიერულ ნარატივებს წარმოადგენენ. მართალია, მათი სამიზნე ერთდროულად არის ადამიანის გული და გონება, მაგრამ გული უფრო მეტად, ვიდრე გონება. მათი ინსპირაციის შედეგიც შესაბამისია: ემოცია განუზომლად უფრო მეტია, ვიდრე ფაქტობრივი მონაცემი. მტკიცებულებები ხშირად არ არის ცალსახა, პირიქით, ამბივალენტურია. არც ნაციონალისტური ნარატივებია ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული კოჰერენტული ტექსტები, პირიქით, ისინი შინაგანი ლოგიკური წინააღმდეგობის უხვად შემცველი კონცეფციებია, რომლებიც იმ სიტუაციის შესატყვისად იცვლებიან, რომელიც უნდა მართონ. მიუხედავად ამისა, ამ კონცეფციების სოციალური პოტენცია უდიდესია, ისინი ქმნიან ერებს, როდესაც მოსახლეობის დიდ მასას დაეუფლებიან.

ერთი და იმავე ერთობას სხვადასხვა დროს შეიძლება ჰქონდეს ეროვნული იდეის განსხვავებული, აგრეთვე, ერთი და იმავე დროს – ურთიერთდაპირისპირებული ვერსიები. ეს მრავალფეროვნება დამოკიდებულია ეროვნული კონსოლიდაციის პროცესში ჩართული სოციალური ჯგუფების ამბიციებზე თუ კრეატიულ შესაძლებლობებზე, მათ მიერ პროცესის განსხვავებულ ხედვაზე და ამ პროცესში მონაწილეობის სპეციფიკურ მოტივაციებზე.

როგორც ცნობილია, ნაციონალიზმის იდეოლოგია ინტელექტუალური მოვლენაა, მისი შემქმნელი ჯგუფი არის კოლექტივის კულტურული ელიტა, რომელიც ნაციონალისტური

იდეებით ხალხის მასების ინსპირირებას ახდენს, თუმც მასის მხრიდან მომდინარე იმპულსებით თავადაც დიდად არის დავალებული.

ინტელექტუალ ნაციონალისტთა ჯგუფი ამგვარ იდეებს თავდაპირველად თავის წრეში ავრცელებს ნაციონალიზაციის ეპოქის შესატყვისი მედია საშუალებებით და საგანმანათლებლო ქსელების გზით. შემდეგ ეტაპზე პროცესი მოიცავს მოსახლეობის უფრო ფართო ფენებს. ამგვარად ხდება ნაციონალისტთა რიგების მზარდი შევსება, მანამდე, ვიდრე ერის იდეას არ გაითავისებს ერთობის უმრავლესობა.

ქართველი ერი განეკუთვნება ერების მეორე ტიპს, შესაბამისად, ქართული ნაციონალისტური იდეოლოგიის (ანუ ქართველი ერის იდეაზე დაფუძნებული იდეოლოგიის) მნიშვნელობა გადამწყვეტი იყო ქართველი ერის ფორმირებისათვის.

მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია. საუკუნის პირველ ნახევარში დისკურსი ქართველი ერის რაობის ('ვინაობის') შესახებ მოკლებული იყო სათანადო სიღრმეს. კულტურულ ელიტას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შენიშნული ამგვარი დისკურსის განსაკუთრებული როლი ნაციის მშენებლობის პროცესში (ჩხარტიშვილი და *სხვები* 2011: 271,277). მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველი ინტელიგენცია აღნიშნული ფაქტის მნიშვნელოვნებას აცნობიერებს და იწყება ეროვნული იდეის ცალკეული თემების ინტენსიური დამუშავება. სწორედ ამ დროს იქმნება ქართული ნაციონალური ნარატივის ძირითადი "სამშენებლო ბლოკები" და ყალიბდება ეროვნული იდეა, რომლითაც ქართული ერთობის აქტიური უმრავლესობის გამსჭვალვის შედეგს წარმოადგენს ქართველი ერი.

გადამწყვეტი წვლილი ამ საქმეში მიუძღვის ქართველი ერის მამად წოდებულ პიროვნებას, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს (18137–1907).

მშობლიური ერის იდეის შემუშავება ილიამ დაიწყო ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მეცხრამეტე საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს, უკვე 60–იან წლებში ამ კონცეფციის რამდენიმე მტკიცებულება საზოგადოებრივად რეზონანსულიც გახდა, მაგრამ განსაკუთრებით ეფექტური ხასიათი ილიას ძალისხმევამ აღნიშნული მიმართულებით მიიღო მას შემდეგ, რაც მან 1877 წელს დააფუძნა *ივერია*.

ამ მედია საშუალების სამათწლოვანი (1877–1906) არსებობის თითქმის მთელი დროის განმავლობაში რედაქტორი და გამომცემელიც იყო ილია ჭავჭავაძე.

ივერიამ სრულად ასახა ქართველი ერის ვინაობის ('ვინაობა' ტერმინ 'იდენტობის' ფარდი *ივერიასეული* ტერმინია) შესახებ არსებული დისკური (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 539–540). იგი არსებითად თავად აპროვოცირებდა და მკითხველებს აკავშირებდა ეროვნული ერთობის იდეით.

ივერიასეულ (ილიასეულ) ქართველი ერის ნარატივში წარმოდგენილი იყო ყველაფერი, რაც უნდა სცოდნოდა ქართული ერთობის თითოეულ წევრს მშობლიური ერთობის შესახებ: როდის და სად წარმოიშვნენ, რაში მდგომარეობდა მათი კულტურის უნიკალობა, როგორი იყო მათი მომავალი, ვინ, რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელი, ან საქართველოს რომელი კუთხის მკვიდრი შეიძლება მოაზრებულიყო ქართული ერთობის წევრად და ა.შ.

ამ ტიპის კითხვებზე პასუხების გასაცემად *ივერიას* ჰქონდა მუდმივი რუბრიკები. განმეორებადი თემები.

არც რუბრიკების, არც თემების არჩევანი, ცხადია, არ შეიძლება ყოფილიყო (და არც იყო) შემთხვევითი, ისინი წარმოადგენდნენ ქართული ეროვნული ნარატივის კონსტრუირებისათვის საჭირო მასალას.

ამგვარად, *ივერიასა და*, შესაბამისად, ილიას ყურადღება ამა თუ იმ საკითხისადმი უკვე ნიშანია იმისა, რომ ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის კონცეპტუალიზაციისათვის.

ე. რენანი *ივერიაში* და კვლევის პრობლემის დასმა.

სწორედ ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით გვეჩვენება საგულისხმოდ, რომ იმ თემათა შორის, რომელსაც *ივერია* სისტემატურად მიაპყრობდა მკითხველის ყურადღებას, არის ერნესტ რენანი, მისი ნააზრევი, შემოქმედება, პიროვნული თვისებები, ბიოგრაფიული ფაქტები.

ჟოზეფ ერნესტ რენანი (1823–1892), როგორც ცნობილია, იყო მსოფლიოში აღიარებული ფრანგი მწერალი და მეცნიერი (ისტორიკოსი, ფილოლოგოსი, ფილოსოფოსი), რომლის გამოკვლევები საკაცობრიო ინტელექტუალიზმის ისტორიის მნიშვნელოვან ფაქტებს წარმოადგენს. ძალიან გავლენიანი თავის სიცოცხლეში, ე. რენანი გარდაცვალების შემდეგ იქცა ახალი დროის კულტურის სახედ. ცნობილი ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ანატოლ ფრანსი (1844–1924) მას მოდერნულობის სულისკვეთების ხორცშესხმულ გამოხატულებად მიიჩნევდა.

ე. რენანი აშკარად იყო მეცხრამეტე საუკუნის გამორჩეული მოღვაწე და ამის გამო, ბუნებრივია, რომ ზემოთ ხსენებულ ქართულ მედია საშუალებას იგი უყურადღებოდ არ დაეტოვებინა, მაგრამ, ჩვენი აზრით, მხოლოდ უბრალო ინტერესის დასაკმაყოფილებლად მეტისმეტად ბევრია ის ინფორმაცია, რომელსაც ე. რენანის შესახებ *ივერიაში* ვხვდებით.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მივუთითებთ კონკრეტულ ფაქტებს.

ე. რენანის შესახებ საუბარს *ივერია* იწყებს 1882 წელს.

ამ წლის მესამე ნომერში მედია საშუალება აქვეყნებს ე. რენანის ესეს *რა არის ერი?* ეს ნაშრომი, რომელიც თავდაპირველად წაკითხული იყო ლექციად სორბონში (1882 წლის 11 მარტს) და იმავე წელსვე გამოქვეყნდა, წარმოადგენს ნაციის ფენომენის კონცეპტუალიზაციის ისტორიაში განსაკუთრებულ ეტაპს: მაშინ, როცა ნაციონალისტთა უმრავლესობა ერს განსაზღვრავდა ობიექტივისტური კრიტერიუმებით, ე. რენანმა ნაცია ინდივიდთა (მოქალაქეთა) სურვილით შექმნილ ერთობად განიხილა, რითაც მოძრაობა ნაციის სახელით, ნაციონალიზმის იდეოლოგია გახადა ლიბერალიზმთან სრულიად თავსებად მოვლენებად.

ივერიასეული ქართული თარგმანი გამოქვეყნდა შემდეგი სათაურით *'რა არის ერი'? (ნაცია) (Qu'est-ce qu' une nation?).* მას ახლდა ასეთი სარედაქციო შენიშვნა:

> ეს შესანიშნავი სიტყვა საფრანგეთის გამოჩენილმა სწავლულმა ერნესტ რენანმა წარმოსთქვა პარიჟის უნივერსიტეტში წრეულს 27 თებერვალს[3] და რამდენსამე ფრანცუზულს ჟურნალში დაიბეჭდა, იმ ეროვნებრივის მოძრაობის გამო, რომელიც მთელს ევროპას მოედო უკანასკნელს ხანს, ეს წერილი ჩვენის მკითხველებისათვისაც საყურადღებო უნდა იყოს.

საინტერესოა. რომ ამავე წელს *დროებამაც* გამოაქვეყნა აღნიშნული ესეს სხვა (ი. ჭყონიასეული) შემოკლებული ქართული თარგმანი. იხ. *დროება*, 1882, #66, 3 აპრილი). ამ თარგმანის სათაური იყო *რა არის ეროვნება?*

ამგვარად, ხსენებული ესეს ორიგინალის ენაზე პუბლიკაციის წელსვე ორმა წამყვანმა ქართულმა მედია საშუალებამ მისი თარგმანები დაბეჭდა. შესადარებლად, შესაძლოა, საინტერესო იყოს მივუთითოთ, რომ ამ ესეს პირველი რუსული თარგმანი, გამოქვეყნდა მხოლოდ 1886 წელს.[4]

ერის ე. რენანისეულ დეფინიციას ხშირად უწოდებენ ეტატისტურს, ვოლუნტარისტულს და აკავშირებენ მას მოქალაქეობრივ ნაციონალიზმთან. ამ მხრივ ძალიან ნიშანდობლივად მიაჩნიათ, რომ ნაციად ყოფნას ე. რენანი ყოველდღიურ პლებისციტს ადარებდა. მისი დეფინიცია საფუძვლად უდევს ნაციის ინტერპრეტაციის ე.წ. ფრანგულ მოდელს, რომლის გამოწვევას ორგანიცისტული ანუ სისხლის ერთობის, ჯგუფის კულტურის და რასობრივი ნიშნების უნიკალობის რწმენას დაფუძნებულ ე.წ. გერმანული მოდელი წარმოადგენს.

ე. რენანის ხსენებული ლექციის გავლენა ნაციის ფენომენის თეორეტიზების პროცესზე ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. დღეს ეს ნაშრომი მიჩნეულია ნაციებისა და ნაციონალიზმების შესახებ დისკურსის კლასიკურ ტექსტად. შესაბამისად, 'ძნელია ნახო თანამედროვე გამოკვლევა ერებისა და ეროვნული მოძრაობების საკითხზე, რომ რენანის ეს პატარა ნაწარმოები მოხსენიებული არ იყოს' (ნოდია 1991: 154).

საყოველთაო აღიარება ამ ესეს მალევე ხვდა წილად, მაგრამ ქართული კულტურული ელიტის რეაქცია მასზე მაინც გასაოცრად მყისიერია. ქართული საზოგადოების და, კერძოდ, *ივერიას* (ილიას) ინტერესი ე. რენანისადმი შემთხვევითი არ უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ მშობლიური ერის იდეა ორ შემადგენელ კომპონენტს გულისხმობს: ერთია კონკრეტული ჯგუფის ვინაობის ამსახველი ისტორიული ფაქტები, რომელთა მოპოვება ხდება მოცემული ერთობის 'ვერნაკულური მობილზაციის'[5] პროცესში, მეორეა ერის ფენომენის კონცეპტუალიზაციით

მიღებული ზოგადი ჩარჩო, მატრიცა, რომლის მიხედვითაც კონკრეტული მასალა გარკვეული წესით ორგანიზდება.

ე. რენანის ხსენებული ესე წარმოადგენს ერის კონცეპტის ზოგად მატრიცას. შესაბამისად, სავსებით ბუნებრივია, რომ ამ ნააზრევმა ქართველი ნაციონალისტების ინტერესი გამოიწვია. მატრიცის შერჩევას ხომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის კონცეპტუალიზაციისათვის, რითაც ქართული კულტურული ელიტა სწორედ იმ დროს იყო დაკავებული.

ეს, რაც შეეხება ე. რენანის პირველ ხსენებას *ივერიაში*.

უკვე მომდევნო ანუ 1883 წლის მეორე ნომერში ამ ესეზე იბეჭდება ე. იოსელიანის კრიტიკული გამოხმაურება *მეცნიერის ბორძიკი*. ჩვენ ამჯერად არ ვისაუბრებთ იმაზე თუ რას შეეხებოდა ე. იოსელიანის კრიტიკა. აქ ჩვენთვის მთავარია, რომ ე. რენანისეული დეფინიცია მალევე გახდა *ივერიელების* განხილვის საგანი.

1884 წელს, მეათე ნომერში ქვეყნდება წერილი *შენიშვნები ჩვენს ცხოვრებასა და ლიტერატურაზე*. წერილი შეეხება გაზეთ *ახალ მიმომხილველში* გამოქვეყნებული სტატიის *Религиозность грузин и народные праздники* შესახებ მსჯელობას. რეცენზიაში დამოწმებულია ე. რენანის აზრი, რომ ყველა რელიგია, ამ შემთხვევაში ცეცხლთაყვანისმცემლობა, არ წარმოშობს მამულიშვილობას.

1886 წელს (#108,#109) *ივერია* აქვეყნებს ე. რენანის სიტყვას, წარმოთქმულს პარიზის სტუდენტების წვეულებაზე.

1887 წელს (#246) რუბრიკაში *ნარკვევი ჟურნალ-გაზეთებიდან*, ქვეყნდება ე. რენანის შესახებ ჟიულ ლემეტრის ფრანგულ გაზეთში დასტამბული წერილის შემოკლებული ქართული თარგმანი.

ამავე წელს (#74) გამოქვეყნდა ილიას მეთაური წერილი, რომელიც გამომცემლების მიერ პირობითად დასათაურებულია, როგორც *ზნეობრივი სიწმინდის მნიშვნელობა ერის მერმისათვის*. ეს წერილი იწყება ე. რენანის სტატიის განხილვით, კერძოდ, ე. რენანის იმ აზრს მიაპყრობს ავტორი ყურადღებას, რომლის მიხედვითაც გარკვეულ სათნოებათა არსებობა არის საზოგადოების განწრძობადობის მიზეზი. ილია თვლის, რომ ეს ანგარიშგასაწევი მტკიცებულებაა, რომ, თუმც სათნოებათა ქონა მექანიკურად არ განაპირობებს ერის წარმოშობას, სათნოებათა არქონა ცალსახად იმას მიუთითებს, რომ ერის დაღუპვა გარდაუვალია.

1888 წელს (#223) ქვეყნდება ე. ზოლას, ა. დიუმას, ე. რენანის, ე. ოჟიეს და ა. დოდეს აზრები სათეატრო ცენზურის გაუქმების შესახებ.

1889 წელს (#224) რუბრიკაში *წვრილი ამბები* ქვეყნდება წერილი *მწერლობის თავისუფლება*, სადაც იბეჭდება ე. რენანის და ფ. სარსეს აზრი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ.

1892 წელს (#21) რუბრიკაში *ნარკვევი ჟურნალ-გაზეთებიდან* ქვეყნდება გი დე-მოპასანის, ე. რენანისა და გ. ფლობერის თვალსაზრისი ომის შესახებ.

ამავე წელს (#85) ქვეყნდება ე. რენანის შეხედულება საფრანგეთში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ.

ე. რენანი გარდაიცვალა 1892 წლის 24 სექტემბერს. *ივერიაში* (#207, 1 ოქტომბერი) რუბრიკაში *ნარკვევი ჟურნალ–გაზეთებიდან*, ქვეყნდება ინფორმაცია ამ ფაქტის შესახებ.

გაზეთის მომდევნო (#208) გამოშვებაში, რომელიც 3 ოქტომბერს გამოვიდა, იბეჭდება ინფორმაცია ე. რენანის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდზე.

მომდევნო (#209) გამოშვებაში, რომელიც 4 ოქტომბრით თარიღდება, იმავე რუბრიკაში წარმოდგენილია ე. რენანის ანდერძი.

6 ოქტომბრის გამოშვებაში (#210) ამავე რუბრიკაში აღწერილია ე. რენანის დასაფლავება.

7, 9, 11 ოქტომბრის გამოშვებებში (#211,#213,#215) იბეჭდება ჟ. ლემერტის ესე ე. რენანის შესახებ (თარგმანი არტემ ახნაზაროვისა).

7, 8, 10 ოქტომბრის გამოშვებებში (#211,#212,#214) რუბრიკაში *ნარკვევი ჟურნალ-გაზეთებიდან* იბეჭდება ნაწყვეტი ე. რენანის ავტობიოგრაფიული ნარკვევიდან *ჩემი მოგონებანი*.

20 ოქტომბრის გამოშვებაში (#221) იბეჭდება ე. რენანის *აზრნი და თქმულებანი* ანუ ე. რენანის აფორისტული თქმები.

25 ოქტომბრის გამოშვებაში (#225) იბეჭდება ინფორმაცია საფრანგეთის დეპუტატათა პალატაში მიშლეს, კინეს და რენანის ნეშტთა პანთეონში გადასვენების შესახებ.

14 ნოემბრის გამოშვებაში (#242) *ფელეტონში* იბეჭდება აბრას ფსევდონიმით (ნიკიტინი ალექსანდრე) წერილი *უცხოთა შორის,* რომელშიც საუბარია ერნესტ რენანზე.

აქვეა წარმოდგენილი ინფორმაცია ე. რენანის, როგორც მეცნიერის, შესახებ.

1897 წელს (#60) *ივერია* აქვეყნებს ა. ნიკიტინის წერილს *უცხოთა შორის,* რომელშიც წარმოდგენილია საბერძნეთის წარსულის შესახებ ე. რენანის აზრი.

1901 წელს (#39) *ივერია* აქვეყნებს წერილს *ერი და მამული.* ამ სტატიის პუბლიკაცია გრძელდება ამავე წლის 28 თებერვლის გამოშვებაში. ქვეყნდება თავად ესეს თარგმანი და მასზე შარლ ბიგოს კომენტარი *დედა აზრი მამულისა. ე. რენანის რა არის ერის გამო,* რომელიც გამოქვეყნდა ფრანგულ გამოცემაში Revue politique et litteraire 1882 წლის 26 მარტს.

ორივეს თარგმანი ფრანგულიდან ეკუთვნის პ. მირიანაშვილს.

აი, მცირე ამონარიდი მთარგმნელის წინასიტყვიდან:

> კაი ხანია, ჟურნალმა *ივერიამ* დაბეჭდა განსვენებულის რენანის შესანიშნავი სიტყვა: *რა არის ერი?* და ჩვენებურის მოპასუხეს წერილი, სახელად *მეცნიერის ბორძიკი* ჩვენის მწერლების მოუმზადებლობა იყო (რასაკვირველია, ქართულად ფიქრისა და წერის უილაჯობა), თუ სხვა რამ გარემოება, ამითი დასრულდა ჩვენში განხილვა საგნისა, რომელმაც სხვა ერთა შორის მთელი მწიგნობრობა დაჰბადა, მეტადრე კი საფრანგეთში. ეხლახან ვითომდა ისევ თავი იჩინა ჩვენს მწერლობაში ამავე საგანში და საბაბად კი გაუხდა წერილი *ერთის შორს მყოფის ქართველისა,* რომელიც *კვალის* დირექტორს დაეკითხა: 'წვრილნი ერნი უნდა სცდილობდნენ დაიცვან თავისი ხალხისნობა^ თუ არაო'. ბ-მა ნ. ჟორდანიამ "შორს მყოფ ქართველს' პასუხი გასცა (*კვალი,* #51), მაგრამ ამათ *ცნობის ფურცელი* გამოელაპარაკა და როგორც კილო უთხრობს, შესაძლებელია კამათიც გამართონ, თუ მხოლოდ ერთმანეთი ქართულად არ აიგდეს. დრო არის, მგონია, მკითხველს საზოგადოებას მიეცეს შემთხვევა, თავისს მწერალთაგან მოისმინოს უფრო დალაგებული განხილვა ამ საინტერესო საგნისა, კარგად გაითვალთვალოს ნამდვილი ვითარება და თვისება ბრძოლისა როგორც კერძოდ რომლისამე ერის კლასთა, ისე საზოგადოდ ერთა შორის და შეიგნოს, თუ რამდენად ხელს უწყობს თუ უშლის ერთი თუ მეორე მდგომარეობა ერად ცხოვრების გამტკიცებას თუ შესუსტებას. მანამდე-კი ჩვენ უფრო სასარგებლოდ მიგვაჩნია მოვაგონოთ *ივერიის* მკითხველებს რენანის სიტყვა და პირველად გამოვაქვეყნეთ ამისი, არანაკლებ შესანიშნავი, პასუხი წარჩინებულის საფრანგეთის მწერლის შარლ ბიგოსი, რომელიც უფროს ერთად განმარტებს მამულის დედა-აზრს ერის მიმართ, რაც რენანის სიტყვის საგანს შეადგენს. აი თვითონ სიტყვაცა და პასუხიც, რომელიც ვთარგმნეთ ფრანგულით (*ივერია* 1901 წელი #39 – 20 თებერვალი; *ერი და მამული)*

ასე რომ, *ივერიამ* ქართველ მკითხველს ე. რენანის კიდევ ერთი თარგმანი შესთავაზა. წყარო ამჯერადაც იყო უშუალოდ ორიგინალი: იხ. Journal des Debats 1882 წ. 12 და 14 მარტის პუბლიკაციები.

როგორც ვხედავთ, ამ ესეს ახლად თარგმნისათვის მაპროვოცირებელი ფაქტორი ყოფილა *კვალის* პუბლიკაცია და მასზე *ცნობის ფურცლის* გამოხმაურება. აღნიშნული მედია საშუალებები ერის ე. რენანისაგან განსხვავებულ ინტერპრეტაციას სთავაზობდნენ ქართულ საზოგადოებას. *ივერიას* საჭიროდ მიუჩნევია, თავის მკითხველებისათვის შეეხსენებინა რაში მდგომარეობდა ე. რენანისეული თვალსაზრისი.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ერის განსაზღვრის საკითხში სწორი პოზიციის შესამუშავებლად *ივერიელები* აუცილებლად მიიჩნევენ ე. რენანის კონცეფციის გათვალისწინებას.

ამავე წლის 1, 7, 8 მარტის გამოშვებებში (#47,#52,#53) იბეჭდება უკანასკნელად აღნიშნული თარგმანის გაგრძელებები.

1903 წელს (#185) *ივერია* აქვეყნებს ე. რენანის სიტყვას წარმოთქმულს ტურგენევის საფრანგეთიდან გადასვენებაზე ოცი წლის წინ.

1906 წლის მეხუთე ნომერში იბეჭდება ქრისტეს ჯვარცმის და აღდგომის ამბავი (ერნესტ რენანის გამოკვლევით).

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალა, რომელიც, შესაძლოა, არც იყოს სრული, თვალსაჩინოს ხდის *ივერიის* განსაკუთრებულ ინტერესს აღნიშნული მოღვაწის მიმართ. ეს გვაფიქრებინებს,

რომ ქართველი ერის კონცეპტუალიზაციისათვის გამოყენებული ნაციის პარადიგმა გარკვეულ კავშირში უნდა იყოს ერის ე. რენანისეულ დეფინიციასთან. ჩვენი გამოკვლევის მთავარი კითხვაც ამ ვარაუდს უკავშირდება:

<u>როგორია მიმართება ერის დეფინიციის ე.წ. ფრანგულ მოდელსა და ქართველი ერის იდეის შესაქმნელად გამოყენებულ ერის ფენომენის ზოგად მატრიცას შორის?</u>

არსებითად ესაა კითხვა ქართული ნაციონალიზმის არსების განსაზღვრის თაობაზე. როგორც ითქვა, სპეციალურ ლიტერატურაში ერის კონცეპტუალიზაციის თვალსაზრისით ორ პირითად ტიპს გამოყოფენ: ფრანგულ და გერმანულ მოდელებს. აქვე ზედმეტი არ იქნება მივუთითოთ, რომ ნაციებისა და ნაციონალიზმების დიქოტომიის საჩვენებლად იყენებენ სხვა ტერმინებსაც: დასავლური / აღმოსავლური; მოქალაქეობრივი (ეტატისტური) / ეთნიკური; ტერიტორიული / კულტურული; ვოლუნტარისტული / ორგანიკული, ინდივიდუალისტური / კოლექტივისტური.

სპეციალისტები შენიშნავენ ამ დაყოფის პირობითობას და იმ გარემოებას, რომ პრაქტიკაში თეორიული კრიტერიუმებით ვერ ხერხდება მკაცრი ზღვრის გავლება და, რომ რეალურად არსებული ნაციები ორივე მოდელისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ერთდროულად ავლენენ. ამასთან დაკავშირებით, ე. სმითი მიუთითებს:

> ამ ტიპოლოგიამ შესაძლოა კარგად დაგვანახოს ნაციებსა და ნაციონალიზმებს შორის არსებული უმთავრესი განსხვავებანი. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ დროთა განმავლობაში იმდენად ბევრი ნაციონალიზმი იცვლის თავის "ბუნებას" და ისე ხშირად ურევს ერთმანეთში ორივე ტიპისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, რომ თავდაპირველი ანალიტიკური გამიჯვნა ერთგვარად კარგავს თავის პრაქტიკულ ღირებულებას (ჩხარტიშვილი 2004: 71).

მიუხედავად ამისა, მაინც რეზონულია ანალიზის დროს გვახსოვდეს აღნიშნული ტიპოლოგია. ჩვენც მხედველობაში გვექნება ეს დაყოფა, როცა შევეცდებით ქართველი ერის კონცეპტუალიზაციის საფუძვლად აღებული ზოგადი მატრიცის ტიპის გარკვევას.

ილიასა და ე. რენანის თვალსაზრისების მსგავსების მაჩვენებელი ფაქტები.

ე. რენანის პიროვნებისა და შემოქმედებისადმი *ივერიას* განსაკუთრებული ინტერესის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ერის შესახებ ილიასა და ე. რენანის შეხედულებათა შორის შეინიშნება თანხვედრა რამდენიმე ფუნდამენტურ საკითხში. ერთ-ერთი ასეთია ერის ჩამოყალიბებაში ისტორიული მახსოვრობის გადამწყვეტი როლის აღიარება ორივე მოაზროვნის მიერ.

ე. რენანი კოლექტიური კულტურული იდენტობის მარკერთა შორის ყველაზე უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებდა ერთობის ისტორიულ მეხსიერებას.

რაც შეეხება ილიას, მან ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში, წინა მოდერნის ეპოქიდან მომდინარე სამი მარკერი მიიჩნია ქართულ ნაციონალურ იდენტობისათვის არსებითად. ესენი იყო: სამშობლო მიწა ანუ მამული, ენა და სარწმუნოება. ახალ დროში ანუ ნაციის ქმნადობის ეპოქაში, ილიას აზრით, სწორედ ამ მემკვიდრეობისათვის უნდა ეპატრონათ ქართველებს.

70-იანი წლების მიწურულს, ილიამ მოახდინა ქართული ნაციონალური იდენტობის მარკერთა ჩამონათვალის შევსება. ერთი შეხედვით, ისე ჩანს, რომ ეს იყო ილიას მიერ ქართული იდენტობის რეკონცეპტუალიზაცია: სამივე აღნიშნულ მარკერზე წინ მან ისტორიული მახსოვრობა დააყენა. აღნიშნული, მართლაც, ქართველი ერის იდეის არსებით გადააზრებად ჩანდა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში ქართული ნაციონალური იდენტობისათვის ისტორიული მახსოვრობა, როგორც მარკერი, თავიდანაც არ გამოირიცხებოდა,[7] ეს იგულისხმებოდა სწორედ ილიასეულ საკრალურ ტრიადაში: მამა-პაპათა საუნჯის შენახვა, ხომ, მახსოვრობის გარეშე წარმოუდგენელია.

ეროვნული იდეის შესახებ დისკურსში აქცენტის ამგვარ ცვლილებას, ცხადია, ჰქონდა თავისი მიზეზი და ისტორიული კონტექსტიც: ეს იყო რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი. დრო, ომისა, რომლის შედეგად ქართველი ნაციონალისტები მოელოდნენ ოსმალეთის ხელში მყოფი ქართული მიწების გადასვლას რუსეთის ხელში და ამ გზით 'რუსეთის საქართველოსა' და 'ოსმალოს საქართველოს' პოლიტიკურ გაერთიანებას. ამის შემდგომ დგებოდა კულტურული გაერთიანების პრობლემა და ეს უკვე ქართველი ნაციონალისტების სამოღვაწეო "დომენი" იყო. ქართული

იდენტობის მარკერთა იმ ახალი კომბინაციით, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლების მიწურულისათვის წარმოადგინა ილიამ, ქართველი ნაციონალისტები არსებითად თადარიგს იჭერდნენ, რომ ხელშემშლელი რელიგიური ტიხარი, რომელიც არსებობდა ორ იმპერიაში განაწილებულ ქართულ ჩვენ-ჯგუფში, დაუძლეველი არ ყოფილიყო. შესაბამისად, ხსოვნამ გარკვეულ დროს ერთად ცხოვრებისა, როგორც აბსოლუტურად სუბიექტივისტურმა და, ამდენად ჯგუფის ინკლუზიურობისათვის ხელშემწყობმა, იდენტობრივმა მარკერმა წინ წამოიწიაჱ

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მშობლიური ერის ნარატივები კოჰერენტულ ტექსტებს არ წარმოადგენდნენ. ისინი ხშირად არიან განსხვავებული იდეების ერთდროულად მატარებელნი. ამასთან გარკვეული იდეების წინ წამოწევა და აქცენტირება, ხდება სიტუაციის მიხედვით. სწორედ ამგვარ ფაქტს ჰქონდა ადგილი ამ შემთხვევაში.

როგორც ითქვა, ქართული ნაციონალური იდენტობისათვის ისტორიული მახსოვრობა, როგორც მარკერი, თავიდანაც არ გამოირიცხებოდა. მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს,ზემოხსენებული პოლიტიკური ვითარების გავლენით, მოხდა ამ მარკერის არა ახლად ჩამოყალიბება, არამედ უკვე არსებულის აქტუალიზება.

ისტორიული მახსოვრობის, ნაციონალური იდენტობის უმთავრესი მარკერად გააზრების გამო ე. რენანსა და ილიას ნააზრევს შორის მსგავსებაზე მიუთითებდა უკვე ილიას თანამოღვაწე გ. ყიფშიძე. ბოლო ხანებში აღნიშნულ საკითხს სპეციალურად შეეხო მ. ღაღანიძე:

> ადვილად ვერ ვიტყვით, რომ ერის რენანისეული კონცეფცია, რომელიც გამოითქვა (ან, უფრო სწორად, წარმოითქვა) ილიას ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ, – ერნესტ რენანის *რა არის ერი?* ხუთი წლით ჩამორჩება ილია ჭავჭავაძის *ოსმალოს საქართველოს*, – მთლიანად ემთხვეოდეს ეროვნული ერთიანობის ილიასეულ კონცეფციას, თუმცა მსგავსებანიც შესამჩნევია, განსაკუთრებით ეს ითქმის იმ პოზიციაზე, სადაც სისხლისმიერი ნათესაობაც (ე.ი. გვარტომობა), ენაც და სარწმუნოებაც გამორიცხულია ერის წარმომშობ ნიშანთა წყებიდან ... იქ, სადაც რენანი მსჯელობს ერისათვის საერთო ისტორიული წარსულის განმაპირობებელი მნიშვნელობის შესახებ, ორივე მოაზროვნის ნათესაობა უეჭველია. ილიას თანამოაზრესა და მის პირველ ბიოგრაფს, გრიგოლ ყიფშიძეს, უთუოდ ჰქონდა საფუძველი, ამგვარ ნათესაობაზე ელაპარაკა, რაც მის დაკვირვებულ და გამჭრიახ მზერაზე მეტყველებს (ღაღანიძე 2007: 144).

გ. ნოდიაც მიუთითებს ილია ჭავჭავაძის აღნიშნული წერილის, როგორც ქართული ნაციონალური იდეის ფორმირებისათვის ფუნდამენტური ტექსტის, მნიშვნელობაზე:

> 1877 წელს, როდესაც ოსმალთა იმპერიასთან ომის შემდეგ რუსეთმა აჭარის – ქართული სამუსლიმანო მხარის – ანექსია მოახდინა, გაჩნდა დამატებითი მოტივი საიმისოდ, რომ მართლმადიდებლურ ქრისტიანობაზე ზედმეტი აქცენტი არ გაკეთებულიყო. დაისახა ახალი პრაქტიკული ამოცანა: ეს ტერიტორიული და კულტურული ერთეული მოდერნული ქართველი ერის მშენებლობის პროექტში ჩართულიყო. ახალმა რეალობამ ილიას უბიძგა წამოეყენებინა ეროვნული იდენტობის მოდიფიცირებული გაგება, რომელიც ისტორიის იდეაზე იქნებოდა დამყარებული, 1877 წელს, აჭარის შემოერთებას რომ მიესალმებოდა, ილია წერდა: 'ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა'. ეს მიდგომა უნისონშია ერნესტ რენანის შეხდულებებთან, რომლებიც რენანმა მოგვიანებით ჩამოაყალიბა ლიბერალურ ნაციონალიზმის კლასიკურ ტექსტში, 1882 წელს ლექციად წაკითხულ ნარკვევში *რა არის ერი.*? (ნოდია 2009: 125-126).

როგორც ჩანს, აზრი ერის ფორმირებაში ისტორიული მახსოვრობის გადამწყვეტი როლის შესახებ ე. რენანს ჩამოუყალიბდა გაცილებით ადრე, ვიდრე ამას თავის საჯარო ლექციაში გამოთქვამდა. კერძოდ, ამას ადგილი ჰქონია უკვე 1877 წელს (ნოსენკო 2012) მაგრამ ილიამ ამის შესახებ აშკარად მხოლოდ ხსენებული ლექციის გამოქვეყნების შემდგომ შეიტყო.. ანუ ე. რენანს კი არ დაესესხა ამ იდეას, თავადვე გაუჩნდა იგი. როცა საკუთარ იდეებთან ცნობილი ერუდიტის აზრის ზუსტი დამთხვევა დაინახა, ამან, ცხადია, მისი აღფრთოვანება გამოიწვია და უმალვე მიაწოდა მკითხველს ინფორმაცია ე. რენანის ესეს შესახებ.

დღეს სპეციალურ თეორიულ ლიტერატურაში საყოველთაოდ არის აღიარებული ისტორიული მახსოვრობის გადამწყვეტი მნიშვნელობა კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებულ ერთობათა აღმოცენებისათვის საზოგადოდ და, კონკრეტულად, ნაციების აღმოცენებისათვის, იმდენად გადამწყვეტად, რომ ზოგი მკვლევარი, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულადაც, ნაციებს მნემონიკურ ანუ მახსოვრობით კოლექტივებს უწოდებს (ზერუბაველი 2004: 4).

მაგრამ მარტოოდენ განსაკუთრებული აქცენტი ისტორიულ მახსოვრობაზე არ აკავშირებს ილიას ნააზრევს ე. რენანის ნააზრევთან. ერის, როგორც ზნეობრივი ნიშნით აღბეჭდილი ფენომენის, პერცეფციაც მათი საერთო ადგილია.

აღნიშნული ფაქტი, აგრეთვე, არის ძალიან არსებითი მსგავსება. საქმე ისაა, რომ ნაციონალური კოლექტივის მოაზრება საერთო ეთიკური ვალდებულებებით შეკრულ წმინდა ერთობად და ერთობის საკრალიზება. ეთნო-სიმბოლიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ე. სმითის აზრით, არის ნაციის წარმოქმნის უმთავრესი წინაპირობა იხ. (სმითი 2003). აღნიშნულ ნაშრომში გამოთქმული თვალსაზრისის ქართულ ენაზე გადმოცემა იხ. ჩვენს ბოლოდროინდელ მონოგრაფიაში (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 51–56).

ამგვარად, ნაციის მშენებლობისათვის დამახასიათებელი აღნიშნული ფუნდამენტური ნიშანიც, ერის ილიასეულ პერცეფციას აკავშირებს ე. რენანისეულთან. საინტერესოა, რომ ამ ნიშნის გამოკვეთის აუცილებლობის აზრამდეც ილია ე. რენანისაგან დამოუკიდებლად არის მისული.

ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ ილიას სტატიას ერის მადლმოსილების აუცილებლობის შესახებ. აქ ილია, როგორც მკითხველს ახსოვს, იმოწმებდა ე. რენანს ერის ზნეობრივ ერთობად გააზრების აუცილებლობასთან დაკავშირებით. ერის ზნეობრივ ასპექტზე იგი მსჯელობს შემდეგნაირად:

> ამ სათნოებათა არქონა კი უსათუოდ ნიშანია, რომ ერი ქვეყნის ზურგიდამ ასაგველად გადადებულია. თუ ამ სათნოებათა კანტი კუნტად ქონა ვერ შეძლებს ერი წინ წააყენოს გამოკეთების გზაზედ, არქონა კი უსათუოდ უკან დამწევი მიზეზია. ამიტომაც ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი სურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის ოჯახში. ამისთვის საჭიროა ზნეობის ამაღლება და განწმედა ამაზედ უნდა მიექცეს მთელი ღონე ერის გულშემატკივარის კაცისა. იგი დედა, თუ მამა, რომელიც თავის შვილისათვის მზრუნველობას იმაზედ არ მიაქცევს, რომ კაცური კაცი გამოუვიდეს, იგი ჭიაა, რომელიც თავის ერს მერმისის ძირს უთხრის, უღრნის დღე მუდამ და იქნება არც კი ჭგრძნობდეს, რა ცოდვაში დგება: იგი ნელ-ნელა ჰლესავს დანას, რომლითაც ადრე იქნება თუ გვიან ყელი უნდა გამოჭრას მისვე შთამომავლობას, მისვე ერსა (ბენაშვილი 2006: 247-248).

მაგრამ საინტერესოა, რომ ქართველი ერის, როგორც წმინდა ერთობის, მოაზრების აუცილებლობაზე ილიამ პირველად მიუთითა არა მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში ე. რენანის თვალსაზრისის გავლენის შედეგად, არამედ მან ეს ჯერ კიდევ რუსეთში სწავლის პერიოდში ამოიცნო (აქ ილიასათვის, როგორც ქარიზმატული პიროვნებისათვის, უფრო ზუსტი იქნება, ალბათ. გამოვიყენოთ სიტყვა 'იგრძნო') ანუ მეცხრამეტე საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს, ე. რენანის ხსენებული ნაშრომის გაცნობამდე ბევრად ადრე.

ილიამ თავისი ადგილიც განსაზღვრა ამ ერთობაში: ჭაბუკი პოეტი თავს განიცდიდა მშობლიური ერთობის წინასწარმეტყველად და მოწამედ.

ნათქვამის თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ ილიას რამდენიმე ადრეულ ლექსს, რადგან, ისინი გასაღებად მიგვაჩნია ქართველი ერის ილიასეული იდეის გასაგებად. ერთ-ერთი ასეთია ლექსი *ლოცვა*, რომელიც 1858 წლის 17 ივლისით თარიღდება:

> მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
> მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენ წინა:
> არც სიმდიდრის, არც დიდების პოვნა არ მინდა,
> არ მინდა, ამით შეურაცხ-ვჰყო მე ლოცვა წმინდა ...
> არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
> შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
> რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,

გთხოვდე: ' შეუნდე, – არ იციან, ღმერთო, რას იქმნან'.

ამავე წელს, ერთი თვის შემდგომ, კერძოდ, 28 აგვისტოს, ილია წერს კიდევ ერთ *ლოცვას*:[8]

ოდეს დემონი ურწმუნოების,
უკუ-თქმისა და მაცდუროების
საწამლავით თვის სავსეს თასს მაცდურს
წინ დაუდგამდეს ჩემს სულსა უძლურს,–
ნუ მანდობ, ღმერთო, ბედისა ტრიალს, –
ნუ დამაწაფებ დემონის ფიალს,
და უკეთუ არს შესაძლებელი
მე განმარიდენ იგი სასმელი.
მაგრამ თუ, ღმერთო, შენ ღვთაებას სურს,
რათა გამოცდა მით ჰქონდეს ჩემს სულს,
განჰქრნენ შენ ხმასთან სურვილნი ჩემნი
და იყავნ ნება, უფალო შენი!

ამ ლექსებს ეხმაურება 1860 წლის 28 ივლისით დათარიღებული, მაგრამ უკვე სულ სხვა ტონალობაში გადაწყვეტილი, კვლავ რუსეთში დაწერილი ლექსი *პოეტი*:

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
მე ფრინველმა გარეგანმა
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომზავნა ქვეყნად ცამა.
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.
დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული ...
მაშინ ციდამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა.

ასევე რუსეთში ყოფნის პერიოდით, კერძოდ, 1858 წლის 23 ივლისით, თარიღდება ილიასეული თარგმანი ბაირონის ლექსისა *წინასწარმეტყველი*.

ამგვარად, ილია ერის გააზრებაში ე. რენანის ნააზრევთან სიახლოვეს ამჟღავნებს არა მარტო ისტორიული მახსოვრობის, როგორც იდენტობრივი მარკერის, წინ წამოწევით, არამედ ერის, როგორც საერთო მორალური ვალდებულებების მქონე კოლექტივის, პერცეფციითაც.

მაგრამ აქცენტი ერის ზნეობრივ და საკრალურ ასპექტზე არ არის ე. რენანისეული ანუ ფრანგული ხედვის სპეციფიკა. ეს ნიშანი მნიშვნელოვანწილად ნაციის ეთნიკურ და ორგანიკულ ყაიდაზე კონცეპტუალიზაციისათვისაც არის დამახასიათებელი. განსაკუთრებულობა ე. რენანისეული მიდგომისა მდგომარეობს ზნეობრივი და პოლიტიკური ასპექტების ერთიანობაში: რაც პოლიტიკური ორგანიზმი არ არის, არ არის ერიც, მაგრამ ყველა პოლიტიკური ერთობა როდია ერი. სახელმწიფო და ერი განსხვავდება. ერი ზნეობრივი კატეგორიაა. ესაა რენინსეული აზრი და იგივეა ილიასა და *ივერიას* დამოკიდებულებაც ერის გააზრებისადმი.

ამ კუთხით ჩვენ ყურადღებას იპყრობს *ივერიას* არაერთი პუბლიკაცია. ერთ-ერთი ასეთია თუნდაც 1878 წლის მეხუთე ნომრის რუბრიკაში *საპოლიტიკო საქმე* გამოქვეყნებული მასალა აქ მოყვანილია იმდროინდელი პოლიტიკური მოღვაწის გამზეტას სიტყვა, წარმოთქმული ბანკეტზე. ამ სიტყვაში ყურადღება მახვილდება ხალხის უფლებების დაცვაზე და არის ასეთი ფრაზაც 'საყოველთაო არჩევანის განათლება ნიშნავს თვით ერის განათლებას და მის ზნეობის დამკვიდრებას, ნიშნავს აწ მყოის დამკვიდრებას და მომავლის დაარსებას'.

როგორც ვხედავთ, ქართველ მკითხველს 'ერის' კვლავ რენანისეულის იდენტური ხედვა წარედგინება: ერის ცხოვრებაში გადამწყვეტია საყოველთაო არჩევანი ანუ ერი არის პოლიტიკური ერთობა. ამავე დროს ეს ერთობა ხასიათდება ისეთი პარამეტრით, როგორიც არის ზნეობრიობა. პოლიტიკური და ზნეობრივი განზომილება ახასიათებს ერს ამ მიმოხილვის მიხედვით.

საზოგადოდ ქართველი ნაციონალისტების და, კონკრეტულად *ივერიელებისა* და ილიას მიერ ერის სამოქალაქო ერთობად კონცეპტუალიზაციის მაჩვენებელი ფაქტია თავად ტერმინი 'ერი', უფრო ზუსტად, მისი გამოყენება ევროპული ტერმინის 'ნაციის' შესატყვისად.

როგორც ცნობილია, ეთნიები (ეთნიკური ჯგუფები) და ნაციები კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობებია.

ამგვარ ერთობებს, წინა მოდერნის ეპოქის ქართულ სინამდვილეში ეწოდებოდა 'ნათესავი'. როგორც თავად სიტყვაც მიუთითებს, ის მიემართებოდა საერთო წარმომავლობით შეკრულ ჯგუფს, უფრო ზუსტად, ასეთად მოაზრებულ ჯგუფს. როცა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის წარმმართველი ქართული კულტურული ელიტა ამ ტერმინს აღარ იყენებს, სრულიად აშკარაა, რომ ეს არაა შემთხვევითი. ქართველი ნაციონალისტები მშობლიური ნაციონალური ერთობის კონცეპტუალიზაციასას უკანა პლანზე ანაცვლებენ 'ნათესაობას' ანუ ეთნიკურობას (გვარტომობას).

როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს ჩვენს წინა გამოკვლევებში (ჩხარტიშვილი 2004: 8; ჩხარტიშვილი 2009ბ: 37–39) უძველესი ქართული სიტყვა 'ერი' ძალიან მოხერხებული ტერმინი აღმოჩნდა მეცხრამეტე საუკუნეში შექმნილი ქართული რეალობის აღსაწერად. ეს სიტყვა წინა მოდერნის ეპოქაში მიემართებოდა ჯგუფს, ადამიანთა კრებულს. მისი სპეციფიკა ის იყო, რომ ჯგუფის წევრობისათვის იდენტობის საფუძველს არ აკონკრეტებდა. ამიტომ 'ერად' შეიძლებოდა სახელდებულიყო სრულიად განსხვავებული ნიშნებით მარკირებული ჯგუფები.

შუა საუკუნეებში უფრო ხშირი იყო ამ სიტყვის სოციალურად მარკირებული ჯგუფების აღსანიშნავად გამოყენება. თუმც უკვე ამ დროს ფიქსირდება შემთხვევებიც, როცა შეიძლება ვიფიქროთ, რომ სიტყვა მიემართება კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებულ ანუ ეთნიკურად მარკირებულ ჯგუფს.[9] ახალ დროში 'ერს' შერჩა უმეტესწილად ეს უკანასკნელი მნიშვნელობა, უფრო სწორად ქართველმა ნაციონალისტებმა, როცა ქართული ერთობის ერად ტრანსფორმაციის პროცესში იწყეს ნაციონალიზმისათვის საჭირო ახალი სიტყვების შექმნა, ან ძველი სიტყვების ახალი შინაარსით ავსება, 'ერს' დაუტოვეს მხოლოდ ეს ერთადერთი, წინა მოდერნის ხანაში იშვიათად მინიჭებული, მნიშვნელობა.

მაგრამ კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული მნიშვნელობა 'ერისა', ვიმეორებთ, მათ თავად არ გამოუგონიათ. ეს რესურსი აღნიშნულ სიტყვას ჰქონდა. ამგვარი რესურსი არ გააჩნდა 'ნათესავს'.

'ერს' ახალი აზრით იყენებდნენ ილიამდეც, მაგრამ ძალიან საგულისხმოა, რომ *ივერიამ* ხაზი გაუსვა ამ სიტყვის 'ნაციასთან' შესატყვისობას. ეს, როგორც ვნახეთ, თვალსაჩინოდ ჩანს ე. რენანის ესეს პირველი ქართული თარგმანის სათაურში. აღნიშნული ფაქტი უკვე კარგა ხანია ხაზგასმულია სპეციალურ ლიტერატურაში: 'ცნებები 'ერი' და 'ნაცია' ილიამ დაამკვიდრა ტრადიცია ამ ორი ცნების გაიგივებისა, როდესაც ერნესტ რენანის მოხსენება *რა არის ნაცია?* (*Qu'est-ce qu' une nation?*) თარგმნა ასე: *რა არის ერი?* (კაშია 2005: 92).

ქართული იდენტობის თავისებურების გასააზრებლად ძალიან საგულისხმო ფაქტია, რომ ქართულ ენის ლექსიკურ ფონდში აღმოჩნდა ერთეული, რომელიც ვარგისი იქნებოდა ახალი დროის აზროვნებისათვის დამახასიათებელი მოქალაქეობრივი შინაარსის მქონე კონცეპტის – – 'ნაციის' ქართულად გადმოსაცემად.

თანამედროვე ნაციების დიდ უმრავლესობას არა აქვს საკუთარი ტერმინი ერის ფენომენის აღსანიშნავად. ლათინურიდან მომდინარე სიტყვა 'ნაცია' ფაქტობრივად საერთაშორისო ტერმინად იქცა.

სომხები ქართველთათვის წარმოადგენენ 'მნიშვნელოვან სხვებს'.[10] ამიტომ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამ კონტექსტში მათთან არსებული ვითარების აღწერაც. მათ აქვთ საკუთარი სიტყვა (სიტყვები). ნაციის აღსანიშნავად: უფრო ძველ ლექსიკონებში (ლექსიკონი1984: 3) ეს იყო მხოლოდ 'აზგ', ახლანდელ გუგლისეულ თარგმანებში (ჩანს ახალი კონცეპტუალიზაციის შედეგად), 'აზგთან' ერთად მითითებულია სხვა სიტყვაც. ესაა 'ჟოღოვურდ'.

ორივე სიტყვა გვხდება წინა მოდერნის ხანაში. პირველი არის ქართული 'ნათესავის' ფარდი სიტყვა. მაგალითად, შუა საუკუნეების სომხურ წყაროებში. დაფიქსირებული ფრაზა 'ვრაც აზგავ', ცალსახად ნიშნავს 'ტომით (ანუ წარმომავლობით, ეთნიკურად) ქართველს'.

რაც შეეხება სიტყვას 'ჟოღოვურდ', იგი 'ხალხის', როგორც ჯგუფის, აღმნიშვნელი სიტყვა იყო. კოლექტიური კულტურული იდენტობაზე დაფუძნებული ერთობის, ეთნიკური ჯგუფის აზრით შუა საუკუნეებში ის არ გამოიყენებოდა. ამგვარად, ერთი შეხედვით, ნაციის კონცეპტუალიზაციის თვალსაზრისით სომხურ სინამდვილეშიც თითქოს ქართულის ანალოგიური პროცესი განვითარდა: ნაციის აღმნიშვნელად. ეთნიკური შინაარსით დატვირთული 'აზგის' პარალელურად დაიწყეს ეთნიკურობით არამარკირებული ჯგუფის აღმნიშვნელი 'ჟოღოვურდის' გამოყენება. მაგრამ საქმეც ესაა, რომ სომხურ სინამდვილეში ორივე სიტყვა თანაარსებობს პარალელურად (sic!) და 'აზგის' 'ჟოღოვურდით' სრულად ჩანაცვლება ვერ ხერხდება. ეს კარგად ჩანს 'აზგის' გამოყენებით ისეთ კონტექსტებში, როდესაც აუცილებელია წარმოჩინდეს სომხური იდენტობის მიმართება სხვებთან. მაგალითად, სომხურად 'ერთა ლიგას' ეწოდება 'აზგნერი ლიგა' ანუ 'სატომო ლიგა', 'ნათესავთა ლიგა', რაც ქართული თვალთახედვით და, ცხადია, ევროპული თვალთახედვითაც, გაუგებარია. მაგრამ სომხური გამოცდილება, როგორც ცნობილია, არის მონოეთნიკური ერთობის მიერ ნაციის კონცეპტუალიზაცია და, ამდენად, ქართული გამოცდილებისაგან სრულიად განსხვავებულია. ამ განსხვავებას კარგად აჩვენებს თუნდ ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც ქართულ ერთობას 'ერი' ეწოდა 'ნათესავი' მის აღსანიშნავად აღარასოდეს ყოფილა გამოყენებული.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს საკითხს და შევაჯამოთ: ე. რენანის შეხედულება ძალიან მნიშვნელოვნად თანხვდენილია 'ქართველი ერის მამის' შეხედულებასთან ერის შესახებ.

ილიასა და ე. რენანის კონცეფციათა ამბივალენტურობა.

მაშ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველი ერის კონცეპტუალიზაციისას გამოყენებული ერის ფენომენის დეფინიცია ემთხვევა ე. რენანისეულს? იკითხავს მკითხველი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ამ კითხვაზე დადებითი პასუხი თითქოს ბნელი არ უნდა იყოს. მაგრამ ვითარება გაცილებით რთულია. დადებითი პასუხის გაცემა მაინც ჭირს.

საქმე ისაა, რომ ე. რენანის დეფინიცია, როგორც ითქვა, საყოველთაო აღიარებით, მიჩნეულია ერის კონცეპტუალიზაციის ვოლუნტარისტულ ტიპად. მაგრამ შეუძლებელია ვთქვათ, რომ ილიას მიერ ქართველი ერის პერცეფცია ვოლუნტარიზმის ჩარჩოებში არის მოქცეული. ჩვენ გვაქვს უამრავი ფაქტი, რომელიც აჩვენებს, რომ ქართველი ერის ილიასეული კონცეფცია ორგანიციზმის და ეთნიკური ნაციონალიზმის მკაფიო ნიშნების მატარებელია. და ეს აპრიორი მოსალოდნელიც იყო თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველი ერის ჩამოყალიბება ხდებოდა რუსული იმპერიის ფარგლებში. როგორც ცნობილია საზოგადოდ, იმპერიებში 'ცხვებიან' ეთნო-ერები, მოქალაქეობრივი იდეების განვითარების ფუფუნება იმპერიებში მოქცეული პოტენციური ნაციებისათვის, ბუნებრივია, არ არსებობს.

ამის დამატებით, ქართველი ერის ეთნო-ერად კონცეპტუალიზაციის წანამძღვარს წარმოადგენდა ქართული პრენაციონალური ერთობის დემოტიკური[11] ხასიათი. ამ ტიპის ერთობების ნაციონალურ ერთობებად გარდაქმნა ხდება ვერნაკულური მობილიზაციის შედეგად და ამ დროს, როგორც წესი, საქმე გვაქვს ეთნიკურ ნაციონალიზმთან და ეთნო-ნაციასთან.

თუ დავუკვირდებით ქართველი ერის კონცეპტუალიზაციის ერთ-ერთ მთავარ იარაღს ანუ *ოქერიას,* სრულიად აშკარაა, რომ მის მკითხველებად ანუ ქართული ნაციონალური ერთობის წევრებად მოიაზრებიან ექსკლუზიურად ეთნიკური ქართველები. *ჩვენ-სხვა* ოპოზიცია

ოვერიელებისათვის ეთნიკურობის ზღვარზე გადის ქართველი ერის ილიასეული პერცეფციაც მრავალი ნიშნით ორგანიცისტულია. ილიასეული ქართველი ერი ძალიან ჰგავს ცოცხალ არსებას, მეტიც, ინდივიდს (ჩხარტიშვილი 2007: 231-232).

იმ მკვლევრებს, რომლებიც გვარტომობას ქართველი ერის ილიასეული კონცეფციიდან გამორიცხულად მიიჩნევენ, მხედველობაში აქვთ ილიას მიერ ქართული იდენტობის მარკერების საკრალურ ტრიადაში გვარტომობის არშეტანის ფაქტი. მაგრამ ისინი ვერ ამჩნევენ იმ გარემოებას, რომ ილია ლაპარაკობს არა უბრალოდ ქართული იდენტობის სამ მარკერზე, არამედ წინა მოდერნის ეპოქიდან წინაპართაგან ანუ მამა-პაპათა (sic!) მიერ დატოვებულ სამ მარკერზე. ამის შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ. მეტი თვალსაჩინოებისათვის ახლა გვინდა შესაბამისი ამონარიდიც მოვიყვანოთ:

> ეხლა, როცა გვინდა კალამი თავის ალაგას დავსდვათ, ფიქრად მოგვივიდა: იქნება თავად ერისთავმა გვიწყინოს ეს პირმოუფერებელი სტატია. არა გვგონია. ჩვენ ყველანი ქართულ ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვენება ურთიერთის ცოდვებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი და საქებარი მამულისმოყვარე, და არა ის, ვინც მეტისმეტად დამჟავებულ სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების აღვიარება ნახევარი გასწორებაა. თუნდ რომ იწყინოს თავად რ.შ. ერისთავმა ჩვენი პირმოუფერებელი სტატია, რა ვუყოთ? მისი ნებაა! სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა სამღთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს. იქნება ჩვენც ამ სტატიაში ბევრი შევსცოდეთ ჩვენს საყვარელს ენასა, მაგრამ ჩვენ არა ვხედავთ. მაგის განხილვა მკითხველის ნებაა. ჩვენის მხრით ამას კი ვიტყვით, რომ ჩვენი ქართული ენა ისე გვიყვარს, რომ ჯერ ვეცდებით, რომ მის წინააღმდეგად არ მოვიქცეთ და, თუ ღმერთი გაგვიწყრება და უხერხოდ მოგვივა რამე, მის შენიშვნას სიხარულით და მადლობით მივიღებთ. დასასრულ, თუ მკითხველი ეყოლება ჩვენ სტატიას, მასთან ბოდიშს ვითხოვთ ჩვენ: იქნება იგი ჩვენს სტატიაში ერთს ჭკვიანურს განხილვას ელოდა და ვერა ჰპოვა. რა ვუყოთ? როგორიც მღვდელია, ისეთიც ერიაო, ამბობს ქართული ანდაზა. როგორიც პოემა იყო ნათარგმნი, იმისთანაც, ღვთის წყალობა თქვენა გაქვთ, განმხილავიც შეჰხვდა. ჩვენ ჩვენის ენის დამცირებამ დაგვაწერინა ეს სტატია, თორემ ჩვენ ვინა და კალამი ვინა (ცაიშვილი და გვერდწითელი 1986 :25) ?

ამგვარად, საერთო წარმომავლობა იდენტობის მარკერთა სიიდან სულაც არ არის გამორიცხული. პირიქით, არსებითად 'მარკერთა მარკერია' ანუ სხვა მარკერთა არსებობის წინაპირობა.

გვარტომობის ანუ სისხლისმიერ ნათესაობის, როგორც ქართული იდენტობის მარკერის, მნიშვნელოვნება კარგად ჩანს ზემოთ ხსენებულ 1877 (#9) წელს გამოქვეყნებულ ილიასეულ *ოსმალოს საქართველოშიც*, რომელშიც იგი საუბრობს ისტორიული მახსოვრობის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე:

> ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის გულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვითებას. ჩვენის ფიქრით არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარ-ტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულს უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულობით ძლიერია... არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს, და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამ-პაპათა (ცაიშვილი, გვერდწითელი 1987: 7-11)

ამ ამონარიდით კარგად ჩანს, რომ, ილიას აზრით, მართალია, ისტორიული მახსოვრობა ეროვნული ერთობისათვის გადამწყვეტია, მაგრამ იგი 'მუშაობს' მხოლოდ შიდა ჯგუფურ პირობებში, ანუ იგი, როგორც ერთიანობის საფუძველი, ვარგისია დროებით დაშორებულ სისხლით ნათესავთა ანუ ძმათა (sic!) შესაერთებლად, და არა ნებისმიერი წარმომავლობის მქონე ადამიანების დასაკავშირებლად. 'ოსმალოს ქართველები' და 'რუსეთის ქართველები' ძმები არიან, მათ წარსულში არა მარტო საერთო კულტურა შეუქმნიათ, საერთო წინაპრებიც (sic!) ჰყოლიათ.

ასე რომ, ქართველი ერის კონცეპტუალიზაციისას ილიას მიერ ეთნიკურობის გათვალისწინება და მის მიერ ერის ეთნოკულტურული, ორგანიცისტული პერცეფცია, ვფიქრობთ, ეჭვს არ იწვევს.

ამგვარად, ილიასეული პერცეფცია ერისა აშკარად ამბივალენტურია და ზუსტად არ თავსდება არცერთ ზემოდასახელებულ ტიპში: ერთი მხრივ, მისი ხედვა მკაფიოდ მოქალაქეობრივია, მეორე მხრივ, ასევე მკაფიოდ ეთნიკური; ერთი მხრივ, ილია ერს განიხილავს ინდივიდთა სურვილით, საერთო მახსოვრობით შეკრულ პოლიტიკურ ერთობად, მეორე მხრივ, – საერთო წარმომავლობით და სრულიად სპეციფიკური ეთნიკური მარკერებით დეტერმინირებულ კოლექტივს.

ქართველი ერის შესახებ ილიას კონცეფციის ამბივალენტურობის ჩვენება ზოგჯერ ხერხდება ერთიდაიმავე მაგალითებით. ქვემოთ მოგვყავს ნაწყვეტი დავით აღმაშენებლის შესახებ ილიას მსჯელობიდან:

> არ ვიცით, სხვა როგორ ფიქრობს და ჩვენ კი ისე გვგონია რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულისფიცარზე იჭდევს მარტო სულისა და და გულის მოძრაობას ერისას, და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვიჩვენებს იმ ღონესა და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის. უკეთესნი და უდიდესნი მოქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან რა, თუ არ ერის გულისნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი (რატიანი 2007: 62).

> გარდა ამისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღეს და ვსულდგმულობთ, მათ სხვა სამსახურიც მიუძღვით ჩვენ წინა. ისინი ცხოველი მაგალითები არიან მისი თუ რა სიმაღლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს ... რამოდენადაც ეს დიდბუნებოვანება ხშირია რომლისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლებლობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისანი და ხორცის დიდებულნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ... ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონესა და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს. ზოგს დიდბუნებოვანობის შარავანდედითა და თაყვანსა სცემს სასოებითა (რატიანი 2007: 63).

ეს არის ამონარიდები *ივერიის* ერთ-ერთი უსათაურო მეთაური წერილიდან, რომელიც გამოქვეყნდა *ივერიის* 1888 წლის 23 იანვრის ნომერში. იგი აჩვენებს, რომ ილია ერს გაიაზრებდა, როგორც მწემონიკურ კოლექტივს, ანუ სუბიექტივისტურად. მაგრამ აქვე ჩანს ისიც, რომ, ილიას აზრით, ერი ერთიანი ცოცხალი ორგანიზმია. გმირები იმით არიან მნიშვნელოვანი, რომ აკავშირებენ წარსულს, აწმყოსა და მომავალთან. წარსულში დიდბუნოვანი ადამიანის არსებობა არის იმედი იმისა, რომ ამ ორგანულმა ერთობამ, მსგავსი კიდევ წარმოშვას.

ცხადია, მხოლოდ რწმენა საერთო წარმომავლობისა, ერთი სისხლისა და ერთი ხორცისა ანუ ეთნიკურობისა, შეიძლება იყოს ამგვარი მოლოდინის საფუძველი.

მაშ, როგორღა შეიძლება დავუკავშიროთ ერთმანეთს ერის შესახებ ილიასა და ე. რენანის შეხედულებები? ამ უკანასკნელის მიერ ნაციის განმარტება, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, საყოველთაო აღიარებით, სწორედ ეთნიკურ-ორგანიცისტული დეფინიციის ალტერნატივულ გააზრებას წარმოადგენს?!

გასაღებს ამ პარადოქსის (ერთი შეხედვით) ახსნისათის გვაძლევს ე. რენანის შესახებ ე. სმითის მსჯელობა გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ, მკვლევარი აჩვენებს, რომ სინამდვილეში ე. რენანი სულაც არ არის ორთოდოქსი ვოლუნტარისტი, და არც ერის ვოლუნტარიზმის ყაიდაზე პერცეფციის მომხრეა. ეს ნიშანი მას მიაწერეს მხოლოდ მისი აზრების არასწორი ინტერპრეტაციის გამო.

ვოლუნტარიზმსა და ორგანიციზმს შორის დაპირისპირებას ე. სმითი განიხილავს ტრეტშეკესა და რენანის შეპირისპირების კონტექსტში. პირველმა ელზასისა და ლოტარინგიის სადავო ტერიტორიების ანექსირების კანონიერების საჩვენებლად ეთნოლინგვისტური კრიტერიუმები გამოიყენა. რაც შეეხება ე. რენანს, იგი უფრო პოლიტიკურად და ვოლუნტარისტულად უდგებოდა ამ საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად სწორად მიიჩნევდა საფრანგეთის წარმოშობის გერმანიკულ თეზისს, რენანი აქცენტს აკეთებდა ნაციების სულიერებაზე და ხაზს უსვამდა მათთვის ისტორიული მახსოვრობისა და პოლიტიკური ნების მნიშვნელობას.

ე. სმითს მოყავს ე. რენანის კარგად ცნობილი აზრი ნაციადყოფნაზე როგორც მუდმივ პლებისციტზე. მისი მითითებით, სწორედ ამ ფრაზას იმოწმებენ იმისათვის, რომ რენანის მიდგომა შეაფასონ როგორც ვოლუნტარისტული და დაუპირისპირონ იგი გერმანულ ორგანიციზმსა და დეტერმინიზმს. ე. სმითი უარყოფს ამას და აი, რას ამტკიცებს:

> ეს კარგად ცნობილი ფრაზა ხშირად ამოგლეჯილია კონტექსტიდან, როცა გერმანული რომანტიკული იდეოლოგიის ორგანიციზმის და დეტერმინიზმის საპირისპიროდ, ნაციონალობის ლიბერალური და ვოლუნტარისტული იდეალის საჩვენებლად არის ხოლმე მოხმობილი. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ რენანს თავი შორს ეჭირა როგორც დეტერმინიზმისაგან, ისე ორგანული ანალოგიისაგან. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ვოლუნტარისტული ნაციონალობის დოქტრინას ან ინდივიდის იმ უფლებას იცავს, რომლითაც იგი ინდივიდი თავად ირჩევს ნაციას. რენანი უფრო მეტად ნაციის ისტორიული და აქტივისტური გაგების დაცვას ესწრაფვის, რომელმაც "წინაპართა კულტს" და "გმირულ წარსულს" სათანადო წონა უნდა მიანიჭონ. ნაციის ინდივიდთან ანალოგია იმისათვის არაა გამიზნული, რომ ინდივიდის პრეფერენციათა და ჯგუფური იდენტობების სიტუაციური ანალიზის ლიბერალურ თეორიას დაუჭიროს მხარი. მისი დანიშნულებაა ნაციათა ჩამოყალიბებისას ჩვენოს წარსულის – ისტორიისა და მახსოვრობის (და დავიწყების) ისევე როგორც განგრძობადი პოლიტიკის როლი (ჩხარტიშვილი 2004: 67).

ე. სმითის მიერ ჩატარებული, ეს ანალიზი, ჩვენი აზრით, სავსებით გამოსადეგია ნაციის ინტერპრეტაციის საკითხში ილიას მსოფლხედვის გასაგებად: ერთი მხრივ, ნაციის ეთნიკური ფესვები ილიასათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თუმც, მეორეს მხრივ, ერთობის წევრთა პოლიტიკური ნება ასევე არსებითად მიაჩნდა.

ამგვარად, ილიას ნააზრევი ერის რაობის შესახებ ზუსტად ემთხვევა ე. რენანის ნააზრევს. ეს არის ერის ამბივალენტური პერცეფციის ნიმუში, რომლის დროსაც ერის ფენომენის კონცეპტუალიზაცია ეთნო-ერისა და მოქალაქეობრივი ერის თვისებებს აერთიანებს. ილიასა და ე. რენანის 'ერი' არაა სოციალური ინჟინერიის შედეგად მიღებული პროდუქტი, თუმც არც სახეობის მსგავსი ბუნებრივი მოცემულობაა.

ილია ე. რენანისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ საზოგადოდ, ცხადია, არა საერთო ევროპული და, კონკრეტულად, ფრანგული სინამდვილის კონტექსტისაგან დამოუკიდებლად, მივიდა ხსენებულ კონცეფციამდე.

გამოკვლევის დასასრულ, ჩვენ პასუხგასაცემი გვრჩება კიდევ ერთი ფუნდამენტური მნიშვნელობის კითხვა: რატომ აირჩია ილიამ ქართველი ერის კონცეპტუალიზაციისათვის ამგვარად ამბივალენტური მატრიცა? მისთვის, როგორც იმპერიაში მყოფი ერთობის წარმომადგენლისათვის, რატომ არ აღმოჩნდა მთლიანად მისაღები ნაციის ორგანიცისტული კონცეფცია?

ამ კითხვასთან დაკავშირებით ჩვენი პასუხი შემდეგია:

ყოველი ნაციონალური მოძრაობის საბოლოო მიზანი არის პოლიტიკური დამოუკიდებლობა ანუ სუვერენობა. ილიამ თავიდანვე განაცხადა ეს თავის საპროგრამო ქმნილებაში *მგზავრის წერილები*. 'ჩვენობა' ანუ დამოუკიდებლობა უზენაესია და მის დაკარგვას ვერ აკომპენსირებს

თუნდაც მშვიდობიანობა, რომელიც მოიტანა საქართველოსათვის მისმა ყოფნამ რუსეთის მფარველობის ქვეშ. ასეთია 60-იანი წლების დასაწყისისათვის ილიას შეხედულება.

მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით ახალგაზრდული მაქსიმალიზმის შესუსტებასთან და პრაგმატული მიდგომის გაძლიერებასთან ერთად, ილიამ უარი თქვა პოლიტიკურ ბრძოლაზე და მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო ქართველი ერის ეთნო-კულტურულ თვითიდენტიფიკაციისათვის საჭირო ნარატივის შექმნას, მას, ისევე როგორც ყველა ნაციონალისტს, მუდმივად ახსოვდა მთავარი მიზანი ეროვნული მოძრაობისა ანუ პოლიტიკური სუვერენიტეტი. საქართველო მულტიეთნიკური ქვეყანა იყო. წარსულის გამოცდილება ქართველ ნაციონალისტ იდეოლოგებს აჩვენებდა, რომ ქართული სახელმწიფო ყოველთვის არსებობდა ფართო სოციალური კონსესუსის, ქართული იდენტობის ინკლუზიურობის და ერთობის მოქალაქეობრივი, ტერიტორიალური გააზრების საფუძველზე. ამიტომ იყო, რომ ქართველ ნაციონალისტებს ესაჭიროებოდათ ქართველი ერის როგორც ეთნიკურ, ასე მოქალქეობრივ ყაიდაზე კონცეპტუალიზაცია. მომენტის ამოცანა იყო ქართული ჯგუფის კონსოლიდება ეთნიკური საზღვრების გაყოლებით, მაგრამ ქართული ერთობა სუვერენულ სახელმწიფოს ვერასოდეს შექმნიდა მარტოოდენ ეთნიკური ნაციონალიზმის საფუძველზე. ამიტომაც პარალელურად ხდებოდა ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია მოქალაქეობრივი მატრიცის მიხედვითაც და ეს ორი განსხვავებული მიდგომა ერთდროულად არსებობდა არა მარტო ზოგადეროვნულ დისკურსში, არამედ ერთი პიროვნების ნააზრევშიც, როგორც ეს ვნახეთ ილია ჭავჭავაძის მაგალითზე.

ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ ასეთივე ამბივალენტური იყო ე. რენანისეული ხედვაც. ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნული შემდეგი ფაქტი: რომ ერის კონცეპტუალიზაციისას თუ პრაქტიკულად ეროვნული პოლიტიკის გატარებისას ამბივალენტურობა დღემდე ახასიათებს ფრანგულ სინამდვილეს. აქ გვინდა დავიმოწმოთ ლ. გრინფელდის აზრი, რომელიც აჩვენებს, რომ ნაციის ქმნადობის ფრანგული გამოცდილება ნიშანდებულია იდეათა თავისებური მიქსით: ფრანგული ნაციონალიზმი ერთდროულად არის კოლექტივისტურიც და მოქალაქეობრივიც (გრინფელდი 1993: 14).

ილიას მიერ ნაციის ფენომენის პერცეფცია დასავლური გამოცდილებებიდან ყველაზე ახლოს არის სწორედ ფრანგულ ამბივალენტურ შემთხვევასთან.

ბოლოსიტყვა.

როცა უნდათ, ქართული ცივილზაციის ევროპული რაობა დაასაბუთონ, ისტორიიდან იმოწმებენ სხვადასხვა ფაქტს. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი არის სწორედ ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია ე. რენანისეული, ექსკლუზიურად ევროპული, მოდელის მიხედვით.

როგორც ითქვა, ამ მოდელამდე 'ქართველი ერის მამა', ქართული ნაციონალიზმის 'მთავარი არქიტექტორი' ილია ჭავჭავაძე მივიდა ე. რენანისაგან დამოუკიდებლად. და ესეც, ალბათ, არაა უმნიშვნელო ფაქტი, როცა ქართული ცივილიზაციის ევროპულ ხასიათზე ვსაუბრობთ.

ნაშრომი შესრულებულია სამეცნიერო პროექტის ბეჭდური მედია და ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესი: ილიას "იმერია" ფურცლებში (გრანტი NG-02-08), რომელიც განხორციელდა შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

შენიშვნები

[1] მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ერი-მოდელი იყო სამი: ინგლისელები, ამერიკელები, ფრანგები, თუმც ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ასეთი იყო მხოლოდ ინგლისელი ერი, რომელიც წარმოადგენს პირველ და, აქედან გამომდინარე, პარადიგმულ ნაციას. მაგალითად, ლ. გრინფელდის აზრით, 'ინგლისელი ერის დაბადება არ

მოასწავებდა მარტოოდენ ერთი ერის დაბადებას. ეს იყო საზოგადოდ ერების დაბადება, ნაციონალიზმის დაბადება' (გრინფელდი 1993: 23).

[2] ერთობის ჩამოყალიბებისა და განგრძობადობისათვის ეთნიკური რჩეულობის მითებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სპეციალისტები. საინტერესოა, რომ ქართულ ერთობას ასეთი მითები აქვს საკმაოდ ადრეული ხანიდან. ვრცლად იხ. (ჩხარტიშვილი 2009ბ; ჩხარტიშვილი 2009გ).

[3] *ივერიას* თარიღი მითითებული აქვს ე.წ. ძველი სტილით.

[4] ეს გამოცემა (Что такое нация, СПб) წარმოადგენდა ბროშურას. ბროშურის მეორე გამოცემა თარიღდება 1888 წლით.

[5] ინგლისურ ენაში სიტყვა 'ვერნაკულა' (vernacular) საზოგადოდ ნიშნავს ენას ან დიალექტს, რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ ქვეყნის და რეგიონის მაცხოვრებელი უბრალო ხალხის მიერ. იგი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან vernaculus, რაც 'მშობლიურს', 'ადგილობრივს' ნიშნავს (ლექსიკონი 2001: 1026). მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში 'ვერნაკულა' გამოიყენება მრავალი სხვა აზრითაც. კონკრეტული მნიშვნელობის ამოცნობა შესაძლებელია მხოლოდ კონტექსტით. ეთნოსიმბოლისტურ კონტექსტში ის ნიშნავს 'ეთნიკურს' 'წინარე ნაციონალურს' 'ვერნაკულური მობილიზაცია' სმითისეული ტერმინია და გულისხმობს ნაციონალური კონსოლიდაციის სპეციფიკურ ფორმას, რომელიც დემოტიკური (განმარტება იხ. ქვემოთ, შენ.11) ეთნიების ნაციებად გარდაქმნის პროცესისათვის არის დამახასიათებელი: 'ბევრგან ვერნაკულური მობილიზაციის შედეგებმა თავი იჩინა მას შემდეგ, რაც საშობლოში დაბრუნებულმა ინტელიგენციამ შექმნა ახალი სახის "ნაციონალური" კომუნიკაციისა და სოციალიზაციის გზები, რომელთა მეშვეობით ეთნიკური ღირებულებები, მითები და მოგონებები პოლიტიკური ნაციისა და პოლიტიკურად მობილიზებული ერთობის საფუძველი გახდა. სხვადასხვა სახის ინტელიგენციის ეგიდით გარკვეულ კლასებთან (ჩვეულებრივ, ეს კლასებია ბურჟუაზია, ზოგჯერ – დაბალი არისტოკრატია, ზოგჯერ კი – მუშები) კავშირში იქმნება ახალი და განსხვავებული ნაციონალური იდენტობა, რომელიც რეკონსტრუირებულ ეთნიკურ ხალხურ კულტურას ეფრცელებს ერთობის უკლებლივ ყველა კლასში. ამ იდენტობას აქვს თავისი სამოქალაქო ელემენტებიც. მისი წევრები ახლა კანონიერი ეთნონაციის მოქალაქეები არიან. ისინი, იმავდროულად საკუთარი თავის გააზრებას ტერიტორიული ტერმინებითაც იწყებენ, მაგრამ ამ სახის ნაციონალური იდენტობის საფუძველი შეესატყვისება მის დემოტურ ფესვებს. ნაციონალური იდენტობა, რომელსაც ინტელექტუალები და ინტელიგენცია ქმნის ყოფილ დემოტურ ეთნიებში, მიისწრაფვის იქითკენ, რომ დაუახლოვდეს მასში მოაზრებულ ეთნიკურ კულტურას და ეთნიკურ საზღვრებს. ეთნიკური ნაციონალიზმი, რომელიც ახორციელებს მასების მობილიზაციას, ქმნის პოლიტიკურ ნაციას, თავის წარმოდგენაში არსებული ეთნიკური ფესვების გათვალისწინებით' (პატარიძე 2008: 162).

[6] საინტერესოა, რომ ავტორი ცდილობს ტერმინთა დაზუსტებას: 'ხალხოსნობა (ხალხოვნება) კარგის ქართულით ნიშნავს ხალხიანობას. შესაძლებელია რომელიმე ქვეყანა ხალხიანი იყოს და ხალხად ცხოვრების შნო-კი არა ჰქონდეს. ანალოგიით არც ეროვნება ვარგა. უნდა ვიხმაროთ გარემოებისა და ჩვენის ენის ბუნების მიხედვით: საერო, ერად, ერადი'.

[7] გ. ნოდია, მაგალითად, თვლის, რომ 'გვარტომობა', როგორც ნაციონალური იდენტობის მარკერი, ილიას მიერ გამოირიცხებოდა: 'არის ეროვნული იდენტობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც თვალშისაცემად აკლია ილიას ტრიადას და არც ჩვენ გვიხსენებია ჯერჯერობით, თუმცა ქართველი და სხვა ქვეყნების ნაციონალისტთა უმეტესობის გონებაში მას დიდი ადგილი უკავია. ეს არის საერთო წარმომავლობა, "გვარტომობა", სისხლით ერთობა, ერი, როგორც რასობრივი ერთეული, ან, როგორც ბევრი თანამედროვე ქართველი იტყვის, "ქართული გენი". უნდა ვივარაუდოთ, რომ ილია ჭავჭავაძეს საკმაოდ ჰქონდა შეთვისებული განმანათლებლობის იდეები იმის გასაგებად, რომ გვარტომობის იმედით ერის მშენებლობა აბსურდული პროექტია, განსაკუთრებით საქართველოს კონტექსტში, სადაც საუკუნეების მანძილზე გენები უხვად ირეოდა ერთმანეთში' (ნოდია 2009 :126). ორი შენიშვნა უნდა გამოვთქვათ ამ მსჯელობის თაობაზე, გარდა იმისა, რაც ძირითად ტექსტშია მითითებული. ჯერ ერთი: ილიას თვალსაზრისთან დაკავშირებით ვარაუდი არ გვჭირდება: *ივერიას* მასალებით სრულად გარკვევით ჩანს ილიას აზრი ერის მშენელობაში პოლიტიკური მომენტის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ. მეორეც, რეალურად, გენების აღრევა კი არ იყო მნიშვნელოვანი: რა ეთნიკური წარმომავლობისაც არ უნდა ყოფილიყო პიროვნება, თუ მას ქართული იდენტობა ჰქონდა, ის ქართველ ერს შეადგენდა. მრავალი ეთნიკურობის "გადამდნობელი" ქართული იდენტობის მქონე ადამიანებით ქართველი ერის შედგენა პრობლემა იყო. პრობლემას ის არ ქმნიდა, რომ ზოგი ეთნიკურად არაქართველს სულაც არ ახსოვდა (არც სხვებს ახსოვდათ) თავისი არაქართველობა და ქართველობდა, არამედ ის, რომ არაქართული ეთნიკური იდენტობის მქონენი უნდა ინტეგრირებულიყვნენ ქართველ ერში. ანუ პრობლემა იყო არა ქართული ეთნიკური ერთობის განსაზღვრა, არამედ მრავალი ეთნიკურობის დამტევი ქართული ნაციონალური იდენტობის განსაზღვრა. სწორედ ეს პრობლემა განაპირობებდა ქართველი ნაციონალისტების მიერ ერის კონცეპტუალიზაციას მოქალაქეობრივი მოდელის მიხედვით.

[8] თითქმის მისტიკურია, რომ ამ სტრიქონების დაწერიდან 49 წლის შემდგომ სწორედ აგვისტოს ბოლოს (30 აგვისტოს) ილია მიიღებს მოწვამებრივ გვირგვინს წიწამურთან.

[9] წინა მოდერნის ეპოქაში ტერმინ 'ერის' მნიშვნელობის შესახებ ერთ-ერთი საინტერესო დაკვირვება ეკუთვნის გ. მაჭარაშვილს, რომელიც შენიშნავს. კერძოდ, შემდეგს: 'თუ განვაზოგადებთ, ძველი აღთქმის ისრაელის შემთხვევაში, "ერი" ეწოდება ადამიანთა ერთობას, რომელსაც აქვს საერთო სახელი, ჰყავს საერთო წინაპარი, აქვს საერთო დედა ენა, აქვს საერთო საშობლო და საერთო სარწმუნოება. თვალში საცემია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება – *ხშირად წერილში* ამავე დროს 'არა ერი' ეწოდება ადამიანთა ისეთ ერთობას, რომელსაც ყველა ზემოხსენებული ნიშან-თვისება აქვს, მაგრამ არ გააჩნია მართალი სარწმუნოება. სწორედ აქ იჩენს თავს "ერის", როგორც საღვთისმეტყველო ტერმინის, მნიშვნელობა. სამწუხაროდ, ეს მნიშვნელობა ძველი ქართულის ლექსიკონებში არსად არის წარმოდგენილი. მსგავსი ხარვეზი არ გვხვდება პატრისტიკული ბერძნულის ლექსიკონებში, სადაც "ერის" ბერძნული შესატყვისის განმარტებისას "ერის" ეს შინაარსი დაფიქსირებულია. აღნიშნული ფაქტი მეტად სერიოზული ხარვეზია წინა მოდერნის ხანისათვის ქართულ სინამდვილეში ერის კონცეპტის განმარტების საკითხში, რადგან სწორედ ამ მნიშვნელობით სიტყვა "ერი" ხშირად გვხვდება

ბიბლიურ და პატრისტიკულ წყაროებში. ხოლო მისი გათვალისწინების გარეშე ძველი ქართული ტექსტებში, მთელ რიგ შემთხვევებში, უბრალოდ შეუძლებელი ხდება შინაარსის ზედმიწევნით გაგება (მაჭარაშვილი 2011).

[10] 'მნიშვნელოვანი სხვა' არის სპეციალური ტერმინი, რომელიც იდენტობის ფენომენის არსს გამოხატავს, კერძოდ, იმას, რომ იდენტობა არის მიმართება. იგი ვლინდება სწორედ 'სხვებთან' მიმართებაში, რადგან უპირველეს ყოვლისა, იგი ნიშნავს საზღვრებს. ყველა ერთობას ჰყავს ერთი ან რამდენიმე (რეფერენტირებული, მეზობელი) ხალხი, ვისთანაც მას უშუალო, პერმანენტული და განსაკუთრებით ინტენსიური კონტაქტი აქვს. სწორედ ამ ჰერმანენტულ ურთიერთობაში იგი აყალიბებს და გამოხატავს თავის თვითობას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველობისათვის ამგვარ ხალხს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენდნენ სომხები. ისინი ქართველებს უქმნიდნენ მუდმივ გამოწვევას და ამ გზით მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქართული იდენტობის წრთობაში. უფრო ვრცლად იხ. (ჩხარტიშვილი 2009: 107–125).

[11] დემოტიკურ ეთნიეებს ე. სმითი სხვა სახელწოდებითაც იხსენიებს, კერძოდ, უწოდებს მათ ვერტიკალურ ეთნიეებსაც, რადგან მხედველობაში იღებს ამ ტიპის ერთობათა კონსოლიდაციისას მათ სოციალურ სიღრმეს ანუ კოლექტივის კულტურაში გარკვეული დონით ყველა სოციალური კლასის მონაწილეობას. ეს არის ამ ტიპის ეთნიკური ერთობების მთავარი განმასხვავებელი არისტოკრატიული იგივე ლატერალური ეთნიეებისაგან, რომლებშიც ეთნიკური კონსოლიდაცია ხდება კლასობრივი საზღვრის გასწვრივ. სწორედ ამიტომ მათ მიმართ ე. სმითი იყენებს ატრიბუტს 'ჰორიზონტალური'. არსებითი ნიშანი დემოტიკური ტიპის ეთნიესათვის არის მისი სახალხო ხასიათი. ის შედგება 'ხალხისაგან', რომლის მობილიზაციას, როგორც განუყოფელი ერთისა, რეგულარულად ახდენენ ქარიზმატული რელიგიური ან პოლიტიკური ლიდერები. დემოტიკური ეთნიეები გამსჭვალულნი არიან განსაკუთრებული მისიის განცდით. ახალ დროში ბევრმა ამ ტიპის ეთნიემ გააცნობიერა, რომ იყო იმპერიების შემადგენლობაში. გარკვეული დროის შემდეგ იმპერიის მხრიდან შევიწროება იწვევს ამგვარ ერთობებში საერთო მისიის შეგნების ჩამოყალიბებას და ხელს უწყობს ეთნიკური რჩეულობის რწმენის გაჩენას. სწორედ იმპერიაში ყოფნა ეხმარება ამ ტიპის ეთნიეებს შეინარჩუნონ იდენტობა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეძლონ გარეშეთა პირისპირ თავის დაცვა (სმითი 1999: 192–193).

დამოწმებანი

ბენაშვილი 2006: ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, IX. პუბლიცისტური წერილები, 1887 (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ც. ყიფშიძემ; ტომის რედ. რ. კურსაშვილი, თბილისი, ილიას ფონდი, (2006).
გრინფელდი 1993: L. Greenfeld. Nationalism. Five Roads to Modernity. Cambridge – Massachusetts – London, Harvard University Press, 1992 (Paperback Edition – 1993).
ზერუბაველი 2004: E.Zerubavel. Time Maps. Collective Memory and Social Shape of the Past. Chicago&London.The University of Chicago Press, (2004).
კაშია 2005: ჯ. კაშია. ცალკეული შენიშვნები პატრიოტიზმის თემაზე. კრებ. საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. მთ. რედ.ზ. კიკნაძე, თბილისი, არეტე, (2005).
ლექსიკონი 1984: Армяно-русский словарь Ереван. Изд. АН Арм ССР, (1984).
ლექსიკონი 2001: Oxford Dictionary of Current English (Third Edition). Oxford, Oxford University Press, (2001).
მაჭარაშვილი 2011: გ. მაჭარაშვილი. ტერმინი 'ერი' პატრისტიკული წყაროების შუქზე. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სემინარზე 2011 წელს.
ნოდია 1991: ე. რენანი. რა არის ერი. ფრანგულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გია ნოდიამ. ლაშარი, 1991, # 1.
ნოდია 2009: გ. ნოდია. ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი. ქართველი ერის დაბადება (ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, 2007). თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, (2009).
ნოსენკო: Елена Носенко. Еще раз о нации, этносе, этничности и тому подобных понятиях, ვებ–გვერდი *Эхо.*
პატარიძე 2008: ე.დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა (თარგმნა ლ. პატარიძემ). თბილისი, ლოგოს პრესი, (2008).
რატიანი 2007: ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X. პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ. შავგულიძემ, ტომის რედ. რ. ჩხეიძე. თბილისი, ილიას ფონდი, (2007).
სმითი 1991: A.D. Smith. Myths and Memories of the Nation. Oxford, Oxford University Press, (1999).
სმითი 2003: E.D. Smith. Chosen Peoples. Sacred Sources of National Identity. Oxford, University Press, (2003).
ღაღანიძე 2007: მ. ღაღანიძე. ილია ჭავჭავაძის ოსმალოს საქართველო: ეროვნული ერთიანობის კონცეფცია. კრებულში: ილია ჭავჭავაძე – 170 (საიუბილეო კრებული). თბილისი, ქლი, (2007).
ჩხარტიშვილი 2004: ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი-მალანი). თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, (2004).
ჩხარტიშვილი 2007: მ. ჩხარტიშვილი. ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალიები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. კრებულში: ილია ჭავჭავაძე 170 (საიუბილეო კრებული). თბილისი, ქლი, (2007).
ჩხარტიშვილი 2009ა: M. Chkhartishvili. On Georgian identity and culture (Nine international presentations by Professor Mariam Chkhrtishvili). Tbilisi, Universal, (2009).
ჩხარტიშვილი 2009ბ: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში, თბილისი, უნივერსალი, (2009).
ჩხარტიშვილი 2009გ: მ. ჩხარტიშვილი. ქართული იდენტობა. როგორ იწრთობოდა იგი. ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგია. კავკასიური ძიებანი 1, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა(2009).

ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერის და მისი მკითხველი საქართველო. ტ. 1, თბილისი, უნივერსალი. (2011).

ჩხარტიშვილი და *სხვები* 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ს. ქადაგიშვილი. ქართული ნაციონალიზმის წარმოშობა. ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ჟურნალი 'შრომები', ტ 3, თბილისი, მერიდიანი, (2011).

ცაიშვილი, გვერდწითელი 1986: ი. ჭავჭავაძე. ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ 'შეშლილი'-ს თარგმანზედა. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ტ.3. ტომი შეადგინეს და შენიშვნები დაურთეს. სარგის ცაიშვილმა და გურამ გვერდწითელმა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, (1986).

ცაიშვილი, გვერდწითელი 1987: ი. ჭავჭავაძე. ოსმალოს საქართველო. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. პუბლიცისტური წერილები, ტ.4. ტომი შეადგინეს და შენიშვნები დაურთეს. სარგის ცაიშვილმა და გურამ გვერდწითელმა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, (1987).

Conceptualizing Georgian Nation and *What is a Nation?* by E.Renan

Mariam Chkhartishvili
Ketevan Mania

The paper seeks to determine the type of nineteenth century Georgian nationalism. For this purpose the authors studied the works of -the famous Georgian writer and public figure referred as the 'father of Georgian nation' Ilia Chavchavadze (1837-1907).

As it turns out the definition of nation by Chavchavadze was ambivalent: on one hand he perceived native eri (the Georgian word for nation) in terms of civic nationalism, as political community, on the another hand – he saw the Georgian nation in framework of ethnic, organic nationalism considering native community as living creature endowed with soul and moral obligations.

Ambiguous conceptualization of eri was caused by the historical context: Georgia was part of the Russian empire. This very fact made urgent mobilization along the ethno-cultural lines. But Georgia was multiethnic country. Just this drove Chavchavadze to take care of creating basis for Georgian in-group civic solidarity and conceptualize Georgian eri's civic dimensions.

Chavchavadze was sure that his definition of the concept of nation coincided with of E.Renan's.

The interpretation of Renan's views by A Smith and investigation of Georgian discourse concerning the above pointed issue, allowed the authors to conclude that the general matrix for Chavchavadze's conception regarding the notion of nation was indeed identical with of Renan's ideas: conceptualization of nation by E.Renan was also equivocal. Hwoever, Renan was not Chavchavadze's direct source. Chavchavadze was inspired by the general context

Undouptedly, Chavchavadze found extremely important that his opinion concerning this key issue of the modernity was coincided with the views of the eminent French scholar. Just by this fact might be explained the periodical *Iveria's* (1877-1906) editor and publisher of which was Chavchahadze, permanent interest to Renan's works, his ideas and events of public and personal life. First remark on Renan appeared in *Iveria* in 1882 when the Georgian translation of Renan's essay *What is a Nation?* was published, while last information is dated by 1903.

მეფე ერეკლე II-ის მეუღლეები

დავით ჯავახიშვილი

ერეკლე II (1720-1798), რომელიც 1744 წლიდან მეფობდა კახეთში, ხოლო 1762 წლიდან – გაერთიანებულ ქართლ-კახეთში, განეკუთვნება ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიიდან გამოსულ იმ ფრიად მცირერიცხოვან გვირგვინოსანთა ჯგუფს, რომლებიც ნახევარ საუკუნეზე მეტხანს მეფობდნენ.

'პატარა კახი, რომელიც საერთო ჯამში – 54 წლის განმავლობაში იყო ტახტზე, მეფობის ხანგრძლივობის თვალსაზრისით, მხოლოდ ორი წლით ჩამოუვარდება თავისივე უშუალო წინაპარს – ლევან I-ს, რომელიც მეფობდა 1518-1574 წლებში ანუ 56 წლის განმავლობაში. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს წარმოადგენს მეფობის ხანგრძლივობის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს ბაგრატიონთა ყველა შტოდან გამოსულ ხელმწიფეთა შორის.

ქვემოთ თანამიმდევრულად არის მოთხრობილი მეფე ერეკლე II-ის ქორწინებებისა და მეუღლეთა შესახებ, რაც ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს განვითარების ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. აქვე დავძენთ, რომ ზემოხსენებული პრობლემა მონოგრაფიულად შევისწავლეთ ჩვენს სადოქტორო დისერტაციაში (ჯავახიშვილი 2011).

* * *

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის (1466 წ.) შემდეგ, ბაგრატიონთა სამივე სამეფო სახლის – კახეთის, ქართლისა და იმერეთის წარმომადგენლები, ძირითადად ქართველ წარჩინებულებზე ქორწინდებოდნენ (ჯავახიშვილი 2008: 450).

ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელთა ქორწინებებს უცხოტომელ წარჩინებულებზე მივუძღვენით რამდენიმე სტატია, რომლებიც გამოქვეყნდა როგორც საქართველოში (ჯავახიშვილი 2010-2011: 372-374), ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში, კერძოდ, აზერბაიჯანსა (ჯავახიშვილი 2010: 105-108) და დაღესტანში (ჯავახიშვილი 2010: 44-45).

საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურაში დაცული ცნობები მეფე ერეკლე II-ის პირველი ქორწინების შესახებ დაზუსტებას საჭიროებს.

გამოჩენილი ფრანგი ქართველოლოგი მარი ფელისიტე ბროსე (1802-1880) წერდა, რომ ინდოეთში ლაშქრობიდან 1739 წლის სექტემბერში დაბრუნებულმა უფლისწულმა ერეკლემ მალევე 'შეირთო ვახტანგ ყაფლანიშვილის ასული, რომელსაც მალე გაეყარა და მეორედ დაქორწინდა ანა ფხეიძის ასულზე' (ღოღობერიძე 1895: 269).

ცნობილი მეცნიერი გერონტი ქიქოძე (1885-1960) თავის ნაშრომში *ერეკლე მეორე* მიუთითებს, რომ მეფე ერეკლე 'გაშორებული იყო თავის პირველ ცოლს, ყაფლანიშვილის ქალს, რომელიც მან თვრამეტი წლის ასაკში შეირთო (ქიქოძე 1983: 53).

ერეკლე II-ის ასულის თეკლა ბატონიშვილის ვაჟის, ანუ მეფის შვილიშვილის – ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანის (1802-1869) მტკიცებით, მის გვირგვინოსან პაპას ქეთევან ორბელიანზე ჯვარი არ დაუწერია, რითაც მათ ვითომდაც ქორწინებას და, შესაბამისად ცოლ-ქმრობას, იგი კატეგორიულად უარყოფს. მისი ცნობით, ერეკლე ბატონიშვილი თავისი დანიშნულს ჯვარდაუწერლად დაშორდა.

ალ. ორბელიანი თავის წერილში *პლატონ იოსელიანს* მოგვითხრობს: 'პლატონმა წამიკითხა, რომ მითამ, მეფეს ირაკლის თავისი პირველი ცოლი, ვახტანგ ყაფლანიშვილის ორბელიანის ქალი გაეშოს და მასუკან აბაშიძის ქალი შეერთოს და ამის გამო ის ყაფლანიშვილის ქალი მონოზნათ შემდგარა ალავერდში. ეს ფაქტი ბროსეს ფაქტიდან მოაქვს, რომელსაცა ვუთხარ:

– არა პლატონ, ბროსე შემცდარია, კარგათ ვერ გამოურკვევია სიტყვა გაშვება. შეიძლება დანიშნულიც გაუშოს. რადგან ბროსემ ამგვარი მიმოხვრის ქართული აზრი, აგრე რიგათ არ უნდა იცოდეს, ამიტომ გაშვება იმას ასე ჰგონებია, რომ ჯვარდაწერილი გაეშოს... აბა, პლატონ, სასულიეროს კანონისა ძალით, მეოთხე ცოლს ხომ ვეღარ შეირთამდა ირაკლი?' (ვახანია 1999: 106-107).

საბოლოოდ ირკვევა, რომ კახეთის მეფის თეიმურაზ II-ისა და თამარ დედოფლის (ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ასულის) უფროსი ვაჟი და იმავდროულად სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწული – ერეკლე, თავისივე მშობლების სურვილით, ჯერ კიდევ ყმაწვილობაში დანიშნეს ქართლის გავლენიანი თავადის ვახტანგ ორბელიანის (იგივე ყაფლანიშვილის) ასულზე – ქეთევანზე, რომლის ცოლად მოყვანაც, მოგვიანებით, მან აღარ მოისურვა.

სამეფო ოჯახის ზემოხსენებული სარძლო – ქეთევან ორბელიანი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა გარეკახეთის სოფელ პატარძეულში. იგი ალავერდის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში დაკრძალეს. საისტორიო წყაროს ცნობით, ეს მოხდა 1744 წლის 1 ოქტომბერს (იოსელიანი 1980: 79).

'პატარა კახის' პირველი მეუღლე იყო – ქეთევან ზაალის ასული მხეიძე, იგივე ფხეიძე (გარდაიცვალა 1744 წელს), მეორე – ანა ზაალის ასული აბაშიძე (1730-1749), ხოლო მესამე – დარეჯან კაციას ასული დადიანი (1734-1807).

ალ. ორბელიანი წერს: 'რჯულიერი პირველი ცოლი ირაკლისა იყო იმერეთიდგან, თავად მხეიძის ქალი ქეთევან' (ვახანია 1999: 107).

ერეკლეს ქეთევანზე უნდა ექორწინა არაუგვიანეს 1740-1741 წლებისა, ანუ დაახლოებით 20 წლის ასაკში, როდესაც ის ჯერ კიდევ სამეფო ტახტის მემკვიდრე იყო. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ ქეთევანს პირველი შვილი – რუსუდანი შეეძინა პირველი ძისა და სამეფო ტახტის მემკვიდრის – ვახტანგ (მეტსახელად – 'კარგი') ბატონიშვილის (1742-1760) დაბადებამდე.

ორი მცირეწლოვანი შვილის დედის გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა თეიმურაზ II-ის სამეფო ოჯახი. ქეთევანი ხომ მათი ერთადერთი ვაჟის პირველი მეუღლე იყო.

პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს:

> მოვიდა კახეთიდამ ჩაფარი, მოიტანა ამბავი საზარელი და ყოველთა შესაწუხარი: მეფის ერეკლეს მეუღლე, დედოფალი კახეთისა ქეთევან დამარცხებულიყო. ბატონებს შეწუხებით ყოფნა მოახსენეს. მაშინვე წამობძანდნენ და წაბძანდნენ კახეთს მეფე და დედოფალი, თან იახლნენ ქართველთ დარბაისელნი სახლეულითურთ.
> რა ჩამოხდენ ცხენიდამ, ესმათ ხმა საგლოველი და გაუმჟღავნეს, იუწყეთ, ვითა შეწუხდებოდენ, მეფის ერეკლეს მეტი ძე არ ესვათ და მისის შეწყენისათვის რაზამსა საურავსა მიეცემოდნენ. ცხედარი ისევ დახვდათ, ალავერდს მიასვენეს, თითონ ბატონებმა თელავს გლოვა, ტირილი ხშირობით, ვითა წესი იყო, ეგრე გარდაიხადეს (ცაგარეიშვილი 1981: 88-89).

1744 წელს უკვე კახეთის ტახტზე ასული მეფე ერეკლე II მეორედ დაქორწინდა. ამაში მთავარი როლი შეასრულა მისმა დეიდამ – ანა (ანუკა) ბატონიშვილმა, რომელიც ცოლად ჰყავდა ქვიშხეთში მცხოვრებ თავად ვახუშტი აბაშიძეს. აბაშიძეთა ეს შტო ქართლში იმერეთიდან გადასახლდა.

ანა ბატონიშვილმა დაქვრივებულ დისწულს ცოლად შერთო თავისი მაზლის – თავად ზაალ აბაშიძის ასული – ანა.

აღნიშნული ქორწინების შესახებ საისტორიო წყაროში ვკითხულობთ:

> მობძანდა კახი ბატონი ერეკლე სურამს. გაგზავნეს კაცი იმერეთს და აბაშიძის ზაალის ქალი, შვენიერი და შემკული ყოვლითა ბრწყინვალებითა, გარდმოიყვანეს ქვიშხეთს, ანუკა ბატონიშვილი, ვითაც მეფის ერეკლეს დედიდა იყო და ამან მოინდომა და მიათხოვა მეუღლედ. წაბძანდნენ ორი მეფენი, სათნონი ღმრთისანი და საქებელნი კაცთანი, მიბძანდნენ ქვიშხეთს სახლსა ვახუშტი აბაშიძისა, ვითაც ვახუშტის აბაშიძის ძმისწული ქალი იყო და ქორწილი თითონ გარდაიხადა. დაიწერა ჯვარი მეფე ერეკლემა და იქმნა ასული აბაშიძისა დედოფალი ანნა. განისვენეს ორი დღე ლხინ-ნადიმობითა, ვითა ამას დღეს მეფობდა და მობძანდნენ ისევ სურამს, იყო სროლა მუდმისად ყუნბარათა და ზარბაზანთა, რომ ყურთა ხმა აღარ იყვის...

კახმა ბატონმა ერეკლემ წამოიყვანა დედოფალი ანნა ქვიშხეთით, ჩამოიყვანეს ქალაქსა თბილისისასა, სახლსა მამისა თვისისა, ქართველთა მეფისასა. იყო მეორე ქორწილი და განცხრომა ფრიადი, ვითა იმ დღესა და სიხარულსა გაეწყობოდა" (ცაგარეიშვილი 1981: 93-95).

ანა დედოფალმა შვა 3 შვილი: გიორგი (მომავალი მეფე გიორგი XII), თამარი (1749-1789) და კიდევ ერთი ასული (სახელი უცნობია), რომელიც მცირეწლოვანი გარდაიცვალა.

უფლისწულ გიორგის დაბადებამ თეიმურაზ II-ის სამეფო კარზე დიდი სიხარული გამოიწვია. როგორც მემატიანე მოგვითხრობს:

ჰაჰამან მისმან თეიმურაზ, დღე შობისა მისისა, გარდაიხადა დღესასწაულობითა: აუწყა ეპისტოლეებითა იმერეთის მეფესა და მთავართა; კახეთისა და ქართლისა თავადთა, კათოლიკოსთა და მღვდელ-მთავართა; მიანიჭა საჩუქარნი მრავალნი გლახაკთა, ობოლთა და ქვრივთა; მიეცა მრავალთა პყრობილთა მიტევება ბრალთა; მეუდაბნოეთა წარუგზავნეს ნუგეშინისცემითნი საძმოდ ბოძებანი; მეგობარი თვისი და მახლობელი საბა ნინოწმინდელი მოუწოდა თფილისად, რათა ექმნას მიმრქმელად წმინდისა ემბაზიდამ მეფისა ყრმასა გიორგის...

ესრეთნივე ეპისტოლენი და ძღვენნი წარუვლინეს ოთხთა მართლმადიდებელთა პატრიარქთა, სინასა და ათონისა მთათა წინამძღვართა. ენა ხალხისა განმხიარულებულისა შეიქმნა საწერელი მწიგნობრისა ხელოვნისა. დროთა ჩვეულობისა გამო მოლექსენი უძღვნიდენ ლექსთა ქებითთა; მეცნიერნი სიტყვათა წყობითთა კატეღორიისათამებთა ზედა აღშენებულთა სხოლასტიკოსთა წესითა; მქადაგებენი ქადაგებათა; მეუდაბნონი ლოცვათა; მემხოლოენი კურთხევითა ქარტათა (გაწერელია 1936: 3-4).

1749 წლის დეკემბერში თბილისში გარდაიცვალა ანა დედოფალი, რომელიც იმხანად სრულიად ახალგაზრდა, სულ 19 წლისა იყო.

აღნიშნული ფაქტის თვითმხილველის ცნობით, 'დედოფალი კახეთისა ანნა დამარცხდა ქალაქს, დეკემბერს ზ, ქორონიკონს ულზ, მიიღეს მცხეთას, იქნა გლოვა, მწუხარება ფრიადი' (ცაგარეიშვილი 1981: 164).

ზემოთ მოყვანილი ცნობიდან ირკვევა, რომ დედოფალი გარდაცვლილა 7 დეკემბერს.

კახეთის დედოფალი სათანადო პატივით დაკრძალეს მცხეთაში, სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში (იოსელიანი 1980: 93), სადაც განისვენებს ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ქართლისა და კახეთის შტოების არაერთი წარმომადგენელი და ზოგიერთი მათგანის მეუღლეც.

თედო ჟორდანიას (1854-1916) ცნობით, დედოფლის საფლავზე ამოტვიფრული იყო შემდეგი წარწერა: 'ანნა, აბაშიძის ასული, ხოლო სძალი ქართველთა მეფისა, ცხებულის თეიმურაზისა და სატრფო ფერცხალი ირაკლი კახთა მეფისა' (ჟორდანია 1967: 208).

მეორედ დაქვრივებული ერეკლე II-ის მესამე და უკანასკნელი თანამეცხედრე გახდა დარეჯან კაციას ასული დადიანი (1734-1807), რომელზეც მეფემ 1750 წელს იქორწინა.

ნიკო დადიანი შენიშნავს, რომ მეფე ერეკლემ 'მოიყვანა მეუღლედ დადიანისა კაციას ბიძაშვილი დარეჯან, დედათა შორის ღირსსახსოვარი' (ბურჯანაძე 1962: 138).

ამ ფაქტის შესახებ უფრო ვრცლად მოგვითხრობს პ. ორბელიანი, რომლის თხზულებაშიც ვკითხულობთ:

წარავლინეს იმერეთად ხორაშან ბატონიშვილი და თან აახლეს ნინოწმინდელი საბა ეპისკოპოსი და ითხოვეს ქალი დადიანისა დარეჯან მეფის ერეკლესათვის. წამოიყვანეს სახლით მეფისა ალექსანდრესით და მოიყვანეს სურამს. ქალაქიდამ წაბძანდა მეფე ერეკლე, თან გაყვა პატრიარქი ანტონი ბატონიშვილი, მიბძანდენ სურამს. ნახა ქალი მეფემ, დიდად მოიწონა მშვენიერება მისი და წამოიყვანეს ლხინ-მრავლობით და ჩამობძანდენ ქალაქს. მზა ექმნა რიგი ქორწილისა მეფეს თეიმურაზს ცხებულს და შეიქნა ქორწილი და სახლსა ახალსა, რომელი აღეგო მეფეს თეიმურაზს მტკვრის პირს, შვენიერი და შემკული ყოვლით კერძო, იყო შვიდს დღეს და ღამეს შვება და განცხრომა უზომო, რომ ამისთანა სიხარული არ გვენახა...

იყვნენ მეფენი ჩვენნი მარადის სიხარულსა და განცხრომასა შინა. მას ჟამსა გაერთნეს ქართლი და კახეთი, იურვიდენ საქმეთა ორისავ ქვეყნისას ერთად. ვითაც მამა-შვილნი იყვნეს მეფენი ჩვენნი,

სახელმწიფონიც გაერთნეს. დაადგინა მეფემ ერეკლემ დედოფალი დარეჯან სახლსა მამისა თვისისასა (ცაგარეიშვილი 1981: 180).

დედოფალმა დარეჯანმა შვა 23 შვილი: ელენე (1753-1786), მარიამი (1755-1828), ლევანი (1756-1781), იულონი (1760-1816), ვახტანგ/ალმასხანი (1761-1814), ბერი (1761/2-?), თეიმურაზი (მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II) (1762-1827), ანასტასია (1763-1838), ქეთევანი (1764-1840), სოლომონი (?-1765), მირიანი (1767-1834), ალექსანდრე (1770-1844), ლუარსაბი (1772-?), ეკატერინე (1774-1818), თეკლე (1776-1846), ფარნაოზი (1777-1852) და არჩილი (1780-?). ჩამოთვლილის გარდა, მას სხვადასხვა დროს შეეძინა კიდევ 6 შვილი: სოფიო, იოანე და სალომე, სოსლან-დავითი, ხორეშანი და კიდევ ერთი შვილი (სახელი უცნობია), რომლებიც ბავშვობაში გარდაიცვალნენ (ბაგრატიონები 2003: ნუსხა # 6).

დარეჯან დედოფალი გარდაიცვალა 1807 წლის 8 იანვარს, სანკტ-პეტერბურგში, გადასახლებაში ყოფნისას. იგი დაკრძალულია წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრაში მდებარე ხარების ეკლესიაში (ბერძნიშვილი 1980: 205).

სამივე ქორწინებიდან მეფე ერეკლე II-ს შეეძინა 28 შვილი, მათგან 15 – ვაჟი და 13 – ასული.

გ. ქიქოძის აზრით, 'ერეკლე ბედნიერი არ იყო პირადად და ოჯახურ ცხოვრებაში. თავისი მეორე ცოლის ანა აბაშიძის სიკვდილის შემდეგ, მან შეირთო მესამე ცოლი – დადიანის ასული დარეჯანი, გონებაშეზღუდული და პატივმოყვარე ქალი, რომელიც სახელმწიფო საქმეებში არ ერეოდა სანამ ახალგაზრდა იყო, მაგრამ სასახლეში ინტრიგები გააბა სიბერეში, როცა მისი, აგრეთვე პატივმოყვარე და ურჩი ვაჟები წამოიზარდნენ' (ქიქოძე 1983: 6).

ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას, რომელსაც მანამდეც და შემდგომაც იზიარებდა ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილი და, მათ შორის, პ. იოსელიანიც, თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა ალ.ორბელიანი, რომელიც წერდა:

> პლატონ იოსელიანმა წამიკითხა, ამ 1867 წელსა, აპრილის თვესა, თავისი ამ ახლოხანების თხზულება საქართველოს მეფის გიორგი მეცამეტეს ცხოვრება. წამიკითხა შიგა და შიგ აქა იქა, სადაც მეფე ერეკლე მეორე, მამა მეფის გიორგისა, დამდაბლებულია და იმისი ცოლი – დედოფალი დარეჯან.
> იქნება მე იმის წაკითხვაზედ ხმა არც კი ამამეღო, რადგან მე ადრითვე დაწერილი მაქვს ანდრია მურავიოვზე პასუხი, დარეჯან დედოფლის გამოსარჩლება, მაგრამ შემდგომად თვით ჩემთან და ზოგიერთს მართებულებთან მეტის უშვერის სიტყვით ახსენა დედოფალი დარეჯან, ოსეფა ყორღანაშვილთან, რომელმაცა მაშინათვე მივიტანე იმ წმინდას პატიოსანს გვამზედ, ნუ იფიქრებ შენ დაგითმონ, პასუხს დაგიწერ-მეთქი...
> მიჰყევ პლატონ სოფელსაო, იქ სვი-სჭამე, სადაც მეფეს ერეკლეს და დედოფალს დარეჯანსა ტყუილებით მორყვნი შენის დასების საამოთა: იხარხარეთ პლატონის დასნო, პლატონის ხმაურებაზე და იმის დაჟანგებულს სიტყვებზედ... ჩაგონებულია... ათასობით კიდევ სხვებიც მეფის ირაკლისა და დარეჯან დედოფლის მოსაყივნად.
> თუ ნამდვილად მეფე ირაკლი და დედოფალი დარეჯანი კარგნი არ იყვნენ, ხმას ჩავიკმენდდი, მაგრამ არა, სწორედ ვიცი მე იმათი სიწმინდე და პატიოსნების ქცევა, რომლებისაც მეფის ირაკლის და დედოფლის დარეჯანის ქვეშაგები არ გაყრილა სიკვდილამდინ, ხანშიაც დიდათ ჰყვარებიათ ერთმანეთი, როგორც ყმაწვილ ადამიანებს (გაწერელია 1999: 77-93).

ალ.ორბელიანისავე აზრით, ქართველი მეფე-დედოფლის აუგად ხსენება და მათი ავტორიტეტის შელახვა სწორედ მტრის, დამპყრობლის წისქვილზე ასხამდა წყალს. იგი შემდეგ კითხვას სვამდა და თავადვე პასუხობდა:

> – იქნება ზოგიერთმა თქვას – რისთვის რყვნიან მეფეს ერეკლესა და დედოფალსა დარეჯანსა, ანუ რისთვის ჩაგონებენო სხვებსა, იმთენს ტყუილს იმათზეო?
> – მაცთურობით, ეშმაკობით, იმისთვის, რომ ვინც რა უყო საქართველოს დასაღუპი, ეგება იმათ ის თავიანთი ბოროტება როგორმე დაჰფარონ და ეჭვი იმათზე ვერა მიიტანონ-რა. აი, ეს არის იმათი ეშმაკური ოსტატობა...
> რუსები რომ საქართველოში გადმოვიდნენ და თავისი მართებულება გახსნეს, მაშინ ის რა იყო, ჩუმი შეთქმულობა: მეფე ირაკლი და დედოფალი მოვრყვნათ ყოვლისფრითა და ამის გარდა,

საქართველოს რაც რომ ვნება მოუვიდა, სულ იმათ დავაბრალოთ, ეჭვი ვეღარა მოიტანონ ჩვენზედ (ვახანია 1999: 93).

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი ციტატის გაანალიზებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალ. ორბელიანი იყო შვილიშვილი ერეკლე II-ისა და დარეჯან დადიანისა და, ბუნებრივია, თავის ბებიას შეძლებისდაგვარად დაიცავდა ბრალდებებისაგან, რომელთა ნაწილიც, შესაძლოა, მართლაც არასწორი ყოფილიყო. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ არც გერონტი ქიქოძის ზემოხსენებული მოსაზრების გაუთვალისწინებლობა იქნება სამართლიანი.

აქვე უნდა გავიხსენოთ XVIII საუკუნის 80-90 – იანი წლების მიჯნაზე საქართველოში მომხდარი ორი ისტორიული მოვლენა, რომლებშიც დარეჯან დედოფალმა უარყოფითი როლი შეასრულა.

ზემოხსენებულ პერიოდში, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფო კარზე დაისვა იმერეთის სამეფოს შემოერთების საკითხი, ამ პროგრესული იდეის წინააღმდეგ, სხვებთან ერთად, დარეჯან დედოფალმაც გაილაშქრა. პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, მან მხარი დაუჭირა იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და იქ საკუთარი შვილიშვილის (ასულის ვაჟის) – დავით არჩილის ძის (მომავალი მეფე სოლომონ II) გამეფებას.

მამია დუმბაძე აღნიშნავდა, რომ დარეჯან დედოფალი იყო

რეაქციონერ ფეოდალთა მფარველი და დიდი გავლენის მქონე სამეფო კარზე. საქვეყნო-საზოგადო პოლიტიკას მკვეთრად დაუპირისპირდა ფეოდალური, საოჯახო ინტერესები. დედოფალი ალმაცერად უყურებდა თავის გერს, ერეკლეს ტახტის უშუალო მემკვიდრეს – გიორგის, რომელიც უკვე მოხუცი ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ გამეფდებოდა და მისდამი ცივად განწყობილი დედოფლის პატივმოყვარეობას ანგარიშს არ გაუწევდა. ამიტომ დედოფალი ამჯობინებდა, რომ იმერეთის მეფედ თავისი ასულის – ელენეს შვილი დავითი ეხილა" (დუმბაძე 1973: 728).

დარეჯან დედოფალს, რომელსაც თავის გერებთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, ასევე პირადი ინტერესებიდან გამომდინარე სურდა ტახტის მემკვიდრეობის ტრადიციული ქართული წესის შეცვლა.

1791 წელს ერეკლე II-ის მიერ დადგენილი ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესის თანახმად, ამიერიდან მეფობის უფლება უნდა გადასულიყო ძმიდან ძმაზე, ანუ უფროსი უფლისწულისა და ტახტის მემკვიდრის – გიორგის (მომავალი გიორგი XII) გარდაცვალების შემდეგ, რიგრიგობით, ასაკის მიხედვით, უნდა გამეფებულიყვნენ დარეჯან დედოფლის ვაჟები, უფლისწულები: იულონი, ვახტანგი/ალმასხანი, მირიანი, ალექსანდრე და ფარნაოზი.

მ. დუმბაძე და ნ. ქორთუა მიუთითებდნენ:

ქართლ-კახეთის ცენტრალური ხელისუფლება 80-90-იანი წლების მოჯადოზე თანდათანობით სუსტდებოდა. მოხუცი ერეკლეს სამეფო კარზე განხეთქილება ღრმავდებოდა. გამარჯვებათა პერიოდი დასრულდა, ხოლო საგარეო პოლიტიკაში განცდილი მარცხი თვალსაჩინო გახდა. ამის შედეგად ერეკლეს ძველი ავტორიტეტი თანდათან იჩრდილებოდა, ფეოდალური რეაქციის შემოტევა კი ძლიერდებოდა...

ერეკლეს სახლის მრავალრიცხოვანი შვილები და შვილიშვილები ფართო მოთხოვნებს აყენებდნენ. მათი უმრავლესობა ფეოდალურ-მესაკუთრული ინტერესებითა და პოლიტიკური ხელისუფლებისადმი მისწრაფებით განიმსჭვალა. როგორც ჩანს, მეფე მწვავედ განიცდიდა ამ განხეთქილებას და შემდგომი გაღრმავების თავიდან აცილებაზე ფიქრობდა. ამ მიზნით მას 1791 წელს შეუდგენია საგანგებო "განწესებანი", რომელსაც იგი ანდერძის მნიშვნელობას ანიჭებდა... ძნელი არაა იმის დანახვა, რომ ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლაში დარეჯან დედოფლის ხელი ერია. 90-იანი წლების დასაწყისშივე დედოფალი სულ უფრო და უფრო აქტიურად ერეოდა მეფის ფუნქციებში...

ახალი წესი, ერეკლეს სურვილებისაგან დამოუკიდებლად, სამეფო კარზე არსებულ განხეთქილებას კი არ ანელებდა, არამედ უფრო აღრმავებდა. თვითონ ერეკლემაც, როგორც ჩანს, ადრე განჭვრიტა მისი მოსალოდნელი შედეგები და იგი თითქოს გაუქმა კიდეც. სამაგიეროდ, ძალაში დარჩა სამეფო-სახასო ქონების დაყოფა და საუფლისწულოების ჩამოყალიბება, რაც 1792 წელს დაკანონდა. საუფლისწულოების მიცემამ ბატონიშვილები კიდევ უფრო დამოუკიდებელნი გახადა. ეს გარემოება ქართლ-კახეთის ცენტრალური ხელისუფლების მორიგი შესუსტების მაჩვენებელი იყო (დუმბაძე, ქორთუა 1973: 738-740).

ამრიგად, მეფე ერეკლე II-მ სამჯერ იქორწინა. მას ცოლად ჰყავდა დასავლურ ქართული წარჩინებული საგვარეულოების, კერძოდ, იმერეთის სათავადო (მხეიძე, აბაშიძე) და ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო (დადიანი) სახლების წარმომადგენლები.

დამოწმებანი

ბაგრატიონები 2003: ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. ავტორთა კოლექტივის სამეცნიერო სტატიების კრებული გენეალოგიური ნუსხებითურთ. თბილისი (2003).

ბერძნიშვილი 1980: მ. ბერძნიშვილი. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. ტ. I. თბილისი (1980).

ბურჯანაძე 1962: შ. ბურჯანაძე. ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბილისი (1962).

გაწერელია 1936: ა. გაწერელია. პლატონ იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ა. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. ტფილისი (1936).

დუმბაძე 1973: მ. დუმბაძე. საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენის ცდები. წგნ.: "საქართველოს ისტორიის საკითხები". ტ. IV. თბილისი (1973).

დუმბაძე, ქორთუა 1973: მ. დუმბაძე, ნ. ქორთუა. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. წგნ.: "საქართველოს ისტორიის საკითხები". ტ. IV. თბილისი (1973).

ვახანია 1999: ნ. ვახანია. ა. ორბელიანი. სიტყვა მამულის ტრაპესზედ (თხზულებანი). შემდგენელი ნ. ვახანია. თბილისი (1999).

იოსელიანი 1980: ა. იოსელიანი. საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს.. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა. თბილისი (1980).

ჟორდანია 1967: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი III, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ. თბილისი (1967).

ქიქოძე 1983: გ. ქიქოძე. ერეკლე მეორე. თბილისი (1983).

ღოღობერიძე 1895: ნ. ღოღობერიძე მ. ბროსე. საქართველოს ისტორია, მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ხრონოლოგიით. ნათარგმნი და განმარტებული ს. ღოღობერიძის მიერ, გამოცემული ნ. ღოღობერიძის მიერ. ტფილისი (1895).

ცაგარეიშვილი 1981: ე. ცაგარეიშვილი. პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბილისი (1981).

ჯავახიშვილი 2008: დ. ჯავახიშვილი. ქართველ მეფეთა მეუღლეები (ბაგრატიონთა დინასტიის კახეთის შტო). სამეცნიერო შრომათა კრებული "ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები". ტ. IV. თბილისი (2008).

ჯავახიშვილი 2010: Д. Джавахишвили. Из истории династических браков кахетинских Багратионов с представителями мусульманской знати (XVI-XVIII вв.). Сборник трудов Гянджинского государственного университета "Ученые записки". № 2, Гянджа (2010).

ჯავახიშვილი 2010: Д. Джавахишвили. Династические браки между кахетинскими Багратионами и представителями кавказской и персидской знати. Общественно-политический и культурно-исторический научный журнал "Ахульго", № 12, Махачкала (2010).

ჯავახიშვილი 2010-2011: Д. Джавахишвили. Династические браки на службе дипломатии (на примере кахетинской ветви царской династии Багратионов). Материалы международной научной конференции: «Археология, этнология, фольклористика Кавказа» (Тбилиси, 27-30 сентября 2010 года). Организаторы конференции: «Фонд Кавказа», «Комиссия по научному сотрудничеству со странами Кавказа» Национальной Академии Наук Грузии, Центр археологии имени Отара Лорткипанидзе Национального Музея Грузии, Тбилиси (2011).

ჯავახიშვილი 2011: დ. ჯავახიშვილი. ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიიდან. ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. ხელნაწერის უფლებით (2011).

The Spouses of the King Erekle II

David Javakhishvili

The work provides narration about king Erekle the II's (1720-1798) marriages and wives.
Erekle the II's first wife was Zaal Mkheidze's daughter – Ketevan (died in 1744), the second – Zaal Abashidze's daughter – Anna (1730-1749), the third – daughter of Katsia Dadiani – Darejan (1734-1807).
He first married at the age of 20, when he was still a royal heir to the throne. With his first wife, who died in 1744, he had a daughter – Rusudan and son – Vakhtang (1742-1760).

That same year, already on the throne of Kakheti, king Erekle II married for the second time. his second wife gave birth to 3 children: George (the future king George XII), Tamar (1749-1789) and another daughter who died in early childhood. Queen Anne died in 1749, when she was just 19 years old.

Widower for the second time, Erekle II married for the third time in 1750, with Darejen, daughter of Katsia Dadiani (1734-1807). She gave birth to 23 children: Elene (1753-1786), Maryam (1755-1828), levan (1756-1781), Julon (1760-1816), Vakhtang/almaskhan (1761-1814), Beri (1761/2-?), Tei¬muraz (the future Catholicos-Patriarch Anton II) (1762-1827), Anastasia (1763-1838), Ketevan (1764-1840), Solomon (? -1765), Mirian (1767-1834), Alexander (1770-1844), Luarsab (1772 -?), Catherine (1774-1818), Tekle (1776-1846), Pharnaoz (1777-1852) and Archil (1780 -?). apart from these, she gave birth to more than six children. All of them: Sophie, John and Salome, Soslan-David, Khoreshan and another son (name unknown) died in early childhood. Darejan died in 1807.

The king's all three marriages resulted in birth to 28 children, including 15 sons and 13 daughters.

ქართულ წყაროებში პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების შესახებ დაცული ცნობები (XVIII საუკუნე)

ნიკო ჯავახიშვილი

XVIII საუკუნის ქართულ წყაროებში გარკვეული ცნობები გვხვდება იმდროინდელ მსოფლიოში და, მათ შორის, პოლონეთსა და ბალტიისპირეთში არსებული რეგიონებისა და მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტების, ასევე მათი მართვა-გამგეობის სისტემის, პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ვითარების შესახებ.

ზემოხსენებული პერიოდის ქართულ წყაროებში დაცული ცნობები ბალტიისპირეთის შესახებ შესწავლილი გვაქვს ჩვენს მონოგრაფიაში *ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან* (ჯავახიშვილი 2011: 21-24).

წინამდებარე სტატია წარმოადგენს ჩვენი აღნიშნული გამოკვლევის შევსებულ და გადამუშავებულ ვარიანტს, რომელსაც დამატებული აქვს ინფორმაცია პოლონეთის შესახებ.

* * *

საქართველოში ასტრონომიულ-მათემატიკური ცოდნის აღორძინების მიზნით, ქართლის მეფემ ვახტანგ VI-მ სპარსულიდან ქართულად თარგმნა სამარყანდის სულთნის, ცნობილი მეცნიერის – ულუღ-ბეგის (1394-1449) თხზულება *ულუღ-ბეგის ზიჯი*. როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, ეს მოხდა 1714-1719 წლებში, როდესაც ქართლის მეფე სპარსეთში იმყოფებოდა.

იმავდროულად, მეფემ შეადგინა სათანადო ტერმინთა სიტყვანი და ცხრილები. არსებობს ამ თარგმანის რამდენიმე ნუსხა (სიხარულიძე 1991: 253-254).

ხსენებული თხზულების თარგმანს ვახტანგ VI-მ დაურთო სია მსოფლიოს ქალაქებისა, შესაბამისი გეოგრაფიული კოორდინატების მითითებით. ამის განსაზღვრის წესებთან ერთად, მეფემ, ჩვენს ლიტერატურაში პირველმა, შემოიტანა მსოფლიოს ქალაქებისა და დასახელებული პუნქტების გეოგრაფიული კოორდინატების ნუსხა, რომელსაც იყენებდა ულუღ-ბეგი და მის მიერ შექმნილი მეცნიერული სკოლა.

მოგვიანებით, 'ზიჯის' თბილისურ ნუსხას ვახტანგ VI-მ დაურთო ახალი სია, რომელიც მან ევროპული თხზულებებიდან თარგმნა (ჩაგუნავა 1986: 310-317).

ზემოხსენებულ ნუსხაში იხსენიება პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე მდებარე შემდეგი ქალაქები:

1) 'გრაკოვი: პოლონიასი' (ხეც S-161: 263),
'კრაკოვ: პოლსკაია' (ხეც S-161: 282);
2) 'გედანონ' (ხეც S-161: 263);
3) 'დერბი: ლივონიასი' (ხეც S-161: 264);
4) 'ვილნა' (ხეც S-161: 266);
5) 'ნარვა: ლივონიასი (ხეც S-161: 272);
6) 'რეველი: ლივონიასი (ხეც S-161: 274);
7) 'რიღა: ლიტვანიასი' (ხეც S-161: 274),
'რიღა: ილიპოლსკაია' (ხეც S-161: 285);
8) 'სმოლენსკა: ლიტვანიასი' (ხეც S-161: 274);
9) 'დერფთ: ლივონიასი' (ხეც S-161: 281);
10) 'ლუბლინ: მალ. პოლშე' (ხეც S-161: 263);
11) 'პოლენცია: ლიტოვსკაია' (ხეც S-161: 285);

12) 'პოზნან: პოლსკაია' (ხეც S-161: 285) და სხვ. (ხეც S-161: 263-274).

ვახტანგ VI მიუთითებდა, რომ ხსენებული ცნობები მან თარგმნა 'ბერძენთა და ფრანგთაგან შეტყობა სიგრძისა და განისა გამორჩეული ქალაქებსა და ჭალაკებსა (იგულისხმება კუნძულები – ნ.ჯ.), ვითარცა მოგვეცა ჩვენ და ვპოვეთ პირველთა ფილასოფოსთაგან, რომელთა ქვეყანა აღწერეს' (ხეც S-161: 260).

ქართლის მეფის, მისი ოჯახისა და მრავალრიცხოვანი ამალის რუსეთში გადასახლების (1724) შემდეგ, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მოსკოვში დამკვიდრდა. ამ ქალაქში მოღვაწე ქართველები ზრუნავდნენ ზემოხსენებული ნაწარმოების ქართული თარგმანის გამდიდრებაზე, მისი მოხმარების გამარტივებაზე. ტექსტის გასავრცობად მათ უსარგებლიათ ევროპული და რუსული წყაროებით. ამ მხრივ აღსანიშნავია ქალაქების სიები, რომელშიც დასახელებულ ქალაქებს განსაზღვრება მიწერილი აქვთ რუსულად, – ქართული ტრანსკრიფციით, თუმცა მათ სათანადო გეოგრაფიული კოორდინატები არ ერთვის. მათ შორის გვხვდება პოლონეთსა და ბალტიისპირეთის რეგიონში მდებარე ქალაქებიც, კერძოდ, 'ვარშავა – პოლსკაია', 'ვილნა – ილისტრისკაია' და 'რიღა – ილიპოლსკაია' (სიხარულიძე 1991: 255-256).

ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და, მათ შორის, ძირითადად ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოს (რეჩპოსპოლიტის) შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მწერლისა და მთარგმნელის, ვახტანგ VI-ის ამალის წევრის, თავად გაბრიელ გელოვანის მიერ 1737 წელს რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნილ სახელმძღვანელოში.

ამ თარგმანის ხელნაწერის მთარგმნელისეული სათაურია: *ღეოღრაფია ანუ მოკლედ ქვეყნის სიმგურგვლისათვის აღწერა, პირველ ლათინთა ენისაგან რუსულად თარგმნილი, ხოლო აწ მეორედ რუსულთა ენისაგან ქართულთა ენასა ზედა თარგმნილი გაბრიელ გელოვანის მიერ სამეუფოსა ქალაქს მოსკოვს.*

ეს იყო მსოფლიოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოს პირველი თარგმანი ქართულ ენაზე, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველთა შორის გეოგრაფიული ცოდნის გავრცელებას. იმდროინდელ საქართველოში ამგვარ სახელმძღვანელოზე დიდი მოთხოვნილება არსებობდა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ 1793 წელს ეს თარგმანი გადაწერეს თელავის სემინარიის რექტორის დავითის რედაქციით (მარუაშვილი 1954: 25).

ნაშრომი დაყოფილია 31 თავად, რომელთაგან მეათეს ეწოდება *–სამეფოთათვის ლიტოვისათა* (ხეც S-1131: 25-27). მასში მოკლედ არის დახასიათებული იმ პერიოდში არსებული ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოს (ანუ რეჩპოსპოლიტის) მდებარეობა, აღნიშნულია, თუ რომელი ქვეყნები ესაზღვრებოდა მას.

ამასთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს:

> სამეფო ლიტოვისა სამძღვრითა თვისითა შეეხება აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით სახელმწიფოსა მოსკოვისასა და ლიფლანდიისასა დასავლეთიდგან შლენსკისა და მორავისასა სამხრეთიდგან ვლახეთისას და ვენგერისას. სახელმწიფო სიდიდით იქმნება დანცკიდამ ვიდრე სამძღვრამდე ურუმისათა ვერსი რვაასი და განი მისი შლეინსკის ქვეყნიდამ სამძღვრამდე სახელმწიფოსა მოსკოვისათა ერთობით. ლიტოვთა მიერ ვერსი ექვსასი ანუ მცირითა რითმე უმეტეს, მაგრამ არს მრავალ ჰაეროვან (ხეც S-1131: 25).

იქვეა მოკლე ინფორმაციები სამეფოს ისტორიული წარსულის, მოსახლეობის რელიგიური აღმსარებლობის, არისტოკრატიის, ასევე, ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო მდგომარეობის შესახებ.

თხზულებაში ვკითხულობთ:

> საომრად შემოკრებითა ერთობით შეუძლიათ შეკრება ცხენოსნისა ორმოცისა, გინა ორმოცდაათის ათასის კაცის ჯარისა. გამორჩეულისა მასთან ქვეითოსანისა – რვა, გინა ათის ათასის კაცისა და წინასწარ ეტლთა მოარულობენ.

ძველსა წელსა შინა ერთა ამათ აქვნდათ ომი დიდი: პრუსთა, ნემეცთა, ურუმთა, თათართა, ვენგერთა, ვლახთა შორის, უმეტესცა დიდთა ბატონთა მოსკოვისათა. და ესე ომები მათ შორის აღმოიწყება უზომოებათა ღელვათაგან აზნაურთა მათგან, რომელნიცა არიან ესრეთ აღვირაღუსხმელ დადგინებაშიდ, რამეთუ ზოგჯერ თავის ბატონებზედაც არ შეივდებენ (იგულისხმება "ერიდებიან" – ნ.ჯ.) მახვილისა აღებასა და ახლა მახლობელ სამეოცისა წლისა დაუცხრომელსა ომსა შინა გარემოსა თვისთა მეზობელთა შორის არიან და ამისგანცა დია დიდის სიმძიმისაგან მებატონეთა თვისთაგან ერთობით ხალხნი მათნი მოიწვივნენ სიღარიბეში და დავრდომილებასა შინა. თავისის ხაზინით დიდის ჯარის შენახვას ვერ შემძლე არიან. ამისთვის შემოსავალი სკარბა მეფეთა მიერ და ლიტოვისაცა ორივ ერთობით წელიწადში ძლივ სამას მილიონს მიაწევს რუბლისას.

შესავალი და სავსება ამა საბატონოსი გარნა პური, რომელიცა მათ უმეტეს პურის მომცემი მხარე მოსცემიათ და წყლით ვისლითა წარგზავნიან... და ყოველსავე საქონელსა შინა განსცვლიან აგრეთვე და პირუტყვიც მრავალ და ცხენიც კეთილ მუნ განხვიდიან.

ლიტოველნი სარწმუნოებით არიან ეკლესიისა დასავლეთისანი და მართლმადიდებელნი და აღმოსავლეთისანიცა მათზედ უმრავლესნი იყვნეს, მაგრამ იწროებათა დადევნულებათათვის რომელნიმე დასავლეთისაკენ მიდრკენ. გარნა არა და არიანცა მათ შორის მრავალნი ლუთერანნი და კალვინნი, რომელნიცა შვებით სარწმუნოებითა თვისითა საღვთოსა ჟამსა აღასრულებენ. მასთანვე და ურიებიცა ფრიად მუნ მრავალ არს. და ისინი გარნა მდიდრდებიან იჯარითა. შოფლისა და დაბისათა და სირაჯობითა" (ხეც S-1131: 25-27).

პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე მდებარე ქვეყნების შესახებ ასევე მნიშვნელოვანი ცნობები დაცულია ვახტანგ VI-ის ვაჟის, გამოჩენილი გეოგრაფის, ისტორიკოსისა და კარტოგრაფის, ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1756) თხზულებაში.

1752 წელს ვახუშტიმ რუსულიდან თარგმნა "მოკლე პოლიტიკური გეოგრაფია" 27-რუკიან მსოფლიო ატლასთან ერთად, რომელზედაც გამოსახულია იმ დროს ცნობილი ყველა ქვეყანა. ეს თხზულება უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც გეოგრაფიული, ასევე საისტორიო თვალსაზრისით. ამ სახელმძღვანელოთი ასწავლიდნენ გეოგრაფიას თელავის სემინარიაში (ბარამიძე 1979: 339).

ამ თხზულების ხელნაწერი, რომელსაც თან ერთვის ვახუშტი ბატონიშვილის ხელით შედგენილი რუკები, დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (A-717).

ვახუშტი ბატონიშვილის ხელნაწერში სხვადასხვა ადგილას იხსენიება: 'ბალთიური ზღვა' (მარე ბალთიკუმე), რეგიონები 'კურლანდია' და 'ლიფლანდია', ქალაქები 'მითავა', 'რიგა', 'ვილნა' (ხეც A-717: 7-8) და სხვა.

თხზულებას დართულ რუკებს შორის განსაკუთრებით საგულისხმოა ევროპის მთლიანი რუკა (ხეც A-717: 8), ასევე რუკები ბალტიისპირეთისა (ხეც A-717: 89), პოლონეთისა და ლიტვისა (ხეც A-717: 96).

ხსენებულ რუკებზე კურლანდია გამოყოფილია პოლონეთისაგან (ტექსტში – 'პოლშა'), რომელიც თავის მხრივ მოიცავს ლიტვას ვილნიუსის (ტექსტში – 'ვილნა') ჩათვლით. კურლანდია და პოლონეთი (ლიტვის ჩათვლით) შეფერილია განსხვავებული ფერის საღებავებით.

თხზულებაში გამოყოფილია თავი XI –სამეფოებთათვის პლურთა და პრუსიელთა, ეგრეთვე დიდისა სამთავროსა ლიტვისათჳს და საღერცოღოსა კურლანდიურისათჳს (ხეც A-717: 90).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი პოლონეთს ზოგჯერ 'პლურად' მოიხსენიებს.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, პოლონეთის მოსახლეობა არის ძირითადად კათოლიკური აღმსარებლობისა. ამ სახელმწიფოს აქვს პურის დიდი მოსავალი და გააჩნია დიდძალი სათიბი ველები, იგი ვაჭრობს პირუტყვით, თაფლით, ცვილით, მატყლითა და მარილით.

ავტორი იქვე მიუთითებს, რომ ამ სახელმწიფოს ჰავა არის 'არა დია შემრგე'.

განსაკუთრებით საყურადღებოა ვახუშტი ბაგრატიონის ცნობები პოლონეთის ქალაქების შესახებ.

ავტორი გვაუწყებს, რომ წარსულში კრაკოვი იყო სატახტო ქალაქი 'პლურთა მეფეთა' და რომ იქ მდებარე ციხე-სიმაგრეს გააჩნდა 'დიდებულება' (ხეც A-717: 90).

პოლონეთის დედაქალაქის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: 'ვარშავა – უფროსი და მდიდარი ქალაქი ნაპირსა ვისლის მდინარისა და ჩვეულების ტახტი პლურთა მეფეთა, მისთა მოიპოვებიან უმჯობესათ აშენებულნი ორი გარეთუბანი' (ხეც A-717: 91).

ვახუშტის ცნობით, ლუბლინი არის საშუალო ზომის სავაჭრო ქალაქი, სადაც თავს იყრიან გერმანელი, რუსი და თურქი ვაჭრები, ხოლო პოზნანი – უკეთესი ქალაქი, მთაზე მდებარე შეუვალი ციხე-სიმაგრითურთ. ამ ქალაქში საკმაო რაოდენობით ებრაელებს უცხოვრიათ. ასეთივე ციხე-სიმაგრე მდგარა ქალაქ ლენჩიცშიც, კლდოვან მთაზე.

იქვეა დახასიათებული მდინარე ვისლას პირას მდებარე ქალაქი ჩერსკი, სადაც 'პლურთა აზნაურობათა ხშირად შეკრებანი აქუსთ', ბრესტი, რომელიც არცთუ დიდი ქალაქია, თუმცა შესამჩნევი და კარგად გამაგრებული, ასევე ქალაქები: ზემსკი, ლუცკი, კამენეცი, მსჩისლავა, მედნიცი და სხვ.

ხელმის შესახებ აღნიშნულია, რომ ის არის საშუალო ზომის ქალაქი, სადაც მდებარეობს ეპისკოპოსის რეზიდენცია.

ვილნას (ანუ ვილნიუსის) შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებდა, რომ იგი იყო: 'დიდი სახლებითა საკმარათ აშენებული და დიდებული ქალაქი დაფუძნებული მეფის სთეფანისაგან 1579 წელსა' (ხეც A-717: 92).

გროდნოს შესახებ ვკითხულობთ, რომ ეს არის დიდი ქალაქი მკვიდრად ნაგები ციხე-სიმაგრით, სადაც ხშირად იკრიბება სეიმი და განვითარებულია ვაჭრობა, ხოლო 'იეზუითნი განაწესებდენ ამა ქალაქში უმჯობესსა კოლეღიასა'.

ბრასლავას შესახებ აღნიშნულია, რომ ის არის საშუალო ზომის ქალაქი უპირატესად ხისგან ნაგები შენობებით კურლანდიის საზღვართან, ხოლო მინსკი – დიდი ქალაქი, ზღუდითა ღრმითა თხრილთა მაგრითა' (ხეც A-717: 91-93).

ზემოხსენებულ თავში გამოყოფილია ქვეთავი – *კურლანდიურის საღერცოლოსათვის*, რომელშიც ვახუშტი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის იმდროინდელი კურლანდიის საზღვრებისა და მისი დასახლებული პუნქტების შესახებ. მასში აღნიშნულია, რომ კურლანდიას ესაზღვრება ბალტიის ზღვა, ლიფლანდია, ლიტვა და სხვ. იქვე დასახელებულია ქალაქები: "მითავა" (იგულისხმება თანამედროვე ელგავა), 'ლიბავა' (იგულისხმება თანამედროვე 'ლიეპაია'), "'გლიდიგა' (იგულისხმება 'კულდიგა') და სხვ.

ვახუშტის შენიშვნით, მიტავა არის 'უუთავანესი ადგილი და ჩვეულების ტახტი მფლობელის ღერცოლისა. ესე ქალაქი გინა თუ საშუალების სიდიდისა, გარნა უმჯობესათ აშენებულ არს და აქუს გამაგრებული ციხე არშისა, აწ იწყეს ახლად შენება' (ხეც A-717: 94).

მისივე შენიშვნით, თუმცა კურლანდიასა და ლიფლანდიაში ერთმანეთის მონათესავე ხალხები ცხოვრობენ, მაგრამ მათ ერთიანი მმართველი არ ჰყავთ. იგი წერს:

> ესე ქვეყანა უფალმა უწინ ამისა ეგრეთს დიდებასასა, რომ მას არა გარნა ცალკერძი თჳსი მეფე ჰყვა და მის სავემრთ სახელსა ქვეშეცა კურლანდიისასა და ლიფლანდიისაცა დაიპყრობდა.
> ჟამსაშა წემეცურის ორდენისა იყო იგი ლიფლანდიისათა ეგრეთ შეერთებული, რომ სახელსა ქვეშე ლიფლანდიისასა კურლანდიაცა მისდა იგულისხმიერებოდა (ხეც A-717: 93).

საყურადღებოა, რომ ქართველი მეცნიერი არ ფარავდა თავის გულისტკივილს ლატვიის ცალკეული მხარეების – კურლანდიისა და ლიფლანდიის – პოლიტიკური დაქსაქსულობის გამო. ვფიქრობთ, ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმხანად საქართველოს ტერიტორიაზეც რამდენიმე დამოუკიდებელი სამეფო და სამთავრო არსებობდა (ჯავახიშვილი 2010: 152-153).

ასევე საყურადღებოა, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობები იმ ქალაქების შესახებ, რომლებიც იმხანად შედიოდა პრუსიაში ანდა სილეზიაში, ხოლო ამჟამად მდებარეობს ლიტვაში ანდა პოლონეთში.

ავტორის ცნობით, კურლანდიის საზღვარზე მდებარე ქალაქ მემელში (ამჟამად – ლიტვის ქალაქი კლაიპედა) მდებარე ნავსადგური ფრიად ხელსაყრელ ადგილს წარმოადგენდა სწრაფი მიმოსვლისათვის.

ვახუშტის თქმით, ქალაქი ელბინგი (ამჟამად – პოლონეთის ქალაქი ელბლონგი) იყო საკმაოდ გამაგრებული და ვაჭრობით განთქმული დასახლებული პუნქტი პრუსიაში.

ავტორის ცნობით, მარიენბურგი (ამჟამად – პოლონეთის ქალაქი მალბორკი) ძველად იყო სატახტო გერმანული ორდენის დიდი მაგისტრისა, სადაც დიდად იყო განვითარებული ვაჭრობა.

ვახუშტი აღნიშნავდა მდინარე ვისლის ნაპირას მდებარე ქალაქ-ნავსადგურის – გდანსკის (ლათინურად გედანუმის, შემდგომში დანციგის) სიდიადეს, სადაც ვაჭრობა ასევე დიდად იყო განვითარებული. იმავე ქალაქში მდებარეობდა სახელგანთქმული აკადემიური გიმნაზია (ხეც A-717: 94-97).

ავტორის შეფასებით, სილეზიის ქალაქი ბრესლაუ (ამჟამად – პოლონეთის ქალაქი ვროცლავი) იყო

> უფროსი და დიდებული სავაჭრო ქალაქი ნაპირსაზედა ოდერის მდინარესა... მცხოვრებელნი ამის ქალაქისა აღიარებენ ლუტერანულს სარწმუნოებასა და მერმე არს კათოლიკური კეისრის ლეოპოლდისაგან დაფუძნებული და მისის სახელისა... აკადემია, ეგრეთვე ორნი ჩინებულნი ლუტერანული გიმნაზიაცა, სახელდობ მაგდალენეურისა და ელისაბედურთსა, რომელთა თანა არიან სწავლულნი პროფესორნი და უმჯობესნი წიგნთსაცავნი (ხეც A-717: 71).

ვახტანგ VI-ის შვილიშვილმა, ანუ ვახუშტი ბაგრატიონის ძმისწულმა – უფლისწულმა ლეონ (ლევან) ბაქარის ძე ბაგრატიონმა (1728-1763) სრულიად ახალგაზრდა ასაკში მიზნად დაისახა მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნა ქართულ ენაზე. ამ მიზნით, 1754 წელს, ჯერ კიდევ თავისი სახელოვანი ბიძის – ვახუშტი ბატონიშვილის სიცოცხლეში იგი შეუდგა ქართულად თარგმნას ევროპული საისტორიო თხზულებებისა, რომლებიც შექმნილი იყო ლათინურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

ქართველი უფლისწულის მიერ შედგენილ ნაშრომში *მსოფლიო ისტორია*, სხვა ქვეყნებთან ერთად, მიმოხილულია პოლონეთი და ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფოებიც. ავტორი მათ იხსენიებს სახელწოდებით – 'პოლშა' და 'ლიტოვი'.

გვარდიის მაიორი ლ. ბაგრატიონი 35 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას თავისი ვრცელი ნაშრომი დაუსრულებელი დარჩა (სიხარულიძე 1991: 213-214).

ზემოხსენებულ თხზულებათა შექმნა ნათელს ხდის, რომ სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი ქართული ინტელექტუალური ელიტა ცდილობდა მსოფლიო ისტორიისა და პოლიტიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოების შექმნას მშობლიურ ენაზე (ჯავახიშვილი 2011: 21-24).

ამრიგად, XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის ქართველი ერის მოწინავე ნაწილს საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა ჰქონდა პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე იმხანად არსებული ვითარების შესახებ.

დამოწმებანი

ბარამიძე 1979: ა. ბარამიძე, ლ. მარუაშვილი. ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 4, თბილისი (1979).

მარუაშვილი 1954: ლ. მარუაშვილი. XVIII საუკუნის ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები. თბილისი (1954).

სიხარულიძე 1991: ფ. სიხარულიძე. მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან. თბილისი (1991).

ჩაგუნავა 1986: რ. ჩაგუნავა. ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა (მათემატიკა). თბილისი (1986).

ხეც A-717: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ფონდი A. ხელნაწერი # 717.

ხეც S-161: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ფონდი S. ხელნაწერი # 161.

ხეც S-1131: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ფონდი S. ხელნაწერი # 1131.

ჯავახიშვილი 2010: N. Javakhishvili. Little-known pages of the history of Georgian-Baltic relations in the 10th-18th centuries. „The Caucasus and globalization", Journal of Social, Political and Economic Studies, Institute of strategic studies of the Caucasus, CA&CC Press, Sweden, volume 4, issue 3-4 (2010).

ჯავახიშვილი 2011: ნ. ჯავახიშვილი. ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი (2011).

Information about the Poland and Baltic Area Countries Preserved in the Georgian Historical Sources (Eighteenth Century)

Niko Javakhishvili

The eighteent century Georgian historical sources preserved certain information about the Poland and Baltic area regions and major populated places of the time, as well as their administration-management systems. Such sources are writings translated and edited by:

1) The king of Kartli (Kartalinia) Vakhtang VI (1675-1737);

2) Son of the king Vakhtang VI, geographer, historian and cartographer – prince Vakhushti Bagrationi (1696-1756);

3) Grandson of the king Vakhtang VI, son of prince Bakar Bagrationi – prince Leon (Levan) Bagrationi (1728-1763);

4) Writer, duke Gabriel Gelovani.

XVI საუკუნის I ნახევარში ალასტნის ჭალთა წმ. გიორგის მონასტერში გადაწერილი მეტაფრასი (A-613//S5226) და მისი ანდერძ-მინაწერები (მასალები ჯავახეთის სამწიგნობრე ისტორიისათვის)

თემო ჯოჯუა

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ხელნაწერი წიგნების A კოლექციაში 613-ე ნომრით დაცულია ფურცლებად დაშლილი მეტაფრასი,[1] იგივე A-613, რომლის ათეულობით ანდერძ-მინაწერის (კოლოფონის) ტექსტი უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის სხვა წერილობითი ძეგლებისათვის სრულებით უცნობი საეკლესიო ცენტრის – ალასტნის ჭალთა წმ. გიორგის მონასტრის შესახებ.

A-613-ის ანდერძ-მინაწერები, მათი დიდი სამეცნიერო მნიშვნელობის მიუხედავად, მკვლევართათვის, პრაქტიკულად, უცნობია. ეს ფაქტი, პირველ რიგში, იმით არის განპირობებული, რომ ხელნაწერის აღწერილობა აქამდე მხოლოდ ერთხელ, ისიც მეტად ზოგადი და არასრული სახით იყო გამოქვეყნებული. მხედველობაში გვაქვს თედო ჟორდანიას მიერ 1902 წელს, რუსულ ენაზე გამოცემული თბილისის საეკლესიო მუზეუმის ქართული ხელნაწერი წიგნების *აღწერილობის* II წიგნი, სადაც A-613-ის შესახებ საკმაოდ მწირი ინფორმაციაა წარმოდგენილი:

1. A-613 ქაღალდის ხელნაწერია, რომლის ფურცლების ზომა 35X25 სმ-ია.

2. A-613-ის შედგენილობაში წარმოდგენილი ფურცლები XII-XV საუკუნეების რამდენიმე განსხვავებული ხელითაა დაწერილი და სხვადასხვა ხელნაწერებს მიეკუთვნება.

3. A-613-ში შეტანილია ეფრემ ასურის, მარიამ მეგვიპტელის, სტეფანე პირველმოწამისა და მსოფლიო ეკლესიის სხვა წმიდანთა *ცხოვრება-მარტვილობანი*, იოანე ოქროპირის, იოანე დამასკელის, გრიგოლ ნოსელისა და სხვა ეკლესიის მამათა სიტყვები თუ სიტყვა-მიგებანი და სხვ. (მკვლევარი ხელნაწერში სულ ოცდაერთ თავსა თუ ნაკვეთს გამოყოფს).

4. ხელნაწერის ძირითადი ნაწილი, ორ სვეტად შესრულებული ტექსტი, ლორეს უბანში (Лорійской участокъ) შემავალი ალასტნის პროვინციის ჭალთა წმ. გიორგის ეკლესიისათვის იყო გადაწერილი.

5. A-613-ს დართული აქვს რამდენიმე ანდერძი:

> ა)...მარიამ მეგჳპტელო, იოხენ წ˜ე ღთისა... აბრაამ... შავ-დეკანოზი ალასტნისაჲ. მეცა მიოხე, წ˜ო მარიამ, ნაცრიანი მწერალი, ძე აბრაამისა, გლახაკი დიმიტრი (დტ˜ი).
>
> ბ) აბრაამს ბიძინაშვილსა ალასტნელსა და მისსა შჳლსა, ამა წიგნისა მწერალსა, დ˜ტის შ˜ნ ღ˜ნ ან.
>
> გ) დეკანოზის ალასტნის ჭალთა მთავარმოწამისა გიორგისა, რომლისა სახელსა ზედა იწერების წ˜ა ესე მეტაფრასი. წ˜ო გ˜ი, ჭალთა მთავარმოწამეო და წ˜ო თ˜ე მწერალი ნაცრიანი; მეცა მიოხეთ დ˜ტი ც˜ი, ძე აბრაამისი (ჟორდანია 1902: 110-112).

როგორც ვხედავთ, თედო ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული აღწერილობა, მართლაც, საკმაოდ ზოგადი და არასრული სახისაა, რის გამოც ის სამეცნიერო საზოგადოებას A-613-ის შესახებ მაინცადამაინც ნათელ წარმოდგენას ვერ უქმნის. ამ გარემოებას ჩვენ ჯერ კიდევ 2010 წელს, ხელნაწერით დაინტერესებისთანავე მივაქციეთ ყურადღება და გადავწყვიტეთ, აღნიშნული ხარვეზის დაძლევის მიზნით, თავად შეგვედგინა A-613-ის დეტალური მეცნიერული აღწერილობა. 2011 წლის დასაწყისში ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადავდგით კიდეც, თუმცა მოგვიანებით გავარკვიეთ, რომ ფილოლოგი ქეთევან ასათიანი A-613-ის აღწერილობის შედგენაზე უკვე მუშაობდა[2] და ამიტომ ძალისხმევა, ძირითადად, ხელნაწერის ანდერძ-მინაწერების აკადემიური სახით გამოცემისა და მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი შესწავლისაკენ მივმართეთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ ორი ძირითადი მიმართულებით შესრულებული სამუშაოების შედეგებმა მოიყარა თავი.[3]

I. A-613- ის ანდერძ-მინაწერები

A-613-ის შედგენილობაში, პირობითად, ორი ნაწილი გამოიყოფა. აქედან, პირველი, ძირითადი ნაწილი ერთი და იმავე ხელით დაწერილი 147 ფურცლისაგან (1rv-115 rv, 120rv-151rv) შედგება და საკმაოდ მოზრდილ, დღეისათვის მთლიანად დაშლილ მეტაფრასს მიეკუთვნება (სურ. 1 და სურ. 2). A-613-ის მეორე ნაწილი რამდენიმე განსხვავებული ხელით დაწერილ 14 ფურცელს (116rv-119rv, 152rv-161rv) შეიცავს და სხვადასხვა ხელნაწერი წიგნის ფრაგმენტებს წარმოადგენს (სურ. 3). ქვემოთ, A-613-ზე საუბრისას, ყოველთვის ხელნაწერის პირველი ნაწილი ანუ მეტაფრასი გვექნება მხედველობაში.

A-613-ს ასზე მეტი ანდერძ-მინაწერის სრული ან ფრაგმენტული ტექსტი აქვს დართული. აქედან, ოცდათოთხმეტი კოლოფონი უშუალოდ A-613-ის გადამწერის ხელით არის შესრულებული, დანარჩენი სამოცდაათზე მეტი მინაწერი კი ხელნაწერის არშიებზე მოგვიანებით, სხვადასხვა პირების მიერაა დაწერილი.

1. A-613-ის გადამწერის ხელით შესრულებული კოლოფონები

თავდაპირველად მოვიყვანთ A-613-ის გადამწერის ხელით შესრულებული კოლოფონების ტექნიკურ აღწერილობას, მათი ტექსტების გადმონაწერებს, დედნის შრიფტის დაცვით და ამ ტექსტების ჩვენეულ წაკითხვებს.

I.1. შესრულებულია 1r-ს მარჯვენა სვეტის XVIII სტრიქონის მარჯვენა არესა და ფურცლის მარჯვენა აშიაზე, ამავე სვეტის XXII სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულების სათაურის (‘თხრობ(ა)ჲ მოღებ(უ)ლი წ(მიდა)თა და სამსახ̣ურებ(ე)ლთა ხ(ა)ტთათ(ჳ)ს და თუ ვ(ითა)რ ან|უ რ(ომლ)ისა მიზეზისათ(ჳ)ს გ(ა)ნეწესა დღეს(ა)სწ̣(აუ)ლი მ(ა)რთმადიდ(ე)ბლობისაჲ, რ(ომელ)ი მიიღო | წლითიწლ(ა)დ აღსრულ(ე)ბ(ა)ჲდ წ(მიდამა)ნ და დი|დმ(ა)ნ, ღ(მრ)თისა კათოლიკე ეკლესიამ(ა)ნ პ(ირვე)ლსა კ(ურია)კ(ე)სა | მ(ა)რხვ(ა)თასა. გ(უა)კ(ურთ)ხ(ე)ნ, მ(ა)მ(ა)ო’) შემდეგ. ერთი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 4,4X0,5 სმ. (კოლოფონის ზომები, აქაც და შემდგომშიც, მოტანილი გვექნება ტექსტის დასაწყისში შესრულებული საზედაო მთავრული გრაფემების ზომების გათვალისწინებით). ძირითად ტექსტთან შედარებით, ცოტა უფრო წვრილად ნაწერი ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი, კლაკნილი ან სწორი ხაზი.

Ⴑ ყ ძ̃ ռ ძ ն ȝ ղ ᵭ̃ հ ե ե ը ყ̃ հ ն:-

აბრ(ა)ჰ(ა)მს, დეკ(ა)ნ(ო)ზსა, შ(ეუ)ნ(დვნე)ს.

I.2. შესრულებულია 1r-ს მარჯვენა აშიის ქვედა არეზე. ორი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 1,9X1,2 სმ. ნუსხური. შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ტექსტის ბოლოს დასმულია წერტილი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი, კლაკნილი ან სწორი ხაზი. მინაწერის წინ შესრულებულია ტექნიკური ნიშანი: ერთგვარი მარყუჟი, რომლის ზემოთაც სამი წერტილია დასმული. ამ ნიშნის გასწვრივ, 1r-ს მარჯვენა სვეტის XXXI სტრიქონის ზემოთ დასმულია ზუსტად ანალოგიური სახის ტექნიკური ნიშანი, რითაც მინიშნებულია აშიაზე შესრულებული სიტყვის ძირითად ტექსტში აღდგენის ადგილი.

ժտ̃ ղ
ւ ա ա ց̃ ը.

მთ(ა)ვ|როგა.

I.3. შესრულებულია 5r-ს მარჯვენა სვეტის ზემოდან ქვემოთ ძაბრისებურად (?) დავიწროვებული XIV-XVI სტრიქონების (‘ს(აუ)კ(უ)ნეთა | ს{აუ}კ{უ}ნეთ{ა}სა, | ა(მე)ნ’) ორსავე

მხარეს. ცხრა სტრიქონი. აქედან, კოლოფონის ხუთი სტრიქონი შესრულებულია ძირითადი ტექსტის მარცხნივ, ხოლო დანარჩენი ოთხი სტრიქონი – მარჯვნივ. ტექსტის ზომა: მარცხენა ხუთი სტრიქონი – 2,4X1,3; მარცხენა ოთხი სტრიქონი – 6,3X0,9 სმ. წვრილად ნაწერი ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა და II სტრიქონის მეორე სიტყვის (*აბ˘რჰმ*) ზემოთ დასმული ქარაგმის ნიშანი – წითელი ფერის საღებავით. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ალაგ-ალაგ. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი, კლაკნილი ან სწორი ხაზი. კოლოფონის ტექსტი საკმაოდ უცნაური თანამიმდევრობით იკითხება: ჯერ – ხელნაწერის ძირითადი ტექსტის მარცხნივ შესრულებული I სტრიქონი, შემდეგ – ძირითადი ტექსტის მარჯვნივ შესრულებული პირველი (ჩვენი სათვალავით – II) სტრიქონი, შემდეგ – ძირითადი ტექსტის მარცხნივ შესრულებული მეორე-მეხუთე (ჩვენი სათვალავით – III-VI) სტრიქონები, ხოლო სულ ბოლოს – ძირითადი ტექსტის მარჯვნივ შესრულებული მეორე-მეოთხე (ჩვენი სათვალავით – VII-IX) სტრიქონები. VII სტრიქონის დასაწყისი, მელნის გადასვლის გამო, აღარ იკითხება.

ηιιηθ ϑաևատր
ɾա ŧ˘ևա ɾɥ˘ιιոϑ: ɥդιϑ
ɾհɾɥყրդտևɾɥ
ϑɾ ყրոտաɾ ϑդևաɾɾ
հպ ϑɾևιχդ ϑոդևɾ ϑ˘և
ևև˘χտդևևɾ
[--] ɕ˘դ ϑɾ տ˘e meox eyvniT *դ ϑդապ դկրհդտ*
ɾ˘դ ևɾկϑɾιիևɾ ŧ˘ևևɾ ϑահկ
ɕտ˘ɥկև տ˘ŧհևɾ ɾϑɾ ɾոɕհդիևɾ ϑɾոդιիտևɾ: ϑ˘ɥև ɕ˘ϑևɾ:-

მე{ო}რედ მოსლვ|ო ქ(რისტე)სო, აბრ(ა)ჰ(ა)მ მიძ|ნაშვილსა<ო> | და შვ{ი}ლთა მისთა | ნუ დასჯი დღესა მ(ა)ს | ს(ა)სჯ(ე)ლის(ა)სა. | წ[წ(მიდა)ო] გ(იორგ)ი და თ(ეოდორე), მეოხ ეყვ{ე}ნით | წ(ინაშ)ე საყდარსა ქ(რი)ს(ტე)სა მონ<ო>{ა}-ყლ(ა)ხ(ა)ვს{ა} თქ(უე)ნსა, ამა წიგნისა მწერ{ა}ლსა დ(იმი)ტ(რი)ს, ც(ო)დ(ვილ)სა.

I.4. შესრულებულია 5r-ს მარჯვენა სვეტის XX სტრიქონის მარჯვენა არესა და ფურცლის მარჯვენა აშიაზე, ამავე სვეტის XII სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულების სათაურის (მელნის გადასვლის გამო, იკითხება მხოლოდ პირველი რამდენიმე სიტყვა: 'თქ(უ)მ(უ)ლი [წ(მიდ)]ისა და ნ[(ე)ტ(ა)რის]ა მ(ა)მ(ი)სა | ჩ(უე)ნისა ი(ოა)ნე ო[ქროპირისა] [...]') შემდეგ. ერთი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 5X0,4 სმ. ძირითად ტექსტთან შედარებით, ცოტა უფრო წვრილად ნაწერი ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით (?). შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა – წითელი ფერის საღებავით (?). განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი, კლაკნილი ან სწორი ხაზი. მელნის გადასვლის გამო, კოლოფონის პირველი სიტყვა მხოლოდ ფრაგმენტულად იკითხება.

[--]***ɥտա***[--] ***ყ˘հև տ˘հ ɾϑդհ***:-

[აბ]რ{ა}ჰ[{ა}მს] შ(ეუ)ნ(დვნე)ს ღ(მერთმა)ნ, ამინ.

I.5. შესრულებულია 8r-ს ქვედა აშიაზე. ერთი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 14,3X1,5 სმ. ძირითად ტექსტთან შედარებით, ცოტა უფრო წვრილად ნაწერი ნუსხური. კოლოფონის პირველი და მეცხრე სიტყვების პირველი გრაფემები – მთავრულით, ხოლო რამდენიმე სხვა გრაფემა – მხედრულზე გარდამავალი ნუსხურით. შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ალაგ-ალაგ. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი სწორი ხაზი, რომელსაც მარცხენა კიდე ზევით აქვს აკეცილი. კოლოფონის მეოთხე (კღტღუღფ = სოლომონ) და მეცხრე (წმსჩლფრ = დუკატნი) სიტყვები კრიპტოგრამებია და ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის ანჩინური სისტემითაა გადმოცემული (ათანელიშვილი 1982: 14-16). ანდერძის ტექსტი, სავარაუდოდ, დაუმთავრებელია.

Ъ̆ѧѵ̆ꙋ ⷯ҂ѣ҂ꙋ ѳ҂ѳ҃ꙗ: ѵ҂ꙋ҇ѳ҂ѧ҇ѵ҂ѳ҃: ѳ҃ꙋѣѵ̆ѳ҂ꙋ҇ц҆ ⷯ҂ѳ҃ѳ҂ ѳ҃ѧѧ҇ѵ̆ꙋ҇ѳ҂ꙋ҇ц҆ѵ҂ѣ ѧ҇ѣ҃: ҃ѳ҃ѣ҂ѵ̆ѳ҂ѧ҇ѳ҂:-

ზურგი იკავე, მ{ა}მ{ა}ო სოლომონ, მცონარებ(ა)ი აღარ მოჰკვდების, თუ დუკატნი

I.6. შესრულებულია 28v-ს მარცხენა სვეტის XXII სტრიქონის შუა და მარჯვენა არეზე, ამავე სვეტის XVII სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულების სათაურის (*წ(მიდ)ისა და* ნ(ე)ტ(ა)რისა მ(ა)მისა ჩ(უე)ნისა ან(დრია ი)ჩ(რუსა)ლ(ი)მ(ე)ლისაჲ, კრიტელ მთ{ა}ვარეპისკოპოსისაჲ, სიტყ(უა)ი ხ(ა)რ(ე)ბისა)თ(ჳ)ს ყ(ოვლა)დწ(მიდ)ისა დ(ედუფ)ლისა ჩ(უე)ნისა ღ(მრთ)ის|მშ(ო)ბ(ე)ლისა და მ(არა)დის ქ(ალ)წ(უ)ლისა მ(ა)რ(ია)მისსა. | გ(უა)კ(ურთ)ხ(ე)ნ, მ(ა)მ(ა)ო') შემდეგ. ერთი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 6,3X0,7 სმ. ნუსხური. კოლოფონის პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა – წითელი ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ერთგან. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ხაზი. კოლოფონის მეხუთე სიტყვის (*აბ[--]მისი*) მესამე-მეოთხე გრაფემებთან მელანი ისეა გადღაბნილი, რომ ამ გრაფემების გარჩევა, პრაქტიკულად, ვეღარ ხერხდება.

ꙗ҆̆ѳ҃ ⷬ҂ѧ ꙋ҆̆ ⷧ҂ ѧ҇ꙋ҇ц[--]ѳ҃ⷣ҂ѧ҇ѣ҃: ц҆̆ѓ҃:-

ყ(ოვლა)დწ(მიდა)ო, შ(ეიწყალ)ე ს(ულ)ი აბ[რ{ა}ჰ{ა}]მისი, ა(მი)ნ.

I.7. შესრულებულია 32v-ს მარცხენა სვეტის XIX სტრიქონის მარცხენა არეზე, ამავე სვეტის XX სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულების სათაურის ზემოთ. ერთი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 4,2X1 სმ. ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა და მეოთხე სიტყვის (*ა҆̆ნ*) თავზე დასმული ქარაგმის ნიშანი – წითელი ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ხაზი. კოლოფონის ბოლო, მეოთხე სიტყვა შესრულებულია სტრიქონის ხაზის ქვემოთ.

Ⴑ҆ꙗѣ҆̆ⷣ҂ѧ҇ѵ̆ѳ҂ ꙗ҆̆ѓ҃ѵ҂ ⷯ҂ѣ҃ ц҆̆ѓ҃:-

აბრ(ა)ჰამს შ(ეუ)ნ(დვნე)ს ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ.

I.8. შესრულებულია 32v-ს მარცხენა სვეტის XXIII სტრიქონის შუა და მარცხენა არეებზე, ამავე სვეტის XX სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულების სათაურის (*თქ(უ)მ(უ)ლი წ(მიდ)ისა* და ნ(ე)ტ(ა)რისა მ(ა)მისა ჩ(უე)ნ|ისა ბასილისი, მარხვ(ა)თათ(ჳ)ს. | თ(ა)ვი პ(ირუე)ლი. კ(ჳრია)კ(ე)სა ყველიერის(ა)სა. | გ(უა)კ(ურთ)ხ(ე)ნ, მ(ა)მ(ა)ო შემდეგ. ერთი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 6,3X0,5 სმ. წვრილად ნაწერი ნუსხური. შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ალაგ-ალაგ. ტექსტის ბოლოს დასმულია მძიმე. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ან სწორი ხაზი. კოლოფონის მესამე სიტყვის (*მ҆დდ˜ლთმმ҆ღრო*) მეცხრე გრაფემა (*რ*) და მეექვსე სიტყვის (აბრ˜მისი) მეორე გრაფემა (*ბ*) შესრულებულია სტრიქონის ხაზის ზემოთ.

ѻ˜ ꙗ҆̆ц҆ѣѵ̆ѳ҂ ѳ҃ѣ҃ѻ˜ⷬ҂ ѳ҃ⷬ҂ѳ҃ѣ҃ѳ҃ѵ̆ѣ҂: ꙗ҆̆ⷬ҂ѳ҃ⷯ҂ѳ҂ ѧ҇˜ ꙗ҆̆ꙋ҇ѣ҃ⷬ҂ꙋ҇: ц҆̆ѓ҃ :-

{წ}(მიდა)ო ბას(ი)ლი მღდ(ე)ლთმ(ო)ძღ(უა)რო, შ(ეი)წყ(ა)ლე ს(ულ)ი აბრ(აჰა)მისი, ა(მი)ნ.

I.9. შესრულებულია 45v-ს მარცხენა სვეტის XIX-XXII სტრიქონებზე. ოთხი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 8,6X2,6 სმ. ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა – მომწვანო ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ერთგან. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ან სწორი ხაზი. მინაწერი გამოქვეყნებულია 1902 წელს, თედო ჟორდანიას მიერ, ფრაგმენტული სახით (ჟორდანია 1902: 112).

Ⴑყძთაჯძს ყოძჯჩჯყოთაჯჯ ჯთაყჩჩე
თაჯჯა: ბჯ ძოაჯჯ ყოოთაჯჯ ჯძჯ ოთჩო
ჯჯ ძოოძთაჯჯ ბ᷾ ყს ბჯ ძყაყთათჯ ძოა
თჯ ყ᷾ჩს ო᷾ჩ ჯ᷾ჩ:-

აბრ{ა}ჰამს ბიძანაშვ{ი}ლსა, ალ{ა}სტნე|ლსა<ა> და მისსა შვილსა, ამა წ{ი}გნი|სა მწერ{ა}ლსა დ(იმი)ტ(რი)ს და მშობ{ე}ლთა მის|თა შ(ეუ)ნ(დვნე)ს ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ.

I.10. შესრულებულია 45v-ს მარცხენა სვეტის ბოლო, XXIII-XXV სტრიქონებზე. სამი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 8,8X2,4 სმ. ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა – წითელი ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან ორწერტილი და ხაზი ალაგ-ალაგ. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და მძიმე. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ან სწორი ხაზი.

Ⴑსე ჯ(უარის)<ა>{ა} ს(ა)კითხ(ა)ვნი შუამ{ა}რხვად | და ჯ(უა)რთა ამ(ა)ღლებ(ა)დ წარსაკი(თ)ხ(ა)ვნი
ბჯ ჯძ᷾ თჯ ჯძოთოყ᷾ბ᷾ ოჯძსჯჯ
ჰ᷾ყო᷾ჩ᷾ ჯძ᷾ოჯჩ᷾:- ათჯჰოთოო᷾:

ესე ჯ(უარის)<ა>{ა} ს(ა)კითხ(ა)ვნი შუამ{ა}რხვად | და ჯ(უა)რთა ამ(ა)ღლებ(ა)დ წარსაკი(თ)ხ(ა)ვნი არიან, ორჯელვე.

I.11. შესრულებულია 48r-ს მარჯვენა სვეტის XXXI სტრიქონის შუა და მარჯვენა არეებზე, XXXII სტრიქონსა და ფურცლის მარჯვენა აშიაზე, ამავე სვეტის XXVI სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულების სათაურის (*Წ*(მიდ)ისა და ნ(ე)ტ(ა)რისა მ{ა}მისა ჩ(უე)ნისა | ანდრიაჲ იᲘ(რუსა)ლ(ი)მ(ე)ლისა, კრ|იტელ მთ(ა)ვ(ა)რებისკოპ(ო)სისაჲ, | სიტყ(უა)ჲ ამ(ა)ღლ(ე)ბ(ი)სა პ(ა)ტ<ი>(იო)სნისა | და ცხ(ო)ვ(ე)ლსმყ(ო)ფ(ე)ლისა ჯ(უარ)ისაჲ. | გ(უა)კ(ურთ)ხ(ე)ნ, მ(ა)მ(ა)თ') შემდეგ. ორი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 8,5X0,9 სმ. წვრილად ნაწერი ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა – წითელი ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ან სწორი ხაზი.

Ⴑყძთაძ ბ᷾ყ᷾ჩ᷾ბ᷾ჩ ჯთაჯყბ᷾ოჩ᷾ჩ ბჯ ძ
ყაყთათჯ ძოჩათჯ ბჯ ყოთათჯ ბჯ ყაძთჯ ძოჩათჯ ყ᷾თჯთოო ყ᷾ჩს ო᷾ჩ ჯ᷾ჩ:-

აბრ{ა}ჰ{ა}მ დეკ{ა}ნ{ო}ზსა ალასტნის{ა}სა და მ[შობ{ე}ლთა მისთა და შვ{ი}ლთა და ტომთა მისთა ყ(ოველ)თავე შ(ეუ)ნ(დვნე)ს ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ.

I.12. შესრულებულია 50r-ს მარჯვენა სვეტის XII სტრიქონის მარჯვენა არეზე, XIII-XVIII სტრიქონებსა და ფურცლის მარჯვენა აშიაზე. ათი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 10,5X5,7 სმ. წვრილად ნაწერი ნუსხური. VII სტრიქონის პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამი წერტილი ალაგ-ალაგ. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ან სწორი ხაზი. მინაწერი გამოქვეყნებულია 1902 წელს, თედო ჟორდანიას მიერ, ფრაგმენტული სახით (ჟორდანია 1902: 112).

ო᷾სჯ ს᷾ფთ
ოსჯ ოოძთყთაჩა ოთ᷾ა|ძო᷾ძთ᷾ჩ: ბჯ ო᷾ა ბჯ ო᷾თ ყთძასოთაა ოფძთძ
ძ᷾ჩ ყთსყბ᷾ოთაჯ ყ᷾ჩბ᷾ ძოთაჯა ყთჯძბ᷾თთჩ ო᷾ჩ᷾ ა᷾ძთ᷾ყაჯჩ᷾ ბჯ ყ᷾ბ᷾ ჭყ᷾თჩ᷾ო
ძო᷾ძთ᷾ჩ:, ოძთძჯბ᷾ ოაყთბ᷾ ყ᷾თჯ: ო᷾ო᷾ ჭ᷾ს ძთფოსჯ თჭ᷾ჩ᷾სჯ ბჯ ო᷾თოსჯა
ჩ᷾ჩ ყთ᷾თჯსჯ: ჯყძთაძ ყოძჯყოთოთ: ბთყჯჩაბ᷾ ჯთაყჩჩე ჯჯთაჯ ძთჯ
თძჯო᷾ძ᷾ჩ᷾ბ᷾ ჯ᷾ჩთ: ძთ᷾ბ᷾ ყყ᷾თჯ ბ᷾ჯ ოოთძთყყთ ო᷾ჩ᷾ თყთბფძჯთ᷾ო:

ჩ˜ა ც˜ო ცርთაც ძთ˜ოსძრთძოა ბც რ˜ა თ˜ო ძროსთ˜თო ჩრცსთოცჩო ძოცც ძოც˜თ ბ˜ც ცბოთ˜თო ძო ცყსთაძ˜ოსთ
რო სყ˜ბცსთსც
ტსთ˜სც:-

{ყ}ოვლი)სა ს(ო)ფლ|ისა წამებ{უ}ლნო წ(მიდა)ნო მ(ო)წ(ა)მენო და წ(მიდა)ო და ღ(მერ)თშემოსილო ეფრემ, | რ(ომელმა)ნ შესხმითა შ(ე)ნმ(იე)რითა<ი> შეამკვენ წ(მიდა)ნი ორმეოცნი და ყ(ოვლა)დ(ე)ბ(უ)ლნი | მ(ო)წ(ა)მენი, ერთ{ჯ}მად იოხეთ ყ(ოველ)თა წ(ინაშ)ე ქ(რისტე)ს{ა}, მე(უ)ფისა თქ(უე)ნისა და ღ(მრ)თისაჲ | ჩ(უე)ნ ყ(ოვე)ლთასა, აბრ{ა}ჰ{ა}მ ბიძა{ნა}შვილი, დეკანოზი ალასტნ{ი}ს ჭალთა მთა|ვ(ა)რმ(ო)წ(ა)მისა გ(იორგ)ისი, რ(ომლ)ისა ს(ა)ხ(ე)ლსა ზ(ედ)ა იწერებინ წ(მიდა)ი ესე მეტ{ა}ფრასი. | წ(მიდა)ო გ(იორგ)ი ჭალთა მთ(ა)ვ(ა)რმ(ო)წ(ა)მეო და წ(მიდა)ო თ(ეოდორ)ე, მწერ(ა)ლი ნაცრიანი მეცა მი(ო)ხ(ე)თ, დ(იმი)ტ(რ)ი, ც(ო)დვ(ი)ლი, | ძე აბრ{ა}ჰ{ა}მისი, | წ(ინაშ)ე ს(ა)ყდარსა | ქ(რი)ს(ტე)სა.

I.13. შესრულებულია 50v-ს მარცხენა აშიის ქვედა არეზე. ხუთი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 1,7X1,6 სმ. წვრილად ნაწერი ნუსხური. შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და მძიმე. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი, კლაკნილი ხაზი. მინაწერის მეოთხე სტრიქონსა და 50v-ს მარცხენა სვეტის XXV სტრიქონს შორის დასმულია პატარა წრეზე დამყარებული ჯვარი, რითაც, სავარაუდოდ, მინიშნებულია აშიაზე შესრულებული სიტყვების ძირითად ტექსტში აღდგენის ადგილი.

ჯ˜ო ღძი
*ითბთყო*ს*
ბც ყთძახ
ძყთყცსრ
*ყ˜ჩო თყთთო*ს*ჩო*:,

ჯ(უარ)ი ამ{ა}ღ|ლდების | და შემოკ|რბებიან | ყ(ოველ)ნი ეკლესიანი

I.14. შესრულებულია 55r-ს მარჯვენა სვეტის XXIII სტრიქონის შუა და მარჯვენა არეებზე, აგრეთვე, ფურცლის მარჯვენა აშიაზე, ამავე სვეტის XVII სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულების სათაური (‘ო(ჳ)წყებ(ა)ი ყ(ოვლა)დ დ(იდე)ბ(უ)ლისა მის ს(ა)სწ(აუ)ლ|ისაჲ, რ(ომელ)ი იქმნა სამეუფოსა | ქალ(ა)ქსა შ(ინ)ა ხ(ა)ტისა მის მ(იე)რ ქ(რისტე)ს, | ღ(მრ)თის[ა] ჩ(უე)ნისა, თ(ეოდორ)ეს ზ(ედ)ა მენავესა, | რ(ომე)ლი ესე იკითხვების პ(ირუე)ლ|სა კ(ჳრია)კესა წ(მიდა)თა მ(ა)რხვ(ა)თასა. | გ(უა)კ(ურთ)ხ(ე)ნ, მ(ა)მ(ა)ო’) შემდეგ. ორი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 7,2X0,9 სმ. ძირითად ტექსტთან შედარებით, ცოტა უფრო წვრილად ნაწერი ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა – წითელი ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ხაზი. კოლოფონის I სტრიქონის მეხუთე სიტყვის (*ბიძანაშვ˜ლი*) მეხუთე-მეექვსე (*ნა*) გრაფემები შესრულებულია სტრიქონის ხაზის ზემოთ.

ტ˜ო ო˜ა ყ˜ო ა˜თთაც ყთძსრსყო˜თო
ცყსძც˜ძ ც˜რ:-

ქ(რისტ)ე, ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლითა ბიძანაშვ(ი)ლი | აბრა(ჰა)მ, ა(მი)ნ

I.15. შესრულებულია 69v-ს მარჯვენა სვეტის XXVI-XXVIII სტრიქონებზე, ამავე სვეტის XXX სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულების სათაურისა და ამ სათაურის ზემოთ, XXIX სტრიქონზე გამოყვანილი დეკორატიული ორნამენტული (?) ზოლის ზემოთ. სამი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 8,8X1,8 სმ. წვრილად ნაწერი ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა – წითელი ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ალაგ-ალაგ. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ან სწორი ხაზი. კოლოფონის

III სტრიქონის ბოლო ფრაგმენტი მოქცეულია სარესტავრაციო ქაღალდის ზოლის ქვეშ, რის გამოც ტექსტის ეს ნაწილი მხოლოდ ფრაგმენტულად იკითხება.

Ո˜տա: ծը ր˜ա դաշհիդ ատփաւդփա: ժծ˜տդտ
ժծ˜տատը տ˜ը ֆդշփդ: էպփշդաժ պդժշհիշպդրտդ
դապդ ր˜դ նշպծշփանը թև˜նը ծոդնը ժ˜ն նպդհիտանը ևնչ˜տդնև [-] [--]

ღ(მერ)თო და წ(მიდა)ო იოან<ნი>{ე} ოქროპირო, მ(ა)დლით | მ(ა)დლთა თ(ან)აზიარი აბრაჰ{ა}მ ბიძანაშვილი | იოხე წ(ინაშ)ე საყდარსა ქ(რი)ს(ტე)სა დღესა მ(ა)ს ს{ა}შინ{ე}ლსა ს(ა)სჯ(ე)ლის(ა)ს[ა], [ა(მი)ნ].

I.16. შესრულებულია 69v-ს მარჯვენა სვეტის XXXIV სტრიქონის მარჯვენა არესა და ფურცლის მარჯვენა აშიაზე, ამავე სვეტის XXX სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულების სათაურის (*Წ̃აკითხ(ა)ჲი,* თქ(უ)მ(უ)ლი <თქ(უ)მ(უ)ლი> წ(მიდ)ი|სა მ(ა)მისა ჩ(უე)ნისა ეფრემ [ას]ურისა, წ(მიდა)თა მ(ა)მ(ა)თა შესუ[ნ]||ბ(უ)ლთათ(ჳ)ს, ყ[ვე]ლიერისა შ(ა)ბ[(ა)თ|საა. გ(უა)კ(ურთ)ხ(ე)ნ, მ(ა)მ(ა)ო') ზემოთ. ორი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 4,5X0,8 სმ. წვრილად ნაწერი ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა – წითელი ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ან სწორი ხაზი. კოლოფონის I და II სტრიქონების ბოლო ფრაგმენტები მოქცეულია სარესტავრაციო ქაღალდის ზოლის ქვეშ. მიუხედავად ამისა, ტექსტის ეს ნაწილი გარკვევით იკითხება სინათლის გამჭოლ შუქზე. კოლოფონის II სტრიქონის ბოლო გრაფემები დაკარგულია ფურცლის მარჯვენა კიდის დაზიანების გამო.

ჩ˜հա ո˜տ ყոժանդտհա ժ˜ժհա ժ˜ը ոկոհդտ
էպփտաժն ր˜ո թ[...]

წ(მიდა)ნო ღ(მერ)თშემოსილნო მ(ა)მ(ა)ნო, მ(ეო)ხ ეყვ{ე}ნით | აბრ{ა}ჰ{ა}მს წ(ინაშ)ე ქ[(რისტე)სა] [...].

I.17. შესრულებულია 70r-ს მარცხენა სვეტის ზემოდან ქვემოთ ძაბრისებურად დავიწროებული XVI-XIX სტრიქონების ორსავე მხარეს, ამავე სვეტის XX სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულების სათაურის (წ(მიდ)ისა და ნ(ე)ტ(ა)რისა მ(ა)მისა ჩ(უე)ნისა ნეკტარი კოსტ(ა)ნტინეპოლელ პ(ა)ტრიაქისა, ს(ა)კითხ(ა)ვი, რ(ომე)ლი ესე აღიწერაჲ ს(ა)სწ(აუ)ლისა მისთ(ჳ)ს წ(მიდ)ისა | თ(ეოდორ)ეს მ(იე)რ აღსრ(ულე)[ბ(უ)ლი]სა, რ(ომელ)ი იგ[ი] [აღ]||სრ(უ)ლა ყ(ოვლა)დ ქ(ე)ბ(უ)ლ[მ(ა)ნ] [და] უძლევ[ე]||ლმან მოწამემან [---] ივლიანე გ(ა)ნ[დ]||გომილისათაჲ, რ(ომელ)ი ესე იკი[თ]ხვები|ს პ(ირვე)ლსა შ(ა)ბ(ა)თსა წ(მიდა)თა მ(ა)რხვათასა. | გ(უა)კ(ურთ)ხ(ე)ნ, მ(ა)მ(ა)ო') ზემოთ. რვა სტრიქონი. აქედან, კოლოფონის ოთხი სტრიქონი შესრულებულია ძირითადი ტექსტის მარცხნივ, ხოლო დანარჩენი ოთხი სტრიქონი – მარჯვნივ. ტექსტის ზომა: მარცხენა ოთხი სტრიქონი – 3,6X3,2; მარცხენა ოთხი სტრიქონი – 3,6X2,9 სმ. ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. წითელი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ალაგ-ალაგ. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ან სწორი ხაზი. კოლოფონის ტექსტი იკითხება შემდეგი სახით: ჯერ – ხელნაწერის ძირითადი ტექსტის მარცხნივ შესრულებული I სტრიქონი, შემდეგ – ძირითადი ტექსტის მარჯვნივ შესრულებული პირველი (ჩვენი სათვალავით – II) სტრიქონი, შემდეგ – ძირითადი ტექსტის მარცხნივ შესრულებული მეორე (ჩვენი სათვალავით – III) სტრიქონი, შემდეგ – ძირითადი ტექსტის მარჯვნივ შესრულებული მეორე (ჩვენი სათვალავით – IV) სტრიქონი და ა. შ. კოლოფონის ბოლო, VIII სტრიქონის მეორე სიტყვა (*ღ˜ნ*) შესრულებულია სტრიქონის ხაზის ზემოთ.

Ს˜տանը ը
պփտաըժ: պդ
ժհիշպդրդ
տդնէնը:
ყ˜հև ո˜հ
ը˜հ ը˜հ ը˜հ

ნ̃ე ჱყ̃ყოთჲ ჱ[-]
თჲ ყ̃ჩჩა: ჲ̃ჩ: ე̃ჩ:-

ს(უ)ლსა აბრ{ა}ჰამ ბი‹ჱ›{ა}ნაშვი‹ლ›ისასა | შ(ეუ)ნ(დვნე)ს ღ(მერთმა)ნ, | ა(მი)ნ, ა(მი)ნ, ა(მი)ნ. | და მშ(ო)ბ(ე)ლთა მ[{ი}ს]თა შ(ეუ)ნ(დვნე)ს ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ.

I.18. შესრულებულია 72v-ს მარჯვენა სვეტის VIII სტრიქონის მარჯვენა არეზე, IX სტრიქონსა და ფურცლის მარჯვენა აშიაზე, ამავე სვეტის I სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულების სათაურის (‘თქ(უ)მ(უ)ლი წ̃(მიდ)ისა ნ(ე)ტ(ა)რისა მ(ა)მისა ჩ(უე)ნისაჲ | ათანასე ალექს{ა}ნდრიელ მთ(ა)ვ(ა)რეპისკოპოსისა, ს(ა)სწ(აუ)ლისა მისთ(ჳ)ს, რ(ომელ)ი | იქმნა პ(ა)ტიოსნისა ხ(ა)ტისა <მისთ(ჳ)ს> | მ(იე)რ ო(ჳფლ)ისა ჩ(უე)ნისა ი(ეს)ჳ ქ(რი)ს(ტე)სა ბივრიტ‹იაჲ ქ(ა)ლ(ა)ქსა, რ(ომელ)ი იკითხვების პ(ირუე)ლსა კ(ჳრია)კ(ე)სა მ(ა)რხვ(ა)თასა წ̃(მიდა)თა ხ(ა)ტთა›თ(ჳ)ს. გ(უა)კ(ურთ)ხ(ე)ნ, მ(ა)მ(ა)ო’) შემდეგ. ორი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 9X2,9 სმ. ძირითად ტექსტთან შედარებით, ცოტა უფრო წვრილად ნაწერი ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა – წითელი ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშნები: ორწერტილი ან სამი წერტილი ალაგ-ალაგ. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ხაზი. კოლოფონის II სტრიქონის ბოლო სამი სიტყვა (შ̃ნეს ღ̃ნ ა̃ნ) შესრულებულია გვერდულად, ქვემოდან ზემოთ.

Ⴑ‹ძჲნჲჲყ̃ოთჩაჲნჲ›:.
ჲყჱ̃ჩაჲძჩ: ჲთჲაჲჹ̃ნაჲ: ნ̃ჩჲჲჩაბაჲ: ნ̃ე ძყ̃ყოთჲ ძ̃ჩათჲ ყ̃ჩჩა ჩ̃ჩა ჲ̃ჩ:-

ბიძანაშვილსა<ჲ> | აბრ(ა)ჰამს, ალასტნისა დეკანოზსა და მშ(ო)ბ(ე)ლთა მისთა შ(ეუ)ნ(დვნ)ეს ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ.

I.19. შესრულებულია 83r-ს ქვედა აშიაზე. ორი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 15,9X1 სმ. წვრილად ნაწერი ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ალაგ-ალაგ. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ან სწორი ხაზი. კოლოფონის I სტრიქონის მესამე სიტყვის შემდეგ შესრულებული იყო სიტყვა: იწოდების, რომელიც იმავე კოლოფონის დამწერის მიერ არის გადახაზული.

ყ̃ჩაჩ‹ოთჩ ჰ̃ ჱ̃ჲთაჩოთაჩ:
ჰ̃ჰ‹ოჲჱ̃ჱ ჩ̃ყ̃ჰ̃ჩ ყჰ̃ჰ̃ჰაჩჩჱ̃ნ: ჱძ̃ჩათ̃ჱ ჩ̃ჲყ̃ჱ̃ყ ჩ̃ჯ ყ̃ჩჩთ̃ჩ ჩ̃ჩჱჱჰ̃ჩ̃ჩ ჱ[-]*ჩთაჩ ჰ̃ჰ‹ოჲჱ ნ̃ე* [
-]*ჩყჩჩ̃ჩ›*

შეისწ{ა}ვე, რ(ამეთუ) სალევსის | ძრვასა ჰქ̣ჯან ბ(ე)რძულად. ამისთ(ჳ)ს იტყჳს ვ(ითარმე)დ: ‘ყ(ოველ)ივე აღასრ(უ)ლა ს[ა]ვლე, ძრვა და [შ]ე{რ}ყევაჲ’.

I.20. შესრულებულია 92v-ს მარცხენა სვეტის ბოლო, XXX-XXXVI სტრიქონებზე. შვიდი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 8,5X4,7 სმ. წვრილად ნაწერი ნუსხური. VI სტრიქონის მეოთხე სიტყვის (*მეცა*) პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშნები: წერტილი, ორწერტილი ან სამი წერტილი ალაგ-ალაგ. VI სტრიქონის მესამე სიტყვის (*ალასტნისსაჲ*) შემდეგ და კოლოფონის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ან სწორი ხაზი. მინაწერი გამოქვეყნებულია 1902 წელს, თედო ჟორდანიას მიერ, ფრაგმენტული სახით (ჟორდანია 1902: 112).

ჿ̃ძ̃ჰ‹ოჲძ ძ̃ჩჱ̃ყ̃ჩჩაჲ, ჯაყ̃ჩ̃ჩ ჩ̃ჯ ჭ̃ჰ̃ჱ̃ჱ ჱთჯ̃ჩ̃ჩ ნ̃ე ყჰ̃ჱ̃ჱ
ჱ̃ჯთჩ̃ჩ: აჰ̃ჩთ̃ჩ ყ̃ჱ ჱ̃ჱყჰ̃ჰ̃ჿ̃ჩ̃ჩ: ჩ̃ჯთ̃ჩ̃ჩ: ნ̃ჯთ̃ჩ̃ჩ ნ̃ე ძ̃ჯ̃ჰ̃ჱ̃ჱ
ძ̃ჰ̃ძ: ნ̃ე ჩ̃ჩ̣ჩ ჩ̃ჯთ̃ჩ̃ჩ ძ̃ჩჱ̃ჯ‹ოჩ̃ჩ̃ჱ̃ჯ̃ჩ̃ჩ: ნ̃ე ძ̃ჯ̃ჰ̃ჱ̃ჱ ჱ̃ჩჯ
ჩ̣ჱ̃ჯ̃ჩ̃ჱ̃ჿ: ნ̃ჱ̃ჯ‹ოჩ̃ჩ̃ჱ̃ჯ̃ჩ̃ჩ̣ჿ: ჩ̃ჰ̃ჿ ჩ̃ჱ̃ჱ ნ̃ე ჰ̃ჩ̃ჯ̃ჩ̃ჩ ჩ̃ჰ̃ჩ̃ჯ̃ჩ̃ჩ
ჩ̃ჩ̃ჱ̃ჯ̃ჩ̃ჯ ჩ̃ჯ̃ჰ̃ჿ: ჩ̃ჯ̃ჯ̃ჩ̃ჯ̃ჩ ჩ̃ჩ̃ჯ̃ჩ̃ჱ̃ჯ̃ჩ̃ჩ ჩ̃ჰ̃ჩ̃ჯ̃ჩ̃ჩ ჩ̃ჰ̃ჩ̃ჯ̃ჩ̃ჩ ნ̃ჩ̃ჯ̃ჩ̃ჩ ჰ̃ჩ̃ჯ̃ჩ̃ჩ:

ყ̇ꙁ̇ꙋ ꙁ̇ꙇꙉ̇ꙁ̇ꙇ̇ꙗ̇ꙍ̇ꙇ̇ꙉ̇ ꙁ̇ꙋ̇ꙁ̇ꙇ̇ꙉ̇ꙁ̇ꙇ̇ꙉ̇ꙁ̇ꙇ̇ꙍ̇ꙉ̇ꙁ̇:- ꙗ̇ꙇꙁ̇ꙉ̇ ꙁ̇ꙋ̇ꙗ̇ꙍ̇ꙉ̇ ꙋ̇˜ꙗ̇
*ꙁ̇ꙇ˜ꙁ̇: ꙁ̇ꙉ̇ꙍ̇ꙇ̇ꙁ̇ꙇ̇ꙋ ꙁ̇ꙋ̇ꙇꙉ̇ꙁ̇ꙇ̇ꙁ̇ꙋ̇ꙁ ꙇ̇ꙇꙉ̇ ꙉ̇ꙁ̇ꙋ̇ꙗ̇(ꙗ̇)ꙁ̇: ꙍ̇ꙗ̇ꙍ̇˜ꙇ̇ꙇ̇ꙁ̇: ꙋ̇˜ꙇ̇ꙇ̇ꙁ̇ꙇ̇ꙁ̇ꙋ̇ꙁ̇ꙇ̇ꙁ̇ꙋ̇ꙁ̇ꙇ̇ꙁ̇ꙋ

ꙗꙁꙋ
ꙁ҃ꙇ
ꙗꙁ
ꙋ҃ꙉ
ꙏ҃ꙉ
ꙁ҃ꙉ:,

ალასტნისა დეკ(ა)ნ<ი>{ო}ზ|სა აბრა{ჰა}მ|ს და მ|შობ{ე}ლ|თა<ი> | მის|თა | შ(ეუ)ნ(დვნე)ს | ღ(მერთმა)ნ, | ა(მი)ნ.

I.24. შესრულებულია 78r-ს ზედა ამიის მარცხენა და შუა არეებზე. ორი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 11,9X1,1 სმ. წვრილად ნაწერი ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა – წითელი ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ალაგ-ალაგ ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ან სწორი ხაზი.

ꙋꙏꙇꙁꙑꙏꙏ ꙗꙇ҃ ꙁꙉ҃ꙁꙑꙗ ꙇꙁꙉ҃ꙁ ꙁꙉ҃ ꙗ ꙋꙍꙗꙇꙏꙁ ꙁꙉ
*ꙋ҃ꙑ ꙁꙋꙏꙁꙇꙁ: ꙍ҃ ꙁꙉ ꙍ҃ꙏ ꙋꙏ҃ ꙑꙋ҃ꙍ ꙗ҃ꙍ҃ꙉ ꙁꙉ ꙋꙇ҃ꙍꙍ ꙁꙋꙗꙇꙍꙁ ꙍꙋ҃ꙁꙑꙏ ꙁꙋꙇꙇꙑꙏ ꙁꙉ ꙁꙋꙇ҃ꙍꙍ ꙁꙋꙗꙇꙍꙁ

ⴔⴋⴑ
ⴛⴄⴗⴒⴄ
ⴏⴑ
ⴋⴜⴋⴗⴏⴑⴔ:>:-

ბიძა|ნაშვი|ლსა<ი> | აბრ{ა}ჰამს შ(ეუ)ნ(დვნე)ს | ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ, | ამა | წიგნი|სა | მომგებსა<ი>.

I.27. შესრულებულია 101r-ს მარცხენა სვეტის XXIII სტრიქონზე, ამავე ფურცლის მარცხენა სვეტის XVII სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულების (*წ(მიდ)ისა და ნეტ(ა)რისა მ(ა)მისა ჩ(უე)ნისა* | *ანდრია კრიტელ მთ(ა)ვარეპისკოპოსისა, სიტყ(უა)ი ლ|ზარესთ(ჳ)ს, ოთხდღე მომ|კუდრისაჲ, რ(ომელ)ი იგი აღად|გინა ო(ჳფალმა)ნ. გ(უა)კ(ურთ)ხ(ე)ნ, მ(ა)მ(ა)ო*) ქვემოთ. ერთი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 8,3X1,5 სმ. ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა და მესამე სიტყვის (*მშობ(ე)ლთა*) ზემოთ გამოყვანილი ქარაგმის ნიშანი – წითელი ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ხაზი. კოლოფონის ბოლო სიტყვა (ა(მე)ნ) შესრულებულია სტრიქონის ხაზის ზემოთ.

ⴡⴆⴘ˜ⴑⴑⴒⴘ ⴔⴑ ⴒⴆⴘⴌ˜ⴑⴑⴑ ⴒⴑⴘⴑⴑ ⴆ˜ⴘⴘ ⴑ˜ⴘ ⴑ˜ⴘ:-

აბრ(ა)ჰამს და მშობ(ე)ლთა მისთა შ(ეუ)ნ(დვნე)ს ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ.

I.28. შესრულებულია 111r-ს მარცხენა სვეტის XV-XX სტრიქონების გასწვრივ, ზემოდან ქვემოთ ბაბრისებურად დავიწროვებული ტექსტის (*შ(ინ)ა ყ(ოველ)თათ(ჳ)ს, რ(ომე)ლ|თა ჰრწ|მენეს | მ(ა)მაჲ | და | ძე' მარცხენა კიდესა და ფურცლის მარცხენა აშიას შორის მოქცეულ არეზე. ცხრა სტრიქონი. ტექსტის ზომა: 3,5X4 სმ. წვრილად ნაწერი ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამი წერტილი ალაგ-ალაგ. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი, კლაკნილი ან სწორი ხაზი.

ჩ˜ⴀ ⴓ˜ⴗ ⴑⴑ ⴓ˜ⴀ
ⴓ˜ⴄ ⴒⴑⴓⴓⴑ ⴆⴓⴑ
ⴓⴛⴆⴓ˜ⴆⴄⴛⴀ: ⴗⴀⴒⴄⴓ
ⴀⴓⴗⴓ˜ⴑ ⴒⴛ˜ⴓⴗⴑ: ⴀⴛⴓⴑ
ⴓⴓⴄ ⴓⴒ˜ⴛⴒⴑⴑ ⴒ˜ⴑ: ⴖⴗⴛⴄⴑ
ⴒⴓⴓⴗ ⴑⴒⴛⴓⴗⴆ ⴑⴑⴓⴑ ⴆ˜ⴀ
ⴀⴀⴞ˜ⴓⴗⴀⴑ ⴓ˜ⴄ ⴀⴑⴒⴑⴆⴑⴀ
ⴛⴀⴀ˜ⴑ:. ⴑⴑ ⴛⴄ ⴆⴗⴀⴗ ⴑⴆⴑ ⴓⴗⴓⴓⴑⴗ
ⴀⴑ ⴄⴑⴓⴛⴗⴑⴄⴑ ⴆⴓⴄⴛⴛ˜ⴓⴗ: ⴑ˜ⴒⴗ ⴑ˜ⴄ

წ(მიდა)ო გ(იორგ)ი და წ(მიდა)ო | თ(ეოდორ)ე, ჭალთა მთაც(ა)რმ(ო)წ(ა)მენო, იოხეთ | ს(უ)ლითა, ჰ(ო)რცითა, ორთაჲე ცხ(ო)რ(ე)ბ<ი>{ა}თა შ(ინ)ა ბიძ{ა}ნაშვ{ი}ლი აბრ{ა}ჰ{ა}მ დღესა მ{ა}ს | ს(ა)სჯ(ე)ლისა წ(ინაშ)ე საყდარსა | ქ(რი)ს(ტე)სა და ძე მისი, ამა წიგნი|სა ნაცრიანი მწერ(ა)ლი დ(იმი)ტ(რ)ი, ა(მი)ნ.

I.29. შესრულებულია 111r-ს მარცხენა სვეტის XXXIII სტრიქონის შუა და მარცხენა არეზე, ამავე სვეტის XXIX სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულების სათაურის (*წ(მიდ)ისა მ(ა)მისა ჩ(უე)ნისაჲ ბასილი მთ|ავარ{ე}პისკოპოსისაჲ, კე|სარია-კაპადუკელისა, შეს|ხმა წ(მიდა)თა მ(ო)წ(ა)მეთა ორმეოცთა. | გ(უა)კ(ურთ)ხ(ე)ნ, მ(ა)მ(ა)ო ' შემდეგ*. ერთი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 6,5X0,8 სმ. ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი, კლაკნილი ან სწორი ხაზი.

ⴀⴒ˜ⴑⴑⴀ ⴒⴛ˜ⴑⴀ ⴛ˜ⴒⴄ ⴆ˜ⴡⴗ ⴓ˜ⴑ:-

მ(ო)წ(ა)მ(ე)ნო ქ(რი)ს(ტეს)ნო, შე(იწყალე)თ დ(იმი)ტ(რ)ი, ა(მი)ნ.

I.30. შესრულებულია 112v-ს მარცხენა სვეტის ზედა ნაწილში წარმოდგენილი დეკორატიული თავსართის ძირს დაშვებულ მარცხენა და მარჯვენა მკლავებს შორის მოქცეულ არეზე, ამავე სვეტის I სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულების სათაურის (‘წ(მიდა)თა შ(ორი)ს მ(ა)მისა ჩ(უე)ნისა ი(ოა)ნე|ოქროპირისა, კოსტ{ა}ნტინუპ|ოლელ მთ(ა)ვარები(ს)კოპ(ო)სისა, სიტ|ყუაჲ წ(მიდ)ისათ(ჯ)ს და დიდისა დღისაჲ | წ(მიდ)ისა პასექისა. მ(ა)მ(ა)ო, გ(უა)კ(ურთ)ხ(ე)ნ’) ზემოთ. ერთი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 7X0,5 სმ. ძირითად ტექსტთან შედარებით, ცოტა უფრო წვრილად ნაწერი ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი, კლაკნილი ან სწორი ხაზი.

Ⴍ̃ა ი̃ა ⴑბ̃ⴒბ̃ⴒ ⴅ̃ⴒⴒⴑⴑ ბ̃ბ̃ⴑ ⴑყⴝⴑⴅა ⴒ ⴑ̃ⴒ:

ო(ჯფალ)ო ღ(მერთ)ო, ადიდე ს(უ)ლითა მ(ა)მ(ა)ჲ ა{მ}ბროსი, ა(მი)ნ.

I.31. შესრულებულია 115r-ს მარცხენა სვეტის V სტრიქონის შუა და მარჯვენა არეზე, ამავე სვეტის I სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულების სათაურის (‘[მის]ვე წ(მიდა)თა შ(ორი)ს მ(ა)მისა ჩ(უე)ნისა ი(ოა)ნე|ოქროპირისა, კოსტ{ა}ნტინუ{პოლელ} მთა|ვარებისკოპოსისა, სიტყ(უა)ჲ ამ(ა)ღლებისათ(ჯ)ს ო(ჯფლ)ისა ჩ(უე)ნისა ი(ეს)ჯ ქ(რისტე)ს)ა. | მ(ა)მ(ა)ო, გ(უა)კ(ურთ)ხ(ე)ნ’) შემდეგ. ერთი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 6,8X0,7 სმ. ძირითად ტექსტთან შედარებით, ცოტა უფრო წვრილად ნაწერი ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა – წითელი ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი, კლაკნილი ხაზი.

†̃ⴒ ი̃ა ყ̃ⴒ ა̃ⴒⴑ ⴅბ̃ⴝⴑაⴑⴒა ⴅ̃ⴒ:-

ქ(რისტ)ე, ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლი ამბროსესი, ა(მი)ნ.

I.32. შესრულებულია 128r-ს მარცხენა სვეტის XII სტრიქონის შუა და მარჯვენა არეზე, ამავე სვეტის XIII სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულების სათაურის (‘დიდსა სამშ(ა)ბ(ა)თსა, თ(ა)რგმ(ა)ნების(ა)გ(ა)ნ | მ(ა)თეს ს(ა)ხ(ა)რ(ე)ბისა, თავი ოჱ (78). სიტყ(უა)ჲ ესე: | „მ(ა)შინ ემსგ(ა)ვ(სო)ს ს(ა)ს(უ)ფ(ევე)ლი ც(ა)თა ათ|თა ქ(ალ)წ(უ)ლთა, რ(ომე)ლთა აღიხუ̈ნეს | ს(ა)ნთ(ე)ლნი თ(ჯ)სნი და გ(ა)ნვიდეს [მი]გებებად სიძისა’ ზემოთ. ერთი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 6,2X0,7 სმ. ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა – წითელი ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი, კლაკნილი ხაზი ან სწორი ხაზი, რომლის მარცხენა კიდეც ზევით არის აბრუნებული.

Ⴝ̃ⴑაⴅ ⴅყⴒ̃ⴑⴅბ̃ⴑაⴅ ყ̃ⴒⴒა ი̃ⴒ:-

ს(უ)ლსა აბრ(ა)ჰამისა შ(ეუ)ნ(დვნე)ს ღ(მერთმა)ნ.

I.33. შესრულებულია 139v-ს მარჯვენა სვეტის XXIX სტრიქონის მარჯვენა არესა და ფურცლის მარჯვენა აშიაზე, ამავე სვეტის XXX სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულებისათვის წამძღვარებული მცირე წინასიტყვის (‘წ(მიდა)ნო მ(ა)მ(ა)ნო, ესე საკ(ით)ხ(ა)ვნი წ(მიდ)ისა თ(ეოდორ)ესნ[ი], | ორნივე, ერთისა პირისათ(ჯ)ს თქმ{უ}ლნი არიან, ხ(ოლო) ფ(რია)დ სხ(უა)ჲსა და სხ(უა)ჲ[ს]ა პირსა ზ(ედ)ა არიან. ესე პ(ირვე)ლი, მ(ო)წ(ა)მისა შესხმასა მ(ა)რხვისა და გლ(ა)ხ(ა)კთ მ(ო)წყ(ა)|<მ>ლებისათ(ჯ)ს გ(ა)ნავრცელებს და ესე|მეორე გ{ა}[ნ]დგომილსა ღ(მრ)თის(ა)გ(ა)ნ ივლიანეს გ(ა)ნაქიქებს. სხ̈ჯსა და სხ̈ჯსა თქმ(უ)ლნი | არიან და ეგრეთვე, თ{ა}რგმნილნი ორნივე შუ̈ნიერნი, უწყნის ღ(მერთმა)ნ’ შემდეგ. ერთი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 3,3X0,4 სმ. ძირითად ტექსტთან შედარებით, ცოტა უფრო წვრილად ნაწერი ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ერთგან. ტექსტის ბოლოს დასმულია

ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი, კლაკნილი ხაზი. კოლოფონის მეხუთე სიტყვა (*დ ̃ტი*) შესრულებულია სტრიქონის ხაზის ქვემოთ.

ⴼ̃ⴑ ⴓ̃ⴄ ⴘ̃ⴄ ⴒⴓ̃ⴘⴅ̃ⴒⴄ:. ⴆ̃ⴃ:-

წ(მიდა)<ა>{ო} თ(ეოდორ)ე, შ(ეიწყალ)ე გლ(ა)ხ(ა)კი დ(იმი)ტ(რ)ი, ა(მი)ნ.

I.34. შესრულებულია 139v-ს მარჯვენა სვეტის XXXIV სტრიქონის მარჯვენა არესა და ფურცლის მარჯვენა აშიაზე, ამავე სვეტის XXX სტრიქონიდან დაწყებული ახალი თხზულების სათაურის (ⴑასწ(აუ)ლი დ(იდე)ბ(უ)ლისა, წ(მიდ)ისა და ღ(უა)წლის მძლისა,|უძლეველისა თ(ეოდორ)ე მთ(ა)ვ(ა)რმ(ო)წ(ა)მისა, თ{ა}რჩმნილი მ(ა)მისა ჩ(უე)ნისა გ(იორგ)ი მთაწმიდელისა.| იკითხვების შ(ა)ბ(ა)თსა პ(ირვე)ლსა წ(მიდა)თა მ(ა)რხვ(ა)თა|სა. გ(უა)კ(ურთ)ხ(ე)ნ, მ(ა)მ(ა)ო') შემდეგ. ერთი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 6X0,7 სმ. ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა – წითელი ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი, კლაკნილი ხაზი.

ⴼ̃ⴀ ⴓ̃ⴄ ⴘ̃ⴄ ⴊ̃ⴓⴄ ⴑⴘⴋ̃ⴓⴀⴘⴄ:-

წ(მიდა)ო თ(ეოდორ)ე, შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლი აბრ(ა)ჰ(ა)მისი.

2. A-613-ის მოგვიანო ხანის მინაწერები

A-613-ს, ციტირებული კოლოფონების გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა პირების მიერ მოგვიანებით შესრულებული სამოცდაათზე მეტი მინაწერიც აქვს დართული. მოვიყვანთ ამ მინაწერების ტექსტების ჩვენეულ წაკითხვებს და მათ ზოგიერთ ტექნიკურ მონაცემს.

II.1. ლ | ელისაბედ | მსნ (2r. პირველი ორი სიტყვა მხედრულად, მესამე – მთავრულით. მეორე სიტყვა ხვეულად. დაუმთავრებელი).

II.2. ბტ ’(2r. მხედრული. ხვეულად. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.1 მინაწერის ხელით).

II.3. ელისაბედ ’(2r. მხედრული. ხვეულად. შესრულებულია II.1 მინაწერის ხელით).

II.4. ელისაბ ’(2r. მხედრული. ხვეულად. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.1 მინაწერის ხელით).

II.5. და აქუნდა (10v. მხედრული. დაუმთავრებელი).

II.6. ოვიდ*[...]ბერს[...]*(11r. მხედრული).

II.7. ქ. ა ბ გ დ ე ვ ზ ⟨ი⟩ *თ* (12r. მხედრული. დაუმთავრებელი).

II.8. ქ. წმინდანო ორმეოცნო მოწამენო, მეოხ ექმენით ორსავე ცხო|ვრებასა შინა ბასილის, დიაკონის, *სულს* (14r. მხედრული).

II.9. ქ. ღმერთმ[ა]ნ შე (19r. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.8 მინაწერის ხელით).

II.10. კენტინარი | ასი ლიტრა | ოქრო არი (19v. მხედრული. შესრულებულია II.6 მინაწერის ხელით).

II.11. [- -] რვალ[ი]ს ყო[-]ადნო ნ[- -]სა[-]ა, ვა, ვა, ვა, ვა, ვა (26r. მხედრული).

II.12. იოვანე წ[-]მა | მ მ[- -]ვ (26v. ნუსხური. დაუმთავრებელი).

II.13. *მ*(26v. მთავრული საზედაო ასო. შესრულებულია ძირითადი ტექსტის 32v-ზე წარმოდგენილი მთავრული საზედაო ასო *დ*-ს წაბაძვით).

II.14. *მ*(?) (26v. მთავრული საზედაო ასო. შესრულებულია II.13 მინაწერის ხელით, ძირითადი ტექსტის 32v-ზე წარმოდგენილი მთავრული საზედაო ასო *დ*-ს წაბაძვით).

II.15. ქ. ღმერთო, ნუ წამწყმედ მე და შემიწყალე (34v. მხედრული).

II.16. აწდა (34v. ნუსხური. დაუმთავრებელი).

II.17. რ(ამეთუ) არავინ არს (35v. ნუსხური. შესრულებულია II.16 მინაწერის ხელით).

II.18. ლოცო|[---] (36v. მხედრული. დაუმთავრებელი).

II.19. ქრ[ი]სტ (36v. მხედრული. დაუმთავრებელი).

II.20. [ქ]რ[ი]სტ (36v. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.19 მინაწერის ხელით).

II.21. მღუ (37r. ნუსხური. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.16 მინაწერის ხელით).

II.22. ესე წმინდასა | დ[იდ]სა ოთხშ|აბ[ა]თსა იკითხვება (37v. მხედრული. შესრულებულია II.5 მინაწერის ხელით).

II.23. დიდება | მამასა (43v. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.11 მინაწერის ხელით).

II.24. ჩემი (43v. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.11 მინაწერის ხელით).

II.25. ქ. ღ(მერ)თ(მა)ნ შე[უ]ნდნეს (45v. მხედრული. შესრულებულია II.11 მინაწერის ხელით).

II.26. ქ. თ[ქ]ვე[ნცა] (50r. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.7 მინაწერის ხელით).

II.27. ქ. ღ(მერ)თ(მა)ნ შეუნდოს ამის დამწე (50r. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.11 მინაწერის ხელით).

II.28. იბაკონი (66v. მხედრული. შესრულებულია II.11 მინაწერის ხელით).

II.29. შეურაცხება აქ ი[კი]თხეთ, იშხნელი ნ[(ი)კ(ოლო)ზ] (72r. მხედრული. შესრულებულია II.6 მინაწერის ხელით).

II.30. და მოკვეთანი ასო (73r. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.8 მინაწერის ხელით).

II.31. ღ(მერ)თ(მა)ნ შეუნდნეს ამის და|მწერს <ამ> და კიდ[ეც] | აცხოვნოს, ამინ (76v. მხედრული. შესრულებულია II.11 მინაწერის ხელით).

II.32. ესოგ (83v. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.18 მინაწერის ხელით).

II.33. წყლ(?)|ო (84r. ნუსხური. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.16 მინაწერის ხელით).

II.34. [სუ]ლ[იე]რად (92v. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.18 მინაწერის ხელით).

II.35. ქ. ეს (92v. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.19 მინაწერის ხელით).

II.36. ესე (92v. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.18 მინაწერის ხელით).

II.37. ქ. ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ჱ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ჲ, | ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, <ჯ> ჯ, ჰ, <ჰ> ჱ (94v. მხედრული. შესრულებულია II.8 მინაწერის ხელით).

II.38. [ეგ]ვიპტის ალიზი სხვა არს, | [- - -]ე სხვას იტყვის, | [ნ(ი)კ(ოლო)]ზ იშხნელი (94v. მხედრული. შესრულებულია II.6 მინაწერის ხელით).

II.39. ა, ბ, გ, დ, ე, |ვ, ზ, ჱ, თ, ი, |კ, ლ, მ, ნ, ჲ, ო, |პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, |ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, |ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, |ჯ (95v. მხედრულნარევი ნუსხური. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.16 მინაწერის ხელით).

II.40. ქ. ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ჱ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ჲ, | ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, | წ, ჭ, ხ, ჯ, ჯ, ჰ, ჱ (43r. მხედრული. შესრულებულია II.8 მინაწერის ხელით).

II.41. ქ. ქუდი დადვა (43v. მხედრული. შესრულებულია II.8 მინაწერის ხელით).

II.42. ყ(ოვლა)დ წ(მიდა)ო დ(ედო)ფ(ალ)ო, ღ(მრ)[თ](ი)სმშობელო, შე[ე]წიე | დამწერს [ა]მისსა, ამ(ე)ნ (44r. ნუსხური).

II.43. ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ჱ, თ (45v. ნუსხური. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.16 მინაწერის ხელით).

II.44. ლოცვ (45v. ნუსხური. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.16 მინაწერის ხელით).

II.45. <ღ> ღთნ შენდნე (45v. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.8 მინაწერის ხელით).

II.46. იატ[აკ]ი აქ იძიე (54r. მხედრული. შესრულებულია II.5 მინაწერის ხელით).

II.47. ქ. ერ<რ>თი კენტინარ[ი] ასი ლიტრა ოქრო | არის (62r. მხედრული. შესრულებულია II.8 მინაწერის ხელით).

II.48. ქ. ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ჱ‘ (64r. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.8 მინაწერის ხელით).

II.49. ესე წიგნი (79v. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.19 მინაწერის ხელით).

II.50. ესე წიგ (79v. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.19 მინაწერის ხელით).

II.51. ქ. რასა იტყვის გრიგოლ, ამ სოფლის მინდოვო, | ქარს რომ მიეყუდოს და წყალზედ სწერდეს, ის | არისო (81v. მხედრული. შესრულებულია II.6 მინაწერის ხელით).

II.52. [კა]რთთა აქ | [იკი]თხე(82r. მხედრული. შესრულებულია II.6 მინაწერის ხელით).

II.53. უფალო (83v. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.11 მინაწერის ხელით).

II.54. ჩვე[ნ]ი სიტ[ყ]ვა ჯათავ (?) განკარგნა (88v. მხედრული).

II.55. ჱ. უკ(უ)ე გან[ა]გდეთ | ნაყროვანებისა ვ|ნებანი დ[ა] შეიტ|კბევით სულთა | წმინდა მყოფე|ლი ღვაწლი, რა|თა იდიდებოდეთ | სა<სა>სუფეველს, | <სადიდებელ ა|რს თანა> მამი|სა, ძისა (88v. მხედრული. დაუმთავრებელი).

II.56. არა დაუპირებია | [მ]თავარანგელოზს (97v. მხედრული. შესრულებულია II.6 მინაწერის ხელით).

II.57. <ყო> <ყ> იესო, ყოვლად ძლი[ე]რო და მხსნელო | სულთა ჩვენთაო (102v. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.8 მინაწერის ხელით).

II.58. [--] მეოხი ხარ (127v. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.15 მინაწერის ხელით).

II.59. უპოვარი [- -]რი | ესე ბძანეთ, | ბ[ა]ტონ[ი] (?) | [---](127v. მხედრული. შესრულებულია II.5 მინაწერის ხელით).

II.60. [- - -] ქ. იესო, ყოვლად <მ>ძლიერო და მხსნ|ელო სულთა ჩვენთაო (128v. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.8 მინაწერის ხელით).

II.61. ქ. ნებითა და შეწევ<ე>ნითა ღმ[რ]თისათა, ჩვენ ჟამთა | და ხანთა უკუნისამდე გასათავებელი | წიგნი და სიგელ[ი] გიბოძეთ (128v. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.8 მინაწერის ხელით).

II.62. ნებითა და შ (128v. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.8 მინაწერის ხელით).

II.63. [- - -] იესო, ყოვლად ძ<ძ>ლიერო | და მხსნელო სულთა ჩ (129r. მხედრული. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.8 მინაწერის ხელით).

II.64. ს[ა]ხ[ა]რ[ე]ბ[ა]ჲ (134v. ნუსხური).

II.65. ნე (138v. ნუსხური. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.12 მინაწერის ხელით).

II.66. ნებითა | დაი (138v. ნუსხური. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.12 მინაწერის ხელით).

II.67. ხო (138v. ნუსხური. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.12 მინაწერის ხელით).

II.68. ხოლ (138v. ნუსხური. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.12 მინაწერის ხელით).

II.69. რ[-] (138v. ნუსხური. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.12 მინაწერის ხელით).

II.70. [-]ომე[-] (138v. ნუსხური. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.12 მინაწერის ხელით).

II.71. [-] [-]არანო (138v. ნუსხური. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.12 მინაწერის ხელით).

II.72. ხოლო იესო [---] (138v. ნუსხური. დაუმთავრებელი. შესრულებულია II.12 მინაწერის ხელით).

II.73. მოქენე მთხოველი | უნდა იყოს (139v. მხედრული. შესრულებულია II.6 მინაწერის ხელით).

II.74. ქ. კიკოლამ ვირს შემი[- - - - - - - - - - - -] (141v. მხედრული. დაუმთავრებელი (?). მინაწერის ბოლო ნაწილი გადახაზულია. შესრულებულია II.8 მინაწერის ხელით).

ამით ვასრულებთ A-613-ის ანდერძ-მინაწერების პუბლიკაციას და გადავდივართ მათ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით შესწავლაზე. თუმცა, ვიდრე კოლოფონებში დაცული ცნობების ანალიზს შევუდგებოდეთ, გვსურს, საგანგებოდ შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხს.

II. S-5226-ის ანდერძ-მინაწერები

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ხელნაწერი წიგნების H კოლექციაში 5226-ე ნომრით დაცულია ექვსი დაშლილი ფურცლისაგან შემდგარი ფრაგმენტი, რომლის შესახებაც დაწვრილებით ცნობებს H კოლექციის ხელნაწერთა აკადემიური *აღწერილობის* 1973 წელს დაბეჭდილი VII ტომი გვაწვდის. ამ პუბლიკაციის თამარ ბრეგაძის მიერ მომზადებული ნაწილიდან ვიგებთ, რომ H-5226-ს დართული აქვს გადამწერის ხელით შესრულებული სამი ანდერძი, რომლებიც შემდეგი სახით იკითხება:

1. სულსა აბრჰმისსა შეუნდოს ღმერთმან, ამინ.
2. მიდანო ორმეოცნო და წმინდაო გიორგი და თეოდორე ჭალთა მთავარმოწამენო, შეიწყალეთ სულითა აბრჰმ სურვილით მევედრებელი თქუენი და იოხეთ წინაშე საყდარსა ქრისტესსა.
3. 'აბრჰმს შეუნდოს ღმერთმან, ამინ (ბრეგაძე, ქავთარია, ქაჯაია, ქუთათელაძე, ჭანკიევი, მეტრეველი 1973: 173).

H-5226-ის ანდერძებში ასახული რეალიები ('ჭალთა მთავარმოწამენი, წმიდა გიორგი და თეოდორე' და მათი 'მევედრებელი აბრაჰამი') იმდენად დიდ მსგავსებას ავლენს A-613-ის კოლოფონებში ასახულ რეალიებთან, რომ იმთავითვე გაგვიჩნდა კითხვა: ხომ არ წარმოადგენს H-5226 და A-613 ერთი და იმავე ხელნაწერის სხვადასხვა ფრაგმენტებს?

დასმული კითხვისათვის პასუხის გაცემის მიზნით, H-5226-ის ტექსტი პალეგრაფიული თვალსაზრისით შევუდარეთ A-613-ის ტექსტს. შედარებამ საბოლოოდ ცხადყო, რომ H-5226 და A-613 ერთი ხელით არის დაწერილი და ისინი ერთი და იმავე ხელნაწერის სხვადასხვა ფრაგმენტებს წარმოადგენს (სურ. 4 და სურ. 5).[4]

მიღებული დასკვნის შემდეგ, ვფიქრობთ, აუცილებელია, რომ H-5226-ის ანდერძ-მინაწერები ზუსტად ისეთივე სახით მოვიყვანოთ აქ, რა სახითაც A-613-ის კოლოფონები გვქონდა მოყვანილი ზემოთ.

1. H-5226-ის გადამწერის ხელით შესრულებული კოლოფონები

თავდაპირველად წარმოვადგენთ H-5226-ის გადამწერის ხელით შესრულებული ანდერძების ტექნიკურ აღწერილობას, მათი ტექსტების გადმონაწერებს, დედნის შრიფტის დაცვით და ამ ტექსტების ჩვენეულ წაკითხვებს.

I.1. შესრულებულია 1r-ს მარცხენა სვეტის IX სტრიქონზე, ამავე სვეტის I სტრიქონიდან დაწყებული თხზულების სათაურის (’მეგლისწერაჲ ს(ა)რწმ(უ)ნო(ე)ბისა, რ(ომელ)ი | აღწე{რე}ს წ(მიდა)თა მ(ა)მ(ა)თა კოსტ{ა}ნტინეპოლ<ი>სა შეკრებ{უ}ლთა<ჲ>, წ(მიდა)თა ხ(ა)ტთა თ|(ა)ყ(უა)ნისცემისათ(ჳ)ს, რ(ომელ)ი ესე წარიკითხ|ვის სოფიაჲწ(მიდ)<ჲ>{ა}ს და ყ(ოველ)თა ეკლესია|თაჲ, პ(ირუე)ლსა კ(ურია)კ(ე)სა მ(ა)რხვ(ა)თასა,|წ{მ}იდასა ჳ(ამ)ისწირვასა ზ(ედ)ა, შემოსილ|ისა ხუცისაგ(ა)ნ. გ(აუ)კ(ურთ)ხ(ე)ნ, მ(ა)მ(ა)თ’) ქვემოთ. ერთი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 8,2X0,6 სმ. ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და მორკალული ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ხაზი. ანდერძი გამოქვეყნებულია 1973 წელს, თამარ ბრეგაძის მიერ, სრული სახით (ბრეგაძე *და სხვები* 1973: 173).

Ს̃თანც ჲცცხოჳრჟნანც ყრ̃ი ო̃რ ჲ̃რ:-

ს(უ)ლსა აბრ{ა}ჰ{ა}მისსა შ(ეუ)ნ(დვნე)ს ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ.

I.2. შესრულებულია 4v-ს მარჯვენა სვეტის III სტრიქონის მარჯვენა ნახევარსა და IV-VI სტრიქონებზე, ამავე სვეტის I სტრიქონიდან დაწყებული თხზულების სათაურის (’თ(უეს)ა მ(ა)რტ|ა თ (9). წამებ{ა}ი წ(მიდა)თა ორმე[ოც]თა, რ(ომე)ლნი სევასტიას იწამ|ნეს. გ(უა)კ(ურთ)ხ(ე)ნ, მ(ა)მ(ა)თ’) შემდეგ. ოთხი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 9,4X2,6 სმ. ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა – წითელი ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ალაგ-ალაგ. II სტრიქონის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ან სწორი ხაზი. ანდერძი გამოქვეყნებულია 1973 წელს, თამარ ბრეგაძის მიერ, სრული სახით (ბრეგაძე *და სხვები* 1973: 173).

ჩ̃ რია ჲაჰჟთაცცრია
ბჲ რ̃ა ც̃ჳ ბჲ თ̃ჳ ჭჲთაჲჲ ჟთირ̃ჰჟრ̃ჟრია:-
ყთჳრყთაჳთ: ხთ̃ჳთაჲ ჲცცხოჳ ხაქჰთრთაჳთ
ჟთრბჰცყთაჳ თჩ̃რ̃ჳ: ბჲ ჳაცჳთ რ̃ჳ ხყ̃ბჲჰხაჲ ჩხ̃ხაჲ

წ(მიდა)ნო ორმეოცნო | და წ(მიდა)ო გ(იორგ)ი და თ(ეოდორ)ე, ჭალთა მთ(ა)ვ(ა)რმ(ო)წ(ა)მენო, | შეიწყ{ა}ლეთ ს(უ)ლითა აბრ{ა}ჰ{ა}მ, სურვ{ი}ლით | მევ{ე}დრ{ე}ბ{ე}ლი თქ(უე)ნი და იოხეთ წ(ინაშ)ე ს(ა)ყდარსა ქ(რისტე)სსა.

I.3. შესრულებულია 5r-ს მარჯვენა სვეტის IX სტრიქონის მარჯვენა ნახევარზე, ამავე სვეტის IV სტრიქონიდან დაწყებული თხზულების სათაურის (’თხრ(ო)ბ(ა)ჲ ს(ა)სწ(აუ)ლისა წ(მიდ)ისა და ცხ(ო)ველსმყოფლისა ხ(ა)ტისა, რ(ომელ)ი ზღჳთ მ|ოიწია<ჲ> ჰრომედ, რ(ომელ)ი იგი შთაგდებ|ულ იყო წ(მიდ)ისა მ(ა)მ(ი)სა ჩ(უე)ნისა გერმანოსი|სა მ(იე)რ, რ(ათ)ა წარივლინოს კოსტ{ა}ნტინო|პოლით ჰრომედ’ შემდეგ. ერთი სტრიქონი. ტექსტის ზომა: 4,6X0,6 სმ. ნუსხური. პირველი გრაფემა – მთავრულით. შავი ფერის მელანი. პირველი გრაფემა – წითელი ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი კლაკნილი ან სწორი ხაზი. ანდერძი გამოქვეყნებულია 1973 წელს, თამარ ბრეგაძის მიერ, სრული სახით (ბრეგაძე *და სხვები* 1973: 173).

Ⴑჲცხოჳჟნ ყრ̃ი ო̃რ ჲ̃რ:-

აბრ{ა}ჰ{ა}მს შ(ეუ)ნ(დვნე)ს ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ.

2. H-5226-ის მოგვიანო ხანის მინაწერები

H-5226-ს, ციტირებული კოლოფონების გარდა, სხვადასხვა პირების მიერ მოგვიანებით შესრულებული ორი მინაწერიც აქვს დართული. მოვიყვანთ ამ მინაწერების ტექსტების ჩვენეულ წაკითხვებს და მათ ზოგიერთ ტექნიკურ მონაცემს.

II.1. სა[ა]ნ̃ჯ[ა]მნო აქ შეისწ̃ავე, ნიკო(ლო)ზ იშხნელი (5v. მხედრული. შესრულებულია A-613-ის II.6 კოლოფონის ხელით. მინაწერი გამოქვეყნებულია 1973 წელს, თამარ ბრეგაძის მიერ, სრული სახით (ბრეგაძე *და სხვები* 1973: 173)).

II.2. აპრუწ̃ვინ ბძანებულა ბატო|ნი იშხნელი (5v. მხედრული. შესრულებულია, სავარაუდოდ, A-613-ის II.55 მინაწერის ხელით. მინაწერი გამოქვეყნებულია 1973 წელს, თამარ ბრეგაძის მიერ, სრული სახით (ბრეგაძე *და სხვები* 1973: 173)).

III. A-613//S-5226-ის ანდერძ–მინაწერების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი

მას შემდეგ, რაც წარმოვადგინეთ A-613-ისა და H-5226-ის ანდერძ-მინაწერები, გადავალთ ამ დაშლილი მეტაფრასის, იგივე A-613//H-5226-ის, წარმომავლობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაზე.

1. A-613//H-5226-ის გადაწერის დრო

A-613//H-5226-ის ჩვენამდე მოღწეულ ანდერძებში ხელნაწერის გადაწერის თარიღი მითითებული არ არის. ამ მიზეზის გამო თედო ჟორდანიამ და თამარ ბრეგაძემ A-613-ისა და H-5226-ის დათარიღება ტექსტის პალეოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით სცადეს. თედო ჟორდანიას დაკვირვებით, A-613-ის ტექსტი (მისი როგორც პირველი (ძირითადი), ისე მეორე ნაწილი) XII-XV საუკუნეების ხელით არის დაწერილი (ჟორდანია 1902: 110-111). განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა თამარ ბრეგაძემ, რომელმაც H-5226-ის ტექსტი XVI-XVII საუკუნეებით დაათარიღა (ბრეგაძე *და სხვები* 1973: 172).

ამ ორი მოსაზრებიდან ჩვენ თამარ ბრეგაძის მოსაზრება უფრო მართებულად მიგვაჩნია, ვინაიდან A-613//H-5226-ის ტექსტი XVI-XVII საუკუნეების ნუსხური დამწერლობის ნიმუშებთან უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს ვიდრე XII-XV საუკუნეების ნუსხურ ტექსტებთან. ასე, რომ A-613//H-5226, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, მართლაც, XVI-XVII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. თუმცა, H-5226-ში ვაწყდებით ერთ მნიშვნელოვან დეტალს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, საგრძნობლად დავავიწროვოთ ეს ვრცელი, ორასწლიანი ქრონოლოგიური მონაკვეთი.

H-5226-ის 1r-4v-ზე წარმოდგენილია 843 წლის კონსტანტინეპოლის ადგილობრივი საეკლესიო კრების მიერ მიღებული დოკუმენტის *ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲს* ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ ნათარგმნი ტექსტი, რომლის მოსახსენებელ ნაწილშიც, ბიზანტიის იმპერატორების შემდეგ, ჩამოთვლილი არიან ქართველი საერო და სასულიერო პირები: საქართველოს მეფეები – ბაგრატ IV, გიორგი II, დავით IV აღმაშენებელი, დემეტრე I, გიორგი III, თამარი და გიორგი IV ლაშა, ეფთვიმე მთაწმიდელი, დედოფლები – მარიამი და მართა, ღირსი მამები – იოანე, იოანე სვინგელოზი და გიორგი, გიორგი მთაწმიდელი და გრიგოლ ბაკურიანისძე (ბრეგაძე *და სხვები* 1973: 172-173)[5].

ამ მოსახსენებლების წაბაძვით, ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲს ტექსტს ბოლოში მიწერილი აქვს ხელნაწერის ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული ხელით შესრულებული სამი გვიანდელი მოსახსენებელი, სადაც დასახელებული არიან: პატრონი იოთამი, მისი ვაჟი, პატრონი არფაქსადი და ამ უკანასკნელის თანამეცხედრე, მეფეთმეფის ასული, პატრონი თამარ:

> მ̃ჳნისა და ახოვანისა სწორუპოვარისა და მრავალჯერ გამარ̃ჯვებულისა სახელოვნისა პატრონის იოთამისა საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევაჲ მისი.
> ძისა მათისა მ̃ჳნისა და ახოვანისა სახელოვნისა და სახელგანთქმულისა და სიყრმითგან მრავალჯერ გამარ̃ჯვებულისა პატრონისა არფაქსადისა მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მისისანი.

თანამეცხრედისა მისისა, მეფეთ-მეფეთა ასულისა, დაუდუმებლად ღ˜ის მადიდებლისა და გლახაკთა კელისა ამპყრობელისა, სწორუპოვარისა ბატრონისა თამარისა მრავალმც არიან წელნი ცხორები... (სურ. 6) (ბრეგაძე და სხვები 1973: 173).

ჩვენი დაკვირვებით, ამ გვიანდელ მოსახსენებლებში დასახელებული ერთ-ერთი პირი, პატრონი არფაქსადი, რომელიც შუა საუკუნეების ქართული ანთროპონიმიკისათვის მეტად უცხო და იშვიათ სახელს ატარებს, H-5226-ის გარდა, კიდევ ერთ წერილობით ძეგლში იხსენიება. მხედველობაში გვაქვს ექვსი ქართველი ავტორის მიერ შედგენილი „მესხური დავითნის მატიანე“, სადაც დაწვრილებით არის გადმოცემული 1561-1587 წლების სამცხის საათაბაგოში მომხდარი ამბები.

თხზულება მოგვითხრობს, რომ 1578 წლის აგვისტოში მესხი ფეოდალების ერთი ნაწილი საქართველოს დასაპყრობად მომავალ ოსმალთა ლაშქარს წინ მიეგება და საკუთარი ციხეები თურქთა სარდალს მუსტაფა ლალა-ფაშას გადასცა. ამ ფეოდალებს შორის იყო ვინმე არფაქსადიც, რომელიც 1578 წლისათვის ხერთვისის ციხესა და კიდევ ხუთ სხვა ციხე-სიმაგრეს ფლობდა:

ამილახორიშვილი ქო[ი]არ მიეგებაა არტანს და ორი ციხე მან შესძლუნა ლალაფაშასა მარიამობისთუ[ს] ორსა. აგრეთვე არფაქსად ჰბირებოდა ექუსით ციხითა მას წინათ და ხერთვისი და ხუთი ციხე მას შეეძლუნა... (ხაზი, აქაც და ქვემოთაც, ყველგან, ჩვენია – თ.ჯ.) (შარაშიძე 1961: 49).[6]

თუ ჩვენი დაკვირვება სწორია და H-5226-ის ერთ-ერთ გვიანდელ მოსახსენებელში დასახელებული პატრონი არფაქსადი და 'მესხური დავითნის მატიანეში' 1578 წლის ამბებთან დაკავშირებით მოხსენიებული არფაქსადი ერთი და იგივე პირია, მაშინ საბოლოოდ ირკვევა, რომ H-5226-ის გვიანდელი მოსახსენებლები, სადაც პატრონი იოთამი გარდაცვლილად, მისი ვაჟი არფაქსადი კი ცოცხლად არის მოხსენიებული, ამავე არფაქსადის სიცოცხლეში, ანუ XVI საუკუნის II ნახევარში იყო შესრულებული[7].

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, რომ A-613//H-5226, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება. ახლა, როცა დამატებით გავარკვიეთ ისიც, რომ ხელნაწერისთვის დართული სამი გვიანდელი მოსახსენებელი XVI საუკუნის II ნახევარშია შესრულებული, ეს ორასწლიანი ქრონოლოგიური მონაკვეთი ავტომატურად ვიწროვდება ას ორმოცდაათი წლით და საბოლოოდ დგინდება, რომ A-613//H-5226 XVI საუკუნის I ნახევარში იყო გადაწერილი.

2. A-613//H-5226-ის გადაწერის ადგილი

A-613//H-5226-ის ანდერძებში ხელნაწერის გადაწერის ადგილი პირდაპირ მითითებული არ არის. ამ მიზეზის გამო თედო ჟორდანიამ და თამარ ბრეგაძემ აღნიშნულ საკითხს დუმილით აუარეს გვერდი. თუმცა, იმავდროულად, თედო ჟორდანიამ სცადა, შეძლებისდაგვარად დაეძლია ეს ხარვეზი და გამოთქვა მოსაზრება, რომ ხელნაწერი ლორეს უბანში შემავალი ალასტნის პროვინციის ჭალთა წმ. გიორგის ეკლესიისათვის იყო გადაწერილი:

Рукопись... разные листы изъ разныхъ рукописей, переписаны разнымъ почеркомъ хуцури XII-XV в. въ два столбца для церкви св. Георгоя Чалта въ Аластнойской провинцои (Лорійской участокъ) (ჟორდანია 1902: 110-111).

აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას თედო ჟორდანია, როგორც ჩანს, A-613-ის I.12 ანდერძის იმ ფრაგმენტს ემყარებოდა, რომელიც მას თავის 1902 წლის პუბლიკაციაში ჰქონდა შეტანილი. ამ ფრაგმენტში ნათქვამია, რომ მეტაფრასი 'ალასტნის ჭალთა მთავარმოწამე გიორგის სახელზე' იყო გადაწერილი:

„ყოვლისა სოფლისა წამებულნო წმიდანო მოწამენო და წმიდაო და ღმერთშემოსილო ეფრემ... ერთჴმად იოხეთ ყოველთა წინაშე ქრისტესა... აბრაჰამ ბიძანაშვილი, დეკანოზი ალასტნის

ჭალთა მთავარმოწამისა გიორგისი, რომლისა სახელსა ზედა იწერებინ წმიდაჲ ესე მეტაფრასი (შდრ.: ჟორდანია 1902: 112).

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ თედო ჟორდანიას მიერ გამოთქმული მოსაზრების იმ ნაწილს, რომლის თანახმადაც ციტირებულ ფრაგმენტში დადასტურებული ფრაზა: „ესე მეტაფრასი ალასტნის ჭალთა მთავარმოწამის გიორგის სახელსა ზედა იწერებინ“ იმაზე მიგვითითებს, რომ A-613//H-5226 საგანგებოდ 'ალასტნის ჭალთა მთავარმოწამე გიორგისათვის' იყო გადაწერილი. თუმცა, პარალელურად ამისა, ჩვენ არ ვიზიარებთ თედო ჟორდანიას ამავე მოსაზრების სხვა დეტალებს და მიგვაჩნია, რომ ეს დეტალები რამდენიმე აუცილებელ დაზუსტებასა თუ კორექტივს საჭიროებს.

დავიწყოთ იმის დაზუსტებით, თუ სახელდობრ რას გულისხმობს A-613-ის I.12 ანდერძში მოხსენიებული 'ალასტნის ჭალთა მთავარმოწამე გიორგი'. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას ორი მნიშვნელოვანი გარემოება იპყრობს: 1. 'ალასტნის ჭალთა მთავარმოწამე გიორგი' A-613//H-5226-ის ანდერძებში რამდენიმე განსხვავებული ფორმით არის მოხსენიებული; და 2. ამავე კოლოფონებში 'ალასტნის ჭალთა მთავარმოწამე გიორგის' გვერდით, კიდევ ერთი წმიდა მხედარი, 'ალასტნის ჭალთა მთავარმოწამე თეოდორე' იხსენიება, ისიც, რამდენიმე განსხვავებული ფორმით. მოვიყვანთ A-613//H-5226-ის ანდერძების შესაბამის ფრაგმენტებს.

A-613-ის ანდერძები:

I.3. წმიდაო გიორგი და თეოდორე, მეოხ ეყვენით წინაშე საყდარსა ქრისტესა მონა-გლახაკსა თქუენსა... დიმიტრის.

I.12. ყოვლისა სოფლისა წამებულნო წმიდანო მოწამენო და წმიდაო და ღმერთშემოსილო ეფრემ... ერთჰშად იოხეთ ყოველთა წინაშე ქრისტესა... აბრაჰამ ბიძანაშვილი, დეკანოზი ალასტნის ჭალთა მთავარმოწამისა გიორგისი, რომლისა სახელსა ზედა იწერებინ წმიდაჲ ესე მეტაფრასი. წმიდაო გიორგი ჭალთა მთავარმოწამეო და წმიდაო თეოდორე... მეცა მიოხეთ, დიმიტრი, ცოდვილი, ძე აბრაჰამისი.

I.21. წმიდაო გიორგი და წმიდაო თეოდორე ალასტნისაო, ჭალათა მთავარმოწამენო, მეოხ ეყვენით დღესა მას განკითხვისასა აბრაჰამს, დეკანოზსა, ბიძანაშვილსა, მშობელთა და ძმათა და შვილთა და ნათესავთა მისთა. ჲ, დიდებულო გიორგი, იოხენ წინაშე საყდარსა ქრისტესა;

I.25. ღმერთო და წმიდანო ორმეოცნო და წმიდაო ეფრემ და ქრისტეს მჭედარნო გიორგი და თეოდორე, შეიწყალეთ სულითა და ჴორცითა აბრაჰამ, თქუენი დეკანოზი;

I.28. წმიდაო გიორგი და წმიდაო თეოდორე, ჭალთა მთავარმოწამენო, იოხეთ სულითა, ჴორცითა... ბიძანაშვილი აბრაჰამ დღესა მას სასჯელისა წინაშე საყდარსა ქრისტესა და ძე მისი... დიმიტრი.

I.33. წმიდაო თეოდორე, შეიწყალე გლახაკი დიმიტრი.

I.34. „წმიდაო თეოდორე, შეიწყალე სული აბრაჰამისი.

H-5226-ის კოლოფონი:

I.2. *წმიდანო ორმეოცნო და წმიდაო გიორგი და თეოდორე, ჭალთა მთავარმოწამენო, შეიწყალეთ სულითა აბრაჰამ.*

ჩვენი დაკვირვებით, A-613//H-5226-ის კოლოფონებში მოხსენიებული 'ალასტნის ჭალთა მთავარმოწამე გიორგი' და 'ალასტნის ჭალთა მთავარმოწამე თეოდორე' კონკრეტული ჭედური თუ ფერწერული ხატებია, რომლებიც 'ალასტნის ჭალთას' სახელით ცნობილ სავანეში იყო დაბრძანებული. ამასთან, ამ ორი ხატიდან, სავანის თავი ხატი, როგორც ჩანს, წმ. გიორგის ხატი იყო, რის გამოც ის კოლოფონებში, ორივე ხატის ერთად დასახელებისას, ყოველთვის პირველია მოხსენიებული.

ცალკე საუბრის თემაა იმ სავანის რაობა, სადაც A-613//H-5226-ის ანდერძებში დასახელებული წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს ხატები იყო დაბრძანებული და რომელიც, კოლოფონებში 'ალასტნის ჭალთას' სახელით არის მოხსენიებული.

თედო ჟორდანიას ზემოთ მოტანილი მოსაზრების თანახმად, ამ სავანეში 'ლორეს უბანში შემავალი ალასტნის პროვინციის ჭალთა წმ. გიორგის ეკლესია' იგულისხმება. ჩვენ მკვლევრის ამ დაკვირვებას სამი მიზეზის გამო ვერ გავიზიარებთ:

1. 'ალასტნის პროვინცია' არც ისტორიულ და არც თანამედროვე საქართველოში ცნობილი არ არის. არსებობს მხოლოდ სოფელი ალასტანი, რომელიც, თავის მხრივ, ჯავახეთის პროვინციაში, უფრო ზუსტად კი, ისტორიულ ზემო ჯავახეთში მდებარეობს (ამის შესახებ ვრცლად იხ.: ქვემოთ);

2. სოფელი ალასტანი თედო ჟორდანიას 1902 წლის აღწერილობის გამოქვეყნების დროს 'ლორეს უბანში', უფრო ზუსტად კი, ბორჩალოს მაზრის ლორეს უბანში არ შედიოდა და ის მკვლევრის მოსაზრების საპირისპიროდ, ახალქალაქის მაზრის ბარალეთის უბნის ტერიტორიაზე მდებარეობდა (მუსხელიშვილი 2003: 69, 87);

დაბოლოს,

3. 'ალასტნის ჭალთას' სახელით ცნობილი სავანე არა ეკლესია ანუ სამრევლო ტაძარი, არამედ მონასტერი იყო. ვინაიდან ამ ბოლო საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი შემდგომი მსჯელობისათვის, საგანგებოდ შევჩერდებით მასზე.

A-613-ის ანდერძებს შორის ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ორი კოლოფონი, რომლებიც ვინმე ამბროსეს (//ამბროსის) სავედრებლებს წარმოადგენს:

I.30. ოჳფალო ღმერთო, ადიდე სულითა მამაჲ ამბროსი.

I.31. ქრისტე, ღმერთო, შეიწყალე სული ამბროსესი.

ამ ანდერძებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს I.30 კოლოფონი, რომლის ტექსტშიც ამბროსე, სახელის გარდა, 'მამის' წოდებითაც არის მოხსენიებული: 'მამაჲ ამბროსი.

A-613-ის I.30 ანდერძში დადასტურებული ტერმინი (//წოდება) 'მამა' (//'მამაჲ'), როგორც ტერმინ (// წოდება) 'მამასახლისის' შემოკლებული ფორმა, შუა საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში საკმაოდ ხშირად გვხვდება და თითქმის ყოველთვის მონასტრის წინამძღვრის ანუ იღუმენის მნიშვნელობით იხმარება. აქედან გამომდინარე, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ A-613-ის I.30 კოლოფონში 'მამის' წოდებით მოხსენიებული ამბროსე აგრეთვე მონასტრის წინამძღვარი იყო. ამავდროულად, A-613-ის I.12 ანდერძიდან ჩვენ უკვე ვიცით, რომ ხელნაწერი საგანგებოდ 'ალასტნის ჭალთა მთავარმოწამე გიორგისათვის' იყო გადაწერილი. შესაბამისად, სრულებით ცხადი ხდება ისიც, რომ ამ ხელნაწერის ანდერძში 'მამის' წოდებით მოხსენიებული ამბროსე სწორედ „ალასტნის ჭალთას" სახელით ცნობილი სავანის წინამძღვარი იყო, თავად ეს სავანე კი არა სამრევლო ეკლესიას, არამედ მონასტერს წარმოადგენდა.

სხვათა შორის, აღნიშნული დასკვნის სასარგებლოდ, ზემოთქმულის გარდა, კიდევ ერთი ირიბი არგუმენტი მეტყველებს. I.30 კოლოფონი, სადაც ამბროსე მამის წოდებით არის მოხსენიებული, ხელნაწერის ყველაზე წარმოსაჩენ ადგილას, A-613//H-5226-ის უმთავრესი დეკორატიული ელემენტის, ორნამენტირებული თავსართის ქვემოთ დაშვებულ მკლავებს შორისაა შესრულებული და წიგნის უბრალო გადაფურცვლის დროსაც კი პირველ რიგში იპყრობს მნახველის ყურადღებას (სურ. 7).

ჩვენი დაკვირვებით, იმ ფაქტს, რომ A-613-ის ყველაზე წარმოსაჩენ ადგილას არა ხელნაწერის მომგებელის, აბრაჰამის, არამედ მის გადაწერასთან რაიმე პირდაპირი კავშირის არმქონე პირის, ამბროსეს სავედრებელი კოლოფონია შესრულებული, მხოლოდ ერთი ლოგიკური ახსნა შეიძლება ჰქონდეს: როგორც ჩანს, ამბროსე ალასტნის ჭალთა მონასტრის ორგანიზაციულ იერარქიაში ყველაზე უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი პირი ანუ წინამძღვარი იყო და მეტაფრასის გადამწერიც სწორედ ამის გამო მიაგებდა უპირატეს პატივს მას და არა აბრაჰამს, რომელიც არა მხოლოდ ხელნაწერის მომგებელი იყო, არამედ ალასტნის ჭალთა მონასტერში დეკანოზის სახელოსაც ფლობდა და შესაბამისად, მონასტრის ორგანიზაციულ იერარქიაში, წინამძღვრის შემდეგ, მეორე საფეხური ეკავა (ამის შესახებ ვრცლად იხ.: ქვემოთ).

მაშასადამე, დგინდება, რომ A-613//H-5226-ის ანდერძებში მოხსენიებულ „ალასტნის ჭალთა“ სავანეში იგულისხმება არა ‘ლორეს უბანში შემავალი ალასტნის პროვინციის ჭალთა წმ. გიორგის ეკლესია’, როგორც თედო ჟორდანია ფიქრობდა ამას, არამედ ჯავახეთის პროვინციის ერთ-ერთი კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტის, სოფელ ალასტნის მიმდებარე ჭალებში აგებული მონასტერი, რომელიც, იქ დაბრძანებული წმ. გიორგის თავი ხატის მიხედვით, ალასტნის ჭალთა (/ჭალების) წმ.გიორგის მონასტრის სახელით იყო ცნობილი.

მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გავარკვიეთ A-613//H-5226-ის ანდერძებში მოხსენიებული ‘ალასტნის ჭალთა მთავარმოწამე გიორგის“, „ალასტნის ჭალთა მთავარმოწამე თეოდორესა’ და ‘ალასტნის ჭალთა’ სავანის რაობა, შეგვიძლია, საბოლოოდ მოვუბრუნდეთ A-613//H-5226-ის გადაწერის ადგილთან დაკავშირებულ საკითხს.

ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ A-613//H-5226-ის ანდერძებში მხოლოდ ალასტნის ჭალთა წმ. გიორგის მონასტრის მოწესეები: წინამძღვარი ამბროსე და დეკანოზი აბრაჰამი არიან მოხსენიებული. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ ერთხელ მაინც არ იხსენიებიან ხელნაწერის მრავალრიცხოვან კოლოფონებში იმ სხვა, სავარაუდო მონასტრისა თუ ეკლესიის მთავარი ხატები და „თავადი“ სამღვდელო პირები, სადაც A-613//H-5226 იყო გადაწერილი? ხელნაწერის გადამწერს, როგორც იმ სხვა, სავარაუდო სამონასტრო ძმობისა თუ სამრევლო-საეკლესიო დასის წევრს, განსაკუთრებული მოწიწება და კრძალულობა ხომ სწორედ საკუთარი სავანის უპირველესი ხატებისა და ამავე სავანის წინამდგომთა მიმართ უნდა ჰქონოდა? ჩვენი დაკვირვებით, ამ კითხვებს მხოლოდ ერთი ლოგიკური პასუხი შეიძლება ჰქონდეს: როგორც ჩანს, A-613//H-5226 არა რომელიმე სხვა სავანეში, არამედ იმავე ალასტნის ჭალთა წმ. გიორგის მონასტერში იყო გადაწერილი და იმ სხვა, სავარაუდო მონასტრისა თუ ეკლესიის მთავარი ხატებისა და „თავადი“ სამღვდელო პირების მოხსენიებაც სწორედ ამ მიზეზის გამო არ გვხვდება ხელნაწერის კოლოფონებში.

ზუსტად ამავე დასკვნისაკენ გვიბიძგებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. A-613//H-5226 დემეტრე ბიძინაშვილის მიერ არის გადაწერილი, ეს უკანასკნელი კი ალასტნის მონასტრის დეკანოზის აბრაჰამ ბიძინაშვილის ვაჟი იყო (ამის შესახებ ვრცლად იხ.: ზემოთ). შესაბამისად, ლოგიკური იქნება, ვიფიქროთ ისიც, რომ დემეტრე მამასთან ერთად მოღვაწეობდა ალასტნის ჭალთა წმ.გიორგის მონასტერში და ხელნაწერიც სწორედ იქ ჰქონდა გადაწერილი.

ამრიგად, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუკი საბოლოო სახით შევაჯამებთ ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობას და დავასკვნით, რომ საგანგებოდ ალასტნის ჭალთა წმ. გიორგის მონასტრისათვის განკუთვნილი A-613//H-5226 ამავე ალასტნის ჭალთა მონასტერში იყო გადაწერილი.

თუ ჩვენს მიერ მიღებული საბოლოო დასკვნა სწორია და A-613//H-5226 ნამდვილად ალასტნის ჭალთა წმ. გიორგის მონასტერში, საგანგებოდ ამ მონასტრისათვის იყო გადაწერილი, მაშინ აუცილებელია, ჯეროვანი სისრულით განვიხილოთ თავად სოფელ ალასტანსა და მის სანახებში მდებარე ჭალთა წმ. გიორგის მონასტერთან დაკავშირებული რამდენიმე ძირითადი საკითხი.

სოფელი ალასტანი მდებარეობს ისტორიული ზემო ჯავახეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ზვარეთის მხარეში (მიკრორაიონში), ამჟამინდელ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან (ქ. ახალქალაქიდან) 22-23 კმ-ის დაშორებით, მდინარე ფარავნის (ახალქალაქის მტკვრის, ჯავახეთის მტკვრის) მარჯვენა შენაკადის, მდინარე ჭობარეთის (ჭობარეთისწყლის, გოკიისწყლის) შუა წელზე, მის ორსავე ნაპირზე. ალასტანი რამდენიმე ძველი და მნიშვნელოვანი გზის გადაკვეთზე მდებარეობდა. აქედან, დღესაც იოლად შეიძლება მოხვედრა ისტორიულ სამცხეში (ალასტანი-მინაძე-ჭაჭარაქი-ახალციხე), თორში (ალასტანი-გოკია-აზავრეთი-ბურნაშეთი-ბაკურიანი), თრიალეთსა (ალასტანი-გოკია-აზავრეთი-ბურნაშეთი-ბალანთა-ტაბაწყური-საპიტიახშო-წალკა) და ზემო ჯავახეთის ცენტრალურ რაიონებში (ალასტანი-ვარევანი-ხანდო-კორხი-ახალქალაქი; ალასტანი-კოთელია-არაგვა-ახალქალაქი) (შდრ.: ბერძენიშვილი 1966: 97-100; ბერძენიშვილი 1975ა: 112-113, სქ. #2, #3; ბერძენიშვილი 1985: 99-100, სქ. #6, #7, #8).

სოფელ ალასტნის ისტორია და მისი სიძველეები ქართული სამეცნიერო წრეებისათვის კარგად არის ცნობილი. დღეისათვის ალასტანთან დაკავშირებული საკითხები სხვადასხვა

კუთხითა და სისრულით არის შესწავლილი XIX-XXI საუკუნეების ავტორების: ვასილი პერევალენკოს, მარი ბროსეს (*ბართოლომეი და სხვები* 1854: 342), ივანე როსტომაშვილის (როსტომაშვილი 1898: 30-31), ზაქარია ჭიჭინაძის (ჭიჭინაძე 1905: 61-62), ექვთიმე თაყაიშვილის (თაყაიშვილი 1913: 55, 65-67; თაყაიშვილი 1915: 87), სარგის კაკაბაძის (კაკაბაძე 1914ა: 137-140; კაკაბაძე 1914ბ: 12-23; კაკაბაძე 1924: 138-148), ივანე ჯავახიშვილის (ჯავახიშვილი 1966: 125-127), ნიკო ბერძენიშვილის (ბერძენიშვილი 1964: 146-148, 157-158; ბერძენიშვილი 1965ა: 133-134; ბერძენიშვილი 1965ბ: 145), სერგი ჯიქიას (ჯიქია 1941: 14, 196-197, 203; ჯიქია 1958: 274-275, 282), ვასილ ცისკარიშვილის (ცისკარიშვილი 1959: 92-93, 104-105, 123), ალექსანდრე გამყრელიძის (გამყრელიძე 1960: 41, 83), ელენე მეტრეველის (მეტრეველი 1962: 80, 91-92, 95, 98, 115-116, 92, 105, 121, 152, 155, 157, 161, 163-164, 174-175), პავლე ინგოროყვას (ინგოროყვა 1963: 704, 773), ჯუმბერ ოდიშელის (ოდიშელი 1964: 88-92), ნოდარ შოშიაშვილის (შოშიაშვილი 1966: 56-57), დევი ბერძენიშვილის (ბერძენიშვილი 1975ა: 112-113, 117, 120, 126-127, სქ. #2, #3; ბერძენიშვილი 1975ბ: 267; ბერძენიშვილი 1979: 51-52; ბერძენიშვილი 1985: 99-100, 104, 109, 113-116, 123, სქ. #6, #7, #8, #9), ვალერი სილოგავას (სილოგავა 1980: 171-173), ედიშერ ხოშტარია-ბროსეს (ხოშტარია 1980: 148), საურმაგ კაკაბაძის (კაკაბაძე 1982: 86-90), გონელი არახამიას (არახამია 1983: 133-137), დავით ნინიძის (ნინიძე 1987ა: 25-47; ნინიძე 1987ბ: 25-26; ნინიძე, სანაძე 1990: 112-128; ნინიძე 1993: 175-182; ნინიძე 1995: 46-91; ნინიძე 1997: 90-91; ნინიძე 2004: 57-80), ვაჟა კიკნაძის (კიკნაძე 1989: 41, 111-113, 122-124, 128), იური სიხარულიძის (სიხარულიძე 1997: 91), ირინე ელიზბარაშვილის, ნიკოლოზ ვაჩეიშვილის, ციცინო ჩაჩხუნაშვილის (თუმანიშვილი *და სხვები* 2000: 70-71, სურ. 212-213), კობა ხარაძისა (ხარაძე 2003: 32) და სხვათა მიერ.

სოფელ ალასტნის დაარსების დრო უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ X-XI საუკუნეების მიჯნაზე აქ უკვე ნამდვილად არსებობდა დასახლება. ამაზე მიგვანიშნებს სოფლის ამჟამინდელ ცენტრში, მდინარე ჭობარეთის ნაპირას აღმართული ე. წ. „ჯავახური ტიპის“ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის დარბაზული ეკლესია[8], რომელიც, არქიტექტურული ნიშნების გათვალისწინებით, X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისშია აგებული (თუმანიშვილი *და სხვები* 2000: 70-71).[9] ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ორი ნუსხური წარწერაა შემორჩენილი, სადაც ეკლესიის მშენებლობისას ქვის შემომწირველთა სახელებია მოხსენიებული: 1. *ესე მე, ნოწელმან / დავდე / ქვაჲ* და 2. *ესე მე, დ(ა)ჩ(ი)მ დ(ავ)ს(უ)ი საოლისძემ(ა)ნ* (სილოგავა 1980: 171-173) .[10]

XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ალასტანი საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრის გიორგი-ლაშას, შემდგომში მეფე გიორგი IV-ის (1213 (1207, 1210) _ 1223 წწ.) საუფლისწულო მამულის ცენტრად და რეზიდენციად გადაიქცა. ამ მიზეზის გამო გიორგი-ლაშა ალასტანელად არის მოხსენიებული XVIII-XIX საუკუნეების ორ ქართულ წერილობით ძეგლში, რომლებსაც, ამ ნაწილში, უეჭველად საერთო პირველწყარო ჰქონდათ: 1. XIV საუკუნის ანონიმი ჟამთააღმწერლის *ასწლოვანი მატიანის* ის ფრაგმენტი, რომელიც ‘ქართლის ცხოვრების’ მხოლოდ ფალავანდიშვილისეულ (XVII ს-ის შუახან.), ბარათაშვილისეულ (1761 წ.) და ბროსესეულ (1839 წ.) ნუსხებშია წარმოდგენილი: ‘ამა დროსა <u>ალასტანელისა</u> შვილი დავით მეფე (დავით VII ულუ (1246-1270 წწ.), ძე გიორგი-ლაშასი – თ.ჯ.) მოვიდა ყაენს წინაშე მეფობისა გამოსათხოვრად (ყაუხჩიშვილი 1959: 207); და 2. ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერ კრებულში (1793 წ-ის შემდგ. ხანებ.) ჩართული *მოკლე* ცნობები საქართველოს ისტორიიდან: ‘ამ დროს <u>ალასტნელისა</u> შვილი დ(ავი)თ მეფე მივიდა ყაენს წ(ინაშ)ე მეფობისა გამოსათხოვნად’ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.ჯ.) (თაყაიშვილი 1913: 65). [11]

ავგაროზ ბანდაისძის მიერ შედგენილი *ძეგლი ერისთავთას* (1348-1400 წწ.) მიხედვით, XIV საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ვახტანგ III-მ (1298, 1302-1308 წწ.) მონღოლების წინააღმდეგ ამბოხებული უფროსი ძმა, მეფე დავით VIII (1293-1311 წწ.) დარიალის ხეობიდან გამოიყვანა და ‘საჭმელ’-სადგომად’ ჯავახეთი და ალასტანი გადასცა: ‘მაშინ მისცა ვახტანგ დავითს ჯავახეთი და <u>ალასტანი</u> და გამოიყვანა გუელეთით’ (მესხია 1954: 348) .[12]

ამის შემდეგ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ალასტანი დავით VIII-ის ჩამომავალი ბაგრატიონების, ე. წ. ‘პროვინციის მეფეების’ რეზიდენციას წარმოადგენდა, რის გამოც ისინი XIV-XV საუკუნეების ზოგიერთ ქართულ წერილობით ძეგლში ალასტანელებად იხსენიებიან:

1. სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანის ერთ-ერთი მოსახსენებელი (XV ს-ის I ათწლ.): 'ს(უ)ლსა მეფისა ალასტ(ა)ნელისა[13] გ(იორგ)ი დიდისა და მ(ა)თთა ბეთა გ(ა)ნ(უ)სუბნოს და შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა)ნ (კლდიაშვილი 2008: 162);

2. საქართველოს მეფის ალექსანდრე I-ის (1412-1442 წწ.) I-ის წყალობის წიგნი მცხეთის სვეტიცხოვლისადმი (1435 წ.):

..ჩუენისა სულისა მოძღუარმან და მეოხმან კათალიკოზმან თეოდორე... ამა ლორისა ციხისა შოვნასა შიგან და მისთა... [შეს]ავალთა შოვნასა შიგან დიდადა და უსაზომოდ მოიჭირვეს, პირველად ვედრებითა ღმრთისათა და კუალად ლაშქართა მიმცნებითა ესრეთ, ვითარმედ: 'ამა უსჯულოთა ა[გარის] ნათესავთა ანდრონიკეს შვილი ალასტანელი გიორგი მოუკლავს, და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან... (დოლიძე 1965: 123).

XVI საუკუნის შუახანებში სოფელი ალასტანი მცხეთის საკათოლიკოსო საყდარს ეკუთვნოდა და ის საკათოლიკოსო მამულების ჩამონათვალში, უფრო ზუსტად კი, ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათოლიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში (1559 წ.) იყო შეტანილი: 'ზვარეთს: სოფელი გოგია, სოფელი ალასტანი, სოფელი ზემო-გომი და გაღმა დიეში, *სოფელი ბნელა*' (დოლიძე 1970: 178).[14]

XVI საუკუნის მიწურულისათვის ზემო ჯავახეთში ალასტნის სახელით უკვე ორი დამოუკიდებელი სოფელი არსებობდა: ზემო და ქვემო ალასტანი.[15] ამ სოფლების მოსახლეობისა და მათი სამეურნეო ყოფის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ოსმალეთის იმპერიის მიერ სამცხის საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ, უფრო ზუსტად კი, 1595 წელს შედგენილი *გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარი*, საიდანაც ვიტყობთ, რომ ამ დროს ორივე სოფელი ახალციხის ლივის ტყიანი-ჯავახეთის ნაჰიეში (რაიონში) შედიოდა. აქედან, ზემო ალასტანში სულ 15 კომლი ცხოვრობდა, რომელიც სახელმწიფოს, ყოველწლიური გამოსაღების სახით, 10 500 ახჩას (ოსმალური ვერცხლის ფულის ერთეული) უხდიდა, ხოლო ქვემო ალასტანში – 7 კომლი, რომელსაც ცოტა უფრო დიდი გადასახადი, 10 999 ახჩა ჰქონდა შეწერილი:

' 11. ტყიანი-ჯავახეთის რაიონი ხერთვისის ლივაში
14. სოფ. ალასთანი, ზემო[.] ჯამი 10 500...
28. სოფ. ალასთანი, ქვემო[.] ჯამი 10 999...
14. სოფელი ზემო-ალასთანი (ექვემდ. ზემოხსენ. [რ-ნს])
... ბადუჩასძე
ქიტია ძმა მისი
ვარძელ ...-სძე
გოგინა გოგიჩასძე
...-ს შვილიშვილი
არზუმან ბულღადარისძე
პაპა ძმა მისი
ივანე არზუმანისძე
ყუბად მურვანისძე
გაბრიელის შვილიშვილი
... ყუბადის ძმა
გულია კირაკოსისძე
პაპუნა ძმა მისი
იასონ ბეჟანისძე
მახნია ვარძელისძე

ჯამი 10 500

ისფენჯი, 15 კაცი – 375
ხორბალი – ქილა 500, ღირებ. 5 000
ქერი – ქილა 400, ღირებ. 3 200
ჭვავი – ქილა 25, ღირებ. 200
სელის თეს. – ქილა 10, ღირებ. 80

გამოსაღები იონჯასა და თივაზე 145
გამოსაღ. ფუტკარზე 200
გამოსაღ. ცხვარზე 300
გამოსაღ. ღორზე 200
გამოსაღ. თაფუზე და დეშთიბანი 200
გამოსაღ. მურახხასიჲე 30
გამოსაღ. იალაღზე 100
გამოსაღ. იათაღზე 70
ბადჰავა და საქორწინო გამოსაღ. 370
წისქვილი 1 თვალი 6 თვით 30...

28. სოფელი ქვემო-ალასთანი (ექვემდ. ზემოხსენ. [რ-ნს])

ცხადა თოდო(?)სძე
როსაფა ძმა მისი
იმარინდო ...-სძე
პაპა ძმა მისი
საბაგულ მოძღვარ(?)ისძე
პეტრე ძმა მისი
ივანე ცხადა ძმა

ჯამი 10 999

ისფენჯი, 7 კაცი _ 175
ხორბალი – ქილა 420, ღირებ. 4 200
ქერი – ქილა 500, ღირებ. 4 000
ჭვავი – ქილა 25, ღირებ. 200
სელის თეს. – ქილა 10, ღირებ. 80
გამოსაღები იონჯასა და თივაზე 245
გამოსაღ. ცხვარზე 350
გამოსაღ. ფუტკარზე 299
გამოსაღ. ბოსტანზე 250
გამოსაღ. ღორზე 150
გამოსაღ. თაფუზე და დეშთიბანი 350
გამოსაღ. მურახხასიჲე 14
გამოსაღ. იალაღზე 136
გამოსაღ. იათაღზე 100
ბადჰავა და საქორწინო გამოსაღ. 450“ (ჯიქია 1941: 14, 196-197, 203).

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის ციტირებულ ცნობებს კიდევ უფრო ავსებს 1589-1590 წლებში შედგენილი „ჩილდირის ვილაიეთის მოკლე (იჯმალ) დავთარი“, საიდანაც ვიგებთ, რომ ამავე 1589-1590 წლებში ზემო ალასტანი და კიდევ ერთი სხვა სოფელი ვინმე კაიკ სერასქერს თიმარის წესით ჰქონდა გადაცემული[16]. რაც შეეხება ქვემო ალასტანს, მას 1592-1600 წლებში, ორ სხვა სოფელთან ერთად, ვინმე აჰმედი ზიამეთის წესით ფლობდა, ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ, 1600 წელს კი ამ ზიამეთის თითქმის მთელი გამოსავალი (20 000 ახჩა) მის ვაჟს ალიხანს გადაეცა:

აჰმედის ზიამეთი

სოფელი არდალა, ექვემდებარება ტყიან ჯავახეთს, ჯამი 13 000.
სოფელი ქვედა ალისბანი (ქვემო ალასტანი – თ.ჯ.), ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 10 999[17].
სოფელი ურჯუნიე, ექვემდებარება ხსენებულს. ჯამი 13 297, წილი 8 000.
ჯამი 21 999[18].

ხსენებული ზიამეთი აღნიშნული ბერათით იქნა წარდგენილი. იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა ჯემაზი ულ ეველს, წელი 1000 (1592 წლის 15 მარტი – 12 აპრილი).

ხსენებული გარდაიცვალა. ზიამეთის 20 000 ახჩა უფლების მქონე შვილს ალიხანს ებოძა. პატიოსანი ბერათი გაიგზავნა. იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა რები ულ ახირს, წელი 1009 (1600 წლის 10 ოქტომბერი – 7 ნოემბერი)...

ტყიანი ჯავახეთის ნაჰიე ხერთვისის ლივაში
თიმარი კაიკ სერასქერისა ხსენებულ ლივაში
სოფელი ვარადანი, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 8 000.
სოფელი ზემო ალისბანი (ზემო ალასტანი – თ.ჯ.), ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 10 500.
ჯამი 18 500 (მახარაძე, შენგელია 2008: 103, 112-113).

XIX-XX საუკუნეების ქართველი სიძველეთმცოდნის, ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, XVII საუკუნეში ამჟამინდელი სოფელ ალასტნის ქართული მოსახლეობა მთლიანად კათოლიკური კონფესიის მიმდევარი იყო და ღმრთისმსახურებას X-XI საუკუნეების ღმრთისმშობლის დარბაზულ ეკლესიაში აღასრულებდა:

> ძველად აქ (სოფელ ალასტანში – თ.ჯ.) ქართველ გვარის კათოლიკენი სცხოვრობდნენ, შემდეგ-შემდეგ შემცირდნენ... დაშთა... მათი ძველი ეკლესია (ღმრთისმშობლის ტაძარი – თ.ჯ.), რომელ ეკლესიაც ქართველ გვარის კათოლიკეთ XVII საუკუნის ნახევარს აუგიათ... იმასაც უწყიან აქაური ძველი კაცები, რომ ეს ძველი ეკლესია სულ ძველად მართლ-მადიდებელთ ქართველთ ყოფილა, შემდეგ კათოლიკებს დაუჭერიათ, რადგანაც ქართველთა კათოლიკობა მიუღიათო (ჭიჭინაძე 1905: 61-62).

მართალია, ზაქრია ჭიჭინაძის ცნობით, ღმრთისმშობლის ეკლესია ალასტნელი კათოლიკე ქართველების მიერ XVII საუკუნის შუახანებში იყო აგებული, მაგრამ აქ ავტორი აშკარად ცდება: ტაძარი, არქიტექტურული ნიშნების მიხედვით, გაცილებით უფრო ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება (ამის შესახებ იხ.: ზემოთ) და მისი XVII საუკუნის შუახანებით დათარიღება შეუძლებელია. მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, რომ ზაქარია ჭიჭინაძის მონათხრობი კონკრეტული ისტორიული ფაქტის არაზუსტ ინტერპრეტაციას წარმოადგენდეს და ამ ცნობის ქვეშ, რეალურად, არა ტაძრის აგება, არამედ მისი შეკეთება-განახლება იგულისხმობდეს. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში აგებული ღმრთისმშობლის ეკლესია XVII საუკუნის შუახანებში ალასტნელი კათოლიკე ქართველების მიერ იყო შეკეთებულ-განახლებული.

XVIII საუკუნის I მეოთხედში ზემო და ქვემო ალასტნიდან მხოლოდ ერთი, სავარაუდოდ, ამჟამინდელი სოფელი ალასტანიღა არსებობდა. ეს, ჯერ კიდევ მოქმედი სოფელი ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ 1735 და 1745 წლების ქართულენოვან ატლასებსა და ამავე პერიოდის რუსულენოვან რუკაზე დაბის აღმნიშვნელი ნიშნით, მდინარე გოკიისწყლის, დაახლოებით, შუა წელზე, მცირე ქალაქ გოკიასა და დაბა ხანდოს შორისაა დატანილი (ვახუშტი ბაგრატიონი 1997: 6-7, 46-47, 66-67 შდრ.: ყაუხჩიშვილი 1973: 669) .[19]

XIX საუკუნეში სოფელი ალასტანი ქართული მოსახლეობისაგან თითქმის მთლიანად დაიცალა, მათ ნაცვლად კი, აქ ოსმალეთის იმპერიის არზრუმის მხარიდან გადმოსახლებული კათოლიკე სომხების რამდენიმე ოჯახი დამკვიდრდა. ეს მოვლენა და სოფელ ალასტნის XIX საუკუნის ისტორიის სხვა მნიშვნელოვანი ამბები ზაქარია ჭიჭინაძეს შემდეგი სახით აქვს მოთხრობილი: სოფელ ალასტანში 'ძველად... ქართველ გვარის კათოლიკენი სცხოვრობდნენ, შემდეგ-შემდეგ შემცირდნენ, ზოგნი შუა-გულ ოსმალეთში გადასახლდნენ, ზოგნი სოფელ ხიზაბავრას და სხვაგან. საქმე ისე მოეწყო, რომ 1820 წლებს, აქ სულ ხუთი კომლი-ღა დაშთა ქართველ გვარის კათოლიკენი... 1829 წ. აქ არზრუმიდან გადმოსახლდნენ რამდენიმე კომლი სომეხთ გვარის კათოლიკეთა, ამათ ჩაბარდათ ყველა ის მამულები, რაც-კი ქართველ მაჰმადიანებმა დასტოვეს და თვით ოსმალეთში გადასახლდნენ. 1829 წ. ამ სოფელში სომეხთ კათოლიკებმა იწყეს წინსვლა, ქართველთ კათოლიკეთ ძველი ეკლესია შეაკეთეს და აქ მომართეს ლოცვა, ამ დღიდან ალსტანში დამკვიდრდა სომხური ენა. უკანასკნელ იქ მცხოვრებთ ქართველ გვარის კათოლიკენიც მოისპნენ, ზოგნი გადავარდნენ, სომეხთ სიმრავლისაგან დღეს აქ ქართველ კათოლიკეთა გვარის ხსენება აღარ არის, ქართული ენაც მოისპო. მარტოდ ქართველთ კათოლიკეთ ძველი ეკლესია (X-XI სს-ის ქართული ტაძარი – თ.ჯ.) დაშთა, რომელიც 1858 წლის შემდეგ გაუქმებულ იქმნა, ახალ ეკლესიის (ღმრთისმშობლის

სახელობის სომხური უგუმბათო ტაძრის – თ.ჯ.) კეთების დროს მისი დაქცევაც განიძრახეს, მასალად გამოგვადგებაო, ხოლო ამის ნება ვერ აიღეს, იგი ხელ შეუხებელად დაშთა, დღევანდლამდე იგი მთლათა სდგას, ალასტანის ახალ ეკკლესიის გვერდით' (ჯიჯინაძე 1905: 61).

ამით ვასრულებთ სოფელ ალასტნისა და მისი სიძველეების ხანგრძლივი ისტორიის მიმოხილვას და გადავდივართ A-613//H-5226-ის ანდერძებში მოხსენიებული ალასტნის ჭალთა წმ.გიორგის მონასტრის ადგილმდებარეობის დადგენასთან დაკავშირებულ საკითხზე.

სოფელ ალასტნისა და მისი სიძველეების ისტორიაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ დღეისათვის სოფლის ტერიტორიაზე უჩვეულოდ ცოტა, სულ ორად ორი არქიტექტურული ძეგლია გამოვლენილი: 1. ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ქართული ეკლესია (X-XI საუკუნეების ე.წ. `ჯავახური~ ტიპის დარბაზული ტაძარი); და 2. ღმრთისმშობლის სახელობის კიდევ ერთი, სომხური ეკლესია (XIX საუკუნის დიდი ზომის უგუმბათო ტაძარი).

სოფელ ალასტნის ტერიტორიაზე გამოვლენილი არქიტექტურული ძეგლების სიმცირე კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდება, თუკი გავიხსენებთ, რომ XIII-XIV საუკუნეებში სოფელი ალასტანი საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრისა (უფლისწულ გიორგი-ლაშას) და ბაგრატიონთა სამეფო სახლის ერთ-ერთი გვერდითი განშტოების (ე.წ. „პროვინციის მეფეების“) უპირველეს რეზიდენციას წარმოადგენდა.

როგორც ჩანს, სწორედ ალასტნის სამეფო რეზიდენციასთან არსებული არქიტექტურული ძეგლების უჩვეულო სიმწირით იყო გაკვირვებული ნიკო ბერძენიშვილი, რომელიც თავის საველე დღიურში ხაზგასმით აღნიშნავდა კიდეც ამ ფაქტს: „სამწუხაროდ, სიძველეთაგან აქ ერთადერთი სანახევროდ დანგრეული ეკლესიის გარდა არა ჩანს რა... რა თქმა უნდა, ალასტანი მხოლოდ ამის ამარა არ იქნებოდა“ (ბერძენიშვილი 1964: 157).

ის ფაქტი, რომ სოფელი ალასტანი შუა საუკუნეების მხოლოდ ერთი არქიტექტურული ძეგლის 'ამარა არ იქნებოდა', ნიკო ბერძენიშვილის გარდა, სხვა ქართველი მკვლევრებისათვისაც კარგად იყო ცნობილი. ამიტომაც ალასტნის სიძველეთა გამოვლენა-შესწავლის მიზნით, სოფელსა და მის სანახებში სხვადასხვა დროს იმოგზაურეს XIX-XXI საუკუნეებში მოღვაწე მკვლევრებმა: ვასილი პერევალენკომ, ივანე როსტომაშვილმა, სერგი ჯიქიამ, დევი ბერძენიშვილმა, ვალერი სილოგავამ, ირინე ელიზბარაშვილმა, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, ციცინო ჩაჩხუნაშვილმა, კობა ხარაძემ და სხვებმა. სამწუხაროდ, ჩამოთვლილ მკვლევართა მიერ ჩატარებული მრავალმხრივი საველე-საექსპედიციო სამუშაოები, ახალი ძეგლების მოძიების თვალსაზრისით, უშედეგოდ დასრულდა და სოფელ ალასტანსა თუ მის სანახებში X-XI საუკუნეების ღმრთისმშობლის დარბაზული ეკლესიისა და მისი ხუთი ნუსხური წარწერის (ორი დაუზიანებელი და სამი გადათლილ-წარხოცილი ტექსტის) გარდა, შუა საუკუნეების რაიმე სხვა მატერიალური ნაშთის გამოვლენა ვერ მოხერხდა.

სოფელ ალასტნის ტერიტორიაზე გამოვლენილი შუა საუკუნეების მატერიალური ძეგლების სიმცირით გამოწვეულ პრობლემას კიდევ უფრო მეტად ამძიმებს ის გარემოება, რომ შუა საუკუნეების წერილობით ძეგლებში მოხსენიებული ორი სოფლიდან, ზემო და ქვემო ალასტნიდან, ერთ-ერთი სოფელი უკვალოდ არის დაკარგული. დღეისათვის ჩვენ დაზუსტებით იმის თქმაც კი არ შეგვიძლია, შუა საუკუნეების ამ ორი სოფლიდან რომელს შეესაბამება ამჟამინდელი სოფელი ალასტანი: ქვემო ალასტანს თუ ზემო ალასტანს. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ ალასტნის სახელოვან სამეფო რეზიდენციასა და მასთან დაკავშირებულ არქიტექტურულ ძეგლებს შეცდომით ვეძებდეთ ამჟამინდელი სოფელ ალასტნის ტერიტორიაზე, ეს ისტორიული ნაშთები კი, რეალურად, არა აქ, არამედ მეორე, დღეისათვის დაკარგული სოფლის სანახებში იყოს შემორჩენილი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ, ჯერჯერობით, ვერ ვიტყვით, თუ კონკრეტულად, სად მდებარეობდა A-613//H-5226-ის ანდერძებში მოხსენიებული ალასტნის ჭალთა წმ. გიორგის მონასტერი. თუმცა კი, სამეცნიერო მიმოქცევაში არსებულ მასალაზე დაყრდნობით, ამ მონასტრის ადგილმდებარეობის თაობაზე სამ სამუშაო ჰიპოთეზას ვუშვებთ:

1. ალასტნის ჭალთა წმ. გიორგის მონასტერი მდებარეობდა ამჟამინდელ სოფელ ალასტნის ცენტრში, მდინარე ჭობარეთის ნაპირას. სწორედ ამ მონასტრის ნაშთს წარმოადგენს X-XI საუკუნეების ღმრთისმშობლის დარბაზული ეკლესია.

2. ალასტნის ჭალთა წმ. გიორგის მონასტერი მდებარეობს არა ამჟამინდელი სოფელ ალასტნის ტერიტორიაზე, არამედ მის სანახებში, სოფლიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით და სამეცნიერო ლიტერატურაში სხვა სახელით არის ცნობილი (მაგ. თოკის მონასტერი) 20.

3. ალასტნის ჭალთა წმ. გიორგის მონასტერი მდებარეობდა ამჟამინდელი სოფელ ალასტნის სანახებში. მონასტრის ნაშთები ჯერჯერობით მიკვლეული არ არის და მისი გამოვლენისათვის საგანგებო საველე-საექსპედიციო სამუშაოებია ჩასატარებელი.

მიუხედავად იმისა, აქ დაშვებულ სამივე სამუშაო ჰიპოთეზას თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები გააჩნია, ჩვენ, ამ ეტაპზე, ვერც ერთი მათგანისაკენ ვერ გადავიხრებით და ამიტომ განსახილავი საკითხის თაობაზე მხოლოდ ზოგადი ხასიათის დასკვნით შემოვიფარგლებით: A-613//H-5226-ის კოლოფონებში მოხსენიებული ალასტნის ჭალთა წმ. გიორგის მონასტრის ზუსტი ადგილმდებარეობა, ჯერჯერობით, დაუდგენელია, თუმცა კი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს მონასტერი უეჭველად ზემო ჯავახეთში, ამჟამინდელი სოფელ ალასტნის ტერიტორიაზე ან სადღაც ამ სოფლის სანახებში მდებარეობდა.

3. A-613//H-5226-ის მომგებელი და გადამწერი

თედო ჟორდანიას მიერ 1902 წელს გამოქვეყნებულ A-613-ის აღწერილობის ტექნიკურ ნაწილში, სადაც, ტრადიციულად, ხელნაწერის მომგებლისა და გადამწერის ვინაობას აღნიშნავენ ხოლმე, მეტფრასის მომგებლისა და გადამწერის სახელები მითითებული არ არის. ამ ხარვეზს ერთგვარად ავსებს მკვლევრის მიერ ხელნაწერის აღწერილობაში ფრაგმენტული სახით შეტანილი სამი კოლოფონი (I.9, I.12 და I.20), სადაც A-613-ის მომგებელიცა და გადამწერიც პირდაპირ არიან დასახელებული: 'ალასტნის ჭალთა მთავარმოწამის გიორგის დეკანოზი აბრაამ' (მომგებელი) და 'მისი შვილი, ამა წიგნისა მწერალი დიმიტრი' (გადამწერი) (ჟორდანია 1902: 110-112).

განსხვავებულ სურათს ვაწყდებით თამარ ბრეგაძის პუბლიკაციაში, სადაც აღნიშნულია, რომ H-5226 აბრაჰამის მიერაა გადაწერილი (ბრეგაძე და *სხვები* 1973: 172). მიუხედავად იმისა, რომ თამარ ბრეგაძის ამ დასკვნას თავისი ლოგიკური წანამძღვრები ჰქონდა (აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას მკვლევარი მხოლოდ H-5226-ის ანდერძებს ემყარებოდა, ამ ტექსტებში კი მხოლოდ ერთი პირი, აბრაჰამია მოხსენიებული), ჩვენ უპირატესობას, ცალსახად, თედო ჟორდანიას მოსაზრებას ვაძლევთ.

ამ მხრივ, ყოველგვარ ეჭვს გამორიცხავს A-613-ის მრავალრიცხოვანი კოლოფონები, სადაც არაერთგზის არის აღნიშნული, რომ აბრაჰამი მხოლოდ წიგნის 'საფასის' გამომღები და მომგებელი ('მომგები') იყო, ხელნაწერი კი მისი ვაჟის, დიმიტრის მიერ იყო გადაწერილი:

> I.3. წმიდაო გიორგი და თეოდორე, მეოხ ეყვენით წინაშე საყდარსა ქრისტესა... ამა წიგნისა მწერალსა დიმიტრის
>
> I.9. აბრაჰამს... და მისსა შვილსა, ამა წიგნისა მწერალსა დიმიტრის... შეუნდვნეს ღმერთმან.
>
> I.12. წმიდაო გიორგი ჭალთა მთავარმოწამეო და წმიდაო თეოდორე, მწერალი ნაცრიანი მეცა მიოხეთ, დიმიტრი... ძე აბრაჰამისი, წინაშე საყდარსა ქრისტესა;
>
> I.20. წმიდაო მარიამ მეგ„ჰტელო, იოხენ წინაშე ქრისტესა... ვინა და ვისგან და რომლისა მიერ და ანუ ვისითა მოჭირვებითა და რომლისა საფასითა დაიწერებიან წმიდაჲ ესე... წიგნი, აბრაჰამს ვიტყ„ჯ... მეცა მიოხე წმიდაო მარიამ, ნაცრიანი მწერალი, ძე აბრაჰამისა... დიმიტრი.
>
> I.26. აბრაჰამს შეუნდვნეს ღმერთმან... ამა წიგნისა მომგებსა.
>
> I.28. „წმიდაო გიორგი და წმიდაო თეოდორე, ჭალთა მთავარმოწამენო, იოხეთ... აბრაჰამ... წინაშე საყდარსა ქრისტესა და ძე მისი, ამა წიგნისა ნაცრიანი მწერალი დიმიტრი

A-613-ის კოლოფონების მიხედვით, აბრაჰამი, შესაბამისად კი, მისი ვაჟი დემეტრეც, გვარად ბიძანაშვილები იყვნენ:

I.3. მეორედ მოსლვაო ქრისტესო, აბრაჰამ ბიძანაშვილსა... ნუ დასჯი დღესა მას სასჯელისასა.
I.9. აბრაჰამს ბიძანაშვილსა... შეუნდვნეს ღმერთმან.
I.12. ყოვლისა სოფლისა წამებულნო წმიდანო მოწამენო და წმიდაო... ეფრემ... იოხეთ... წინაშე ქრისტესა, აბრაჰამ ბიძანაშვილი.
I.14. ქრისტე... შეიწყალე სულითა ბიძანაშვილი აბრაჰამ.
I.15. წმიდაო იოანე ოქროპირო... აბრაჰამ ბიძანაშვილი იოხე წინაშე საყდარსა ქრისტესა.
I.17. სულსა აბრაჰამ ბიძანაშვილისასა შეუნდვნეს ღმერთმან.
I.18. ბიძანაშვილსა აბრაჰამს... შეუნდვნეს ღმერთმან, ამინ.
I.21. წმიდაო გიორგი და წმიდაო თეოდორე ალასტნისაო... მეოხ ეყვენით დღესა მას განკითხვისასა აბრაჰამს... ბიძანაშვილსა.
I.26. ბიძანაშვილსა აბრაჰამს შეუნდვნეს ღმერთმან.
I.28. წმიდაო გიორგი და წმიდაო თეოდორე, ჭალთა მთავარმოწამენო, იოხეთ... ბიძანაშვილი აბრაჰამ... წინაშე საყდარსა ქრისტესა.[21]

ბიძანაშვილის გვარი დღეისათვის აღარ არსებობს (სილაგაძე, თოთაძე 1997). ის, როგორც ჩანს, გადაშენდა. ჩვენ ამ ძველი ქართული გვარის მოხსენიების სხვა შემთხვევას, ჯერჯერობით, ვერსად მივაკვლიეთ. შესაბამისად, A-613-ის ანდერძები დღემდე მოღწეული წერილობითი ძეგლების იმ ერთადერთ ჯგუფად გვევლინება, სადაც ბიძანაშვილის XVI საუკუნის I ნახევარში ჯერ კიდევ ცოცხალი გვარის არსებობა დოკუმენტურადაა დადასტურებული[22].

აბრაჰამ ბიძანაშვილი A-613-ის ანდერძებში 'დეკანოზად', 'ალასტნელად', 'ალასტნის დეკანოზად' (//ალასტნის შავ-დეკანოზად), ალასტნის ჭალთა მთავარმოწამის გიორგის დეკანოზად და ქრისტეს მხედრების, გიორგისა და თეოდორეს დეკანოზად' არის მოხსენიებული:

I.1. აბრაჰამს, დეკანოზსა, შეუნდვნეს.
I.9. აბრაჰამს ბიძანაშვილსა, ალასტნელსა... შეუნდვნეს ღმერთმან.
I.11. აბრაჰამ დეკანოზსა ალასტნისასა... შეუნდვნეს ღმერთმან.
I.12. ყოვლისა სოფლისა წამებულნო წმიდანო მოწამენო და წმიდაო... ეფრემ... ერთჴმად იოხეთ... წინაშე ქრისტესა... აბრაჰამ ბიძანაშვილი, დეკანოზი ალასტნის ჭალთა მთავარმოწამისა გიორგისი.
I.18. ბიძანაშვილსა აბრაჰამს, ალასტნისა დეკანოზსა... შეუნდვნეს ღმერთმან.
I.20. წმიდაო მარიამ მეგჳპტელო, იოხენ წინაშე ქრისტესა... ვისითა მოჭირვებითა და რომლისა საფასითა დაიწერებიან წმიდაი ესე... წიგნი, აბრაჰამს ვიტყჳ... შავ-დეკანოზსა ალასტნისასა.
I.21. წმიდაო გიორგი და წმიდაო თეოდორე ალასტნისაო... მეოხ ეყვენით... აბრაჰამს, დეკანოზსა, ბიძანაშვილსა.
I.23. ალასტნისა დეკანოზსა აბრაჰამს... შეუნდვნეს ღმერთმან.
I.25. ღმერთო და წმიდანო ორმეოცნო და წმიდაო ეფრემ და ქრისტეს მჴედარნო გიორგი და თეოდორე, შეიწყალეთ... აბრაჰამ, თქუენი დეკანოზი.

ტერმინი 'დეკანოზი' (ბერძნ. 'პროტოპრესვიტერი') შუა საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში საკმაოდ ხშირად გვხვდება და ეკლესიის მთავარ მღვდელს (ეკლესიარქს) აღნიშნავს. დეკანოზი ქართულ მონასტრებში 'მღდელმონაზონთა და მგალობელთა უფროსი' იყო. ის სამონასტრო იერარქიაში, წინამძღვრის შემდეგ, მეორე საფეხურზე იდგა და ღმრთისმსახურების დროს მისი თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა (გაბიძაშვილი *და სხვები* 2007ა: 249-250).

ჩვენ უკვე გავარკვიეთ ზემოთ, რომ A-613-ის ანდერძებში 'ალასტნის ჭალთა წმ. გიორგის' სახელით მოხსენიებული სავანე არა სამრევლო ეკლესია, არამედ მონასტერი იყო. შესაბამისად, ცხადი ხდება ისიც, რომ 'ალასტნის დეკანოზად' წოდებული აბრაჰამ ბიძანაშვილი არა სოფელ ალასტნის რომელიმე სამრევლო ეკლესიის 'თავარი მღვდელი', არამედ სადღაც სოფლის სანახებში მოქმედი მონასტრის მოწესე, ადგილობრივ 'მღდელმონაზონთა და მგალობელთა უფროსი', ამავე მონასტრის იერარქიაში, წინამძღვარ ამბროსეს შემდეგ, მეორე საფეხურზე მდგომი მღვდელმონაზონი იყო.

თავად ის ფაქტი, რომ აბრაჰამ ბიძანაშვილი მონასტრის დეკანოზის სახელოს ფლობდა, უკვე თავისთავად მიგვითითებს იმაზე, რომ იგი საკმაოდ განსწავლული და წიგნიერი მღვდელმონაზონი იყო. სხვაგვარად მას ალასტნის სამონასტრო იერარქიაში დაწინაურება

ძალზედ გაუჭირდებოდა. გარდა ამისა, აბრაჰამ ბიძანაშვილის წიგნიერებისაკენ მიდრეკილებაზე აშკარად მეტყველებს თავად A-613//H-5226-იც, რომელიც სწორედ მისი 'მოჭირვებითა' და 'საფასით' იყო გადაწერილი.

აბრაჰამ ბიძანაშვილის A-613-ის ანდერძებში დადასტურებული წოდებულებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 'ალასტნელი': I.9. 'აბრაჰამს ბიძანაშვილსა, ალასტნელსა... შეუნდვნეს ღმერთმან'.

ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ XIII-XV საუკუნეებში 'ალასტნელი' წმინდად საერო ხასიათის წოდება იყო და მას თავდაპირველად საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები (უფისწული გიორგი-ლაშა თამარის ძე), ხოლო მოგვიანებით ბაგრატიონთა სამეფო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენლები ('პროვინციის მეფე' გიორგი ანდრონიკეს შვილი) ატარებდნენ. A-613-ის I.9 ანდერძზე დაკვირვება აჩვენებს, რომ XVI საუკუნის I ნახევრისათვის ტერმინ 'ალასტნელს' თავისი ძველი შინაარსი და მნიშვნელობა უკვე მთლიანად დაკარგული ჰქონდა და სამეფო სახლის წევრთა უსაპატიოესი ტიტულის ნაცვლად, ალასტნის მონასტრის დეკანოზის სასულიერო წოდებულებასღა წარმოადგენდა.

აბრაჰამ ბიძანაშვილთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შემდეგ, გვსურს, საგანგებოდ შევჩერდეთ ერთ მეტად საინტერესო პრობლემაზე. დღეისათვის ქართველ მკვლევართა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ თუ სავედრებელი ხასიათის ანდერძ-მინაწერებში ამა თუ იმ პირის სულის შენდობაზე, შეწყალებასა და მეოხებაზეა საუბარი, ეს ფაქტი, a priori, მიუთითებს იმაზე, რომ ხსენებული პირი კოლოფონის შესრულების დროს უკვე გარდაცვლილი იყო. ჩვენ პრინციპულად არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ სავედრებელი ხასიათის ანდერძ-მინაწერებში შენდობას, შეწყალებასა და მეოხებას შეიძლება ითხოვდნენ როგორც გარდაცვლილთა, ისე ცოცხალთა სულებისათვის.

ჩვენი ამ პოზიციის მართებულობას საუკეთესოდ ადასტურებს A-613//H-5226-ის ცხრა ანდერძის ტექსტი, რომელთაგან ექვს კოლოფონში აბრაჰამ ბიძანაშვილის სულის შენდობა-შეწყალებაზეა საუბარი, ხოლო დანარჩენ სამ ანდერძში მისი „ხორცის" შეწყალება-მეოხებაა ხაზგასმული, რაც, ცხადია, იმას ნიშნავს, რომ კოლოფონების შესრულების დროისათვის აბრაჰამი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ამიტომაც მის 'ორთავე შინა ცხოვრებათა' შეწყალება-მეოხებას შესთხოვდნენ უფალს.

თავდაპირველად მოვიყვანთ A-613-ის იმ ექვს ანდერძს, სადაც აბრაჰამ ბიძანაშვილის სულის შენდობა-შეწყალებაზეა საუბარი:

I.6. ყოვლადწმიდაო, შეიწყალე სული აბრაჰამისი.

I.8. წმიდაო ბასილი მღდელთმოძღუარო, შეიწყალე სული აბრაჰამისი.

I.14. ქრისტე, ღმერთო, შეიწყალე სულითა ბიძანაშვილი აბრაჰამ.

I.17. სულსა აბრაჰამ ბიძანაშვილისასა შეუნდვნეს ღმერთმან. I.32. „სულსა აბრაჰამისა შეუნდვნეს ღმერთმან.

I.34. წმიდაო თეოდორე, შეიწყალე სული აბრაჰამისი.

ახლა კი A-613-ის იმ სამ კოლოფონს წარმოვადგენთ, სადაც აბრაჰამ ბიძანაშვილის 'ორთავე შინა ცხოვრებათა' შეწყალება-მეოხებას შესთხოვენ უფალს:

I.20. წმიდაო მარიამ მეგჳპტელო, იოხენ წინაშე ქრისტესსა სულითა და ჯორცითა ორთა შინა ცხორებათა ვინა და ვისგან და რომლისა მიერ და ანუ ვისითა მოჭირვებითა და რომლისა საფასითა დაიწერებიან წმიდაჲ ესე... წიგნი, აბრაჰამს ვიტყჳ.

I.25. ღმერთო და წმიდანო ორმეოცნო და წმიდაო ეფრემ და ქრისტეს მჴედარნო გიორგი და თეოდორე, შეიწყალეთ სულითა და ჯორცითა აბრაჰამ.

I.28. წმიდაო გიორგი და წმიდაო თეოდორე... იოხეთ სულითა, ჯორცითა, ორთავე ცხორებათა შინა ბიძანაშვილი აბრაჰამ დღესა მას სასჯელისა.

ამრიგად, ციტირებულ ფრაგმენტებზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, საბოლოოდ ირკვევა განსახილავი საკითხი და დგინდება, რომ სავედრებელი ხასიათის ანდერძ-მინაწერებში ამა

თუ იმ პირის სულის შენდობაზე, შეწყალებასა და მეოხებაზე საუბარი სულაც არ მიუთითებს იმაზე, რომ ხსენებული პირი კოლოფონის შესრულების დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო.

დავუბრუნდეთ A-613//H-5226-ის გადამწერის საკითხს. მეტაფრასის გადამწერი, დემეტრე აბრაჰამის ძე ბიძანაშვილი, A-613-ის ანდერძებში მხოლოდ სახელითა და გადამწერის სტატუსით ('მწერალი', 'ნაცრიანი მწერალი'), რაიმე სასულიერო წოდების გარეშეა არის მოხსენებული, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი ხელნაწერის გადაწერის დროისათვის არც ერთ საეკლესიო ხარისხს არ ფლობდა და, სავარაუდოდ, არც შემონაზვნებული იყო:

I.3. წმიდაო გიორგი და თეოდორე, მეოხ ეყვენით წინაშე საყდარსა ქრისტესა მონა-გლახაკსა თქუენსა, ამა წიგნისა მწერალსა დიმიტრის, ცოდვილსა.

I.9. ამა წიგნისა მწერალსა დიმიტრის... შეუნდვნეს ღმერთმან, ამინ.

I.12. წმიდაო გიორგი ჭალთა მთავარმოწამეო და წმიდაო თეოდორე, მწერალი ნაცრიანი მეცა მიოხეთ დიმიტრი, ცოდვილი.

I.20. მეცა მიოხე წმიდაო მარიამ, ნაცრიანი მწერალი... გლახაკი დიმიტრი"; I.28. „წმიდაო გიორგი და წმიდაო თეოდორე, ჭალთა მთავარმოწამენო, იოხეთ... წინაშე საყდარსა ქრისტესა... ამა წიგნისა ნაცრიანი მწერალი დიმიტრი.

I.29. მოწამენო ქრისტესნო, შეიწყალეთ დიმიტრი.

I.33. „წმიდაო თეოდორე, შეიწყალე გლახაკი დიმიტრი.

A-613-ზე დაკვირვება აჩვენებს, რომ დემეტრე ბიძანაშვილი მაინცადამაინც გაწაფული კალიგრაფი არ იყო. მის მიერ დაწერილი ტექსტი არც სინატიფით გამოირჩევა და არც დახვეწილობით, ზოგიერთი ადგილი კი სულაც გაკრული და ულამაზო ხელით აქვს ნაწერი (სურ. 8).

პარალელურად ამისა, დემეტრეს მიერ შესრულებული რამდენიმე კოლოფონიდან ირკვევა, რომ იგი, არცთუ კარგი კალიგრაფობის მიუხედავად, საკმაოდ განსწავლული მწიგნობარი იყო.

ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა I.19 კოლოფონი, საიდანაც კარგად ჩანს, რომ დემეტრე ქართული ენის გარდა, ბერძნულ ენასაც ფლობდა და ამ ცოდნას ხელნაწერის ძირითადი ტექსტისათვის დართულ შენიშვნებში წარმატებით იყენებდა: 'შეისწავე, რამეთუ სალევსის ძრვასა ჰქუან ბერძულად. ამისთჳს იტყჳს ვითარმედ: „ყოველივე აღასრულა სავლე, ძრვა და შერყევაჲ'.

არანაკლებ საინტერესოა I.10 და I.24 კოლოფონები, რომელთა დახმარებითაც დემეტრე რამდენიმე მნიშვნელოვან მითითებას სთავაზობდა ხელნაწერის ტექსტით დაინტერესებულ მკითხველს: I.10. 'ესე ჯუარისა საკითხავნი შუამარხვად და ჯუართა ამაღლებად წარსაკითხავნი არიან, ორჯელვე' და I.24. 'შეისწავე, რამეთუ დიდისა ბასილის თქუმულსა ორმეოცთა შესხმასა აქა, ვითარცა სახარებასა, გინა პავლესთ, თარგმანად იწყებს წმიდაჲ ეფრემ ასურისა მიმართ'.

ცალკე საუბრის თემაა დემეტრეს მიერ შესრულებული I.5 კოლოფონი, რომლის რიგით მეოთხე და მეცხრე სიტყვები კრიპტოგრამებს წარმოადგენს და ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის ანჩინური სისტემითაა გადმოცემული: *'ზურგი იკავე, მამაო კიტლულუფ* (ანუ სოლომონ), *მცონარებაჲ აღარ მოჰკლებოს, თუ წმსჩლფრ* (ანუ დუკატნი)'. როგორც ამ კოლოფონიდან ჩანს, დემეტრე ბიძანაშვილი ქართული საიდუმლო დამწერლობის ანჩინურ სისტემას საკმაოდ კარგად იცნობდა და ამ ცოდნას საჭიროების შემთხვევაში, ბერძნული ენის მსგავსად, თავისუფლად იყენებდა.

დემეტრე ბიძანაშვილზე საუბრის ბოლოს გვსურს, საგანგებოდ აღვნიშნოთ ის გასაოცარი მოწიწება და კრძალულება, რომელიც A-613-ის გადამწერს მამის, აბრაჰამ ბიძანაშვილისადმი ჰქონდა. დემეტრეს პიროვნული პორტრეტის ამ სახასიათო შტრიხს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს მის მიერ დაწერილი I.20 კოლოფონი. ამ ტექსტში დემეტრე აბრაჰამს ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში საკმაოდ გავრცელებული დამაკნინებელი წოდებით: 'შავ-დეკანოზობით' მოიხსენიებს და იქვე, სასწრაფოდ, მორიდებით განმარტავს, რომ ალასტნელი დეკანოზის ასეთი ფორმით მოხსენიება არა მისი ინიციატივა, არამედ თავად აბრაჰამის ნება-სურვილი იყო: 'წმიდაო მარიამ მეგჳპტელო, იოხენ წინაშე ქრისტესა... ვინა და ვისგან და რომლისა მიერ და ანუ ვისითა მოჭირვებითა და რომლისა საფასითა დაიწერებიან წმიდაჲ ესე... წიგნი, აბრაჰამს ვიტყჳ, მას ესრეთ სწადიან, შავ-დეკანოზსა ალასტნისასა'.

4. A-613-ის ანდერძებში მოხსენიებული სხვა პირები (მამა ამბროსე, სოლომონი)

ჩვენ ზემოთ, A-613-ის გადაწერის ადგილზე მსჯელობისას, უკვე აღვნიშნეთ, რომ ხელნაწერის I.30 და I.31 ანდერძებში ვინმე მამა ამბროსეა მოხსენიებული, რომელიც მისი წოდებიდან („მამა“) გამომდინარე, ალასტნის მონასტრის მამა, იგივე მამასახლისი ანუ წინამძღვარი უნდა ყოფილიყო.

დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურიდან XVI საუკუნის I ნახევარში მოღვაწე და სამხრეთ საქართველოსთან დაკავშირებული მხოლოდ ერთი ამბროსეა ცნობილი. ეს არის სამცხის ათაბაგის ქაიხოსრო I-ის (1498-1500 წწ.) გაზრდილი ამბროსე, რომლის ბიოგრაფიის ძირითადი ეტაპები ჩვენს ერთ-ერთ, 2002 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში გვაქვს დადგენილი.

ამბროსე ჩვენამდე მოღწეულ წერილობით ძეგლებში პირველად XV საუკუნის 90-იან წლებში იხსენიება. ამ დროისათვის იგი უკვე დახელოვნებული მხატვარ-კალიგრაფი იყო. მან 1494 წელს გადაწერა და მდიდრულად შეამკო *ფსალმუნის* ერთ-ერთი ნუსხა. ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: ‘გათავდეს ქორონიკონსა რპბ (1494 წ.), აპრილსა კჱ (25) ჴელითა ფრიად ცოდვილისა მწერლისა ამბროსესითა’.

1500 წელს ათაბაგი ქაიხოსრო I გარდაიცვალა და სამცხის სამთავრო ტახტი მისმა ძმამ, მზეჭაბუკმა (1500-1515 წწ.) დაიკავა. ახლადაღსაყდრებულმა ათაბაგმა გადაწყვიტა, აღმოსავლეთ საქრისტიანოს სამონასტრო ცენტრებისათვის ათაბაგ ქაიხოსრო I-ის სულის მოსახსენიებლად მდიდრული შეწირულობები გაეგზავნა და ამ საქმის აღსრულება ამბროსეს დაავალა.

ამბროსე თავდაპირველად ათონის მთაზე გაემგზავრა. ათონის ღმრთისმშობლის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნის №162-ე ჩანაწერში ვკითხულობთ:

> შემდგომად ამისა მე, სავაგლახო, აღზრდილი კურთხეულისა და სულდიდებულისა პატრონის ქაიხოსროსი, ამბროსი წარმომავლინა პატრონმან, ძმამან მათმან მზეჭაბუკ სრულიად საბერძნეთად, იერუსალემს და სინასცა მრავლითა ს[ა]ჭონლითა, დაუწყეთ გაცმა ტრაპიზ[ონ]ტით კოსტ[ა]ნტიპოლემდის და კოსტ[ა]ნტიპოლითგან ვიდრე ამა წმიდასა მთამდე.

ამავე სააღაპე წიგნის #163-ე ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ ამბროსემ თავადაც დიდი ღვაწლი დასდო ათონის ქართველთა მონასტერს:

> ეგრეთვე აღზრდილი პატრონის ქაიხოსროსი ამბროსი დიდად შეეწია ამა მონ[ა]სტერსა, პორტაიტისა ღმრთისმშობლისა ხატი მოჭედა მძიმედ, მისსავე ეკლესიასა ზედა პირღო აღაშენა და გა[ა]მაგრა თოფითა და საუძლურე აღაშენა მისით აკაზმულობითა და ღომატო მეტოქი მისით[ა] წყალობითა აშენდა.

აღნიშნული სამსახურის სანაცვლოდ, სამონასტრო ძმობამ ამბროსეს წირვა-ლოცვა და აღაპი გაუჩინა. საგულისხმოა, რომ ამბროსემ ზემოხსენებული ჩანაწერები საკუთარი ხელით შეიტანა მონასტრის სააღაპე წიგნში.

1990-იან წლებში ხელოვნებისმცოდნე ზაზა სხირტლაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ამბროსემ ათონზე ყოფნის ჟამს საკუთარი ხელით მოჭედა პორტაიტის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის პერანგი. თუ მკვლევრის ეს დაკვირვება სწორია, მაშინ ირკვევა, რომ მხატვარ-კალიგრაფი ამბროსე ჩინებული ოქრომჭედელიც ყოფილა.

ათონიდან ამბროსე იერუსალიმს გაემგზავრა და ადგილობრივ სასულიერო ცენტრებს ათაბაგ მზეჭაბუკის მიერ გამოგზავნილი შეწირულობები დაურიგა. წმიდა მიწაზე ჩატანილი შეწირულობის მნიშვნელოვანი ნაწილი იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერს გარდაცვლილი ქაიხოსრო I-ის სალოცავად გადაეცა. აღნიშნული ამბები გადმოცემულია ჯვრის მონასტრის აღაპების ე. წ. ტიშენდორფისეულ ნუსხაში.

ამ ნუსხის №90 აღაპის ტექსტში ადგილობრივი ქართველი მოწესეები გვაუწყებენ:

ჩუენა, ჯუარელთა ძმათა და დაჲთა და სრულიად საღ(მრ)თ(ო)მან კრებულმან, დავდევით ესე წიგნი პატრონსა ათაბაგსა მზეჭაბუკს, კურთხეულისა მათის ბძისა ქაიხოსროს სულისა სამლოცველოდ. დიადი საქონელი გამოეგზავნა მათისა გაზრდილისა ამბროსეს ჴელითა და მთაწმიდას და სრულად საბერძნეთშიგან მრავალი გაეცა, აგრეგე, ამა საუფლოთა და წმიდათა ადგილთა მოიღო.

მიღებული შეწირულების სანაცვლოდ, ჯვრის მონასტერში ათაბაგ ქაიხოსრო I-ის მოსახსენიებლად წირვა-ლოცვა და აღაპი დააწესეს.

წმიდა მიწაზე მყოფმა ამბროსემ ჯვრის ქართველთა მონასტერს საკუთარი სახელითაც მისცა შეწირულება, რისთვისაც ადგილობრივმა მოწესეებმა მისი სახელი სამონასტრო სულთა მატიანეში შეიტანეს და მოსახსენიებელი განუწესეს. ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნის №90 ჩანაწერის ბოლოს აღნიშნულია:

აგრეგე ესე ყულაი მისის ყმის ამბროსეს ჴელითა ისაქმა და მოგჳვიდა და ერთი თასი შემოსწირა ჯუარს პატიოსანსა და კოსრომელი ჰკრა და ერთი ჭარი იყიდა სამეჴრეოსა, საპატიო და ამა ყულ(ა)სათჳს მატიანეშიგან ჩავწერეთ და მოსაჴსენებელშიგან. ამბროსეს და მისთ დედა-მამათ შეუნდვნეს ღმერთმან. თხუთმეტი ფლური შესავლად მოგუცა.

ელენე მეტრეველის აზრით, №90 აღაპის შედგენა და შესაბამისად, ამბროსეს იერუსალიმს ჩასვლა, 1501 წლით უნდა დათარიღდეს. დღეისათვის აღნიშნული მოსაზრება მთლიანად არის გაზიარებული ქართველ მკვლევართა მიერ.

ამბროსე საკმაოდ დიდხანს დარჩა წმიდა მიწაზე. იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ყოფნის დროს მან ოთხთავის გადაწერაც კი მოასწრო:

და აწ, ესე სახარებაჲ აღიწერა ცოდვილისა ამბროსისაგან იერუსალემს, მონასტერსა ჯუარისა პატიოსნისასა, სადიდებელად ღმრთისა, მამისა, ძისაჲ და სულისა წმიდისა და სალოცველად სულდიდებულისა პატრონის ქაიხოსროსთჳს.

დაახლოებით ამავე პერიოდში, ამბროსემ იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ ეკლესიასა თუ მონასტერში დაცული 1160 წელს გარეჯში გადაწერილი კრებული „სანატრელიც“ მოიხილა და მის ამიებზე რამდენიმე სავედრებელი მინაწერი და სხვადასხვა წმიდანთა გრაფიკული ჩანახატები შეასრულა.

ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნის #162 ჩანაწერის მიხედვით, ამბროსეს ათონისა და იერუსალიმის შემდეგ, სინას მთის მონასტრებისათვისაც უნდა ჩაეტანა შეწირულება. თუმცა, მისი ყოფნის კვალი სინაზე, ჯერჯერობით, არ ჩანს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ზაზა სხირტლაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ იერუსალიმში მყოფმა ამბროსემ რაიმე მიზეზების გამო, მოგზაურობა შეწყვიტა და სინას მთაზე აღარ ჩავიდა (ჯოჯუა 2002: 102, 105, 126-128).

სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებული მასალა არ იძლევა საშუალებას, გადაჭრით ვამტკიცოთ ათაბაგ ქაიხოსრო I-ის გაზრდილი ამბროსესა და ალასტნის მონასტრის წინამძღვარი ამბროსეს იგივეობა, თუმცა მათი სამოღვაწეო დროისა (XVI ს-ის I ნახ.) და გეოგრაფიული არეალის (სამცხე-ჯავახეთი) დამთხვევა გვაფიქრებინებს, რომ, ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, სწორედ ერთსა და იმავე პირთან უნდა გვქონდეს საქმე.

შესაბამისად, თუ ჩვენი ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ამბროსეს ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული წყაროთმცოდნეობითი ბაზა კიდევ ორი წერილობითი ძეგლით, A-613-ის I.30 და I.31 კოლოფონებით მდიდრდება, რომელთა დახმარებითაც ირკვევა, რომ ამბროსე წმიდა მიწაზე ყოფნის შემდეგ უკან, საქართველოში დაბრუნდა და სამცხის საათაბაგოს ერთ-ერთი სასულიერო ცენტრის – ალასტნის ჭალთა წმ. გიორგის მონასტრის წინამძღვარი გახდა.

A-613-ის ანდერძებში, ამბროსეს გარდა, კიდევ ერთი პირის სახელი გვხვდება. ეს არის სოლომონი, რომელიც I.5, კრიპტოგრამებიან კოლოფონშია მოხსენიებული: 'ზურგი იკავე, მამაო სოლომონ, მცონარებაჲ აღარ მოჰჴდების, თუ დუკატნი' ამ დაუმთავრებელი ანდერძის პირველ ნაწილს ერთგვარი საქილიკო ხასიათი აქვს: კოლოფონის დამწერი

დემეტრე ხუმრობით მიმართავს ვინმე სოლომონს, რომ წელში გაიმართოს (‘ზურგი იკავ´), სიზარმაცე დასძლიოს (‘მცონარებაჲ აღარ მოჰ‖ძების’) და ყურადღებით გაეცნოს იმ თხრობას, რომელიც ხელნაწერის შესაბამის გვერდზეა წარმოდგენილი.

აქვე შევნიშნავთ, რომ განსახილავი ანდერძისათვის, რომელიც A-613-ის 8r-ს ქვედა აშიაზეა შესრულებული, ადგილი საგანგებოდ არის შერჩეული. კერძოდ, ამ გვერდზე წარმოდგენილია ვინმე ღირსი ბერისა და მორწმუნე ქრისტიანთა ჯგუფის ვრცელი სიტყვისგების ერთ-ერთი ფრაგმენტი, რომელიც შემდეგი სახით იკითხება:

> ეტყოდეს მ(ა)ს ქ(რისტე)ს მ(ო)ყ(უა)რენი ოგი ერნი: „იტყოდე, მ(ა)მ(ა)ო და მითხრობდ სიყ(უა)რ(უ)ლი|სათ(ჳ)ს ო(ჳფლ)ისა და ს(ა)რგებ(ე)ლისათ(ჳ)ს ჩ(უე)ნ|ისაჲ“ და ბერმ{ა}ან მიუგო: „მ(ა)შინ, | ქ(რისტე)ს მ(ო)ყ(უა)რენო ძმ(ა)ნო, გ(ა)მოიძებოდის კ(ა)ც(ა)დ კ(ა)ც(ა)დისა თითოეულისა ბეჭედი ქ(რის)ტ(ეა)ნ(ო)ბ(ი)სა, რ(ომელ)ი იგი მიიღეს კ(ა)თ|ოლიკე ეკ<კ>ლესიის(ა)გ(ა)ნ წ(მიდ)ისა მ(იე)რ ნა|თლისა ღებისაჲ და სთხოვდენ | თჳთეულსა ს(ა)რწმუნ(ოე)ბ<ო>{ა}სა შეუ‖გინებ{ე}ლსა და ბეჭედსა აღუტეხელსა და სამოსელსა შეუმწიკულებელსა<ო> და კ(ე)თ(ი)ლსა მ(ა)ს აღსარებ(ა)სა, რ(ომელ)ი აღიარეს წ(ინაშ)ე მრ(ა)ვ(ა)ლთა | მ(ო)წ(ა)მეთა და თქ(უ)ს ვ(ითარმე)დ: „ვიჯმნი | ეშმ(ა)კის(ა)გ(ა)ნ და ს(ა)ჯმეთა მისთ(ა)გ(ა)ნ“. | მ{ა}შინ, ჟ(ამს)ა მ(ა)ს, ნ(ე)ტ(ა)რ იყოს, რ(ომე)ლსაჲ | დაემ(ა)რხოს, რ(ომელ)ი აღეთქუა, რ(ამეთუ) ერ|თისა მის სიტყ|სა აღმოთქუმითაჲ | უჯმნიეს ყ(ოვე)ლთ(ა)გ(ა)ნ უჯეროთა სიტყ|უათა ეშმ(ა)კისთა და საქმეთა ბო|რ(ო)ტთა: სიძვის(ა)გ(ა)ნ და მრუშებისა, | არაწმიდებისა ბ(ო)რ(ო)ტისა და შური|სა, | ტყ|უილისაჲ და პარვისა, მწამლ|ველობისა და მაგინებლობისაჲ, გ(უ)ლისწყრომისა და ბ|ჯრის‖ვნებ|ისა, მტერობისა და ჴ|რმისა, მთ|რვალობისა და ცუდ(ა)დ მ{ე}ტყ|ულებისაჲ, ამპ(ა)რტ(ა)ვნებისა და გ(ა)ნ‖ცთ|ხელობისა, მეზარბითობის(ა)გ(ა)ნ და | მროკველობისა, მგოსნობისა და | ყ(ოვლ)ისა საეშმ{ა}კოსა სიმღერისაჲ, ანგა‖ჰრებისაჲ და ძმ(ა)თმოძულებ|საჲ. ამ(ა)თ ესე(ითა)რთა ყ(ოველ)თ(ა)გ(ა)ნ გ(ა)ნ|ყენების ყ(ოველ)ი ქ(რის)ტ(ეა)ნე ჯმნითა მით, რ(ომე)ლ | აღუთქ{უ}აჲ წ(მიდ)<ო>{ა}სა ზ(ედ)ა ს{ა}ბანელსაჲ | ვინაცა მ(ა)ს ჟ(ამ)სა იძიების ჩ(უე)ნგ(ა)ნ აღთქ(უ)მა იგი.

ციტირებული ფრაგმენტის ერთ-ერთი სიტყვის, ‘ანგა‖ჰრებისაჲს’ პირველი ნაწილის ზემოთ, რომელიც 8r-ს მარცხენა სვეტის სულ ქვედა, ბოლო სტრიქონის მარჯვენა კიდეშია წარმოდგენილი, დემეტრე ბიძანაშვილს დასმული აქვს პატარა ტექნიკური ნიშანი, რომლითაც მკითხველს მიუთითებს, რომ მის მიერ გვერდის ქვედა არშიაზე შესრულებული კოლოფონი, აზრობრივად, სწორედ ამ მონიშნულ სიტყვასთან არის დაკავშირებული. იმ ფაქტს, რომ ტექნიკური ნიშნით გამოყოფილი სიტყვა „ანგაჰრებისაჲ“ და მის ქვემოთ შესრულებული კოლოფონი ნამდვილად ერთმანეთთან არის დაკავშირებული, თვალნათლივ ასაბუთებს თავად კოლოფონის მეორე, დაუმთავრებელ ნაწილზე დაკვირვება, რომელიც სიტყვა ‘დუკატნით’ ანუ საქართველოში XV საუკუნიდან გავრცელებული ვენეციური ოქროს მონეტების ხსენებით იწყება (ქებულაძე 1971: 13-21).

როგორც ჩანს, დემეტრემ ხელნაწერის ძირითად ტექსტში საგანგებოდ მონიშნა განსამარტავი სიტყვა ‘ანგაჰრება’//’ანგარება’, ვინმე სოლომონს ხუმრობით მოუწოდა, რომ ყურადღებით გაცნობოდა ტექსტის ამ ფრაგმენტს და იქვე, მონიშნული სიტყვის ქვემოთ, გვერდის ქვედა აშიაზე, ანგარებასა და ვერცხლისმოყვარეობასთან დაკავშირებული, ე.წ. ‘შეისწავლების’ ტიპის შენიშვნის წერას შეუდგა, თუმცა შემდეგ, დაუდგენელი მიზეზის გამო წერა შეწყვიტა და კოლოფონი დაუმთავრებელი დატოვა.

ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნებში გვერდის აშიებზე შესრულებული სხვადასხვა სახის მითითებები, შენიშვნები და განმარტებები თითქმის ყველა ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. თუმცა, A-613-ის განსახილავი კოლოფონი იმით არის საინტერესო, რომ ის კონკრეტული პირის, ვინმე სოლომონისადმია მიმართული და თანაც, ერთგვარი საქილიკო ხასიათი აქვს, რაც გვაფიქრებინებს, რომ კოლოფონის დამწერი დემეტრე და ხსენებული სოლომონი ერთმანეთთან საკმაოდ დაახლოებული პირები იყვნენ. გარდა ამისა, ანდერძზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ დემეტრეს სოლომონი მის მიერ გადაწერილი და ალასტნის მონასტრისათვის განკუთვნილი A-613-ის ერთ-ერთ უპირველეს მკითხველად ჰყავდა წარმოდგენილი, ეს კი, ცალსახად მიგვითითებს იმაზე, რომ სოლომონი ამავე ალასტნის მონასტერში მოღვაწე ერთ-ერთი სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო.

ის, რომ სოლომონი ნამდვილად სასულიერო პირი, სავარაუდოდ, მღვდელმონაზონი იყო, აშკარად ჩანს განსახილავი კოლოფონის დასაწყისიდან, სადაც დემეტრე სოლომონისადმი მიმართვისას ასეთი შემთხვევებისთვის საყოველთაოდ მიღებულ ფორმას, „მამაოს“ იყენებს: ‘ზურგი იკავე, მამაო სოლომონ’.

ამრიგად, ირკვევა, რომ A-613-ის I.5, კრიპტოგრამებიან ანდერძში მოხსენიებულია ალასტნის ჭალთა წმ.გიორგის მონასტრის კიდევ ერთი მოწესე, მღვდელმონაზონი სოლომონი, რომელიც დემეტრე ბიძანაშვილთან საკმაოდ დაახლოებული პირი იყო.

5. არფაქსად იოთამის ძის ფეოდალური სახლის წევრთა მოსახსენებლები (XVI ს-ის II ნახ.)

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, A-613//H-5226-ის გადაწერის დროზე მსჯელობისას, რომ H-5226-ში წარმოდგენილ ერთ-ერთ ტექსტს, ე.წ. „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲს“ დართული აქვს XVI საუკუნის II ნახევარში შესრულებული სამი მოსახსენებელი, სადაც დასახელებული არიან: პატრონი იოთამი, მისი ვაჟი, პატრონი არფაქსადი და ამ უკანასკნელის თანამეცხედრე, მეფეთმეფის ასული, პატრონი თამარ. იქვე, დავაზუსტეთ ისიც, რომ მოსახსენებელში დასახელებული არფაქსად იოთამის ძე ცნობილი ისტორიული პირი იყო და 1578 წლისათვის სამცხის საათაბაგოში ხერთვისის ციხესა და კიდევ ხუთ სხვა ციხე-სიმაგრეს ფლობდა.

სამწუხაროდ, ჩვენ, ჯერჯერობით, არ ვიცით, კონკრეტულად, რომელი ციხეები იგულისხმებოდა არფაქსადის კუთვნილ ამ ხუთ, სახელის გარეშე მოხსენიებულ ციხე-სიმაგრეში, თუმცა კი, საფიქრებელია, რომ ეს საფორტიფიკაციო პუნქტები, ძირითადად, ხერთვისის ციხის მიმდებარე რაიონებში უნდა ყოფილიყო თავმოყრილი. შესაბამისად, შეგვიძლია, დიდი ალბათობით ვივარაუდოთ ისიც, რომ 1570-იან წლებში არფაქსად იოთამის ძის ფეოდალური სენიორიის საზღვრები, ძირითადად, ზემო ჯავახეთის ჩრდილოეთი ნაწილის იმ სოფლებზე ვრცელდებოდა, რომლებიც მოგვიანებით, 1590-იან წლებში, ოსმალეთის იმპერიის გურჯისტანის ვილაიეთის ხერთვისის ლივას ხერთვისისა და ტყიანი-ჯავახეთის ნაჰიეებში შედიოდა. ეს სოფლები იყო: ხერთვისის ციხის რაბათი, თოკი, ვარევანი, გოკია, ზემო ალასტანი, ქვემო ალასტანი და სხვ. (ჯიქია 1941: 13-14, 171-173, 191-192, 196-197, 187, 203; ჯიქია 1958: 242-243, 266-267, 274-275, 280-282).

თუ ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა სწორია, მაშინ სრულებით გასაგები ხდება ისიც, თუ რატომ დაურთეს XVI საუკუნის მეორე ნახევარში ალასტნის მონასტრის კუთვნილ ხელნაწერს მაინცადამაინც არფაქსადისა და მისი ოჯახის წევრებისა და არა სამცხის საათაბაგოს რომელიმე სხვა ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა მოსახსენებლები. როგორც ჩანს, ამ პერიოდში სოფელ ალასტნის სანახებში მდებარე ალასტნის ჭალთა წმ. გიორგის მონასტერი არფაქსად იოთამის ძის ფეოდალური სახლის საკუთრებას წარმოადგენდა და სამონასტრო ძმობაც წირვა-ლოცვის ჟამს, პირველ რიგში, სწორედ ამ სახლის წევრებს ანუ მონასტრის პატრონებს იხსენიებდა.

აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ, ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორის გარდა, სავარაუდოდ, კიდევ ერთი გარემოება უნდა მეტყველებდეს: H-5226-ის მოსახსენებლებში იოთამი, არფაქსადი და თამარი, უჩვეულოდ უხვი და ზეაღმატებული განმადიდებელი ეპითეტებით არიან შემკულ-მოხსნიებულნი: იოთამი – „მჴნე, ახოვანი, სწორუპოვარი, მრავალჯერ გამარჯვებული და სახელოვანი“; არფაქსადი – „მჴნე, ახოვანი, სახელოვანი, სახელგანთქმული და სიყრმითგან მრავალჯერ გამარჯვებული’; თამარი – ‘დაუდუმებლად ღმრთისმადიდებელი, გლახაკთა ჴელის ამჴყრობელი და სწორუპოვარი“. ჩვენი დაკვირვებით, ის ფაქტი, რომ ალასტნის სამონასტრო ძმობა არფაქსადისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ ასეთ განსაკუთრებულ პატივისცემასა და მოწიწებას გამოხატავდა, იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ არფაქსად იოთამის ძის ფეოდალური სახლი ალასტნის მონასტრის რიგითი შემომწირველი კი არა, არამედ მისი პატრონი იყო და სამონასტრო ძმობის კეთილდღეობაც თითქმის მთლიანად ამ სახლის წევრთა კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუკი დავასკვნით, რომ XVI სუკუნის II ნახევარში ალასტნის ჭალთა წმ. გიორგის მონასტერი, მასთან ერთად კი, მონასტერში დაცული A-613//H-5226, ხერთვისის ციხის პატრონის არფაქსად იოთამის ძის ფეოდალური სახლის საკუთრებას წარმოადგენდა.

6. იშხნელი ეპისკოპოსის ნიკოლოზის მინაწერები (XVII ს-ის ბოლო ოცწლეულში)

ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ A-613//H-5226-ის ამიებზე, ხელნაწერის გადამწერის მიერ შესრულებული ოცდაჩვიდმეტი კოლოფონის გარდა, სხვადასხვა პირების მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული სამოცდათექვსმეტი მინაწერიც არის დაცული. ამ მინაწერებს შორის ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ერთი და იმავე ხელით შესრულებული ცხრა კოლოფონი (A-613, II.6, II.10, II.29, II.38, II.51, II.52, II.56, II.73; H-5226, II.1). რომლებიც ნიკოლოზ იშხნელის მიერ არის დაწერილი: A-613, II.29. 'შეურაცხება აქ იკითხეთ, <u>იშხნელი ნიკოლოზ</u>' A-613, II.38. 'ეგვიპტის ალიზი სხვა არს, [---]ე სხვას იტყვის, <u>ნიკოლოზ იშხნელი</u>' და H-5226, II.1 'საანჯამნო აქ შეისწავე, <u>ნიკოლოზ იშხნელი.</u>'

აქ ნახსენები ნიკოლოზ იშხნელი ცნობილი ისტორიული პირია, რომელიც ვალერი სილოგავასა და კახა შენგელიას მართებული მოსაზრებით, XVII საუკუნის ბოლო მეხუთედში მოღვაწეობდა (სილოგავა, შენგელია 2006: 45). თედო ჟორდანიას დაკვირვებით, ნიკოლოზი იყო "უკანასკნელი იშხნელი, ჭოროხის ხეობიდამ განდევნილი მაჰმადიანთაგან" (ჟორდანია 1897: 506).

დღეისათვის სამეცნიერო საზოგადოებისათვის ნიკოლოზ იშხნელთან დაკავშირებული მხოლოდ სამი წერილობითი ძეგლია ცნობილი. აქედან პირველი ორი ძეგლი, სავარაუდოდ, თავად ნიკოლოზ იშხნელის მიერ შესრულებული ორი მინაწერია, რომელთაგან ერთი, 1687 წლის კოლოფონი, ჯერჯერობით, დაუდგენელ ხელნაწერს ჰქონდა დართული, ხოლო, მეორე, უთარიღო მხედრული მინაწერი XIII საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერი კრებულის (A-188) 233v-ზეა შესრულებული. 1687 წლის კოლოფონი: *„ღ(მერთ)ო, შეუნდვენ ცოდვანი და ბრალნი მისნი ნიკოლაოზ იშხნელს. ქ(ორონი)კ(ონ)ს ტ(ო)ე* (375+1312=1687 წ.)*"* (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.ჯ.) (ჟორდანია 1897: 506); უთარიღო მინაწერი: 'მე, ნიკოლოზ იშხნელმან, წარვიკითხე წიგნი ესე. ფრიადითა კეთილითა სავსე არს' (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (ბრეგაძე *და სხვები* 1976: 324. შდრ.: სილოგავა, შენგელია 2006: 44).

ვალერი სილოგავასა და კახა შენგელიას მოსაზრებით, ნიკოლოზ იშხნელი, ციტირებული ორი მინაწერის გარდა, 1030 წელს გადაწერილი გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებათა კრებულის 1v-ზე წარმოდგენილ 1687 წლის ვრცელ მხედრულ კოლოფონშიც არის მოხსენიებული, რომელიც, თავის მხრივ, ნიკოლოზ იშხნელის ძმისწულის, აგრეთვე, ნიკოლოზის მიერ იყო შესრულებული:

> ქ. მი, ყოველთა მოძრავ ცხოველთა, აღნაგთა, ხილულთა და უხილავთა, წამისყოფით არა არსისგან არსებად წარმომაჩინებელ და უძილისა ცეცხლისა მღ..არისა თვალისა ეთერის მავლენელო, ნივთა მაძლიერებელო, ღრუბელთა მცვალებელო და სოფელსა შინა სახელ-დაუტევნელო, ურყვნელო და დასაბამისა არავისგან მქონო, და არცა დასრულებადისა მიმღებო, მარადის უოხჭნოდ მყოფო და ყოველთა მოძრავთა ოხჭანო, არა რასაგან ვისმე ერთისა გარეშეცულო და შენ, მხოლო ყოველთა შემცველო, უმატებელო და მოუკლებელო, სამებით დიდებულო და ერთარსებით თაყვანისცემულო, რომელსა ღმრთისმეტყველი შენი გრიგოლ კეთილად ქადაგებს. აწ, მე, შენმა თიჩამა, ნერწყვით ცხოვლად შეზელილმა, მრავალჯერ აღმოვიკითხე შენ მიერ განბრძნობილი ესე ღმრთისმეტყველი და დამიკვირდა, ამაში მყოფი სიბრძნე შევიტკბე, განვიკითხე და საზღაპრონითა მოხარკედ ვეცადე მიხდომასა და ძლით მცირე და კნინი შევიბინე მე, უნარჩევესმან ყოველთა პირმეტყველთამან, იშხნელის ძმისწულმა ნიკოლოზ, რომელნიცა მიემთხვივნეთ ამას წერილსა ღმრთის სიყვარულისათა, შენდობით მომიხსენებდეთ, რათა თქვენცა ქრისტემან სასყიდელი მოგმადლოს, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტოე (375+1312=1687 წ.), მეფობასა ყოვლად მჭნისა და უძლეველისა გიორგისსა (ქართლის მეფე გიორგი XI (1676-1688, 1703-1709 წწ.) – თ. ჯ.), კათალიკოზობასა მართლმადიდებელისა ამილახორის ძისა ნიკოლოზისსა (ქართლის კათოლიკოსი ნიკოლოზ IX ამილახვარი (1678-1688, 1692-1695 წწ.) – თ.ჯ.),

დასაბამითგან წელთა შვიდი ათას ასოთხმოცდა ათხუთმეტსა (7195-5508=1687 წ.), ამინ. სვეტიცხოვლისა არის (ბრეგაძე 1988: 69; სილოგავა, შენგელია 2006: 44-45. შდრ.: ბრეგაძე *და სხვები* 1973: 13-14).

A-613//H-5226-ის მინაწერების გამოქვეყნების შემდეგ ნიკოლოზ იშხნელთან დაკავშირებული მწირი წყაროთმცოდნეობითი ბაზა ცხრა ახალი კოლოფონით შეივსო. ეს მინაწერები საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ნიკოლოზის სამწიგნობრე ინტერესების შესახებ და გვამცნობენ, რომ ოსმალთა მიერ დაპყრობილი და გამაჰმადიანების გზაზე შემდგარი სამხრეთ საქართველოდან ქართლ-კახეთში გადმოხვეწილი ნიკოლოზ იშხნელი მხოლოდ XIII საუკუნის კრებულით (A-188) კი არ დაინტერესდა, არამედ დიმიტრი ბიძინაშვილის მიერ გადაწერილ A-613//H-5226-საც გაეცნო და მეტაფრასში წარმოდგენილი ტექსტები გულდასმით წაიკითხა.

ნიკოლოზ იშხნელის კოლოფონები ჩვენთვის სხვა მხრივაც არის მნიშვნელოვანი. მათზე დაკვირვება აჩვენებს, რომ XVII საუკუნის ბოლო მეხუთედში A-613//H-5226, ძირითადად, დაუზიანებელი იყო და დაინტერესებულ მკითხველს ჯერ კიდევ შეეძლო ხელნაწერით სარგებლობა. ამაზე პირდაპირ მიგვითითებს ნიკოლოზ იშხნელის რამდენიმე კოლოფონი, რომელთა დახმარებითაც იშხნელი მღვდელმთავარი მთელ რიგ საყურადღებო მითითებებსა თუ განმარტებებს სთავაზობს ხელნაწერის პოტენციურ მკითხველს: A-613, II.10. 'კენტინარი ასი ლიტრა ოქრო არი'. A-613, II.29. 'შეურაცხება აქ იკითხეთ' A-613, II.38. 'ეგვიპტის ალიზი სხვა არს, [---]ე სხვას იტყვის'; A-613, II.52. 'ჯართთა აქ იკითხე'; A-613, II.73. 'მოქენე მთხოველი უნდა იყოს'; H-5226, II.1. 'საანჯამნო აქ შეისწავე'[23] და სხვ.

სამწუხაროდ, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, შეუძლებელია იმის თქმა, ზუსტად როდის, სად და რა ვითარებაში აღმოჩნდა დემეტრე ბიძინაშვილის მიერ გადაწერილი მეტაფრასი ნიკოლოზ იშხნელთან, თუმცა კი, საფიქრებელია, რომ ეს უკანასკნელი ხელნაწერს არა სამხრეთ საქართველოში ყოფნის დროს, არამედ ქართლ-კახეთში ჩამოსვლის შემდეგ, ერთ-ერთი ადგილობრივი ეკლესიისა თუ მონასტრის წიგნთსაცავში გაეცნო. თუ ჩვენი ეს ვარაუდი სწორია, მაშინ, საბოლოოდ ირკვევა ისიც, რომ XVI საუკუნის II ნახევარში ჯერ კიდევ ჯავახეთში, ალასტნის მონასტერში დაცული A-613//H-5226 XVII საუკუნის ბოლო მეხუთედში უკვე ქართლ-კახეთში იყო გადმოტანილი და ერთ-ერთი ადგილობრივი ეკლესიისა თუ მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა.

შენიშვნები

[1] მეტაფრასი არის 'ლიტერატურული კრებული, რომელიც შეიცავს კალენდარული წესით გაწყობილ წმინდანთა *ცხოვრებებს* და *წამებებს*, განკუთვნილთ ცისკრის საკითხავებისათვის' (გაბიძაშვილი *და სხვები* 2007ბ: 581).

[2] ქვეთავს ასათიანი აღნიშნულ სამუშაოს ასრულებდა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის: *საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა (A კოლექციის) მეცნიერული აღწერილობა* (პროექტის ხანგრძლივობა: 2009-2011 წწ. ხელმძღვანელი: მიხეილ ქავთარია) ფარგლებში.

[3] A-613-ის მეცნიერული აღწერილობა, მომზადებული ქეთევან ასათიანის მიერ, შეგიძლიათ, იხილოთ ქართულ ხელნაწერთა A კოლექციის მრავალტომიანი *აღწერილობის* IIა ტომში, რომლის გამოცემასაც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ახლო მომავალში გეგმავს.

[4] აღნიშნულ დასკვნიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სასურველი და შესაძლებელია, რომ ფურცელ-ფურცელ დაშლილი A-613 და H-5226 ერთ ხელნაწერად აიკინძოს და ერთი საერთო ნომრით იქნეს რეგისტრირებული.

[5] *ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲს* H-5226-ის ნუსხისა და ამ ნუსხაში ჩართული ქართველ ისტორიულ პირთა მოსახსენებლების შესახებ ჩვენს ერთ-ერთ მომდევნო ნაშრომში საგანგებოდ გვექნება საუბარი.

[6] *მესხური დავითნის მატიანეში* არფაქსადის გვარი მითითებული არ არის, თუმცა ქრისტინე შარაშიძე მიიჩნევს, რომ იგი გვარად ამატაკისშვილი იყო. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას მკვლევარი, როგორც ჩანს, ითვალისწინებს 1516 წლის ახლოხანებში შედგენილი დოკუმენტის (*წმიდის და ცათა მომძლვრის კათოლიკე სამოციქულოს საპატრიარქოსა მცხეთისა ეკლესიისა ძუელითგან საქონებელი და სამწყსონი სამცხეს თავადნი და სოფელნი*) ცნობას, რომლის თანახმადაც ხერთვისართა ფეოდალური სახლის ნაქონ მამულებს XVI საუკუნის დასაწყისისათვის უკვე ამატაკისშვილთა ფეოდალური სახლი ფლობდა და XVI საუკუნის II ნახევარში ხერთვისართა ყოფილი უპირველესი ციხე-რეზიდენციის – ხერთვისის პატრონად დასახელებულ არფაქსადსაც, სავარაუდოდ, სწორედ ამ მოტივით მიიჩნევს ამატაკისშვილად (შარაშიძე 1961: 31-34, 157). ქრისტინე შარაშიძის ეს მოსაზრება, ერთი შეხედვით, სწორია. თუმცა, აქ ყურადღებას იპყრობს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: H-5226-ში წარმოდგენილი „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲსათვის" დართული მოსახსენებლების მიხედვით, არფაქსადის მამას სახელად იოთამი ერქვა, ეს სახელი კი, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, არა ამატაკისშვილების, არამედ შალიკაშვილების ფეოდალურ

სახლში იყო გავრცელებული. შესაბამისად, განსახილავ ანთროპონიმზე დაკვირვების შედეგად, ბუნებრივად იბადება კითხვა: იქნებ მოსახსენებელში დასახელებული იოთამი და არფაქსადი გვარად, მართლაც, შალიკაშვილები იყვნენ და ხერთვისის ციხესაც XVI საუკუნის II ნახევარში არა ამატაკისშვილები, არამედ შალიკაშვილების ერთ-ერთი განშტოება ფლობდა? (თუ არფაქსადი მართლაც შალიკაშვილია, მაშინ გამოვა, რომ მისი მამა იოთამი ვახუშტ-ყოფილი ვასილიოს შალიკაშვილისა და ქეთაონ-ყოფილი ქრისტინე ბაგრატიონის უფროსი ვაჟი ყოფილა (შდრ.: შარაშიძე 1961: 19, 34, 61-65). სამწუხაროდ, დასმულ კითხვაზე მსჯელობა მნიშვნელოვნად სცილდება ჩვენი წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს, ამიტომ ამ საინტერესო საკითხზე საუბარს სხვა ნაშრომში გავაგრძელებთ, წინამდებარე ნაშრომში კი არფაქსადის გვარის საბოლოოდ დაკონკრეტებისაგან თავს შევიკავებთ და მას მხოლოდ მამისშვილობით (არფაქსად იოთამის ძე) მოვიხსენიებთ.

[7] აქვე, წინასწარ შევნიშნავთ იმ ფაქტს, რომ H-5226-ის გვიანდელ მოსახსენებელში დასახელებული პატრონი არფაქსადისა და „მესხური დავითნის მატიანეში" მოხსენიებული არფაქსადის გაიგივებას, მათი სახელების დამთხვევის გარდა, მათ სამოღვაწეო არეალზე დაკვირვებაც უჭერს მხარს: მესხური დავითნის *მატიანის* არფაქსადი ხერთვისის ციხის მფლობელია, H-5226-ის მოსახსენებელის არფაქსადი კი ხერთვისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, პირდაპირი ხაზით, 12-13 კილომეტრის მანძილზე მდებარე სოფელ ალასტნის მიდამოებში მოქმედი ალასტნის მონასტრის პატრონი (ამის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ).

[8] ის ფაქტი, რომ სოფელ ალასტნის ეკლესია ღმრთისმშობლის სახელობისა იყო, სამეცნიერო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ 1850-იან წლებში გახდა ცნობილი (ბართოლომეი, ხოძკო, პერევალენკო 1854: 342), თუმცა, მიუხედავად ამისა, ტაძრის სახელობა, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, მოგვიანო ხანის არც ერთ პუბლიკაციაში არ არის აღნიშნული.

[9] დავით ნინიძის დაკვირვებით, X-XI საუკუნეებში 'კლასიკური ქართული ფეოდალური სოფლის სახით' ჩამოყალიბებული ალასტანი 'მალე ხდება სამეფო სახლის ყურადღების არეში. აქ სახაფხულო სამეფო სადგომი უნდა ყოფილიყო, ისე როგორც დლივში, ღრტილასა და ბოჟანოში' (ნინიძე 1987ა: 28). დავით ნინიძის ამ მოსაზრებას, პრაქტიკულად უცვლელი სახით იმეორებს იური სიხარულიძეც: 'X-XI სს-ში ა[ლასტან]მა სოფლის სახე მიიღო და და სხვა სოფლებთან (ღრტილა, დლივი, ბოჟანო) ერთად, საქართველოს მეფეების დროებითი საზაფხულო სადგომი გახდა' (სიხარულიძე 1997: 91). ჩვენ ვერ გავიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან ჯერჯერობით არ მოგვეპოვება რამე წერილობითი ძეგლი, სადაც პირდაპირ ან ირიბად იქნება მითითებული, რომ X-XI საუკუნეებში ალასტანი საქართველოს მეფეთა დროებით საზაფხულო სადგომს წარმოადგენდა (განსხვავებული სურათი გვაქვს მკვლევართა მიერ დასახელებულ ღრტილასთან, დლივსა და ბოჟანოსთან დაკავშირებით, სადაც განსახილავი პერიოდის წერილობითი ძეგლები ნამდვილად ადასტურებენ სამეფო სადგომის არსებობის ფაქტს).

[10] ამ ორი წარწერის გარდა, ალასტნის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე კიდევ სამი, სავარაუდოდ, აგრეთვე, ტაძრის თანადროული, წარწერა ყოფილა ამოკვეთილი, თუმცა ეს სამი წარწერა 1850-იანი წლებისათვის უკვე საგულდაგულოდ იყო გადათლილ-წარხოცილი (ბართოლომეი, ხოძკო, პერევალენკო 1854: 342; შდრ.: როსტომაშვილი 1898: 30-31; ბერძენიშვილი 1964: 157).

[11] ამ გვიანდელი წერილობითი ძეგლებისაგან განსხვავებით, 1210-1222 წლებში მოჭრილი სპილენძის მონეტის ზედწერილის ტექსტში გიორგი-ლაშა 'ჯავახთუფლის' წოდებით არის მოხსენიებული: 'ქ. გიორგი მეფისა, თამარის ძისასა, ჯავახთ უფლისა' (კაპანაძე 1969: 78). ეს წოდება, ნიკო ბერძენიშვილის მართებული დაკვირვებით, გიორგი-ლაშას საუფლისწულო მამულის – ჯავახეთის სახელწოდებიდან უნდა იყოს წარმომდგარი (ბერძენიშვილი 1964: 145-147).

[12] გონელი არახამაის დაკვირვებით, *ძეგლი ერისთავთას* ამ ფრაგმენტში, შესაძლოა, იგულისხმებოდეს არა ვახტანგ III, ძე მეფე დემეტრე II თავდადებულისა (1270-1289 წწ.), არამედ – აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ვახტანგ II (1289-1292 წწ.), ძე დასავლეთ საქართველოს მეფის დავით VI ნარინისა (1259-1293 წწ.), შესაბამისად კი, გადმოცემული იყოს არა XIV საუკუნის დასაწყისის, არამედ 1280-იანი წლების მიწურულისა და 1290-იანი წლების დასაწყისის მოვლენები (არახამაია 1983: 133-137). დღეისათვის გონელი არახამაის ამ საინტერესო მოსაზრებას ქართველ მკვლევართა უმრავლესობა არ იზიარებს. აღნიშნული საკითხის შესახებ ჩვენ, ჯერჯერობით, საბოლოოდ ჩამოყალიბებული მოსაზრება არ გაგვაჩნია, რის გამოც *ძეგლი ერისთავთას* განსახილავ ფრაგმენტს ქართულ ისტორიოგრაფიაში უფრო მეტად მიღებული ინტერპრეტაციით წარმოვადგენთ.

[13] ეს სიტყვა სულთა მატიანის ტექსტში ქარაგმის გარეშეა მოტანილი და ზუსტად იმ სახით იკითხება, რა სახითაც ის A-613-ის ანდერძებში გვხვდება: 'ალასტნელისა' (და არა 'ალასტანელისა') (კლდიაშვილი 2008: 266. შდრ.: ჯავახიშვილი 1947: 242). შესაბამისად, თუ ციტირებული ტექსტის გამომცემელს, დარეჯან კლდიაშვილს სურდა, რომ ეს სიტყვა მაინცადამაინც 'ალასტ(ა)ნელისა'-ს ფორმით წაეკითხა, მაშინ რიგით V გრაფემის „ტ"-ს მომდევნო გრაფემა 'ა' უნდა ჩაესვა არა ჩვეულებრივ ფრჩხილში, რაც ქარაგმის გახსნის აღმნიშვნელი ტექნიკური ნიშანია, არამედ – ფიგურულ ფრჩხილში, რომლითაც, ჩვეულებრივ, ტექსტის დამწერის მიერ უნებლიედ გამოტოვებულ გრაფემებს აღნიშნავენ ხოლმე.

[14] ამ დოკუმენტს, რომელმაც ჩვენამდე მხოლოდ გვიანდელი პირების სახით მოაღწია, თარიღად 1392 წლის 1 დეკემბერი უზის: 'დაიწერა ქორონიკონს p (80+1312=1392 წ.), დეკემბერსა ერთსა' (დოლიძე 1965: 123). ალასტნის ისტორიით დაინტერესებული მკვლევრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნული თარიღი მართებულად მიიჩნია და გუჯარში გადმოცემული ისტორიული რეალიები: ალასტანი ზვარეთის მხარის ერთ-ერთი სოფელია და ის ქართლის საკათოლიკოსო საყდრის საკუთრებას წარმოადგენს, XIV საუკუნის II ნახევარს მიაკუთვნა. დღეისათვის საბოლოოდ არის გარკვეული, რომ ზემოხსენებული თარიღი (1392 წ.) მცდარია და დოკუმენტი, სინამდვილეში, 1559 წელს არის შედგენილი (კლდიაშვილი *და სხვები* 1991: 362-364). შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ გუჯარში სოფელ ალასტნის ისტორიის არა XIV საუკუნის II ნახევრის, არამედ XVI საუკუნის შუახანების რეალიებია ასახული.

[15] სამწუხაროდ, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით უცნობია, ამ ორი სოფლიდან რომელ ერთს შეესაბამება დღევანდელი სოფელი ალასტანი და შესაბამისად, სად მდებარეობდა მეორე სოფელი.

[16] თიმარი ოსმალეთის იმპერიაში მიღებული მიწათმფლობელობის ფორმა იყო. თიმარი ისეთ სამხედრო თემს ეწოდებოდა, რომელსაც ყოველწლიურად 19 999-მდე ახჩის შემოსავალი მოჰქონდა. თიმარი სახელმწიფო ხაზინის საკუთრება იყო და მას ოსმალეთის ხელისუფლება ამა თუ იმ პირს (თიმარიოტს) სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ, გარკვეული პირობით გადასცემდა. თიმარის პარალელურად, არსებობდა ზიამეთიც ანუ შედარებით უფრო მსხვილი სამხედრო თემი, რომელსაც ყოველწლიურად 20 000-დან 100 000 ახჩის შემოსავალი მოჰქონდა.

[17] *გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის* 'ქვემო-ალასთანისა' და ჩილდირის ვილაიეთის მოკლე დავთრის' 'ქედა ალისბანის' იდენტიფიცირებისათვის, მათი სახელების მსგავსების გარდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ორივე ამ სოფელს 10 999 – 10 999 ახჩა აქვს შეწერილი. ზუსტად იგივე ითქმის *გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის* 'ზემო-ალასთანისა' და *ჩილდირის ვილაიეთის მოკლე დავთრის* 'ქვემო ალისბანის' იდენტიფიკაციის შესახებ: ორივე ამ სოფელს 10 500 – 10 500 ახჩის გადახდა აქვს დაკისრებული (იხ. ქვემოთ).

[18] დასახლებული სამი სოფლის გამოსაღების საერთო ჯამი (13 000 + 10 999 + 13 297 = 37 296 ახჩა), 'წილის' თანხის გამოკლებითაც კი (37 296 – 8 000 = 29 296 ახჩა), ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, რაოდენობრივად არ შეესაბამება გამოსაღების დოკუმენტში მითითებულ ჯამს (21 999 ახჩა).

[19] მართალია, ვახუშტი ბაგრატიონის ხსენებული ატლასები 1735 და 1745 წლებშია შედგენილი, მაგრამ სრულიად ცხადია, რომ მათში 1724 წლამდე არსებული ვითარებაა ასახული: ვახუშტი ბაგრატიონი 1724 წელს საქართველოდან რუსეთში სამუდამოდ გადასახლდა და ამიტომ მისი ატლასები, მირითადად, იმ მასალაზეა დამყარებული, რომელიც მწიგნობარ ბატონიშვილს საქართველოში ყოფნის დროს, რუსეთში გადასახლებამდე ჰქონდა თავმოყრილი. აქვე, შევნიშნავთ იმასაც, რომ ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიულ მითითებებთან გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის 1694-1732 წლებში შედგენილი *ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი*, სადაც აღარც ზემო და აღარც ქვემო ალასტანი მოქმედი სოფლების ჩამონათვალში შეტანილი არ არის (აბულაძე, სვანიძე 1979). ჩვენ, ჯერჯერობით, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, როგორ უნდა აიხსნას აღნიშნული წინააღმდეგობა, თუმცა კი, არ არის გამორიცხული, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ატლასსა და „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარს" შორის, რეალურად, არანაირი წინააღმდეგობა არ არსებობდეს და ეს ძეგლები ალასტნის ისტორიის სხვადასხვა ეტაპებს ასახავდნენ. მაგალითად: ვახუშტი ბაგრატიონი XVIII საუკუნის I მეოთხედის ვითარებას გადმოგვცემდეს, *ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი* კი 1724-1732 წლების რეალიებს წარმოგვიდგენდეს. ან პირიქით, *ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი* XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის I მეხუთედის სურათს ასახავდეს, ვახუშტი ბაგრატიონი კი 1720-იანი წლების ვითარებას გადმოსცემდეს.

[20] ჩვენს მიერ ნახსენები თოკის მონასტერი სოფელ ალასტნიდან სამხრეთ-დასავლეთით, პირდაპირი ხაზით, დაახლოებით, 10 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ფარავანის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. მისი სახელწოდება (თოკის მონასტერი) პირობითია და მონასტერთან ყველაზე უფრო ახლოს მდებარე დასახლებული პუნქტიდან, სოფელ თოკის სახელწოდებიდან, სულ ათიოდე წლის წინაა ნაწარმოები. მონასტერი ყველაზე უფრო სრულყოფილად დეტი ბერძენიშვილის, ირინე ელიზბარაშვილის, ნიკოლოზ ვაჩეიშვილისა და ციცინო ჩაჩხუნაშვილის მიერ არის აღწერილი: 'თოკიდან სამხრეთ-დასავლეთით, 2 კმ-ის დაცილებით, ფარავნისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს მონასტერი. მისი სახელწოდება უცნობია. სოფელთან სიახლოვის გამო მას პირობითად "თოკის მონასტერს" ვუწოდებთ. შვეულ ფერდობზე, სადაც არათუ მშენებლობა, თავისუფლად მოძრაობაც არ არის უსაფრთხო – ტერასულად განლაგებულია ერთ ბირთვად შეკრული სხვადასხვა დროის ნაგებობები. ზევით მოზრდილი დარბაზული ეკლესიაა, ქვევით – მცირე სამლოცველო. ზედა ეკლესიის სამხრეთის ფასადიდან დაშვებული კედელი დასავლეთით უხვევს და მცირე სამლოცველოს სამხრეთის კედლიდან ოდნავ მოშორებით წყდება – აქედანაა მონასტრის შესასვლელი. სამშენებლო მასალად გამოყენებული ქვა მონაცრისფრო-მოლურჯო ფერისაა, სწორედ ისეთი, ზაფხულობით რომ გადაეკვრება მოწმენდილ ცას დაბინდებისას. აქეა წყაროც. ქვევით, ღრმა ხეობაში მდორედ მიედინება ფარავანისწყალი. გაღმა, კანიონის თავზე ნასოფლარი ცხეკნელია. იქიდან დაშვებული მაღალი, დანაოჭებული ფერდობების ძირში ბაღებია გაშენებული, რომელთა შორის ნიასას ეკლესიის ნანგრევები ჩანს. ხეობის გაღმა-გამოღმა, ერთმანეთის საპირისპიროდ მდებარე თოკის მონასტერს და ნიასას ადგილობრივები და-ძმას უწოდებენ. მონასტრის ნაგებობებიდან გამოირჩევა IX საუკუნეში აგებული მცირე სამლოცველო, რომელიც ჯვახეთში დღემდე შემორჩენილი ერთ-ერთი ადრინდელი ეკლესიაა. იგი ამ მხარეში მონასტრების დაარსების საკითხთან დაკავშირებითაცაა საინტერესო. მეტად შთამბეჭდავია ეს ჰატარა, ნახევრად მიწაში ჩამჯდარი ნაგებობა – მომცრო, ასიმეტრიული ბლოკებით ამოყვანილი კედლებითა და თლილი ქვის ზუსტად ნაწყობი ნალისებური თაღით, კონქითა და კუთხეებით, ძველი ტრაპეზით და რაც ძალზე არსებითია, თაღით გახსნილი დასავლეთის კედლით. მისი ხილვა ძალაუნებურად აღძრავს წარსული ცხოვრების სურათების წარმოსახვის სურვილს. ნეტავი ვინ აგებდა ამ შენობას, ან როგორი იყო მღვდელმსახურება. დასახლებიდან დაშორებული, დასავლეთიდან ღია, ცხადია, იგი სოფლის ეკლესია არაა, არც გაბდეგილის სამლოცველოს ჰგავს. შესაძლოა, ეს მემორიალური ნაგებობა იყოს, გამორჩეული წმიდანის დაკრძალვის ადგილზე აგებული, სადაც მოგვიანებით მონასტერი დაარსეს. მონასტრის მეორე ეკლესია XIII საუკუნეშია აგებული. იგი თლილი ქვით შემოსილი, შედარებით მოზრდილი ნაგებობაა, ორგანყოფილებიანი მინაშენით ჩრდილოეთიდან, რომლის აღმოსავლეთის მონაკვეთი თაღით უკავშირდება დარბაზს. ამგვარი გადაწყვეტა მას ორნავიან ეკლესიებთან ახლოებს. მინაშენის მოწყობა სამხრეთიდანაც იყო ჩაფიქრებული, რაც ადგილის სიმცირის გამო, როგორც ჩანს, არ განხორციელდა. ეკლესიის მოხატვა თავიდანვე იყო გადაწყვეტილი. კედლის ფერწერამ ჩვენამდე არ მოაღწია. მხოლოდ ბათქაშის ფრაგმენტები ჩანს ადგილ-ადგილ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან დარბაზს კამარა აღარ გააჩნია და გაშიშვლებული კონსტრუქციები ჰაერშია გამოკიდებული. ფასადები

XIII საუკუნისათვის შეუფერებლად ძუნწადა არის გაფორმებული. თოკის მონასტრის დიდი ეკლესია იმ დროსაა აგებული, როდესაც სამშენებლო ოსტატობა ჯერ კიდევ მაღალ დონეზეა, თუმცა უკვე იგრძნობა ერთგვარი სიმშრალე და უზუსტობები. რაც მთავარია, ოსტატი ვერც ფუნქციურად აუცილებელი სათავსების ერთ კომპოზიციად შეკვრას ახერხებს, რაც ასევე შეინიშნება აღნიშნული ხანის უმუმბათო ეკლესიებში' (*თუმანიშვილი და სხვები* 2000: 85-86).

[21] თეორიულად, აქ, შეიძლებოდა, ის ვარაუდიც დაგვეშვა, რომ 'ბიძანა' აბრაჰამის მამის სახელი იყო და „ბიძანაშვილობაც" მის არა გვარს, არამედ ვინმე ბიძანას შვილობას (ვაჟობას, ძეობას) აღნიშნავდა. თუმცა, იმავე A-613-ის კოლოფონებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ეს ვარაუდი ნაკლებად სარწმუნოა და „ბიძანაშვილი" უეჭველად აბრაჰამის გვარი იყო. ამ მხრივ, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ორი გარემოება: 1. A-613-ის არცერთ კოლოფონში კომპოზიტი 'ბიძანასშვილი'-ს პირველი ნაწილის – 'ბიძანას' შემდეგ განკვეთილობის ნიშანი დასმული არ არის, რაც, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ კოლოფონების დამწერი 'ბიძანაშვილს' ორ დამოუკიდებელ სიტყვად – 'ბიძანად' და 'შვილად' არ ანაწევრებდა, ამ კომპოზიტს ერთ მთლიან სიტყვად მოიაზრებდა და „ბიძანაშვილობასაც", შესაბამისად, არა აბრაჰამის მამისშვილობად, არამედ მის გვარად განიხილავდა; 2. A-613-ის გადამწერ დემეტრეს თავისი მამისშვილობის (აბრაჰამის ვაჟობის) ფაქტი ხელნაწერის ოთხ ანდერძში (I.9, I.12, I.20 და I.28) აქვს აღნიშნული. აქედან, სამ კოლოფონში იგი საკუთარ თავს 'ძე აბრაჰამისას' ან 'აბრაჰამის ძეს' უწოდებს (I.12. 'დიმიტრი... <u>ძე აბრაჰამისი</u>'; I.20. '<u>ძე აბრაჰამისა</u>... დიმიტრი' I.28. '<u>აბრაჰამ... და ძე მისი</u>... დიმიტრი'), ხოლო მეოთხე კოლოფონში – 'აბრაჰამის შვილს' (I.9. '*<u>აბრაჰამს... და მისსა შვილსა</u>... დიმიტრის*'). ამ ოთხი ანდერძის ანალოგიით, აბრაჰამი, თუკი მის 'ბიძანაშვილობას' არა გვარის, არამედ მამისშვილობის მნიშვნელობით გავიაზრებთ, A-613-ის კოლოფონებში, სულ მცირე, ერთხელ მაინც უნდა ყოფილიყო მოხსენიებული როგორც 'ძე ბიძანასი' ან როგორც 'ბიძანას ძე'. ხოლო ვინაიდან A-613-ის ანდერძებში ამგვარი ფორმა საერთოდ არ გვხვდება, კიდევ უფრო გვიმყარდება აზრი, რომ 'ბიძანაშვილი' აბრაჰამის სწორედ გვარი იყო.

[22] სხვათა შორის, A-613-ის ანდერძებში არაერთგზის იხსენიებიან აბრაჰამ ბიძანაშვილების შვილები, ძმები, შვილები და ნათესავებიც კი, ოღონდ, სამწუხაროდ, ყოველთვის სახელის გარეშე: I.9. '<u>აბრაჰამს ბიძანაშვილისა... და მშობელთა მისთა</u> შეუნდვნეს ღმერთმან; I.11. '<u>აბრაჰამ დეკანოზსა... და მშობელთა მისთა და შვილთა და ტომთა მისთა ყოველთავე</u> შეუნდვნეს ღმერთმან'; I.17. 'სულსა <u>აბრაჰამ ბიძანაშვილისასა</u> შეუნდვნეს ღმერთმან... და <u>მშობელთა მისთა</u> შეუნდვნეს ღმერთმან'; I.18. '<u>ბიძანაშვილსა აბრაჰამს... და მშობელთა მისთა</u> შეუნდვნეს ღმერთმან' I.21. 'წმიდაო გიორგი და წმიდაო თეოდორე ალასტნისაო... მეოხ ეყვენით დღესა მას განკითხვისასა <u>აბრაჰამს... ბიძანაშვილსა, მშობელთა და ძმათა და შვილთა და ნათესავთა მისთა</u>' I.23. '<u>აბრაჰამს და მშობელთა მისთა</u> შეუნდვნეს ღმერთმან' და I.27. '<u>აბრაჰამს და მშობელთა მისთა</u> შეუნდვნეს ღმერთმან'. აღნიშნული ნაკლოვანების (სახელების მოუხსენებლობა) მიუხედავად, ციტირებულ კოლოფონებს გარკვეული მნიშვნელობა მაინც აქვს აბრაჰამ ბიძანაშვილის ოჯახური წრის შესახებ მეტნაკლებად ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად. მართლაც, ამ ანდერძებში აბრაჰამის ძმები და შვილები მრავლობით რიცხვში არიან ნახსენები, რაც ცალსახად მიგვითითებს იმაზე, რომ ალასტნის მონასტრის დეკანოზს, სულ მცირე, ორი ძმა და ორი შვილი (აქედან, ერთ-ერთი ვაჟი – დემეტრე) მაინც ჰყავდა. სხვათა შორის, აბრაჰამ ბიძანაშვილის ოჯახის წევრებისა და ნათესავების უჩვეულოდ ხშირი მოხსენიების ფონზე, გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ A-613-ის მრავალრიცხოვან ანდერძებში აბრაჰამის თანამეცხედრე (//დემეტრეს დედა) ერთხელაც კი არ არის ნახსენები. ჩვენ, ჯერჯერობით, არ შეგვიძლია იმის თქმა, თუ რა უნდა იყოს ამ უცნაური მოვლენის მიზეზი.

[23] ეს ბოლო კოლოფონი ნიკოლოზ იშხნელს H-5226-ის 5v-ს მარცხენა ამიაზე აქვს შესრულებული, თუმცა კი მასში შეტანილი მითითება ძირითადი ტექსტის არა მარცხენა, არამედ მარჯვენა სვეტში შესრულებულ სიტყვას მიემართება. აღნიშნული დეტალი, როგორც ჩანს, შეუმჩნეველი დარჩა ხელნაწერის ერთ-ერთ მოგვიანო ხანის მკითხველს, რომელმაც ნიკოლოზ იშხნელის მითითებასთან დაკავშირებული სიტყვა კოლოფონის მომიჯნავე, მარცხენა სვეტში ვერ იპოვნა და ამიტომ იშხნელი მღვდელმთავარი, „ცრუ მითითების" გამო, საკმაოდ უხამსად და აგდებულად მოიხსენია: 'აპრუწვინ ბძანებულა ბატონი იშხნელი'.

დამოწმებანი

აბულაძე, სვანიძე 1979: ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. 1694-1732 წლები. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბილისი: მეცნიერება (1979).

ათანელიშვილი 1982: ლ. ათანელიშვილი. ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, თბილისი: მეცნიერება (1982).

არახამია 1983: გ. არახამია. 'ძეგლი ერისთავთა'-ს ისტორიული პირთა იდენტიფიკაციისა და ქრონოლოგიის საკითხისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 4, თბილისი: მეცნიერება (1983).

ბართოლომეი და *სხვები* 1854: Lettres de M. Bartholomaei, relatives aux antiquités Géorgiennes; envoi de M. le colonel Khodzko; inscriptions d'Akhal-Kalak, par M. Pérévalenko. (Lu le 14 octobre 1853). (Avec 5 planches lithographiées). Mélanges Asiatiques. Tirés du Bulletin historico-philologique de l'Académie Impériale des Sciences de St.-Pétersbourg. T. II. 3e livr. Avec 5 planches lithographiées, St.-Pétersbourg: Imprimerie de l'Académie Impériale des Sciences (1854).

ბერძენიშვილი 1964: ნ. ბერძენიშვილი. ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური (საანგარიშო მოხსენება). წგნ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. I, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა (1964).

ბერძენიშვილი 1965ა: ნ. ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. წგნ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. II, თბილისი: მეცნიერება (1965).

ბერძენიშვილი 1965ბ: Н. Бердзенишвили. Из истории феодальных отношений в Грузии XV в. წგნ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. II, თბილისი: მეცნიერება (1965).

ბერძენიშვილი 1966: ნ. ბერძენიშვილი. ეზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი: მეცნიერება (1966).

ბერძენიშვილი 1975ა: დ. ბერძენიშვილი. ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. V, თბილისი: მეცნიერება (1975).

ბერძენიშვილი 1975ბ: დ. ბერძენიშვილი. ალასტანელი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1. ა-ატოცი, თბილისი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი (1975).

ბერძენიშვილი 1979: დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი. ნაკვ. I, თბილისი: მეცნიერება (1979).

ბერძენიშვილი 1985: დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, თბილისი: მეცნიერება (1985).

ბრეგაძე 1988: გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ხელნაწერები აღწერა, შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ, თბილისი: მეცნიერება (1988).

ბრეგაძე და სხვები 1973: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (H) კოლექცია. ტ. VII. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჭანკვეტმა, ე. მეტრეველის რედაქციით, თბილისი: მეცნიერება (1973).

ბრეგაძე და სხვები 1973: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტ. I1. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბილისი: მეცნიერება (1973).

ბრეგაძე და სხვები 1976: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტ. I2. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიძეშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯღამაიამ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი: მეცნიერება (1976).

გაბიძაშვილი და სხვები 2007ა: დეკანოზი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. ავტორ-შემდგენელნი: ე. გაბიძაშვილი (ხელმძღვანელი), მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე, თბილისი: (2007).

გაბიძაშვილი და სხვები 2007ბ: მეტაფრასი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. ავტორ-შემდგენელნი: ე. გაბიძაშვილი (ხელმძღვანელი), მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე, თბილისი: (2007).

გამყრელიძე 1960: მიქელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და საძიებლებით გამოსცა ალ. გამყრელიძემ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 33, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა (1960).

დოლიძე 1965: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი: მეცნიერება (1965).

დოლიძე 1970: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი: მეცნიერება (1970).

ვახუშტი ბაგრატიონი 1997: ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი (XVIII ს.), თბილისი: საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტის თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკა (1997).

თაყაიშვილი 1913: ექ. თაყაიშვილი. საისტორიო მასალანი. ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტ. II. ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი: ელექტრომზეჭდავი სპირიდონ ლოსაბერისძისა (1913).

თაყაიშვილი 1915: Е. Такайшвили. Археологическія Экскурсіи, разысканія и заметки. Вып. V. Перепечатано изъ XLIV выпуска 'Сборника матеріаловъ для описанія местностей и племенъ Кавказа', Тифлисъ: Типографія наследн. К. П. Козловскаго (1915).

თუმანიშვილი და სხვები 2000: ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი. რედაქტორი: დ. თუმანიშვილი. ტექსტის ავტორები: ისტორია, ისტორიული გეოგრაფია: დ. ბერძენიშვილი; ნივთიერი კულტურის ძეგლები: ი. ელიზბარაშვილი, ნ. ვაჩეიშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი, თბილისი: ნეკერი (2000).

ინგოროყვა 1963: პ. ინგოროყვა. რუსთველიანას ეპილოგი. წგნ.: პ. ინგოროყვა. თხზულებათა კრებული. ტ. I, თბილისი: საბჭოთა საქართველო (1963).

კაკაბაძე 1914ა: ს. კაკაბაძე. დავით უცნობი მე-XIV საუკუნის მეფე. წგნ.: ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. წგნ. I, ტფილისი: ელექტ.-მბეჭ. ს. ლოსაბერიძისა (1914).

კაკაბაძე 1914ბ: ს. კაკაბაძე. მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი. წგნ.: ს. კაკაბაძე. წვრილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, ტფილისი: ელექტრ.-მბეჭ. სტამბა არ. კერესელიძისა (1914).

კაკაბაძე 1924: ს. კაკაბაძე. ვეფხის-ტყაოსნის პრობლემის გარშემო. საისტორიო მოამბე. წგნ. I, ტფილისი: (1924).

კაკაბაძე 1982: Грузинские документы IX-XV веков в собрании Ленинградского отделения Института востоковедения Академии Наук СССР. Перевод и комментарии С. Какабадзе, Москва: Наука (1982).

კაპანაძე 1969: დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა (1969).

კიკნაძე 1989: ვ. კიკნაძე. საქართველო XIV საუკუნეში, თბილისი: მეცნიერება (1989).

კლდიაშვილი 2008: დ. კლდიაშვილი. ქართული სამონასტრო სულთა მატიანები. წგნ. I. სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე, თბილისი: ნეკერი (2008).

კლდიაშვილი და სხვები 1991: პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. I. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ელ. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბილისი: მეცნიერება (1991).

მახარაძე, შენგელია 2008: ჩილდირის ვილაიეთის მოკლე (ოჯმალ) დავთარი. თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს მ. მახარაძემ და ნ. შენგელიამ, თბილისი: ჰოროსი XXI (2008).

მესხია 1954: ბეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე). ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 30, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა (1954).

მეტრეველი 1962: ელ. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა (1962).

მუსხელიშვილი 2003: საქართველოს ისტორიის ატლასი. მთავარი რედაქტორი: დ. მუსხელიშვილი, თბილისი: კარტოგრაფია (2003).

ნინიძე 1987ა: დ. ნინიძე. სოფელ ალასტნის ისტორიიდან. მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის. ნაკე. მესამე, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა (1987).

ნინიძე 1987ბ: დ. ნინიძე. ვახტანგ III-ის გარდაცვალების თარიღისათვის. [თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი. ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო]. შრომები. XIV. ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა (1987).

ნინიძე, სანაძე 1990: დ. ნინიძე, მ. სანაძე. ჰოვჰანავანქის მონასტრის ეგვტრის წარწერა და ალასტანელ `პროვინციის მეფეთა~ ისტორიის ზოგიერთი საკითხი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 3, თბილისი: მეცნიერება (1990).

ნინიძე 1993: დ. ნინიძე. ალასტანელ 'პროვინციის მეფეთა' სამფლობელოს წარმოქმნის ისტორიისათვის. მნათობი. 7-8, თბილისი: სამშობლო (1993).

ნინიძე 1995: დ. ნინიძე. 'პროვინციის მეფეები' XIV-XV საუკუნეების საქართველოში (ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიიდან), თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა (1995).

ნინიძე 1997: დ. ნინიძე. ალასტანელები. საქართველო. ენციკლოპედია. 1. ა-გილდია, თბილისი: (1997).

ნინიძე 2004: დ. ნინიძე. ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII საუკუნეები), თბილისი: მერიდიანი (2004).

ოდიშელი 1964: ჯ. ოდიშელი. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს.). XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბილისი: მეცნიერება (1964).

ჟორდანია 1897: ქრონიკები და მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წგნ. მეორე (1213 წლიდამ 1700 წლამდე), ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა (1897).

ჟორდანია 1902: Описаніе рукописей Тифлисскаго Церковнаго Музея Карталино-Кахетинскаго духовенства, составленное Ф. Жорданія. Кн. II, Тифлисъ: Гутенбергъ (1902).

როსტომაშვილი 1898: И. Ростомовъ. Ахалкалакской уездъ въ археологическомъ отношеніи. Сборникъ Матеріаловъ для Описанія Местностей и Племенъ Кавказа. Вып. двадцать пятый, Тифлисъ: Типография Канцеляріи Главноначальствующаго гражданскою частію на Кавказе и К. Козловскаго (1898).

სილაგაძე, თოთაძე 1997: ავ. სილაგაძე, ა. თოთაძე. გვარ-სახელები საქართველოში, თბილისი: ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი (1997).

სილოგავა 1980: ვ. სილოგავა. ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის 1977 წლის მუშაობის ანგარიში. მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. VII, თბილისი: მეცნიერება (1980).

სილოგავა, შენგელია 2006: ვ. სილოგავა, კ. შენგელია. ტაო-კლარჯეთი, თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა (2006).

სიხარულიძე 1997: ი. სიხარულიძე. ალასტანი. საქართველო. ენციკლოპედია. 1. ა-გილდია, თბილისი: (1997).

ქებულაძე 1971: რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, თბილისი: მეცნიერება (1971).

ყაუხჩიშვილი 1959: ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, თბილისი: საბჭოთა საქართველო (1959).

ყაუხჩიშვილი 1973: ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: საბჭოთა საქართველო (1973).

შარაშიძე 1961: სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა (1961).

შოშიაშვილი 1966: ნ. შოშიაშვილი. თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთველი. შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი: მეცნიერება (1966).

ცისკარიშვილი 1959: ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა (1959).

ჭიჭინაძე 1905: სამცხე-საათაბაგო. ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობები ხალხზედ, ვაჭრობაზედ, კათოლიკობასა და მათ სამღვდელოებაზედ და სხვანი. აღწერილი და დაბეჭდილი ზ. ჭიჭინაძისაგან, ტფილისი: მსწრაფლ-მბეჭდავი ა. რ. ქუთათელაძისა (1905).

ხარაძე 2003: ჯ. ხარაძე. ჯავახეთის ხუროთმოძღვრული და ბუნების ძეგლები, თბილისი: ფავორიტი (2003).

ხოშტარია 1980: ე. ხოშტარია (ბროსე). 'ძეგლი ერისთავთას' ზოგიერთი რეალიის გაგებისათვის. მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. VII, თბილისი: მეცნიერება (1980).

ჯავახიშვილი 1947: ივ. ჯავახიშვილი. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა (1947).

ჯავახიშვილი 1966: ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წგნ. მესამე, თბილისი: საბჭოთა საქართველო (1966).

ჯიქია 1941: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარიები დაურთო ს. ჯიქიამ. წგნ. II, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა (1941).

ჯიქია 1958: ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წგნ. III. გამოკვლევა. 1. ხელნაწერის აღწერილობა. 2. შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა (1958).

ჯოჯუა 2002: თ. ჯოჯუა. წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე და 1160 წელს გარეკში გადაწერილი ერთი უცნობი ხელნაწერი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები. V. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში 2001 წლის 24-27 სექტემბერს ჩატარებული ინსტიტუტის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა დარგთაშორისი კონფერენციის მასალები, თბილისი: მემატიანე (2002).



სურ. 1. A-613-ის პირველი ნაწილის (მეტაფრასის) ერთ-ერთი გვერდი, 48v, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



სურ. 2. A-613-ის პირველი ნაწილის (მეტაფრასის) ერთ-ერთი გვერდი, 78r, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



სურ. 3. A-613-ის მეორე ნაწილის ერთ-ერთი გვერდი, 157v, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



სურ. 4. H-5226-ის ერთ-ერთი გვერდი, 1r, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



სურ. 5. A-613-ის ერთ-ერთი გვერდი, 101r, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



სურ. 6. პატრონი იოთამის, პატრონი არფაქსადისა და პატრონი თამარის მოსახსენებლები,H H-5226, 4v, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



სურ. 7. ანდერძი მამა ამბროსეს მოხსენიებით, A-613, 112v, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



სურ. 8. დემეტრე ბიძინაშვილის მიერ გაკრული ხელით დაწერილი ერთ-ერთი გვერდი, A-613, 143r, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

Metaphrastic Collection (A-613//S5226) Copied in the First Half of the 16th Century at Chalta St.George Monastery in Alastani, its "Testaments" and Colophons (Materials for the History of Literature Centers of Javakheti)

Temo Jojua

1. The Metaphrastic collection under consideration is preserved in the 'Collection A' of Georgian manuscripts (A-613), the National Center of Manuscripts. In the course of time, the manuscript had been split up into individual folios. 34 "testaments" written in hand of the copyist, and 74 colophons from the later period are found in the manuscript. Text selections of only three colophons have been published till now. The present article deals with the following first published issues: a) Technical descriptions, texts in original script and my readings of the colophons; b) Text readings of the later period colophons and some technical data on them.

2. Fragment of a manuscript comprising six detached folios is preserved in the 'Collection S' of Georgian manuscripts (S-5226). Three "testaments" written in hand of the copyist, and two colophons from the later period are found on the folios. All five texts have been published. Based on paleographical analysis and study of the testaments of S-5226, I have established that S-5226 and A-613 belong to the same Metaphrastic collection.

3. "Testaments" of A-613/S-5226 does not comprise date of copying. Based on the paleographical peculiarities of the main text, considerations were given that A-613 was copied in 12th-15th cc. (Tedo Zhordania), and S-5226 in 16th-17th cc. (Tamar Bregadze). Based on the paleographical analysis of the main text of A-613/S-5226 and study of three colophons of the later period, I have established that the manuscript A-613/S-5226 was copied in the first half of the 16th century.

4. Place of copying is not mentioned directly in the manuscript, though based on one of the colophons of A-613, Tedo Zhordania has made an assumption that the manuscript "was copied for the Chalta St. George Church of Alastani province, within Lore region". Based on the study of colophons of A-613/S-5226 I have concluded that the manuscript was copied specially for the Chalta St. George Church of Alastani lying in the northern part of the Upper Javakheti historical province, within the boundary of the modern Akhalqalaqi municipality, in the lands of the village of Alastani lying by the Chobareti River. No information is found about the monastery in other written sources (Exact location of the Alastani Monastery has not been yet concluded).

5. Four historical figures are mentioned in the colophons of A-613/S-5226: a) Ambrose, the Father Superior of Alastani Monastery; b) Abraham Bidzanashvili, archpriest of the Alastani Monastery, who had commissioned A-613/S-5226; c) Demetre Bidzanashvili, son of archpriest Abraham, copyist of the manuscript A-613/S-5226; and finally d) Solomon, one of the monks from the Alastani Monastery, who had close relationship with Demetre Bidzanashvili. Until now, only two names, out of the four mentioned above, were known to the scholarship: Abraham and Demetre Bidzanashvilis. The first attempt of studying life and activities of all four historical figures mentioned in the manuscript under consideration has been accomplished in the article.

6. Accounts found in written monuments linked with the village of Alastani and its antiquities are discussed in detail. As I have established, the title of "Alastneli", well known in the Georgian historiography, which was used by heirs to the throne of Georgia (e.g. by Lasha-Giorgi), as well as by representatives of the side branch of the Bagrationis' Royal House ("province kings") in a course of 13th-15th centuries, had totally lost its old content and significance by the first half of the 16th century: it was used simply as a church title of Abraham Bidzanashvili, archpriest of the Alastani Monastery.

7. Texts of three memorial colophons found on folio 4v of S-5226 were first studied. As I have established, in the second half of the 16th century the Chalta St. George Monastery, as well as the manuscript A-613/S-5226 held there, belonged to the Feudal House of Arpaqsad Iotamis-Dze (Shalikashvili?), the prominent historical figure, owner of Khertvisi Fortress.

8. Nine marginal colophons of A-613/S-5226, written in the same hand by prominent historical figure Nikoloz, the last bishop of Ishkhani, have been first studied. As a result, the following results have been obtained: a) Different issues associated with the life and activities of Nikoloz of Ishkhani are given in a new light; b) It was established that by the last two decades of the 17th century the manuscript A-613/S-5226 was already transferred to Qartl-Kakheti province and became possession of one of the local churches or monasteries.

ისტორიოგრაფიული ძიებანი

წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (1959-2009)[1]

მზია სურგულაძე

1959 წელს ახლად დაარსებულ ხელნაწერთა ინსტიტუტს[2] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებიდან ხელნაწერ წიგნებთან ერთად გადაეცა ქართული და აღმოსავლური ისტორიული საბუთების კოლექციები, რომლებიც XIX საუკუნის II ნახევარსა XX საუკუნის დასაწყისში ქართველი საზოგადო მოღვაწეების უდიდესი ენთუზიაზმით შეგროვდა. ეს იყო ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექცია (ფონდი Sd), საეკლესიო მუზეუმის (ფონდი Ad), ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების კოლექცია (ფონდი Hd). ამათ დაემატა ახალი, კერძო პირთა შემოწირულობების თუ ნასყიდობის გზით საკუთრივ ინსტიტუტში ჩამოყალიბებული Qd ფონდი. საერთო ჯამში ამ კოლექციებმა შეადგინეს 40 ათასამდე ერთეული.

ასეთი რაოდენობის ისტორიული დოკუმენტების თავმოყრამ სერიოზული წინაპირობა შექმნა როგორც საქართველოს, ასევე მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებისათვის. ამ უაღრესად საპატიო ამოცანამ განსაზღვრა ხელნაწერთა ინსტიტუტში წყაროთმცოდნეობითი პროფილის განყოფილების ჩამოყალიბება,[3] სადაც ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა როგორც საკუთრივ ისტორიული საბუთების აღწუსხვა-კატალოგიზაცია-შესწავლა, ასევე ნარატიული წყაროების გამოსაცემად მომზადება. ამასთანავე იქმნებოდა მრავალფეროვანი ისტორიოგრაფიული გამოკვლევები.

ამ განყოფილების უპირველესი საზრუნავი იყო ისტორიული დოკუმენტების ფონდების მოწესრიგება – ცალკეული კოლექციების სრული აღწუსხვა და კატალოგიზაცია, რაც განყოფილების იმჟამინდელი ხელმძღვანელის, ნოდარ შოშიაშვილის თაოსნობით რამდენიმე წელიწადში შეასრულა ისტორიკოსთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა (თ. ენუქიძე, გ. ჯანდიერი, შ. ბურჯანაძე, ჯ. ოდიშელი). მაშინ შედგენილი ქრონოლოგიური კატალოგები დღემდე ემსახურება შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ სპეციალისტებს, მაგრამ ეს იყო კატალოგიზაციის მხოლოდ პირველი ეტაპი.

ქართული ისტორიული დოკუმენტები, გარდა ხელნაწერთა ინსტიტუტისა, დიდი რაოდენობითაა თავმოყრილი საქართველოს ეროვნულ არქივში, შედარებით მცირე კოლექციებია ქუთაისის, ზუგდიდის, გორის, თელავის და სხვა რაიონული ცენტრების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში. სხვადასხვა რაოდენობის ქართული საბუთები ინახება საზღვარგარეთულ სიძველეთსაცავებში – პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, მოსკოვის არქივებში, ერევანსა და კიევში.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა ქართული საბუთების გაერთიანებული კატალოგის შექმნა, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა სრული ინფორმაცია სხვადასხვა საცავში გაფანტული ქართული დოკუმენტების დაცულობის, შინაარსის, ქრონოლოგიის, ურთიერთმიმართების და არსებული პუბლიკაციების შესახებ. ამ მიზნით 1970-იან წლებში ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები ინტენსიურად თანამშრომლობდნენ ისტორიულ არქივთან, მივლინებულნი იყვნენ საქართველოს რეგიონალურ ცენტრებში ადგილობრივ მუზეუმებში ქართული საბუთების მოსაძიებლად და აღსანუსხად. მთელი ეს მასალა თავს იყრიდა ხელნაწერთა ინსტიტუტის დიპლომატიკის განყოფილებაში (ასე ეწოდებოდა ამ დროს ყოფილ ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების განყოფილებას), სადაც, რომ არა ხელისშემშლელი გარემოებები, სამომავლოდ განზრახული იყო მისი გამოსაცემად მომზადება.[4] ისტორიული დოკუმენტების კატალოგებზე მუშაობა სხვადასხვა საძიებო კრიტერიუმის გამოყენებით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ამჟამადაც გრძელდება, მზადდება კატალოგის ელექტრონული და ბეჭდური ვერსიები.

ამავე წლებში რუსეთის არქივებში მივლინებულმა ინსტიტუტის თანამშრომლებმა ადგილებზე აღწუსხეს (რაობა, თარიღი, მოკლე ანოტაცია) რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობებისა და რუსეთის ქართული კოლონიის საქმიანობიის ამსახველი რუსულენოვანი საბუთები. ამ პერიოდში სულ აღინუსხა 1700 რუსულენოვანი დოკუმენტი.[5]

ქართული წყაროთმცოდნეობის განვითარების ყოველ ეტაპზე პირველი რიგის ამოცანად რჩებოდა დოკუმენტური წყაროების პუბლიკაცია. ასეთი პუბლიკაციების სიმცირე აფერხებდა ისტორიის ე.წ. დამხმარე და სპეციალური დისციპლინების განვითარებას, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენდა ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლაზე. სწორედ ხელნაწერთა ინსტიტუტი აღმოჩნდა ის სამეცნიერო დაწესებულება, სადაც ქართულ მასალაზე დაყრდნობით პირველად შეიქმნა ნაშრომები სფრაგისტიკაში, ფილიგრანოლოგიაში, ახალ საფეხურზე ავიდა ისტორიული გენეალოგია და ქრონოლოგია, შემდგომი განვითარება ჰპოვა პალეოგრაფიამ და დიპლომატიკამ. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სინამდვილეში, ამ დისციპლინათა უმეტესობა ხელნაწერთა ინსტიტუტში დაიბადა.[6]

ქართულ სფრაგისტიკაში უდიდესი მუშაობა გასწია ანა ბაქრაძემ. მან მოამზადა ქართულ საბეჭდავთა კატალოგი ორ წიგნად, რომლებშიც სისტემატიზირებულია მეფეების, დედოფლების, მღვდელმთავრების, სხვადასხვა რანგის მოხელეთა ბეჭდების გრაფიკული ანაბეჭდები. განხილულია დოკუმენტების დაბეჭდვის წესები, გაშიფრულია ბეჭდების ლეგენდები და იდენტიფიცირებულია მათი მფლობელები. მართალია, ამ გამოცემის პოლიგრაფიული დონე არ არის მაღალი, მაგრამ დოკუმენტებზე მომუშავე სპეციალისტებს იგი მაინც უდიდეს დახმარებას უწევს (ბაქრაძე 1969: 3-31; მასალები 1978, 1988).

საკმაოდ დიდი მასივი ისტორიული საბუთებისა, უთარიღოა. ასეთი მასალა მანამ, სანამ იგი არ განისაზღვრება ქრონოლოგიური მიჯნებით, მოკლებულია ყოველგვარ წყაროთმცოდნეობით ღირებულებას. ამიტომ ყოველ ასეთ ძეგლზე მუშაობას თან სდევს მისი დათარიღებისათვის ხელჩასაჭიდი სანდო მახასიათებლების მოძიება – იქნება ეს პალეოგრაფიული, კოდიკოლოგიური თუ ტექსტოლოგიური ხასიათისა. დოკუმენტური მასალის ქრონოლოგიურად მოწესრიგება, თავის მხრივ, აზუსტებს გენეალოგიურ ცნობებს, ორივე ერთად კი საიმედო საფუძველს ქმნის წყაროს ატრიბუციისათვის და ამცირებს ცთომილების ალბათობას. ასეთი ქრონოლოგიურ-გენეალოგიური ძიებები დაედო საფუძვლად ხელნაწერთა ინსტიტუტში მთელ რიგ გამოკვლევებს (ბაქრაძე 1963: 163-178; ბაქრაძე 1965: 7-32; ენუქიძე 1971: 301-328; ჯანდიერი 1971: 328-356).

რასაკვირველია, ქრონოლოგიურ-გენეალოგიური კვლევების საჭიროება მხოლოდ მათი "დამხმარე" ფუნქციით არ ამოიწურება, მათ თავისთავადი ღირებულება აქვთ რეგიონალური ისტორიის, არისტოკრატული საგვარეულოების, საეკლესიო სენიორიების ისტორიის წარმოჩენისათვის, მათი პოლიტიკური და კულტურული როლის განსაზღვრისათვის. ამ მიმართულებით ხელნაწერთა ინსტიტუტში არაერთი გამოკვლევა შესრულდა და კიდევ უფრო გამოიკვეთა ამგვარი კვლევების პერსპექტიულობა სამომავლოდაც (კლდიაშვილი 1981; ქავთარია 1987: 115-147; სურგულაძე 1999; მჭედლიძე 1999: 457-461; მჭედლიძე 2003: 274-287; მჭედლიძე 2005).

ხელნაწერთა ინსტიტუტში საფუძველი ჩაეყარა ქართულ ფილიგრანოლოგიას. აქ პირველად იქნა შესწავლილი ასეულობით ქაღალდის ხელნაწერი და ისტორიული საბუთი ქაღალდის წარმომავლობის დადგენის მიზნით. შესრულდა ჭვირნიშნების გრაფიკული მონახაზები, რომლებიც არაერთგზის იქნა გამოყენებული უთარიღო ხელნაწერების და საბუთების დასათარიღებლად. გამოქვეყნდა სტატიები ფილიგრანოლოგიის საკითხებზე; საქართველოში გამოყენებული ქაღალდის წარმომავლობასა და სავაჭრო მარშრუტებზე ახლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან; ადგილობრივ ხელოსნურ ორგანიზაციებში ქაღალდის მეორადი დამუშავების ტექნოლოგიებზე (პატარიძე 1965: 45-56; პატარიძე 1969: 109-119).

შუა საუკუნეების ნარატივებისათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებას – ქრონოლოგიური ცნობების სიმწირეს – ყველაზე საიმედოდ ავსებს ე.წ. ქრონიკალური ცნობები, რომლებიც გაფანტულია სხვადასხვა ტიპის ხელნაწერებში მინაწერების სახით. ასეთი მინაწერების გამოვლენა და კრიტიკული შესწავლა, გარდა იმისა, რომ ეხმარება ისტორიული ქრონოლოგიის ბუნდოვანი საკითხების გარკვევას, ამასთანავე ათვალსაჩინოებს თვით ქრონიკაში შეტანილი ცნობების

შერჩევისას გამოყენებულ კრიტერიუმებს, რაც არანაკლებ საინტერესო მასალაა შუა საუკუნეების საზოგადოებაზე წარმოდგენის შესაქმნელად. გასული საუკუნის 60-იან წლებში ხელნაწერთა ინსტიტუტში ინტენსიურად ხდებოდა სხვადასხვა ტიპის ხელნაწერზე დართული ქრონიკების შესწავლა-პუბლიკაცია. მათ შორის აღსანიშნავია ე.წ. კინკლოსების მინაწერები, ანუ ლიტურგიკულ ხელნაწერებში მოძრავ დღესასწაულთა ცხრილების გასწვრივ მოთავსებული ისტორიული შინაარსის ჩანაწერები, რომელთა პუბლიკაცია წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევით და კომენტარებით განახორციელა ჯუმბერ ოდიშელმა (ოდიშელი 1968). სრულიად განსაკუთრებულია ის წვლილი, რომელიც ქრონიკული მასალის გამომზეურებასა და მისი სამეცნიერო ღირებულების განსაზღვრაში შეიტანა ქრისტინე შარაშიძემ. მან გამოავლინა და ფართო ისტორიული კონტექსტი მოუძებნა ცალკეულ ხელნაწერებში გაბნეულ ქრონიკული ხასიათის ფრაგმენტებს, საინტერესო ისტორიული გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა XVI საუკუნის სამცხე-საათაბაგოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ძეგლი – *მესხური დავითნის მატიანე* (შარაშიძე 1963).

ივ. ჯავახიშვილის შემდგომ სპეციალური გამოკვლევები ქართული პალეოგრაფიის სფეროში დიდხანს არ გამოქვეყნებულა. ხელნაწერებზე და დოკუმენტებზე მუშაობამ ხელნაწერთა ინსტიტუტში შესაძლებელი გახადა ამ დარგის ინტენსურად განვითარება. 1973 წელს მეორედ გამოიცა *პალეოგრაფიული ალბომი* (ჭანკიევი 1973), საგანგებო მონოგრაფიები მიეძღვნა ხელნაწერი ტექსტის ორგანიზაციას – პუნქტუაციას, პირობითი ნიშნების სისტემას, რომელიც გამოიყენებოდა ტექსტის სეგმენტაციისათვის სხვადასხვა დონეზე. ამ ტიპის გამოკვლევებს გარდა წმინდა პრაქტიკული დანიშნულებისა – ისინი აადვილებდნენ ტექსტის ამოკითხვას და გაგებას – დიდი მნიშვნელობა აქვთ შუა საუკუნეების საქართველოში მწიგნობრული კულტურის დასახასიათებლად, გრამატიკული აზროვნების შესასწავლად, უცხოურ სამწიგნობრო კერებთან კულტურული კონტაქტების დასადგენად (ქაჯაია 1965: 33-44; ქაჯაია 1969ა: 32-49; ქაჯაია 1969ბ: 103-107). ცალკე ნაშრომი მიეძღვნა დაქარაგმების წესებს ხელნაწერებსა და ეპიგრაფიკაში (ჭანკიევი 1965: 56-95).

ამ საკითხების წრეში ექცევა ნაშრომი ქართულ პალეოგრაფიულ ტერმინებზეც, რომელშიც გამოკვლეულია ხელნაწერი წიგნის შექმნის პროცესთან – წერის ტექნიკასთან და გადამწერთა პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები (სურგულაძე 1978ა).

ხელნაწერი წიგნების ყდების დამზადების და მათი მხატვრული გაფორმების წესების შესწავლამ გამოავლინა ჩვენში წიგნის ხელოვნებასთან დაკავშირებული ახალი ტექნოლოგიების შემოტანისა და დანერგვის პროცესები (კარანაძე 2002). შუა საუკუნეებში საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში ფართოდ იყო გავრცელებული საიდუმლო დამწერლობის, ე.წ. კრიპტოგრამების ნაირნაირი სახეობები. კრიპტოგრამები მრავლადაა დამოწმებული ქართულ ხელნაწერებში. მათ წარმომავლობას, ფუნქციას, სისტემატიზაციას და ამოკითხვას სპეციალური მონოგრაფია მიეძღვნა (ათანელიშვილი 1982).

ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობაში დიდი ადგილი ეთმობოდა დიპლომატიკის განვითარებას. ფაქტობრივად ამ დისციპლინის საზღვრები გაფართოვდა დოკუმენტური წყაროთმცოდნეობის ამოცანებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ცალკეული დოკუმენტების ან დოკუმენტთა ჯგუფების ტექსტოლოგიურ და შინაარსობრივ ანალიზს, რამაც შესაძლებელი გახადა შესაბამისი პერიოდების შიდა პოლიტიკური ვითარების, სოციალურ ძალთა ბალანსის, სამართლებრივი პრაქტიკის, სამხედრო ადმინისტრაციული სისტემის მეტნაკლებად მიახლოებული რეკონსტრუქცია (ოდიშელი 1964: 75-116; ენუქიძე 1964: 7-74; კლიმიაშვილი 1964: 121-151; მარგიანი 1981: 75-83; სილოგავა 1981: 88-107; სურგულაძე 2001ბ: 376-382; სურგულაძე 2003: 193-205). ამ რიგის საკითხებს უნდა მივაკუთვნოთ ე.წ. სასისხლო სიგელებისადმი მიძღვნილი გამოკვლევებიც, რომელთა მეშვეობით ცხადად გამოიკვეთა ამ მასალის მაღალი წყაროთმცოდნეობითი ღირებულება (ოდიშელი 1966: 207-223; სურგულაძე 1992: 125-145).

დიპლომატიკური კვლევის სფეროში მოექცა ე.წ. მაგარ მასალაზეც მაგ., ქვაზე, ხეზე, შესრულებული ე.წ ეპიგრაფიკული აქტები. ამგვარი იურიდიული ტექსტები გამოვლინდა სვანეთშიც ხეზე შესრულებული საბუთებისა და კედლის ნაკაწრი წარწერების სახით (სილოგავა 1972: 143-166; სილოგავა 1973: 166-184; სილოგავა 1979). ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები სწავლობდნენ ამგვარი ძეგლების წარმოქმნის გარემოებებს და მათ დანიშნულებას. ეპიგრაფიკული

საბუთების ერთ-ერთი ჯგუფის, ე.წ. "ჰელების" ლოკალური გავრცელებულობისა და შინაარსის ანალიზმა საგულისხმო ფაქტები გამოავლინა XII-XIII საუკუნეებში სამეფო ხელისუფლების ცენტრისტული პოლიტიკის მექანიზმების შესახებ, რომელსაც იგი იყენებდა სასაზღვრო ზონებში – ჯავახეთსა და თრიალეთში (ოთხმეზური 1981).

ქართული დიპლომატიკის ისტორიის საკითხების კვლევამ გამოავლინა საინტერესო ფაქტები გვიანი შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიის შესახებ. გამოირკვა, რომ ქართველი მემატიანეები საბუთს იყენებდნენ წყაროდ ისტორიული ფაქტის დადგენის მიზნით ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ამას ვახუშტი ბაგრატიონი სისტემატურ ხასიათს მისცემდა. დადასტურდა აგრეთვე საბუთის, როგორც იურიდიული მტკიცებულების ფართოდ გამოყენების შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში და მისი ნამდვილობის შემოწმებისათვის შუა საუკუნეებშივე შემუშავებული წესები (მშვიდობაძე 2003: 274-287). დადასტურდა ისიც, რომ სწორედ ამ წესებს ეყრდნობოდნენ XIX საუკუნეში რუსული მმართველობის დაკვეთით შექმნილ კომისიაში, რომელსაც ევალებოდა ნამდვილი და ნაყალბევი საბუთების ურთიერთისაგან გამიჯვნა. ამრიგად, ქართული დიპლომატიკის "მეცნიერებამდელი" ისტორია გაცილებით ადრე იწყება, ვიდრე ივანე ჯავახიშვილის *ქართული სიგელთმცოდნეობა* შეიქმნებოდა (ხოშტარია-ბროსე 1986: 44-52).

ქართული დიპლომატიკის ამოცანების განსაზღვრისათვის მნიშვნელობა ჰქონდა პერიოდულად გამოქვეყნებულ შემაჯამებელ ნაშრომებს, რომლებშიც გამოკვეთილი იყო ქართული დიპლომატიკის მიღწევები და ნაკლებად დამუშავებული უბნები, დასახული იყო სამომავლო პერსპექტივები (ხოშტარია-ბროსე 1987ა: 48-67).

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ქართული წყაროთმცოდნეობის განვითარებაში იწყება ახალი ეტაპი, რომელიც ხასიათდებოდა მეთოდოლოგიური ძიებებით ისტორიული წყაროების ინფორმატულობის გაზრდის მიზნით. ასეთმა ამოცანამ განაპირობა წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემების წინ წამოწევა. ხელნაწერთა ინსტიტუტში ამ პრობლემატიკის ფარგლებში შეისწავლებოდა დოკუმენტურ წყაროთა კლასიფიკაციის პრინციპები, ტექსტის ორგანიზაციის წესები, მისი სემანტიკური სტრუქტურა, სპეციფიკური ენობრივი ფორმულები და ა.შ. (სურგულაძე 1978ბ: 50-59; სურგულაძე 1979: 55-63; სურგულაძე 1984: 116-122; სურგულაძე 2006). განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ისტორიული საბუთების ცალკეული თემატური კომპონენტების განვითარებას – მათ შესაბამისობას ეპოქის შეხედულებებთან და სოციალურ სტრუქტურებთან (ხოშტარია-ბროსე 1978ა: 190-205; სურგულაძე 1980ა: 147-157; სურგულაძე 1980ბ: 31-37; სურგულაძე 1981: 107-114).

დოკუმენტური მასალის დიდმა რაოდენობამ, მათმა განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ ისტორიული კვლევებისათვის და, ამავე დროს დოკუმენტების პუბლიკაციასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა აფიქრებინა ინსტიტუტის დამფუძნებელს ილია აბულაძეს ამ წყაროების ბაზაზე მომზადებულიყო წყაროთმცოდნეობითი ცნობარი – *ისტორიულ პირთა ანოტირებული ლექსიკონი* ამ თავისთავად ორიგინალური იდეის განხორციელება დაიწყო ნოდარ შოშიაშვილის ხელმძღვანელობით. *ლექსიკონის* შესადგენად დამუშავდა უზარმაზარი მასივი პირველწყაროებისა ხელნაწერთა ინსტიტუტსა და ისტორიულ არქივში, მოპოვებული იქნა საჭირო ინფორმაცია საქართველოს რეგიონალური ცენტრების მხარეთმცოდნეობითი მუზეუმებიდან და ზოგიერთი საზღვარგარეთული ცენტრიდან.

ამ მასალაზე დაყრდნობით შესრულებულ პირველ პუბლიკაციას წარმოადგენს 1964 წელს გამოცემული *მასალები ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის* (ალექსიძე, ბურჯანაძემ 1964), რომელიც დღემდე დიდ სამსახურს უწევს ისტორიული დემოგრაფიისა და გეოგრაფიის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებს. *პირთა ანოტირებული ლექსიკონის* ხუთტომეულზე მუშაობა დასრულდა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, მაგრამ იმ ხანებში შექმნილი საერთო ვითარების გამო მისი გამოცემა შეფერხდა.[7] მიუხედავად *ლექსიკონის* ნაკლული ხასიათისა – მასში თავმოყრილი მასალა წყდება XVII საუკუნეზე – ისტორიკოსებს იგი დიდ დახმარებას უწევს უზარმაზარი მასალის სისტემატიზებულად გაცნობაში. ფაქტობრივად, ეს გამოცემა ახალი ტიპის წყაროდ იქცა. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება ისტორიული საბუთების პუბლიკაციების სიმცირის პირობებში.

ჯერ კიდევ ი. ჯავახიშვილი მიუთითებდა ისტორიული საბუთების გამოცემის გადაუდებლობაზე და იმ სირთულეებზე, რომელთა დაძლევის გარეშე ამ საქმის წამოწყება შეუძლებელი იყო. მართალია, ქართული ისტორიული საბუთების გამოცემა დაიწყო XIX საუკუნის II ნახევრიდან (ჟორდანია, ხახანაშვილი, თაყაიშვილი, კაკაბაძე). ამ გამოცემებმა თავის დროზე დიდი სამსახური გაუწიეს ქართულ ისტორიოგრაფიას, მაგრამ, გარდა იმისა, რომ ეს გამოცემები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ, აღარ შეესაბამებიან თანამედროვე მეცნიერული მოთხოვნების დონეს (მასალის შერჩევითობა, ტექსტების შემოკლება, არასწორი წაკითხვები, ქრონოლოგიური უზუსტობანი, საცნობარო აპარატის უქონლობა და სხვ.).

ქართული დოკუმენტური წყაროების შესწავლის საქმეში დიდი როლი შეასრულეს ნიკო ბერძენიშვილის და ისიდორე დოლიძის მეცნიერულმა პუბლიკაციებმა, მაგრამ ამ გამოცემებში გატარებული თემატური პრინციპი და მასალის შერჩევითობა, ზოგჯერ ტექსტის შემოკლება, ოდნავადაც ვერ ამოწურავს ქართული ისტორიული საბუთების რაოდენობრივ და შინაარსობრივ მაჩვენებლებს. ისტორიული სურათის თანმიმდევრულად წარმოსაჩენად რასაკვირველია, უფრო მნიშვნელოვანი იყო რეგიონალურ-ქრონოლოგიური პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედო ხელნაწერთა ინსტიტუტის შოთა ბურჯანაძის მიერ გამოცემულ დასავლეთ საქართველოს ისტორიული საბუთების ორტომეულს, თუმცა მასალა აქაც შერჩევით იქნა შეტანილი (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, (ბურჯანაძემ 1959).

ამდენად, ისტორიული საბუთების სრული კორპუსის გამოცემა ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსების დღიდანვე ქართული წყაროთმცოდნეობის აქტუალურ პრობლემათა რიგში რჩებოდა. ბუნებრივია, იგი ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქნა მიჩნეული. ქართული ისტორიული დოკუმენტების სრული კორპუსის გამოცემისათვის სამზადისი ხელნაწერთა ინსტიტუტში დაიწყო 1960-იანი წლების მიწურულს. გამოცემის კონცეფციის შემუშავებაში ერთობლივად მონაწილეობდნენ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ისტორიის ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრა. საბაზო დაწესებულებებს წარმოადგენდნენ ხელნაწერთა ინსტიტუტი და საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივი. 1970 წელს მზად იყო პროექტი და სამუშაო გეგმა. შეიქმნა სარედაქციო კოლეგია, შედგა სამუშაო ინსტრუქცია, რომელშიც წინასწარი განხილვების საფუძველზე ჩამოყალიბდა მასალის დანაწილების კრიტერიუმები და ტექსტის გამართვის ტექნიკური წესები. ამ განხილვების დროს გადაწყდა ეპიგრაფიკული და მინაწერი საბუთების ცალ-ცალკე გამოცემა, რაც ადრე ერთად იყო გათვალისწინებული.

ქართული ისტორიული საბუთების სრული კორპუსის გამოცემას საფუძვლად დაედო კუთხობრივ-ქრონოლოგიური პრინციპი, რამაც განაპირობა ამ მრავალტომიანი გამოცემის სერიებად დაყოფა. 1984 წელს გამოვიდა კორპუსის პირველი (ჯერჯერობით ერთადერთი) ტომი (ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1981). პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა სხვა ტომებზეც.[8] 1990-იან წლებში *კორპუსზე* მუშაობა ობიექტური მიზეზების გამო შეწყდა. ამჟამად ამ საქმეს აგრძელებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის განყოფილება.

ქართველ ისტორიკოსთა ყოველი თაობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა *ქართლის ცხოვრების* კვლევას. *ქართლის ცხოვრების* შესწავლაში და მისი თავდაპირველი სტრუქტურის დადგენაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძეგლის ძველ სომხურ ვერსიას, რომლის თარგმანი გამოკვლევითა და კომენტარებით 1953 წელს, ჯერ კიდევ ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსებამდე გამოაქვეყნა ილია აბულაძემ. ქართლის ცხოვრების ს. ყაუხჩიშვილისეულმა გამოცემამ სათავე დაუდო ახალი ეტაპის დაწყებას კრებულის შესწავლის საქმეში. უამრავი ნაშრომი მიეძღვნა *ქართლის ცხოვრების* თხზულებების შინაარსობრივ ანალიზს, აგებულებას, ბიბლიოგრაფიულ ჩანართებს, ავტორობის საკითხს, რედაქციებს, ცალკეული ნუსხების შესწავლას და სხვ. ამ ხანგრძლივ სამეცნიერო პროცესში ისტორიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილებასთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრასთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა ხელნაწერთა ინსტიტუტმა. ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ აღიწერა *ქართლის ცხოვრების* ცალკეული ნუსხები; მათი კოდიკოლოგიური შესწავლის შედეგად გასწორდა ანასეული და მარიამისეული სახელწოდებით ცნობილი ნუსხების თარიღები (შოშიაშვილი 1975: 45-55;

ქურციკიძე 1993: 109-122), გამოვლინდა ვახტანგ VI-ის წვლილი ვახუშტი ბაგრატიონის შრომაში (ქავთარია 2003: 121-172). მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა *ქართლის ცხოვრების* დასაწყისი ციკლის თხზულებების ურთიერთმიმართების და ლეონტი მროველის ავტორობის საკითხებს ედიშერ ხოშტარია-ბროსემ (ხოშტარია-ბროსე 1987: 180-183; ხოშტარია-ბროსე 1991: 181-188; ხოშტარია-ბროსე 1993: 81-87; ხოშტარია-ბროსე 1993: 82-90; ხოშტარია-ბროსე 1996; ხოშტარია-ბროსე 1997: 3-9; ხოშტარია-ბროსე 2001: 380-384; ხოშტარია-ბროსე 2003: 313-320).

ქართული ისტორიოგრაფიული და ფილოლოგიური მეცნიერების წინსვლამ – დაგროვილმა მეცნიერულმა ინფორმაციამ დღის წესრიგში დააყენა *ქართლის ცხოვრების* ცალკეული თხზულებების კრიტიკული შესწავლა და მათი დამოუკიდებლად გამოცემა. დღეისათვის ეს უზარმაზარი სამუშაო დასრულებულია, რის საფუძველზეც ხელახლა მომზადდა *ქართლის ცხოვრების* სრული კრებულის ახალი პუბლიკაცია – ე.წ. ვახტანგამდელი რედაქციები (მეტრეველი 2008). ამ სამუშაოში წლების მანძილზე ჩართულნი იყვნენ ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი ფილოლოგები და ისტორიკოსები – მიხეილ ქავთარიამ და ელენე ცაგარეიშვილმა ამ გამოცემისათვის დაამუშავეს ლეონტი მროველის თხზულებათა ნუსხები; განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა *ქართლის ცხოვრების* ენობრივ-გრამატიკულმა და ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურმა კვლევებმა, რამაც ტექსტის მრავალი ბუნდოვანი ადგილის გამართვა და, შესაბამისად, მთელი რიგი პასაჟების ახლებური ინტერპრეტაცია გახადა შესაძლებელი. ნათელი გახდა, რომ *ქართლის ცხოვრების* შემდგომი კვლევა მისი ტექსტოლოგიური შესწავლის გარეშე სრულფასოვანი ვერ იქნებოდა (შანიძე 1965: 23-28; შანიძე 1962: 247-250; შანიძე 1979: 505-508; შანიძე 1988ა: 6-13; შანიძე 1990: 91-102; შანიძე 1988ბ: 330-255; შანიძე 2001: 13-16) *ქართლის ცხოვრების* ტექსტზე ამგვარი მუშაობის შედეგები აისახა *დავით აღმაშენებლის ცხოვრების* ცალკე გამოცემაში (შანიძე 1992), რომელმაც თავისი კუთვნილი ადგილი დაიჭირა *ქართლის ცხოვრების* ახალ პუბლიკაციაში.

დიდი მუშაობა გასწია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფილოლოგთა ჯგუფმა *ქართლის ცხოვრების* სიმფონია-ლექსიკონის ორტომეულის მომზადებაზე (კვაჭაძე, ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, ჩხენკელი, ხაჟომია, თბილისი, 1986; ა. სარჯველაძე, ზ. სარჯველაძე, ხაჟომია 1986).

გარდა *ქართლის ცხოვრებისა*, ხელნაწერთა ინსტიტუტში მომზადდა ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროების თანამედროვე პუბლიკაციები, როგორიცაა: ნიკო დადიანის *ქართველთ ცხოვრება* (ბურჯანაძემ 1962), პაპუნა ორბელიანის *ამბავი ქართლისანი* (ცაგარეიშვილმა 1981), სტეფანოს ორბელიანის *ცხოვრება ორბელიანთა* (ძველი ქართული თარგმანები) (ცაგარეიშვილმა 1979).

ზედმეტია იმის მტკიცება, რა დიდი წყაროთმცოდნეობითი ღირებულება აქვს აგიოგრაფიულ ძეგლებს. აგიოგრაფია წარმოადგენს ძირითად წყაროს ისტორიოგრაფიული, ლიტერატურათმცოდნეობითი და კულტუროლოგიური მიმართულებების განსავითარებლად. ქართული აგიოგრაფიული ძეგლების გარეშე შეუძლებელია საქართველოს ეკლესიის მიერ განვლილი ისტორიული გზის წარმოდგენა. აგიოგრაფიის ასეთი მნიშვნელობის გამო, შეიძლება ითქვას, ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსებისთანავე დაიწყო მუშაობა ქართული აგიოგრაფიული ძეგლების თანამედროვე პუბლიკაციების განსახორციელებლად.

1962-1989 წლებში გამოიცა ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სრული კორპუსი. ამ გამოცემის სულისჩამდგმელი და მისი პირველი ტომების რედაქტორი ილია აბულაძე იყო. მან შეიმუშავა პრინციპები აგიოგრაფიული ტექსტების კრიტიკული გამოცემისათვის და თავის მოწაფეთაგან ჩამოაყალიბა ჯგუფი, რომელმაც წლების განმავლობაში გამოსაცემად მოამზადა ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების სრული კორპუსი. ეს იყო ნამდვილად ტიტანური შრომა, რის შედეგად შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, ეკლესიის ისტორიის, ლიტერატურის და კულტურის მკვლევარნი აღჭურვილნი აღმოჩნდნენ მაღალხარისხოვანი სამეცნიერო გამოცემებით (აბულაძე 1963; 1967; 1970; შანიძე 1968; 1980; 1989).

1978 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტში ჩატარდა *შუშანიკის წამების* 1500 წლოვანი ისტორიისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია. ამ თარიღს მრავალი ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა მიეძღვნა. მათ შორის უნდა დავასახელოთ ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშიას წყაროთმცოდნეობითი ნაშრომი *შუშანიკის წამება. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა* (ჯანაშია 1980). ეს არის საინტერესო მცდელობა, *შუშანიკის წამების* ქართული და სომხური რედაქციების განსხვავებული

რედაქციების ურთიერთშედარების გზით, გამოვლენილიყო სხვადასხვა ეპოქის მოაზროვნეთა დამოკიდებულება თხზულებაში ასახული მოვლენებისადმი. ამგვარმა მიდგომამ მკვლევარს საშუალება მისცა ახლებურად განეხილა ადრეფეოდალური ქართლის პოლიტიკური ისტორიის საკითხები და ზოგადად განესაზღვრა ქართული აგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის ამოცანები.

ბუნებრივია, აგიოგრაფიული ძეგლების პუბლიკაციასთან დაკავშირებული ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური კვლევა პრიორიტეტული იყო ხელნაწერთა ინსტიტუტში, თუმცა მის პარალელურად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს აგიოგრაფიული ტექსტების წყაროთმცოდნეობითი, სტრუქტურული თუ შინაარსობრივი ანალიზი (გაბიძაშვილი 1995: 127-133; ალექსიძე 1999ა: 12-29; სურგულაძე 2001: 316-322; კახაბრიშვილი 2001: 298-310). ამასთანავე, მთელი რიგი ნაშრომები მიეძღვნა იმ იდეოლოგიური და კულტურული ფუნქციის გარკვევას, რასაც აკისრებდნენ ეროვნულ აგიოგრაფიულ მწერლობას გვიანდელი შუა საუკუნეების ქართველი მოღვაწენი (ქავთარია 1965).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის პრობლემა ყოველთვის აქტუალური იყო ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის. ამიტომ იყო, რომ შუა საუკუნეების განსწავლული ქართველი ბერმონაზვნობა ბეჯითად ეძებდა უცხოურ სამწიგნობრო კერებში ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის დამადასტურებელ წყაროებს და მათ საკუთარი არგუმენტების ჩამოსაყალიბებლად იყენებდა. ასეთი ფაქტების ამსახველი ერთ-ერთი ძეგლი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, არის ეფრემ მცირის *უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების.* ეს ძეგლი გამოიკვლია ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა თამარ ბრეგაძემ, დაადგინა ეფრემის მიერ გამოყენებული წყაროები და გამოაქვეყნა ისტორიულ-ფილოლოგიური კომენტარებით (ბრეგაძე 1959). ეს ნაშრომი შემდგომში საფუძვლად დაედო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობის პრობლემისადმი მიძღვნილ ყველა გამოკვლევას თუ დისკუსიას.

იმ იდეოლოგიური პოზიციის გასაცნობად, რომელსაც ირჩევდა საქართველოს ეკლესია ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლემიკური მწერლობის ძეგლებს. ასეთი თხზულებების პუბლიკაციები წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევებითა და ისტორიულ-ფილოლოგიური კომენტარებით ხელნაწერთა ინსტიტუტში მზადდებოდა. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ არსენ საფარელის ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი (ალექსიძე 1980), ასევე გამოკვლევები *დოგმატიკონში* შესულ ნათარგმნ და ნახევრადორიგინალურ თხზულებებზე. ეს ძეგლები ააშკარავებენ ქართული საზოგადოების პოლემიკურ სულისკვეთებას, რომელსაც ჩვენი ეკლესიის საუკეთესო წარმომადგენლები ეხმიანებოდნენ თავიანთი ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებებით (რაფავა 2008ა; რაფავა 2008ბ; ჩიკვატია 2004; რაფავა, ჩიკვატია 2009: 236-250; შენგელია 2007: 106-122).

ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემათა შორის, რომელთა გარეშე შეუძლებელია საქართველოს ეკლესიის კანონიკური და ინსტიტუციონალური მოწყობის, აგრეთვე საეკლესიო სამართლის შესწავლა, უსათუოდ უნდა მოვიხსენიოთ ხელნაწერთა ინსტიტუტში შესრულებული ეფთვიმე მთაწმიდლის ნახევრად ორიგინალური თარგმანი – *მცირე სჯულისკანონი* (გიუნაშვილი 1972) და არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი *დიდი სჯულისკანონი* (დოლაქიძე, ნინუა 1975). ეს პუბლიკაციები ქმნიან საუკეთესო წყაროთმცოდნეობით ბაზას საეკლესიო და ნაწილობრივ სამოქალაქო სამართლის ისტორიის კვლევისათვის. *დიდი სჯულისკანონის* პუბლიკაციამ, თავის მხრივ, დიდი როლი შეასრულა რუის-ურბნისის კრების დადგენილებების სამართლებრივი წყაროს მიკვლევაში, რომლის ახალი გამოცემა ვრცელი ისტორიულ-ფილოლოგიური კომენტარებით მოამზადა ენრიკო გაბიძაშვილმა (გაბიძაშვილი 1978).

ისტორიული წყაროს სრულიად განსაკუთრებულ ტიპს წარმოადგენს ხელნაწერთა აშიებზე მოთავსებული ანდერძ-მინაწერები, მოსახსენებლები, სულთა მატიანეები და სააღაპე ჩანაწერები. ხელნაწერებში გაფანტული, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ფრაგმენტული ტექსტები, სინამდვილეში ყველაზე "ურჩი" მასალაა, რომლის "ამეტყველება" მხოლოდ ხელნაწერებზე მუშაობისას დაგროვილ პრაქტიკულ გამოცდილებაზე და, არაიშვიათად, მკვლევარის მეცნიერულ ალღოზე აღმოჩნდა დამოკიდებული. ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხელნაწერთა ინსტიტუტში შემუშავდა სპეციფიკური მეთოდიკა, რომელიც გულისხმობს ხელნაწერის აშიებზე განთავსებული ფრაგმენტული ტექსტების პალეოგრაფიულ შრეებად დანაწილებას, მათ ატრიბუციას კოდიკოლოგიური, ენობრივი

თუ შინაარსობრივი მონაცემების ერთობლიობით. ასეთი მრავალმხრივი მიდგომის შედეგად ამ ტიპის მინაწერები, ნიკო ბერძენიშვილის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, "ისტორიის საშენ მასალად", ანუ წყაროთმცოდნეობითი ღირებულების ფაქტებად იქცევა. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ქრისტინე შარაშიძის და ელენე მეტრეველის გამოკვლევები, რომლებმაც სრულიად ახალი ინფორმაციით გაამდიდრეს ჩვენი ისტორიოგრაფია. ისინი მრავალი წლის განმავლობაში სწავლობდნენ სამხრეთ საქართველოს (შარაშიძე 1961; შარაშიძე, მეგრელაძე 1982) იერუსალიმის (მეტრეველი 1962) და ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებს, მოსახსენებლებსა და აღაპებს (მეტრეველი 1996; მეტრეველი 1998), რისი შედეგებიც რამდენიმე პირველხარისხოვან მონოგრაფიაში აისახა. ამ მიმართულებით კვლევა წარმატებულად გააგრძელა ხელნაწერთა ინსტიტუტში მოსულმა მომდევნო თაობამ. გამოიცა სვანეთის საგვარეულო მოსახსენებლები (სილოგავა 1986), სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე (კლდიაშვილი 2008), სამხრეთ საქართველოს სავანეებში შექმნილ ხელნაწერებზე მოთავსებული სულთა მატიანეები (სილოგავა 1989; კლდიაშვილი 1986; კლდიაშვილი 2003: 215-240; კლდიაშვილი 2005: 293-308). ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევა-ძიებებმა გამოავლინა ძალზე ფართო ქრონოლოგიური ჭრილის – XI-XVIII საუკუნეების – მასალა, რომელიც ავსებს და აზუსტებს საქართველოს მმართველი დინასტიის შესახებ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-ქრონოლოგიურ და გენეალოგიურ ცნობებს, შუქს ჰფენს მრავალ ბუნდოვან და დისკუსიის საგნად ქცეულ საკითხს პოლიტიკური ისტორიიდან, ავლენს სრულიად უცნობ პერსონალიებს და ზოგჯერ მთელ საგვარეულოებს, საინტერესო ონომასტიკონს, მასალას ისტორიული დემოგრაფიისათვის, საყურადღებო ფაქტებს ჩვენი კულტურული წარსულიდან.

ჩვენი კულტურის ისტორიისათვის სრულიად ახალი მასალა გამოავლინა ათონის ივერთა მონასტრის X-XV საუკუნეების ბერძნული აქტების გამოცემამ, რომელიც განხორციელდა ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის საფრანგეთის ცენტრში ელენე მეტრეველის თანამონაწილეობით. ხელნაწერთა ინსტიტუტში იშიფრებოდა ამ აქტების მრავალრიცხოვანი ქართული და ბერძნული მინაწერები, რომლებიც შეიცავენ უნიკალურ ცნობებს ათონის ივერთა მონასტრის პირველი მამების მოღვაწეობაზე, ქართული კოლონიის ისტორიაზე დაწყებული X ს. 70-იანი წლებიდან XV საუკუნის დასასრულამდე, იმ წინააღმდეგობებზე, რომელთა განუწყვეტელი დაძლევის პირობებში უხდებოდა ლიტერატურული საქმიანობა ათონზე მოღვაწე ქართველ ბერმონაზვნობას (მეტრეველი 1985).

მდიდარი დოკუმენტური მასალის გაცნობა საშუალებას აძლევდა ინსტიტუტის თანამშრომლებს დაესახათ ახალი საკვლევი ამოცანები და ახალი მნიშვნელოვანი დასკვნებით გაემდიდრებინათ ქართული ისტორიოგრაფია. ხელნაწერთა ინსტიტუტის დოკუმენტების ფონდებში უხვადაა გაბნეული ეპისტოლარული მასალა, რომელიც საუკეთესო წყაროა ქართული საზოგადოების ყოფის, მისი სულიერ-ზნეობრივი და ინტელექტუალური მისწრაფებების შესასწავლად. თუ რაოდენ საინტერესო შედეგს იძლევა ასეთი მასალის შესწავლა და გამოქვეყნება, საუკეთესოდ გამოჩნდა მიხეილ ქავთარიას გამოკვლევაში ქართული საზოგადოებრივი აზრის შესახებ XVIII საუკუნეში (ქავთარია 1977; ქავთარია 2007: 164-177). სამწუხაროდ, ჩვენთან დაცული ეპისტოლარული მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არ არის გამომზეურებული და ჯეროვნად ათვისებული.

რუსეთის არქივებში მუშაობისას მიკვლეულ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ხელნაწერთა ინსტიტუტში მოამზადდა მონოგრაფია XVIII საუკუნის საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის სამთავროების კონტაქტების შესახებ, რომელშიც გამოქვეყნებულია მანამდე უცნობი დოკუმენტები და ყურადღება გამახვილებულია ჩვენი ისტორიისათვის მრავალ საინტერესო მოვლენაზე (გამრეკელი 1980).

XVII საუკუნის შუა ხანებში აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ ირანის კომპრომისული პოლიტიკის შესახებ არსებული შეხედულებების და ცნობილი ფაქტების განსხვავებული ინტერპრეტაციაა მოცემული დავით ჟღენტის მონოგრაფიაში *შინაფეოდალური ბრძოლა XVII ს-ის 60-70-იანი წლების აღმოსავლეთ საქართველოში* (ჟღენტი 1999). ახლად მიკვლეული დოკუმენტური მასალის საფუძველზე ასევე მრავალ სიახლეს შეიცავს დოდო ლომიძის ნაშრომი ყიზილბაშური პერიოდის ქართლ-კახეთის შესახებ (ლომიძე 2007).

შუა საუკუნეების საქართველოში მთის რეგიონებში მიმდინარე სოციალური პროცესების დინამიკას და მასზე მოქმედი ფაქტორების ანალიზს უძღვნა სპეციალური გამოკვლევა ედიშერ ხოშტარია-ბროსემ (ხოშტარია-ბროსე 1984).

ხელნაწერთა ინსტიტუტში მრავალი წლის განმავლობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კვლევით მიმართულებას წარმოადგენდა საზღვარგარეთული ქართული სამონასტრო ცენტრების ისტორიის შესწავლა. ამ მიმართულების ფარგლებში შესრულდა წყაროთა პუბლიკაციები და გამოკვლევები, რომლებშიც ასახული არის ქართული ფეოდალური არისტოკრატიის როლი ათონისა და პალესტინა-იერუსალიმის სავანეებში ქართული წარმომადგენლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. განხილულია ის დიპლომატიური მცდელობები[9] თუ ეკონომიკური ღონისძიებები (ხუციშვილი 2006), რომლებსაც, საშინაო თუ საგარეო პირობებისდა შესაბამისად, იყენებდა ქართული ფეოდალური ელიტა საზღვარგარეთ არსებული ქართული კოლონიების დასახმარებლად. ამ მიზნით მოძიებული და გამომზეურებული იქნა მრავალი ქართული და უცხოური წყარო, რომელთა გააანალიზებამ ნათელი მოჰფინა, ერთი მხრივ, ამ ცენტრების შენარჩუნებისათვის ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის და, მეორე მხრივ, მათი უფლებების თანდათანობითი კარგვის პროცესს.

ხელნაწერთა ინსტიტუტში წლების მანძილზე იგეგმებოდა ექსპედიციები, რომელთა მიზანი იყო ეპიგრაფიკული ძეგლების ადგილებზე მოხილვა, აღწუსხვა, გრაფიკული მონახაზებისა და ფოტო-ასლების დამზადება. სწორედ ამ ექსპედიციათა შედეგად ხელნაწერთა ინსტიტუტის იმჟამინდელი მეცნიერ-თანამშრომლის, გიორგი ოთხმეზურის ხელმძღვანელობით აღინუსხა და და ფირზე აღიბეჭდა შიდა ქართლის და ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლები, აღიწერა მათი დაცულობის იმჟამინდელი მდგომარეობა. ამ ექსპედიციების მუშაობის შედეგად ხელნაწერთა ინსტიტუტში შეიქმნა ეპიგრაფიკული ძეგლების საკმაოდ მდიდარი ფოტოთეკა.

1969-1972 წლებში ხელნაწერთა ინსტიტუტში დაიგეგმა დასავლეთ საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლების კორპუსის გამოსაცემად მომზადება. ამ სამუშაოს შესრულება დაევალა იმ ხანად ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტს ვალერი სილოგავას, რომელმაც ადგილზე შეისწავლა IX-XIII საუკუნეების აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიის, იმერეთის, რაჭის, ლეჩხუმისა და სვანეთის ლაპიდარული წარწერები. ამ ექსპედიციის შედეგად დაფიქსირდა 210 ლაპიდარული წარწერა (მათ შორის, ჭედური), რომელთაგან ნაწილი პირველად გამოიცა, ხოლო უკვე ცნობილი წარწერების ტექსტები დაზუსტდა ან ახლებურად იქნა ამოკითხული (სილოგავამ 1980). იგივე ავტორი მონაწილეობდა 1972 წელს ჩამოყალიბებულ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის მიერ ორგანიზებულ სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის მუშაობაში. ექსპედიციის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა სვანეთში დაცული წერილობითი ძეგლების ფიქსაცია, შესწავლა და გამოსაცემად მომზადება. ამ მუშაობის შედეგები *სვანეთის წერილობითი ძეგლების* მეორე ტომში (სილოგავამ 1988), რომელშიც ადრე ცნობილ ძეგლებთან ერთად შესულია უამრავი, მანამდე უცნობი, წარწერა და დოკუმენტი.

1984 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტის იმჟამინდელმა ხელმძღვანელმა ელენე მეტრეველმა, იმ საფრთხეების გათვალისწინებით, რასაც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე სამხედრო პოლიგონის არსებობა იწვევდა, მიზანშეწონილად ჩათვალა დავით გარეჯის ეპიგრაფიკული წარწერების შემსწავლელი ექსპედიციების ორგანიზება. გარეჯის წარწერების თავისებურებებმა – (მრავალრიცხოვანი სხვადასხვაენოვანი პილიგრიმული ნაკაწრები, ლაპიდარული და ფრესკული წარწერები) იმთავითვე განსაზღვრა ექსპედიციის კომპლექსური ხასიათი. გარდა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებისა (დარეჯან კლდიაშვილი – ხელმძღვანელი, თამარ ოთხმეზური, გიორგი ოთხმეზური, ნიკო ხუციშვილი), მასში მონაწილეობას იღებდნენ გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის (ზაზა სხირტლაძე) და გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის (გოჩა ჯაფარიძე, გია ბერაძე) თანამშრომლები. 1984-1989 წლებში გარეჯის საექსპედიციო ჯგუფმა დაამზადა VII-XIX საუკუნეების 500-მდე წარწერის მონახაზი და ფოტო-ასლი (დავითის ლავრის და უდაბნოს მონასტრიდან). მოპოვებული მასალის მოცულობამ და მრავალფეროვნებამ დღის წესრიგში დააყენა გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლების კორპუსის გამოცემა ოთხ ტომად, მაგრამ იმდროინდელმა პოლიტიკურმა პროცესებმა როგორც გამოცემის საქმე, ასევე საექსპედიციო მუშაობის გაგრძელება შეაფერხა. წამოწყებული

სამუშაოს დასრულების მიზნით, საექსპედიციო სამუშაოები გარძელდა 1996 წელს ჩამოყალიბებული *გარეჯის კვლევის ცენტრის* ხელშეწყობით. აღნიშნულმა "ცენტრმა" 1999 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტთან ერთად გამოსცა *გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლების* I ტომის პირველი ნაკვეთი (კლდიაშვილი, სხირტლაძე 1999).

ჩვენს დროში მოლოდინი ახალი წყაროების აღმოჩენისა უკიდურესად შემცირებულია. უპირველესად ეს ითქმის წერილობით წყაროებზე, რომელთა ძირითადი მასივი დიდი ხანია გამოვლენილია. მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით შეიძლება მეცნიერების განკარგულებაში აღმოჩნდეს ისეთი მასალა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანოს არსებულ ცოდნაში. ასეთი "ბედნიერი" შემთხვევა შეიძლება ვუწოდოთ სინას მთაზე წმინდა ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს ხანძრის შემდეგ აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერებს, რომლებიც კარგა ხანს ელოდნენ თავიანთ მკვლევარს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ხელშეწყობით სინას მთაზე მოეწყო ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც მოულოდნელი აღმოჩენებით დასრულდა (ალექსიძე 1998ა; ალექსიძე 1999: 176-180). ახლად მიკვლეული მასალის გაანალიზებამ ნათელი მოჰფინა ისეთ ბუნდოვან საკითხებს, როგორიცაა "მოქცევაჲ ქართლისაჲს" და ასურელ მამათა ცხოვრებების არქეტიპები და თავდაპირველი სტრუქტურა (ალექსიძე 1997; ალექსიძე 1998ბ: 25-32; ალექსიძე 1999გ; ალექსიძე 2004). განსაკუთრებულად ინფორმატული აღმოჩნდა სინური ხელნაწერების მინაწერები, რომლებიც უძვირფასეს ცნობებს გვაწვდიან ადრეული შუა საუკუნეების ქართლის მმართველი დინასტიის და სხვა წარჩინებული საგვარეულოების შესახებ (ალექსიძე 2001ა; ალექსიძე 2001ბ: 313-315; ალექსიძე 2002; ალექსიძე 2003; ალექსიძე 2005: 122-131).

დაბოლოს, ამ ექსპედიციის უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ალბანური ქრისტიანული მწერლობის არსებობის დამადასტურებელი ძეგლი – ალბანური ლექციონარი, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა კავკასიოლოგიის ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანი (ალექსიძე 1998გ; ალექსიძე 1997ბ: 517-531).

ხელნაწერთა ინსტიტუტში ამ 50 წლის მანძილზე შესრულებულმა სამეცნიერო პროდუქციამ უსათუოდ დიდი წვლილი შეიტანა ქართული წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში. ამ პროდუქციაში იგულისხმება არა მხოლოდ ისტორიულ წყაროთა პუბლიკაციები, არამედ სხვადასხვა ჟანრის საეკლესიო მწერლობის ცალკეული ძეგლების გამოცემები და მათთან დაკავშირებული ფილოლოგიური გამოკვლევები, რომელთა ათვისება ისტორიოგრაფიის პოზიციებიდან ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. მხედველობაში გვაქვს ხანმეტი ტექსტების უადრესი ნიმუშები, სხვადასხვა დანიშნულებით შედგენილი კრებულების სპეციფიკური სტრუქტურები, ასეთ კრებულებში შერჩეული მასალის მიზანდასახულობა, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში გაბნეული ცნობები გარე სამყაროსთან არსებული კულტურული კონტაქტებისა თუ დაპირისპირებების, ასევე ახალი ცოდნის შემოტანა-გავრცელების გზების შესახებ და ა.შ. (მრავალთაგან დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს: რაფავა 1985: 41-50; მელიქიშვილი 1987. მრავალთავში დაცული ისტორიული რეალიების შესახებ იხ. მგალობლიშვილი 1991: 160-202; ცერაძე 2001: 139-161; გვარამია 2003: 16-23; ქაჯაია 2005: 5-15).

გასული საუკუნის 80-იან წლებში ისტორიკოსი რევაზ კიკნაძე ერთ-ერთ სამეცნიერო ფორუმზე ასე ახასიათებდა ქართული წყაროთმცოდნეობის წინაშე მდგარ პრობლემას: 'ისტორიოგრაფიის და წყაროთმცოდნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე აუცილებელი ხდება უკვე ცნობილი წყაროების უფრო ღრმად შესწავლა. აქ თავს იჩენს მეთოდოლოგიური პრობლემები... წყაროთმცოდნეობაში მუშაობენ უმთავრესად ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები, იშვიათად – ფილოლოგები, მაშინ, როდესაც ჩვენ ეს ორი სპეციალობა ერთად გვესაჭიროება. აღმოჩნდა, რომ ისტორიკოსებს არ ჰყოფნით ფილოლოგიური მომზადება, ხოლო ფილოლოგებს - ისტორიის ცოდნა. მათ ამ ნაკლის შევსება სამეცნიერო დაწესებულებაში უწევთ, რაც ანელებს წყაროთმცოდნეობით საქმიანობას...' (კიკნაძე 1982/1985: 7-16).

ასეთი პრობლემის დაძლევაში, ხელნაწერთა ინსტიტუტი, დღიდან დაარსებისა, უსათუოდ ასრულებდა თავის დადებით როლს. ინსტიტუტის დამფუძნებელთა (ი. აბულაძე, ე. მეტრეველი) ხელმძღვანელობით აქ მოქმედებდა მძლავრი ისტორიულ-ფილოლოგიური სკოლა, რომლის

გამოცდილება გულისხმობდა ძველი ქართული ენის, პალეოგრაფიის, კოდიკოლოგიის, არქეოგრაფიის, დიპლომატიკის და ა.შ. დაუფლებას და სპეციფიკური მეთოდიკის შემუშავებას წყაროს კონკრეტული ტიპის გათვალისწინებით. ამ კომპლექსური ცოდნის გარეშე შეუძლებელია წყაროს გამოცემის ურთულესი საქმის დაძლევა, რაც, თავისთავად ქმნის ისტორიოგრაფიის ახალ ეტაპზე გადასვლის შესაძლებლობას. ეს სკოლა, რამდენიმე თაობის ძალისხმევით შექმნილი, შენარჩუნებას და განვითარებას მოითხოვს.

შენიშვნები

[1] სტატია წაკითხული იყო მოხსენებად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე ქართული ხელნაწერი (2009, 19–25 ოქტომბერი).

[2] 2007 წლის 23 მაისს ხელნაწერთა ინსტიტუტს ოფიციალურად გადაერქვა სახელი. მას ეწოდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

[3] განყოფილებას რამდენჯერმე გამოეცვალა სახელწოდება. თავდაპირველად მას ერქვა ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების განყოფილება, ხელმძღვანელი ნოდარ შოშიაშვილი, შემდგომ – დიპლომატიკის განყოფილება, ხელმძღვანელი ედიშერ ხოშტარია-ბროსე, საისტორიო წერილობითი წყაროების განყოფილება – ხელმძღვანელი ელენე ცაგარეიშვილი, დიპლომატიკისა და წყაროთმცოდნეობის დეპარტამენტი – ხელმძღვანელი მზია სურგულაძე.

[4] ერთიან კატალოგზე მუშაობა მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ისტორიკოს ნანა მშვიდობაძის ხელმძღვანელობით (მშვიდობაძე 1987: 148—165).

[5] რუსეთის არქივებში აღნიშნულ სამუშაოს ვახტანგ გამრეკელის ხელმძღვანელობით. ასრულებდნენ ისტორიკოსები: დოდო ლომიძე და ლევან რატიანი.

[6] სპეციალური ისტორიული დისციპლინების სფეროში კვლევების შედეგები აისახა ხელნაწერთა ინსტიტუტის კრებულში *პალეოგრაფიული ძიებანი* ტ.1-2, თბილისი, 1965, 1969. აქ იბეჭდებოდა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების პირველი სტატიები პალეოგრაფიაში, გენეალოგიაში, ფილიგრანოლოგიაში. ამ კრებულებში გამოჩნდა ქართული მასალის სპეციფიკურობა და ამ დისციპლინების განვითარების აუცილებლობა.

[7] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ხუთტომეული, გამოცემულია I-IV ტომები, პირველი და მეორე ტომები გამოსცა *მეცნიერებამ* 1991, 1993 წლებში, მომდევნო მესამე და მეოთხე ტომები – გამომცემლობა "არტანუჯმა" 2004, 2006 წლებში.

[8] კორპუსის ცალკეულ ტომებზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები: ბ. ლომინაძე, თ. ენუქიძე, დ. მეგრელაძე; ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები: მ. სურგულაძე, ნ. მშვიდობაძე, ლ. რატიანი, დ. ლომიძე, საქართველოს ისტორიის კათედრის თანამშრომლები: გ. ჯამბურია, ნ. შოშიაშვილი.

[9] ათონისა და იერუსალიმის ქართულ სამწიგნობრო კერებს, მათ შორის ქართველთა უფლებრივ მდგომარეობას, ეძღვნება ელენე მეტრეველის მრავალი სტატია, მოთავსებული მისი ავტოროზით შედგენილ კრებულში (მეტრეველი 2007; გვარამია 1981: 75-83; აბულაძე 2003: 54-57.

დამოწმებანი

აბულაძე 1963, 1967, 1970: ი. აბულაძე. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ილია აბულაძის რედაქციით და ხელმძღვანელობით. I (V-X სს.) (1963); II (XI-XV სს.), (1967); წ. III (1970).

აბულაძე 2003: ც. აბულაძე. წმინდა მიწის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (ოსმალური საბუთების მიხედვით). ACADEMIA, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი. ტ. 5(ა) (2003).

ათანელიშვილი 1982: ლ. ათანელიშვილი. ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა. თბილისი (1982).

ალექსიძემ 1980: ზ. ალექსიძემ. არსენ საფარელი. განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა ალექსიძემ. თბილისი (1980).

ალექსიძე 1997ა: ზ. ალექსიძე. *მოქცევაჲ ქართლისაჲს* გენეზისისა და თავდაპირველი სტრუქტურის შესახებ. საქართველოს ეკლესიის, სასულიერო მწერლობისა და ხელოვნების ისტორიის საკითხები. თბილისი (1997).

ალექსიძე 1997ბ: Z. Alexidze. Découverte d'un texte albanien: Une langue ancienne du Caucase retrouvée, Académie des Inscriptions & Belles-Lettres, Compts rendus des seances de l'année 1997, Avril-Juin, Paris (1997) (თანაავტორი J. p. mae).

ალექსიძე 1998ა: Z. Alexidze. Nouveaux manuscripts géorgiens sinaïtiques: Les Albaniens du Caucase. Ecole Pratique des Hautes Etudes. Livret-Annuaire 12. 1996-1997, Paris, A la Sorbonne (1998).

ალექსიძე 1998ბ: ზ. ალექსიძე. "მოქცევაჲ ქართლისაჲს" სტრუქტურისათვის. კრებ. საქართველოს ეკლესიის ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები. თბილისი (1998).

ალექსიძე 1998გ: ზ. ალექსიძე. ალბანური მწერლობის ძეგლი სინას მთაზე და მისი მნიშვნელობა კავკასიოლოგიისათვის. თბილისი: ღოგოსი (1998).

ალექსიძე 1999ა: ზ. ალექსიძე. "აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის" შესწავლის ტექსტოლოგიურ-ქრონოლოგიური საკითხები. მრავალთავი. XVIII (1999).

ალექსიძე 1999ბ: Новые памятники письменности Кавказской Албании: Христианский Восток (Новая серия). I. M (1999).

ალექსიძე 1999გ: Z. alexidze. Four versions of "Conversion of Georgia". The Christianization of Caucasus (Armenia, Georgia, Albania), International Symposium. Vienna, Austrian Academy of Sciences, December 9-12 (1999).

ალექსიძე 1999დ: Z. alexidze. A New Collection from Mt. Sinai and its Importance for the History of the Christian Caucasia – Armenia and Christian Caucasia. Yerevan (1999).

ალექსიძე 2001ა: ზ. ალექსიძე. ახალი მონაცემები ქართლის ერისმთავართა ქრონოლოგია-გენეალოგიისა და აბო თბილელის წამების თარიღის შესახებ. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ყოველწლიური სამეცნიერო სესიის მოხსენებები. VI. ქუთაისი (2001).

ალექსიძე 2001ბ: ზ. ალექსიძე. აბო თბილელის მარტვილობის თარიღი და მასთან დაკავშირებული ქართლის ერისმთავართა ქრონოლოგია. მრავალთავი. XIX. თბილისი (2001).

ალექსიძე 2002: ზ. ალექსიძე. უძველესი ცნობა ბაგრატიონების შესახებ. ანამკი. თბილისი (2002).

ალექსიძე 2003: ზ. ალექსიძე. ქართლში ბაგრატიონთა დინასტიის პირველი გამოჩენა (ახალი დოკუმენტური მასალა). ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. თბილისი (2003).

ალექსიძე 2004: ზ. ალექსიძე. "მოქცევაი ქართლისაის მატიანის" ახალი რედაქცია # სინ 48. მრავალთავი. XIX (2001). გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. #3 (2004).

ალექსიძე 2005: ზ. ალექსიძე. სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერთა ახალი ქართული კოლექციის სინ-50-ის ანდერძ-მინაწერები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 359. ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია. თბილისი (2005).

ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: ზ. ალექსიძე, შ. ბურჯანაძე. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის. გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ. თბილისი (1964).

ბაქრაძე 1963: ა. ბაქრაძე. თუმანიშვილთა გენეალოგიის დადგენის ცდა XV-XVII საუკუნეები. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. V (1963).

ბაქრაძე 1965: ა. ბაქრაძე. XVI-XVIII სს. საქართველოს საკათალიკოსო და სათავადო მდივან-მწიგნობართა ქრონოლოგიური რიგი. პალეოგრაფიული ძიებანი. I (1965).

ბაქრაძე 1969: ა. ბაქრაძე. სამეფო ბეჭდები. პალეოგრაფიული ძიებანი. II (1969).

ბრეგაძე 1959: თ. ბრეგაძემ. ეფრემ მცირე. უწყებანი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების. ტექსტი გამოსცა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ. თბილისი (1959).

ბურჯანაძე 1959: შ. ბურჯანაძემ, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770). I. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბილისი (1959).

ბურჯანაძე 1962: შ. ბურჯანაძე. დადიანი ნიკო. ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბილისი (1962).

გაბიძაშვილი და სხვები 1975: დიდი სჯულის კანონი. გამოსაცემად მოამზადეს: ე.გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ. თბილისი: მეცნიერება (1975).

გაბიძაშვილი 1978: ე. გაბიძაშვილი. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ე. გაბიძაშვილმა. თბილისი (1978).

გაბიძაშვილი 1995: ე. გაბიძაშვილი. ერთი მაზდეანური ტრადიციის კვალი ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის რამდენიმე ძეგლში. კრებ. საქართველოს ეკლესიის ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები. თბილისი (1995).

გამრეკელი 1980: В. Гамрекели, Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии (конец 60-х – начало 90-х годов XVIII в.) Документы и материалы, вып. I. Материалы подобрал и подготовил к печати В.Н. Гамрекели. Тбилиси (1980).

გვარამია 1981: რ. გვარამია. ქართული სინური ხელნაწერების არაბული მინაწერები. მრავალთავი. IX (1981).

გვარამია 2003: რ. გვარამია. ძველი ქართული და ქრისტიანული არაბული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან. მრავალთავი. XX (2003).

გიუნაშვილი 1972: ე. გიუნაშვილი. მცირე სჯულის კანონი. გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა. თბილისი (1972).

ენუქიძე 1964: თ. ენუქიძე. მასალები ქართლის სამეფოს სამდივანბეგო სასამართლო ისტორიისათვის (1755-1760 წწ.). თბილისი (1964).

ენუქიძე 1971: თ. ენუქიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მდივანბეგთა ქრონოლოგიური რიგი. მრავალთავი. I (1971).

ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1981: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა. წინასიტყვაობა ნ. შოშიაშვილისა. თბილისი (1981).

კარანაძე 2002: მ. კარანაძე. ქართული წიგნის ყდის ისტორია. თბილისი (2002).

კახაბრიშვილი 2001: ც. კახაბრიშვილი. გრიგოლ ხანცთელის *ცხოვრების* ანდერძი. მრავალთავი. XIX (2001).

კვაჭაძე და სხვები 1986: მ.კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაჟომია. ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი. I. თბილისი (1986).

კიკნაძე 1982/1985: Р. Кикнадзе. Актуальные проблемы имсточниковедения истории Грузии. Источниковедческие разыскания. Тбилиси Мецниереба (1982/1985).

კლდიაშვილი 1981: Д. Клдиашвили. Из истории феодального рода Джакели (X - перв.пол. XIVв.) Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Тбилиси (1981).

კლდიაშვილი 1986: დ. კლდიაშვილი, თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები. თბილისი (1986).
კლდიაშვილი, სხირტლაძე 1999: დ. კლდიაშვილი, ზ. სხირტლაძე. გარეჯა. წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს.). გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ. თბილისი (1999).
კლდიაშვილი 2003: დ. კლდიაშვილი. სინას სულთა მატიანე: ფანასკერტელ-ციციშვილთა საქტიტორო მოღვაწეობა წმინდა მიწასა და სინაზე. კრებულში: ანამკი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. თბილისი (2003).
კლდიაშვილი 2005: დ. კლდიაშვილი. მიძნაძორის მონასტრის სულთა მატიანე. მრავალთავი. XXI (2005).
კლდიაშვილი 2008: დ. კლდიაშვილი. სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე. თბილისი (2008).
კლიმიაშვილი 1964: ა. კლიმიაშვილი. მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის. თბილისი (1964).
მარგიანი 1981: ს. მარგიანი. სვანური საბუთების შესწავლის საკითხისათვის. მრავალთავი. IX (1981).
მასალები 1978,1988: მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. I-II. თბილისი (1978, 1988).
მგალობლიშვილი 1991: თ. მგალობლიშვილი. კლარჯული მრავალთავი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა. თბილისი (1991)
მელიქიშვილი 1987: ნ. მელიქიშვილი. მოთხრობანი იუდებრივისა ძუელსიტყვაობისანი. ჯ.1-2. თბილისი: მეცნიერება (1987).
მეტრეველი 1962: ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XV-XVII სს.). თბილისი (1962).
მეტრეველი 1985: Archives de l'Athos. Actes d'Iviron I. Des origins au milieu du XI siecle.Fditon diplomatique par Jacques Lefort, Nicolas Oikomonidès, Denise Papachrissantou avec la collaboration d'Hélène Métréveli. Paris (1985).
მეტრეველი 1996: ე. მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან. თბილისი: ნეკერი (1996).
მეტრეველი 1998: ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი. თბილისი (1998).
მეტრეველი 2007: ე. მეტრეველი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. ნაკვ.I. არტანუჯი (2007).
მეტრეველი 2008: რ. მეტრეველი. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბილისი: მერიდიანი-არტანუჯი (2008).
მშვიდობაძე 1987: ნ. მშვიდობაძე. ქართული საისტორიო საბუთების კატალოგიზაციისათვის. მრავალთავი. XIV (1987).
მშვიდობაძე 2003: ნ. მშვიდობაძე. საქართველოს უზენაესი მმართველობის საერთო კრების მრჩეველების პასუხი სენატორ მერნიკოვის ინსტრუქციაზე, როგორც წყარო ქართული დიპლომატიკის ისტორიისათვის. მრავალთავი. XX (2003).
მჭედლიძე 1999: გ. მჭედლიძე. ფიტარეთის მონასტრის ისტორიიდან. მრავალთავი. XVIII (1999)
მჭედლიძე 2003: გ. მჭედლიძე, ყაფლანიშვილთა სათავადოს ისტორიიდან, მრავალთავი. XX (2003).
მჭედლიძე 2005: გ. მჭედლიძე, ქართული ისტორიული დოკუმენტები ქვათახევის მონასტრის შესახებ. მრავალთავი. XXI (2005).
ოდიშელი 1964: ჯ. ოდიშელი. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს.). რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი. თბილისი (1964).
ოდიშელი 1966: ჯ. ოდიშელი, ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან, (ზოგიერთი სასისხლო სიგელის შესახებ, მაცნე (ისტორიის სერია). #4 (1966).
ოდიშელი 1968: ჯ. ოდიშელი. მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა. თბილისი (1968).
ოთხმეზური 1981: გ. ოთხმეზური. XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო. თბილისი: მეცნიერება (1981).
პატარიძე 1965: რ. პატარიძე. ქაღალდის დამუშავების საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში. პალეოგრაფიული ძიებანი. I (1965).
პატარიძე 1969: რ. პატარიძე. XIV-XV საუკუნეების ქართული ხელნაწერების ჭვირნიშნები, პალეოგრაფიული ძიებანი. II (1969).
ჟღენტი 1999: დ. ჟღენტი. შინაფეოდალური ბრძოლა XVII ს-ის 60-70-იანი წლების აღმოსავლეთ საქართველოში. თბილისი: მეცნიერება (1999).
რაფავა 1985: მ. რაფავა. მეცნიერებათა კლასიფიკაცია ამონიოს ერმისის მოძღვრებაში. მრავალთავი. XI (1985).
რაფავა 2008ა: М.Рапава. «Догматикон", догматико-полемический сборник Арсения Икалтоели (XIIв.). Материалы ежегодной Богословской конференции Православного Свято-Тихоновского гуманитарного Университета. I. Москва (2008).
რაფავა 2008ბ: М.Рапава. Полемические сочинения против армянского монофизитства в древнегрузинской письменности. Вестник Православного Свято-Тихоновского гуманитарного университета. 3 (23). Москва (2008).
რაფავა, ჩიკვატია 2009: მ. რაფავა, ნ. ჩიკვატია. სიმეონ ახალი ღვთისმეტყველის „სინანულისათვის", ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი. თბილისი (2009).
სარჯველაძე და სხვები 1986: ა. სარჯველაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაჟომია. ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი. II. თბილისი (1986).
სილოგავა 1972: ვ. სილოგავა. ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში. მაცნე (ისტორიის სერია). #4 (1972).
სილოგავა 1973: ვ. სილოგავა. ისტორიული საბუთები ლაგურკიდან, მაცნე, ისტორიის სერია, #3, 1973;
სილოგავა 1979: ვ. სილოგავა. ზემო სვანეთის გრაფიტები (წინასწარი ცნობები) კრ. სვანეთი. II. თბილისი (1979).

სილოგავა 1980: ვ. სილოგავა. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბილისი: მეცნიერება (1980).
სილოგავა 1981: ვ. სილოგავა. დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი 1123/1124. მრავალთავი. IX (1981).
სილოგავა 1986: ვ. სილოგავა. სვანეთის წერილობითი ძეგლები. I. ისტორიული საბუთები და სულთა მატიანეები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ. თბილისი: მეცნიერება (1986).
სილოგავა 1988: ვ. სილოგავა. სვანეთის წერილობითი ძეგლები. II. ეპიგრაფიკული ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ. თბილისი: მეცნიერება (1988).
სილოგავა 1989: ვ. სილოგავა. კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.). გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ. თბილისი (1989).
სურგულაძე 1978ა: მ. სურგულაძე. ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები. თბილისი (1978).
სურგულაძე 1978ბ: მ. სურგულაძე. XIV-XV სს. ქართული სამეფო სიგელების დიპლომატიკური თავისებურება. ქართული წყაროთმცოდნეობა. V (1978).
სურგულაძე 1979: მ. სურგულაძე. ქართული ისტორიული საბუთების დიპლომატიკური შესწავლისათვის. მაცნე (ისტორიის სერია). #4 (1979).
სურგულაძე 1980ა: მ. სურგულაძე. *Arenga XI-XIII* სს. ქართულ სამეფო სიგელებში. მაცნე (ისტორიის სერია). #3 (1980).
სურგულაძე 1980ბ: მ. სურგულაძე. იურიდიულ მტკიცებულებათა ორი სახე მეფეთა სიგელების მიხედვით. მრავალთავი. VIII (1980).
სურგულაძე 1981: მ. სურგულაძე. "ბრძანებულება" მეფეთა სიგელებში. მრავალთავი. IX (1981).
სურგულაძე 1984: მ. სურგულაძე. ქართული ისტორიული საბუთების კლასიფიკაციის პრინციპებისა და დიპლომატიკური ტერმინების ურთიერთმიმართებისათვის. მაცნე (ისტორიის სერია). #2 (1984).
სურგულაძე 1992: მ. სურგულაძე. სასისხლო სიგელები, როგორც სახეობრივი წყარო. მრავალთავი. XVII (1992).
სურგულაძე 1999: მ. სურგულაძე. თუხარლები. თბილისი (1999).
სურგულაძე 2001: მ. სურგულაძე. სოციალური მეხსიერების ფაქტები "ნინოს ცხოვრებაში". მრავალთავი. XIX (2001).
სურგულაძე 2001: მ. სურგულაძე. ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან – ბიჭვინტის იადგარი / მრავალთავი. XIX (2001).
სურგულაძე 2003: მ. სურგულაძე. ფავნელის დაწერილის თარიღისათვის. ანამკი (ნოდარ შომიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული). თბილისი (2003).
სურგულაძე 2006: მ. სურგულაძე. ქართული საისტორიო აქტები. თბილისი: არტანუჯი (2006).
ქავთარია 1965: მ. ქავთარია. დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა. თბილისი (1965).
ქავთარია 1977: მ. ქავთარია. XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა). თბილისი (1977).
ქავთარია 1987: მ. ქავთარია. ყაფლანიშვილთა სახლის გენეალოგია. მრავალთავი. IV (1987).
ქავთარია 2003: მ. ქავთარია. ვახუშტი ბატონიშვილის ახალი ხელნაწერი. მწიგნობარი. თბილისი (2003).
ქავთარია 2007: მ. ქავთარია. ერთი ფურცელი ჩვენი ისტორიიდან. შრომები. თბილისი: უნივერსალი (2007).
ქაჯაია 1965: ლ. ქაჯაია. განკვეთილობის ნიშნები ძველ ქართულ ხელნაწერებში (VII-X). პალეოგრაფიული ძიებანი. I. თბილისი (1965).
ქაჯაია 1969ა: ლ. ქაჯაია. პირობითი ნიშნები ქართულ კომენტარებიან ხელნაწერებში. პალეოგრაფიული ძიებანი. II. თბილისი (1969).
ქაჯაია 1969ბ: ლ. ქაჯაია. ორი ტექნიკური ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში (1969).
ქაჯაია 2005: ლ. ქაჯაია. *ქრისტინას წამების* ხანმეტი რედაქცია. მრავალთავი. XXI (2005).
ქურციკიძე 1993: ც. ქურციკიძე. *ქართლის ცხოვრების* მარიამისეული ხელნაწერის შესახებ. მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია). #3-4 (1993).
შანიძე 1962: მ. შანიძე. ბასილი ეზოსმოძღვრის ისტორიული თხზულების ერთი შერყვნილი ადგილის გამართვისათვის. თსუ შრომები. 99 (აღმოსავლეთმცოდნეობის სრია). 3 (1962).
შანიძე 1965ა: მ. შანიძე. ორი "ამირას" სახელი დავით აღმაშენებლის ცხოვრებაში. სმამ. ტ.94. #2 (1965).
შანიძე 1965ბ: მ. შანიძე. "ისტორიათა და აზმათა" დასაწყისი სტრიქონები. თსუ შრომები. 114 (1965).
შანიძე 1968, 1980, 1989: მ. შანიძე. ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მიხეილ ქავთარიამ და ენრიკო გაბიძაშვილმა, მზექალა შანიძის რედაქციით IV (1968); VI (1980); V (1989).
შანიძე 1988ა: მ. შანიძე. რამდენიმე შენიშვნა დავითის ისტორიკოსის თხზულების გამო. თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. თბილისი (1988).
შანიძე 1988ბ: მ. შანიძე. დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტოლოგიური შესწავლის ზოგი საკითხი კრებულში: პირველი საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები. თბილისი (1988).
შანიძე 1990: მ. შანიძე. დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტი. კრებულში: დავით აღმაშენებელი. თბილისი (1990).
შანიძე 1992: მ. შანიძე. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ. თბილისი (1992).
შანიძე 2001: მ. შანიძე. ერთი იურიდიული ფორმულა დავითის ისტორიკოსის თხზულებაში. თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. ტ. 30 (2001).
შარაშიძე 1963: ქ. შარაშიძე. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები. თბილისი (1963).
შარაშიძე 1982: ქ. შარაშიძე. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა. თბილისი (1982).

შენგელია 2007: დ. შენგელია. იოანე დამასკელის მხოლოდ ქართული თარგმანით ცნობილი თხზულება „გამოკრებანი წამებათანი“. მრავალთავი. XXII (2007).

შოშიაშვილი 1975: ნ. შოშიაშვილი. ანასეული *ქართლის ცხოვრების* პირის გადაწერის თარიღი. მრავალთავი. I (1975).

ჩიკვატია 2004: ნ. ჩიკვატია. არსენ იყალთოელის *დოგმატიკონის* შედგენილობა ხელნაწერი კრებულების მიხედვით. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. I (2004).

ცაგარეიშვილი 1979: ე. ცაგარეიშვილი. სტეფანოს ორბელიანის ძველი ქართული თარგმანები. ტექსი გამოსცა, გამოკვლევა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბილისი (1979).

ცაგარეიშვილი 1981: ე. ცაგარეიშვილი. პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბილისი (1981).

ცერაძე 2001: თ. ცერაძე. სამონასტრო ცხოვრება და განსწავლა ქრისტიანულ ასკეზაში. მრავალთავი. XIX (2001).

ჭანკიევი 1965: ც. ჭანკიევი. დაქარაგმების წესები ძველ ქართულ ხელნაწერებში (V-X); პალეოგრაფიული ძიებანი. I. თბილისი (1965).

ჭანკიევი 1973: ც. ჭანკიევი. პალეოგრაფიული ალბომი. მეორე შევსებული გამოცემა, მოამზადა ც. ჭანკიევმა. თბილისი (1973).

ხოშტარია-ბროსე 1978: ე. ხოშტარია-ბროსე. საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის იდეის ასახვა ქვეყნის დაშლილობის ხანის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში, მრავალთავი. VI (1978).

ხოშტარია-ბროსე 1984: ე. ხოშტარია-ბროსე. ფეოდალური საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები. თბილისი: მეცნიერება (1984).

ხოშტარია-ბროსე 1986: ე. ხოშტარია-ბროსე. “წიგნის”, როგორც დიპლომატიკური ტერმინის გაგებისათვის. მრავალთავი. XIII (1986).

ხოშტარია-ბროსე 1987ა: ე. ხოშტარია-ბროსე. ქართული დიპლომატიკა, მიღწევები და პერსპექტივები. მრავალთავი. XIV (1987).

ხოშტარია-ბროსე 1987ბ: ე. ხოშტარია-ბროსე. *ქართლის ცხოვრების* დასაწყისი ციკლის კომპოზიციის შესახებ. მაცნე (ისტორიის სერია). # 4 (1987).

ხოშტარია-ბროსე 1991: ე. ხოშტარია-ბროსე. ლეონტი მროველის წყაროებისა და *ქართლის ცხოვრების* დასაწყისი ციკლის შედგენილობის საკითხისათვის. მრავალთავი. XVI (1991).

ხოშტარია-ბროსე 1993ა: ე. ხოშტარია-ბროსე. *ქართლის ცხოვრების* დასაწყისი ციკლის შესწავლის შედეგები და ტექსტში არსებული მინაწერების ინტერპრეტაციის ცდა. ქართული წყაროთმცოდნეობა. თბილისი (1993).

ხოშტარია-ბროსე 1993ბ: ე. ხოშტარია-ბროსე. *მატიანე ქართლისაის* ორი ადგილის გაგებისათვის. ქართული წყაროთმცოდნეობა. VIII. თბილისი (1993).

ხოშტარია-ბროსე 1996: ე. ხოშტარია-ბროსე. ლეონტი მროველი და *ქართლის ცხოვრება*. თბილისი (1996).

ხოშტარია-ბროსე 1997: ე. ხოშტარია-ბროსე. ივანე ჯავახიშვილი და *ქართლის ცხოვრება*. ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული. თბილისი (1997).

ხოშტარია-ბროსე 2001: ე. ხოშტარია-ბროსე. კვლავ VII საუკუნის ქართული მატიანის შესახებ. მრავალთავი. XIX. თბილისი (2001).

ხოშტარია-ბროსე 2003: ე. ხოშტარია-ბროსე. მეფეთა ქრონოლოგიური რიგი “ქართლის ცხოვრებაში”. თსუ შრომები. 349. ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია. თბილისი (2003).

ხუციშვილი 2006: ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში. არტანუჯი (2006).

ჯანაშია 1980: ნ. ჯანაშია. ‘შუშანიკის წამება’(ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა). თბილისი (1980).

ჯანდიერი 1971: გ. ჯანდიერი. XVII ს. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი). მრავალთავი. I (1971).

Source Studies and Historiography at the National Centre of Manuscripts (1959-2009)

Mzia Surguladze

In 1959 rich funds of the Georgian historical charters appeared to be accumulated in the newly founded National Centre of Manuscripts (the then K. Kekelidze Institute of Manuscripts of the Academy of Science of Georgia). Only a small part of the documentary material preserved in these funds were known to the then scientific circles through several publications published in the second half of the XIX and the first half of the XX centuries. Consequently, the information preserved in the thousands of historical charters was not available to the specialists, and their source study value was unknown either. Existence of rich collections of historical charters caused foundation of the special department in the National Centre of Manuscripts. The scientific profile of this

department was initially determined by the problems connected with making catalogues of the documentary material preserved here, its attribution and source study. Within these problems several priority directions were outlined, which preserve their importance up to the present day. They are: united chronological and fund catalogues of the historical charters, electronic catalogues and databases, preparation of the full corpus of the historical charters for publication, genealogical-chronological and diplomatic researches.

In the National Centre of Manuscripts, where the scholars had wide potentials through observing the primary sources, based on the Georgian material, to form scientific researches in historical chronology and historical genealogy, sphragistics and philigranology, cryptography; the Georgian paleography and diplomatics acquired quite new theoretic and practical dimensions. It may be said that for the first time in the Georgian reality in the National Centre of Manuscripts there were born the so-called auxiliary and special disciplines of history, which filled up many gaps in the Georgian source-studies.

The source-studies activities in the National Centre of Manuscripts were not limited only with processing of documentary material and its research; publications of the most important monuments of medieval Georgian translated and original literature were prepared here with philological-textological researches, which largely contributed to the modern Georgian historiography. Among such we can name full corpus of Georgian hagiographical monuments, old Georgian translations of the best samples of Byzantine dogmatic, polemic and canonical literature, old Armenian translation of the medieval Georgian history "Kartlis Tskhovreba", also Georgian translations of the works of Armenian scholars supplied with vast source study researches.

Complex methodology was established in the National Centre of Manuscripts of the most specific material – for study of the commemorative chronicles (sinodika) and agapae notes. Use of this methodology enabled to obtain reliable first-class historical information, which considerable promoted expansion of Georgian source-studies base.

Within years the National Center of Manuscripts planned archeographic expeditions. In result of these expeditions there were fixed and described the present security and condition of Georgian architectural and epigraphic monuments, carvings, manuscripts existing in separate regions of Georgia (Akhaltsikhe, Svaneti, Shida Kartli, Javakheti, and Gareja), also abroad (Jerusalem, Athos, Sinai); the results of these expeditions were presented in solid monographs and numerous scientific articles.

წყაროს თარგმანი, პუბლიკაცია, კომენტარი

სტატისტიკური ცნობები 1794 წლის *ხალხის აღწერის დავთრიდან*

აპოლონ თაბუაშვილი

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში დაცულია მეტად საყურადღებო სტატისტიკური ხასიათის ინფორმაცია ქართლის სამეფოს შესახებ. ეს არის ქართლის 121 სოფლის მცხოვრებთა შესახებ მშრალი სტატისტიკური მონაცემები, რომელიც წარმოადგენს ი.ჯავახიშვილის მიერ გადაწერილ პირს. ავტორს, გადაწერის დროს, დედანის ყველა პრინციპი აქვს დაცული.[1] დოკუმენტს ავტორი ზოგადად მიმოიხილავს *საქართველოს ეკონომიკური ისტორიის* (წიგნი I) პირველ კარში. როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს

> ამ საბუთს თარიღიცა აქვს და მის დამწერსაც შედგენილობის მიზანიცა და წყაროც მოკლედ დასახელებული აქვს. იქ ნათქვამია: "ქ-კს უპბ (482). ამ წელს სოფლები დაიწერა და სოფელ-სოფელ რაც მემკვიდრე და ხიზანი კაცი დგას, თავ-თავის სოფელზე გარჩევით სწერია"-ო. მაშასადამე, საფიქრებელია, რომ ეს ამონაკრები 1794 წ. მოხდენილი ხალხის აღწერის დავთრების ცნობებზეა დამყარებული (ჯავახიშვილი 1930: 42).

ი. ჯავახიშვილმა ასევე შენიშნა, რომ გადამწერს სრული სტატისტიკური სურათის წარმოჩენა არ სურდა. მას მხოლოდ 'მემკვიდრე' და 'ხიზანი' ალურიცხავს. თავადაზნაურები, 'ობლები' და 'ბოგანოები' მას ამ ცნობაში არ შეუტანია (ჯავახიშვილი 1930: 42). ეს ფაქტი გასაგებიცაა, რადგან დოკუმენტის შემდგენელს ამ შემთხვევაში აინტერესებდა მხოლოდ სასოფლო გადასახადების გადამხდელთა რაოდენობა. გადასახადებს კი იხდიდნენ მხოლოდ სრულფუძიანი კომლები, როგორც მკვიდრი მოსახლეობა ანუ 'მემეკვიდრეები', ასევე 'ხიზნები'.

ამ დოკუმენტში რომ მარტო სასოფლო გადასახადების გადამხდელთა რაოდენობაა აღნიშნული, ეს კარგად ჩანს შემდეგი ფაქტორიდან – ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტში დასახელებულ რამდენიმე სოფლის მოსახლეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მოგვეპოვება 1781 წლის აღწერის დავთრიდან, სადაც აღწერილია არა მხოლოდ 'მემკვიდრეები' და 'ხიზნები', არამედ მთელი მოსახლეობა (თაბუაშვილი 2010ბ: 25-58). მაგალითისათვის 1781 წლის აღწერის მიხედვით სოფელ ფხვენისში 29 კომლი ირიცხებოდა, მაშინ როდესაც ჩვენს ხელთ არსებულ დავთარში მხოლოდ 16 კომლია დაფიქსირებული. მიზეზი კი ის არის, რომ 1781 წლის მონაცემებით სოფელში რამდენიმე აზნაურის და 'ბოგანოს' კომლი ცხოვრობდა (თაბუაშვილი 2010ბ: 31-33), რომლებიც გადასახადს არ იხდიდნენ. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ქალაქ ცხინვალის, სოფელ დგვრისის და სხვა დასახლებული პუნქტების მიმართაც. ერთი სიტყვით, ზემოთ აღნიშნულ სტატისტიკურ ამონაკრებში დაფიქსირებულია მხოლოდ სასოფლო გადასახადების გადამხდელთა რაოდენობა. ამიტომაც ეჭვგარეშეა, რომ მასში არ მოიაზრება დავთარში მოხსენებული ქალაქების მცხოვრებთა დიდი ნაწილი, ვაჭრები და ხელოსნები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით არ იყვნენ დაკავებულნი. მათ კი სხვა ტიპის გადასახადები ეკისრებოდათ (თაბუაშვილი 2010ა: 50-99). სწორედ ამ მიზეზთან უნდა იყოს დაკავშირებული ის ფაქტი, რომ დავთარში ქალაქების – გორის, სურამის და ცხინვალის მოსახლეობა აშკარად უფრო მცირე რაოდენობით არის აღნიშნული, ვიდრე სინამდვილეში იყო. სხვა შემთხვევაში შეუძლებელია, ავხსნათ, მაგალითად, ქ. გორის მოსახლეობის სიმცირე. სხვა ცნობით გორში 500 კომლი ცხოვრობდა (დოლიძე 1965: 420), ჩვენს ხელთ არსებულ დავთარში კი მხოლოდ 227 კომლია ნაანგარიშევი. ცხადია, მასში შეყვანილი არ არის ქალაქების ვაჭარ-ხელოსანთა ფენა, რომლებიც გორსა და სურამში მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდნენ. ი.ჯავახიშვილი სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ

დოკუმენტი ზემო და შიდა ქართლის მოსახლეობის მცხოვრებთა შესახებ ცნობებს შეიცავს (ჯავახიშვილი 1930: 42), თუმცა იმავე პერიოდში (1794-1799 წწ.) იოანე ბატონიშვილის მიერ შედგენილ ქართლ-კახეთის სამეფოს აღწერაში, იმავე რეგიონებიდან, რამდენიმე ისეთი დასახლებული სოფელია დასახელებული, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო დავთარში არ არის შეტანილი. ასეთებია: თბილისის დასავლეთით დიღომი, მცხეთა, სასხორი, წილკანი, ქანდა, ჩანგილარი და ძეგვი; თეძმის ხეობაში ნიაბი და ერთაწმინდა; მათ დასავლეთით გრაკალი, სკრა, მხურვალეთი, კარალეთი, წინუბანი, ღრომი, გუფთა და სხვა (ენუქიძე, ბედოშვილი 1986).

სულ სტატისტიკურ ამონარიდში შეტანილ 121 დასახლებულ პუნქტში სასოფლო გადასახადების გადამხდელი 2643 კომლი სახლობდა. აქედან 2186 კომლი მკვიდრი მოსახლე იყო, 457 კომლი 'ხიზანი'. როგორც ზემოთ ითქვა, აღნიშნულია არა სოფლების და ქალაქების სრული მოსახლეობა, არამედ, მხოლოდ 'მემკვიდრე' და 'ხიზანი'. მიუხედავად ამისა, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტი გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მოსახლეობის სიმჭიდროვის შესახებ, რადგან აქ მოყვანილია სოფლების მცხოვრებთა სრული რაოდენობის დაახლოებით 70%.[2]

სტატისტიკური ამონარიდის მიხედვით, ქართლის აღნიშნულ რეგიონში ყოფილა 37 მცირე სოფელი, სადაც მხოლოდ სამიდან ათ კომლამდე გადასახადების გადამხდელი ცხოვრობდა. სოფლების უმეტესობაში 20-30 კომლი 'მემკვიდრე' და 'ხიზანი' სახლობდა. დიდი სოფლები ყოფილა ქარელი (106 კომლი), ყანჩაეთი (92 კომლი), რუისი (66 კომლი), მეჯვრისხევი (65 კომლი), ახალქალაქი (65 კომლი), კავთისხევი (61 კომლი), შინდისი (50 კომლი), მუხრანი (50 კომლი) და სხვ. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული პერიოდის აღწერებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ კომლი არ ნიშნავდა ერთ ოჯახს, ერთ კომლში უმეტესად 2 და მეტი ოჯახი ერთიანდებოდა.

მიუხედავად სპეციფიკურობისა, აღნიშნული ცნობების პუბლიკაცია მეტად მნიშვნელოვანია, როგორც სოციალ-ეკონომიკური ისტორიის მკვლევრებისათვის, ასევე ისტორიული დემოგრაფიით თუ ლოკალური ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

სოფლების ჩამონათვალს მარცხენა მხარეს ახლავს 'მემკვიდრეების' რაოდენობა, მარჯვნივ კი 'ხიზნების'. როგორც ი.ჯავახიშვილი ამ სტატისტიკური ამონაკრების მიმოხილვისას *საქართველოს ეკონომიკური ისტორიაში* (წიგნი I) განმარტავს, დედანში კომლების რაოდენობა იმდროინდელი პრაქტიკის გათვალისწინებით ანუ ასონიშნებით იყო აღნიშნული (ჯავახიშვილი 1930: 42). მკვლევარს, მის მიერ გადაწერილ პირში არაბული ციფრები გამოუყენებია.

ი. ჯავახიშვილის პირადი არქივი # 644. 218-221 ფურცელი.

ქ~კს უპზ (482). ამ წელს სოფლები დაიწერა და სოფელ-სოფელ რაც მემკვიდრე და ხიზანი კაცი დგას, თავ-თავის სოფელზე გარჩევით სწერია[3]

ქ~კს 482=1794

კო{მლი}
56 სურამს, ხიზანი ურიით 9
6 ხაშურს
7 ჭალას, ხიზანი 1
12 ბეკამს, ხიზანი 2
5 ოსიაურს, ხიზანი 1
8 აბისს, ხიზანი 7
6 ბრეძას, ხიზანი 1
5 ავლევს, ხიზანი 5
9 ატოცს, ხიზანი 7
6 თიღვას
18 ძაღინას
5 ნულს, ხიზანი 1
9 ავნევს, ხიზანი 2
3 დვანს
3 ძვილეთს
18 დირბს, ხიზანი 6
27 ბრეთს, ხიზანი 8

11 საღოლაშენს, ხიზანი 1
4 არადეთს, ხიზანი 3
58 რუისს, ხიზანი 8
13 ურბნისს, ხიზანი 7[4]
ტინისხიდს 14, ხიზანი 5
გორს 117, ხიზანი 110
ახალდაბას 12
არაშენდას 6, ხიზანი 2
ლელისთავს 4
ვარიანს 22
საქაშეთს 13, ხიზანი 2
ყელქცეულს 8
შინდის{ს} 44, ხიზანი 14
ფხვენის 14, ხიზანი 2
ზემონიქოზს[5]
ქვემონიქოზს 26
ქვემო ხვითს 22, ხიზანი 5
ზემო ხვითს 24, ხიზანი 2
ცხინვალს ალელებითვე 95, ხიზანი 21
დგვრის{ს} 32
თამარაშენს 17, ურია 18
აჩაბეთს 6
კეხვს 10
ქურთას 13, ხიზანი 2
ტბეთს 9
სვერს 6
ქემერტს 20
ძარწემს 13
ხეითში 23
მეღურეკის{ს} 12
ერგნეთს 10
ბროწლეთს 7
ტირძნის{ს} 19, ხიზანი 1
თერგვის{ს} 5
დიცს 19, ხიზანი 1
ფრის 3
არგვითს 7
ერედვს 22
ქორდს 12, ხიზანი 6
არბოს 5
კარბს 14, ხიზანი 1
აწერისხევს 16
ბელოთს 14
საცხენის 11
ვანათს 15
ჭარებს 7
62 სოფელი

მემკვიდრის ჯამი 1096
ხიზანის ჯამი 261

კო{მლი}
ქსუისს 7
ზარდიან{თ}კარს 3, ხიზანი 1
მერეთს 20, ხიზანი 1

კულბითს 17, ხიზანი 6
არცევს 12
ფრავს რუისუბნით 18
ფლავს 9
ჯარიაშენს 9, ხიზანი 3
იკოის 8
აძვს 7, ხიზანი 4
ახალუბანს 14, ხიზანი 2
მეჯვრისხევს საამილახვროთი 50, ხიზანი 15
მეჯვრისხევს გიორგი ბატონიშვილისა
სათემს 5
ქიწნის{ს} 8, ხიზანი 2
ტყვიავს 34, ხიზანი 5
მარანას 11, ხიზანი 5
შერთულს 5, ხიზანი 3
ძევერას 18, ხიზანი 4
დიდ გარეჯვარს 6, ხიზანი 4
პატარა გარეჯვარს 6, ხიზანი 2
თორტიზას 17, ხიზანი 2
რეხას 8, ხიზანი 4
ბერბუკს 6
სვენეთს 6, ხიზანი 7
ახალსოფელს 11, ხიზანი 2
უფლისციხეს 13
ხელთუბანს 26
კვარხითს 8, ხიზანი 2
ახრის{ს} 19, ხიზანი 1
ზერტს 15, ხიზანი 3
კირბალს 7, ხიზანი 6
სობის{ს} 9, ხიზანი 4
ბერშოეთს 10, ხიზანი 4
ჭალას 34, ხიზანი 6
საკორინთლოს 4, ხიზანი 1
სამთავის{ს} 14
ბოლს 12
კასპს 32, ხიზანი 6
ქსოვრის{ს} 12, ხიზანი 10
დამპალას 4, ხიზანი 10
მუხრანს 50
ყანჩაეთს ამილახვრის ყმათ 91, ხიზანი 1
აღავეთს (?) 13
ქვემო ხანდაგს 11, ხიზანი 2
გომს 19, ხიზანი 2
კავთისხევს 46, ხიზანი 15
მეტეხს 33, ხიზანი 10
ჩოჩეთს 10
ახალქალაქს 52, ხიზანი 10
ყარაღაჯს 12
ხოვლეს 22, ხიზანი 5
ზემო ხანდაგს 10, ხიზანი 5
სასირეთს 11, ხიზანი 2
დოესს 23
ქვახრელს 9
ხიდისთავს 27, ხიზანი 9

ქარელს 106
სამწევრის(ს) 3, ხიზანი 12...
59 სოფელია. მემკვიდრის ჯამი 1090
ხიზნის ჯამი 196

შენიშვნები

[1]საქართველოს არქივებში აღნიშნულ ცნობის დედანს ვერ მივაკვლიე, შესაძლოა ის დაკარგულიცაა.

[2]ცხადია, ეს პროცენტული მაჩვენებელი ქალაქებზე ვერ გავრცელდება, რადგან იქ მოსახლეობის უმრავლესობას ვაჭარ-ხელოსნები წარმოადგენდნენ

[3]აღნიშნული მინაწერი ივ. ჯავახიშვილის პირად არქივში დაცულ დოკუმენტს არ ახლავს. აღებული გვაქვს *საქართველოს ეკონომიკური ისტორიიდან* (იხ. ჯავახიშვილი 1930: 42).

[4]აქედან 'მემკვიდრეების' რაოდენობა სოფლის დასახელების შემდეგ წერია.

[5]არ არის აღნიშნული კომლების რაოდენობა, რაც ტექნიკური ხარვეზი გვგონია, რადგან 1781 წლის აღწერის მიხედვით ზემო ნიქოზში 11 კომლი ფიქსირდება იხ. (თაბუაშვილი 2010: 34-35).

დამოწმებანი

დოლიძე 1965: ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, მეცნიერება (1965).

ენუქიძე, ბედოშვილი 1986: თ. ენუქიძე, გ. ბედოშვილი. იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებელი დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, მეცნიერება (1986).

თაბუაშვილი 2010ბ:ა.თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, თბილისი: *უნივერსალი* (2010).

თაბუაშვილი 2010ა: ა. თაბუაშვილი. შიდა ქართლის მოსახლეობის აღწერის დავთრები. XVIII საუკუნის მეორე ნახევარი, თბილისი, უნივერსალი (2010).

ჯავახიშვილი 1930: ი. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი პირველი. მეორე, ახლად დაწერილი გამოცემა, ტფილისი, *ქართული წიგნი* (1930).

Statistic Accounts of 1794 Census

Apolon Tabuashvili

Ivane Javakhishvili's personal archive contains statistic database of the families living in 121 villages of Kartli region. The available documents are copies made from original manuscript. Those information is employed from census of 1794. Only local folks – so-called "Memkvidreebi" (successors) and "khiznebi" (those who lost their paternal lands and sheltered themselves somewhere else for the service of new landlord) are recorded. *Tavad-Aznauroba* (Nobility), "*Oblebi*" (orphans), and "*Boganoebi*" (paupers) are the part of population with no tax obligations. Hence they were not included in census. The statistic extracts record 2643 family from 121 settled places of Kartli. Among them 2186 families were local inhabitants, and 457 were "Khizans".

In our opinion publication of those materials is very important as they are helpful for the study of social-economic history of Georgia as well as for investigation of the demography and for regional history of the country.

ახლადაღმოჩენილი საბუთები სოფელ ჭალა-ტყიდან

დავით მერკვილაძე

2010 წლის სექტემბერში ზესტაფონის რაიონის სოფელ ჭალა-ტყიდან ჩემმა ნათესავმა, პროფესიით ისტორიის მასწავლებელმა ნანა მერკვილაძემ შემატყობინა, რომ ამავე სოფლის ერთ-ერთ ოჯახში შემთხვევით აღმოჩენილა ძველი საბუთები, სადაც მოხსენიებულნი ყოფილან ჩემი უშუალო წინაპრებიც. ამას გარდა, ჩემი განსაკუთრებული ინტერესი აღძრა ცნობამ, რომ ამ საბუთებს შორის ასევე მოიპოვებოდა მარიამ იმერეთის დედოფლის გამოგზავნილი წერილი.

ოქტომბრის მეორე ნახევარში, როგორც იქნა, გამოვნახე დრო და გავემგზავრე ჭალა-ტყეში. იქ ჩასულს ასეთი ვითარება დამხვდა: ნანა მერკვილაძეს ძველი საბუთები უნახავს ამ სოფლის მკვიდრის – ჯემალ ქაცარიძის ოჯახში, საიდანაც წამოუღია სამი ძველი ქაღალდი, რომელთაც ნახვისთანავე ყურადღებით გავეცანი (მათ შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ). მცირე ხანში ორივენი დაუყოვნებლივ გავეშურეთ ქაცარიძის ოჯახში დანარჩენი საბუთების სანახავად. აქ კი თურმე სრული იმედგაცრუება მელოდა. ბ-ნ ჯემალისაგან შევიტყვე, რომ საბუთები უნახავთ მისი ნათესავის (ჭუტა მერკვილაძის) მიტოვებულ სახლში, ერთ ძველის-ძველ სკივრში. საბუთების შეკვრა დასტად ელაგა სკივრის ფსკერზე. თუმცა, როგორც გაირკვა, დანარჩენი საბუთები (როგორც თქვეს, სულ 11 ცალი) მასპინძლის ნათესავ ქალს წაუღია ზესტაფონში, ქსეროასლს გადავიღებ და მალევე დაგიბრუნებო – უთქვამს, მაგრამ სიტყვა აღარ შეუსრულებია. სახეზე უკმაყოფილება რომ შემამჩნია, დამამშვიდა: მას აუცილებლად მოვნახავ, საბუთებს დავაბრუნებინებ და შეგატყობინებო. მოვიკითხე სკივრიც. გაირკვა, რომ სკივრი აღარ არსებობდა: ის ჭიასა და თაგვებს სულ გამოეჭამათო, მივიღე პასუხად.

გადარჩენილი სამი ფურცლის შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ ისინი ჯერჯერობით ჩვენთვის ხელმიუწვდომელ საბუთებთან ერთად სოფელ ჭალა-ტყის ჯვარცმის ეკლესიის საარქივო საბუთებს წარმოადგენენ. სოფლის ეკლესია შუა საუკუნეების დარბაზული ტიპის ტაძარია. აღმართულია მდ. ჩოლაბურის მარცხენა ნაპირას. მის ირგვლივ მდებარეობს სოფლის სასაფლაო. შეიძლება ვივარაუდოთ: ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ ჯვარცმის ეკლესიის დახურვის შემდეგ მისი არქივი სოფლის ერთ-ერთმა მოსახლემ საკუთარ ოჯახში გადაიტანა შესანახად (შესაძლოა, ზემონახსენებ სკივრითურთ). გამორიცხული არაა, მასთან ერთად გადანახულიყო საეკლესიო წივთებიც, რომელთა კვალიც ჯერჯერობით არ ჩანს.

გთავაზობთ ჩვენს ხელთ არსებული საბუთების მოკლე აღწერილობას:

1. ერთ-ერთი საბუთი ჭალა-ტყის ჯვარცმის ეკლესიის მიერ გაცემულ გარდაცვალების მოწმობაა 1885 წელს გარდაცვლილი ამავე სოფლის მკვიდრის ბესარიონ მერკვილაძისა. ფურცელი წარმოადგენს მოზრდილ თეთრ ქაღალდს (34X43,5სმ.), რომელიც სიძველისაგან გაყვითლებულა და მოყავისფრო მცირე ლაქებითაა დაფარული. გადაკეცვის ადგილებში ქაღალდი გაცრეცილია და ალაგ-ალაგ გახეულიც. ასეთი ადგილები კი არც ისე მცირეა, რადგან ფურცელი თავის დროზე რვად ყოფილა გაკეცილი. მოწმობა 1889 წლის 24 თებერვალსაა გაცემული.

წერილობა შესრულებულია მკრთალი შავი მელნით, ლამაზი მხატვრული ხელით, მხედრულად. გარეთა მხარეს წერია:

მეტრიჩესკის წიგნის აღწერილობა.
სოფლის ჭალატყის ჯვარცმის ეკკლესიისა
ნაწილი მესამე. გარდაცვალებულთათვის
1885სა წლისა.

შიდა მხარეს, ზედა მარცხენა კუთხეში მიჯრით დაკრული აქვს სამი საიმპერიო საღერბო მარკა: პირველი მოლურჯო ფერის, ორმოცდაათკაპიკიანი მარკა და ორი ერთნაირი მოყავისფრო ათკაპიკიანი მარკა. მარკებზე გამოსახულია რუსეთის იმპერიის ღერბი – ორთავიანი არწივი. მარკების ქვედა გამოსახულებისაგან ცარიელ სივრცეში წაწერილია: '1889 წელსა თებერვლის ოცდასამსა', აღნიშნული წარწერა სამივე მარკაზე გადადის.

მოწმობა გვიჩვენებს, რომ 'გარდაცვალებული' არის 'სოფელსა ჭალატყეს მცხოვრები, მღვდლის შვილის შვილი ბესარიონ ტიმოთეს ძე მერკვილაძე'. გარდაცვალება აღნიშნულია 25 თებერვალს, დასაფლავება – 28 თებერვალს. გარდაცლილა იგი 61 წლის ასაკში ყვავილისაგან. აღსარება ათქმევინა და აზიარა 'მღვდელმან გიორგი დალაქისშვილმან". მანვე აუგო წესი "მეტრიჩესკის ტარიელ მერკვილაძისათანა'. გარდაცვალებული დაუსაფლავებიათ 'სოფლის ჭალა-ტყის ჯვარცმის ეკკლესიის გალავანსა შინა'.

ქვედა მხარეს, ფურცლის მთელ სიგრძეზე წერია:

#5 რომელ ნამდვილისა თანა სწორ აღმოწერილ არს მეტრიკიდგან. და გარდაიცვალა უცოლშვილოდ, ბესარიონ მერკვილაძე. და არიან მემკვიდრენი ამის დანაშთი, მამულისა ძმები ამისა, მღვდლის შვილის შვილნი, პავლე და იაკობ ტიმოთეს ძენი მერკვილაძე[ე]ბი. მას შინა ხელს ვაწერთ და საეკკლესიო ღერბითაც ვამოწმებთ 1889 წელსა თებერვლის 24 – დღესა სოფლის
ჭალატყის ჯვარცმის ეკკლესიის
მღვდელი გიორგი დალაქისშვილი
მეტრიჩესკი ტარიელ მერკვილაძე

ბეჭედი: ჭალატყის ჯვარცმის ეკკლესია

საბუთის წერილობა შესრულებული ჩანს ტარიელ მერკვილაძის ხელით, ვინაიდან ერთადერთ განსხვავებულ ხელწერას მასში წარმოადგენს მღვდელ გიორგი დალაქიშვილის ხელმოწერა, ხოლო 'მეტრიჩესკის' ხელმოწერისა და დანარჩენი წერილობის ხელწერა ერთია.

2. ორფურცლიანი სქელი ქაღალდი (გადაშლილი სახით 46,7X37). ნასყიდობის მოწმობა, დედანი. შესრულებულია სპეციალურ ბლანკზე. მასზე დაკრულია ორი რუსული ერთრუბლიანი საღერბო მარკა. წერილობა შესრულებულია მხედრულად, მუქი შავი მელნით. მოწმობა გაცემულია '1916 წლის მწიფობისთვის 17სა დღესა'.

მოწმობა გასცა 'მცხოვრებმა ს. ჭალატყეს, საქარას საზოგადოებასა და შორაპნის მაზრასა, სილიონ ვახტანგისძე მერკვილაძემ' მასზედ, რომ 'ამავე სოფელშიდ და მაზრაშიდ მცხოვრებს გალაქტიონ იაკობისძე მერკვილაძეს' ათას მანეთად ასყიდებს თავის კუთვნილ 'სახნავ მიწას, სახელწოდებით "ლიპის ადგილი".

საბუთში იხსენიება სილოვანის ძმა ვანკა მერკვილაძე, ასევე სერგო და შალვა მერკვილაძეები. ეს უკანასკნელნი იხსენიებიან, როგორც გაყიდული მიწის დასავლეთიდან მოსაზღვრე მამულის მფლობელნი.

მოწმობას განსხვავებული იისფერი მელნით ხელს აწერს სილოვან ვახტანგის ძე მერკვილაძე.[1]

3. ერთფურცლიანი თხელი თეთრი ქაღალდი (35,5X22,3). პირი. სიძველისაგან გაყვითლებული, მომცრო მოყავისფრო ლაქებით დაფარული. დანარჩენ ორთან შედარებით მეტად დაზიანებულია. გადაკეცვის ადგილებში უმეტესად გახეული (გადაკეცილი იყო ოთხად). მასზე სამი სხვადასხვა საბუთია დატანილი. დაწერილია შავი მელნით. გადაწერილი ჩანს XIX ს-ის ბოლო მეოთხედში ერთი ხელწერით. ქაღალდის ზედა მარცხენა კუთხეში გაირჩევა რუსეთის იმპერიის რელიეფური ჭვირნიშანი.

საბუთების გადაწერა, სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო ეკლესიის არქივში არსებული ღირებული და სიძველისაგან საკმაოდ დაზიანებული საბუთების (იმ დროისთვის სამიდან ორი ქვემომოყვანილი საბუთი უკვე დაახლოებით ას წელს ითვლიდა) ტექსტების გადარჩენის მიზნით.

I. მარიამ იმერეთის დედოფლის წიგნი მღვდელს აზნაურ ვასილ მერკვილაძისადმი. მარიამ დედოფლის წერილი მოთავსებულია ფურცლის წინა მხარეს და მოიცავს გვერდის დაახლოებით 7/10-ს.

აზნაურს ვასილს

ქ. სრულიად იმერთა დედოფალი მარიამ ჯვარცმის დეკანოზ[ს] მღვდელს მერკვილაძეს მარჯვენეს გეამბორები. მერმე თუ ჩვენს ბატონობაზედ ხელი არ აგეღოს, ეს წიგნი რომ მოგივიდეს, მაშინვე აქ არ ჩამოხვიდე, არას გზით არ იქნება. თუ შენი შესამატი საქმე არის, თორემ დასაკლისი არაფერი არის. ნუ დაიზარებ აქ ჩამოსვლას. თუმც რაიმე ერთი მიზეზი ქონდეს და შენ ვერ ჩამოხვიდე, შენი ბიძასშვილი რომ არის დავითელა, ის გამომიგზავნე საჩქაროთ.

ჩარჩოში: იმერეთის დედოფალი მარიამ

ბოლოში ხელრთვის ნიშანი. ჩანს, დედანში წერილის ბოლოს დედოფლის ბეჭედი უნდა ყოფილიყო.

II. მარიამ დედოფლის წერილს მოყვება რუსულ ენაზე შედგენილი ტექსტი. დაწერილია ძალზე გაკრული, ძნელად გასარჩევი ხელით. იგი უნდა იყოს ოფიციალური საუწყებო მიმართვა ვინმე მერკვილაძისადმი (ან პირიქით), რომლის სახელისა და თანამდებობის გარჩევა ჭირს (მერკვილაძე ნახსენებია ტექსტის ბოლოშიც). დათარიღებულია 1886 წლის 28 აპრილით. ტექსტი გადადის მეორე გვერდზე, სადაც იკავებს ნახევარ გვერდს. მასში საუბარია სოფელ ჭალატყეში სახელმწიფო და საგუბერნიო გადასახადების აკრეფის შესახებ.

III. *გაენათელი მიტროპოლიტ ეფთვიმის წიგნი მღვდელ ბასილ მერკვილაძისადმი.* ეფთვიმე მიტროპოლიტის წერილი მოთავსებულია ფურცლის მეორე გვერდზე. მას უჭირავს გვერდის ქვედა ნახევარი და თითქმის მიბჯენილია მის წინა რუსულ ტექსტს.

ჯვარცმის დეკანოზს, მღვდელს მერკვილაძე ბასილს ყოვლად სამღვდელო გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი ღოცვა კურთხევას მოგახსენებს. ეს შენი შვილი ანდრია მღვდლათ ვაკურთხე და ახლა შენთვის გამომიგზავნია. რავარც შენთვის მე მესწავლებინოს წირვა და ტიპიკონი და თუ ჩვენი სიყვარული გაქვს, ამასაც ისე ასწავლე კარგათ. მაგ ეკკლესიაზედ მეც დიდად დაგიმადლებ და შენთვისაც მადლია კეთილი სწავლება. თუ კარგათ რიგიანათ მღვდლობის ტიპიკონი არ ასწავლე, დიდათ დაგემდურები, იცოდე.

ჩარჩოში: გაენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი. ჩანს, დედანში წერილის ბოლოს აქაც ბეჭედი უნდა ყოფილიყო დასმული გენათელი მიტროპოლიტისა. ბოლოში ხელრთვის ნიშანი.

მარიამ დედოფლისა და ეფთვიმე მიტროპოლიტის წერილები, სამწუხაროდ, დათარიღებული არ არის და ეს ბუნებრივიცაა. ასეთი სახის კერძო წერილებს, როგორც წესი, თარიღებს არ უსვამდნენ, ვინაიდან ამის საჭიროება არც არსებობდა. ამის გამო, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, წერილების დათარიღება მხოლოდ მიახლოებით შეიძლება. რადგან წერილების ადრესატის, დეკანოზ ბასილ (იგივე ვასილ) მერკვილაძის შესახებ სხვა ცნობები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება, იძულებული ვართ წერილების ცნობილ ავტორთა ბიოგრაფიული მონაცემებს დავეყრდნოთ.

წერილების ავტორების ვინაობის დასადგენად გარკვეულწილად გვეხმარება ის გარემოება, რომ ორივე წერილი ერთი პიროვნებისადმი არის მიმართული. შესაბამისად, ორივე ავტორი ერთი ეპოქის შვილები უნდა იყვნენ. ასეთ თანამედროვეთა წყვილის ძიებისას იმერეთის ისტორიას უმალ XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX ს-ის დასაწყისისაკენ მივყავართ.

ეჭვგარეშეა, მეორე წერილის ავტორი ეფთვიმე გაენათელი მიტროპოლიტი, გურიის ერისთავის ძე, გაენათის (იგივე გენათის ანუ გელათის) უკანასკნელი მღვდელმთავარია. იგი 1776 წელს ეკურთხა გაენათელად. აქტიურად მონაწილეობდა იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოიაზრებოდა სამეფოს გავლენიან პირთა შორის. მღვდელმთავრობა დაიწყო სოლომონ I-ის მეფობის ბოლო წლებში. შეესწრო ამ დიდი მეფის გარდაცვალების შემდეგ იმერეთში ტახტისათვის ბრძოლის გამო წარმოქმნილ არეულობას. რის გამოც, როგორც იმერეთის სასულიერო იერარქიის წარმომადგენელი, რიცხვმრავალ იმერულ დელეგაციასთან ერთად 1790 წელს ჩავიდა თბილისში ერეკლე მეორესთან, რათა ქართლ-კახეთის სამეფოსთან

იმერეთის სამეფოს გაერთიანება შეეთავაზებინა. მოგვიანებით იყო სოლომონ II-ის უფლებამოსილი პირი და მონაწილეობდა მოლაპარაკებებში ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიის ჯარის მეთაურებთან რუსული მარწუხებისაგან სამეფოს გადასარჩენად. სოლომონ მეფის დამარცხებისა და რუსეთის ჯარის მიერ იმერეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ ინარჩუნებდა მიტროპოლიტობას ვიდრე ეპარქიის გაუქმებამდე.

რუსულ საეკლესიო რეფორმას იმერეთში 1819 წელს დიდი აჯანყება მოჰყვა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ეფთვიმე გენათელს დოსითეოს ქუთათელთან ერთად ბრალი დასდეს აჯანყების მოთავეობაში. 1820 წლის 4 მარტს ორივე მღვდელმთავარი დააპატიმრეს. რუსი ჯარისკაცების გვემა-ცემას ქუთათელმა მიტროპოლიტმა ვერ გაუძლო და გზაში გარდაიცვალა, ხოლო ეფთვიმე გადაასახლეს რუსეთში და გაამწესეს ოლონეცის მაზრის სვირის მონასტერში, სადაც მას დიდ ხანს აღარ უცოცხლია. გარდაიცვალა 1822 წლის 21 აპრილს. დასაფლავებულია იქვე.

მაშასადამე, ეფთვიმე მიტროპოლიტს დეკანოზ ბასილისადმი წერილი შეეძლო მიეწერა 1776-1820 წლებში, როცა იგი გაენათელის ტიტულს ფლობდა.

ვინ არის პირველი წერილის ავტორი – იმერეთის დედოფალი მარიამი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას გარკვეულწილად ართულებს ის გარემოება, რომ აღნიშნულ პერიოდში იმერეთის დედოფლად ცნობილია ორი მარიამი და ორივე დადიანის ქალი.

პირველი მარიამ დედოფალი იყო სამეგრელოს მთავრის, ოტია დადიანის ასული და შემდეგი მთავრის, კაცია დადიანის და. პოლიტიკური მოსაზრებებით, სოლომონ I გაეყარა თავის პირველ მეუღლეს, შერვაშიძის ასულ თინათინს და 1754 წელს ოდიშის მთავართან კეთილგანწყობილი ურთიერთობის დასამყარებლად დაუმოყვრდა დადიანებს. მარიამ ოტიას ასული დადიანი ხანში შეუსვლელად გარდაიცვალა 1778 წელს.

მეორე მარიამ დედოფალი ასევე სამეგრელოს მთავრის, ოღონდ კაცია დადიანის ასული იყო, შემდეგი მთავრის გრიგოლ დადიანის და. შესაბამისად, პირველად ხსენებული მარიამ დედოფალი მისი მკვიდრი მამიდა იყო. 1780 წელს მარიამ კაციას ასული მოუნათლავს მეფე სოლომონ I-ს. 1789 წელს, მეფე დავით გიორგის ძის წინააღმდეგ ტახტისათვის ბრძოლაში დადიანის მხარდაჭერის მოსაპოვებლად, სოლომონ I-ის ძმიშვილმა, ყმაწვილმა დავით არჩილის ძემ ლეჩხუმში, მურის სასახლეში იქორწინა გრიგოლ დადიანის და მარიამზე. ამავე წელს დადიანისა და თავის პაპის, ერეკლეს მიერ გაწეული სამხედრო დახმარების წყალობით მან სამეფო ტახტი მოიპოვა და სოლომონ II-ის სახელით იმერეთის მეფედ ეკურთხა. ამ დროიდან სრულიად ახალგაზრდა მარიამ კაციას ასული დადიანი იმერეთის დედოფალი გახდა. ჩვენამდე მოღწეულია მისი სახელით გაცემული რამდენიმე საბუთი და პირადი წერილი.

მარიამ დედოფალი ბოლომდე ერთგულად და აქტიურად ედგა მხარში თავის მეუღლეს იმერეთის სამეფოს გადარჩენისათვის თავგანწირულ ბრძოლაში. სოლომონ II-ის თავგამოდებული მცდელობების მიუხედავად რუსის ჯართან იმერლების მარცხისა და მეფის ოსმალეთში გადახვეწის შემდეგ, ვინაიდან დედოფალმა ვერ შეძლო თან გაჰყოლოდა მეუღლეს, საბოლოოდ 1810 წლის დეკემბერში საპატიო ტყვედ იქნა აყვანილი და მეფის დასა და დიშვილთან ერთად 1811 წელს გადაასახლეს რუსეთის ქალაქ ვორონეჟში. იმერეთის უკანასკნელი მეფის გარდაცვალების შემდეგ, 1817 წელს მას ნება დართეს ჩასულიყო პეტერბურგში. აქ სასოწარკვეთილი დედოფალი გარდაიცვალა 1841 წელს.

მაშასადამე, ჩვენს ხელთ დღეს არსებული მონაცემებით, წერილის ავტორი 'იმერთა დედოფალი მარიამი' შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც მარიამ ოტიას ასული დადიანი, სოლომონ I-ის მეუღლე, ასევე მარიამ კაციას ასული დადიანი, სოლომონ II-ის მეუღლე. პირველ შემთხვევაში წერილი შეიძლებოდა დაწერილიყო 1754-1778 წლებში; მეორე შემთხვევაში – 1789-1810 წლებს შორის. იმის გათვალისწინებით, რომ მეორე მარიამის დედოფლობის წლებს მთლიანად ფარავს ეფთვიმეს გენათლობის ხანა, იმის ალბათობა, რომ წერილის ავტორი მარიამ იმერეთის უკანასკნელი დედოფალი იყოს, მაინც უფრო მეტი ჩანს. უფრო დაზუსტებულ პასუხს შემდგომი კვლევა-ძიება გაგვცემს.

P.S. საბედნიეროდ, 2011 წლის აპრილში ზესტაფონში ყოფნისას მივაკვლიე დანარჩენ საბუთებსაც. საბუთები საქართველოში რუსული საიმპერიო მმართველობის ხანისაა. მათ შორის ასევე აღმოჩნდა მარიამ იმერეთის დედოფლის ზემოხსენებული წერილის კიდევ ერთი პირი. ამ საბუთების შესახებ დაწვრილებითი ცნობების გამოქვეყნებას ვაპირებ უახლოეს მომავალში.

შენიშვნა:

[1]სილოვან (იგივე სილიონ) მერკვილაძე ჩემი ბაბუის მამა, ანუ მამაჩემის ბაბუა გახლდათ. ვინაიდან მამაჩემი, ოთხი ძმიდან უფროსი, ნაადრევად დაქვრივებულ ბებიას, ელიზავეტა (ლიზა) ქადაგიძეს ჰყავდა ნაშვილები, საბუთებში მამაჩემი სილოვანის ძედ აღინიშნება. აწ გარდაცვლილ ბაბუაჩემს კი ბევრი დღესაც "სილიონიჩად" მოიხსენიებს.



სურ. 1.



სურ. 2.

Newfound Documents from Chala-tke Village

David Merkviladze

In September, 2010, I was informed, that in the village of Chala-tke of Zestafoni district, Georgia, one family kept accidentally discovered old documents. In the second half of October I saw there three old papers.The article gives the first publication of these documents together with their descriptions.

The first paper is the death-certificate of an inhabitant of the village, Besarion Merkviladze who died in 1885. The certificate is issued by Crucifix Church of the village Chala-tke on the 24th of February in 1889.

The second thick paper is a land purchase-certificate, issued by Sillion Merkviladze on the 17th of September in 1916.

The third thin white paper is the most damaged one. It has three documents on it. The texts are seemed to be rewritten in the last quarter of the 19th century.

The first one is Mariam's, the Queen of Imereti, letter to the Chala-tke Crucifix Church's priest Vasil Merkviladze.

The second one is the text written in Russian, dated the 28th April, 1886.

The third one is Eptvimi Gaenati Metropolitan's letter to the Chala-tke Crucifix Church's priest Basil Merkviladze (with no doubt Vasil Merkviladze and Basil Merkviladze are the same persons).

The letters of Queen Mariam and Eptvimi Metropolitan are not dated, so we can give them approximate dates.

There is no doubt that the author of the second letter Eptvimi Gaenati Metropolitan is the son of Gurian Eristavi and the last Gaenati (Gelati) Metropolitan, until the eparchy and the title was abolished by the Russians. Eptvimi Metropolitan could write the letter to the priest Basil during 1776-1820, when he possessed the title of Gaenati Metropolitan (in 1820 Metropolitan was exiled in Russia by Russian authorities).

The author of first letter Queen Mariam of Imereti theoretically might be the daughter of Principal Odishi Otia Dadiani and the wife of Imereti King Solomon I, who was ther Queen of Imereti between 1754-1778. But the author Queen Mariam can also be the daughter of Principal Odishi Katsia Dadiani and the wife of Imereti King Solomon II, who was the Queen of Imereti from 1789. In 1811 after abolishment of Imereti Kingdom by Russian Empire the Queen was exiled to Russia. In the first case the letter might have been written between 1754-1778; in the second case - between 1789-1810.

ლეიტენანტ ტრეზელის რამდენიმე ცნობა საქართველოს შესახებ (1809 წელი)

ირინე ნაჭყებია

ინდოეთში ინგლისელთა წინააღმდეგ ლაშქრობის განსახორციელებლად, 1807 წლის 4 მაისს საფრანგეთსა და სპარსეთს შორის ფინკენშტეინში (აღმ. პრუსია) სამოკავშირეო ხელშეკრულება დაიდო. ეს დოკუმენტი ძირითადად რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ იყო მიმართული. თავის მხრივ, ფათჰ-ალი შაჰს (1797-1834) მთელი თავისი გავლენა უნდა გამოეყენებინა, რათა ნაპოლეონისათვის ხელი შეეწყო ინდოეთში ინგლისელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ დახმარების სანაცვლოდ 16 მუხლიანი ხელშეკრულების მე-3 და მე-4 მუხლები სპარსეთის სასარგებლოდ იყო შედგენილი და საქართველოს ეხებოდა: საფრანგეთის იმპერატორი საქართველოს სპარსეთის შაჰის კანონიერ კუთვნილებად ცნობდა (მუხლი 3.) და ვალდებულებას იღებდა, აეძულებინა რუსები, რათა მათ საქართველოსა და სპარსეთის ტერიტორია დაეტოვებინათ (მუხლი 4.).[1] დავაზუსტებთ, რომ სპარსელებისათვის საქართველოში იგულისხმებოდა ქართლ-კახეთის სამეფო ანუ აღმოსავლეთ საქართველო, რომელიც იმ დროს უკვე რუსეთის შემადგენლობაში იყო მოქცეული. აღნიშნული მუხლები საფრანგეთის მიერ მეტად შორსმჭვრეტელურად იყო შედგენილი, რადგან საქართველოს საკითხის ამგვარი ფორმულირება მას თავისუფალი მანევრირების საშუალებას აძლევდა მსოფლიოში პოლიტიკური მოვლენების განვითარების მიხედვით. იმ კონკრეტულ მომენტში კი საფრანგეთის იმპერატორმა სპარსეთს საქართველოს რუსეთისაგან "გამოხსნის" იმედი ჩაუსახა და მასთან თავისი ურთიერთობა ამ დაპირებაზე ააგო.[2]

აქ ჩნდება კითხვა: რა ინფორმაცია ჰქონდა საფრანგეთის იმპერატორს მის მიერ სპარსეთის შაჰისათვის შეპირებული საქართველოს შესახებ? ეს ცნობები გვხვდება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ ხელნაწერებში. მათი ავტორები არიან ბაღდადში საფრანგეთის გენერალური კონსული ჟან-ფრანსუა რუსო,[3] სინოპში საფრანგეთის კონსული პასკალ ფურკადი[4], საფრანგეთის გენერალური კონსული ბასრაში ჟოზეფ რუსო,[5] 1796 წელს დირექტორიის მიერ აღა-მაჰმად-ხანთან[6] წარგზავნილი გიიომ-ანტუან ოლივიე,[7] აგრეთვე, ნაპოლეონის მიერ 1805 წელს ფათჰ-ალი შაჰთან წარგზავნილი ემისრები, ალექსანდრ რომიე[8] და ამედე ჟობერი.[9] მათი ცნობების თანახმად საქართველო – რუსეთის მფლობელობაში მოქცეული 'მშვენიერი და ვრცელი მხარე', რომელიც 1783 წლამდე 'სპარსეთს ექვემდებარებოდა' და 'მუდამ მისი მოხარკე' იყო, ერეკლე II-სა და მისი მემკვიდრეების მიერ რუსეთის 'უზენაესი ძალაუფლების' ცნობით გამძვინვარებულმა აღა-მაჰმად ხანმა 1795 წელს საქართველო დალაშქრა. მან 'აოხრა ტიფლისი', მისმა მოლაშქრეებმა იქ 'აღვირახსნილი სისასტიკე და ბარბაროსობა ჩაიდინეს' და მრავალი ტყვეც გაიყვანეს. რუსებს თავისი ბედის პირისპირ მიეტოვებინათ თავიანთი მოკავშირე ერეკლე, თვითონ კი მშვიდად ვაჭრობდნენ რაშთში. ეს ფაქტი შეფასებული იყო როგორც 'რუსეთის კარის' ბარბაროსული პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რომელსაც ერეკლე და საქართველო აღა-მაჰმად-ხანისათვის მიეტოვებინა გასანადგურებლად, ხოლო თავის ძალებს სრულიად საქართველოს დასაპყრობად და მის სამუდამოდ შესანარჩუნებლად, შემდეგ აამოქმედებდა. რუსეთს საქართველოში 8-12 000 ჯარისკაცზე მეტი არ ჰყავდა, მაგრამ ამ მცირე ძალებითაც წარმატებით უწევდა წინააღმდეგობას 40-80 ათასიან სპარსეთის ლაშქარს. რუსეთის ჯარის მთავარი გამოსაზამთრებელი ადგილი ტიფლისი იყო. აღნიშნული იყო საქართველოში რუსების შეჭრისთანავე ერეკლე II-ს ერთ-ერთი ვაჟის (იგულისხმება ალექსანდრე ბატონიშვილი – ი.ნ.) სპარსეთში გაქცევა და რუსების მიმართ საქართველოს მოსახლეობის უკმაყოფილება: ქართველები იწყებდნენ გამოფხიზლებას იმ აზრისაგან, რომელსაც თავიდან იქმნიდნენ რუსეთის მმართველობის ზომიერების შესახებ; ისინი ჩიოდნენ მათი სიმკაცრის გამო და მოუთმენლად ელოდნენ შესაძლებლობას, რათა გადაეგდოთ სპარსელების უღელზე არანაკლებ მძიმე უღელი, რომელიც

თვითონვე დაედგათ (AMFAE, MD/Perse: vol. 2, doc. 29, fol. 146v-147v; vol. 6, doc. 19, fol. 168r; AMFAE, CP/Perse: vol. 8: doc. 156, fol. 384r-384v, doc. 157, fol. 385r-385v, doc. 158, fol. 386r; vol. 9, doc. 27, fol. 57v-60v; AN, RE/Perse, AF, 1686 IV, doc. 16, fol. 4; ოლივიე 1807: III, 404, 409, 420).

ფინკენშტეინში დადებული ხელშეკრულებიდან 65 დღის შემდეგ, 1807 წლის 7 ივლისს, ნაპოლეონსა და რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ს შორის ტილზიტში დაიდო საზავო ხელშეკრულება (არნო 1826: I, 84). ეს დოკუმენტი რუსეთსა და საფრანგეთს შორის ევროპის გადანაწილებას, ოსმალეთის საკითხებს და რუსეთისათვის აზიაში დაპყრობების მისი სურვილისამებრ გავრცობას ითვალისწინებდა (ვანდალი 1891: I, 499-504), მასში საერთოდ არ იყო ნახსენები სპარსეთი და ფაქტობრივად აბათილებდა საფრანგეთ-სპარსეთის ხელშეკრულებას.

ნაპოლეონის მიერ ორი ურთიერთგამომრიცხავი ხელშეკრულების დადების მიუხედავად 1807 წლის 4 დეკემბერს თეირანში ჩავიდა საფრანგეთის მისია სრულუფლებიანი მინისტრის, გენერალ კლოდ-მატიე გარდანის[10] მეთაურობით. მაგრამ რუსეთის იმპერატორთან დაზავებულ და ევროპაში ომებით დაკავებულ ნაპოლეონს იმჟამად აღარ ეცალა სპარსეთისათვის. შედეგად, 1809 წლის 12 მარტს თეირანში სპარსეთსა და ინგლისს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც უარყოფდა სხვა ქვეყანასთან მანამდე დადებულ ყველა შეთანხმებას (AMFAE, MD/Perse, vol. 6, doc. 40, fol. 221r). სპარსელთა მხრიდან ეს ტილზიტის ზავის საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯი იყო. ამგვარ ვითარებაში გენერალმა გარდანმა უსარგებლოდ მიიჩნია სპარსეთში დარჩენა და თავისი მისიის წევრებთან ერთად 1809 წლის 17 აპრილს თავრიზიდან ევროპისაკენ თბილისზე გავლით გაემგზავრა (AMFAE, CP/Perse, vol. 14, doc. 289, fol. 294r; AN, RE/Perse, AF, 1686 IV[1], doc. 4). აქ იკვეთება თბილისის, როგორც აზიასა და ევროპას შორის სატრანზიტო ფუნქციის მქონე ქალაქის, მნიშვნელობა, რაც იმჟამად საფრანგეთ-რუსეთს შორის დადებული ტილზიტის ზავის შედეგი იყო.

საფრანგეთის მისია 15 მაისს ჩავიდა თბილისში. მთავარსარდალ ტორმასოვს[11] მათი მიღების შესახებ უმაღლესი ხელისუფლების საგანგებო მითითებები ჰქონდა: ფრანგები დიდი პატივით უნდა მიეღოთ, გენერალ გარდანისათვის კი ალექსანდრე I-ის სახელით უნდა გადაეცათ, რომ თუკი იგი პეტერბურგში მოისურვებდა გაჩერებას, იმპერატორს ეს ძლიერ ესიამოვნებოდა (აქტები 1870: IV, 684; დიუმა 1815: 75). არ არის გამორიცხული, რომ რუსეთის იმპერატორის ხაზგასმული ყურადღება საფრანგეთის მისიის მიმართ მხოლოდ ზრდილობით არ იყო ნაკარნახევი: ჩანს, რუსებს სპარსეთის შესახებ სანდო ცნობების მიღება უმუალოდ ნაპოლეონის იმ გენერლისაგან სურდათ, რომლის მისიის ოფიცრების დამსახურებაც იყო ის ფაქტი, რომ 1808 წლის შემოდგომაზე ფელდმარშალმა გუდოვიჩმა[12] ვერ შეძლო ერევნის ციხის აღება (ნაჭყებია 2007: VII, 38).

ვენსენის სამხედრო არქივში დაცულია 1809 წლის 31 მაისით დათარიღებული ვრცელი მოხსენებითი ბარათი *ჩანაწერები საქართველოს შესახებ*, რომელსაც ხელს აწერს გენერალ გარდანის ადიუტანტი, ინჟინერი-გეოგრაფოსი ლეიტენანტი ტრეზელი[13]. თუ ფრანგი აგენტების ზემოთ მოყვანილი ცნობები საქართველოს შესახებ სხვათაგან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა, *ჩანაწერები* თვითმხილველის მიერ ადგილზე ნანახი და შეტყობილის საფუძველზეა დაწერილი. მასში დეტალურადაა აღწერილი საფრანგეთის მისიის წევრების მიერ გავლილი მარშრუტი ერევნიდან თბილისისა და გეორგიევსკის გავლით მოზდოკამდე. მოცემულია ცნობები ამ მხარეების ლანდშაფტის, ჰავის, მდინარეთა ქსელის, გზების მდგომარეობის, დასახლებული პუნქტებისა და მოსახლეობის (რაოდენობა, ეროვნება, რელიგია, საქმიანობა) შესახებ. საგანგებო ყურადღება ეთმობა ამ ტერიტორიებზე მყოფი რუსეთის სამხედრო ძალების შეფასებას, აგრეთვე ქართველებთან და მთის ხალხებთან მათ ურთიერთობებს. "ჩანაწერებს..." ერთვის ერევნიდან თბილისამდე, თბილისიდან არზრუმამდე და თბილისიდან ახალციხემდე მარშრუტების მანძილების ცხრილი და დასახლებულ პუნქტებში არსებული სახლების რაოდენობა (SHD, n°1486, 1M, fol. 1-75, *Notice sur la Géorgie*).

მოხსენებით ბარათში ფრანგი ოფიცერი თბილისის საოცრად ცოცხალ სურათს გვიხატავს.[14] იგი წერს:

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ბორცვის ძირში, ხით, ქვითა და მიწით ნაგები ეს ქალაქი საკმაოდ სასიამოვნო ამფითეატრს ქმნის. იქ დაახლოებით 2 000 სახლი (10 000 მოსახლე – კ.ტ.) და თლილი ქვით ნაგები საკმაო რაოდენობის საჯარო შენობაა, ძირითადად ეკლესიები ან მონასტრები. ძველი სუვერენები მდინარის მარცხენა ნაპირზე, კლდეზე მდებარე ციხესიმაგრეში ცხოვრობდნენ და ქალაქს ხის ძველი ხიდით უკავშირდებოდნენ. როგორც ყველა ის ციხესიმაგრე, რომელიც მე ვახსენე, ესეც მრავალ საცხოვრებელ სახლს მოიცავს და თავდაცვის სხვა საშუალება, გარდა საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში არსებული დაკბილული კედლისა, არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ზედა მხარეების წარმატებით დაცვა. ბორცვებზე, რომლებიც ქალაქს მარჯვენა ნაპირიდან დაჰყურებს, დაინახავ ძველ ნაგებობებს, რომლებიც ტიფლისის აჯანყებული მოსახლეობისაგან თავდასაცავად შესანიშნავ თავშესაფარს წარმოადგენს. მტკვარი აქ სწრაფია და ვიწროვდება დაახლოებით ორ პატარა დაბალ კლდეს შორის, ოდნავ ქვევით ის განიერდება. სწორედ ამ მარცხენა ნაპირთანაა თბილი გოგირდიანი წყლები... (...) ორი წლის განმავლობაში აზიის მდუმარე ქალაქებში ცხოვრებით გაბეზრებულნი, რომელთა ვიწრო და უკაცრიელ ქუჩებში მხოლოდ შიშველი კედლების რიგია, ტიფლისი ის პირველი ქალაქია, სადაც ხელახლა სიამოვნებით ვიხილეთ ევროპულ წესებთან მსგავსება, დიდად გავიხარეთ ქრისტიანული ქალაქის ცხოვრებით და იმ ათასი რაღაცით, რაც ადრე ჩვენი ყურადღების მიღმა რჩებოდა ან მომაბეზრებელი გვეჩვენებოდა: საკვებით თუ იარაღით და საომარი აღჭურვილობით დატვირთული ურმების ხმაური, რამდენიმე ძვირფასი ეტლის სწრაფი მოძრაობა, ეკლესიების ზარების არათანაბარი ხმა, ხმაურიანი ბაზრები, სადაც ერთმანეთში არეულან ქართველები, სომხები, სპარსელები და უამრავი რუსი ჯარისკაცი, სომღერები, ჯარის ნაწილების მუსიკა – სიახლის ეს უწესრიგო ნარევი სამშობლოს გვაგონებდა და ჩვენში უცნაურ ემოციას იწვევდა (SHD, n°1486, 1M, fol. 31-33).

ლეიტენანტი ტრეზელის შემდეგი ცნობა ხაზს უსვამს 'აზიის მდუმარე ქალაქებსა' და თბილისში არსებულ საქალაქო ცხოვრებას შორის განსხვავებას: აზიაში ნანახი სახლებისაგან განსხვავებით, თბილისში სახლებს არ ჰქონდათ მაღალი ღობე, ოჯახები საღამოს ღია, ოდნავ ამაღლებულ ტერასაზე ატარებდნენ, ერთმანეთს ხედავდნენ და ესაუბრებოდნენ; ეკლესიიდან გამოსული ქალები ბაღში სეირნობდნენ; სასიამოვნო იყო მაისის მშვენიერ საღამოს მტკვრის ნაპირებზე მოსეირნე, ბუნებრივი სილამაზით შემკული ქართველი ქალების ცქერაც. ლეიტენანტი მათ ჩაცმულობასაც აღწერს: სპილოსძვლისებრი შუბლი შემორკალული იყო პატარა თეთრი დიადემით, მასზე სელის გრძელი ვუალი იყო დამაგრებული, რომელიც მათ სხეულს დიდ სინატიფესა და დიდებულებას ანიჭებდა (SHD, n°1486, 1M, fol. 31-33). *ტიფლისელი* ქალების ასე დეტალური აღწერა ფრანგი ოფიცრისათვის აღმოსავლეთის საქალაქო ცხოვრებისაგან ერთ-ერთი პრინციპულად განმასხვავებელი მნიშვნელოვანი ნიშანი იყო: იქ ქალები საჯაროდ საერთოდ არ ჩნდებოდნენ, ხოლო ნათესავებთან სტუმრობისას თუ აბანოში წასასვლელად, ჩადრში გახვეულები სახლიდან მხოლოდ თანმხლებლებთან ერთად გადიოდნენ (ნაჭყებია 2006: VI, 38).

ლეიტენანტ ტრეზელის სხვა ცნობით, მთავარსარდალ ტორმასოვის მიერ გამართულ საზეიმო ვახშამზე საფრანგეთის მისიის წევრებთან ერთად სტუმრად იყვნენ მიწვეულნი იმერეთის ყოფილი დედოფალი,[15] რომელსაც მალე თავისი ვაჟი პეტერბურგის კოლეჯში უნდა წაეყვანა სასწავლებლად; საქართველოს უკანასკნელი ვალის[1],[6] ერეკლეს, შვილები – კათალიკოსად დანიშნული პრინცი ანტონი და პრინცესა, მისი და[17]; სომეხთა პატრიარქი[18] და ერთი ქართველი დიდგვაროვანი – გენერალ ბაგრატიონის ძმა.[19] ამ სტუმართაგან არც ერთს არ ესმოდა არც ფრანგული და არც რუსული, მაგრამ ჩანდა, რომ ყველა შესანიშნავად ეწყობოდა ევროპულ სუფრას (SHD, n 1486, 1M, fol. 34). ამ საღამოზე ერეკლეს II-ის ოჯახის წევრებისა და თბილისის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლების დასპატიჟებით გენერალ ტორმასოვს, ჩანს, ნაპოლეონის წარგზავნილთათვის საქართველოში რუსეთის ხელისუფლებისა და სამეფო ოჯახების ურთიერთკეთილი დამოკიდებულების დემონსტრირება სურდა.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ლეიტენანტ ტრეზელის *ჩანაწერების* ბოლო თავი – *რუსების მდგომარეობა საქართველოში.* ლეიტენანტი ტრეზელი ეხება აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წელს თბილისის აოხრების მიზეზს, ახასიათებს რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოში გაგზავნილ მთავარმმართებლებს – გენერლებს ციციანოვს, გუდოვიჩს და ტორმასოვს, ეხება საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარის შემადგენლობას და მათი განლაგების

ადგილებს. აღნიშნავს, რომ რუსეთის მთავრობის მიერ კავკასიაში გაგზავნილ გენერლებს ნაბრძანები ჰქონდათ ახლადდაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობის ნდობის მოსაპოვებლად მათ მიმართ პატივისცემის გამოხატვა. მაგრამ ტრეზელი იქვე დასძენს, რომ ქართველები, განსაკუთრებით კი მთის ხალხი, მათ თავს არ მოატყუებინებდა და ამგვარ მოპყრობას დამპყრობლის სისუსტედ არ მიიჩნევდა. ქართველების ნაწილი გრძნობდა, რომ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ნაცვლად, საქართველო ხდებოდა რუსეთის იმპერიის პატარა პროვინციად და ეს დამცირება ლახავდა მათ თავმოყვარეობას.

ფრანგი ოფიცრის აზრით, რუსების მიერ სპარსელთა წინააღმდეგ საბრძოლველად 12 000 კაცის გაყვანა საკმარისი იყო, მაგრამ მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რას მოელოდნენ რუსეთის და სპარსეთის მთავრობები სანაცვლოდ ამ ომიდან. მისი ვარაუდით, პეტერბურგის კარი სპარსეთის წინააღმდეგ არასოდეს არ გაგზავნიდა დიდ ძალებს, ფათჰ-ალი შაჰი კი – პირიქით, მთელ თავის ძალებს გაიყვანდა. იმჟამად რუსებისათვის ეს არ იქნებოდა მეტად საშიში, თუკი ისინი საქართველოში კარგად დამკვიდრდებოდნენ და მშვიდად მართავდნენ კავკასიას, რაც, ტრეზელის აზრით, კარგი იქნებოდა. ფრანგი კონსულებისა და ნაპოლეონის ემისრების ზემოთ მოყვანილი ცნობებისაგან განსხვავებით, აქ ლეიტენანტ ტრეზელის დადებითი დამოკიდებულება ჩანს საქართველოსა და ზოგადად კავკასიის მიმართ რუსეთის იმპერიის მიერ გატარებული პოლიტიკისადმი. მაგრამ ლეიტენანტი არც იმ შესაძლებლობას გამორიცხავდა, რომ სპარსელებს ჯერ კიდევ შეეძლოთ რუსებისთვის საქართველოს გამოგლეჯა, თუკი ქართველებისათვის ძველი მთავრობისა და უკეთესად აწყობილი შიდა მმართველობის აღდგენის გარანტიას მისცემდნენ, ქართველები კი სიამოვნებით აღადგენდენ იმ სუსტ კავშირებს, რომლებიც მათ სპარსეთის იმპერიასთან აკავშირებდათ.

მოგვყავს ლეიტენანტ ტრეზელის *ჩანაწერების* ბოლო თავის – *რუსების მდგომარეობა საქართველოში* – სრული თარგმანი:

რუსების მდგომარეობა საქართველოში

ერეკლე ხანის (Herekle Khan, Heraclius), საქართველოს უკანასკნელი ვალის (Vahli[1] მიერ 1783 წელს ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, რუსები გამუდმებით ინარჩუნებენ [თავიანთ] თავს ამ პროვინციაში, მიუხედავად სპარსეთის ამჟამინდელი იმპერატორის ბიძის, საჭურისი აღა-მაჰმა-ხანის (l'Eunuque Aga Mehmet Khan), ძალისხმევისა. 1795 წელს იგი მივიდა [იქ] ამ ღალატისათვის ვალის ოჯახის დასასჯელად და საქართველოს ასაოხრებლად. გაჰყო რა თავისი ჯარი სამ ნაწილად, ერთი გაგზავნა შირვანში (Chirvan), მეორე – ერევნის ციხისკენ, რომელიც მაშინ რუსებს ალყაში ჰქონდათ მოქცეული, თვითონ კი მარჯვენა ცენტრით თბილისზე წავიდა, გაძარცვა და ორივე სქესის მთელი ახალგაზრდობა, ვინც კი მოიხელთა, სპარსეთში მონებად წაასხა.[20] ამჟამად ამ ტყვეების დიდი რაოდენობა დაბალ თანამდებობებზე მსახურობს მთავრობასა და ჯარში. ამ ლაშქრობის ყველა ნაწილი ასეთივე სისასტიკით იქცეოდა და ეს დაუღალავი პრინცი 1797 წელს შუშაში, თავისივე კარავში რომ არ მოეკლათ, რუსები კავკასიის გადაღმა იქნებოდნენ განდევნილები.

მისი მემკვიდრე ფათჰ-ალი შაჰი (Fet-Ali-chā), რამდენიმე წლის განმავლობაში მეტად დაკავებული იყო თავისი ტახტის განმტკიცებით და სხვადასხვა პროვინციების თავის დაქვემდებარებაში მოქცევით, რათა ხელი შეეშალა რუსებისათვის საქართველოს, შირვანისა და ირგვლივ მყოფი სხვა პროვინციების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების წამოწყებაში.

ამ ქვეყანაში მრავალი გენერალი და მმართველი შეიცვალა. ბოლო მმართველის წინამორბედი, წარმოშობით ქართველი, ყველასაგან გამოირჩეოდა ბრწყინვალე სიმამაცით და მეტად მტკიცე ხასიათით. მისი სამხედრო მოქმედებები, ხშირად გაბედული, ყოველთვის ისეთი სიმძაფრით ტარდებოდა, რომ მის განკარგულებაში არსებული მცირე ძალების მიუხედავად, თითქმის ყოველთვის წარმატებით დაგვირგვინებულა. თავად ციციანოვს (Sitzianof) ის-ის იყო ბაქო (Bakhou) უნდა დაეკავებინა, როდესაც იგი გამცემლურად მოკლა ამავე ქალაქის გუბერნატორმა, რომელმაც იგი რუსეთის ბანაკის გარეთ შეხვედრაზე დაითანხმა მისთვის ამ ადგილის [ბაქოს] ჩაბარების მიზეზით[21].

ჯარის მთავარსარდალის პოსტზე ეს (ქართველი) თავადი შეცვალა მარშალმა გრაფმა გუდოვიჩმა და ამას გარდა იგი შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ყველა პროვინციის სრულუფლებიან სამოქალაქო და სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა, რომელიც მოიცავს კავკასიის სამ გუბერნიას, ყუბანსა და

ასტრახანს. მარშალი გუდოვიჩი მთელი სიცოცხლე თურქების და სპარსელების წინააღმდეგ მეთაურობდა ჯარს. მისი გონიერი, მაგრამ გამოცდილი გამზედაობა, ანაპას აღება[22] და ზოგი სხვა წარმატება რუსეთის მთავრობას იმის იმედს აძლევდა, რომ ამ თითქმის ოთხმოცწლოვან მოხუცს კვლავ ეყოფოდა ენერგია შეტევითი ომის საწარმოებლად, ხოლო მისი კეთილგონიერება და პატიოსნება წესრიგს დაამყარებდა იმ ახლად დაპყრობილი ქვეყნის ადმინისტრაციაში, რომლის საბოლოოდ მიერთებაც სურდათ იმპერიისათვის. მათი იმედები არ გაცრუებულა. მაღალმა ღირსებებმა გენერალ-გუბერნატორს ქართველების პატივსცემა და კავკასიის მრავალი ტომის ბელადის ნდობაც კი მოაპოვებინეს. მან შეინარჩუნა მანამდე დაპყრობილი [ტერიტორია] და გაზარდა კიდეც ის, მაგრამ ერევნის უკანასკნელ ალყას წარმატება არ მოჰყოლია;[23] მარშალმა თავისი გაწვევა ითხოვა და ის ისე მიიღო, რომ არ დაუკარგავს ნდობა თავისი სუვერენისა, რომელმაც იგი მოსკოვის სამოქალაქო და სამხედრო გუბერნატორად დანიშნა.

1789 წელს[24] ის მთავარსარდალმა გრაფმა ტორმასოვმა შეცვალა, რომელიც ჯერ კიევის, თავისი მშობლიური ქალაქის სამოქალაქო და სამხედრო გუბერნატორი იყო, შემდეგ კი რიგისა. იგი დაახლოებით 55 წლისაა და ქვაში გამოკვეთილი ბრგე მამაკაცის გარეგნობა აქვს. ისე ჩანს, რომ ჯარი მას მეტ ნდობას უცხადებს, ვიდრე მის წინამორბედს. გენერალს სასიამოვნო მანერები აქვს და თავი ღირსეულად უჭირავს. ცოტა ხნის წინ იგი თურქების წინააღმდეგ იბრძოდა, 1794 წელს კი პოლონეთის უკანასკნელი თავისუფალი ხალხის წინააღმდეგ. ეს ბოლო ომი არ იყო მისთვის წარმატებული.[25]

საქართველოს ჯარი ამჟამად შედგება ხაზის ინფანტერიის დაახლოებით 35 ბატალიონის, დრაგუნების სამი ასეულისა და დონის კაზაკების ხუთი ასეულისაგან. პირადი შემადგენლობა 30 000 კაცია. ჯარი დგას იმერეთში (l'Imirette), დაღესტანში (le Daghestan), შირვანში (le Chirvan), მთელი საქართველოსა და ბამბაკის (Pimbek) ოლქში, რომელიც წინათ ერევნის (Irevan) მთავრობას ექვემდებარებოდა, მაგრამ მტკვრის (Khur) აუზში მდებარეობს. რამდენიმე სამხედრო ნაწილი იცავს ასტარას (d'Astara) და ლენქორანის (Langkheran) ხანს[26], რომელიც რუსეთის მთავრობის მფარველობის ქვეშ გადავიდა და რომლის ტერიტორიაც კასპიის ზღვით ესაზღვრება გილანს.

მე ვნახე სარატოვსკის (Sarastoki), ტიფლისის (Tiffliski), კავკასიის (Kavkaski), ხერსონის (Kersouski) და ყაბარდოს (Kabardinski) პოლკები, თითოეული სამ ბატალიონად, რომლებიც ნოვოროსიისკის (Navraski) და ბორისოგლების (Barisogles) დრაგუნთა პოლკებთან ერთად წარმოადგენს ამ ჯარის რეგულარულ ნაწილს. ინფანტერიის პოლკში სამხედრო სამსახურში 1800 კაცზე ნაკლებია. დრაგუნების პოლკს ჰყავს 350 ცხენით მეტი და კაზაკებს, რომელთა რაოდენობა პოლკში 500 კაცია და 1000 ცხენი, არ ჰყავთ დრაგუნებზე მეტი ცხენი. ტიფლისის მთავარი შტაბის არტილერიის სარეზერვო პარკში არის 12, 8, 4 და 2 კალიბრის 45 დანადგარი.

დაარსებულ გარნიზონებს კამპანიაში მხოლოდ 17 ბატალიონის, დრაგუნების ორი პოლკის და კაზაკების ნაწილის გაყვანა შეუძლია, სულ დახლოებით 12 ათასი კაცისა.

ეს ძალები აქამდე საკმარისი იყო პოზიციების შესანარჩუნებლად და სპარსელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ იმ დაინტერესების ხარისხის გათვალისწინებით, რაც რუსეთის და სპარსეთის მთავრობებს უნდა ჰქონდეთ ამ ომის მიმართ. სავარაუდოა, რომ პეტერბურგის კარი არასოდეს არ გაგზავნის იქ დიდ ძალებს, ფათჰ-ალი შაჰი კი, პირიქით, ბოლოს მთელ ძალებს იქით გადაისვრის. ეს მომენტი ჯერ არ ყოფილა საშიში რუსებისათვის, თუკი ისინი კარგად გაძლიერდებიან საქართველოში და მშვიდად დაეპატრონებიან კავკასიას. კარგი იქნებოდა, ასე რომ იყოს. მთის ყველა ხალხი მათ [რუსებს] ცალ-ცალკე ებრძვის, რაც მოითხოვს მრავალ პატარა გამაგრებულ გარნიზონს, რათა ჯერ კიდევ გაუვალ გზებზე ბადრაგად გაჰყვნენ ეტლებს, რომლებიც მოზდოკიდან ტიფლისისაკენ მიემართებიან.

არანაკლებ საშიშია მთავარი შტაბის კავშირი სხვადასხვა ადგილებში განლაგებულ საჯარისო ნაწილებთან, [რადგან] ეს საკვებით კაზაკების ყოველდღიურ მომარაგებას საჭიროებს. ისინი ვერ სცილდებიან თავიანთ პოსტებს, რადგან მათ ლეკების (les Lesguis), ჰუზების (les Hauzes) ან თურქების (les Turcs) მიერ თავის მოკვეთა ემუქრებათ. ტიფლისში სწორედ ჩვენი ჩასვლის წინ ლეკებმა ქალაქიდან ერთი ლიეს დაცილებით ხერსონის ინფანტერიის პოლკს ყველა ცხენი წაართვეს.

ბამბაკის და გუმრის პოლკები (რომლებიც ყარსის გზაზე მდებარეობენ), საკვებს და აღჭურვილობას ტიფლისიდან იღებენ, ჯარის დანარჩენი ნაწილისაგან მოწყვეტილები არიან და მეტად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, თუკი სპარსელები და ახალციხელი თურქები მათ მდ. ლორის ორივე ნაპირიდან ერთდროულად დაესხმებიან თავს აღალის წასართმევად და სადევნად. უეჭველია, რომ ამ ორი ხალხის საერთო ძალისხმევა საქართველოში რუსებისათვის მეტად დამანგრეველ ომს გააჩაღებს. თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად მათ აკლიათ ქალაქები ახალციხე (Akalziké), ყარსი (Kars) და ბაიაზეთი (Bajazid), ერევანი (Irevan) და ნახჭევანი (Nakchivan). ამ ორი უკანასკნელი [ქალაქის] და არაქსის მთელი დინების გადაცემა [რუსებმა] ფათჰ-ალი შაჰს შესთავაზეს როგორც ზავის *აუცილებელი პირობა* (*sine qua non)* (1809 წლის ივნისი).[27]

კავკასიაში გაგზავნილ თავის გენერლებს მთავრობამ რბილად და მოწიწებით მოქცევა უბრძანა, რაც მოკრძალებულობას ჰგავს. უეჭველია, ისინი უნდა ეცადონ ახალდაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობის ნდობის მოპოვებას, თუმცა უნდა გაფრთხილდნენ, რომ არ მოტყუვდნენ და ეს დამპყრობლის სისუსტეს არ მიეწეროს. მეჩვენება, რომ ამგვარია ახსნა, რომლებსაც ქართველები და მეტადრე მთის ხალხი ანიჭებს ამ სისტემას. გაოცებულთ, რომ ასე დიდი ერის ყურადღების სუბიექტებად იქცნენ, მათ რუსებთან ლაღად უჭირავთ თავი, რაც [რუსების] აბუჩად აგდებას ჰგავს. აღსაშფოთებელია იმის ხილვა, რომ ღირსეული კაცები, ორდენოსანი ვეტერანი ოფიცრები, ყოველგვარ სამხედრო პატივს მიაგებენ საცოდავი ტომის ბელადს, რომელიც ჯარში მაიორის თუ პოლკოვნიკის ჩინის დათანხმებას ინებებს; ყოველთვის, როდესაც სამხედრო აღალმა უნდა გადაიაროს მის საცოდავ სამფლობელოზე, დაცვა უნდა სთხოვო, [რადგან] რა დიდიც არ უნდა იყოს ესკორტი, განადგურდება, თუ მას არ გააძლიერებს ჰუზების (Hauzes)[28] ბელადი თავისი ან რომელიმე თავისი ბანდიტის თანხლებით, რომლებსაც ამგვარ შემთხვევებში მუდამ უხვად უხდიან. ანალოგიური დამოკიდებულებაა ქართველების მიმართაც. მთავარი ოჯახებისათვის გაზრდილია საგანგებო უფლებები და თანამდებობები. უამრავი ე.წ. თავადი მიიჩნიეს ამგვარად და ისინი მთავრობისაგან პენსიას იღებენ. ტიფლისში დაარსებულია სემინარია და სამხედრო სასწავლებელი. რუსეთის იმპერატორმა დიდი ხარჯი გასწია ამ ქალაქიდან მოზდოკამდე ეტლების სავალი გზის გასაყვანად. ყველაფერში უზარმაზარ ფასს იხდის ჯარიც. თავისი სურსათი რუსეთიდან ჩამოაქვს და ამასობაში მთელ ფულად სახსრებს ამ ქვეყანაში ტოვებს. დაბოლოს, მთავრობა გაწეული ხარჯის მეათედსაც კი ვერ იღებს, რასაც ამ დაპყრობის შენარჩუნება მოითხოვს.

მათთვის მინიჭებული ყველა ამ უპირატესობის მიუხედავად, ქართველებმა მცირე მონდომება გამოიჩინეს თავიანთი ახალი სამშობლოსათვის. ორბელიანები (Orbellianof), ციციანოვები (Sitzianof) და ბაგრატიონები (Bagration) ერთადერთი დიდი ოჯახებია, რომლებიც მთლიანად მის [რუსეთის] მხარეს დადგნენ, სხვები გრძნობენ რომ სახელმწიფოს ჩამოყალიბების ნაცვლად, საქართველო ხდება რუსეთის იმპერიის პატარა პროვინციად და ეს დამცირება ლახავს მათ თავმოყვარეობას[29]. რუსების სასარგებლოდ მათი ძალისხმევა იმდენად მცირე იყო, რომ ამ უკანასკნელებმა დღემდე მხოლოდ 400-დან 500-მდე კაციანი ბატალიონის შექმნა შესძლეს და როგორც ჩანს, მეტის შეიარაღებას ვერ ბედავენ. მათ იციან, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პიროვნებებს არ შეუწყვეტიათ ურთიერთობა სპარსელებთან, რომლებთანაც კვლავ იმყოფება ერეკლეს (Héraclius) შვილიშვილი და მისი შვილთაშვილები[30]. იმ პოლკებში, რომლებიც ტიფლისის, ყაბარდოს, კავკასიის და სხვ. სახელს ატარებენ, ძლივს ნახავ რამდენიმე ადგილობრივ კაცს. ისინი ჯარის ყველა ნაწილიდან შეკრებილი ჯარისკაცები არიან. აღსანიშნავია, რომ ყველა რუსი ოფიცერი, რომელიც დატყვევებული იყო საფრანგეთთან ომის დროს, გაგზავნეს მოლდავეთის და საქართველოს ჯარებში. ამ უკანასკნელთა შორის, როგორც ჩანს, შეარჩიეს ის ოფიცრები, რომლებიც საფრანგეთამდე ჩავიდნენ და იქ ყველაზე მეტ ხანს იყვნენ.[31]

იმის მიხედვით, რაც ვნახე, მეჩვენება, რომ სპარსელებს ჯერ კიდევ შეუძლიათ რუსებისთვის საქართველოს გამოგლეჯა, თუკი ისინი ქართველებისათვის ძველი მთავრობის და უკეთ აწყობილი შიდა მმართველობის აღდგენის დაპირებას მოისურვებენ, ისინიც სიამოვნებით აღადგენენ იმ სუსტ კავშირებს, რომლებიც მათ სპარსეთის იმპერიასთან აკავშირებდათ.

ეს ცვლილება უმნიშვნელო არ იქნება ამ იმპერიისა [სპარსეთისა] და თურქეთისათვის; ეს რუსეთს წაართმევს საუკეთესო სამშენებლო ხის მასალას იმერეთიდან, ასე კარგად რომ ეზიდება სებასტოპოლის დიდი პორტიდან და [იმ] მოლოდინს, რომ გილანისა და ერევნის მდიდარი პროვინციები მათ მალევე უხვად უზრუნველყოფდნენ ისეთი ძვირფასი პროდუქტით, როგორიცაა ბრინჯი, ღვინო, აბრეშუმი, შაქრის ლერწამი და ყოველგვარი სამხრეთული ხილი (SHD, n°1486, 1M, fol. 63-72).

შენიშვნები

[1] 'მუხლი 3. მისი უდიდებულესობა საფრანგეთის იმპერატორი იტალიის მეფე საქართველოს მისი უდიდებულესობა სპარსეთის იმპერატორის კანონიერ კუთვნილებად ცნობს. მუხლი 4. იგი [ნაპოლეონი] იღებს ვალდებულებას, ყოველი ღონე იხმაროს, რათა აიძულოს რუსეთი დატოვოს საქართველოსა და სპარსეთის ტერიტორიები და ამას სამშვიდობო ხელშეკრულებით მიაღწიოს. ეს ევაკუაცია მისი პოლიტიკისა და ყურადღების მუდმივი საგანი იქნება" (გარდანი 1868: 71-72).

[2] ფრანგი ისტორიკოსის ლეფევრ დე ბეკურის შეფასებით, ფინკენშტეინის ხელშეკრულებაში სპარსეთისათვის უმნიშვნელოვანეს, ლამის ერთადერთსა და აუცილებელს, წარმოადგენდა მუხლები საქართველოს შესახებ, დანარჩენი კი მხოლოდ ზედმეტი ტვირთი იყო (AMFAE, MD/Perse, vol. 8, doc. 25, 1839).

[3] ჟან-ფრანსუა ქსავიე რუსო (1738-1808) – სპარსეთში, ქ. ჯულფაში დაბადებული და აღზრდილი ცნობილი ფრანგი დიპლომატი და თვალსაჩინო აღმოსავლეთმცოდნე. მისი მამა, მესაათე-იუველირი ჟაკ რუსო (1679-1753) ლუი

XIV-ის მიერ შაჰ სულთან ჰუსეინთან 1705 წელს გაგზავნილ ელჩობას გაჰყვა, სპარსეთში დარჩა და ჯერ სეფიანთა, შემდეგ კი ნადირ შაჰის იუველირი იყო (სასი 1810: 2-3; რუსო 1899: iv-x).

[4] საფრანგეთ-თურქეთის 1802 წლის 25 ივნისის ხელშეკრულების შედეგად ანატოლიის შავიზღვისპირეთში საფრანგეთის სამი საკონსულო დაარსდა: ლუი-ალიე დე ოტეროში ერეგლიში დაინიშნა კონსულად, პასკალ ფურკადი – სინოპში, პიერ დიუპრე კი – ტრაპიზონში (დეერენი 1929-1930: I, 242).

[5] ჟან-ბატისტ-ლუი-ჟაკ (ჟოზეფ) რუსო, ბარონი, (1780-1831) – ჟან-ფრანსუა რუსოს ვაჟი, ცნობილი დიპლომატი და აღმოსავლეთმცოდნე. საფრანგეთის გენერალური კონსული ბასრაში (1805-1808), ალეპოში (1808-1814), ბაღდადსა (1814-1824) და ტრიპოლიში (1824-1831), საფრანგეთის "დამწერლობისა და სიტყვიერების" აკადემიის (l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres) წევრი (რუსო 1899: iv-xv; დეერენი 1929-1930: II, 26-27).

[6] აღა-მაჰმად-ხანი (1742-1797), ყაჯართა დინასტიის დამაარსებელი, სპარსეთის შაჰი 1796-1797 წლებში.

[7] გიომ-ანტუან ოლივიე (1756-1814) – ფრანგი ნატურალისტი, ენტემოლოგი და ბოტანიკოსი. როდესაც ნაპოლეონი სპარსეთით დაინტერესდა, მან დაჟინებით მოსთხოვა ოლივიეს ამ ქვეყანაზე ცნობების გამოქვეყნება, ხოლო როდესაც ფრანგმა მეცნიერმა ამ ნაშრომის გამოსაქვეყნებლად მას დაპირებული 15 000 ფრანკის გადახდა მოსთხოვა, იმპერატორს საკმაოდ უხეშად უპასუხია, რომ «ამ თანხას იგი მხოლოდ სპარსეთის შესახებ მესამე ტომის გამოსვლის შემდეგ მიიღებდა» (გაფარელი 1908: 391).

[8] ანტუან-ალექსანდრ რომიე (1764-1805) – 1802-1804 წლებში კორფუში საფრანგეთის სავაჭრო ურთიერთობათა გენერალური კომისარი. 1805 წლის 1805 წლის 24 სექტემბერს ჩავიდა თეირანში, სადაც იგი ძალიან მალე, 12 ოქტომბერს გარდაიცვალა (გოტერი 1993: № 468, 412-413; ნაჭყებია 2002: 318-323).

[9] პიერ-ამედე-პრობ-ემილიენ ჟობერი (1779-1847) – საპატიო ლეგიონის ოფიცერი, შემდგომში თვალსაჩინო აღმოსავლეთმცოდნე, დიპლომატი და საზოგადო მოღვაწე, საფრანგეთის დამწერლობის და სიტყვიერების აკადემიის (L'Académie des Inscriptions et Belles-Lettres) წევრი (1830), პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი (1835), პარიზის სააზიო საზოგადოების პრეზიდენტი და ცოცხალი აღმოსავლური ენების სკოლის დირექტორი (1838), საფრანგეთის პერი (1845) (ჟობერი 1997: 6-12; ელო-ბელიე 2007: 94-96).

[10] კლოდ–მატიე დე გარდანი, გრაფი (1766–1818) – ნაპოლეონის ადიუტანტი, ბრიგადის გენერალი. 1807–1809 წლებში სპარსეთში საფრანგეთის სრულუფლებიანი ელჩი. მონაწილეობდა აუსტერლიცის, იენისა და ეილაუს ბრძოლებში (ბროკი 1992, 204).

[11] ალექსანდრე პეტრეს ძე ტორმასოვი (1752-1819) – რუსეთის იმპერიის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. საქართველოს მთავარმართებელი 1808-1811 წლებში.

[12] ივანე ვასილის ძე გუდოვიჩი (1741-1820) – გრაფი (1797), რუსეთის არმიის ფელდ-მარშალი (1807), თავისი დროის ერთ-ერთი განათლებული პიროვნება. ესწრებოდა ლექციებს კენიგსბერგის და ლაიფციგის უნივერსიტეტებში. 1806 წელს ალექსანდრე I-მა იგი ჯარების სარდლად დანიშნა კავკასიაში; გუდოვიჩმა დაიპყრო ბაქო, შაქისა და დარუბანდის სახანოები, 1807 წელს ოსმალთა ჯარი დაამარცხა არფაჩაისთან, მაგრამ ვერ აიღო ახალქალაქი (1807) და ერევანი (1808). 1809-1812 წლებში იგი იყო მოსკოვის მთავარსარდალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი და სენატორი.

[13] კამილ-ალფონს ტრეზელი (1780–1866) – საფრანგეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საპატიო ლეგიონის ოფიცერი (1813), დივიზიის გენერალი (1837), საფრანგეთის პერი (1846), 1847 წელს 9 მაისიდან 1848 წლის თებერვლის რევოლუციამდე – საფრანგეთის სამხედრო მინისტრი და საფრანგეთის მარშალი. იგი ხელმძღვანელობდა ლუი-ფილიპეს შვილიშვილების, ტახტის მემკვიდრის – პარიზის გრაფის ორლეანის პრინცისა და შარტრის ჰერცოგის სამხედრო აღზრდას (SHD, 7Y[4]/1134; AN, RE/Perse, 1686 IV[1], doc. 10; AN, LH, 2628/33; AMFAE, MD/Perse, vol. 7, doc. 32bis; დიუმა 1915: 8; ბროკი 1992: 423).

[14] ლეიტენანტ ტრეზელის რამდენიმე ცნობა საქართველოს შესახებ მოყვანილია პროფ. ი. ტაბაღუას მონოგრაფიაში (ტაბაღუა 1974: 22-26). ჩვენ ეს ხელნაწერი ვთარგმნეთ და ვამზადებთ გამოსაცემად.

[15] იგულისხმება იმერეთის მეფის, დავით II-ს მეუღლე ანა, მამუკა ორბელიანის ქალიშვილი. იგი თავის ვაჟთან, კონსტანტინესთან ერთად, 1810 წელს ჩავიდა რუსეთში (გონიკიშვილი 1986: 135-136). კონსტანტინე ბატონიშვილი მონაწილეობდა 1812 წლის სამამულო ომში. დაჯილდოვეს ვლადიმირის ორდენით. მისი ვაჟები რუსეთში "იმერეტინსკებად" ან "ბაგრატიდ-იმერეტინსკებად" იწოდებოდნენ.

[16] გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში "ვალი" ანუ სპარსეთის შაჰის მოადგილე, ნაცვალი. ასე იხსენიებდნენ ერეკლე II-საც.

[17] ანტონ II (1764-1827) – ერეკლე I-ის ძე, ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. 1811 წელს იგი რუსეთში გაიწვიეს, ცხოვრობდა ნიჟნი-ნოვგოროდში, დაკრძალულია იქვე, ხარების ტაძარში. ვერ დავადგინეთ ერეკლე II-ს რომელი ქალიშვილი ესწრებოდა ამ საღამოს.

[18] იგულისხმება სომეხთა კათალიკოსი ნერსესი (1760-1857).

[19] ტექსტში: 'un seigneur géorgien frère du général prince Bagration' (SHD, n°1486, 1M, fol. 34). ავტორი აქ უზუსტობას უშვებს, რადგან გენერალ პეტრე ბაგრატიონის ძმები – რომანი (რევაზი) და ალექსანდრე – რუსეთის სამხედრო სამსახურში იდგნენ და შესაბამისად, მათ კარგად უნდა სცოდნოდათ რუსული და ფრანგული ენები.

[20] დავით კაციტაძის ნაშრომში აღნიშნულია, რომ აღა-მაჰმად-ხანმა თბილისიდან ორივე სქესის 22 000 მშვიდობიანი მცხოვრები წაიყვანა ტყვედ (კაციტაძე 2001: 441). ზურაბ შარაშენიძე წერს, რომ სპარსელ ისტორიკოსთა ნაშრომების მიხედვით აღა-მაჰმად-ხანმა საქართველოდან 15 000 ტყვე გაიყვანა, ერეკლე მეფის მიერ გუდოვიჩისადმი გაგზავნილ წერილში 30 000 ქართველი ტყვეა ნახსენები, ჯ. მალკოლმის მიერ "სანდო ქართველი და სომეხი პირებისაგან" მიღებული ცნობების თანახმად – 25 000 ტყვე (შარაშენიძე 1970: 168). ამედე ჟობერი სპარსეთში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წერს, რომ საჭურისმა საქართველოდან 15 000 მონა გაიყვანა (ჟობერი 1997:

149), რაც სპარსელი ისტორიკოსების ცნობებს ემთხვევა. შამპოლეონ-ფიჟაკის ცნობით, «აღა-მაჰმად-ხანმა 1795 წელს ტიფლისიდან 16 000 ახალგაზრდა ტყვე წაიყვანა» (შამპოლიონ-ფიჟაკი 1860: 435). აღნიშნულ მოვლენათა თანამედროვე სომეხი ავტორის, სერობ გრიჩის ცნობის თანახმად, საქართველოდან გაყვანილ ტყვეთა რიცხვი 50 000 იყო, ანონიმი სომეხი ავტორის ცნობით, დახოცილთა და დატყვევებულთა რიცხვი, როგორც სომხებს, ისე ქართველებს შორის, 50 000 იყო; აგრეთვე სომეხი ავტორის ვარდან ოძნეცის ცნობით – 16 000 (ჭუბაბრია 1994: 11, 24, 46, 72, 80). საიდ მულიანი რეზა-ყული ხან ჰედაიათის ცნობაზე დაყრდნობით, წერს, რომ "(...) ცხრა დღე იყო იქ [საქართველოში]და 15 000 ტყვე გამოიყვანეს' (მულიანი 1379/2001: 193).

[21] პავლე ციციანოვის მკვლელობის შესახებ ნ. დუბროვინის, ნ. ბერძენიშვილისა და სპარსელ მეისტორიეთა ცნობებზე დაყრდნობით ზ. შარაშენიძე წერს: 'რუსეთის ჯარი 1806 წლის 30 იანვარს მიადგა ბაქოს. ციციანოვმა 300 კაცი გაგზავნა ზავალიშინის დასახმარებლად. ეს უკანასკნელი ზღვიდან მოსდგომოდა ქალაქს. მთავარსარდალმა ქალაქის ჩაბარება მოითხოვა. ბაქოს ხანი დათანხმებულა ქალაქის დისკრეციით გადაცემაზე. 200 კაცის თანხლებით გაემართა ციციანოვი დანიშნული ადგილისაკენ, სადაც ოფიციალურად უნდა მიეღო ბაქო. ბაქოს მმართველმა ციციანოვს გადასცა ქალაქის გასაღები. ხანს ციციანოვი გაშლილ ნოხზე მიუწვევია, ჩამომსხდარან. ყალიონის გაბოლება შეუთავაზებიათ მთავარმართებლისათვის და ამ დროს ხანის ნათესავს, იბრაჰიმს, კეფაში დაუხლია ტყვია ციციანოვისათვის. მეორე გასროლით კი მისი თანმხლები ელიზბარ ქსნის ერისთავი მოუკლავს. იბრაჰიმს ციციანოვისათვის თავი მოუკვეთია და ციხისაკენ გაუქანებულა. შემდეგ, ციციანოვის მოკვეთილი თავი თავრიზში ჩაუტანიათ, იქიდან კი თეირანში წაუღიათ და შაჰისათვის მიურთმევიათ, როგორც ძვირფასი საჩუქარი. სპარსელ ისტორიკოსს, აბდ ორ-რაზაყ დომბოლის დიდ ვაჟკაცობად არ ჩაუთვლია მთავარმართებლის მოტყუებით მოკვლა და ამიტომ წერს: ინსპექტორს ამაყი და პატივმოყვარე თავი მოკვეთეს და ჩაფრებს გაატანეს სატახტო ქალაქში. მაგრამ რადგანაც ნავაბ ნაიბ ოს-სალთანეს ნაბრძანები ჰქონდა რომ ისინი (რუსები – ზ.შ.) ბრძოლის ველზე დაეხოცათ და არა მოლაპარაკების დროს, მისი უდიდებულესობის ბრწყინვალე გული ვერ გაიბარა ამ ამბავმა, პირიქით, შაჰს ძალიან ეწყინა ასეთი საქციელი' (შარაშენიძე 1984: 95-96).

[22] რუსეთ-თურქეთის ომების პერიოდში რუსებმა რამდენჯერმე დაიკავეს ანაპა. გუდოვიჩმა ეს ქალაქი 1791 წლის 22 ივნისს დაიკავა.

[23] 1808 წლის შემოდგომაზე გენერალმა გუდოვიჩმა ერევნის ციხე ვერ აიღო, რაც დიდწილად სწორედ გენერალ გარდანის მისიის ოფიცრების – კაპიტნების ლამის, ვერდიეს, პეპენის, სერჟანტების ფინოს, მარემალის, დარმოს – მიერ 10 თვის განმავლობაში აბას მირზას მოლაშქრეთა წვრთნისა და ერევნის მიდამოებში ჩატარებული საფორტიფიკაციო სამუშაოების შედეგი იყო (ნაჭყებია 2007: VII, 37-38).

გენერალი გარდანი 1808 წლის შემოდგომაზე მიმდინარე ერევნის ციხის ალყის შესახებ წერდა: "მე რამდენიმე დღე გავატარე ერევანში. მხარე კარგია და კარგად დასახლებული. რუსების ოპერაცია წარუმატებელი იყო, რადგან მეტად თავდაჯერებულები იყვნენ, მეტად ჩქარობდნენ, არ დაწვეს საკმაო რაოდენობის დენთი და არც ზარბაზანი იდგა ციხესთან საკმარისად ახლოს, მეტად მაღლა ისროდა და მხოლოდ კედელი გაანგრია რამდენიმე ადგილზე და იქ კიდევ რჩებოდა შტურმით ასაღები 7-8 ფუტი (დაახლოებით 2-2.4 მ – ი.ნ.). (...) რაც შეეხება რუს ჯარისკაცს, ის მუდამ მორჩილია, ამ ბოლო კამპანიაში ის 4 ფუტის [სიმაღლის] თოვლში იბრძოდა... 1200 კაცს მოეყინა ფეხები, ამპუტაცია კი მხოლოდ სამს გაუკეთეს. პურის ნაცვლად მათ მისცეს ხორბალი, ისინი მას ფქვავენ ორ ქვას შორის, მიწაში აზიური წესისამებრ ხვრელს აკეთებენ და პურს მასში აცხობენ" (SHD, n°1673, 1M, Perse, 1807-1857, 11.08.1809).

[24] უნდა იყოს 1809 წელს.

[25]1787-1791 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დასრულების გამო დადებული იასას (17.12.1791) საზავო ხელშეკრულების შემდეგ, ტორმასოვმა წარმატებით ჩაახშო პოლონეთის აჯანყება, მაგრამ ძლიერი მარცხი განიცადა 1794 წლის 24 მარტს გენერალ ტადეუშ კოსტიუშკოს მეთაურობით აჯანყებულ პოლონელებთან ბრძოლაში. ტრეზელი უზუსტობას უშვებს, რადგან ტორმასოვი მოსკოვში დაიბადა, ხოლო კიევის გუბერნატორად იგი 1803 წლის იანვარში დანიშნეს. მეთაურობდა საბრძოლო ოპერაციებს 1806-1812 წწ. რუსეთ-თურქეთის და 1804-1813 წწ. რუსეთ-სპარსეთის ომებში.

[26] იგულისხმება თალიშის ხანი, მირ მუსტაფა, რომელიც რუსეთის მფარველობაში შევიდა, 1803 წელს ალექსანდრე I-მა მას გენერალ-ლეიტენანტის ჩინი უბოძა.

[27] გენერალი გუდოვიჩი ჯერ კიდევ 1808 წლის 30 აპრილს ატყობინებდა რუსეთის მთავრობას, რომ ბაბა-ხანი (ფათჰ-ალი შაჰი – ი.ნ.) არ თანხმდებოდა მისთვის შეთავაზებული საზღვრის გატარებას მტკვართან, არაქსთან და არფაჩაისთან, ასევე ერევნის და ნახჭევანის ოლქების დათმობას და ეს საკითხი საომარი მოქმედებების გარეშე არ მოგვარდებოდა (აქტები 1869: III, 464-465). გენერალმა გუდოვიჩმა 1808 წლის 21 მაისს თეირანში მისიით გაგზავნა რუსეთის არმიის არტილერიის ვიცე-პოლკოვნიკი ბარონი ვრედე, რომელმაც სპარსელებს ერთწლიანი ზავი შესთავაზა. მან სპარსელებს გუდოვიჩის მუქარაც გადასცა, რომ იგი თეირანის კართან მოლაპარაკებებს არ დაიწყებდა და განაახლებდა საომარ მოქმედებებს, თუკი სპარსეთი არ ცნობდა რუსების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების საზღვარს მტკვართან, არაქსთან და არფაჩაისთან (AMFAE, CP/Perse, vol. 14: doc. 3, fol. 6r-6v; doc. 4, fol. 7r; AMFAE, MD/Perse, vol. 8, doc. 25, fol. 245v-246r; გარდანი 1868: 169, 173).

[28] ჰუზებს (Hauzes) ანუ ოსები.

[29] ფრანგი ბოტანიკოსი შარლ ბელანჟე (1805-1881), რომელმაც 1827-1829 წლებში იმოგზაურა სამხრეთ კავკასიასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, წერს, რომ ქართველები შეურაცხყოფილები იყვნენ იმის გამო, რომ მათი ქვეყანა ციხედ ქცეულიყო დამნაშავე ოფიცრებისა და მფლანგველი ბუჰღალტრებისათვის. რუსეთი მათ საქართველოში გზავნიდა იმაზე უფრო დაბალ თანამდებობებზე, ვიდრე მათ იმპერიაში ეჭირათ. ისინი პატივს არ

სცემდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ადათ-წესებს და თავიანთი არასაკმარისი ჯამაგირის ასანაზღაურებლად, ფულს მოსახლეობას ძალავდნენ (ბელანჟე 1836-1846: II, 64-65).

[30] იგულისხმებიან ერეკლე II-ს ვაჟი, ბატონიშვილი ალექსანდრე და შვილიშვილები – გიორგი XII-ის ვაჟი ბატონიშვილი თეიმურაზი და ბატონიშვილი ლევან იულონის ძე.

[31] სავარაუდოა, რომ ლეიტენანტი ტრეზელი იმ ოფიცრებს გულისხმობს, რომლებიც ნაპოლეონისა და ევროპული კოალიციების – აუსტერლიცის (2.12.1805), დანციგის (26.05.1807), პრეისიშ-ეილაუს (11.06.1807) და ფრიდლანდის (14.06.1807) – ბრძოლების შემდეგ იმყოფებოდნენ ტყვედ საფრანგეთში.

დამოწმებანი

არნო 1826: A. V. Arnault. Vie politique et militaire de Napoléon. Par A. V. Arnault, membre de l'ancien Institut. Ouvrage orné des planches lithographiées, d'après les dessins originaux des premiers peintres de l'Ecole Français, exécutées par les plus habiles Artistes, et imprimées par E. Motte. Tome I-II, Paris (1826).

აქტები (1866-1904): Акты, собранные Кавказской археографической комиссией, под ред. Ад. Берже, т. I-XII, Тифлис (1866-1904).

ბელანჟე 1836-1846: Charles Bélanger. Voyage aux Indes Orientales, par le Nord de l'Europe, les provinces du Caucase, la Géorgie, l'Arménie et la Perse, suivi de détails topographiques et autres sur le Pergou, les îles de Java, de Maurice et de Bourbon, sur le cap de Bonne-Espérance et Sainte-Héène pendant les années 1827, 1828 et 1829, I-VIII, 8 et 3 grands atlas, Paris (1836-1846).

ბროკი 1992: N. Broc. Dictionnaire illustré des explorateurs et grand voyageurs français du XIX[e] siècle. Vol. I-II, Asie, avec la collaboration de Gérard Siary. Paris (1992).

გარდანი 1868: Alfred de Gardane. Mission du Général Gardane en Perse sous le Premier Empire. Paris (1868).

გონიკიშვილი 1986: მ. გონიკიშვილი. ბაგრატიონთა დასახელება და მოღვაწეობა რუსეთში. თბილისი (1986).

დეერენი 1929-1930: Henri Dehérain. La vie de Pierre Ruffin, orientaliste et diplomate, 1742- 1824. Tome I-II, Paris (1929-1930).

დიუმა 1915: Jean-Baptist Dumas, Général. Un fourrier de Napoléon vers l'Inde. Les papiers du Lieutenant Général Trézel. Paris (1915).

ვანდალი 1891: A. Vandal. Napoléon et Alexandre Ier, l'Alliance Russe sous le Premier Empire, de Tilzit à Erfurt. Tome I-II, Paris (1891).

ვენსენის სამხედრო არქივი: Château de Vincennes, Ministère de la Défense, Service historique de l'Armée de Terre (SHD), 7Y[d]/1134; n°1673, 1M; n 1486, 1M, fol. 34.

კაციტაძე 2001: დ. კაციტაძე. ირანის ისტორია, III-XVIII სს. თბილისი (2001).

მულიანი 1379/2001: Sayd Muliany. Ğāygāh-e dar tārikh va farhang va tamaddon-e Irān. Enteshārāt-e Yektā, Isfahān (1379/2001).

ნაჭყებია 2002: I. Natchkebia. "La Perse vue par deux émissaires de Napoléon", in: *Studia iranica*. Cahier 26, Iran questions et connaissances. Actes du IV[e] congrès européen des études iraniennes organisé par la Societas Iranologica Europea, Paris, 6-10 septembre 1999, vol. II: Périodes médiévale et moderne, texte réunis par Maria Szuppe, Paris, 2002, pp. 317-338.

ნაჭყებია 2006: Persian Entertainment During the First Russian-Persian War. From Information by Napoleon's Emissaries (1805-1809). – *Qajar Studies*: "Entertainment in Qajar Era". Journal of the International Qajar Studies Association, Vol. VI, Rotterdam/Gronsveld/Santa Barbara/Tehran, 2006, pp. 16-41.

ნაჭყებია 2007: I. Natchkebia. "Envoys of Napoleon: The Mission of General Gardane in Persia (1807-1809)". In: *Qajar Studies*: "Diplomats and Travelers in the Qajar Era". Journal of the International Qajar Studies Association, Vol. VII, Rotterdam/Gronsveld/Santa Barbara/Tehran, 2007, pp. 8-51.

ოლივიე 1802-1807: G. A. *Olivier. Voyage dans l'Empire Othoman, l'Égypte et la Perse.* 6 vols, Paris (1802-1807).

ჟობერი 1997: ა. ჟობერი. მოგზაურობა სომხეთსა და სპარსეთში 1805-1806 წლებში. თარგმანი ფრანგულიდან, გამოკვლევა და კომენტარები ი. ნაჭყებიასი. თბილისი (1997).

რუსო 1899: J.-B. Louis Jacques, Rousseau. *Voyage de Bagdad à Alep (1808).* Publié d'après les manuscrits inédits de l'auteur, par Louis Poinssot, Membre de la Société de Géographie de Paris. Paris (1899).

სასი 1810: Sylvestre de Sacy. Eloge historique de feu Jean-François Rousseau ancien consul général de France à Bagdad et à Bassora, mort à Alep le 12 mai 1808. Précédé de quelques détails curieux et intéressants sur le voyage de son père à la cour de Perse, au commencement du dix-huitième siècle (1810).

საფრანგეთის ეროვნული არქივი: Archives Nationales, Légion d'Honneur (AN, LH), 2278/13, n. 878; 2628/33.

საფრანგეთის ეროვნული არქივი: Archives Nationales de France, Relations extérieures, Perse (AN, RE/Perse) : AF, 1686 IV, doc: 16; AF, 1686 IV[1], doc: 4, 10.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: Archives du ministère français des Affaires étrangères. Correspondances Politiques, Perse (AMFAE, CP/Perse): vol. 8: doc. 156, 157, 158; vol. 9, doc. 27; vol. 14: doc. 3, 4, 289. 6, doc. 40,

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: Archives du ministère français des Affaires étrangères. Mémoires et Documents, Perse (AMFAE, MD/Perse): vol. 2, doc. 29; vol. 6, doc: 19, 40; vol. 7, doc. 32bis; vol. 8, doc. 25.

შამპოლიონ-ფიჟაკი 1860: *Champollion-Figeac. Histoire de la Perse.* Paris (1860).

შარაშენიძე 1970: ზ. შარაშენიძე. ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისი (1970).
შარაშენიძე 1984: ზ. შარაშენიძე. ირანის შინაპოლიტიკური ვითარება და საგარეო ურთიერთობანი XIX საუკუნის დასაწყისში. თბილისი (1984).
ჯუბაბრია 1994: რ. ჯუბაბრია. სომხური წყაროები აღა-მაჰმად ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს თბილისის აოხრებასთან დაკავშირებით, სადისერტაციო ნაშრომი ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერი, თბილისი (1994).

Some Information about Georgia by the Lieutenant Trezel(1809)

Irina Natchkebia

In the archives of the Ministry of Defense of France (Ministère de la Défense, Service historique de l'Armée de Terre, Vincennes), is kept a manuscript entitled *Notice sur la Géorgie*. This manusctit is dated by 31 May, 1809, and signed by the engineer-geographer lieutenant – Camille-Alphonse Trézel, the aide-de camps of the Plenipotentiary Minister of France in Persia General Gardane during the years 1807-1809.

Lieutenant Trézel's report *Notice sur la Géorgie* describes in detail the itinerary of the French mission from Yerevan to Mozdok via Tiflis/Tbilisi and Georgievsk in May, 1809. The *Notice* gives information about the landscape, climate, rivers, roads, population (amount, nationality, religion, occupation), small setlements, agriculture, military forces of Russia and relations of the Russians with Georgians and Caucasian mountaineers.

Lieutenant Trézel draws a vivid picture of Tiflis and describes its population. He writes that after two years of life in silent Asian towns Tiflis was the first town the French saw some similarity to the European rules again.

The last chapter of the lieutenant Trézel's manuscrits *The condition of the Russians in Georgia* touches upon the notes about the ravage of by Agha Mohammad khan Tiflis in 1795, characterizes Russian military governors in Georgia, the Generals Tsitsianof, Gudovich, Tormassov, gives information about composition of the Russian forces, attitude of the Russian generals, sent by the Russian government to Caucasus towards the local population and other issues.

Notice sur la Géorgie is a very important source, because it is written by an eye-witness. Unlike the notes of the French consules – Jean-François Xavier Rouseau, Pascale Fourcade, Joseph Rousseau – in the Ottoman Empire, it is clear from this report that Lieutenant Trézel has a positive attitude towards the Russian Empire's policy in the Caucasus, and particularly, Georgia.

რამდენიმე დოკუმენტი კავკასიის სკოლების ნაციონალიზაციის შესახებ (1917 წელი)

ნატო სონღულაშვილი

სკოლების ნაციონალიზაციის საკითხი საგანმანათლებლო რეფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, რომელიც ხორციელდებოდა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, ჯერ კიდევ რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ საქართველოში. ამ პროცესებმა საინტერესო განვითარება ჰპოვა შემდგომ პერიოდში. აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში დადგა ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სხდომაზე. როგორც ცნობილია, ეროვნული ინტერპარტიული საბჭო შეიკრიბა 1917 წლის 19 ნოემბერს და 20 ნოემბერს კი დაისვა საკითხი სკოლების ნაციონალიზაციის შესახებ. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აქტიურ ნაბიჯებს დგამდა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს პროცესი დაიწყო ბევრად ადრე. ქართულ ისტორიოგრაფიაში ინფორმაცია ამ პრობლემასთან დაკავშირებით გვხვდება ცალკეულ ნაშრომებში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ტიტე სარიშვილის მონოგრაფია *სახალხო განათლების საკითხები რევოლუციამდელ ქართულ პრესაში (1901-1921).* ავტორი ნაშრომში ეხება 1917 წელს დაწყებულ სკოლების ნაციონალიზაციის პროცესს, თუმცა ძირითად აქცენტს აკეთებს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდზე. ეს პრობლემა გაანალიზებულია ასევე დოდო ჭუმბურიძის წიგნში *განათლება 1918-1921 წლებში*, სადაც, როგორც სათაურიც მიუთითებს, დამოუკიდებლობის ხანის მოვლენებზეა საუბარი.

ამჯერად, ჩვენ განვიხილავთ 1917 წელს დაწყებულ სკოლების ნაციონალიზაციის საკითხს და შევეხებით არა ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, არამედ კავკასიის დროებითი საგანგებო კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებებს.

ჯერ კიდევ 1917 წლის ივლისში, საქართველოსა და ამიერკავკასიის პროლეტარიატი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მოითხოვდა მშობლიურ ენაზე საერთო, უფასო, ყველასათვის სავალდებულო სწავლა-განათლების შემოღებას (16 წლამდე), მოსწავლეთათვის უფასო სასწავლო ნივთების, ტანისამოსის, სადილის და სხვ. მიცემას, სკოლისგარეშე და სასკოლო ასაკამდე სწავლა-განათლების მოწყობას, უფასო კლუბების, კურსების, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების, ექსკურსიების ორგანიზაციას, საბავშვო სახლების, ბაღების და სხვა (სარიშვილი 1986: 146).

1917 წლის სექტემბერში ეს მოვლენა განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. ჟურნალ *განათლების* 1917 წლის №6-7 ვკითხულობთ:

> გამოქვეყნდა კავკასიის დროებითის საგანგებო კომიტეტის დებულება სკოლების ნაციონალიზაციის ანუ გაეროვნების შესახებ. ამ დებულებით წრეულ საშუალო სასწავლებლებისათვის სავალდებულოა ნაციონალიზაციის მოხდენა საანბანო და პირველ მოსამზადებელ კლასში, ხოლო სხვა კლასებში კი მისი მოხდენა დამოკიდებულია საპედაგოგიო საბჭოს აზრზე. თუ საბჭო დაინახავს მოსახერხებლად სხვა კლასებშიც შემოღებულ იქნას სწავლა სამშობლო ენაზე, მას ეძლევა უფლება ამ კლასებშიც განახორციელოს ნაციონალიზაცია.

აღნიშნულის დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგ დოკუმენტს, რომლის რეკვიზიტებია: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1935, აღწერა 1, საქმე № 20. ეს დოკუმენტი დათარიღებულია 1917 წლის 5 სექტემბრით:

კავკასიის სასწავლო ოკრუგის მითითებით საბჭო ვარაუდობს სასწავლო წლის დაწყებისას მოახდინოს დამწყები და მოსამზადებელი კლასების ნაციონალიზაცია საშუალო სასკოლო დაწესებულებებში. რაც შეეხება კლასებს, მათი ნაციონალიზაცია არ მოხდება სასწავლო წლის დაწყების დროს, საბჭო დადგენილებით გააცნობს მათ გაძლიერებულ და სავალდებულო სწავლების ნაციონალურ საგნებს. ნაციონალურ საგნებად შეიძლება გავიგოთ: მშობლიური ენა, ლიტერატურა, ისტორია და გეოგრაფია. 1917-1918 სასწავლო წელს საოლქო კომისარიატმა დაადგინა გაკვეთილების შემდეგი რიცხვი ნაციონალური საგნებიდან: მოსამზადებელი კლასის უფროს განყოფილებაში - 5 საათი, I, 2, 3, 4 კლასებში -4 საათი, დანარჩენ უფროს კლასებში 3 საათი კვირაში [ფურც. 17].

ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტასთან ერთად დღის წესრიგში დადგა მასწავლებლების შერჩევის საკითხი. რაც შემდეგნაირად იქნა გადაჭრილი:

1. პირი, უმაღლესი განათლებით მიღებული იქნება საშუალო და დაწყებით სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგიური საბჭოს შეფასებით და გადაწყვეტილებით.

2. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით იქნება დამტკიცებული გიმნაზიების 1-4 კლასების ხელმძღვანელები, რეალური სასწავლებლების და დაწყებითი სასწავლებლის პირი, რომელსაც აქვს დასრულებული ის საშუალო სასწავლო დაწესებულება, რომლებიც იღებენ სპეციალურ განათლებას ნაციონალურ საგნებთან შესაბამისობაში. ასეთ სასწავლო დაწესებულებებად კომისარიატი თვლის: ა) ქართული ნაციონალური საგნებისთვის: ქართული გიმნაზია – თბილისის და ქუთაისის, მართლმადიდებლური სასულიერო სემინარია – თბილისის და ქუთაისის, ეპარქიალური სასწავლებელი – თბილისის და ქუთაისის გუბერნიის, თბილისის ქალთა სამასწავლებლო სემინარია 'განათლება'. ბ) სომხური ნაციონალური საგნებისათვის ყველა სომხური საშუალო სასწავლო დაწესებულება. გ) თურქული ნაციონალური საგნებისათვის: ყველა საშუალო სასწავლო დაწესებულება თურქული ენის ხელმძღვანელობით და მედრესე.

3. რაც შეეხება იმ პირებს, რომლებსაც არ აქვთ წინა პარაგრაფში მითითებული ცენზი, კომისარიატის კანონის და სასწავლო ოკრუგის მითითების შესაბამისად დაიკავებენ შტატს [ფურც. 18].

ცალკე პუნქტად იყო განსაზღვრული ნაციონალური საგნები.

საშუალო სასწავლო დაწესებულებებში და დაწყებით სასწავლებლებში კავკასიაში ნაციონალური საგნების სწავლებაზე.

1. საშუალო სასწავლო დაწესებულებებში და დაწყებით სასწავლებელში მიმდინარეობს სწავლება ნაციონალური საგნებით.

2. ნაციონალური საგნებიდან იგულისხმება მშობლიური ენა მის ლიტერატურულ ფორმებში, ნაციონალური ლიტერატურა და მისი ისტორია, ნაციის ისტორია, ნაციონალური გეოგრაფია და მუსულმანებისთვის შარიათი.

3. ნაციონალური საგნების სწავლება წარმოებს სასწავლო პროგრამის მიხედვით, დამტკიცებული ნაციონალური-სასწავლო კომისარების მიერ, ნაციონალური საბჭოს თანხმობით.

4. საშუალო სასწავლო დაწესებულებებში და დაწყებით სასწავლებლებში დაფუძნდება ნაციონალური საგნების მასწავლებლის საშტატო თანამდებობა კავკასიის ხალხში.

5. კავკასიის სასწავლო ოკრუგის გადაწყვეტილებით კომისარიატი განსაზღვრავს მოსწავლეებისათვის რომელი ნაციაა და ნაციონალური საგნების მასწავლებლების რამდენი საშტატო ერთეული შეიძლება იყოს დაწესებული ყოველი სასწავლო დაწესებულებაში. [ფურც. 20].

ამდენად, ზემოთ მოყვანილი დოკუმენტები ცხადყოფს, რომ სკოლების ნაციონალიზაციის ანუ გაეროვნების პროცესი იწყება 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. არსებული მასალა მოწმობს იმასაც, რომ კავკასიის და განსაკუთრებით საქართველოსთვის ეს მოვლენა წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

დამოწმებანი

განათლება 1917: დ. კარიჭაშვილი. სკოლების გაქართველება. განათლება, 1917, #6-7.

სარიშვილი 1986: ტ. სარიშვილი. სახალხო განათლების საკითხები რევოლუციამდელ ქართულ ბოლშევიკურ პრესაში (1901-1921). თბილისი (1986).
სსცსა: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1935, აღწერა 1, საქმე № 20.
ჯუმბურიძე 2000: დოდო ჯუმბურიძე. განათლება 1918-1921 წლებში. თბილისი (2000).

Some Documents concerning the Schools' Nationalization in Caucasus (1917)

Nato Songulashvili

The nationalization of schools was - one of the most important part of the educational reforms which were carried out after the February 1917 bourgeois - democratic revolution, when Georgia was still on the orbit of Russian influence. These developments even intensified in the next period. For example, the topic was included in the agenda of interparty national council gathered on 19 November and 20 November 1917 . After obtaining by Georgia national independence, the Georgian government had taken effective steps to solve the problem. However, as was mentioned above, the nationalization of schools began earlier. In the present paper are published with necessary comments some documents containing the relevant information. The documents are dated by September 1917.

მღვდელ იოსებ ჩიჯავაძის წერილები

ცაცა ჩხარტიშვილი

წმინდა მღვდელმოწამე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II ცნობილია, როგორც ნაყოფიერი საეკლესიო მწერალი, მკვლევარი და ისტორიკოსი. დიდია მისი წვლილი, როგორც საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის, ისე მრავალ სხვა დიდმნიშვნელოვან საეკლესიო თუ საზოგადოებრივ-ეროვნულ საქმეში.

განსაკუთრებული ღირებულებისაა კირიონის პირადი არქივი, რომელიც მისი მეგობრებისა და თანამებრძოლების ზრუნვით დღევანდლამდეა მოღწეული: თანამებრძოლთა და მეგობრებისგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მღვდელი იოსებ ჩიჯავაძის ღვაწლი და თავდადება კირიონისადმი, რომელიც ძალიან კარგად ჩანს მათ მიმოწერაში.

ეს წერილები დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, კირიონის ფონდში II განყოფილებაში. წერილების ავტორთა რიცხვი ძალიან დიდია. აქ შეხვდებით გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, მეცნიერებს, სამღვდელო პირებს. ამ ფონდში (მიწერ-მოწერა) უხვადაა წარმოდგენილი აგრეთვე სხვა ეროვნების პირთა წარმომადგენლები, მაგრამ მე ამ სტატიაში შევეხები მღვდელი ჩიჯავაძის მხოლოდ უცნობ წერილებს, რომლის ადრესატია მისი მეგობარი და ავტოკეფალიისათვის დავდაუზოგავი მებრძოლი კათალიკოსი კირიონ II.

იოსებ ჩიჯავაძის ბიოგრაფია, წერილები, ნაწილობრივ შესწავლილი და გამოქვეყნებულია ჩემს მიერ სხვაგან. ფრაგმენტულად იოსების წერილებს შეეხნენ სხვა მკვლევრები და მეცნიერები ვ. კიკნაძე, ხ. ქოჭრაშვილი, ს. ანდღულაძე, ი. არაბიძე, ქ. პავლიაშვილი და სხვები. მაგრამ არ არის გამოქვეყნებული და შესწავლილი იოსების წერილები კირიონისადმი. შევეცდები ამ სტატიის საშუალებით ფართო მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გავხადო მისი უცნობი წერილები. წერილების შერჩევისას ვითვალისწინებდი იმ გარემოებას თუ რამდენად ცოცხლად არის მათში წარმოდგენილი წერილების ავტორთა ბუნება, მათი მისწრაფებები, იდეალები, ინტერესთა წრე, რადგან ასეთი შინაარსის წერილებიც რამდენადმე გამოხატავენ იმდროინდელი საზოგადოების გარკვეული ნაწილის სულისკვეთებას და კულტურულ დონეს. აქედან გამომდინარე წერილები ძვირფასი ისტორიული წყაროს მნიშვნელობას იძენს.

ეს პუბლიკაცია გაგვაცნობს საყურადღებო ინფორმაციას იმდროინდელი საქართველოს საეკლესიო თუ საზოგადო ყოფის შესახებ.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლ კირიონს მეფისდროინდელი რუსეთის სასულიერო მთავრობა სასტიკად ავიწროვებდა. აშკარა დევნა კირიონისა სინოდის მიერ დაიწყო სწორედ 1902 წელს. ამავე წელს იგი გაათავისუფლეს გორის ეპისკოპოსის თანამდებობიდან და კამენც-პოდოლსკის ეპარქიაში გადაიყვანეს. 1903 წელს მას აგზავნიან ხერსონში, 1904 წელს – ორიოლში, 1906 წელს – სოხუმში, 1907 წელს გადაჰყავთ კოვნოში; 1908 წელს კირიონს ითხოვენ უეპარქიოდ და გზავნიან მას კურიაჟის მონასტერში, ხოლო კურიაჟიდან ჟანდარმის თანხლებით - სანაქსარის უდაბნოში. 1912 წელს კირიონი გადაჰყავთ ხერსონის მონასტერში, სადაც იგი 1915 წლამდე მოღვაწეობდა. ამავე წელს კირიონს დაუბრუნეს ეპარქიის მმართველობის უფლება და ჩააბარეს ვიტებსკის ეპარქია.

მთელი ამ წლის მანძილზე მიმოწერა არ შეუწყვეტიათ კირიონსა და იოსებს. უცხოეთში გაბეზებულ კირიონს ძალიან აინტერესებდა საქართველოს ეკლესიის ბედი. მისი ინფორმატორი ამ შემთხვევაში იოსებ ჩიჯავაძე იყო. იოსები გულისტკივილს გამოთქვამს წერილში კირიონის დაშორებაზე:

> ჩემო ეპისკოპოსობა!
> ძლივს ველირსე შენს წერილს. მანც ვერაფერი გავიგე ჩვენი საქმე როგორ არის. შენ რისთვის დაგანარჩუნეს პეტრეს ქალაქში. ან რას უპირებენ ჩვენს დაობლებულ ეკლესიას. ლეონიდი არ მინახავს, მხოლოდ

პოლემ გადმომცა, რომ კირიონს ემადლიერებოდა და აქებდა ძალიან მამაცობა და ცოდნა გამოიჩინაო... არეულია ყველაფერი, სამართალს ისე მოკლებულია აქაურობა, როგორც ყველაფერი დედამიწას ზედა... თუ გახსოვს დათხოვნილ მღვდლებზე, რომ გწერდი, დღესაც თურმე უალაგოდ არიან და არავინ არაფერ ნუგეშს არ აძლევს. ეგეც ქართველი. ვაი როგორ დავეცით, დავწვრილმანდით. გუშინ კრება გვქონდა მუზეუმის საკითხზე, მე არ შემატყობინეს, მაგრამ მაინც მივედი, კრება პეტრეს თავმჯდომარებით იყო. მე განუცხადე, რომ ცვილს, ქარხნიდან აღარ მოგცემთ თუ ეგრე უთავბოლოდ ხარჯავთ მეთქი. ჯანაშვილი კვირაში ერთხელ მოდის და მაგისათვის ოთხ თუმანს იღებს, გაკეთებით კი არაფერს აკეთებს თქო. მაგ. საქმეში კირიონს არ ეხარჯებოდა მაგდენი ფული მეთქი. დიდი კამათი გაჩაღდა, დიდი ქება შეგასხეს... კრებას შემდეგშიც უთუოდ დავესწრები და ვეცდები ისეთი კაცი დანიშნონ, რომ იმუშაოს. გააცნოს ქვეყანას ჩვენი მდიდარი საუნჯე და უკეთ უგდოს ყური... პოლე კარბელაშვილი გაუბრტყვნია იმავე მედავითნეს და მის ცოლს ეკლესიაში. წვერები უგლეჯია, არქიელს გამოძიება დაუნიშნია, თალაკვაძისთვის მიუნდვია გამოძიება, ძალიან თავი წაიღეს მთავრებმა და მედავითნეებმა. შენი სოსო (კირიონის ფონდი #1278).

წერილი უთარიღოა.

იოსებისთვის ჩვეულებრივი მწვავე სარკაზმია დამახასიათებელი, განსაკუთრებით გესლიანად ლაპარაკობს იგი არსებულ სიტუაციაზე, ეკლესიაში გამეფებულ უწესრიგობაზე. წერილში მწარედ დასცინის იმ დროის თანამდებობის პირებს.

შემდეგი წერილიც უთარიღოა, მხოლოდ თვე და რიცხვია მითითებული. სავარაუდოდ ეს პერიოდიც გადასახლების წლებია. წერილი ეხება ინოკენტი ბელიავას:

მაკვირვებს შენი სიჩუმე, რაც პეტრეს ქალაქში მიხვედი ერთი წერილის მეტი არ მიმიღია. მანდ ეხლა დიდძალი ამბები იქნება ჩვენ და შენ შესახებ. ინოკენტი შენ გვერდით მდგარა. მგონი გნახავდა იქნებ ბოდიშიც მოგიხადა თავის უსვინდისო უადამიანო ქცევაზე, როგორც ეტყობა დიდი ოსტატი უნდა იყოს ბნელი საქმეებისა. მაგის მოსატყუებელი კბილი უკვე მოვიცვალე... ბერძნები და რუსები შეკავშირდნენ და ერთად მუშაობენ ჩვენ წინააღმდეგ. მაგ უბედურებმა არ იციან, რომ მერე მაგათზე მოიცლის რუსეთის პოლიტიკა. რა უნდათ ჩვენგან თუ კანონიერს ვთხოულობთ, განა ეს ვინმეს უფლებას არღვევს? რუსეთის რეაქციამ ბევრს შეუცვალა პირი, კარგა გამოაჩინა ვინ არის თეთრი და ვინ შავი, ერთს აღარ უდგას სული საქმისათვის, სუყველას ფეხებზე ჰკიდია ყველა საქმეები. ინოკენტი მანდ თურმე შეიარაღებით დადის როგორ არ სცხვენიათ, თუ აქ ეშინიან, მანდ ხომ ვერავინ ვერაფერს დააკლებს. შერვაშიძე ნახე და მასალა მიაწოდე ჩვენი ეკლესიის შესახებ. ყველა კომპრომისებს თავი უნდა დავანებოთ და ავტოკეფალია ვითხოვოთ ეხლავე. ვინ იცის როდის იქნება სობორი. ან რა უფლება აქვს კერძო სობორს ავტოკეფალიაზე მსჯელობა იქონიოს. იყავი კარგად. შენი სოსო (კირიონის ფონდი, 1275).

ეროვნული ეკლესიის მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ ავტოკეფალიის მოთხოვნა მარტო სამღვდელოების საქმე არ იყო, ეკლესიას ხალხი შეადგენდა და ინტელიგენციის დახმარებით სწორედ მას უნდა 'გამოედო თავი', წინააღმდეგ შემთხვევაში მარტო სამღვდელოების ბრძოლა უნაყოფო იქნებოდა (*სიტყვა*, 1906). საქართველოს ეკლესიის თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის გზაზე იოსებ ჩიჯავაძე გამორიცხავდა ავტოკეფალიის საკითხის ეტაპობრივ გადაწყვეტას და გამოდიოდა სამღვდელოების იმ ჯგუფის წინააღმდეგ, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ბრძოლის პირველი ეტაპი, ავტონომიური მიტროპოლიის დაარსება, გამართლებული იყო. იგი აუცილებელ ფაქტორად მიიჩნევდა მთელი ერის დარაზმვა-კონსოლიდაციას. ეკლესიას, უპირველეს ყოვლისა, მორწმუნე ერი შეადგენდა და სწორედ მას უნდა გამოეხატა თავისი ურყევი ნება. იოსების წერილები საშუალებას გვაძლევს შეძლებისდაგვარად გავაცოცხლოთ რეალური ისტორიული სურათი, ვაჩვენოთ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა, სინოდის საეკლესიო მსახურთა მიერ ეკლესია-მონასტრებში ჩადებული უზნეობა და ეკლესიის მსახურთა გარყვნა. ამის საბუთია სწორედ ეს წერილი, რომელიც მოურიდებლად ამხელს ეკლესიაში გამეფებულ ზნედაცემულობას. იგი ეკუთვნის იოსებ ჩიჯავაძეს, რომელიც კირიონ II-ს ატყობინებს არსებულ მდგომარეობას. წერილი დათარიღებულია 1911 წლის 4 თებერვლით.

ჩემო უწმინდესობავ!

რატომ არ მწერ... ინოკენტიმ პოლიტიკა გამოიცვალა, დაიწყო ქართველების დევნა. ამბობენ ვიღაცას წერილი გაუგზავნია და შეუშინებიათ. მას კი დარაჯები გაუმრავლებია. ამას ნამდვილად ჩვენი მტრები შვებიან ანდა თვითონ, იმიტომ, რომ მოლაპარაკება მალე მიიღოს. სემინარიაში დიდი მოძრაობა იყო. მოასწრეს სკოლის შეგირდს ზაბოტინს მეოთხე კლასის შეგირდთან და ყველაფერი ათქმევინეს მთავრობასთან. ჯერ უარზე იყვნენ და შემდეგ ზაბოტინმა აღიარა დანაშაული. მე, 12 წლიდან სტიხაროჩკათ ვიყავი ეგზარქოს ნიკონთან. ნიკონმა შემაჩვია და ჩემთან ცხოვრობდაო. თვეში 100 მანეთს მაძლევდაო. ეს მამაჩემმაც იცოდაო. სემინარიაში წელს მიმიღეს ბერი პორფირი მამზადებდა და იმას შევეჩვიე და ყოველ შაბათობით მასთან ვრჩები და ერთად ვართ, ამისთვის მიყიდა საათი, მაძლევდა ფულს, სამოსს. ქრისტეშობის თვეში ექსკურსიაზე იყვნენ ქუთაისში იქ სასწავლებელში გაუმართეს ვახშამი, ძალიან გვიან თურმე ბერი პორფირი ატყდა, რომ ეპისკოპოსთან უნდა წავიდეო მასთან უნდა დავიძინოო თან წაიყვანა ზაბოტინი და იმ ღამეს სასტუმროში ერთ ოთახში ეძინათ, ეგეც შენი წმინდანი ნიკონი, იმის კუნკულა და ანაფორა ეკლესიაში არქიელისა დაკიდეს, შუაში სალოცავად და წმინდანად გამოაცხადეს. პორფირი ერთი წუწწკლიანი, თვალებჩათხრილი, ელამი და უმსგავსი რამ არის, უყვარს გადაკვრა, ეგეც შენი რუსის ბერები, გახრწნილები, უზნეონი. მთელმა ქალაქმა იცის, რომ სემინარიაში მოუთხოვიათ, რომ ბერი აღარ იყოს, არც რეკტორი სემინარიისა და არც მასწავლებელი, პიმენის საქმეებიც ახსოვთ, რომ ტიმოფიევის ცოლი დღე და ღამ იქ ეჯდა ყოველ საღამოს პარასკეობით ღამის 1 სთ-ი იქ ყოლია. შენი სოსო (კირიონის ფონდი 1259).

შემდეგ წერილში დიდი აღშფოთებაა გამოხატული, იმის გამო, რომ ინოკენტი ბელიაევმა ერევნის ეპარქია გახსნა ეს უთუოდ დამამცირებელია საქართველოსი წერს იოსები:

კანტორაში მეტი წევრი ეყოლებათ მეტ ფულს თავიანთებს მოახმარენ და ჩვენი ალავერდის კათედრას დახურავენ. საოცრებაა ვინც კი მოვიდა ეგზარქოსი, ყველამ თითო წიხლი წაგვკრა და ჩვენ მეტიც არ გვინდა... მგონი გუშინ უნდა ჩამოსულიყო და ვაი იმას ვისაც ეახლებიან ხოლმე, პიმენი ძალიან დაუმცირებიათ. უნდა გითხრა, რომ ძალიან ჭკუნაკლები კაცია და ხასიათიც დაურეგულირებელი აქვს, არაფერი უნახავს, ზრდილობა, არავითარი მაგნაირი. მამაძაღლია, როგორც ინოკენტი... პროკლამაცია გამხდარა ამის მიზეზი ყველას დაურიგდა თურმე, სადაც მაგის შესახებ ყველაფერი წერია, ჩამოთვლილია ყველა მისი საყვარელი, ყველა უზნეო საქციელი... პიმენი და ანტონი ძალიან გადაკიდებულები არიან, ნაზარიც ემტერება ანტონს და მხარს უჭერს პიმენს, რექტორიც პიმენის მხარეზეა. ერთად ქეიფობენ ნაზარიც ამათი დამქაშია. ერთი სიტყვით ვაღიარებ მაგათ დარჩათ მოედანი... ტარასი გახადეს თავისი ჯავრის ამოსაყრელ მასალად. ამაში ინოკენტი, ნაზარიც, ანტონიც, პიმენიც არიან დამნაშავენი. დავითის დოკლადნოი ზაპისკს წაიკითხავდი. ჩემი აზრით ცოტა სისუსტე უჩანს. დალაგება აკლია მასალას. ნ. დ. მწერს წერილებს. შენი სოსო (კირიონის ფონდი #1271, 23 დეკემბერი)

წერილი უთარიღოა. ჩვენი აზრით, წერილში მოხსენიებულნი პირნი არიან: დავით ეპისკოპოსი, ანტონი გიორგაძე, ეპისკოპოსი პიმენი, მღვდელი ტარასი კანდელაკი და ნიკოლოზ დურნოვი. კირიონის ფონდში დაცული წერილების გაცნობის საშუალებით, შესაძლებელი ხდება იოსების შეხედულებების შეჯერება იმ დროის სხვა მოღვაწეთა, თუნდაც კათალიკოს-პატრიარქის მოწინააღმდეგეთა, შეხედულებებთან ამა თუ იმ სადავო საკითხზე. ამ მოვლენების გაცნობა გვეხმარება ეკლესიის შიგნით არსებულ პრობლემათა და დაპირისპირებათა ჭეშმარიტი არსის გაგებაში.

ჩემო ეპისკოპოსობავ!
დიდი ტანჯვის მერე მივედი პეტრეს ქალაქს გრიგორიევსკი ვნახე, წერილი გადავეცი დამპირდა საქმის დახმარებას და დროც დამინიშნა. საღამოზე სახლში მივედი მივუტანე ხალიჩა შენი სახელით და ჩემი სახელით, შალის საკაბე, ერთი ჯეჯიმი აბრეშუმი და ღვინო. შაბათს ვერ მოასწრეს საქმის განხილვა და ოთხშაბათისათვის გადასდო. ძალიან კარგა მიმიღო, შენ პატივს გცემს. როგორც ეტყობა დაგიმეგობრდა. ვნახოთ რა იქნება. ბევრი ველაპარაკე, გულახდილად ლაპარაკობდა თვითონაც. თითქოს, საქართველოზე ზრუნავს კიდეც. ვნახე სინოდში ნიკოლოზ თავრიზელი, დამინახა თუ არა იმ წამს დამიძახა, იოსებ ჩოჯავაძე ნავტლუგსკი. მთხოვა ჩემთან მოდიო. ვიყავი, თითქმის სამი საათი მელაპარაკა. ყველაფერი კარგა ახსოვს და იცის შენზე, გაქო, უჩინო კაცი არისო. ლეონიდი ისე არ მოსწონს მაინც სოციალისტები არიანო. და... პანაშვიდზე რათ იყვნენო... მე ვუთხარი

პატრიოტები მართლა არიან მეთქი და სოციალისტები სძულან, რადგანაც ჩვენში სოციალიზმი ყველაფერს აფუჭებს მეთქი. ნიკონი აქო, კარგს იზამენ ეპისკოპოსები ერთად ჩავიდნენო, მოილაპარაკონ შეთანხმდნენო, რაც შესაძლოა მოგცემენო, ბევრსაც მიიღებთ, ბევრშია დამნაშავე რუსის მთავრობა თქვენთანაც, ავტოკეფალია დაგლუპამთ, ეპისკოპოზები ერთმანეთს დასვამენო (ლეონტი გასკდებაო) კარგა იცის შენი და ლეონდის უსიამოვნება, სობორამდე დაიცადეთ და სობორზე გადაიჭრება საქმეო. თორემ ყველაფერს მოგისპობენო. ნიკონი წავიდა, რომ დაამშვიდოს ყველანი. წამოსვლის დროს უთქვამს: მიტროპოლიტი ანტონი კისლავოდსკშია და კარგი იქნება ეპისკოპოზებმა ნახონო... აქ სუნით ვატყობ არაფერს მოგვცემენ. ეკლესიის მამულზე კრინტსაც არ იღებენ და ვერაფერს გამოვიტანთ... ნიკონი ყველა ღონეს იხმარს დამნაშავეების გასაწმენდად და არავინ ხელს არ შეუშლისო. არა მგონია ჩემით დაიწყოს გაწმენდა თბილისის. მაინც მე მზადა ვარ. თუ გამომისტუმრეს აკადემიაში თავისუფალ მსმენელად შევალ დროებით მაინც... ჯერ დურნოვო არ მინახავს. შენი სოსო (კირიონის ფონდი #1282).

წერილი უთარიღოა. გამოტოვებული ადგილები იმიტომაა, რომ არ იკითხება ხელნაწერი. იოსები ატყობინებს კირიონს გრიგორიევისა და მისი საუბრის შესახებ:

ვნახე გრიგორიევსკი, კარგად მიმიღო, ბევრი ველაპარაკე შენზე. მითხრა მალე პენსიას დაუნიშნავენო და მონასტერსაც მისცემენო (წერილში საუბარია უეპარქიოდ გადასახლებაში მყოფ კირიონზე). სინოდმა დაამავა, რომ დაუჯერა გენერალ-გუბერნატორის დანოსსო არ უნდა შეკამათებულიყოვო გენერალ-გუბერნატორსო. მალე დაგინიშნავენ ეგზარხოსსაო... ნიკოლოზ ვარშაველიც ვნახე, იმანაც მითხრა, რომ ფლაბიანე ცდილობს კირიონს პენსია დაუნიშნოსო. უნდა დრო და დრო მისწერო წერილები ნიკოლოზ ვარშაველს და სთხოვო. ხომ იცი რა დროა... სემინარიის შესახებ ველაპარაკე მითხრა დაუბრუნებენ შენობას თუ სთხოვენო. მე უთხარი, რომ სამღვდელოებისაა სემინარია და იმათვე უნდა დაუბრუნოთო. მე უთხარი კირიონს რაზე სტანჯავენ მეთქი. კირიონს არავინ ამტყუნებს ნიკონის საქმეებში. მხოლოდ კოვნოვოში კარგი ალაგი ჰქონდა, შეეძლო ემუშავნა კარგაო... ერთი სიტყვით სინოდს ბევრი სისულელეები დაუჯერებია... ვნახე დეპუტატი შერვაშიძე; ძალიან უნდა დახმარება ჩვენი ეკლესიისათვის და ჩვენთვის მთხოვა მასალა, მე დავპირდი და ხასანოვმა, მოვამზადეთ კარგი დოკლადი დავაბეჭდინებთ და გაუგზავნით შერვაშიძეს. შერვაშიძე სტოლიპინთანაც წავა და დაკლადნოი ზაპისკს მიართმევს ვნახოთ და იქნება... აქ მოსკოვში ვნახე გრძელცხვირა ედუვი. ვერ წარმოიდგენ რა უსვინდისობა ჩაიდინა. სახლში ვერა ვნახე სწირამდა. წავედი ეკლესიაში კურთხევა ავიღე, მაგრამ არ მიმიღო. მერე სახლში მიმიღო ჩემსკენ არც მოუხედნია ისე მელაპარაკა... გუშინ ბოგოიალენსკი ვნახე, ველაპარაკე შენ საჩივარზე. მითხრა თავი დაანებოს საჩივრებსო... მერე დაიწყო ძარღვები დაგსუსტებია მოთმინებისაგანო. მე უთხარი, ეგეთი მოთმინება ჩვენ ქართველებს დაბადებიდანვე დაგვყვა. ნიკოლოზმა მითხრა, რომ კირიონს შეეძლო კოვნოში ემუშავნა საქართველოსთვისო, წიგნები არა აქვთ სემინარიაში ქართულ ენაზე. შეეძლო გადაეთარგმნა და შეედგინა ძველი ხელნაწერებიდანო... ვოსტორგოვი აქ თურმე ძალიან ფერს კარგავს, ნიკოლოზს ძალიან ეჯავრება... შენი სოსო (კირიონის ფონდი #1282).

წერილი უთარიღოა. ყველა წერილი, სიძველისაგან გაყვითლებული და გაცრეცილი ხელნაწერია. მათი დიდი ისტორიული მნიშვნელობა უეჭველია.

ჩემო ეპისკოპოსობავ!
შენი ნახვა ძალიან მინდა, მაგრამ ეს ოხერი ინოკეტი (ბელიაევი) არ გამომიშვებს და რუსეთის მაგივრად მონასტერში ამომაყოფინებს თავს. სასჯელი ჯერაც არ მომიხდია (წერილში საუბარია იმ პერიოდზე, როდესაც მამა იოსებს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ბრძანებით, საეკლესიო წესების დარღვევის გამო დროებით შეუჩერდა მღვდელმოქმედება და რამდენიმე თვით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტერში გაამწესეს სასჯელის მოსახდელად) ინოკეტის ამ ბრიყვი მტარვალის მოშორება აუცილებელია. გუშინ ერთი ბერი შემხვდა და მითხრა ვითომ ინოკეტი ვარშავაში გადაჰყავთ და ანტონი ვოლინელს აქ დანიშავდნენ. ანტონი ბევრად სჯობია ადამიანი მაინც არის, გაიგებს მაინც რამეს. 8 ეკენისთვეს შუამთაში გავემგზავრეთ მმები ჩიჯავაძენი, იქ იყო დავითი, წარმოიდგინე სოხუმს გამოუცდია, რევოლუციონერი გამხდარა, შენს იქ მოქმედებას დიდად აქებს და სადილის დროს მე და შენ მშვენიერი სიტყვა გვითხრა. ანტონი გიორგაძე (არქიმანდრიტი) დიდი დაულაგებელი და ორპირია. ძალიან შეუძვრა ინოკეტის. ინოკეტიც ადიდებს და აღმერთებს. რეკომენდაცია გაუკეთებია სინოდში. ყველას

გაკვირვებია ასე რატომ ადიდებსო. რას იზამ, მამამაღლების დრო დადგა. მცოდნე პატიოსანი და თავდადებულნი მიმალულნი არიან. შენი სოსო (კირიონის ფონდი #1264, 1911, 28 სექტემბერი).

მღვდელი იოსებ ჩიჯავაძის მებრძოლი ხასიათი და სამშობლოს სიყვარული ძალიან კარგად ჩანს ამ წერილში:

მე საქმეს არ გავურბივარ, მინდა საქმე ვაკეთო. ისეთ ადგილს უნდა ამოვეფარო და იქიდან ვებრძოლო, სადაც მაგათი უსვინდისო კლანჯები არ მომწვდება. საქმე იმაშია, რომ მე გადავწყვიტე ან თავი დავანებო მღვდლობას ან ბერათ წავიდე, თავის დანებება ძნელია, იქნება თვითონ დამანებონ თავი. ბეროობა უარესია ისე ამომახრჩობენ. ნუ დაგავიწყდება ისეთი დადგენილება აქვთ, რომ უმიზეზო რამეც რომ ნახონ, უთუოდ გამომაძევებენ. საქმე იმაშია, რომ მეოთხე წელიწადია აღარაფერში არ მიშვებენ, არას კრებაზე ეპარქიალურში, არც სხვა საქმეებში. მოყვირალე სამღვდელოება წამომიდებს ხოლმე რუსებისა და ბერძნების მხარის დაჭერით ფეხს, გამომაბრძანეს სემინარიის წევრობიდან. ყველამ კარგად იცოდა რა ბრძოლას ვეწეოდი მოძრაობის დროს. გამომაბრძანეს ეპარქიალური სასწავლებლიდან. იქაც ვიბრძოდი და ვინ ჩვენივე მოწინავე მთავრობის მოძმე სამღვდელოებამ უკანასკნელ კრებაზე საგანგებოდ დავახვედრე სანთლის ქარხანა, ვერაფერი იპოვეს, ისიც კარგა იცი მღვდელი გრძელიშვილი ამოვახრჩვე დევნით, იმიტომ რომ საზოგადო საქმეს უღალატა და ჯაშუში იყო, იმის მაგივრათ, რომ მადლობა ეთქვათ სხვაგან გადამიყვანეს. შენ კარგად იცი ვის ვენდო. ვისი იმედი მქონდეს, ყველა მახრჩობს თუ მოვახერხე მეც წამოვაჯდები თავზე ყველას. ჩემს საქმეს და ჩემს სამშობლოს ვერ გავექცევი, პირიქით ჩემს ადგილზე, ჩემზე კარგს დავსვამ და უფრო გულმოდგინეთ ვემსახურები. მაინც ჯერ-ჯერობით წინააღმდეგობა მეტია. გიგზავნი ჩვენი ფილარმონიის საზოგადოების გამოცემულ ფალიაშვილის ნოტებს, შეგიძლიან მანდ ხოროს შეასრულებინო და ქართული წირვაც მოასმენინო. შენი სოსო (კირიონის ფონდი #1256, 1911, 20 იანვარი).

რუსეთის იმპერიას თავისი დასაყრდენი ჰყავდა მის მიერ დაპყრობილ საქართველოში. ეს წარმომადგენლები სინოდალური კანტორის წარმომადგენლები იყვნენ. მიუხედავად ამისა, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული სასულიერო პირები არაფერზე არ იხევდნენ უკან და დიდი წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის ჯაშუშებს. თუნდაც ის წერილები, რომელსაც იოსები თავის ახლობლებს და კირიონს უგზავნიდა ,მუდამ სავსე იყო მოღალატეთა მხილებით. ეს იმ დროისათვის საკმაოდ გაბედული ნაბიჯი იყო. იოსები თავისი ახლობლების წერილებშიც კი არ წყვეტს საუბარს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობაზე. ეს ნათლად ჩანს თავის დისადმი მიწერილ წერილში.

საყვარელო დაო მაშო!
შენმა წერილმა ძალიან მასიამოვნა, მიხარია რომ ნელ-ნელა კარგად ხდები, მაინც იწამლე და კარგად ჭამე... სუყველაფერი დამავიწყდა, სამი თვეა მუზიკა სიმღერა არ გამიგია. ახლა მანდ რევოლუციაა და იქ უნდა ვიყო. ჩვენი პიტიმარი გადააყენეს დიდი დანაკლისია ჩემთვის მაინც სულ საქართველოზე ოცნებობს ეს წმინდა მოხუცი. მაინც იქ სიკვდილი მირჩევნია აქ სიცოცხლესო. დიდი ხანია იმაზე ოცნებობს მანდ გადმოიტანოს დედ-მამის გვამი და იქ მიებაროს მიწას თვითონაც. მე აქ კარგად ვმუშაობ საქმეები ბევრია. კომიტეტში ამირჩიეს კინაღამ. ამ კომიტეტში ავალიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ნ. გელოვანი, სიდამონ-ერისთავი, ყიფშიძე, ნუცუბიძე - სულ პროფესორები არიან. ეს კომიტეტი განაგებს არ საქართველოს საქმეებს. 24-25-ში ეგზამენებს მოვიშორებ და ცოტათი ამოვისუნთქავ... ...მაინც რა არის მანდ ახალი, როგორი ხასიათი მიიღო თავისუფლებამ, სოციალ-დემოკრატები კიდევ ძალმომრეობენ თუ არა. აქ გაზეთები არ მოდის და არ ვიცი რა. ეპ. კირიონი ჩამოსულა, ტელეგრამები წავიკითხე. ვასოს უთხარი თუ საეკლესიო საკითხი აღიძრა, ცინცაძეები არ დადგნენ სათავეში, თუ ამორჩევა იყოს პიტიმირი არ დაივიწყონ გინდ ამხანაგად კათალიკოზისა, ეს კაცი საჭიროა და წამოვა კიდეც. შენი ძმა იოსები (კირიონის ფონდი #598, 1917, მარტი).

იოსების წერილებში აღმოჩნდა ვასილ კარბელაშვილის წერილი:

ძმაო სოსო

პირადად ღმერთს ვთხოვ შენს მშვიდობით ყოფნას ჯანმრთელობით. ყველანი კარგად არიან და გისურვებენ ყოველ სიკეთეს. მაშო ეხლა კარგად არის, რაც ნემსები გაუკეთეს.
სოსო მე წერილი, რაც წახვედი, მოგწერე სულ ოთხი. ეს მეხუთეა. არ ვიცი იკარგება თუ რა არის...
7 მარტს თბილისში სამღვდელოებას გვქონდა ლაპარაკი კრებაზე. მივულოცეთ რ. ლვოვს და ვსთხოვეთ ჩვენს ავტოკეფალიას ხომ არ დაივიწყებთო. 12 მარტს მოხდა კრება ოთხი ეპისკოპოსის დასწრებით. სასულიერო საერო პირთა დასწრებით და გამოაცხადეს შეწყვეტილი ავტოკეფალიის მიმდინარეობის განთავისუფლება სინოდის ობერპროკურორისაგან. დროებით მოსაყდრედ კათოლიკოზ-პატრიარქს ვიდრე ავირჩევდეთ კირიონს, იქნება ლეონიდი, ეპისკოპოზი გურია-სამეგრელოსი... კომიტეტი სასულიერო საერო პირთაგან შემდგარი, ლეონიდის თავმჯდომარეობით მუშაობას მართავს და განაგებს საქმეებს.
ცეცხლი ეს არის, რომ ვინც მაშინ იყვნენ, ისევ ისინი მოექცნენ საბჭოში: გიორგაძე, ცინცაძე, კეკელიძე და ვგონებ ვერ გახდებიან. პლატონმა ითხოვა სამი დღე დამაცადეთო. 13 მარტიდან მშვიდობით წავალო. ეხლა ყოველ დღე მართავს კრებებს და მთელი რუსის მღვდლები იქ მიდიან. საერონიც თუ არიან, ვერ გავიგეთ. ვ. კარბელაშვილი (კარბელაშვილის ფონდი, #366).

წერილი უთარიღოა, მაგრამ სიტუაციიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, იგი უნდა ეკუთვნოდეს 1917 წლის 7 მარტს. ავტოკეფალიის დაბრუნების წინა პერიოდს.

წერილში მოხსენიებული მაშო არის იოსების და, ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მეუღლე მარიამ თეოფანეს ასული ჩიჯავაძე. მარიამი იოსებ ჩიჯავაძისთვის მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დიდი საყრდენი იყო, რომელმაც უდრტვინველად ზიდა მეუღლეობის ტვირთი და სამშობლოს საქმეებზე გადაგებული ვასილის გვერდით იდგა მთელი ცხოვრება. მარიამი 1917 წელს გარდაიცვალა. მისი გარდაცვალება გვიან გაიგო იოსებმა და სიძეს საკმაოდ ტკივილიანი წერილი მისწერა.

ჩემი ვასო,
ვტირი და ვგლოვობ საყვარელ დას. ჩემი გული კვნესის, რომ ვერ გამოვეთხოვე, ვერ ვნახე, ვერ დავიტირე, გულში ვერ ჩავიკარი ჩემი ტკბილი, ტანჯული, მოსიყვარულე და მაშო. ძილი აღარ მაქვს, სულ სახლში ვარ, სულ არეულობაა ჩემ სახლში, გულზე დარდი მაწევს, სული გრძნობდა დაკარგვას ოჯახის წევრისას, დაშორებას დისა ძმისაგან და ამიხდა კიდეც, დღეს მივიღე წერილი ტატიანა ნიკოლაევნასაგან და ის მწერს, რომ გუშინ მივაბარეთ მიწას შენი დაო. ღმერთი აღარ გქონდათ, დავიჯერო დაგავიწყდათ, რომ მე ძმა ვარ. თითქოს ტყვე ვარ ამ ამოსაგდებ ქვეყანაში. ჩემთვის პირველადვე უნდა შეგეტყობინებინათ. უცხომ შემატყობინა. ჩემები ჩუმად არიან. თავს სასოწარკვეთილებას ნუ მისცემ, იცოდე შვილები ბევრი გახვევია, თამარს გაუფრთხილდი. ის კარგი გულისაა, დედობას გაუწევს თავის დებსა და ძმებს. შენი მწუხარე ძმა სოსო (კარბელაშვილის ფონდი, 599. 1917).

წერილში სამართლიანი საყვედურია გამოთქმული, მაგრამ იოსები, მაინც სიბრალულის გრძნობას არ ივიწყებს და აფრთხილებს სიძეს, რომ მას შვილები ჰყავს გასაზრდელი.

1917 წლის 12 მარტს, სვეტიცხოვლის ტაძარში შეკრებილ მრევლს ეხარა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. საქართველოს ეკლესიის სტრუქტურის პროექტის (წესდება) მიხედვით, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია თავის წიაღში აერთიანებდა ყველა მართლმადიდებელ ქართველს, არაქართველს. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლად გამოცხადებას დადებითად შეხვდა რუსეთის ეკლესიისა და ერის გარკვეული ნაწილი, ამ ნაწილს ეკუთვნოდა შედარებით კეთილგანწყობილი და საქართველოს მეგობრად ცნობილი ნ. დურნოვი. თუ მის სიტყვებს ვირწმუნებთ, ის ორმოცი წელი ელოდა ამ ამბავს. მაგრამ 1917 წლის 12 მარტს საჯაროდ გამოცხადებულ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას არ სცნობდა რუსეთის ეკლესია. მცდელობისა და დაპირებების მიუხედავად, საქართველოს ეკლესიისათვის რუსეთის სინოდში იკვეთებოდა მხოლოდ ერთი – სავარაუდო დათმობა, ეს იყო საქართველოს ეკლესიის ეროვნული ავტოკეფალიის აღიარება. მხოლოდ 1943 წელს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა განაჩინა – ევქარისტული კავშირის აღდგენის საფუძველზე, აღიარებული ყოფილიყო საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია.

ზემოთ წარმოდგენილი თითოეული წერილი თავისებური რაკურსით წარმოაჩენს ეკლესიის დამოუკიდებლობის გზაზე დახვედრილ დაბრკოლებათა მსგავსებასა და განსხვავებებს, რომლებიც

ხშირად ძლიერი (ამ შემთხვევაში რუსეთის იმპერია) ქვეყნების პოლიტიკური და იდეოლოგიური ინტერესების შესაბამისად იცვლება. ამ ბრძოლაში კი თავისი უარყოფითი და დადებითი თვისებებით ჩანს საქართველოს მტრები და მოკეთენი.

დამოწმებანი

არქივი. 1278: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კირიონის ფონდი. საბუთი 1278. უთარიღო ფურცელი 1.
არქივი. 1275. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კირიონის ფონდი. 14 იანვარი. ფურცელი 1.
სიტყვა 1906. #4 (1906).
არქივი. 1259. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კირიონის ფონდი. საბუთი 1259. 1911. 4 თებერვალი. ფურცელი 2.
არქივი. 1271. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კირიონის ფონდი. საბუთი 1271. 23 დეკემბერი. ფურცელი 1.
არქივი. 1282. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კირიონის ფონდი. საბუთი 1282. 18 სექტემბერი. ფურცელი 1.
არქივი. 1283. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კირიონის ფონდი. საბუთი 1283. ფურცელი 2.
არქივი. 1264. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კირიონის ფონდი. საბუთი 1264. 1911. 28 სექტემბერი. ფურცელი 2.
არქივი. 1256. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კირიონის ფონდი. საბუთი 1256. 1911. 20 იანვარი. ფურცელი 1.
არქივი. 598. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კარბელაშვილის ფონდი. საბუთი 598. 1917. მარტი. ფურცელი 2.
არქივი. 598. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კარბელაშვილის ფონდი. საბუთი 366. 1917. 7 მარტი. ფურცელი 1.
არქივი. 598. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კარბელაშვილის ფონდი. საბუთი 599. 1917. ფურცელი 1.

Letters by the Priest Iosef Chijavadze

TsatsaChkhartishvili

In the epistolary heritage of St. Kirion II there are letters of special, particular interest. I mean the letters that were sent to him by priest Iosef Chijavadze. Now these letters consitute the private fund of Kirion II which being kept in The National Centre of Manuscripts. Iosef Chijavadze's letters are mostly dedicated to the autocephaly problems of the Church of Georgia. The letters contain very interesting and important material about the situation of those days.

Though researchers fragmentarily discussed these letters, the full texts have not been published yet and are brought to the scientific circulation with the help of the given article.

წყაროები აფხაზეთის ისტორიისათვის (1805–1821)

დოდო ჭუმბურიძე

XVIII საუკუნის აფხაზეთი დიდად განსხვავდებოდა წინა ეპოქების აფხაზეთისაგან. ეს იყო ახალი პოლიტიკური ერთეული, ბევრად დიდი ტერიტორიით, მოსახლეობის განსხვავებული ეთნიკური შემადგენლობით, უფრო მაღალი სტატუსით, რადგან საერისთავო სამთავროდ იქცა, ქართულ სამყაროსთან შესუსტებული კავშირით და თურქეთის გაზრდილი გავლენით.

მიუხედავად ამისა, სამთავრო სახლი და წარჩინებულთა წრე ნათესაურ ურთიერთობაში იყო ოდიშის, იმერეთის, გურიის, ქართლ-კახეთის მმართველ სახლებთან და წარჩინებულ საგვარეულოებთან. აფხაზი მთავრები თავს ქართულ სამყაროს მიაკუთვნებდნენ. საქართველოსა და იმერეთის მეფეების უზენაესობას ფორმალურად, მაგრამ მაინც აღიარებდნენ. წარჩინებულებმა იცოდნენ ქართული. ეს ენა ხშირად დაბალ ფენებშიდაც იყო გავრცელებული.

XVIII საუკუნის ბოლოს აფხაზეთში მთავარი იყო პროქართული ორიენტაციის ზურაბ შერვაშიძე. ოსმალებმა სცადეს მისი ჩანაცვლება ოსმალური ორიენტაციის მქონე ქელეშ-ბეით, რომელიც ზურაბ შარვაშიძის ძმისწული იყო. ზურაბმა დახმარება სამეგრელოს მთავარ კაცია დადიანს თხოვა. დადიანს ხელს აძლევდა აფხაზეთში ქართული ორიენტაციის მთავრის ყოფნა, ამიტომ დაეხმარა ზურაბ დადიანს ქელეშ ბეის ჩამოშორებაში, მას ჯარი გაუგზავნა ძმის – გიორგი დადიანის მეთაურობით. მიუხედავად ამ გამარჯვებისა, ოსმალეთმა მალე შეძლო ქელეშ-ბეის გამთავრება. ეს იყო მტკიცე მმართველი, გამოიყენა ოსმალთა მხარდაჭერა და დაიმორჩილა ბექირ-ბეი, რომელსაც გავლენიანი ანჩაბაძეთა გვარი უჭერდა მხარს, დაიმორჩილა წებელდის მფლობელი მარშანიებიც, ცდილობდა სამურზაყანოზეც გაევრცელებინა თავისი ძალაუფლება, კარგი ურთიერთობა დაამყარა ჯიქებთან და უბიხებთან, მთელი აფხაზეთის მმართველი გახდა. მას ანგარიშს უწევდნენ იმერეთის მეფე და სამეგრელოს მთავარიც, ჰყავდა ათი ათასი კარგად შეიარღებული ჯარი, სამხედრო გალერებისგან შემდგარი ფლოტილია. მის შემდეგ, რაც 1801 წელს მოახდინა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია, რუსეთმა შეუტია იმერეთის სამეფოსა და ფორმალურად მასზე დამოკიდებულ სამთავროებს. 1803 წელს მფარველობითი ხელშეკრულება გაფორმდა იმერეთის მეფე სოლომონ II-სა და სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული დოკუმენტებით გურია იმერეთის სამეფოს, აფხაზეთი კი სამეგრელოს შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა, რუსეთი უკმაყოფილებასა და წინააღმდეგობებს ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის ხელოვნურად იწვევდა და დაძაბულ სიტუაციას საკუთარი მიზნების განსახორციელებლად იყენებდა. იმპერიისათვის დამახასიათებელი დიპლომატია და სამხედრო პოლიტიკა ამოქმედდა გურიისა და აფხაზეთის მთავრების წინააღმდეგ.

ქელეშ-ბეი მიხვდა, რომ ოსმალეთი სულ უფრო სუსტდებოდა და რუსეთის პოზიციები კავკასიაში მტკიცდებოდა, მიხვდა, რომ საქართველოს უმეტეს ნაწილში უკვე ფეხმოდგმული იმპერია აფხაზეთსაც მიწვდებოდა, ამიტომ ოსმალური ორიენტაცია რუსულით შეცვალა, თუმცა ერთბაშად უარი არც ოსმალეთთან ურთიერთობაზე უთქვამს. საქართველოს მაშინდელმა მმართველმა პავლე ციციანოვმა გენერალ ლიტვინოვს დაავალა შეესწავლა ქელეშ-ბეის პიროვნება და ეცნობებინა მისთვის, რამდენად გულწრფელი იყო აფხაზი მთავრის რუსული ორიენტაცია. ლიტვინოვმა დავალება შეასრულა და ციციანოვს მოახსენა, რომ ქელეშ-ბეის ნდობა არ შეიძლებოდა.

ქელეშ-ბეის ურთიერთობა რუსულ სარდლობასთან დაიძაბა იმის გამოც, რომ მას მძევლად ჰყავდა სამეგრელოს ტახტის მემკვიდრე ლევან დადიანი. როდესაც 1804 წლის 23 ოქტომბერს სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი გარდაიცვალა, ქელეშ-ბეიმ 12 წლის მძევლის გასათავისუფლებლად დიდი თანხა ითხოვა, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია არა მარტო

სამეგრელოს თავადებში, არამედ რუსულ სამხედრო ადმინისტრაციაში. ამის შედეგი იყო გენერალ რიკხოფის მიერ სამეგრელოს სახალხო ლაშქრით აფხაზეთში შესვლა, მთელი რიგი სოფლების მოოხრება, ხოლო 28 მარტს ანაკლიის ციხის აღება და სოხუმზე იერიშის მომზადება. ქელეშ-ბეიმ ამ ღონისძიებათა შემდეგ, გაათავისუფლა ლევან დადიანი, მასთან მყოფი მძევლები და რუსეთის სარდლობისაგან საომარი მოქმედებების შეწყვეტა ითხოვა. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა დაეტოვებინა ანაკლია და ოსმალეთის მოთხოვნით სოხუმიდან ბათუმამდე ტერიტორია დაეცალა. რუსეთმა დროებით დაიხია უკან. 1805 წლის 9 ივლისს სოფელ ბანძაში რუსეთის ერთგულების ფიცი დადო სამეგრელოს ახალმა მთავარმა ლევან დადიანმა, ამასთანავე, სამეგრელოს მთავრისა და რუსეთის ერთგულების ფიცი დადეს სამურზაყანოს მმართველმა მარშანიებმაც.

ქელეშ-ბეის რუსული ორიენტაცია კიდევ უფრო გამყარდა სამეგრელოს სამთავროსთან მისი ოჯახური დაკავშირებით. ამგვარი კავშირები არც მანამდე ყოფილა იშვიათი, მაგრამ ამ კრიტიკულ ჟამს, როდესაც ორი მეზობელი იმპერია იბრძოდა დასავლეთ საქართველოს ხელში ჩასაგდებად, ქელეშ-ბეიმ ვაჟი – საფარ-ბეი დააქორწინა სამეგრელოს მთავრის – გრიგოლ დადიანის დაზე – თამარზე. საფარ-ბეი ქრისტიანულად მოინათლა და გიორგი დაირქვა. 1821 წლის 7 თებერვალს აფხაზეთის მთავარი გარდაიცვალა ლიხნში. სიკვდილის წინ მან ოჯახი ჩააბარა უმცროს ძმას – ჰასან-ბეის. ამასთანავე, რუსეთის ხელისუფლებას თხოვა – გამოეგზავნა უფროსი შვილი დიმიტრი, რომელიც პეტერბურგში, პაჟთა კორპუსში ირიცხებოდა და ხელისუფლება მისთვის გადაებარებინათ.

8 თებერვალს სოხუმის ციხიდან ტყეში შეშის მოსაჭრელად გასულ რუს ჯარისკაცებს თავს დაესხნენ აფხაზები, რაც იმხანად ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ ეს ფაქტი რუსეთმა გამოიყენა აფხაზთა წინააღმდეგ ახალი შეტევისათვის და მომხდარი ჰასან-ბეის გადააბრალა. მისი მოშორება საქმეს გაადვილებდა, რადგან დიმიტრი შორს იყო, დედამისს – თამარს კი ხელისუფლების ხელში ჩაგდება არ შეეძლო. 6 მარტს სოხუმის ციხეში მოსალაპარაკებლად მისული ჰასან-ბეი გენერალმა ველიამინოვმა დააპატიმრა. თამარ დადიანი-შერვაშიძე ველიამინოვს თხოვდა მაზლის განთავისუფლებას, არწმუნებდა მის უდანაშაულობაში და შვილის – დიმიტრის ჩამოყვანასა და გამთავრებას ემუდარებოდა.

აფხაზეთთან დამოკიდებულებაში თვით რუსული სარდლობა არ იყო ერთიანი. იმერეთის მმართველი გენერალ-მაიორი პ. გორჩაკოვი ჰასან-ბეის დაპატიმრებას არაგონივრულად თვლიდა და ველიამინოვისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში მდგომარეობის დაძაბვას აბრალებდა გენერალ პ. მოგილიანსკის. ან უდანაშაულო ჰასან-ბეი უნდა გაეთავისუფლებინათ, ანდა აფხაზეთი აჯანყდებოდა და რუსეთი უნდა ჩაბმულიყო ომში, რაც ძალიან უჭირდა ამ დროისათვის აქ განლაგებულ რუსულ ჯარს.

აჯანყება მაინც მოხდა და 1821 წლის ბოლოს თითქმის მთელი აფხაზეთი ჰასან-ბეის ემორჩილებოდა. მართალია, რუსეთიდან დიმიტრიც ჩამოიყვანეს, მაგრამ მან სულ ცოტა ხანი დაჰყო მთავრის ტახტზე, მალე 20 წლის თავადი ციებით გარდაიცვალა (1822 წლის 16 ოქტომბერს, მაგრამ ეს აქტი შემდეგ მკვლელობად ჩაითვალა და მკვლელი – დიმიტრის მოსამსახურე ურუს ლაკვარი, რომელმაც თითქოს მოწამლა მთავარი, ლიხნში სახალხოდ ჩამოახრჩვეს).

საიმპერატორო კარის გადაწყვეტილებით, მთავარმმართებელმა ა. ერმოლოვმა დააკმაყოფილა თამარ შერვაშიძის თხოვნა და აფხაზეთის მთავრად გარდაცვლილი დიმიტრის უმცროსი ძმა – მიხეილი დანიშნა.

თამარ შერვაშიძე ამ მოვლენებში ერთ-ერთ აქტიურ პიროვნებად, მამაცი და შეუპოვარი ხასიათის ქალად წარმოგვიდგება. ასეთივე გამორჩეული პოლიტიკური აქტივობით ხასიათდება სამეგრელოს დედოფალი, გიორგი XII-ის ასული ნინო ბაგრატიონ-დადიანი.

რუსეთის სამხედრო ექსპედიციების რთულ მდგომარეობას უგზო და მტრულად განწყობილ აფხაზეთში კარგად ასახავენ საარქივო დოკუმენტები, სადაც ნათლად იხატება ეპოქის სურათი, ქართველ მოღვაწეთა ისტორიული პორტრეტები, რუსული ჯარისა და იმპერიული ხელისუფლების დამპყრობლური პოლიტიკა აფხაზეთში,

ამჯერად ვაქვეყნებთ რამდენიმე საარქივო დოკუმენტს. ეს წყაროები იმ უამრავი დოკუმენტური მასალის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია. ტექსტების თარგმანი რუსულიდან ჩვენია.

1.ბატონ ინფანტერიის გენერალს, თავად პავლე დიმიტრის ძე ციციანოვს, ბელევსკის მუშკეტერთა პოლკის მეთაურის გენერალ-მაიორ რიკხოფის მოხსენებითი ბარათი(1805 წლის 23 მარტი):

რომ გადავხედოთ ქელეშ-ბეის სამფლობელოს, აუცილებელია და საჭირო აფხაზეთის პირველ მიწათმფლობელ თავადთაგან ამანათი (მძევლები), რადგან ამის გარეშე ძალზე საეჭვო იქნებოდა, რომ მათ არ მისცენ დახმარება ქელეშ-ბეის და ამ ჯერზე შეეძლოთ მოეჭრათ ჩვენთვის პროდუქტით მომარაგება და დასაბრუნებელი გზა, რაც, როგორც დავინახე მათგან მართლა იყო მოსალოდნელი, რამეთუ ამანათის მიღება მანამდე ვერ შეძელი, სანამ იძულებული არ გავხდი, მათ სამფლობელოში შევსულიყავი, ოციოდ ვერსზე მომეოხრებინა მაცხოვრებლები და დამეწვა მათი ასამდე სახლ-კარი. მაშინვე უკვე მეოთხე დღეს, მივიღე 8 ამანათი, შემდგომვე იქვე, მათგან გავემართე ქელეშ-ბეის სამფლობელოში. გზების გაუვალობის მიზეზით იქ მისვლა შეუძლებელი იყო, რადგან მოხსენიებული აფხაზეთში შესასვლელი გზა ძნელად გავიარეთ მხოლოდ სამი ასეულით. პირველი ნაბიჯებიდანვე შეუძლებელი იყო არტილერია გადაგვეგზავნა ენგურის მეორე ნაპირზე, რომელიც აფხაზეთს სამეგრელოსგან საზღვრავს და ასე გავხდი იძულებული გამოვბრუნებულიყავი. ახლა მივდივარ ანაკლიისაკენ, რომელიც მდებარეობს ზღვის სანაპიროზე, საზღვართან. ქელეშ-ბეი კი ამ დროს არანაირად არ გამოხმაურებია ლევან დადიანის მოწოდებას, რის შესახებაც პატივი მაქვს მოვახსენო თქვენს ბრწყინვალებას.
(სცსსა, ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11, ფ.1).

2.ბატონ ინფანტერიის გენერალს, თავად პავლე დიმიტრის ძე ციციანოვს, ბელევსკის მუშკეტერთა პოლკის მეთაურის გენერალ-მაიორ რიკხოფის მოხსენებითი ბარათი, 1805 წლის 29 მარტი:

არ მქონია რა ხელთ ქელეშ-ბეისაგან ლევან დადიანის მოწოდებაზე გამოხმაურება, გუშინ მივედი მის სამფლობელოში და ნამუადღევის 5 საათზე მივადექი გრენადერთა სამი ასეულით და ორი ექვსფუნტიანი ზარბაზნით ანაკლიის სიმაგრეს. ჩვენს წინ მეოთხედ ვერსზე ზედ გასასვლელთან დაგვხვდა მომცრო ხის სიმაგრე მიწაყრილით. თავიდან მოვითხოვე ნებაყოფლობით დამორჩილება, მაგრამ პასუხად მივიღე, რომ ისინი უმჯობესად ჩათვლიდნენ ყველა ერთად მომკვდარიყო, ვიდრე დამნებდებოდნენ. ზარბაზნების რამდენიმე გასროლის შემდეგ, სირბილით მივედით თვით სიმაღლემდე და შტურმით ავიღეთ ის, რითაც მივადექით თავად სიმაგრეს. მაგრამ სიმაგრის უფროსი აჯი-ალი მუსალიმი ზარბაზნის რამდენიმე გასროლის შემდეგ იძულებული გახდა დაგვმორჩილებოდა და მაშინვე გამოცხადდა ჩვენთან. შეტაკება გაგრძელდა არაუმეტეს ორიოდნახევარი საათისა, ჩვენი მხრიდან მოკლული იქნა ერთი რიგითი, 5 ადამიანი დაიჭრა. ამ სიმაგრეს სამი მხრიდან აკრავს ქვის კედელი 4 კოშკით. მეოთხე მხრიდან სიმაგრის საზღვარს მიუყვება საკმაოდ ფართო მდინარე ენგური, რომლის ნაპირიც გამაგრებულია ხის ნაგებობებით და ხიმინჯებით. დაკავების შემდეგ იქ აღმოჩნდა ზარბაზნები: თუჯის 3 დიდი, სპილენძის 3 პატარა, 54 დიდი ზარბაზანი, პატარა 151, 2,5 კასრი თოფისწამალი, 19 ადამიანი, დანარჩენი მეომრები ჩვენი მოლაპარაკებისას გადავიდნენ მდინარის მეორე ნაპირზე, აფხაზეთში, თან გადაიყვანეს მკვდრები და დაჭრილები, რომლებიც არც ისე ცოტა ჰყავდათ და რომლის ზუსტი ციფრი მე არ ვიცი, რომ გიპატაკოთ, თქვენო უბრწყინვალესობავ. თუ ქელეშ-ბეი დაკარგავს ამ სიმაგრეს, იგი სასწრაფოდ გადავცეთ ლევან დადიანს. ამაში დარწმუნებულია ციხის უფროსი აჯი-ალიც, თუ ის მის დაბრუნებას შეეცდება, მაშინ მზად ვარ შევიდე მის სამფლობელოში და ახლო სოფლები მოვაოხრო. თუ ამის შემდეგაც არ შეწყვეტს წინააღმდეგობას, მაშინ ამას არ დავუჯერდები და მის მთავარ ციხეს – სოხუმში შევუტევ. არ შემიძლია თქვენს ბრწყინვალებას არ ვაუწყო, რამდენად ძნელია ამ ადგილებში ჯარის მოძრაობა. გზა არსად არაა, თუ თავად შენი ხალხით არ გაჩეხავ და გაწმენდ, არტილერია მოძრაობს საზიდრებით და მრავალ ადგილზე 5 ვერსტის მეტად წინ წაწევა შეუძლებელია. უძნელესია მდინარეებზე გადასვლა, ისინი ბევრია აქ, ახლა კი წყლები ადიდებულია და ნაპირებიდან გადმოსული. რაც შეეხება სურსათის შევსებას, მას სამეგრელოს მოსახლეობიდან ველით, თუმცა ისინი თავის დროზე აღარ იძლევიან, ამის გამო უკვე ორი დღეა ჯარისკაცებს არფერი უჭამიათ, ამიტომ ახლა ანაკლიაში იძულებული ვართ ვიდგეთ და ველოდოთ სურსათს...

მეოთხე საზღვაო პოლკი ხობისწყლის ნაპირიდან, რომელიც ანაკლიიდან 20 ვერსტზე მდებარეობს, წამოვიყვანე ანაკლიაში, თუ საჭირო გახდება მას აფხაზეთში შევიყვან, ერთ როტას კი აქ დავტოვებ ისევე, როგორც 30 კაცი და ერთი ოფიცერი დავტოვე რუხის ციხეში, აფხაზეთის საზღვარზე.
გენერალ-მაიორი რიკხოფი.
(სცსსა, ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11, ფ.2-3).

3.ბატონ ინფანტერიის გენერალს, თავად პავლე დიმიტრის ძე ციციანოვს, ბელევსკის მუშკეტერთა პოლკის მეთაურის გენერალ-მაიორ რიკხოფის მოხსენებითი ბარათი, 1805 წლის 3 აპრილი:

პატივი მაქვს გიპატაკოთ თქვენო ბრწყინვალებავ, რომ გუშინ, საღამოს 10 საათზე ქელეშ-ბეიმ ლევან დადიანს აცნობა, რომ სამხედრო მოქმედებას წყვეტს. ველოდები თქვენი ბრწყინვალების ნებართვას ჩემგან გასული მარტის 29 რიცხვის მოწერილობის თანახმად მისთვის ანაკლიის ციხე-სიმაგრის გადაცემის შესახებ.
გენერალ-მაიორი რიკხოფი
(სცსსა, ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11, ფ.4).

4.საფარ-ბეი შერვაშიძის წერილი პავლე დიმიტრის ძე ციციანოვისადმი, 1806 წლის 24 იანვარი.

ვიმყოფებით რა ძველთაგანვე ნათესაურ კავშირში თავად შერვაშიძეებთან, რომლებიც არიან სამურზაყანოს მფლობელნი, შევიტყვეთ რა ბედნიერება ეწვიათ მათ რუსეთის იმპერატორის მფარველობის სახით. გვსურს, ჩვენც გავიზიაროთ მათი ხვედრი, რის გამოც გადავწყვიტეთ, მთელი ჩვენი სამფლობელოებით, გავხდეთ რუსეთის იმპერატორის სამუდამო ქვეშევრდომნი, რისთვისაც მივმართეთ სამეგრელოში მყოფ ნამდვილ სახელმწიფო მრჩეველს, ბატონ ლიტვინოვს. მან კი გვიპასუხა, რომ თხოვნა თქვენი ბრწყინვალების სახელზე უნდა დაგვეწერა. დიდი სიხარულით ვასრულებთ ამ მითითებას და მივმართავთ თქვენ ბრწყინვალებას მფარველობისათვის, რათა თქვენი შუამდგომლობით, მივიღოთ უზენაესი წყალობა. ამასთან ვადასტურებთ, რომ ამ გმირობას ჩავდივართ საკუთარი კეთილი ნებით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ჩვენი და ჩვენ ქვეშევრდომთა ბედნიერი მომავლის მოლოდინით, ჩვენ არავიზე არ ვყოფილვართ და არც ახლა ვართ დამოკიდებული, გარდა იმისა, რომ ნათესაური კავშირით ვემორჩილებოდით ქელეშ-ბეის, ახლა კი დაბეჯითებით გთხოვთ, ნება დაგვრთოთ, მივიღოთ ფიცი რუსეთის იმპერატორის სამუდამო ქვეშევრდომობაზე.
ველით თქვენი ბრწყინვალების პასუხს, ჩვენთვის და ჩვენი ხალხისთვის ამ შეუფასებელი წყალობის მოლოდინით
(სცსსა, ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11, ფ.6).

5.ივან ლიტვინოვის მოხსენებითი ბარათი პავლე დიმიტრის ძე ციციანოვისადმი.

გვქონდა პატივი მიგვეღო თქვენი ბრწყინვალების წერილი #970 ბრძანებით და სადაც საჭირო იყო იქ გადაგვეგზავნა. მეფემ ჩემ მიერ გაგზავნილი შიკრიკი პასუხის გარეშე დააბრუნა.
ამ დღეებში მანუჩარ შერვაშიძემ გამომიგზავნა შეტყობინება, რომ მისი ნათესავ საფარ-ბეის, მრავალრიცხოვან მთიელ თავადებთან ერთად, რომელთა სამფლობელოებიც დიდ ყაბარდოს ესაზღვრება, სურთ გახდნენ მეუფე იმპერატორის ქვეშევრდომები და ითხოვეს ნება მიეცეთ, ჩემი თანდასწრებით მიიღონ ფიცი, რაზეც მე ვუპასუხე, რომ საფარ-ბეი და მისი უმცროსი ძმები ქელეშ-ბეის მეურვეობის ქვეშ იმყოფებიან, რის გამოც ამ პროცედურის ჩატარება თქვენი ბრწყინვალების ნებართვისა და წერილობითი თხოვნის გარეშე არ შემიძლია. ამის შემდეგ საფარ-ბეიმ თავისი უპირველესი თავადი მარშანია ჩემთან გამოგზავნა სპეციალური წერილით, სადაც უფლებას მაძლევს, მისი სახელით მოგწეროთ მისივე თხოვნის შესახებ. ამის დასადასტურებლად საკუთარი ბეჭედი ანდო თავის გამოგზავნილ თავადს. დიდი პატივისცემით წარმოვუდგენ მის თხოვნას თქვენ ბრწყინვალებას. მარშანიამ სიტყვიერად დაამატა, რომ თავად მარშანიებს შეუძლიათ გამოიყვანონ ორი ათასი შეიარაღებული ადამიანი. რომ მათი გვარის მეთაურებს - თადარუხა, ბესლან, ხიტო, ზურაბ, ორს დაილათუკოელებს, ქიროზს, სოლომონ, მათერბ, სალაბეიკ, უჩმანან, თლაბსი, მისოუსტ, ყურუგვა,

მათირ, აგმეთი, დაილამ მურზა, ასლან-ბეკ და ჩეპიაკ მარშანიებს, სურთ დაემორჩლონ მას, ვისაც საფარ-ბეი აირჩევს და ითხოვენ აღდგენილ იქნეს მათ შორის ქრისტიანობა, როგორც ადრიდანვე ყოფილა. მორჩილების ნიშნად, ისინი მზად არიან საკუთარი მიწებიდან გაყაროს მათთან მთებში გადასახლებული რუსეთის იმპერატორის დაუმორჩილებელი მეამბოხე ყაბარდოელები, რომლებიც გასულ წელს აჯანყდნენ, ან შეეცადონ მათ შეპყრობას, თუკი იმპერატორის ბრძანება იქნება. ამ მთიელთა გულწრფელობაში დარწმუნებულები რომ ვიყოთ, ყაბარდოელები მიხვდებოდნენ, რომ მორჩილების გარდა, აღარაფერი დარჩენიათ.

ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი ლიტვინოვი. 5 თებერვალი, 1805 წელი, ქუთაისი.

(სცსსა, ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11, ფ.7).

<u>6.ქელეშ-ბეის მოხსენება სამეგრელოს დედოფალს ნინო ბაგრატიონ-დადიანს, 20 მაისი, 1806 წელი.</u>

ესე მტკიცე ხელისწერილი მოგართვი თქვენ, ბატონს საქართველოს მეფის ასულს დედოფალს ნინოს და თქვენს ძეს დადიანს ლევანს, მე შარვაშიძე ქელეშ-ახმად-ბეგმან, – ასე რომ თქვენსა და ჩვენს შუა ცუდის კაცის ენით გულ-ძვიროზა მოხდა და შეგულძვირებული ვიყავით და ისევ გარიგება ვინებეთ, ღენერალ-მაიორის რიქხოფისა და უფლის პოდპოლკოვნიკის ტარასოვის შუამავლობით გავრიგდით, ასე რომ თქვენ თუ ჩვენს დასამდაბლებელს საქმეშიდ არ შეხვიდეთ, ჩვენ შენი კარგის მდომნი ვიქმნეთ და თქვენს საზიანოსა და დასამდაბლებელს საქმეშიდ არ შევიდე და არც შემეძლოს; შენი კარგის მდომი ვიქმნე და შენი მტრის მტერი ვიქმნე, მოყვარისა მოყვარე ვიქმნე. არის ამისი მოწამე ღენერალი რიქხოფი, პოდპოლკოვნიკი ტარასოვი, თავადი პორუთჩიკი სტეფანე მელიქის-ძე, თავადი პრაპორჩიკი ადილ-ბეგ. თუ ამ წერილზედ გარდავხდე და გავმტყუნდე, ღენერალ-მაიორმა რიქხოფმა მოიკითხოს როგორც რიგი არის და იმისი ჰასუხის გამცემი მე ვიყო, მაისის კ. დღესა ჩყე წელსა, ციხესა ანაკლიასა

(კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები, ტ. III, გვ. 190).

<u>7.გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვის წერილი ჰასან-ბეგ კოლუმბეკ შერვაშიძეს, 1819 წლის 9 დეკემბერი.</u>

თქვენი წერილი მივიღე ქუთაისელი მოქალაქის იაკობ ლაჭინოვის ხელით. მწერთ, რომ გემი, სახელწოდებით, რაფაელი, რომელიც დატვირთული იყო სახელმწიფო პროდუქტით და ყირიმიდან სამეგრელოს ნაპირებისაკენ მოცურავდა, უნდა ვივარაუდოთ, ზღვაში დაიღუპა, მასზე მყოფ ადამიანებთან ერთად. ის არ დაუპყრიათ ზღვისპირა ყაჩაღებს, რომლებიც ჩადენილ ძარცვას არასოდეს მალავენ და ასე რომ მომხდარიყო, თქვენ ამის შესახებ მაშინვე შეიტყობდით. ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია მადლობა გადაგიხადოთ და გამოვხატო მადლიერება ამ შეტყობინებისათვის და იმ გარჯისათვის, რომელიც სახელმწიფოს დავალების შესასრულებლად გასწიეთ უგზო-უკვლოდ დაკარგული ამ გემის კვალის საპოვნელად. თუმცა, რაკი ჯერ კიდევ დაბეჯითებით არ არის ცნობილი, ნამდვილად ზღვაში დაიღუპა ზემოთნახსენები ხომალდი, თუ თქვენი სანაპიროებიდან შორს, სხვა ზღვისპირა ბანდიტების ხელში ჩავარდა, თქვენს ბრწყინვალებას მოვმართავ უმორჩილესი თხოვნით, ყველანირად ეცადოთ იმის გაგება, ზუსტად რომელ ადგილას დაიღუპა გემი, მთელი თავისი ეკიპაჟით, ან იქნებ, სადმე ნაპირზე გადაყარეს ეს ხალხი, თქვენი უბრწყინვალესი ძმის, გიორგი შარვაშიძის სამფლობელოებიდან შორს. თუ ეს მეორე ვარუდი დამტკიცდა, მაშინ შეეცადეთ დაადგინოთ რუსეთის ოფიცრებისა და მეზღვაურების ადგილსამყოფელი და იპოვოთ საშუალება მათ გასათავისუფლებლად, გამოსასყიდის ან სხვა საშუალებით, როგორც უმჯობესად მიიჩნევთ. თქვენი შრომა და მონდომება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მან ნაყოფიც გამოიღო, ხელმძღვანელობის მიერ დაფასდება და უეჭველად, დიდ ჯილდოსაც მიიღებთ. მანამდე, ზემოთდასახელებული ლაჭინოვის ხელით გიგზავნით მცირე საჩუქარს, რომელიც შედგება ბრილიანტისთვლიანი ბეჭდის, სახიფათე მაუდის და ფარჩის ქსოვილისაგან. ეს ყოველივე, გთხოვთ მიიღოთ, ჩემი თქვენდამი განსაკუთრებული მადლიერების ნიშნად. ვსარგებლობ რა თქვენ მიერ გამოგზავნილი ზემოთნახსენები შიკრიკით, რომელიც ჩემგან ასევე ღირსეულად იქნა დასაჩუქრებული, სიამოვნებით გიდასტურებთ თქვენდამი ჩემ განსაკუთრებულ პატივისცემას

(სცსსა, ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11, ფ.8).

8.გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვის წერილი აფხაზეთის მმართველს თამარ დადიან-შერვაშიძეს, 1821 წელი.

მოწყალეო ქალბატონო!
თქვენი უგანათლებულესობის ორ წერილზე, რომლებიც ჩემამდე თავად მარშანიას ხელით მოვიდა, მაქვს პატივი, გიპასუხოთ:
უზენაესი მფარველობა და წყალობა, რომლითაც თქვენი მეუღლე სარგებლობდა უმოწყალესი მონარქის მხრიდან, არც ამის შემდეგ მოაკლდება თქვენს დაურღვეველ და უგანათლებულეს ოჯახს. ოდნავადაც არ იღელვოთ, თქვენო უგანათლებულესობავ, თქვენი აწინდელი მდგომარეობის გამო. ნუგეშად გქონდეთ მტკიცე იმედი ღვთის მოწყალებისა და ხელმწიფე-იმპერატორის მფარველობისა. არ იფიქროთ, რომ ვინმე გაბედავს შეავიწროვოს თქვენი უგანათლებულესობის მმართველობა აფხაზეთში მაშინ, როდესაც გიცავთ რუსეთის სამხედრო ძალა, მუდამ მზადმყოფი თქვენი ხელისუფლების განსამტკიცებლად. კიდევ უფრო ნაკლებად გეშინოდეთ სავარუდო უსიამოვნებებისა, თქვენი მაზლის, ჰასან-ბეის დაპატიმრების გამო. ამის საპირისპიროდ, ყველანაირად ცანით რუსეთის მთავრობის გამორჩეული მზრუნველობა, თქვენთვის რუსული მმართველობის განსაკუთრებული სარგებლიანობა, ყველაზე საიმედო საშუალებაა თქვენი ნებისმიერი შეწუხებისაგან დასაცავად. არ გეგონოთ, თქვენო უგანათლებულესობავ, რომ ჰასან-ბეი დაპატიმრებული იქნა თქვენი მეუღლის გარდაცვალების მიზეზით მომხდარი არეულობისა და რამდენიმე რუსი ჯარისკაცის დაღუპვის გამო. ზუსტად ვიცი, რომ ამ მცირე ინციდენტში იგი არ მონაწილეობდა. მეტიც, საერთოდ არ იმყოფებოდა იმ არემარეზე. მაგრამ მისი არაკეთილმოსურნე მოქცევა ჯერ კიდევ სიცოცხლეში თქვენი მეუღლისა, რომელმაც არაერთხელ დაიჩივლა რუსულ ხელისუფლებასთან, რომ ძმა არ ემორჩილებოდა, მისი ხელისუფლებისმოყვარეობა გახდა მიზეზი თქვენი უკმაყოფილო ნათესავის დაკავებისა, რადგან მისი პატივმოყვარეობა საშიში თვისებაა აფხაზი ხალხის სიმშვიდისათვის, შეუძლია გამოიწვიოს სხვა არეულობები და შეარყიოს მისი პირადი კეთილდღეობაც. ამაში კიდევ უფრო მეტად შეეძლო დაერწმუნებიეთ ადრინდელ გამოცდილებასაც, თქვენი მაზლის მეამბოხურ, თქვენი ქმრისა და თქვენი ბრწყინვალე სახლობის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებებს, განსხვავებულ სარწმუნოებას, რაც მუსულმანებს ქრისტიანების სიძულვილსა და დაუმორჩილებლობას შთააგონებს. სწორედ ამიტომ, თქვენო უგანათლებულესობავ, მთელი თქვენი დიდსულოვნების, მოყვასისადმი ქრისტიანული თანალმობის პატივისცემის მიუხედავად, იძულებული ვარ, გირჩიოთ, არ იშუამდგომლოთ ჰასან-ბეის გათავისუფლება, პირიქით, ისურვეთ, რაც შეიძლება მოშორებული იქნას იგი აფხაზეთის მიწებიდან. თქვენივე სიმშვიდე და თქვენი ვაჟის სარგებელი დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, რამდენად განმტკიცდება და გაძლიერდება ქრისტიანული რწმენა თქვენდამი დაქვემდებარებულ მიწებზე. მოკლედ, ჰასან-ბეის ბედზე ოდნავადაც ნუ იშფოთებთ და ენდეთ ჩემს პატიოსან სიტყვას, რომ ის საკუთარ მოლოდინზე უფრო ბედნიერი იქნება და მონარქთა შორის უსულგრძელესის წყალობა არ მოაკლდება.
რაც შეეხება თქვენი უგანათლებულესობის მეორე თხოვნას, ვიშუამდგომლოთ ხელმწიფე იმპერატორთან აფხაზეთში თქვენი ვაჟის დიმიტრის დაბრუნების შესახებ, რადგან ის იმყოფება სანქტ-პეტერბურგში, სადაც ამჟამად სამსახურებრივი საქმეებით იმყოფება მისი მაღალმოტივებულესობა, საქართველოს მთავარმმართებელი ალექსანდრე პეტრეს ძე ერმოლოვიც, არ დავაყოვნე მისთვის ამის შესახებ მეცნობებინა, რათა თავად მან გასცეს განკარგულება ამასთან დაკავშირებით.
დაბოლოს, წარსულში თქვენი განსვენებული მეუღლისათვის კუთვნილი ჯამაგირის გათვალისწინებით, კმაყოფილებით ვაცნობებ თქვენს უგანათლებულესობას, რომ ჯერ კიდევ თქვენი გამოგზავნილი თავადი მარშანიას ჩამოსვლამდე, მთელი თქვენი კუთვნილი თანხა ხელისუფლებამ გამოუგზავნა იმერეთის მმართველს, გენერალ-მაიორს თავად გორჩაკოვს, რომელიც პირადად მოგართმევთ საკუთარ ხელში. ამასთან, ღმერთს ვთხოვ, არ მოაკლდეს თქვენს ბრწყინვალებას სიმშვიდე და ნუგეში. მაქვს პატივი, ვიყო გულწრფელად თქვენი პატივისმცემელი და სრულიად ერთგული.ივან ველიამინოვი.
(სცსსა, ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11, ფ.9-10).

9.აფხაზეთის მმართველის თამარ დადიან-შერვაშიძის წერილი გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვისადმი, 14 მარტი, 1821 წელი.

თქვენთვისაც ცნობილია, რომ ჩემმა განსვენებულმა მეუღლემ, გენერალ-მაიორმა და კავალერმა გიორგი შერვაშიძემ, თავის სიცოცხლეშივე საკუთარი თავი, ოჯახი, ძმები და სამფლობელოები გადასცა ჩვენს ხელმწიფეს და ამჟამად ჩვენ, ვინც ცოცხლები დავრჩით, მადლიერი ვიქნებით,

თუკი გვარჩენს. როდესაც განსვენებული ზემოთხსენებული გიორგი შერვაშიძე სიკვდილის პირას იყო, მან მოიხმო თავისი უმცროსი ძმა ჰასან-ბეი და უთხრა: მე ვკვდები და ჩემი ცოლი შენთვის დედაც არის და რძალიც, რადგან მისი ძუძუთი ხარ ნაკვები. უკვე აღარ არის საჭირო შენ ჩაგაბარო ჩემს ცოლსა და შვილებზე ზრუნვა. თუ საკუთარი თავისთვისაც სიკეთე გინდა და ჩემი ქვრივისა და ობლებისთვისაც, ემსახურე ერთგულად სოხუმის სიმაგრეში მდგომ ჩემი ხელმწიფის ჯარებს; თუ რომელიმე აფხაზი მის საწინააღმდეგო საქციელს ჩაიდენს, იგი სოხუმის კომენდანტს გადაეცი, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე გაგირთულდება, ასე მოიქეცი და ჩემ დანაბარებს ნუ გადაუხვევ. სწორედ ასე უთხრა სიკვდილის წინ ჩემმა ქმარმა. მაგრამ როგორც კი ის გარდაიცვალა, ბოროტმა ადამიანებმა სიავე ჩაიდინეს და სახელმწიფოს მსახური ჯარისკაცები დახოცეს, ქმრის დამარხვაც კი არ მაცალეს. იმ დროს ჰასან-ბეი ზუჯში (იგივე ლიხნი – ავტორი) იმყოფებოდა და ძმას გლოვობდა. ამის შემდეგ ეს უბედურებაც მოხდა.

როდესაც საკუთარ სახლში მიდიოდა, ზუჯელებს დაავალა დახმარებოდნენ იმ ბოროტმოქმედის მოძებნასა და სოხუმის კომენდანტისთვის გადაცემაში. მაგრამ სახლში დაბრუნებული ძალიან ავად გახდა, სიკვდილის პირას იყო და განზრახვა შეუსრულებელი დარჩა. ჩემი ნათქვამის სიმართლის შესამოწმებლად შეგიძლიათ ჰკითხოთ სოხუმის კომენდანტს, ის მოგახსენებთ. როდესაც ჰასან-ბეი უკეთესად შეიქნა და ბოროტმოქმედების დაჭერა მოინდომა, მაშინ სოხუმის კომენდანტმა თვითონ ის დააპატიმრა. ასე რომ, საქმე კვლავ შეუსრულებელი დარჩა. თუ თქვენ ჩემი და ჩემი მიწების შენარჩუნება და არა დაკარგვა გინდათ, ახლა მივხვდები: დაგვითმეთ ჰასან-ბეი მე და ჩემ სამფლობელოს, ყველანი, დიდი და მცირე, გთხოვთ, აპატიოთ ჰასან-ბეის, თუ რამე დაუშავებია ოდესმე; გვიბრძანეთ და მას შევინახავთ რუსეთის კანონების სრული დაცვით, თუ კიდევ რამეში იქნება შემჩნეული, მიბრძანეთ და ისე მოვიქცევი, რა განკარგულებასაც თქვენგან მივიღებ, ახლა კი ყველაფერი აპატიეთ. აფხაზეთი დამითმობს ჰასან-ბეის, რადგან თუ არ ნახავენ რომ პატივს მცემთ, მეც დამკარგავთ და აფხაზეთსაც. მთელ აფხაზეთში ლუკმა პურს არავინ მომაწვდის, არც კაცი იციან და არც ღმერთი, ტყის ხალხია. გთხოვთ, ყურად იღოთ ჩემი ვედრება. ჩემ სათქმელს და აფხაზეთის ვითარებას ჩემი ერთგული თავადი მარშანია გადმოგცემთ.

ვრჩები თქვენი ერთგული და მორჩილი მოწყალეო ხელმწიფევ.

(სცსსა, ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11, ფ.11).

10.კავალერიის გენერალ-ლეიტენანტის ველიამინოვის მოხსენებითი ბარათი გენერალ გორჩაკოვისადმი, 22 მარტი, 1821წელი.

გუშინ, მთავრის მეუღლე თამარისაგან, შიკრიკის, აფხაზი თავადის კაცო მარშანიას ხელით მივიღე თქვენი აღმატებულებისათვის და ჩემთვის გამოგზავნილი წერილები. ასევე, ორი რაპორტი მაიორ მაშლიანსკისაგან, ერთი მათგანი თქვენ სახელზეა. ორივეს, თქვენ სახელზე გამოგზავნილ წერილსაც და რაპორტსაც ჩემს მიერ ნიშანი ადევს.

მაიორის თითოეულ რაპორტში არსებული წინააღმდეგობრიობა, თავიდანვე მაეჭვებდა, რომ მას ჩემთვის უცნობი პირადი მიზეზები უფრო ამოძრავებს, ვიდრე სამსახურის სარგებელი. პირველ რაპორტში გვაცნობებდა საყოველთაო უკმაყოფილების შესახებ, რომელშიც ჰასან ბეიც მონაწილეობდა ითხოვდა კნიაგინია თამარას ჯარისთვის დახმარებას. შემდეგში კი გამოირკვა, რომ რომ მის მიერ აღწერილი უკმაყოფილება, სხვა არაფერი იყო, გარდა ერთი ჩვეულებრივი მტაცებელთა თავდასხმისა. მიუხედავად ჰასან-ბეის დაპატიმრებისა, იქ დღემდე სიმშვიდეა გამეფებული. თავად ჰასან-ბეი, მტაცებელთა თავდასხმის დროს იქ არ ყოფილა, რადგან ძმის დაკრძალვაზე იმყოფებოდა. კნიაგინია თამარასაც საფრთხე არასოდეს დამუქრებია. ამჯერად კი გვაუწყებს, რომ კნიაგინია თამარა იძულებულია ჰასან-ბეის გათავისუფლება გვთხოვოს, მაშინ როცა, ის ძმისწულისათვის მიწერილ წერილში წერს, რომ თუ ჰასან-ბეის არ გაათავისუფლებენ, ის აფხაზეთში ვეღარ იცხოვრებს და თხოვს, უარის მიღების შემთხვევაში, ძმისწულმა ის სამეგრელოში წაიყვანოს. ახალი წინააღმდეგობა გ. მოშლიანსკის რაპორტში. ამის შემდეგ, თქვენო აღმატებულებავ, უეჭველად დამეთანხმებით, რომ გ. მოშლიანსკი, სულ ცოტა, წინდაუხედაობაში მაინც არის დამნაშავე.

ახლა კი მოგიყვებით იმაზე, რაც მოხდა. ჰასან-ბეი დაპატიმრებულია და სოხუმში იმყოფება, რადგან მოშლიანსკიმ ის დაცვით არ გააგზავნა. ჩვენ ორი საშუალებაღა დაგვრჩენია. პირველი: შევასრულოთ ხალხის საერთო თხოვნა და გავათავისუფლოთ ჰასან-ბეი; მეორე: აფხაზეთში ჯარით შევიდეთ.

ჰასან-ბეის გათავისუფლება მთავრობისათვის შესაძლებლად მიმაჩნია, სისუსტეს არ ვაჩვენებთ, თუკი გამოძიება ჩატარდება, რომლის შედეგადაც ის უდანაშაულო აღმოჩნდება და თავდასხმაში

მისი მონაწილეობა არ დამტკიცდება; ვალდებული გახდება, მხარის სიმშვიდის დამრღვევი მტაცებლები რუსულ ხელისუფლებას გადმოსცეს.
მეორე საშუალებაც არის. დამეთანხმება თქვენი აღმატებულება, თუკი უკმაყოფილება საყოველთაო იქნება, 1000 ადამიანზე ნაკლების გაგზავნა შეუძლებელი გახდება და აქედან გამომდინარე, უნდა დაველოდოთ სანამ საკმარის საშუალებებს შევაგროვებთ. ასეთ შემთხვევაში, ნამდვილად შევძლებთ რამდენიმე სოფლის გადაწვას და მცხოვრებლების ტყეებში გარეკვას, მაგრამ ამით მღელვარება არ მოისპობა, თუ თუნდაც მცირერიცხოვან ჯარს მაინც ადგილზე არ დავტოვებთ საკმაო დროის განმავლობაში. მხოლოდ სოხუმის გარნიზონი, ციხე-სიმაგრის გარეთ ვერაფერს გახდება.
ეს ორივე საშუალება თქვენი აღმატებულების ხელშია, რადგან ისეთი თადარიგი დავიჭირე, ორი კვირის განმავლობაში მაინც, სანამ სამეგრელოს ბატალიონი აქამდე მოაღწევს, აფხაზეთში სიწყნარე შენარჩუნდება. ამ მიზეზით თქვენ აღმატებულებასთან ტფილისში სასწრაფოდ ვაგზავნი ჩემთან მოსულ აფხაზებს, კნიაგინია თამარას კი ვატყობინებ, დაარწმუნოს ხალხი, თქვენ პასუხს დაელოდონ, რადგან მხოლოდ მე მის თხოვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება არ შემიძლია, მისგან გამოგზავნილ აფხაზებს კი ტფილისში ჩასვლა-ჩამოსვლისათვის ორი კვირა მაინც ესჭიროებათ.
ჰასან-ბეის შესახებ კი ვეტყვი, რომ თქვენი ნებართვის მიღებამდე, ის სოხუმს ვერ დატოვებს.
უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, დააჩქაროთ გადაწყვეტილების მიღება. იმედი მაქვს გურიის საქმეებს მალე მოვამთავრებ და პირადად გავემგზავრები სოხუმში. თუკი გ. მოშლიანსკის დანაშაული დადასტურდება, მაშინ ციხე-სიმაგრისა და ბატალიონის მეთაურობიდან გავათავისუფლებ (სცსსა, ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11, ფ.12-13).

11.კავალერიის გენერალ-ლეიტენანტის ველიამინოვის მოხსენებითი ბარათი გენერალ გორჩაკოვისადმი, 28 მარტი, 1821წელი.

ძალიან სამწუხაროა ჩემთვის მაიორ მოშლიანსკის უსაფუძვლო ქმედებები და ჰასან ბეის უდროო დაპატიმრება. გურიაში საქმეების დასრულების შემდეგ თქვენი ბრწყინვალება ძალიან კარგს იზამს, თუ წავა სოხუმ-კალეში და გამოიკვლევს მაიორ მოშლიანსკის ნამოქმედარს. თუკი ნახავთ, რომ მისი ქმედებები ნამდვილად მის პირად შეხედულებებს ემყარება, მაშინვე გაათავისუფლეთ იგი სამსახურიდან; მაგრამ თუ ეს მხოლოდ წინდაუხედაობის გამო მოუვიდა, მაშინ სხვაგვარად დასაჯეთ, თქვენი შეხედულებისამებრ, რადგან გონიერი და ერთგული შტაბ-ოფიცრების სიმცირის გამო, მისი შეცვლა ძალიან გაჭირდება.
რაც შეეხება ჰასან ბეის გათავისუფლებას, ამაზე დათანხმება არაფრით არ შემიძლია, რადგან ამის შედეგად, აფხაზეთში არათუ სიწყნარე დაისადგურებს, არამედ საყოველთაო მღელვარება კიდევ უფრო გაიზრდება. ყველაზე დიდებული ამანათიც კი ამას ვერ აგვაცილებს. რადგან ჰასან ბეი დარწმუნებულია, რომ მათ არაფერი ემუქრებათ ციხე-სიმაგრეში ჩამწყვდევის გარდა. პირიქით, ჩემი ვარაუდით, ჰასან ბეის ჩვენ ხელში ყოფნა აფხაზეთის თავადების სიმშვიდის თავდებია. რადგან იმათ შეეშინდებათ, რომ აჯანყება ჩვენ მიერ ჰასან ბეის მოკვლას გამოიწვევს.ესეც არ იყოს, ჰასან ბეი ერთგულია თურქეთის ხელისუფლებისა, რომელსაც მისი საშუალებით შეუძლია საიდუმლოდ იმოქმედოს, ამიტომაც კი მისი აფხაზეთიდან მოშორება ძალიან სასარგებლოა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მისი გათავისუფლება შეუძლებლად მიმაჩნია. განკარგულება გაეცით მისი ქუთაისში გადაყვანის შესახებ, საიდანაც მოხდება მისი შემდგომი გაცილება. კნიაგინია თამარს მიეცით თავშესაფარი ციხე-სიმაგრეში და დაარწმუნეთ, რომ ხელისუფლების მფარველობით, თუმცა კი თავდაპირველად ბოროტმოქმედებისგან ცოტაოდენი დაზარალდა, ამის შემდეგ არაფერი გაუჭირდება და დაჯილდოვებულიც იქნება. აფხაზეთი სრულიად დაწყნარებული არასოდეს ყოფილა, არც ჰასან ბეის ემორჩილებოდა სრულად და ძარცვა და ყაჩაღობა მის დაპატიმრებამდეც იყო. აქედან გამომდინარე, თუ ახლაც მოხდება საყოველთაო ბუნტი, მისი შედეგები ჩვენთვის მაინცადამაინც მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს. სოხუმის სიმაგრის აღებას, თურქების დახმარების გარეშე, ისინი ვერ მოახერხებენ. მაიორი მოშლიანსკი ვალდებულია ის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვას, რის შესახებაც ამ წერილის თანმხლებ მისდამი გამოგზავნილ განკარგულებაში იხილავთ. ამასთან, თუ საჭიროებამ მოითხოვა, აფხაზეთში გააგზავნეთ ორი, დიდი-დიდი, სამი როტა, მათთან ერთად, თუ საჭიროა, ოთხი ქვემეხიც, რომლებმაც უნდა იმოქმედონ ჩემი ადრინდელი განკარგულების მიხედვით: სიმაგრის ყველა მხრიდან არაუმეტეს ორი გადასასვლელის მანძილისა, თუ შესაძლებელია, უფრო ნაკლებისაც.
ჩვენი ქვემეხების პირველივე წარმატება, რაშიც ეჭვი არ მეპარება, ყველას დააწყნარებს და მორჩილებას აიძულებს. ამას გარდა, გთხოვთ, იმოქმედოთ ჩვენი ერთგული თავადების მეშვეობით, რომლებიც

რა თქმა უნდა გონივრულად იმოქმედებენ და არ მოითმენენ იმერეთის და გურიის აჯანყებულთა მსგავს მოქმედებას აფხაზეთში.
თუნდაც სწრაფად ვერ მოხერხდეს მათი დაშოშმინება, შესაძლებელია, რამდენიმე ხნის მანძილზე, იქ დავტოვოთ შეყვანილი ჯარები და უზრუნველვყოთ ის საკვებით ზღვიდან. ერთი სიტყვით, მთავრობისათვის გაცილებით ხელსაყრელია მთელი აფხაზეთის აჯანყება, ვიდრე ჰასან ბეის გათავისუფლება, რომელიც, როგორც მუსულმანი და თურქეთის ხელისუფლების მხრიდან დიდად დაფასებული, ჩვენთვის ძალიან სახიფათოა. ასე რომ, თუკი მოხდება საყოველთაო ამბოხება, დარწმუნებული ვარ, თქვენი ბრწყინვალება ჩემთვის კარგად ცნობილი თქვენი გამბედაობისა და გონიერების წყალობით, ჩააქრობს მას და ყველაფერს ჩვენ სასარგებლოდ მომართავს.
ხელნაწერი სწორია: პოდპორუჩიკი სუმბათოვი.
(სცსსა, ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11, ფ.12-13).

12.ველიამინოვის წერილი სოხუმის კომენდანტს, კავალერიის მაიორს მოშლიანსკის, 1821 წლის 28 მარტი

თქვენგან მიღებული 13 მარტის მოხსენების შემდეგ, რომელიც ჰასან ბეის დაპატიმრებას ეხებოდა, არ შემიძლია არ შევნიშნო, რომ ამ შემთხვევაში ძალიან არაგონივრულად მოიქცით. ჩემი განკარგულება მისი დაჭერის თაობაზე მოჰყვა თქვენ რაპორტს აფხაზეთში საყოველთაო მღელვარების შესახებ, რომელშიც, შეუძლებელია, მას მონაწილეობა არ მიეღო. თქვენ მეორე რაპორტს, სადაც წერდით, რომ არ ყოფილა საყოველთაო აჯანყება, არამედ მხოლოდ ჩვეულებრივი მტაცებელთა თავდასხმა, ჩემს მიერ მიწერილი ჰქონდა, იმ მხარის მეთაურის, გენერალ-მაიორის, თავად გორჩაკოვის მეშვეობით, რომ თავად ჰასან-ბეის დაჭერა გადადებულიყო. და თუმცა, ჩანს, თქვენ ეს ჩემი უკანასკნელი განკარგულება არ მიგიღიათ, პირველის შესრულებისგან მაინც თავი უნდა შეგეკავებიათ, რადგან ის თქვენ მცდარ მოხსენებას ეფუძნებოდა. თქვენი ჩინისა და წოდებების პატრონს უნდა შეეძლოს კარგად გააანალიზოს და უკიდურესი აუცილებლობის გარეშე, არ მიმართოს ისეთ ზომებს, რომლებსაც შესაძლოა საზიანო შედეგები ჰქონდეს. მით უმეტეს, არ უნდა დაწეროთ უსაფუძვლო რაპორტები და შეტყობინებები. ჰასან ბეის გათავისუფლება შეუძლებელია. ამანათები მას ბუნტისაგან ვერ შეაკავებს. ამიტომ ნება იბოძეთ და სათანადო თანხლებით გააგზავნეთ იგი ქუთაისში, შემდგომ კიდევ უფრო შორს გადაყვანის მიზნით. კნიაგინია თამარს ბოროტმოქმედებისაგან დასაცავად თავშესაფარი მიეცით სიმაგრეში. აფხაზ თავადებს, ჩვენი ერთგული brnხალხის საშუალებით, გამოუცხადეთ, რომ მათ მოქმედებაზე და იმპერატორისადმი ერთგულებაზეა დამოკიდებული დაპატიმრებული ჰასან-ბეის ბედ-იღბალი. მოკლედ, თუნდაც ყველანი აჯანყდნენ, ზარბაზნის გარეშე, სიმაგრის აღებას მაინც ვერ შეძლებენ. და თუ ამას მაინც შეეცდებიან, გავლებთ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვათ სიმაგრე. სხვაგვარად მოქმედება არ შეგიძლიათ. ჯარი მოგეხმარებათ, როცა ამის შესაძლებლობა მოგვეცემა. მაგრამ უკეთესია მხარეში მორჩილება შეინარჩუნოთ. უნდა შეეცადოთ გამოასწოროთ თქვენი ბევრი, ძალიან მნიშვნელოვანი შეცდომები და ამიერიდან შეეცადოთ საფუძვლიანი მოხსენებები წარმოადგინოთ.
დასასრულს გეტყვით, რომ თქვენი მოხსენებები პირდაპირ ჩემდამი კი არ გააკეთოთ, არამედ იმერეთის მხარის მეთაური გენერლის მეშვეობით, რადგან ეს ეწინააღმდეგება სამსახურსა და დისციპლინას, რომლის დაცვის მაგალითიც თქვენ უნდა იყოთ.
ხელნაწერს ადასტურებს პოდპორუჩიკი სუმბათოვი
(სცსსა, ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11, ფ.14-15).

Some Sources on Abkhazian History (1805–1821)

Dodo Chumburidze

The author publishes translated from Russian to Georgian twelve archival documents with foreword containing description of the political situation in Abkhazia in the relevant epoch. Among the addressants and addressees are Russian officials, as well as representatives of Abkhazian and Georgian political establishement.

სამეცნიერო თარგმანი

ეველინ პატლაჟანის
ბავშვი და მისი მომავალი ბიზანტიურ ოჯახში (IV–XII სს)

რუსუდან ლაბაძე

ფრანგი ბიზანტინისტის ეველინ პატლაჟანის *ბავშვი და მისი მომავალი ბიზანტიურ ოჯახში (IV-XII სს).* გამოქვეყნდა *ისტორიული დემოგრაფიის ანალებში* (*Annales de démographie historique*, 1973. *Enfant et Sociétés.* Paris-La Haye, 1973). წინამდებარე თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით - Evelyne Patlagean, Structure sociale, famille, chrétienté à Byzance. IVe – XIe siècles. – (Collected studies series; CS 134), London, 1981, pp. 85-93.

* * *

მე განვიხილავ უკვე დაბადებულ ბავშვს და მის მდგომარეობას ბიზანტიურ ოჯახში, არა როგორც ემოციური ან პედაგოგიური ურთიერთობების თემას, არამედ როგორც ოჯახური გადაწყვეტილებების საგანს. ეს შესაძლებლობები ბავშვის მომავალს გადარჩენის, უკვდავყოფის, კავშირების გაფართოების, ქონების შენახვისა და დაგროვების მსურველი ჯგუფის ინტერესების შესაბამისად განაგებს. შესაძლებლობები, რომლებიც გადამალვას[1] ან მიტოვებას, აგრეთვე ხელსაყრელ, დროებით ან სამუდამო, გასხვისებას მოიცავს ქორწინებამდე და მონასტრამდე მიდის. ამგვარი შესაძლებლობები ხელს უწყობს არა მარტო ოჯახისა და საზოგადოების დამოკიდებულების დადასტურებას ბავშვის წინაშე, არამედ მათი (ბავშვების, რ.ლ.) ფიზიკური და გონებრივი უნარის შეფასებას, ერთი სიტყვით, ბავშვობის ბიზანტიურ დეფინიციას, უფრო სწორად, ორი ბავშვობის – ბიჭებისა და გოგონების.

გადამალვა ან მიტოვება და გასხვისება ადრე ბიზანტიური პერიოდის განმავლობაში, ტრადიციულად, ყველაზე ღარიბი ოჯახებისთვის არის დამახასიათებელი. იუსტინიანეს კანონმდებლობა[2] საღვთო დაწესებულებებს შორის ჩვილ ბავშვთა ბაგებს (βρεφοτροφεια) ასახელებს, სადაც ეკლესია სიღატაკის პატარა მსხვერპლთ კვებავდა. მაგრამ იუსტინიანე აგრეთვე ინარჩუნებს და სრულყოფს კანონებს გასხვისების შესახებ: მშობლებს ეკრძალებათ თავიანთი შვილების გაყიდვა, მიცემა ან დაგირავება; ბავშვის გაყიდვა დაბადებისთანავე, უკიდურესი გაჭირვების გამო, ერთადერთ მისაღებ ფაქტად რჩება, მაგრამ მყიდველმა უნდა გაათავისუფლოს ბავშვი, თუკი მას ზუსტ კომპენსაციას შესთავაზებენ; სამაგიეროდ კვლავ იკრძალება ქუჩის ბავშვების დამონება და მათი ამ მიზნით მოგროვება, ან მათი გამოთხოვა ეკლესიისგან, რომელიც მათ შეიფარებს. თუმცა მამას შეუძლია დამქირავებელს დაუთმოს ბავშვის ან მოზარდის შრომის ძალა: 687 წლის პალესტინური დოკუმენტი, ბიჭის ასაკის დაუზუსტებლად, ამგვარი სამსახურის დასასრულზე მიუთითებს და ადასტურებს, რომ მამამ თავდაპირველად გადასახდელი თანხის ნაწილი აიღო, სესხის ნაწილი კი პროცენტის გარეშე. 535 წლის ბრძანებულებამ შუამავლობის (resp. სუტენიორობის, რ.ლ.) წინააღმდეგ გაუქმებულად გამოაცხადა ის კონტრაქტები, რომლის ძალითაც გლეხის პატარა გოგონები, რომელთა ასაკი ზოგჯერ 10 წელსაც არ აღემატებოდა, სხეულს ისე ყიდდნენ დედაქალაქში, რომ არასოდეს მოითხოვდნენ ფულის გადახდას იმ ხარახურის სანაცვლოდ, რითაც მათ იზიდავდნენ.

სამაგიეროდ, ოჯახების უმრავლესობას შეეძლო უფრო თანამიმდევრული არჩევანი გაეკეთებინა ქორწინებასა და მონასტერს შორის, ვიდრე მათ, ვინც სოციალური კიბის ზედა საფეხურზე იყო. გარდა ნოტარიალური აქტისა, რომელიც არასოდეს ყოფილა საყოველთაო და ლოცვა-კურთხევისა, რომელიც IX ს-ის ბოლოს გახდა აუცილებელი, ბიზანტიური ქორწინება დამყარებული იყო პროკრეაციულ თანაცხოვრებასა და თანხმობაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქორწინება გულისხმობდა, ერთი მხრივ, მეუღლეთა სქესობრივ სიმწიფეს (განსაკუთრებით

ქალის), მეორე მხრივ, თანხმობის უნარს, რომელიც ერთადერთი აუცილებელი პირობაა მონაზვნური ცხოვრების დასაწყებად. კლასიკური სამართლით, ოფიციალური მოწიფულობა და შესაბამისად ქორწინების ასაკი ვაჟებისთვის – 14-ს, ხოლო გოგონებისთვის 12 წელს გულისხმობდა. ბიზანტიურმა სამართალმა ეს ნორმა შეინარჩუნა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ტექსტში იგი თხუთმეტამდე და ცამეტამდე მერყეობს. იგივე ნორმა, თავის მხრივ, ეკლესიამაც მიიღო. მონაზვნური ცხოვრების დაწყების ზღვარი 692 წლიდან 10 წლის ასაკით განისაზღვრა. თუმცა იმპერიული კანონმდებლობა, 726 წლის *ეკლოგა*[3], *Procheiros Nomos* ან *პროქირონი*[4] (867-879), *ეპანაგოგა*[5] (879-886 წლებს შორის), იმპერატორების ბრძანებულებები[6], ასევე XI ს-ის მესამედში შექმნილი მოსამართლე ევსტათის იურიდიული კრებული, დაბოლოს საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები, კანონიკური კომენტარები და პატრიარქების პასუხები, როგორც ჩანს, უფრო ნათლად გამოხატულ ტენდენციას ასახავს, რომელიც ბავშვების ბედ-იღბალს ან, თუ გნებავთ, მათ ადგილს ოჯახურ თანავარსკვლავედში უფრო და უფრო ადრეული ასაკიდან განსაზღვრავს. ჩვენს მიერ ზემოჩამოთვლილი წყაროები, რომლებიც ბავშვისთვის (და განსაკუთრებით გოგონებისთვის) გაკეთებული ნაჩქარევი არჩევანის მზარდ ტენდენციას ადასტურებს, წარმოგვიდგება როგორც ერთი და იგივე ისტორიის ორი სახე, ბავშვობის ოფიციალური დეფინიცია და მისი პრაქტიკული მდგომარეობა ოჯახში და ოჯახის მეშვეობით საზოგადოებაში.

ქრისტიანული იმპერიის სათავეებიდან მოყოლებული ქორწინება ეკლესიის კომპეტენციას დაექვემდებარა, რამაც ქორწინებას ბიზანტიაში ევოლუციისთვის ხელსაყრელი თვისებები შესძინა, რომლის მონახაზიც ეს-ეს არის გავაკეთე. ქორწინების პროცედურაში გადამწყვეტი როლი მეუღლეთა თანხმობას ენიჭება და ის (პროცედურა, რ.ლ.), როგორც ჩანს, პირად პასუხისმგებლობას უფრო მოითხოვს, ვიდრე დაუყოვნებლივ ინტიმურ ურთიერთობებს. თუმცა ქორწინება სრულიად კანონიერი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მეუღლეთა სქესობრივი მოწიფულობა საშუალებას იძლევა გამრავლების ფუნქცია შეასრულოს, რაც რომაული სამართლის საზღვრებში რჩება. მეორე მხრივ, ნიშნობის წინასწარი ვალდებულება, წმინდაწყლის თანხმობის აქტი, თანდათან უფრო მნიშვნელოვან და კანონიერ სახეს ღებულობს, რაც გამოიხატება დასაწინდებელით[7], ლოცვა-კურთხევით და შედეგებით, რომელთა გამო ეს აქტი ქორწინებას უტოლდება. ჩვენ ვნახეთ აღმოსავლური ან ებრაული გავლენის შედეგი ამ ევოლუციაში, რაც, ჩემი აზრით, როგორიც უნდა იყოს იურიდიული ფორმები და ეკლესიის ჩაგონება, გამოხატავს ოჯახების აჩქარებას კანონიერი შეთანხმებების დასადებად, რომელიც თანხმობის შეუცვლელი მნიშვნელობის გამო ნიშნობის შემდეგ არის დაშვებული. ამრიგად, ნიშნობის ზღვარი ქორწინებასთან შედარებით ძალიან დაბალია. 726 წლის კოდექსი ბავშვობის დასასრულად, ორივე სქესისთვის, 7 წელს ადგენს, ე.ი. თანხმობის უნარს და, ყოველ შემთხვევაში, უარყოფის არარსებობას. ეს ნორმა შენარჩუნებულია IX ს-ში *პროქირონში* და *ეპანაგოგაში*, შემდეგ კი ალექსი I კომნენოსის ბრძანებულებაში (1084 წ.). ეს ასაკი, როგორც ჩანს, პრაქტიკაში კიდევ უფრო შემცირებულ იქნა, რადგან მიქაელ III ანქიალოსელისი[8] (1170-1178) გადაწყვეტილება დასაწინდთათვის 6 წელს და მასზე ნაკლებსაც ვარაუდობს. 6 წლის ასაკი პროქირონის ბერძნულ-იტალიურ ვერსიაშიც ფიგურირებს, რომელიც ერთადერთი, XII ს-ის II ნახევრის ხელნაწერით არის ცნობილი. ალექსი სტუდიტემ (1025-1043) ხუთწლინახევრის გოგონას თანხმობა გააუქმა, თუმცა, მართალია, ეს ქორწინება ისედაც თავიდან იქნებოდა აცილებული გოგონას გარდაცვალების გამო. მონაზვნური ცხოვრების დასაწყებად დადგენილი ასაკიც ოფიციალურად მას შემდეგ შემცირდა, რაც ბასილი კესარიელი იმ მამებისა და ძმების წინააღმდეგ გამოვიდა, რომლებიც პატარა გოგონებს მონასტერში გამოკეტავდნენ ხოლმე. მას მიაჩნდა, რომ არჩევანი შეგნებული უნდა ყოფილიყო, ამიტომ ამ საქმეში 16-17 წელზე ადრე არ უნდა ჩარეულიყვნენ. 692 წლის კრებამ პირადი ვალდებულების ზღვრად 10 წელი აღადგინა. ტიმოთე ალექსანდრიელის მიხედვით, რელიგიური პასუხისმგებლობისთვის ეს ნორმალური ასაკია, თუმცა დაუშვებს, რომ იგი (ასაკი, რ.ლ.) ინდივიდების მიხედვით შეიძლება შეიცვალოს. მაგრამ, საინტერესოა, რომ ავტორიტეტები ამ საკითხთან დაკავშირებით ყოყმანობენ, კერძოდ, თანხმობის ზღვარსა და მდედრობითი სქესის მოწიფულობაზე, თუმცა კი სქესებს არც განასხვავებენ. კოდიფიკაცია, რომელსაც პატრიარქ ნიკოლოზ გრამატიკოსს (1084-1111) მიაწერენ, აცხადებს, რომ ზიარებამდე აღსარება უკვე 12 წლიდან არის აუცილებელი. ეს ის

ასაკია, რომელსაც 726 წლის კოდექსის მიხედვით, ჰომოსექსუალურ აქტში პასუხისმგებლობა ეკისრება. მაგრამ საუკუნით გვიან, თეოდორე ბალსამონი[9] აღსარებას 6 წლის შესრულებისთანავე დაუშვებს, რადგან ამ ასაკს შეიძლება უკვე ჰქონდეს დანაშაულებრივ აზრებზე პრეტენზია.

ასეთია თანხმობის დადგენილი ნორმები, როგორც ვხედავთ, სქესის განუსხვავებლად. თანაცხოვრების ნორმები ბევრად უფრო ნაკლებია, რადგან პუნქტ ოფიციალურ ტექსტებში ძნელი გასარკვევია სამართალწარმოების ნამდვილი მნიშვნელობა. როგორც ჩანს, სწორედ პრაქტიკამ წარმოშვა გარკვეული აღრევა ნიშნობასა და ქორწინებას შორის, რომელთა მიზნისა და ხასიათის მსგავსება თანაცხოვრების დაწყებას პირველივე ცდიდან მოიაზრებდა. კანონმდებელმა ნიშნობებს ეკლესიის ლოცვა-კურთხევით მინიჭებული კანონიერება უბოძა, რაც 726 წლიდან ქორწინებისთვის საკმარისი იყო, ხოლო ლეონ VI-ის (886-912) კანონის შემდეგ კი აუცილებელი გახდა. ლეონ VI კვლავ გამოსცემს ამ განკარგულებას იმის დამატებით, რომ იმპერატორს შეეძლო კანონის დარღვევების მოგვარება და, რომ ეს დარღვევები ხშირი იყო. მაგრამ პატრიარქი ალექსი სტუდიტე ურთიერთობებს საცოლესთან, რომელსაც ჯერ არ შესრულებია 12 წელი განსაზღვრავს როგორც უასაკოთა გახრწნას და განკვეთის შიშით მღვდლებს უკრძალავს მცირეწლოვანი გოგონების ქორწინების კურთხევას. დაბოლოს, ალექსი I კომნენოსმა 1084 წელს ლეონ VI-ის კანონისადმი მორჩილება სავალდებულო გახადა მცირე წლოვან გოგონებთან თანაცხოვრების ბოროტად გამოყენების გამო. მაშასადამე, ამიერიდან ყოველ დღიურ ცხოვრებაში ნიშნობას და ქორწინებას ერთმანეთში ურევენ, მაგრამ 7 წლის ასაკი მხოლოდ დანიშვნის უფლებას აძლევს ორივე სქესის წარმომადგენელს. მართლაც, პატრიარქთა პასუხები აუქმებს მცირეწლოვან გოგონათა ნიშნობებს: 1092 წელს 7 წლისა, 1179 წელს – 10-ისა, მაშინ, როცა ეპისტოლე რომელსაც ლუკა ქრისოვერგს[10] (1157-69/70) მიაწერენ 8-იდან 10 წლამდე ასაკის გოგონათა გვირგვინის კურთხევას კრძალავს. ჩვენ ვნახავთ, რომ პრაქტიკიდან მოხმობილი შემთხვევები გარკვეულწილად ევოლუციაზე მეტყველებს, რასაც ნორმატიული ტექსტებიც ადასტურებს. ეს შემთხვევები ქორწინებასა და მონასტერს შორის ოჯახების ნაადრევ არჩევანს გვიჩვენებს. თუმცა ისინი არ იძლევა გამართულ პასუხს ნაადრევი სექსუალური ურთიერთობების შესახებ.

ჰაგიოგრაფიაში სამონასტრო ცხოვრების დაწყების ასაკი ზუსტად არის განსაზღვრული. მონასტერში შემსვლელთა წლოვანება 18-22 წელს შორის მერყეობს, მაგრამ ხშირია მცირეწლოვანთა შემთხვევებიც. მათ შორის უნდა გამოვყოთ განსაკუთრებული ადრეულობის მაგალითები, მსგავსად სვიმეონ მესვეტე უფროსისა, რომელსაც მონასტრული ცხოვრება, ვერსიების მიხედვით, 3 ან 5 წლისას უნდა დაეწყო. სხვა "ცხოვრებებში" 7/8 წლის ასაკი სარწმუნო ჩანს, რადგან ბავშვობის დასრულებასთან ერთად ის (ასაკი, რ.ლ.) არა მარტო ნიშნობაზე თანხმობის უნარს აღნიშნავს, არამედ მამრობითი ინიციაციის დაწყებასაც. აქ ჩვენ ვგულისხმობთ ნიკოლოზ სიონელს და თეოდორე სიკეონელს VI ს-ში, ნიკიფორეს, მილეთის მომავალ ეპისკოპოსს X ს-ში. IX ს-ის დასაწყისში იმავე ასაკის (იგულისხმება 7/8 წელი, რ.ლ.) იოანიკიოსი მშობლებმა ღორების კოლტის სამეთვალყურეოდ გაგზავნეს, რადგან ისინი ხატმებრძოლები და შესაბამისად, როგორც ჰაგიოგრაფი ამბობს, სწავლისგან შორს იყვნენ. სხვა პერსონაჟები 12 წლის შესრულებისთანავე მიდიან მონასტერში, როგორც დანიელ მესვეტე V ს-ში, რომელიც პირველად 5 წლისა ტყუილუბრალოდ მიუყვანიათ. რა თქმა უნდა, ეს საღვთო მოთხრობები უგულებელყოფს ოჯახის განზრახვებს და უფრო ხშირად მოულოდნელი დაბადებების და დაუძლეველი მოწოდებების მოხმობით კმაყოფილდება. თუმცა ხანდახან პრაქტიკა განსაკუთრებული ბიოგრაფიული შემთხვევებით გამოაშკარავდება, სადაც ბიძების როლი მეტად მნიშვნელოვანია: ეფთვიმე დიდმა (V ს.) სამი წლის ასაკში დაკარგა მამა. მისმა ბიძამ დედის მხრიდან, მელიტენის ეპისკოპოსმა მონათლა იგი, მედავითნეობა ჩააბარა და თავისთან წაიყვანა, ხოლო დედამისი დედათ-დიაკონი გახდა; იმავე ეპოქაში, საბა დიდი ხუთი წლის ასაკში მარტო დარჩა ბიძების ხელში, რომლებიც მისი ქონების გამო დაობდნენ, რის გამოც რვა წლისამ, თავი მონასტერს შეაფარა. საბა დიდის ცხოვრების ავტორი, კირილე სკვითოპოლელი (დაახლ. 555წ.) მოგვითხრობს, თუ როგორ ჩააბარა მამამისმა ჯერ კიდევ მთლად ბავშვი საბას, როდესაც ეს უკანასკნელი მათ სახლში იყო გაჩერებული. ყოველ შემთხვევაში, ძველი ბერმონაზვნური აპოფთეგმების თემას თუ დავუბრუნდებით, პატრიარქის საყვედური ათონის პროტოსის, ილარიონის (1092-1096) მიმართ ათონის მთის მონასტრებში ბავშვებისა და უწვერული ყრმების ყოფნას კრძალავდა.[11] რაც შეეხება პატარა გოგონებს, ბასილი კესარიელის

ზემოხსენებული ცნობის მიხედვით, ისინი მონასტერში ჯერ კიდევ სქესობრივ სიმწიფეს მიუღწეველნი მიჰყავდათ. თუმცა თეოდორე სიკეონელის დამ საერო ცხოვრება 12 წლისამ, მოწიფულობის ასაკში დატოვა.

იტალიის IV-V სს-ის ქრისტიანული ეპიტაფიები (სულ 246), ყველა ასაკის გარდაცვლილთათვის ქორწინების მაქსიმალურ სიხშირედ ქალებში 12-16, ხოლო მამაკაცებში 18-25 წლებს ადასტურებს. სამწუხაროდ, ბერძნული აღმოსავლეთის ეპიგრაფიკული ტრადიციები მსგავს არაფერს ინახავს და ამდენად, ზოგიერთი ბიოგრაფიული თუ საგულისხმო ცნობების მოძიება სწორედ ჰაგიოგრაფიაში შეგვიძლია. ქორწინება ოჯახის და არა ინდივიდების საქმედ რჩება. ნიშნობის გადაწყვეტილება მამობრივი ძალაუფლების მოვალეობა ხდება, რომლის პატივისცემაც, საჭიროების შემთხვევაში, მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ. და მაინც, ჰაგიოგრაფია არ გვაფიქრებინებს, რომ ნიშნობა, რომელიც სიჭაბუკეს უძღოდა წინ, წესი უნდა ყოფილიყო ვაჟებისთვის ან თუნდაც ქალიშვილებისთვის. IV ს-ში იოანე ოქროპირი მშობლებს ვაჟების უზნეობის გამო საყვედურობდა, რადგან ისინი (მშობლები, რ.ლ.) რამდენადაც შესაძლებელი იყო აყოვნებდნენ შვილების დაქორწინებას, იმის მოლოდინში, რომ მათი საქმიანობიდან მიღებული მოგება გაიზრდებოდა. გრიგოლ ნოსელის მშობლები კი პირიქით, მისი დის, მაკრინესთვის შესაფერის ვარიანტს ეძებდნენ, მას შემდეგ, რაც მან 12 წლის ასაკს მიაღწია, "ასაკს, როცა ახალგაზრდობის ყვავილი ყველაზე მეტ ელვარებას აფრქვევს". მომავალი ეპისკოპოსის, დემეტრიანოსის მშობლებიც ანალოგიურად მოიქცნენ IX თუ X ს-ში, როცა 15 წლის ასაკში მას მოწიფულობა მიანიჭეს. მაგრამ XI ს-ის კაზუსები, რომლებიც პატრიარქების ეპისტოლეებში და მოსამართლე ევსტათის იურიდიულ კრებულშია დამოწმებული ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, – შეუძლიათ კი მათ მეტის თქმა? – რომ ადრეული ქორწინებები ხშირი იყო, განსაკუთრებით გოგონებში. ჩვენ უკვე განვიხილეთ პატრიარქ ალექსი სტუდიტეს შემთხვევა, რომელმაც გაუქმებულად სცნო გიორგი თეოდოტესა და ხუთწლინახევრის გოგონას გვირგვინის კურთხევა. მაგრამ სარჩელის მიზეზი გახდა ქორწინება, რომელიც გარდაცვლილი პატარა გოგონას დედასა და გიორგის ბიძაშვილს შორის შედგა. ასე რომ, ვხედავთ, რა ვიწრო წრეში განვითარდა ეს საქმე. გადაწყვეტილებებს, ალბათ, ნაადრევი სიკვდილის შესაძლებლობაც აჩქარებდა. მოსამართლე ევსტათი მოგვითხრობს მამის მოუთმენლობის შესახებ, რომელმაც უკანონო ქორწინების კურთხევის უფლების მოპოვება შეძლო, იმ გზით, რომ თავისი შვიდი წლის გოგონა ათი წლისად გამოაცხადა. იმავე კრებულში ჩვენ ვხვდებით ამაღელვებელი დავის ანალიზს 9 წლის ვაჟისა და 7 წლის გოგონას ნიშნობის შესახებ, როცა სამი წლის შემდეგ გოგონას დედამ სასამართლოს ნებართვა მოიპოვა სხვა ვარიანტის შესარჩევად, რამაც ვაჟის დედის მართლმსაჯულებაზე თავდასხმა გამოიწვია. ამგვარმა განხეთქილებებმა გაამდიდრა ჩვენი ინფორმაცია ყოველდღიური ცხოვრების შესახებ, რადგან წარმოვაჩინეთ უკანონობის მიზეზები, კერძოდ კი უასაკობა, რომელსაც თანხმობის დროს არსებითად შეგუებული ვიყავით.

ქალიშვილების ნაადრევი ქორწინებების მიღმა დაფარული რეალობა, ალბათ, სხვადასხვა სიტუაციამ (მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ცივილიზაციის კონტექსტში არსებულმა) შექმნა, რომლებსაც საკმარისად არ ვიცნობთ. ცხადია, უასაკოთა, ე.ი. 12 წელზე უმცროსი ქალიშვილის გახრწნა (φθορά), მიუხედავად მისი კავშირის ხასიათისა დამნაშავესთან, სპეციფიკური დანაშაულია, როგორც სისხლის სამართალში, ისე ეკლესიის პენიტენციალიაში, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ნორმატიული განსაზღვრებიდან კონკრეტული ჩვენების (იგულისხმება მოწმის ჩვენება, რ.ლ.) მოხმობა. VI ს-ის ჰამფლეტი, "საიდუმლო ისტორია", რომელსაც პროკოპის მიაწერენ, შავ ფერებში აღწერს იმპერატორის მომავალი მეუღლის – თეოდორასა და მისი დების ბავშვობას კონსტანტინოპოლის იპოდრომის კულისებში, თუმცა მის ბიოგრაფიულ ჭეშმარიტებას აქ მნიშვნელობა არა აქვს. ავტორი მოგვითხრობს, რომ მათი დედა ქალიშვილებს სცენაზე იმისდა მიხედვით უშვებდა, თუკი მოწიფულობის ასაკს ნამდვილად მიღწეული იყო. ისინი პროსტიტუციასაც ეწეოდნენ, მაგრამ თეოდორა, უმცროსი ქალიშვილი, უასაკობის გამო საკუთარ სხეულს ბუნების საწინააღმდეგო ცოდვას უმონებდა. ეს იუსტინიანეს ეპოქაში სუტენიორების მიერ ჩათრეულ გლეხის პატარა გოგონებს მოგვაგონებს. რასაკვირველია, პროსტიტუცია ქორწინება არ არის, მაგრამ კითხვა ამ უკანასკნელის მიმართაც ჩნდება, რადგან მეუღლეთა უმრავლესობა პირველი კურთხევიდან მოყოლებული ერთჭერქვეშ ცხოვრობდა იმ დროს, როცა ქალიშვილი ჯერ კიდევ მოუმწიფებელი

იყო. კლერკი იოანე დიავატენოსის შემთხვევა, რომელიც 7 წლის საცოლეს დაშორდა, რათა რვა წლის შემდეგ სრულუფლებიანად შეერთო, 1092 წლის პასუხში გამონაკლისად გვესახება, რითაც ადათ-წესია ხაზგასმული. მაგრამ ქორწინება, როგორც ვნახეთ, კანონიერი ძალის მქონედ მხოლოდ მას შემდეგ იქნა ცნობილი, როცა ცოლი მისივე ქმრის სახლში 12 წლის შესრულდა. ამგვარი თანაცხოვრება ცოლის სახლშიც ხდება: ჩვენთვის ცნობილია ერთი საინტერესო მაგალითი, როდესაც მამამ ნიშნობის გარეშე გაათხოვა სქესობრივად მოუმწიფებელი ქალიშვილი და სიძე შინ მიიღო; შემდეგ მან უარი თქვა თავის არჩევანზე და სულ ადვილად მოიპოვა იმ ქორწინების ანულირება, რომელმაც პატივი არ სცა ასაკობრივ ნორმებს და, რომელსაც არ შეეძლო ქმედების სისრულისთვის სათანადო მომენტამდე მიეღწია, რადგან წყვილი ცოლის მამის სახლში ცხოვრობდა. როგორც უნდა იყოს, ეს თანაცხოვრებები, მართლაც, ბიძგს აძლევდა ინტიმური ურთიერთობების დაწყებას, რის შესახებაც გვაფრთხილებს *ბასილიკების*[12] ტექსტი. სამართალდარღვევები და ხელისუფლების მცდელობები უკეთესად აიხსნება, თუკი დავუშვებთ, რომ ბევრი სიტუაცია სქესობრივი მოწიფულობის ან მასთან მიახლოების ობიექტური ნიშნებით განისაზღვრებოდა, რომლებსაც, როგორც ჩანს, შეეძლოთ კანონით დადგენილი ასაკისთვის დაესწროთ. საბოლოო ჯამში, რომ შეგვეძლოს სამართლებრივად და ფაქტობრივად მოუმწიფებელის განსხვავება, მაგრამ ამისთვის უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ იყო გაგებული ფსიქოლოგიური ასაკები ბიზანტიაში, რაც ჩვენთვის უცნობია. სწორედ ამიტომ სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი შემთხვევა არ ემორჩილება მარტივად შეფასებას. მოსამართლე ევსტათი კომენტარს უკეთებს მოწიფულობის ასაკს მიუღწეველი გოგონას მაგალითს, რომელიც მამამ შვიდი წლისა დანიშნა, იმის მტკიცებით, რომ უკვე 10 წლის იყო. გვირგვინი ერთი წლის შემდეგ იკურთხა, და ამგვარად, ადგილი ჰქონდა მეუღლეთა შორის ინტიმური ურთიერთობების დაწყებას, როგორც ქორწინების ძალაში შესვლის შედეგს. მოსამართლემ კავშირი გაუქმებულად გამოაცხადა უასაკოს გახრწნის გამო, რასაც გათვალისწინებული სასჯელი მოჰყვა – საზღაურის ოდენობამ დამნაშავის ქონების ნახევარი შეადგინა. იყო თუ არა ეს დანაშაული გამონაკლისი, ან საცოლის გარეგნობა მაცდუნებელი, ან გააცნობიერა თუ არა მამამ კავშირის გაწყვეტის მიზეზი, ამის შესახებ არაფერი ვიცით. კრებულში აგრეთვე ვხვდებით გადაწყვეტილებებს კლერკების ნიშნობებისა და ქორწინებების შესახებ, რომლებსაც სიფრთხილე და წესიერება მართებდათ და, რომელთა ნიშნობებიც, ფაქტობრივად, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ხელახალი ქორწინებებისა და ნათესაობის წინააღმდეგობის საკითხში, ქორწინებას დაემსგავსა. თეოდორე ბალსამონი აკანონებს აღსარებას ორივე სქესის წარმომადგენელთათვის, ვისაც უკვე შეუსრულდა ექვსი წელი, შეგვახსენებს რა, სინოდის გადაწყვეტილებას, რომელმაც კლერკი მეორედ ქორწინებაში ამხილა, როდესაც ეს უკანასკნელი შვიდი წლის მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მეორედ დაქორწინდა. იმავე ეპოქაში პატრიარქი მიქაელ III ანქიალოსელი კლერკებს უკრძალავს გარდაცვლილი ან მიტოვებული საცოლის ნათესავებთან ქორწინებას, მაშინ, როცა იგი (საცოლე, რ.ლ.) ექვს წელს უკვე გადაცილებულია და აღნიშნავს, რომ ეს აკრძალვა ერისკაცებს არ შეეხებათ.

მე ყოველმხრივ გავაანალიზე ეს რთული ტექსტები, რათა ქალიშვილების ნაადრევი სექსუალური ურთიერთობების საკითხი უხერხულობის აღიარებამდე მიმეყვანა. მაგრამ, სინამდვილეში, ეს მხოლოდ საკითხის ნაწილია. რაც შეეხება ბავშვის ოჯახურ და სოციალურ მდგომარეობას, ეს არის ხშირად გამეორებული აკრძალვები მღვდლებისადმი, რომ არ აკურთხონ კანონიერ ასაკამდე ნიშნობა და ქორწინება. ბიზანტიური ოჯახები პრაქტიკაში ეძიებდნენ და, მაშასადამე, ჰპოვებდნენ კიდეც რელიგიურ სანქციას ისეთი კავშირებისათვის, რომლებსაც სამოქალაქო და საეკლესიო ხელისუფალნი ქორწინების პროკრეაციული მიზნის შესასრულებლად უუნაროდ მიიჩნევდნენ და, საბოლოო ჯამში, მხოლოდ სიძვას ემსახურებოდნენ. მე მინდოდა მეჩვენებინა, რომ ეს კავშირები, მართლაც, ნაჩქარევი იყო ოჯახების სულსწრაფი ჩვეულების გამო და, რომ იურისპრუდენციას მათი მოტივები არ ესმოდა. დაბოლოს, მინდა შევაჯამო, რომ ბავშვობა ბიზანტიაში, რა თქმა უნდა, აღიარებული იყო როგორც სპეციფიკური კატეგორია. უკეთესად რომ წარმოვიდგინოთ ეს იყო ბუნების მიერ დროებით დაპირისპირებული ფიზიკური და მენტალური დაბრკოლება (განსაკუთრებით ქალიშვილებისთვის, რომელთაც არანაირი ასპარეზი არ ელოდათ), ჯგუფის კოლექტიურ ბედში ინდივიდუალური წილის შესასრულებლად.

მთარგმნელის კომენტარები

[1]იურ. გადამალვის ფაქტი, ლათ. ***suppressio***, იგულისხმება სამოქალაქო აქტში ბავშვის არსებობის გაუფორმებლობა, გადამალვა.

[2]იუსტინიანეს კოდიფიკაცია (*Corpus juris civilis)* – ცივილური სამართლის კრებული, ბიზანტიური სამართლის სისტემური გადმოცემა VI ს-ში. კოდიფიკაცია მოიცავს ინსტიტუციებს, დიგესტებს და იუსტინიანეს კოდექსს. საკოდიფიკაციო კომისიის მიერ, რომელსაც ბიზანტიელი იურისტი ტრიბონიანე ხელმძღვანელობდა, 529-534 წწ. შედგენილ კრებულს საფუძვლად რომაული სამართალი დაედო.

[3]ეკლოგა – ბიზანტიური საკანონმდებლო კრებული შედგენილი 726 წელს, იმპერატორ ლეონ III ისავრიელის დროს, იუსტინიანეს კოდექსისა და გვიანდელი კანონმდებლობის კომპილაციის საფუძველზე.

[4]პროქირონი, *Procheiros Nomos* – სახელმძღვანელო მოსამართლეთათვის (მოიცავს სამოქალაქო, სისხლის, სასამართლო და საეკლესიო სამართლის ნორმებს). შედგენილ იქნა ბიზანტიაში 879 წელს. საეკლესიო სამართლის ერთ-ერთი წყაროა.

[5]ეპანაგოგა – 879 წლის შემდეგ პროქირონის საფუძველზე შემუშავებული პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლეთათვის. მოიცავს სახელმწიფო, სისხლის, ვალდებულებითი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის სამართალწარმოების ნორმებს, რომლებსაც ფართოდ იყენებდნენ საეკლესიო სამართალში.

[6]ბიზანტიის იმპერატორების ბრძანებულებები, ე.წ. კონსტიტუციები, რომლებიც სხვადასხვა სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებდა. იუსტინიანეს კოდიფიკაციის ერთ-ერთი ნაწილი – იუსტინიანეს კოდექსი სწორედ ბრძანებულებათა სისტემური კრებული იყო, რომელიც 12 წიგნად იყოფოდა და სისხლის, ადმინისტრაციულ, კერძო, საეკლესიო და საფინანსო სამართალს მოიცავდა.

[7]სასიძოს მიერ საპატარძლოსთვის მირთმეული წინდი ანუ ბელგა, ნიშანი დაწინდვას, წინასაქორწინო პირობის დადებას ნიშნავდა.

[8]კონსტანტინოპოლის პატრიარქი 1170-1178 წწ.

[9]ანტიოქიის პატრიარქი 1185-1191 წწ. ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწე, იურისტი. მას ეკუთვნის XIV ტიტულის "სჯულის კანონის" კომენტარი.

[10]კონსტანტინოპოლის პატრიარქი 1156-1169 წწ.

[11]ათონის მთის პირველივე ტიპიკონში სხვა მკაცრ მოთხოვნათა შორის აღნიშნული იყო, რომ ბავშვები, უწვერულები და საჭურისები მთაზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყვნენ დაშვებულნი.

[12]ბასილიკები (ბერძნ.*Basilika* – მეფის კანონები) – ბიზანტიური საკანონმდებლო კრებული, რომელიც დაახლ. 890 წელს, იმპერატორ ლეონ VI-ის დროს იქნა შედგენილი. წარმოადგენს "კორპუს იურის ცივილისის" ცალკეული ნაწილების კომპილაციას. ბასილიკები მოქმედ სამართლად ითვლებოდა საქართველოშიც. მისი შემოკლებული და გადამუშავებული რედაქცია ერთ-ერთი წყაროა ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულში შესული ბერძნული სამართლისა ("სამართალი ბერძული").

Evelyne Patlagean on Childhood in Byzantine Society

Rusudan Labadze

This publication presents the translation of the article of French Byzantinist Evelyne Patlagean on Childhood in Byzantine family being published in *Annales de démographie historique*, 1973. *Enfant et Sociétés.* Paris-La Haye, 1973.

The translation is based on the original article published in *Structure sociale, famille, chrétienté à Byzance. IVe – XIe siècles* (Collected Studies Series; CS 134), London, 1981, pp. 85-93.

The translation is provided with translator's comments and notes.

საერთაშორისო პრეზენტაცია

Spartan Infanticide

Ryszard Kulesza

Inspections of infants described by Plutarch can all too easily be interpreted as an expression of the Spartans' desire to create a *Herrenvolk*; an interpretation in which the Spartan state plays the role of a cruel executor, who through its representatives eliminates weaker individuals. As a rule, contemporary interpretations of this practice connect eugenics with military goals.[1] Sarah Pomeroy, for instance, maintains that "Lycurgus organized the Spartans into one family (...). In this pseudo-family marriage and parenthood existed primarily for the purpose of reproducing healthy warriors to the good of the state. The decision whether to raise babies was in the hands of the state immediately". [2] The view of the inspection as being of an exclusively eugenic character may actually result from a one-sided interpretation of the entire Spartan system. From Plutarch's account it does not transpire at all that as a result of this procedure any, however small, part of the newborns was eliminated. Moreover, for obvious reasons, the issue of the inspections of infants in Sparta constitutes a part of the more general debate on infanticide in Greece. Although literature devoted to infanticide in the Greek world[3] is considerable, views differ as to how widespread this phenomenon actually was.[4] According to MacDowell, "exposure of physically defective infants" is usually considered to have been "a routine practice", although he stresses that outside Sparta "it was done only on the parents' [and not the state's] initiative".[5] Generally, no doubts are expressed as to the historicity of the procedure.[6] Also, it is worth noting that, as underlined by Robert Rousselle,[7] those who are not certain that exposure was a common practice in Athens are nevertheless ready to believe, on a much more limited basis, in the existence of the phenomenon in the "militaristic Sparta". It is only Plutarch who remarks on the Spartan inspections of newborns:

> The father (*ho gennesas*) of a newborn child (*to gennethen*) was not entitled to make his own decision about whether to rear it, but brought it in his arms to a particular spot termed a *lesche* where the eldest men of his tribe (*ton phyleton hoi presbytatoi*) sat. If after examination the baby (*to paidarion*) proved well-built (*eupages*) and sturdy (*rhomaleon*) they instructed the father to bring it up (*trephein ekeleon*), and assigned it one of the 9,000 lots of land (*kleroi*). But if it was puny (*agennes*) and deformed (*amorphon*), they dispatched it to what was called 'the place of rejection' ('Apothetae'), a precipitous spot by Mount Taygetus, considering it better both for itself and the state that the child should die if right from its birth it was poorly endowed for health (*euexia*) and strength (*rhome*) (Plut. *Lyk.* 16, 1-2) (transl. R. J. A. Talbert).

From the above account it is clear that the presentation of the infant was the task of the man who begot it; this indicates that other scenarios, which must have happened in real life, such as the death of the father before his child was born, were rare enough not to merit a separate mention.

Neuter words (*to gennethen, to paidarion*) used by Plutarch to describe the child may refer to either gender. The remark on the assignation of the *kleroi* may, however, indicate that the procedure referred exclusively to boys, or at least it conclusively demonstrates that "the passage was written with boys in mind, and was not intended to be taken as a statement about girls".[8] Literature on the subject does contain doubts whether the procedure described by Plutarch may have concerned baby girls as well; but nevertheless we may state, after Pomeroy, that there is „no indication of systematic female infanticide or neglect of girls at Sparta".[9]

The examination took place in the *lesche*, which, according to Ducat, was "a well-known fact of Spartan life".[10] The *lesche* is commonly considered to have been the Spartan place of resort. We can guess that there were several such places (Plut. *Lyk.* 25. 2-3; Paus. III, 14.2; III,15.8). It is also quite

possible that each tribe had its own *lesche*.[11] Nevertheless, to us the *lesche* is "an unidentified place". [12]It is not known, really, how those spots looked like or where they were to be found; as a matter of fact, very little is known about them in general. It can be assumed that a father brought his baby to the *lesche* belonging to the phyle of which he himself was a member. This meant that the examination took place in the public sphere.

On the examination committee sat *hoi presbytatoi ton phyleton*. This appears to be a very precise piece of information, as the mentioned men are "the eldest men of the tribe".[13] It is not known, however, if they were a defined group with regard to its membership, how many of them there were, and if they gathered regularly or only for this particular task. According to Chrimes, *ton phyleton hoi presbytatoi* are the gerousia.[14] Ogden, in turn, maintains that "those elder members of the tribe that made up the tribe's gerousial contingent may have been included among the baby-scrutineers".[15] These are pure speculations. All that can be safely inferred from Plutarch's account is that *hoi presbytatoi* were the eldest members of the phyle, who decided to be present in the *lesche* at the time when an infant was to be scrutinised. So little and so much.

Another question concerns the frequency with which *hoi presbytatoi* would gather, and whether they would meet in regular intervals or as need arose. In MacDowell's opinion, "it is easy to imagine that the oldest members of each tribe (say those over sixty) held meetings at regular intervals (say once a month) to inspect boys brought to them".[16] This guess is worth as much as any other, and again, guesswork is all that we can resort to.

The timing of the gathering is closely connected with the issue of age at which the babies were examined. According to Jones, an infant "was examined shortly after birth".[17] On the one hand, the infant had to be old enough to guarantee that its *euexia* and *rhome* could be meaningfully diagnosed. Yet the scrutiny probably took place after the critical first few days of the infant's life; Aristotle considered those to be the first seven days after birth (Arist. *HA* VIII, 588 A 8). On the other hand, the decision to expose a child was probably supposed to result in its relatively fast death. Both considerations would be satisfied in the case of a month or two-months-old infants.

The precise manner in which the examination was conducted is not known. The description is limited to a general set of criteria for the verdict. It is puzzling that in his short account Plutarch three times used pairs of differing words, which nevertheless according to his intention referred to the same reality: 1) *eupages/rhomaleos*, 2) *agennes/amorphos*, 3) *euexia/rhome*. This cannot be explained solely with his predilection for elegant diction.

Those terms are mostly easy to understand. *Eupages* is translated as "well-built" (MacDowell, Perrin, Huys), "bien conforme" (Roussel), "wohl-gebaut" (Link), "well-formed" (Jackson); *rhomaleos* as "strong" (MacDowell, Jackson), "vigoureux" (Roussel), "kraftig" (Link), "sturdy" (Perrin, Huys). The term *eupages* refers to the external appearance of the infant, which was undoubtedly easier to assess and indicates a "strong and well-built" child. It can be guessed that *hoi presbytatoi* were looking for evident physical defects. [18]The word *rhomaleos*, in turn, could refer to the internal sphere, more difficult to judge, in which case it would mean as much as "strong"; this could be assessed on the basis of the infant's behaviour. These two aspects are referred to by Plutarch towards the end of his text, when he speaks of *euexia* and *rhome*.

The middle pair of words – *agennes* i *amorphon* – is puzzling, however. It is constructed according to a slightly different principle. The meaning of *amorphon* is relatively clear; it refers to the physique, which was "unshapely" (MacDowell), "miBgestaltet" (Link), "misshapen" (Ogden), or even "difforme" (Roussel), "deformed" (Perrin, Huys) or "ugly" (Jackson). The word *agennes*, however, can be understood in varying ways: either as "weak" (Jackson), "schwachlich" (Link), "feeble" (Ogden), "mal veni" (Roussel), or as "ill-born" (MacDowell, Perrin, Huys). If we assume that the examination whether the child is not *agennes* or *amorphon* is connected with the assignation of the *kleros*, we may wonder whether this passage may not contain some additional information; perhaps it introduces a new aspect of the examination: one which aimed to asses whether the child should not be rejected by the community due to its *ageneia*, that is its low birth. If, however, the verdict was announced only on the basis of the

infant's appearance, it is puzzling what the guideline would be for the assessors in this case. Perhaps the child's "poor" appearance would suggest that it was of "low birth". This leads to the question whether the "elders" did not consider some other aspects apart from the appearance and behaviour of the child.[19]

In my perception, the pair of words *agennes/amorphos* does not, however, belong to the central section of Plutarch's account, but to his description of the manner in which the *kleros* was assigned, which was artificially appended to the remarks on the "inspection". In order to describe the inspection, it would have sufficed to use the words *eupages* and *rhomaleos*, and in order to characterise the entire procedure referring to the same aspects, *euexia* and *rhome* would have been enough. The examination, then, involved the external appearance (*eupages/euexia*) of the infant and its (*rhomaleos/rhome*), and was aimed at assessing whether it is a fit material for a *kalos kagathos*, or in other words for a model Spartiate.

According to Plutarch, if the child was found acceptable as to its *euexia* and *rhome*, the father was instructed to bring it up (*trephein ekeleuon*). It has been considered whether the father could refuse to display his child to the elders and autonomously decide to expose it. Some scholars consider it probable that the decision to expose a child could, in fact, have been taken by the father alone, without the public inspection.[20] This is, of course, possible, but finds no corroboration in the sources.[21]

The elder's positive opinion was supposedly followed by the assignation of the *kleros*. In the light of today's knowledge of the ownership system in Sparta,[22] it is clear that this vision of the nine thousand of indivisible, equal *kleroi* passed from father to the eldest son is not historical. In my opinion, as it has already been mentioned earlier, the passage on the *kleroi* did not belong to the description of the inspections of infants in its first version (assuming, of course, the historicity of the latter procedure). Let it be noted, however, that there were also attempts to interpret this *passus* in a less-literal manner, suggesting that what was involved was e.g. granting the right to a *kleros*.[23] Huys, however, considers it absurd – rightly, in my opinion that the tribal elders would grant "usufruct or principal right of inheritance to newborn children, since natural mortality among infants and youths would have prevented many of them from reaching the age at which they could make use of their allocated lot".[24]

In any case, if the child was not *eupages* or *rhomaleos*, the father was not allowed to bring it up (*trephein*); it was sent off (*apepempon*). The decision was taken by *hoi presbytatoi*, and it was presumably they as the representatives of the community,[25] and not the father, who were obliged to ensure that the technical necessities obligatory to conclude the procedure were followed. The infant was not strangled or drowned, but left alone to die by itself. As MacDowell puts it, "The baby was not killed, because that would have incurred the guilt of homicide, but was left in an open place where he was likely to die from neglect".[26]

The infant was exposed on the slope of the Taygetus mountains, in a place called *Apothetai*. The etymology of the word *Apothetai*, according to Huys, points to "an antiquarian source, in which the origin of the name was explained by an institution probably belonging to a far past".[27] In my perception, however, it is also possible that the name was not ancient at all, but derived from *apothesis*, which resulted in a name appropriate for the place of exposure.

The entire range of the Taygetus was a good place for hunting goats and boars, deer were numerous, as were bears (Paus. III, 20, 4) and presumably other carnivores as well; as Rousselle concludes, "no doubt any child left there was soon devoured if not quickly rescued".[28] Although the phenomenon of picking up and bringing up exposed babies is not unfamiliar, it was apparently illegal to rescue one from the *Apothetai*.[29] If we accept this interpretation, we can assume that the Spartans whished their unwanted children to disappear without a trace, and consequently we can abandon hope that one day a cavity shall be found, filled with the remains of exposed Spartan babies, and we shall thus gain the crowning proof of the historicity of the procedure described by Plutarch.

Plutarch's description would not, in any case, facilitate the search for the place. According to various translators, let us note *cum grano salis*, the babies were either taken "the so called Exposure, a craggy area along Taygetus" (Jackson), "to what was called the place of rejection ('Apothetae'), a precipitous spot by Mount Taygetus" (Talbert), "to the Putting-Asides" (Ogden), or cast "over a special cliff" (Jones).[30]

Among the authors who wrote about Sparta, we could expect chiefly Xenophon and Aristotle to at least mention the inspection of newborns. It would be difficult not to agree with Huys that it is "at least remarkable that Xenophon (...) does not breathe a word on it".[31] Of course, we may theorise that Xenophon felt uncomfortable with this topic because of his friendship with Agesilaus, but just as well, and I think quite sensibly, we may suspect that it was simply too early for him to know anything about the procedure. Or perhaps, still differently, the inspection did not have such a rigorous character as Plutarch suggested; or perhaps (which is actually quite probable) in the interpretation of the author of *The Life of Lycurgus* it is an element of the Spartan legend, and not of Spartan reality.[32]

Nevertheless, many scholars consider the inspection of infants to be a very old, archaic custom.[33] Aristotle, apparently, lived too late to be aware of its existence (which would explain his silence on the issue). Similarly, the absence of any remark on it in the texts of other authors of the classical period is supposed to prove that the custom was indeed archaic. In the historical period the aim of the Spartans was to increase the numbers of citizens, as it is demonstrated by the existence of various devices which promoted this.[34] Yet there is no direct proof of the inspection's archaic provenance either.[35] On the other hand, details found in *The Life of Lycurgus* (the elders, *phyle*, *lesche*, *Apothetai*) seem to indicate that the Spartans "had ceased the practice of selective infanticide already several centuries before the time of Plutarch".[36] But if we assume that "dans la cite de l'Eurotas, beaucoup plus longtemps que dans les autres Etats grecs, une decision collective intervient pour regler le sort des nouveau-nes",[37] we might expect that the practice of infant inspection would be corroborated somewhere else besides Sparta.

And these expectations lead to a disappointment, since there are "no parallels in the classical world for such inspection except for the ideal states of Plato and Aristotle":[38]

> The offspring of the good, I suppose, they will take to the pen or crèche, to certain nurses who live apart in a quarter of the city, but the offspring of the inferior, and any of those of the other sort who are born defective (*anaperon*), they will properly dispose of in secret (*en aporreto te kai adelo katakrypsousin*), so that no one will know what has become of them. That is the condition, he said, of preserving the purity of the guardians' 'breed'" (Plato, *Resp.* V 460 c. (transl. P. Shorey)).

Regardless of whether the phrase *en aporreto te kai adelo katakrypsousin* is considered an euphemism for infanticide, or whether we support the view that Plato allowed inferior offspring to be raised as members of the lower classes,[39] what we are dealing with here is the selection of the newborns dictated by eugenic reasons. Huys considers Plato's ideas on eugenic control to be "completely analogous with the Spartan ideal and the similar attitude towards defective neonates in both systems is merely the logical consequence of the this analogy".[40] It is a very far-reaching conclusion, considering the difficulty in comparing Plato's general statements with Plutarch's detailed description.

The issue of exposing malformed infants is touched upon by Aristotle, too:

> As to the exposure and rearing (*peri de apotheseos kai trophes*) of children born, let there be a law forbidding the rearing of any deformed child (*peperomenon trephein*) Arist. *Pol.* VII 1335b19 sq.).

According to Huys, Aristotle's ideal "was largely dependent on both the Platonic and the Spartan models".[41] This is hard to prove on the basis of the passage which has been quoted above. The use of the words *apotithesthai* and *trephein* is, of course, puzzling, but after all not only the Spartan context, but also the pan-Hellenic context has to be remembered here. If anywhere in Greece the infants were indeed exposed, the "deformed" ones were the first in line. The connection between Sparta and Aristotle's passage is essentially nonexistent.

A separate issue is the connection between the Spartan practice and the "Indian inspection" mentioned by three authors:

Next he undertook a campaign against the cities under the rule of Sopeithes. These are exceedingly well-governed. All the functions of this state are directed toward the acquiring of good repute, and beauty is valued there more than anything. Therefore, their children are subjected from birth to a process of selection. Those who are well formed and designed by nature to have a fine appearance and bodily strength are reared, while those who are bodily deficient are destroyed as not worth bringing up (Diod. XVII, 91, 4-6 (transl. C.B. Welles)).

As for Cathaea, a most novel regard for beauty there is reported; I mean that it is prized in an exceptional manner, as, for example, for the beauty of its horses and dogs; and, in fact, Onesicritus says that they choose the handsomest person as king, and that a child is judged in public after it is two months old as to whether it has the beauty of form required by law and is worthy to live or not; and that when it is judged by the appointed magistrate it is allowed to live or is put to death" (Strabo XV 1.30=*FGrHist* 134 F21) (transl. H.L. Jones).

From there he came into the realm of Sopithes. That nation, as the barbarians believe, excels in wisdom and is governed in accordance with good customs. The children that are born they acknowledge and rear, not according to the discretion of their parents, but of those to whom the charge of the physical examination of children has been committed. If these have noted any who are abnormal or are crippled in some part of their limbs, they give orders to put them to death (Curt. IX, 1, 24-25) (transl. J. C. Rolfe, slightly adapted by Huys).

According to the scholars' *communis opinio*, "Spartan selective infanticide is moved to distant non-Hellenic tribes".[42] In Huys's opinion, this piece of information, coming from Onesicritus,[43] is "pure fantasy, in which the author ingeniously connected the general importance of physical beauty in this Indian nation with the Spartan model". [44]In order to promote the cynic utopia, Onesicritus, a disciple of the cynic Diogenes of Sinope, "may well have introduced an element of the Spartan legend in his evocation of Sopeithes' country, either by consciously distorting the truth or by grossly misinterpreting local customs from a Greek perspective".[45] Huys considers the influence of the Platonic eugenics to be a less attractive theory, due to the fact that there is no proof of Plato's influence on Onesicritus, and also because Plato does not talk directly of killing children. [46]What remains is the issue of the connection between this entire tradition and Plutarch's account. According to one view, it is Plutarch's borrowing from Plato's Republic, and consequently it is fictitious.[47] According to another hypothesis, Plutarch did not actually invent it, but in writing his account he had the Platonic eugenics in mind.[48] The details given by Plutarch (i.e. *lesche, ton phyleton hoi presbytatoi, kleros, Apothetai*) constitute a problem, of course, as they may attest that he was drawing on "another source that gave precise information on local Spartan customs". [49]

In Plutarch's own times the inspection of infants certainly belonged to a remote past. The very use of the imperfect tense (*en, ephere, ekeleuon, apepempon*)clearly points to a past custom. [50]This conclusion would have been an evident one even without the additional support of the argument based on Plutarch's use of the tense. The question remains, however, of what Plutarch's sources were for this information and of what quality it might be. Unwanted children seem to have been a problematic issue in Sparta [51]at the time when it was visited by Plutarch, or at least in the period preceding his visit, as evinced by the correspondence between Pliny the Younger and Emperor Trajan:

Sir, there is an important dispute, and one which affects the whole province, concerning the status and the costs of rearing of those whom they call "foster-children" (*threptous*). I myself, after having heard decisions of emperors on this matter read to me, because I could not find any local rule or any general one which should be applied to the Bithynians, decided that I must consult you about what rule you wish to have followed; and I did not think that, on a matter which called for your authority, I could be satisfied with precedents. In fact there was read out in my presence an edict relating to Achaia which was said to be one of the deified Augustus'; there were also read out epistles of the deified Vespasian to the Spartans, and

of the deified Titus to the same people and to the Achaeans, and of Domitian to the proconsuls Avidius Nigrinus and Armenius Brocchus, and likewise to the Spartans. I have not sent these texts to you for this reason, because they seemed to me to be both inadequately corrected and, in some cases, of doubtful authenticity, and because I believed that the genuine and corrected texts were in your archives (Plin. X, 65, 1-3) (transl. Wynne Williams).

Trajan:
That dispute, which is concerned with those persons who, born free, have been put out to die and then rescued by certain individuals and reared in slavery (*qui liberi nati expositi, deinde sublati a quibusdam et in servitude educati sunt*), has often been discussed, and there is no rule to be found in the registers of those who were emperors before me, which was laid down for all the provinces.
There are, it is true, epistles of Domitian to Avidius Nigrinus and Armenius Brocchus, which ought perhaps to be respected; but Bithynia is not among those provinces about which he wrote in reply; and for that reason I do not think that the right to free status should be refused to those who will be proved to be entitled to freedom on grounds of this kind (nor should) they have to buy back their actual freedom by paying for the costs of their rearing (Plin. X, 66, 1-2) (transl. W. Williams).

At the first glance, the connection between the question of the *threptoi* and inspection of the infants seems to be nonexistent or at best very remote. However, the letters of three Flavian emperors to the Spartans, mentioned by Pliny the Younger, dealt with the same problem, namely the status of the *threptoi* – "qui liberi nati expositi, deinde sublati et in servitute educati sunt", that is "people who were freeborn (i.e. children of free parents), put out to die, rescued and reared as slaves" (Plin. X, 66, 1). The supposition seems reasonable that the emperor answered the questions arising from local legal cases "where the natural parents asserted the freedom of their offspring against the fosterers".[52] In the situation where the local law, in contrast to the Roman law, did not permit such restitution, debates may have arisen and the parties concerned may have attempted to resort to the imperial intervention.[53]

The details of the cases are not known, but the fact that no less than three imperial letters were sent to deal with the issue clearly indicates that it was a serious one and that Sparta was standing its ground. That the Spartan point of view was at variance with the general policy of Rome is attested by both the imperial correspondence and by the account of Philostratus, which to us seems a very general one, but may refer to this issue:[54]

Here is another incident that happened in Lacedaemon. A letter came from the Emperor heaping reproaches upon the public assembly of the Lacedaemonians, and declaring that in their licence they abused liberty (*hos hyper ten eleutherian hybrizonton*), and this letter had been addressed to them at the instance of the governor of Greece, who had maligned them. The Lacedaemonians then were at a loss what to do, and Sparta was divided against herself over the issue, whether in their reply to the letter they should try to appease the Emperor's wrath or take a lofty tone towards him. Under the circumstances they sought the counsel of Apollonius and asked him how to pitch the tone of their letter. And he, when he saw them to be divided on the point, came forward in their public assembly and delivered himself of the following short and concise speech: "Palamedes discovered writing not only in order that people might write, but also in order that they might know what they must not write". In this way accordingly he dissuaded the Lacedaemonians from showing themselves to be either too bold or cowardly (Philostratus, *Life of Apollonius*, book IV, cap. XXXIII) (F. C. Conybeare).

According to Philostratus, in his letter to the Spartans Emperor Nero accused them of abusing their privileges arising from Sparta's status of *civitas libera* (*hyper ten eleutherian hybrizonton).* The hypothesis that in connection with the issue of the *threptoi* Sparta resorted to arguments based on its history – the only ones which could effectively, and thus advantageously to the Spartans, substantiate the distinctive solutions used in Sparta – finds some corroboration in the general imperial policy towards

Sparta. Inscription sources (IG V, 1, 12; 21) suggest that Roman authorities were ready to treat *to patrion ethos* as the main criterion of the solutions proposed for Sparta. [55]

The question remains, however, of how the inspection of infants in its form described by Plutarch may have served Sparta's current interests, and more importantly, what conclusions can be drawn from it regarding the credibility of the entire account. With regard to the first, Spartans may have recalled the "old" devices in order to substantiate the contemporary practice, or as a supporting argument in the discussion concerning it. The answer to the second question is not an evident one. The credibility of the description of the "old" procedure may be questioned; the description may perhaps have been made up on the spur of the moment.

Let us precede the remarks regarding the historical core of Plutarch's account with the observation, however banal, that some private rituals accompanying the birth of a child existed everywhere in Greece (and outside it, too). The fate of the child was determined by its father; the father made that clear during the ceremony of *amphidromia* (Plato, Theaetetus 160 E),[56] which usually took place in the first week after the birth; at that time, in front of the family gathering, the child was named and announced to be a legitimate descendant.[57] In Athens, this ceremony was known also as the *dekate*, which indicates that it was celebrated on the tenth day of the baby's life. [58]Apart from that, everywhere in Greece there existed some state procedures which introduced the infant into the community. In Athens, the father introduced his child in the phratry and enrolled it in the deme.

It is interesting whether the inspection of the infants was a Spartan version of the ritual, or of the procedure. The interpretation may follow two directions: a) the one delineated, or suggested, by Plutarch (*Kindesaussetzung*), b) the one according to which the "inspection" was an ordinary custom connected with the acceptance of a new member of the community. In other words, we may attempt to interpret the "inspection" as a physical examination resulting in the elimination of some infants, or as a kind of a ritual ceremony. Hitherto the scholars have unanimously voted for the first interpretation only; the differences of opinion involve only the overall aim of the procedure. The majority, following Plutarch, believe that the state attempted to eliminate dysfunctional individuals. Only in Link's opinion the aim of the "inspection" was quite the opposite. According to him, the state was trying to protect the children against their parents, who may have desired to limit the number of their offspring to one son: "das spartanische, staatlich gelenkte Verfahren der Kindesaussetzung war darauf angelegt, das Leben der Kinder und damit das der Burgerschaft als ganzer zu retten, nicht darauf, es zu gefahrden".[59] Not the fathers, but the elders of the phyle pronounce the verdict on the fate of the newborns, because too many children would have died if the decision was left to the parents.[60]

Plutarch's description may, however, be understood in a different way as well. The Spartan originality may manifest itself in the degree of state interference – much higher than anywhere else, and evident, after all, in various spheres of life. The Spartan state earlier than the Athenian one decided, through its representatives, whether or not to accept a new member into the civic community. On the basis of the examination *hoi presbytatoi* decreed that the infant did not possess evident defects, and this meant it was accepted as a future Spartiate. When a deformation and/or disease were detected, the decision to expose the child was taken. It was certainly a very rare event: as Michell asserts, "the small numbers of the Spartans make it sure that no male infant was exposed unless hopelessly deformed". [61]The conviction that the Spartans denied the right to live to a significant number of newborns does not spring directly form Plutarch's account, although the manner in which some pieces of information are stressed in his account is certainly tempting. We do not know how brutal the selection was; we do know of the case of Agesilaus, who was lame from birth. The scholars, assuming the selection was rigorous, maintain that he must have somehow passed the examination.[62] We can accept it as evident that (only?) very deformed children were eliminated. But this was the case in entire Greece. It is, of course, possible that close-kin marriages may have led not only to increased infant mortality, but also to the increased number of malformations, [63]which may have, in turn, resulted in the fact that in some periods a larger number of infants would have lost their lives as a result of the inspection.

Nevertheless it appears that the "Spartan inspection" usually had a rather formal character, and only in the later accounts was the stress placed on the reported desire to eliminate weak individuals. Plutarch's description does not evince any clear dependence on Plato, Aristotle or Onesicritus, although all those authors are, in a sense, submerged in the Spartan legend, which is *nota bene* older than any of them, and of which the inspection of the infants is an element.[64] I also agree with Huys that "when Plutarch integrated selective infanticide in his *Life of Lycourgos*, whom he considered to have brought into practice the utopian society concepts of Plato, Zeno and Diogenes, he may have been influenced by all these philosophical traditions".[65] A separate issue is the influence of the context, contemporary to Plutarch, which is signalised in the correspondence of Pliny the Younger. The technical details found in the *Life of Lycourgos* should be related to this context. Although the opinions of Plutarch, and of the Spartans contemporary to him, may have certainly been influenced by the above-mentioned philosophical tradition, current interpretations were surely the decisive factor, and in my opinion it is their influence that in Plutarch's description turns the "inspection" into an instrument of the state's eugenics.

The paper was presented at the fourth *Via Egnatia* Conference held by the international scientific network in Tbilisi in 2009.

Notes

[1] "The Spartan government was here manifestly guided by military considerations: children who could never be good soldiers were undesirable. And its intervention was intended to prevent parents from bringing up weak or malformed children", E. Euben, Family Planning in Greco-Roman Antiquity, *Ancient Society* 11/12, 1980/1981, p. 23).

[2] S. B. Pomeroy, *Families in Classical and Hellenistic Greece*, Oxford 1997, p. 48. See also S. Pomeroy, *Spartan women*, Oxford 2002, p. 35.

[3] See J.-N. Corvisier, W. Suder, *Polyantropia-Oliganthropia. Bibliographie de la demographie du monde grecque*, Wrocław 1996. For the Hellenistic period see also, among others, S. Pomeroy, *Infanticide in Hellenistic Greece* [in:] *Image of Women in Antiquity*, (ed.) A. Kuhrt, A. Cameron, London-Canberra 1983, pp. 207-222. For the comparative view: P. Brule, Infanticide et abandon d'enfants. Pratiques grecques et comparaisons anthropologiques, *Dialogues d'Histoire Ancienne*, 18, 2, 1992, pp. 53-90.

[4] See R. Oldenziel, *The Historiography of Infanticide in Antiquity. A Literature Stillborn* [in:] *Sexual Asymmetry. Studies in Ancient Society*, (ed.) Josine Blok, Peter Mason, Amsterdam 1987, p. 88. "It is certain that it was not practiced on any considerable scale" (Michell p. 165 note 1). For infanticide as a common practice: A. Cameron, The Exposure of children and Greek Ethics, *Classical Review* XLVI, 3, 1932, p. 107). "The exposure seems to be a widespread form of family planning in the Greek world especially beginning with the Hellenistic period" (E. Euben, Family Planning, p. 14). For the interpretation, according to which the *apothesis* had a state character and the *ekthesis* a social/private character: M. Delcourt, *Sterilites mysterieuses et naissance malefiques dans l'antiquite classique*, Liege 1938). For the analysis of terms *apothesis/ekthesis* (M. Huys, EKTHESIS and APOTHESIS The Terminology of Infant Exposure in Greek Antiquity, *L'Antiquite* Classique, VIII, 1989, pp. 190-197.

[5] D. M. MacDowell, *Spartan* Law, p. 53; C. Patterson, "Not Worth the Rearing". The Causes of Infant Exposure in Ancient Greece, *Transactions of the American Philological Association*, 115, 1985, p. 113; E. Euben, Family-Planning, p. 15; R. Harrow Feen, Abortion and Exposure in Ancient Greece: Assessing the Status of the Fetus and 'Newborn' from Classical Sources [in:] Abortion and the status of the Fetus, (ed.) William B. Bondeson, H. Tristram Engelhardt, Jr., Stuart F. Spicker, Daniel H. Winship, Dordrecht-Boston-Lancaster 1984, p. 286. For infanticide as an element of *Familienplannung*, see, among others, A. Cameron, The Exposure of Children, p. 107 sqq.; S. Link, Zur Aussetzung neugeborener Kinder in Sparta, *Tyche* 13, 1998, p. 162.

[6] E.g. E. Euben Family Planning, p. 23, R. Sallares, *The Ecology of the Ancient World*, London 1991, pp. 165-6.

[7] R. Rousselle, "If it is a Girl, Cast it Out": Infanticide/Exposure in Ancient Greece, *The Journal of Psychohistory*, 28, 3, 2001, p. 314.

[8] D. M. MacDowell, *Spartan Law*, p. 71. Similarly P. Roussel, L'exposition des enfants a Sparte, *REA* 45, 1943, p. 16; S. Link, Zur Aussetzung, p. 154 note 4; S. Pomeroy, *Families in Classical and Hellenistic Greece*, pp. 46, 49, 53-55; Pomeroy, *Spartan Women*, p. 35.

[9] S. Pomeroy, *Spartan Women*, p. 36. Although such accounts regarding boys do not exist either.

[10] J. Ducat, *The Spartan "tremblers"* [in:] *Sparta and War*, (ed.) S. Hodkinson, A. Powell, The Classical Press of Wales 2006, p. 38.

[11] D. M. MacDowell, *Spartan Law*, p. 53.

[12] H. Michell, *Sparta*, Cambridge 1964 (1st ed. 1952), p. 165.

[13] "The baby whom the elders of the phratry [*sic!*] rejected at birth was abandoned to die" (W. G. Forrest, *A History of Sparta*, London 1980 (reprinted 2000) (1st ed. 1968), p. 51).

[14] vK. T. M. Chrimes, *Ancient Sparta*, Manchester 1949, p. 421 and 424.

[15] D. Ogden, Crooked Speech: the genesis of the Spartan rhetra, *Journal of Hellenic Studies*, CXIV, 1994, p. 92.

[16]D. M. MacDowell, *Spartan Law*, p. 53.

[17]A. H. M. Jones, *Sparta*, Oxford 1967, p. 34.

[18] "The 'ideal' kind of deformity for which children were exposed in ancient Greece seems to have been crookedness of the leg, which in practice must usually meant a clubbed foot" (D. Ogden, Crooked Speech, p. 92).

[19]D. M. MacDowell, *Spartan Law, p.* 54.

[20] D. M. MacDowell, *Spartan Law*, p. 54; M. Clauss, *Sparta*, Munchen 1983, p. 143.

[21] See R. Kulesza, *Sparta w V-IV wieku p.n.e.*, Warsaw 2003, p. 126.

[22] S. Hodkinson, *Wealth and Property in Classical Sparta*, London 2000.

[23] Thus, among others, D. M. MacDowell, *Spartan Law*, p. 94.

[24] M. Huys, Spartan Practice, pp. 52-53.

[25]"Dans l'Etat militaire de Sparte, les anciens de la tribu interviennent sans doute comme de veritables delegeues de la cite, agissant en vertu d'un interet superieure a celui de la famille", P. Roussel, L'exposition des enfants a Sparte, p. 17.

[26] D. M. MacDowell, *Spartan Law*, p. 53.

[27] M. Huys, Spartan Practice, pp. 56-57.

[28]R. Rousselle, "If it is a Girl, Cast it Out", p. 314.

[29] D. M. MacDowell, *Spartan Law*, p. 53.

[30]A. H. M. Jones, *Sparta*, p. 34.

[31]M. Huys, Spartan Practice, note 16, pp. 51-52.

[32]R. Kulesza, *Starożytna Sparta* [Ancient Sparta], Poznań 2003, p. 68.

[33]The acceptance of an infant into the community by the elders is considered by den Boer not to be the consequence of the military organisation of the state, but rather as a relic from the period when the nomadic people first were settling in the country; W. den Boer, *Laconian Studies*, Amsterdam 1954, p. 233.

[34] S. Link, Zur Aussetzung, p. 157.

[35]"Ob die Kindesaussetzung tatsachlich bereits eine archaische Institution war, konnen wir nich prufen" (S. Link, Zur Aussetzung, p. 157-158). E. Euben is of a similar opinion: "Such a view is not impossible, but cannot be proved" (Family Planning, p. 23 note 66).

[36] "Anyhow the explicit mention of the toponym makes the most sense if it remains as the only testimony of an extinct practice connected with a specific location", M. Huys, Spartan Practice, p. 57.

[37]P. Roussel, L'exposition des enfants a Sparte, p. 15. See also W den Boer, *Laconian Studies*, p. 233.

[38] M. Huys, Spartan Practice, p. 56.

[39] M. Huys, Spartan Practice, pp. 59-60.

[40]M. Huys, Spartan Practice, p. 61.

[41]M. Huys, Spartan Practice, pp. 61-62.

[42]M. Huys, Spartan Practice, p. 63.

[43] M. Huys, Spartan Practice, p. 65.

[44]M. Huys, Spartan Practice, p. 67 (with reference to other authors in note 61).

[45] M. Huys, Spartan Practice, p. 68.

[46] M. Huys, Spartan Practice, pp. 68-69.

[47] J. J. Mulhern, Population and Plato's 'Republic', *Arethusa* 8, 1975, p. 275.

[48]S. Link, Zur Aussetzung, p. 56.

[49]D. Huys, Spartan Practice, p. 56.

[50] D. Huys, Spartan Practice, p. 53; N. Kennel, *Gymnasium of Virtue. Education and Culture in Ancient Sparta*, Chapel Hill-London 1995, pp. 24-25.

[51]"Exposure of children was not uncommon under Principate in all the Greek-speaking provinces, but was evidently more than usually frequent at Sparta, since all three Flavian emperors addressed letters to the Spartans upon the subject (Plin. Ep. X, 65)" (K. M. T. Chrimes, *Ancient Sparta*, p. 54)

[52]P. Cartledge, A. Spawforth, *Hellenistic and Roman Sparta. A Tale of two cities*, London-New York 1992 (1st ed. 1989) p. 154-155); W. Williams, *Pliny. Correspondence with Trajan from Bithynia (Epistles X)*, Warminster 1990, p. 117.

[53]P. Cartledge, A. Spawforth, *Hellenistic and Roman Sparta*, p. 155.

[54]K. M. T. Chrimes, *Ancient Sparta*, p. 54.

[55] K.M.T. Chrimes, *Ancient Sparta*, p. 55.

[56] R. Oldenziel, The Historiography of Infanticide in Antiquity, p. 92; N. Demand, *Birth, Death, and Motherhood in Classical Greece*, The Johns Hopkins University, Baltimore and London 1994, pp. 8-9.

[57] R. Harrow Feen, Abortion and Exposure in Ancient Greece, p. 285.

[58] C. Patterson, "Not Worth the Rearing", p. 104.

[59] S. Link, Zur Aussetzung, p. 163.

[60] S. Link, Zur Auzzetzung, p. 162.

[61] H. Michell, *Sparta*, p. 165 note 1.

[62]According to R. Rousselle ("If it is a Girl, Cast it Out", p. 314), "perhaps the defect was not noticeable in a newborn".

[63] See S. Hodkinson's remarks, *Inheritance, Marriage and Demography: Perspectives upon the Success and Decline of Classical Sparta* [in:] A. Powell (ed.), *Classical Sparta: Techniques behind her Success*, London 1989, pp. 108-109.

[64] M. Huys, Spartan Practice, pp. 57-59.

[65] M. Huys, Spartan Practice, p. 74.

ჩვილების მკვლელობა სპარტაში

რიჩარდ კულეშა

ნაშრომი წარმოადგენს მოხსენებას წაკითხულს 2009 წელს საერთაშორისო სამეცნიერო ქსელის მიერ თბილისში ჩატარებულ მეოთხე *ვია ეგნატია* კონფერენციაზე.

ავტორი ამტკიცებს, რომ პლუტარქეს მიერ აღწერილი წესი სპარტაში ჩვილთა ჯანმრთელობის შემოწმებისა, არის არა რეალობა, არამედ წარმოადგენს თავისებურ მირაჟს, ანუ სპარტის ლეგენდას. არცერთი სხვა ძველი ტექსტი არ ამოწმებს პლუტარქეს ცნობას იმის შესახებ, რომ სპარტაში არსებობდა ჩვილების მკვლელობის ამგვარი წესი და შესაბამისი რიტუალი, რომელსაც აკონტროლებდა ხელისუფლება.

ჩვილთა ჯანმრთელობის შემოწმების სპარტული ტრადიცია, ავტორის აზრით, გარკვეულად უკავშირდება τρεπτοί–ს პრობლემას, რომელიც წარმოიშვა რომანულ ხანაში.

Sulkhan-Saba Orbeliani and Western Christianity

Merab Ghaghanidze

In the history of the seventeent-eigteenth centuries Georgian society and culture, Sulkhan-Saba Orbeliani (1658-1725) was known as a statesman, diplomat, prosaist, poet, preacher, scholar, lexicographer and editor. More than one trends of the old Georgian writing language and literature were crowned in his works; in particular, the old Georgian prose reached the peak of its development, and Sulkhan-Saba laid the foundation to the reform of the Georgian verse; he was the founder of the descriptive genre of pilgrimage and traveling in Georgian literature; he revitalized artistic narration and preachment after the centuries-old decline and created the first Georgian explanatory and translation dictionary. His life and creative work served as a proof of his firm devotion to the Georgian spiritual and cultural values, and he, at the same time, clearly demonstrated his attitude to the European values.

Sulkhan Orbeliani was brought up at the royal court and was considered an educatee of his cousins Giorgi XI, Archil and Levan, and was a tutor to Vakhtang VI. He belonged to the party of Giorgi XI and was his supporter. After Erekle I (Nazaralikhan) became King of Kartli, both Giorgi XI and Sulkhan Orbeliani found themselves exiled. Sulkhan then sought shelter at his father-in-law's house in Akhaltsikhe, who was a grandee. However, in 1696, he returned to his patrimony. In 1698, he took the monastic vows at Davit-Gareja Udabno (a sparsely populated area) under the name Saba, but before that, in 1687 (1692, according to some other sources), he had secretly converted to the Catholic faith. In 1703, he renewed his political activity, when the throne of Kartli was ascended by Vakhtang VI. In 1710-1712, he was on his political-and-diplomatic mission in Persia, and in 1713, he, together with Richard, a French missioner, traveled to Europe. In April of 1714, Louis XIV, King of France gave him an audience. The same year, in the month of July, in Rome he was twice received by the Pope Clement XI. Due to the sudden death of the King of France, the hope of getting the aid, the reason for Saba's trip to Europe, faded. In 1716, after having seen many perils, Saba returned to his motherland to be persecuted and oppressed because of his open confession and preachment of Catholicism (he served the purpose of spreading the Catholicism not only by his own example, but also by bringing the European missioners to the Kingdom of Kartli. At the same time, his choice of confession is clearly reflected in his autographical collection A-303, which is preserved at the National Centre of Manuscripts in Tbilisi and not published completely to date). Saba, at returning from Europe, found himself in great embarrassment and peril, which was even more aggravated by the conflict arising between Saba and Vakhtang. However, they soon reconciled, the reason for which was their joint translation a famous work of Persian literature *Kalila and Dimna* into Georgian. In July of 1724,Sulkhan-Saba Orbeliani, together with Vakhtang and other nobles and clergy of Kartli in flight, headed for Russia. On January 26, 1725, Sulkhan- Saba deceased in Moscow. He was buried at the Georgians' Church in Vsekhsvyatskoe, near Moskow (his grave is lost).

Sulkhan-Saba Orbeliani, a Georgian aristocrat, writer and scientist, with his religious environment mostly being of Eastern Christianity (however, at the same time, pro-Catholic or pro-Roman trends at the royal court and among the aristocracy were obvious), linked his confessional choice to the Catholic Church, and his political choice to the Catholic Europe. Orbeliani became a follower of Catholicism as early as in Georgia, and headed for Rome by transiting France to meet the supreme representatives of the Roman Curia and the Pope, as a member of the Roman Catholic Church.

The close relationship of Sulkhan-Saba Orbeliani with the Holy See is evidenced by his correspondence, preserved in Rome. Orbeliani's letter addressed to the Pope Clement XI dated 1709 and the letter and benediction of Clement XI to Sulkhan-Saba dated 1715 are preserved.

However, before that, as early as in his youth, Orbeliani contributed to the preparation of the Georgian version of the Catechism of the Catholic Doctrine.

On November 7, 1687, a Catholic priest Justino of Leghorn (Livorno) sent a list of the newly-converted Georgians from Tiflis to Rome. These were the Georgians, having joined the Roman Catholic Church not long ago. The list says, '...grand Sulkhan, son of a grand minister, cousin of the King, who is a most noble Georgian. If Your Highness wishes, He can see the virtuous deed he has done, as he has amended the *Christian Doctrine*, translated by me. He converted to Catholicism on August 15, 1687'

Naturally, Sulkhan Orbeliani, who was a representative of the Kaplanishvili-Bartashvili-Orbelisdze noble clan, scribe and statesman, would never make a decision to join the fold of the Roman Catholic Church only on the political or emotional grounds, or even under the influence of the Catholically oriented surroundings or personal influence of his close people (King Giorgi XI, mentor at the Royal Court, and namely to Sulkhan, in the first place). This was surely his inner choice stipulated by the young Sulkhan's spiritual and cultural explorations. He converted to Catholicism and helped Father Justino to edit the 'Christian Doctrine' what was not only the professional aid by one of the most profound and graceful experts of the Georgian language, or paving the way to the origins of the Western Christendom for others, namely Georgian readers, but also this 'virtuous deed' is the demonstration of Saba's intellectual approach – he wants to be well aware of and proficient in what he accepts; he wants every his step to be sensible and conscious.

As for the translated and amended text of *The Christian Doctrine*, an opinion suggesting that the translation by Sulkhan-Saba has not survived to our days as it fell victim to the historical cataclysms has been firmly established among the researchers of Sulkhan-Saba Orbeliani's life and work. On the other hand, the depositories of Georgian manuscripts preserve a textbook of Christian doctrine by Sulkhan-Saba Orbeliani – *The Christian Doctrine, a book for youth by Sulkhan-Saba Orbeliani called "The Gates of Paradise"*. Not to mention other things, an autographic collection by Saba has survived to date, which is the pocket book, the author had with him during his pilgrimage in Rome and which includes the texts of a Catholic nature (the collection presumably was re-written for one's personal use and was compiled with the aim of the above-mentioned awareness and proficiency). The autographic collection, which Orbeliani had with him in Europe and later brought to Georgia, starts with the text called *The Christian Doctrine* or *The Gates of Paradise* making one-third of the manuscript.

Particular research is needed to study not only the source (or perhaps, sources) serving as the basis for Saba's *The Gates of Paradise*, but also the relation of the given text to other Georgian textbooks of Catholic doctrine created and published before and after. Therefore, at present it is difficult to state with confidence whether the text included in the autographic manuscript by Sulkan-Saba is the hortatory textbook prepared in Georgian jointly by the Italian priest Don Justino of Leghorn (Livorno) and Georgian writer Sulkhan Orbeliani. However, it should be noted that the following story might well be true: the catechism translated from Latin (or Italian) may have been amended and revised by Saba further including it in the collection with the Catholic spiritual-ecclesiastic texts in it.

The Christian Doctrine or *The Gates of Paradise* by Saba was subject to further revisions not once. The primary reason for the revision was an intention to widely use the text for the educational and tutorial purposes (and not only of the youths, presumably), which, in the form of questions and answers, describes the fundamentals of the doctrine of the Christian faith, Christian morale and divine service in an accessible, laconic and transparent language; however, to make the book acceptable for those, who did not recognize the supremacy of the Holy See, *The Gates of Paradise* by Sulkhan-Saba was purified off the Roman Catholic dogmata (this is particularly true with the fragments in the text considering the questions of procession of the Holy Spirit and supremacy of the Pope, where the Eastern and Western churches differ in their opinions). The manuscripts amended in such a way, either by preserving the authorship of Sulkhan-Saba, or anonymously (the name of Silkhan-Saba Orbeliani is erased in these manuscripts) have survived in large numbers. The names of the spotters are also known – Saba's brother, the metropolitan Nikoloz of Tiflis; Vakhushti Bagrationi, a Georgian prince (Batonishvili); Mzechabuk Orbeliani and others. Among the amended versions, the one included in Saba's autographic collection

seems to undoubtedly belong to Saba. As for the manuscript, re-written by Nikoloz Chachikashvili in the about 80s of the eigteenth century, with its text acceptable for every member of the One Church in respect of confession – for the representatives of both, Eastern and Western Christianity (as all disputable issues between the East and the West are simply removed from the text), the opinion suggesting that the version preserved in it is the original one of the *The Christian Doctrine* or *The Gates of Paradise* created by Sulkhan-Saba, with the version included in Saba's autographic manuscript being its version, which was revised later (in a Catholic manner) can be hardly substantiated, moreover when it was not unusual for Chachikashvili to change or edit the texts written by others (as in case of other texts by Orbeliani).

The study of various manuscripts and different versions of the text makes it clear that *The Gates of Paradise* was created by its author not as a textbook opposing the Christian faith, or an Eastern Christian textbook, but was originally created to express the Catholic position and was subject to confessional modifications later. The edition in question was first done by Nikoloz, Orbeliani's brother, a metropolitan of Tiflis declaring the Eastern Christian position in it; later, Georgian prince Vakhushti removed the text fragments demonstrating Orbeliani's Catholic position, replaced them by anti-Catholic fragments, which he further supplemented; the priest Nikoloz Chachikashvili ignored the confessional polemics and amended the text to make such confessional differences neutral. In addition, one more version identified recently, which must belong to Mzechabuk Orbeliani, shows an anti-Catholic preference. The history of creating and editing *The Gates of Paradise*, together with the personal and societal preference, clearly reflects the history of searching the ideological and cultural references in the given epoch.

At the same time, the Western Christendom preference of Orbeliani is demonstrated in his other texts, too. Among his ecclesiastic works, the confessional choice of Orbeliani can be found in the collection of sermons *The Teachings* consisting of the sermons told by the preacher before the community of the Davit-Gareja Monastery (the collection includes 46 sermons). In these texts, Sulkhan-Saba is shown as a diligent follower of the Gospel, devoted member of the Church and brilliant expert of ecclesiastic literary sources. It is important that, as it is known, according to the position of the Roman Church, the Head of the Church is a successor of St. Peter, and St. Peter is considered the prince of the Apostles. In the view of the Eastern Church, the princes of the Apostles are St. Peter and St. Paul, with St. Andrew enjoying a particular advantage, who, according to the Eastern tradition, is called *the First-Called*. The sermons by Sulkhan-Saba Orbeliani, which he preached at the Davit-Gareja Monastery, always name St. Peter as the prince of Apostles. It should be noted that those sermons were preached before Orbeliani openly proclaimed his Catholic preference. Therefore, the given and similar facts are to be given particular attention when judging about the early confessional sympathies of Orbeliani.

At present, without special comparative studies, it is difficult to say whether the mentioned sermons called *The Teachings* reflect Saba's pro-Catholic disposition, and special research is needed for this purpose, but as mentioned above, repeatedly naming the Apostle Peter as the prince of Apostles and specially noting that Christ "Informed Peter about feeding His lambs and taught him leadership" and He "Appointed him the prince of Apostles" is evident. We would repeat that this fact is obvious, while according to the Eastern Christian-Byzantine tradition, the princes of Apostles are St. Peter and St. Paul, and the Apostle Andrew is honoured as a superior. It is known that the Catholic Doctrine about the supremacy of the Pope is based on the given tradition of the Gospel about the superiority of St. Peter, who is considered the first Episcope of Rome and accordingly, the first Head of the Catholic Church.

Orbeliani, as early as in his youth, on the instruction of King Giorgi XI, started to compile *The Georgian Dictionary*, which was later named *Sitkvis Kona* (The Bunch of Words) by King Vakhtang VI. The dictionary is the thesaurus of the Georgian language, the oldest one survived to our days. It also consists of a translation section (Italian, Turkish, Armenian). Saba's dictionary, with its lexical completeness, accuracy and abundance of interpretation, and wide choice of sources, is a brilliant specimen of the Georgian lexicography. It should be noted that *The Georgian Dictionary* by Sulkhan-Saba Orbeliani includes a separate interpretation and consideration of the word 'purgatory'. Purgatory, as a part of the afterlife is not recognized in the Eastern Christian-Byzantine ecclesiastic Doctrine. Therefore, such clear acknowledgement of the

purgatory by Saba is a clear evidence of his confessional preference. The inclusion of the word 'purgatory' in the dictionary was followed by a clearly negative response by the Georgian ecclesiastics, which were the followers of the Eastern Christianity.

One of the most important specimens of the prosaic heredity of Sulkhan-Saba Orbeliani is so called *Travels to Europe* (unfortunately, the first half of the text, as well as the original title are missing), which is the description of Sulkhan-Saba's Italian voyage and his returning home, to Kartli. The author briefly and often, emotionally shares his impressions with us, describes the landscape and architectural sites, tells us about his meetings with the Pope and Roman nobles, upper Catholic clergy and local father-confessors and ecclesiastics, painfully paints his return home, which was full of dangers and the trouble he had on his way back home and at arriving in Kartli inflicted by his compatriots because of him recognizing the Catholicism, or Orthodoxy, as he states. (It should be mentioned that for Orbeliani, like for any other Catholic, an 'Orthodox' means a follower of the Doctrine of the Catholic Church and accordingly, a Christian devoted to the Pope. *The Travels to Europe* is the first work of the genre of travel-and-pilgrimage in the Georgian literature describing the pilgrimage in the spiritual capital of the Catholic world, in Rome.

In addition, Sulkhan-Saba wrote several Catholic ecclesiastic texts, both liturgical and hagiographical, which are included in his autographic collection and are not published yet.

Sulkhan-Saba Orbeliani's contribution to the Georgian Biblical studies is prominent. The so called *The Bible of Mtskheta* is edited by him, which is the most complete collection of the Holy Scripture texts of ancient Georgia survived to our days. The author of the concordance of this Bible is also Orbeliani. There is an opinion suggesting that while editing the Georgian text of the Bible and compiling its concordance, Sulkhan-Saba was guided by the sources of Western Christianity.

The researched problems and the results of the studies evidence Sulkhan-Saba Orbeliani's close and sane association with the Western Christinity.

The paper was presented at the fourth *Via Egnatia* Conference held by the international scientific network in Tbilisi in 2009.

სულხან-საბა ორბელიანი და დასავლური ქრისტიანობა

მერაბ ღაღანიძე

ნაშრომი წარმოადგენს მოხსენებას წაკითხულს 2009 წელს საერთაშორისო სამეცნიერო ქსელის მიერ თბილისში ჩატარებულ მეოთხე *ვია ეგნატია* კონფერენციაზე.

ავტორი განიხილავს ცნობილი ქართველი მწერლის, მეცნიერის, პოლიტიკური მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის მიმართებას კათოლიციზმთან. იგი მიუთითებს რომ ს.ორბელიანის გარემო იყო აღმოსავლურ ქრისტიანული, თუმცაღა მისი ეპოქის ქართულ არისტოკრატიისათვის უცხო არ იყო დადებითი დამოკიდებულებაც კათოლიციზმისადმი. ერთ-ერთი ამგვარად განწყობილ პიროვნებას წარმოადგენდა სწორედ ს.ორბელიანი, რომელმაც იმოგზაურა ევროპაში და რომში შეხვდა რომის კურიის წარმომადგენლებს და რომის პაპს კლემენტ XI.

ახალგაზრდობაში ს.ორბელიანი მონაწილეობას იღებდა კათოლიკური კატეხიზმოს ქართული ვერსიის შექმნაში. მის მიერ შედგენილ ლექსიკონში კი განმარტებულია 'სალხინებელი', რომელიც უცხოა აღმოსავლური ქრისტიანობისათვის. დავით-გარეჯის მონასტერში მოღვაწეობის პერიოდში ჰომილიებში ს. ორბელიანი ყოველთვის წმ. პეტრეს ასახელებდა, როგორც მოციქულთა თავს, როგორც ეს მიღებულია კათოლიციზმში. აღმოსავლურ ქრისტიანულ ტრადიციაში კი მოციქულთა თავად ითვლებიან წმ პეტრე და წმ.პავლე. შემონახულია კლემენტ XI წერილი ს.ორბელიანისადმი, რომელშიც პაპიაკურთხებს ადრესატს. ავტორის აზრით, ყველა ეს ფაქტი მიუთითებს ქართველი მოღვაწის პროკათოლიკურ განწყობას.

წიგნების მიმოხილვა

მეტად საჭირო წიგნი

გონელი არახამია
თამაზ ბერაძე
ხათუნა წიკლაური

უცხოელ ავტორთა, მათ შორის, მოგზაურთა თხზულებები, სავსებით დამსახურებულად, თვალსაჩინო ადგილს იკავებს საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების მრავალფეროვან სპექტრში და, ბუნებრივიცაა, რომ ისინი დღემდე ქართველოლოგთა შეუნელებელი ყურადღებით სარგებლობენ: ითარგმნა და გამოიცა სხვადასხვა ეპოქის მრავალი უცხოენოვანი ავტორის ნაწარმოები, რამაც ფართოდ გაუღო კარები მათში დაუნჯებულ უაღრესად ფასეულ ინფორმაციას საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემის კვლევაში.

ამ ტიპის პუბლიკაციების წყებას მიეკუთვნება ამ რამდენიმე წლის უკან გამოცემული მანანა იამანიძის ნაშრომი *საქართველო ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში (XIII-XVIII სს).* წიგნი შექმნილია სორბონის უნივერსიტეტის მოგზაურული ლიტერატურის კვლევის ცენტრსა და ადამიანის მეცნიერებათა სახლთან ავტორის მრავალწლიანი და ნაყოფიერი თანამშრომლობით. მასში თავმოყრილია პარიზის ცნობილი ბიბლიოთეკებისა და არქივების ფონდებში დაცული მასალა, რომელთა უდიდესი ნაწილი პირველად ამეტყველდა ქართულ ენაზე.

წიგნის მიზანია დაინტერესებულ საზოგადოებას მიაწოდოს XIII-XVIII სს. ფრანგი მოგზაურების ლიტერატურულ მემკვიდრეობაში საქართველოს შესახებ დაცული ცნობების ქართული თარგმანი და ავტორებთან დაკავშირებული ბიოგრაფიული მონაცემები.

ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, თუ როგორი ხანგრძლივი და შრომატევადი მოსამზადებელი ("შავი") სამუშაოს ჩატარება მოუწევდა ავტორს ქართველი მკითხველისთვის ღირებული ინფორმაციის შესარჩევად, რაც გარდუვალად მოითხოვდა მოცულობითა და ქრონოლოგიური საზღვრებით ისეთი დიდი მასალის წინასწარ გაცნობას და დასახული მიზნით გაცხრილვას, როგორიცაა XIII-XVIII სს. ფრანგული მოგზაურული ლიტერატურა.

ნაშრომის ძირითად ნაწილს წინ უძღვის ფრანგული მოგზაურული ლიტერატურის ისტორიის ვრცელი მიმოხილვა, სადაც გვეძლევა ამომწურავი ინფორმაცია აღნიშნული ეპოქის ფრანგული მოგზაურული ლიტერატურის რაობის, მისი განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და თავისებურებების შესახებ ანუ ყველაფერი ის, რაც მუდმივად უნდა ახსოვდეს მოგზაურული ჟანრის ნაწარმოების მკითხველს.

წიგნის ეს მონაკვეთი მრავალმხრივ არის საინტერესო. მაგრამ განსაკუთრებით შეიძლება გამოიყოს ორი მომენტი. ერთი გახლავთ მოგზაურული ლიტერატურის, როგორც ჟანრის, დეფინიცია და მისი სამანების მკაფიო მოხაზვა. ამის შემდეგ ნათელი ხდება თუ რა არსებითი მახასიათებლები აერთიანებს ერთი ცნების ('მოგზაურული ლიტერატურა') ქვეშ ეგზოტიკით გატაცებული ვუიაჟისტის, მისიონერის, ელჩის თუ კომერსანტის – ამ სრულიად განსხვავებული მიზნებითა და ინტერესებით სამშობლოდან აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ დაძრული პერსონების ლიტერატურულ მემკვიდრეობას. კიდევ ერთი მომენტი იქცევს ყურადღებას. ცნობილია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ ნებისმიერი უცხოელი ავტორის, განსაკუთრებით ადგილობრივი ენის უცოდინარის, ცნობებს ღირებულებას ანიჭებს, სხვათა შორის, ისიც, თუ რა გზით ან ვისგან ღებულობს ის ინფორმაციას – ერთი სიტყვით, თუ როგორია მისი ინფორმირებულობის ხარისხი. ამ თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა, რომ ამ საქმეში მ.იამანიძემ წინა პლანზე წამოსწია თანმხლები პირის როლის საკითხი იმ მოგზაურისა, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა და საქართველოშიც მოკლე ხანი დაჰყო ან საქართველოს საზღვრებს გარეთ აგროვებდა მისთვის საინტერესო მონაცემებს. თანმხლები პირი წარმოადგენდა არა მხოლოდ მეგზურს, არამედ დამკვალიანებელ თარჯიმანსაც, რომლის მეშვეობითაც ეკონტაქტებოდა მოგზაური მასპინძელი ქვეყნის სხვადასხვა წრეების წარმომადგენლებს ან

ღებულობდა ცნობებს მთხრობელებისგან. ასეთ ვითარებაში ვუიაჟისტის მიერ მეტნაკლებად სწორი და ადექვატური წარმოდგენის შემუშავებას, შესაბამისად, მისი მონათხრობის სანდოობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა თანმხლები პირის განწყობა მასპინძელი ქვეყნის მიმართ, აგრეთვე, მისი განათლების დონე, კეთილსინდისიერება და სხვა თვისებები. ამ ფაქტორზე ყურადღების გამახვილება, რასაც მ.იამანიძე სავსებით მართებულად აკეთებს, თავის მხრივ, დიდად უწყობს ხელს წიგნში შესული მასალის ყოველმხრივ კრიტიკულ ანალიზს.

მას შემდეგ, რაც ავტორმა წინასიტყვაობაში გვაზიარა შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ფრანგული მოგზაურული ლიტერატურის საინტერესო სამყაროს, წიგნის ძირითადი ნაწილი საქართველოს შესახებ ფრანგი მოგზაურების თხზულებებში გაბნეული ცნობების ქართულ ორეულებს ეთმობა. მასალა დალაგებულია სამ განყოფილებად – თითოეულში შესაბამისად თავმოყრილია XIII-XVI სს., XVII ს. და XVIII ს. ავტორებთან დაცული ცნობები. ნაშრომში წარმოდგენილია ამონარიდები ორ ათეულზე მეტი ავტორის თხზულებიდან. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მათგანი (ჟან პლან დიუ კარპენი, გიიომ დე რიუბრიუკი, ლუი გრანჟე) ქართული თარგმანით, ზოგი (დე ლილი, შარლ დე პეისონელი) ორიგინალის ენაზე თუ უკვე იყო ჩართული სამეცნიერო მიმოქცევაში, ფაქტია, რომ უმეტესობა ამ ავტორებისა პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მათი არსებობა სწორედ ამ ნაშრომით ხდება ცნობილი ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის. ასე რომ, უმეტესობა თარგმანებისა, რომელსაც მ.იამანიძე გვთავაზობს, ქართველი მკითხველისათვის სრულიად ახალი მასალაა.

რამდენადაც მრავალფეროვანია უცხოელი მოგზაურების ინტერესების სფერო და, შესაბამისად, თხრობის საგანი, იმდენად მრავალმხრივია განსახილველი წიგნის დანიშნულება – იქ თავისთვის საყურადღებო მონაცემებს იპოვის მეცნიერების არაერთი დარგის წარმომადგენელი, მაგრამ შეუდარებლად დიდია მისი მნიშვნელობა ისტორიული მეცნიერებისათვის. წიგნში თავმოყრილი ტექსტების, როგორც ისტორიული წყაროს, ღირებულება სხვადასხვა ასპექტით ვლინდება. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული ტექსტები, რომლებიც ფაქტების შთამბეჭდავი სიუხვით გამოირჩევა, საგრძნობლად ავსებს ან ადასტურებს სხვა წყაროების მონაცემებს ფაქტოლოგიის კუთხით. არანაკლებ საყურადღებოა გარეშე დამკვირვებლის "უცხო თვალით" დანახული ჩვენი ქვეყნის ყოფითი სინამდვილე. ამ სინამდვილის არაერთი დამახასიათებელი ნიუანსი თუ შტრიხი, რომელიც ჩვეულებრივ, შეუმჩნეველი რჩება ადგილობრივი ქრონისტებისათვის, თვალში საცემი და საინტერესო ხდება უცხო დამკვირვებლისათვის. ამ თვალსაზრისით ფრიად უხვ და საგულისხმო მასალას გვაწვდის მ. იამანიძის წიგნში წარმოდგენილი ტექსტები. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავეცნოთ ერთ-ერთი ავტორის ჟან დე გაიფონტენის შთაბეჭდილებების ჩანაწერს, რომელიც 1404 წლით თარიღდება: 'აფხაზები… რელიგიით ქართველებს ბაძავენ. მათ შესანიშნავად ეხერხებათ მაუდის, ტილოსა და აბრეშუმის წარმოება. მეგრელები თავიანთ ენაზე მეტყველებენ, ხოლო დამწერლობა და სარწმუნოება ისეთივე აქვთ, როგორც ქართველებს … ისინი აღმერთებენ ციურ დედოფალ დიანას, რომელიც თითქოს თავის მეგობარ ნიმფებთან და სატირებთან ერთად მაღალ მთებში ცხოვრობენ და ისინი დღესა და ღამეს ლხინში ატარებენ. მათ სწამთ, რომ ვინც რა უნდა სთხოვოს ქალღმერთ დიანას, ყველაფერს უსრულებს და თუკი ვინმე ძღვენს მიართმევს, სანაცვლოდ დაახლოებით ოც დღეში, ქვეყანას ყოველგვარი გაჭირვებისაგან დაიხსნის'. აღმოსავლეთ საქართველოშიც, მიუხედავად ქრისტიანობის საყოველთაო სიმტკიცისა, 'ისევე, როგორც მეგრელები, მაინც ციურ დედოფალ დიანას აღმერთებენ და მის მისნურ წესებს მისდევენ'. ძნელია გადაჭარბებით შეაფასო მოყვანილი ცნობების მნიშვნელობა ისტორიული ეთნოგრაფიის მკვლევართათვის (და არა მარტო მათთვის). ანალოგიური ხასიათის ცნობები სარეცენზიო ნაშრომში სხვაც მრავალია, მაგრამ მისი ღირსებები ამით არ ამოიწურება. გარდა აღნიშნულისა, წიგნს გააჩნია კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობაც – ჯერ ერთი, მასში თავმოყრილი მასალით კარგად წარმოჩინდება ის წარმოდგენები, რომლებიც უშუალო კონტაქტების თუ შუამავალ – მთხრობელთა მეშვეობით ექმნებოდათ XIII-XVIII საუკუნეების ფრანგული საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენლებს ჩვენს ქვეყანასა და ხალხზე და მეორე, ზღვა ინფორმაციის ერთ-ერთი, კერძოდ, ფრანგულენოვანი ნაკადი, რომელიც გარკვეულწილად აყალიბებდა ფრანგული და, ზოგადად, დასავლური სამყაროს ცოდნას საქართველოს შესახებ.

დაბოლოს, გვინდა გამოვთქვათ ზოგიერთი სურვილი თუ შენიშვნა, რომელთა გათვალისწინებამ შეიძლება ავტორს გარკვეული სამსახური გაუწიოს წიგნის შემდგომი გამოცემის თუ ახალი მასალის გამოსაცემად მომზადების დროს.

ვფიქრობთ, აუცილებელი იყო ყველა ავტორის ტექსტისათვის სათანადო კომენტარების დართვა. ამის გაკეთება საჭირო იყო იმისათვის, რომ უცხოელ დამკვირვებლებს არცთუ იშვიათად მოსდით ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები, სწორად ვერ გადმოსცემენ მათთვის უცნობ გეოგრაფიულ და საკუთარ სახელებს – ყველაფერი ეს მოითხოვს გამომცემლის მხრიდან განმარტებებს, რათა მკითხველს გაუადვილდეს ტექსტის შინაარსის აღქმა და შესაბამისად, მისით სარგებლობა.

მოსალოდნელი იყო, რომ ავტორი შეეხებოდა ჟან პლან დიუ კარპენის, გიიომ დე რიუბრიუკის, ლუი გრანჟეს ცნობების და პეისონელის თხზულების ერთი ნაწილის ქართულ ენაზე უკვე არსებულ თარგმანებს.

ერთგვარი უკმარისობის გრძნობა ეუფლება მკითხველს კარტოგრაფ დე ლილის შესახებ წარმოდგენილ მასალასთან დაკავშირებით. ვითვალისწინებთ რა ცნობილი გეოგრაფების, დე ლილების არქივში დაცული მასალების დიდ მნიშვნელობას საქართველოს ისტორიისათვის, სასურველია ისინი ავტორმა ცალკე წიგნად მოამზადოს გამოსაცემად, რითაც ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კვლევის საქმეს.

ზემოთქმული სრულებით არ ცვლის ნაშრომის არსებით მხარეს – ის მეტად საჭირო და სასარგებლო წიგნია ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესებული მკითხველისათვის.

The Very Helpful Book

Goneli Arakhamia
Tamaz Beradze
Khatuna Tsiklauri

The review concerns the book by Manana Iamanidze *Georgia in raports of French Trevellers (thirteen-eighteent centuries)* published a few years ago.

In general, the notes of travellers are considered as valuable sources. The publication in question provides one more argument supporting this general view: indeed the published material contains very important evidence on Georgia of relevant epoch. It is why the reviewers find this publication as important contribution in fieled of Georgian source -studies.

At the same time the reviewers express the criticism regarding some points. For example, the lack of relevant comments they consider as certain deficiency for the publication of historical sources.

თედო ჟორდანიას თხზულებათა კრებულის პუბლიკაცია

მანუჩარ გუნცაძე
ნათია თურაზაშვილი

2011 წელს გამოიცა ცნობილი ქართველი მეცნიერის თედო ჟორდანიას თხზულებათა ერთტომეული, რომლის შემდგენელ-რედაქტორი არის ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ქეთევან ნადირაძე. წიგნი დასტამბა და გამოსცა გამომცემლობა *არტანუჯმა*.

თევდორე (თედო) ჟორდანია დაიბადა 1853 წელს. 1875 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, რის შემდეგაც სახელმწიფო ხარჯით სწავლა გააგრძელა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ (1879 წ.) მიენიჭა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი. იმავე წელს ბრუნდება საქართველოში და იწყებს პედაგოგიურ საქმიანობას. 1879 წელს დაინიშნა თბილისის სასულიერო სასწავლებელში გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად. 1880 წელს ის ამავე სასწავლებლის ზედამხედველად გადაიყვანეს, სადაც 1893 წლამდე მუშაობდა.

თედო ჟორდანიას სამეცნიერო საქმიანობა ეხებოდა როგორც საქართველოს ეკლესიის ისტორიას, ისევე საერო ისტორიასაც. მან ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი წვლილი შეიტანა თავის გამოქვეყნებულ *ქრონიკების* სამტომეულით, რომელიც დღეისათვის ძველ დოკუმენტთა შესწავლის საქმეში პირველ და ზოგიერთ შემთხვევაში, ერთადერთ წყაროსაც წარმოადგენს.

თედო ჟორდანია აგრეთვე აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში, იყო *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა* და *საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების* წევრი.

თედო ჟორდანია გარდაიცვალა 1916 წელს მძიმე ავადმყოფობის შედეგად და დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

თხზულებათა ამ ტომში შესულია ქეთევან ნადირაძის მიერ შეკრებილი სამეცნიერო სტატიები, რომელნიც თედო ჟორდანიას გამოქვეყნებული აქვს ქართულ და რუსულ პერიოდულ გამოცემებში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის ათიან წლებში. აღნიშნული სტატიები გაბნეული იყო ამ ჟურნალ-გაზეთებში და მათი უმრავლესობა არ იყო ხელმისაწვდომი ამ საკითხით დაინტერესებული პირთათვის.

ამ სტატიათა შეკრება და მათი ერთ კრებულში გამოცემა მნიშვნელოვანი ნაბიჯია თედო ჟორდანიას სამეცნიერო ღვაწლის შესწავლის საქმეში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეცნიერის თხზულებების კრებული ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოიცა პირველად და მას მანამდე ანალოგი არ ჰქონია.

თხზულებათა ამ ტომში შევიდა თედო ჟორდანიას ისეთი კვლევებიც, რომლებზეც მან პირველმა დაიწყო საგანგებო კვლევა, მათ შორისაა *დავით გურამიშვილი და მისი დრო*, *მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში*, *ხალხის გმირი დათუკი ქვეპირიშვილი* და სხვ. კრებულში შესული ყველა სტატია დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ხოლო წიგნს ახლავს პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებელი.

თედო ჟორდანიას შესახებ ერთადერთი სამეცნიერო ნაშრომი, სადაც აისახა მისი ბიოგრაფია და მოღვაწეობა, 2004 წელს გამოსცა ქეთევან ნადირაძემ. ამრიგად, ეს კრებული წარმოადგენს იმავე ავტორის წლების მანძილზე ჩატარებული კვლევის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს თედო ჟორდანიაზე.

თედო ჟორდანიას თხზულებების ამ ტომის გამოსაცემად მომზადება რამდენიმე წელი გრძელდებოდა, რის შედეგადაც ჩვენ მივიღეთ მნიშვნელოვანი ისტორიოგრაფიული ნაშრომი, წიგნი, რომელიც წარმოადგენს ძვირფას შენაძენს საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

On Publication of the Collection of Works by Tedo Zhordania

Manuchar Guntsadze
Natia Turazashvili

In 2011 the publishing house Artanuji published collection of works by eminent Georgian historian Tedo Zhordania (1853-1916). The publication was accomplished by Javakhishvili Tbilisi State University Professor Katavan Nadiradze.

The papers by Zhordania were available in various magazines and collections, however these publications were hard accessible for wide circle of scholars today.

According to reviewers the publishing of all these works in one volume is important contribution to the field of Georgian studies as it would be very helpful for all those interested in Georgian history and culture.

ახალი ნაშრომი ქართული იდენტობის ისტორიის შესახებ

ქეთევან მანია

ქართული ნაციონალური ერთიანობის პროცესების შესწავლისადმი მიძღვნილი არაერთი ნაშრომი გვხვდება სპეციალურ ლიტერატურაში, სადაც უპირატესობა მინიჭებულია ობიექტივისტური ფაქტორების კვლევისათვის, ხოლო სუბიექტივისტური ფაქტორები უყურადღებოდ არის დატოვებული. იდენტობა კი სუბიექტივისტური ფაქტორების ანალიზზეა დამყარებული. ისტორიოგრაფიაში წარმოდგენილ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემების შესწავლისადმი მიძღვნილ ნაშრომებს შორის, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტაა იდენტობის კვლევისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომები. არსებული ხარვეზის მიზეზად დასახელებულია კვლევების მარქსისტულ სოციოლოგიაზე დაფუძნება. მარქსისტული სოციოლოგია, როგორც ცნობილია, საკითხების შესწავლისას ეყრდნობა ობიექტივისტურ ფაქტორთა ანალიზს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეკონომიკურ პრობლემებს, ყურადღების მიღმა რჩება იდენტობის კვლევისას ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორიცაა საზოგადოებრივი პერცეფციები. იდენტობის კვლევა თავისთავად ახლებურ თეორიულ ჩარჩოს მოითხოვდა. დადგა კვლევისათვის ადექვატური თეორიული ჩარჩოს იდენტიფიკაციის საკითხი. ამ მხრივ საყურადღებოა მ. ჩხარტიშვილის დამსახურება, რომელმაც ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას გააცნო ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დასავლური მეცნიერული მიღწევები და პირველმა წარმოადგინა ნაციის ინტერპრეტაციის ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ფარგლებში საქართველოს ისტორიის კვლევა. ამ მიდგომის ფუძემდებელი არის თანამედროვე ბრიტანელი მეცნიერი ე. სმითი. სწორედ მისი შეხედულებები მ. ჩხარტიშვილის თარგმანით (ე.დ. სმითი. *ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია*. თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი-მალენი, თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004) გახდა ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. გარდა ამისა,როგორც ითქვა, მ. ჩხარტიშვილმა შემოგვთავაზა აღნიშნულ მეთოდოლოგიურ საფუძველზე პირველი კვლევები ქართულ მაგალითზე. ამ მიმართულებით მრავალწლიანი კონკრეტული გამოკვლევის შედეგად შექმნილი განმაზოგადებელი ნაშრომი ეძღვნებოდა შუა საუკუნეების ნარატიული წყაროების ანალიზს (მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი, 2009.). ზედმეტი არ იქნება აქვე აღინიშნოს, რომ ჩვენც პროფ. მ. ჩხარტიშვილთან თანაავტორობით ვაგრძელებთ ამ მიმართულებით მუშაობას ამჯერად ახალი პერიოდის წყაროების, კერძოდ, *ივერიის* მაგალითზე (გამოქვეყნდა გამოკვლევის პირველი ნაწილი: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერია და მისი მკითხველი საქართველო*. ტ. 1, თბილისი, უნივერსალი, 2011).

იდენტობის ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ფარგლებში კვლევა, მართალია, შედარებით ახალი მიმართულებაა ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ ბოლო ხანებში ნაშრომების სედარებით მომრავლება თვალსაჩინოდ მოწმობს საკითხისადმი ინტერესის განსაკუთრებულობას. ნაშრომებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია, ამჟამად თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის ნატო სონღულაშვილის მონოგრაფია ქართული *ერთობა და მისი იდენტობა მეოცე საუკუნის პირველ ოცწლეულში* (რედ. მ. ჩხარტიშვილი, თბილისი, უნივერსალი, 2010).

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და ბოლოსიტყვისაგან. ნაშრომში წარმოდგენილია ქართული იდენტობის კვლევა მოდერნულ ეპოქაში, კერძოდ, XX საუკუნის I ოცწლეულში. იდენტობისათვის რეპრეზენტატულია წყაროები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას საზოგადოებრივი პერცეფციების შესახებ. ახალი დროისათვის ამგვარ წყაროს წარმოადგენს ბეჭდური მედია, რომელიც

არის ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის კატალიზატორი და ამ პროცესის ამსახველი. შესაბამისად, ნაშრომში წყაროთა ბაზად შერჩეულია ბეჭდური მედია ჟურნალ *მოგზაურის* (გამოდიოდა 1901-1905 წლებში ი. როსტომაშვილის რედაქტორობით), გაზეთების *თემისა* (ეროვნულ-ლიბერალური მიმართულების გაზეთი, გამოდიოდა 1911-1915 წლებში გ. დიასამიძის რედაქტორობით) და *საქართველოს* (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო გამოდიოდა 1915-1921 წლებში სხვადასხვა დროს ს. მაწიაშვილის, გ. ქიქოძის, ს. კედიას, გ. ვეშაპელის რედაქტორობით) სახით. როგორ ზემოთ აღვნიშნე, ბეჭდური მედია არა ერთხელ გამხდარა მეცნიერთა შესწავლის ობიექტი, რასაც ადასტურებს ამ საკითხისადმი მიძღვნილი ნაშრომთა სიმრავლე. თუმცა, ნ. სონღულაშვილის მიერ აღებული საგაზეთო პუბლიკაციები არასოდეს ყოფილა გამოყენებული წყაროდ ქართული იდენტობის ისტორიის შესასწავლად. ამ თვალსაზრისით სარეცენზიოდ წარმოდგენილი გამოკვლევა აღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივ შევსებას ისახავს მიზნად.

ავტორი XX საუკუნის პირველ მეოთხედს ორ პერიოდად ჰყოფს: საქართველოს რუსეთის გავლენის ქვეშ ყოფნის ხანა და დემოკრატიული რესპუბლიკის ხანა. ამ ორ პერიოდში ქართული იდენტობის განვითარების პროცესის შედარებითი შესწავლის საფუძველზე, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშნული რთული ფენომენის აქამდე უცნობ წახნაგებს წარმოაჩენს.

გამოკვლევის პირველი თავი ეძღვნება ქართული ნაციონალური ნარატივის ფორმირებაზე დაკვირვებას მოცემულ ეპოქაში; მეორე თავი – სოციალური ჰომოგენიზაციის პროცესის პერცეფციას; მესამე თავი კი – თავისუფლების იდეის ფორმირებასა და კულტივაციას ქართულ ერთობაში ბეჭდური მედიის საშუალებით.

აღნიშნული ნაშრომი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, წარმოადგენს ბეჭდური მედიის მიხედვით ქართული ერთობის იდენტობის შესწავლის მცდელობას. კერძოდ, საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდის ცალკეული საკითხები და მოვლენები განხილულია ეთნოსიმბოლისტური თეორიის საფუძველზე და შესწავლილია ქართული ერთობის განვითარების საფეხურები XX საუკუნის პირველ ოცწლეულში. პრესის მასალების დეტალური ანალიზით წარმოდგენილია დაკვირვება კულტურული და პოლიტიკური ელიტის ღვაწლზე, აგრეთვე, მთელი საზოგადოების აღმებზე და ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის განვითარების ისეთ ინდიკატორებზე როგორიცაა ისტორიული წარსული და ტრადიციები, ქართული ენა და ეროვნული თავისუფლება. მოცემულია ანალიზი ეპოქის ახალი მოთხოვნილების შესაბამისად სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის საჭიროებისა არამარტო, როგორც მოსახლეობაში ცოდნის გავრცელების საშუალებისა, არამედ ქართულ ერთობაში შიდაჯგუფური სოლიდარობის განმტკიცების და ქართული ჩვენ-ჯგუფის განცდის განმტკიცებისათვის მნიშვნელოვანი იმპულსი.

1901-1917 წწ. და 1918-1921 წწ. ქართული ერთობის იდენტობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ავტორის დაკვირვებით, პირველ პერიოდში (1901–1917 წწ.) გამოიკვეთა შემდეგი საკითხებისადმი განსაკუთრებული ინტერესი: ერთიანი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც საზოგადოების ჰომოგენიზების და სოციალური ტიხრების მოშლის საფუძველი (1); ეკონომიკა, როგორც ნაციონალური ჩვენ-ჯგუფის არსებობის და გადარჩენის წინაპირობა (2); ისტორიული მეხსიერება და ტრადიციები, როგორც შიდაჯგუფური სოლიდარობის განმტკიცების მთავარი ფაქტორი (3) მეორე პერიოდში (1918-1921 წწ.) პრიორიტეტული გახდა ნაციონალურ კონსოლიდაციაში თავისუფლების იდეალის ჩამოყალიბება და მისით საზოგადოების უფართოესი ფენების გამსჭვალვა. ფაქტობრივი მასალის ანალიზით მიღებული შედეგის საფუძველზე ასკვნის: პირველ პერიოდში ქართული ერთობის კონსოლიდაცია გამოიხატებოდა კულტურულ და სოციალურ ჰომოგენიზაციაში თავად ერთობის შიგნით, ხოლო მეორე პერიოდში – ეს პროცესი იძენს პოლიტიკურ განზომილებას და ადგილი აქვს ქართული ერთობის გარეშე სხვათა პირისპირ მკაფიო დელიმიტაციის ფაქტს.

ამდენად, ნაშრომში საინტერესოდ არის წარმოდგენილი XX ს-ის პირველ ოცწლეულში ქართული ერთობის იდენტობის განვითარება ბეჭდური მედიის *მოგზაურის, თემისა* და *საქართველოს* პუბლიკაციების საფუძველზე. ნაჩვენებია თუ როგორ უწყობდა ხელს ბეჭდური მედია ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას და როგორ იქცა მკითხველი საზოგადოება ნაციონალური ერთობის წევრად. ნაშრომი წარმოადგენს წყაროს ახლებური მეთოდით –

ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ფარგლებში გააზრების ცდას. აქედან გამომდინარე, ძირითადად აქცენტირებულია საზოგადოებრივი პერცეფციები.

ნაშრომს ღირსებას მატებს ის გარემოებაც, რომ ავტორი გამოირჩევა პასუხისმგებლობით და შრომისმოყვარეობით. ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს ისტორიის გარკვეული პერიოდის ახლებური მეთოდოლოგიური მიდგომით შესწავლისადმი ინტერესს ახალგაზრდა სპეციალისტი იჩენს. ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდა-დაკვალიანება კი ქართული ისტორიოგრაფიის მომავალი განვითარების საწინდარია.

Recently Published Book on the History of Georgian Identity

Ketevan Mania

The review begins with discourse on the state of study of history of Georgian identity mentioning that the number of the investigations which concern the subjective factors in the identity making process is little.

The monograph by Nato Songulashvili *Georgian Community and its Identity in the First two Decades of Twenties Century* (Tbilisi, 2010, Publishing House Universali, ed. M.Chkhartishvili) is one of those (the first successive attempts belong to M.Chkhartishvili) in which the alternative to Marxism sociology (dominated in Georgian historiography during many years) ethno-symbolist approach is used as theoretical basis for data analysis. The periodicals serve as primary sources for the investigation. In result the author represents the Georgian nation building process in the mentioned period of time.

The monograph contains essential novelty in field of Georgian identity study. According to the reviewer it should be welcomed when young researcher is open to implementation of new approaches and proposes interpretations of the well known sources in the light of the recent social theories.

დავით აღმაშენებლის *გალობანი სინანულისანის* თარგმანი პოლონურ ენაზე

ქეთევან მანია

დავით აღმაშენებლის ფილოსოფიურ-ლირიკული ჟანრის თხზულება *გალობანი სინანულისანი* ქართული სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს. თხზულება შემონახულია თხუთმეტ სხვადასხვა დროს შედგენილ ხელნაწერში, ამათგან ექვსი XVIII ს-ში ყოფილა შედგენილი.

ძეგლის შესახებ შეხედულებები მისი პირველი პუბლიკაციების პარალელურად გამოითქვა. *გალობანი სინანულისანის* მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის გამოიკვეთა მის პირველ მკვლევართა შრომებში. თხზულების პირველი გამომცემელი (1865 წ.) გ. ხელიძე, წინასიტყვაობაში რელიგიური გრძნობების გამომხატველ თხზულებად ასახელებს. გამომცემელი დავით აღმაშენებელს ამ საგალობელში ბიბლიური დავითისა და საბერძნეთის ღვთისმოსავ მეფეებს ადარებს (გ. ხელიძე. საქართველოს სასულიერო მახარებელი, VIII, 1865,. გვ. 12).

ასევე, 'ენის სიტურფითა და პოეზიის სიმშვენიერით' საგალობელს დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებს ადარებს ნ. ურბნელი (ნ. ურბნელი. მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო. მოამბე. #1. 1894. გვ. 11). ა. გძელიევის აზრით, კი თავისი შედგენილობით დიდ მსგავსებას ავლენს ანდრია კრიტელის *დიდ კანონთან* (А. Гзелиев. Дзеглис цера (Хартия) грузинского царя Давида III Возобнавителя, Тб., 1898. с. 6).

გალობანი სინანულისანის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე კ. კეკელიძე მიუთითებდა, რომ 'ძეგლს ახასიათებს აზრთა და გრძნობის სიღრმე და სიტყვაკაზმულობა... საინტერესოა აგრეთვე როგორც მაჩვენებელი მისი ცხოვრების ზოგიერთი ინტიმური მხარისა და ავტორის ფსიქოლოგიურ-რელიგიური განცდისა' (კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. I. თბ., 1980).

სპეციალურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ინტერესი აღინიშნა ძეგლში დავითის ცოდვათა შესახებ დაცული ინფორმაციის თაობაზე. მკვლევართა ნაწილის თვალსაზრისით მეფის მწვავე სინანული შეიძლებოდა გამოწვეული ყოფილიყო ისტორიულად ჩადენილი ჩვენთვის უცნობი ქრისტიანული სჯულმდებლობით ცოდვად შერაცხული ფაქტები. თ. ჟორდანია ასეთ ცოდვებად ვარაუდობდა მეფის მკაცრი დამოკიდებულებას მოღალატეთა მიმართ, ან სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვებისათვის მამის წინაშე ჩადენილი რაიმე ძალადობას... (თ. ჟორდანია. ქრონიკები. II, ტფ. ,1897, გვ. 104-107). ამ შეხედულებას ავითარებს რ. მეტრეველი. მისი აზრით, შეუძლებელია ცოდვად ჩაეთვალოს მოღალატეთა მიმართ მკაცრი დამოკიდებულება და მოსანანიებლად გახდომოდა. მისი მტკიცებით, დავით აღმაშენებელი ცოდვად მიიჩნევდა მამის წინაშე მის მიერ ჩადენილ მძიმე მოქმედებას (შესაძლოა ტახტიდან გადაყენებასაც) (რ. მეტრეველი. *შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XIII საუკუნე).* თბ., 1973, გვ. 89-90).

ი. ჯავახიშვილის ვარაუდით, შესაძლოა დავითის სიყრმის ცოდვად ცოლთან გაყრა და მეორედ დაქორწინება იქმნეს მიჩნეული (ი. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია.* II. თბილისი, 1965, გვ. 219). ორცოლიანობას თვლიდა შესაძლო ცოდვად ი. ცინცაძეც (ი. ცინცაძე. *ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XIV სს.).* თბ., 1954, გვ. 174). ნაწარმოებს ეპოქის იდეოლოგიური სულისკვეთების ამსახველად მიიჩნევს შ. ნუცუბიძე (შ. ნუცუბიძე. *ქართული ფილოსოფიის ისტორია.* II, თბ. ,1958, გვ. 17). ამავდროულად აღინიშნა განსხვავებული თვალსაზრისიც. ვ. აბაშმაძის შეხედულებით *გალობანის* ყოველი ცალკეული ნაწილის ერთი აბზაცის ერთ ნაწილში მოცემულია რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგიის უმთავრესი მოთხოვნა, რომლითაც ხელმძღვანელობდა დავით აღმაშენებელი სამეფო ხელისუფლების განხორციელებისას და შემდეგ, იმავე აბზაცის სხვა ნაწილში – თეოლოგიაზე

დამყარებული შუა საუკუნეების რელიგიურ-სქოლასტიკური დებულებანი. მკვლევრის დასკვნით, დავით აღმაშენებელი გატაცებული ყოფილა ამქვეყნიური, ლაღი და თავისუფალი ცხოვრებით და პირად ცხოვრებაში არასდროს იცავდა რელიგიურ-ასკეტურ დოგმატებს (ვ. აბაშმაძე. *ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან.* თბ., 1969, გვ. 336). ეს ჰიპოთეზა სამეცნიერო ლიტერატურაში უარყოფილ იქნა. დავით აღმაშენებელი საისტორიო წყაროებში დადებით პიროვნებად არის დახასიათებული. ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხული. აქედან გამომდინარე ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისის არამართებულობა თავისთავად ცხადია. მკვლევრები არ ეთანხმებიან დავით აღმაშენებლის უარყოფით პიროვნების წარმოდგენის მცდელობას და მიუთითებენ, რომ იგი წარმოადგენს იმ დროს გავრცელებული 'სინანულის ჟანრის' ლიტერატურულ ნაწარმოებს. მ. კაკაბაძის აზრით, *გალობანი სინანულისანის* ავტორი გვევლინება საერთოდ როგორც კაცობრიობის ცოდვათა თავმდები (მ. კაკაბაძე. *დავით აღმაშენებლის და დემეტრე მეფის ლირიკა.* მნათობი, 1964, #4. გვ. 149). ასეთსავე აზრს გამოთქვამს ნ. ნათაძეც. იგი მიუთითებს, მიუხედავად სუბიექტურობისა ძეგლში ძლიერია დოქტრინული ზოგადქრისტიანული მხარე – ცოდვა, რომელზეც საუბარია, შეეხება ზოგადად კაცის ცოდვილობას და არა პირადად თავისი (ნ. ნათაძე. დროთა მიჯნაზე, თბ., 1974,. გვ. 50).

თხზულების მეცნიერული ანალიზი მოცემულია ლ. გრიგოლაშვილის გამოცემაში. გამოცემა განხორციელებულია თერთმეტი ხელნაწერის მიხედვით. თუმცა როგორც მკვლევარი თვითონ მიუთითებს, ძირითად ნუსხად აურჩევია B ხელნაწერი. ხელნაწერს სწორი ფორმებისა და უფრო ზუსტი წაკითხვების ჩვენებით გამოარჩევს. გამოცემას წამძღვარებულ წინასიტყვაობაში მოცემულია გამოკვლევა – საგულისხმო პარალელები აქვს დაბეჭდილი *საღმრთო წერილთან* და ძველი ავტორების თხზულებებში. მკვლევარი შეეხება ამ დანიშნულების თხზულების შექმნის ფაქტს და აღნიშნავს, რომ ამგვარ ადამიანთა ბიოგრაფიაში საძიებელია არა რაიმე კონკრეტული შეცოდებანი, არამედ ზნეობრივი სიმაღლე, რომელსაც განსაზღვრავს ჩადენილ შეცდომათა შეგნების არაჩვეულებრივი უნარი... დავითის სინანული უნდა განისაზღვროს არა ავტორის ბიოგრაფიის დეტალებით, არამედ იმ ზოგადი ქრისტიანული იდეით, რომლის თანახმადაც ყოველი ადამიანი ცოდვილია... (ლ. გრიგოლაშვილი. *დავით აღმაშენებლის "გალობანი სინანულისანი".* თსუ შრომები. 165. 1975. გვ. 179-195).

თხზულება საგანგებოდ აქვს შესწავლილი ზ. ჭავჭავაძეს. მკვლევარი იმის გათვალისწინებით, რომ გამოავლენს ლ. გრიგოლაშვილისეულ გამოცემაში მნიშვნელოვან ხარვეზებს, თვლის, ძეგლი საჭიროებს ხელახალ საფუძვლიან შესწავლას. სამეცნიერო ლიტერატურაში დღის წესრიგში იდგა ყველა ნუსხის საფუძველზე დადგენილი ტექსტის გამოცემა. ამ პრობლემის გადაწყვეტას ემსახურებოდა ზ. ჭავჭავაძისეული პუბლიკაცია. თავის გამოკვლევაში მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს ტექსტის გამოსაცემად მოსამზადებლად ჩვენამდე მოღწეულ ნუსხათაგან რომელიმეს ძირითადობის ნიშნით გამორჩევის არამართებულობას. ყველა ხელნაწერის შედარებითი ანალიზის საფუძველზე კი იგი ასკვნის, რომ დღემდე მოღწეულ ნუსხათაგან არც ერთი არ არის ავტორისეული, გვიანდელი გადანუსხულია. აქვე მიუთითებს, რომ 'გალობანი' კანონს ნიშნავს და არ არის წიგნის სათაური (ზ. ჭავჭავაძე. ლიტერატურისმცოდნეობა კრიტიკა, პუბლიცისტიკა, თარგმანი. თბ., 1993).

2005 წელს კიდევ ერთი საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ლ. გრიგოლაშვილმა *გალობანი სინანულისანის* ანალიზს. ამჯერად ნაშრომში ტექსტის დადგენასთან ერთად წარმოჩენილია მისი მხატვრული ღირებულება – თუ რა განსაზღვრავს *გალობანის* ემოციურ ძალას. ნაშრომში მხატვრული სპეციფიკის საკითხები განხილულია ქართული და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის საერთო პრობლემების გათვალისწინებით. ე.ი. ორიენტირებულია ნაშრომის არსის წარმოჩენაზე. ჩატარებული კვლევების საფუძველზე ასკვნის, რომ თხზულება არის თავისი ღრმა შინაარსითა და მაღალმხატვრული ფორმებით იმდროინდელი ეპოქის იდეოლოგიურსა და ესთეტიკურ მრწამსს გამოხატავს და თვალნათლივ გვიჩვენებს ქართული ჰიმნოგრაფიის მაღალ განვითარების საფეხურს. ნაშრომში წარმოდგენილია 11 ხელნაწერის მიხედვით (ძირითად ნუსხად გამოყენებული აქვს ისევ B ხელნაწერი უძველესობის ნიშნით) გამართული ტექსტი, რომელსაც ახლავს სადავო წაკითხვების შეძლებისდაგვარი დასაბუთება, სიმფონია-ლექსიკონი და ტექსტში საკუთარ სახელთა საძიებელი. დაბეჭდილია და მითითებულია ძეგლის წყაროები ძველი და ახალი

აღთქმის წიგნებიდან (ლ. გრიგოლაშვილი. დავით აღმაშენებლის "გალობანი სინანულისანი". თბილისი: თსუ. 2005).

ქართული მწერლობის გამორჩეული ნიმუშის *გალობანი სინანულისანის* ფართო სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსატანად დიდი მნიშვნელობა აქვს მის უცხო ენაზე თარგმნას. ძეგლი ლ. გრიგოლაშვილის მიერ დადგენილი ტექსტის მიხედვით ითარგმნა რუსულ (პროზაულად გადმოღებულ იქნა ლ. გრიგოლაშვილის, ხოლო ლექსად გაწყობილი ა. გოგეშვილის მიერ) და გერმანულ (ვ. ოფერმანსის მიერ 1989 წ.), აგრეთვე ინგლისურ (ლ. ჯოხაძის მიერ 1996 წ.) ენებზე. თარგმანებს წამძღვარებული აქვს ლ. გრიგოლაშვილისეული წინასიტყვაობა.

უკანასკნელ ხანს ძეგლი ითარგმნა პოლონურ ენაზე ვარშავის უნივერსიტეტის ქართველი პროფესორის დ. ყოლბაიას მიერ. მთარგმნელი თარგმანის წყაროდ იყენებს ზ. ჭავჭავაძისეულ კრიტიკულ გამოცემას. თარგმანი გამოიცა 2011 წელს ვარშავაში "ოფიცინა ოლშინკას" გამომცემლობაში.

თარგმანს ერთვის ბოლოთქმა, სადაც წარმოჩენილია ავტორის მსოფლმხედველობა, რელიგიური განათლება, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დამსახურება. აღნიშნულია, რომ თექვსმეტი წლის ასაკში გამეფებულმა დავით IV-მ, გონივრული პოლიტიკისა და ბრწყინვალე სტრატეგიის წყალობით ქვეყანა პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა, გაანთავისუფლა უცხო დამპყრობთაგან, დაიხსნა თბილისი, გააფართოვა სამეფოს საზღვრები, განამტკიცა სახელმწიფო და საეკლესიო შინაგანაწესი. რაც შეეხება მეფის დამსახურებას ქართული მწერლობის განვითარებაში, მთარგმნელი მიუთითებს, რომ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ჰიმნოგრაფიის განვითარებაში. დ. ყოლბაიას თვალსაზრისით დავით მეფე თავისი შედევრით *გალობანი სინანულისანი* უერთდება შუასაუკუნეების ისეთ გამორჩეულ ავტორებს, როგორიცაა, მაგ., ანდრია კრეტელი, ეფრემ ასური.

ბოლოთქმაში წარმოჩენილია, აგრეთვე, ისტორიული ეპოქა, რომლის დროსაც შეიქმნა ქართული ჰიმნოგრაფიული ნიმუში. საუბარია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, რათა საკითხით დაინტერესებული უცხოელი სპეციალისტისათვის ნათელი გახდეს, თუ განვითარების რა საფეხურზე იდგა ქვეყანა, რომლის მეფემ შექმნა მსოფლიო მწერლობის ნიმუში. მითითებულია, რომ ამ დროს მიიღო საქართველოში ბერმონაზვნობამ საყოველთაო ხასიათი. ქართული მონასტრები საქართველოში თუ მის საზღვრებს გარეთ (სირია, პალესტინა, ათონი, კონსტანტინოპოლი) კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებს წარმოადგენდნენ. ამ პერიოდში ქართული ფილოსოფიის და ქრისტიანული ლიტერატურის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა საბერძნეთიდან, მათ შორის, პეტრიწონის მონასტრიდან დაბრუნებულმა სწავლულებმა. დავით მეფის თაოსნობით იქნა დაფუძნებული გელათის მონასტერი (1106). ამავე პერიოდში შეიქმნა საქართველოში სხვა დიდი საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრები, მაგალითად, იყალთო, გრემი, რომელთა მნიშვნელობა შეუცვლელია ქვეყნის სულიერი ისტორიისათვის.

წიგნის ბოლო გვერდზე განთავსებულია ზურაბ ჭავჭავაძის მეგობრის, აღნიშნული გამომცემლობის დირექტორის ბატონ იუზეფ რუდალსკის ბოლოთქმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ პუბლიკაცია ეძღვნება მეგობრის, ზ. ჭავჭავაძის ნათელ ხსოვნას.

დაბოლოს, თხზულების უცხო ენაზე თარგმნა დიდმნიშვნელოვანი საქმიანობაა, რაც მისი შესწავლისა და პოპულარიზაციის საფუძველია. ვინაიდან თარგმანით ფართო სამეცნიერო საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი XI საუკუნის ქართული სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვარი.

The Canon of Repentance by David the Builder in Polish Translation

Ketevan Mania

The Canon of Repentance by Georgian king David the Builder (1089-1125) represents unique monument of medieval Georgian literature. It is a valuable historical source as well.

The above mentioned writing was investgated by many scholars. The translations in various languages are available.

The present review introduces Polish translation of the monument recently published in Poland. The translation was accomplished by the Professor of Worsaw University David Kolbaia.

საყურადღებო ნაშრომები ქართულ ნუმიზმატიკაში

ქეთევან მანია

ნუმიზმატიკურ ძეგლებს საქართველოს ისტორიის წყაროთა ბაზაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. ისინი წყაროთა თავისებურ კომპლექსურ ტიპს განეკუთვნებიან, რომელთაც ახასიათებთ ნივთიერი, სახვითი, წერილობითი წყაროების ნიშნები. ნუმიზმატიკური წყაროების ანალიზი წინაპირობას ჰქმნის როგორც კონკრეტული საკითხების შესწავლისათვის, ასევე თეორიულ პრობლემატიკაზე დაკვირვების თვალსაზრისით. მკვლევართათვის ნათელი იყო ის ფაქტი, რომ მათზე მოთავსებული ნიშნების შესწავლა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებას. აღნიშნული ძეგლების ასეთი მრავალმხრივი მნიშვნელობა მეცნიერების მიერ ადრიდანვე იქნა გაცნობიერებული. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ძეგლების გამოკვლევას მიეძღვნა მეტად საინტერესო ნაშრომები. ქართული ნუმიზმატიკის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება, XIX ს-ში ხდება. ამ დარგის ფუძემდებლად საქართველოში ნ.ბარათაშვილია მიჩნეული ნაშრომით *Нумизматические факты грузинского царства* მკვლევარმა ფრანგულ და რუსულ ენებზე გამოსცა (ქართულ ენაზე მოკლე შენიშვნა-განმარტებებითურთ) ახ.წ. IV ს. ე.წ. ხოსროიან-იბერიული მონეტები. შემდეგში ამ სფეროში კვლევებს აწარმოებდნენ მ. ბროსე, ი. ბართლომეი, ვ. ლანგლუა, ვ. პახომოვი. XX ს-ის I მეოთხედში უკვე მყარი საფუძველი არსებობდა თეორიული ხასიათის ნაშრომის შესაქმნელად. ამ მხრივ განსაკუთრებულია ი. ჯავახიშვილის დამსახურება. მეცნიერმა გამოაქვეყნა თეორიული გამოკვლევა საფას-საზომების შესახებ, სადაც განხილულია წერილობითი წყაროების მონაცემების საფუძველზე ზომა-წონის ერთეულები და მონეტები, ხელნაწერებში დაფიქსირებული სათანადო ტერმინები. აღსანიშნავია ს.კაკაბაძის, ასევე თ. ლომოურის, ს. მაკალათიას, ინგლისელი ქართველოლოგის დ. ლანგის საქმიანობა ქართული ნუმიზმატიკის დარგში.

XX ს-ის II ნახევარში ნუმიზმატიკური წყაროების შესწავლა ინტენსიურად გრძელდება. გამოქვეყნდა ნაშრომები ქართულ და რუსულ ენებზე, შესაბამისად, ქართველი და უცხოელი ავტორების მიერ. მეცნიერები აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ როგორც პუბლიკაციის მხრივ, ასევე, მათთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებაში. ამ კუთხით საყურადღებოა თ. აბრამიშვილის, ა. ბოლტუნოვას, კ. გოლენკოს, გ. დუნდუას, თ. დუნდუას, გ. ვართანოვის, მ. ინაძის, დ. კაპანაძის, ა. კახიძის, გ. ლორთქიფანიძის, ო. ლორთქიფანიძის, რ. ქებულაძის, თ. ქუთელიას, ი. ცუხიშვილის, მ. წოწელიას, ი. ჯალაღონიას, ნ. ხოშტარიას და ა.შ. შრომები.

უკანასკნელ ხანს ქართული ნუმიზმატიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მკვლევრებმა – მამა-შვილმა გ. დუნდუამ და თ. დუნდუამ. სამეცნიერო საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მკვლევრებმა გამოსცეს ქართული ნუმიზმატიკის სახელმძღვანელო პირველი ნაწილი, რომელიც მოიცავს ძვ.წ. VI – ახ.წ. VIII სს. ქართული და საქართველოში გავრცელებული უცხოური მონეტების მიმოხილვას. ავტორები აგრძელებენ ამ თვალსაზრისით მუშაობას და ქართული ნუმიზმატიკის განვითარების ისტორიით დაინტერესებულ სპეციალისტებს ჰპირდებიან შემდგომი პერიოდის შესწავლას. ამის ერთგვარ წინაპირობას წარმოადგენს უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული ნაშრომები.

ნაშრომში *XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ემისიები* (თბილისი: მერიდიანი. 2010) წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნულ სახელმძღვანელოში მოკლედ და სქემატურად განხილული ორი დავითის მონეტისა და საერთოდ უკომენტაროდ დარჩენილი კირმანეულის ისტორიოგრაფია, ასევე მოცემულია "ცხუმური თეთრის" და ვამეყ დადიანის მონეტების მოკლე ისტორიული ექსკურსი.

აღნიშნულ გამოკვლევაში წარმოდგენილია მსჯელობა ჩვენამდე სულ ათიოდე ცალად მოღწეული ორი დავითის მონეტების თარიღთან დაკავშირებით, ასევე მათზე მოთავსებული

ზედწერილის – "დავით მეფე" და "მეფეთ მეფე დავით", დადგენის შესახებ. ორი დავითის მონეტის პროტოტიპად დასახელებულია ბიზანტიის იმპერატორების იოანე II-ის და მიხაელ VIII-ის მიერ გამოშვებული წიმუშები.

ასევე საინტერესოდ არის მიმოხილული კირმანეულის კვლევის ისტორია. როგორც გამოკვლევიდან ჩანს, ნუმიზმატ დ. კაპანაძის თვალსაზრისით, მონეტების ემისია საგანგებოდ განხორციელებულა. საქართველოში გათხოვილმა იოანე II-ის დამ – თეოდორამ, საქართველოს ჯარების დახმარებით, დროებით ხელში ჩაიგდო ტრაპიზონის იმპერიის ტახტი. მკვლევრის ვარაუდით, საქართველოს ხელისუფლება თეოდორას დაეხმარა არა მარტო ჯარით, არამედ – ფულითაც. სწორედ ამ მიზნით განახორციელებულა იმ ქვეყნის ვალუტის ემისია, სადაც იგზავნებოდა "დამხმარე ჯარი". აღნიშნულ თვალსაზრისს ჰიპოთეზად მიიჩნევენ გ.დუნდუა, თ. დუნდუა. ისინი თვლიან, რომ ის არ არის ადგილობრივი, ქართული ტერმინი. თავდაპირველად მხოლოდ მანუილ I-ის ასპრებს აღნიშნავდა, რაც შემდეგში ზოგადად ტრაპიზონის მონეტებზე და მათ ქართულ მინაბაძებზე გავრცელებულა.

მიმოხილვაში მოცემულია ისტორიულ საბუთებში კირმანეულთან ერთად იშვიათად მოხსენიებული "ცხუმური თეთრის" ისტორიოგრაფია. მიუხედავად იმისა, რომ სასისხლო საბუთები, რომლებშიც აღნიშნული მონეტები მითითებულია, სამეცნიერო ლიტერატურაში ნაყალბევად იქნა გამოცხადებული, ნაშრომის ავტორები მათ გამოყენებას ნუმიზმატიკური მიზნებისათვის შესაძლებლად თვლიან (აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სასისხლო სიგელების როგორც დოკუმენტების მნიშვნელობა და მათი ისტორიულ რეკონსტრუქციაში ჩართვის შესაძლებლობა აღნიშნული აქვს ს. კაკაბაძეს. – ქ.მ.). თუმცა სხვა მხრივაც გამოირკვა იმ სასისხლო სიგელების მნიშვნელობა, სადაც "ცხუმური თეთრია" მოხსენიებული. ისინი იმ თვალსაზრისითაც აღმოჩნდა საგულისხმო, რომ ამ ინფორმაციის მიხედვით, შუა საუკუნეების საქართველოში დოკუმენტურად დასტურდება კიდევ ერთი ზარაფხანის ფუნქციონირების ფაქტი. ტერმინები "ცხუმური თეთრი" და "სებასტოპოლის ასპრი" არ შეიძლება სხვა რამეს ნიშნავდეს, თუ არა ცხუმში მოჭრილ მონეტას. ამასთან აქვე წარმოდგენილი აქვთ მკვლევრებს საქართველოს ტრაპიზონის იმპერიასთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის დასადასტურებლად ტრაპიზონის ორიგინალური ასპრების გავრცელების ტოპოგრაფიული მონაცემები.

შემდეგი ნაშრომი, რომელიც მკვლევართა მონოგრაფიის *ქართული ნუმიზმატიკა.* (ნაწილი I) ერთგვარ დამატებას წარმოადგენს, არის *XIV საუკუნის აღმოსავლურქართული ემისიები.* (თბილისი: მერიდიანი. 2010). ნაშრომში წარმოდგენილია მსჯელობა გიორგაული თეთრის ემისიისა და საქართველო-ოქროს ურდოს ურთიერთობის საკითხის დადგენის შესახებ. ნაშრომს ერთვის ტაბულები.

ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით გიორგი ბრწყინვალემ 1330 წელს ხარკის გადახდა შეუწყვიტა მონღოლებს, რაც დამოუკიდებლობის მოპოვებას ნიშნავდა, და განახორციელა ფინანსური ცვლილებები, ე.ი. მოჭრა საკუთარი მონეტა, რომელიც "გიორგაულ თეთრად" არის წოდებული. გ. დუნდუა, თ. დუნდუა მიუთითებენ, რომ აღნიშნული შეხედულება წინააღმდეგობაში ექცევა სპარსული წყაროების მონაცემებთან. ეს უკანასკნელი მონაცემები ქართული ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულების გადახედვის აუცილებლობის საკითხს აყენებდა. საკითხის გადაწყვეტის მიზნით მკვლევრები მიმართავენ რა ქართული სამართლის წიგნს – ბექა აღბუღას სამართალი და ვახტანგ VI-ის სიტყვებს 'პირველ ჟამურს თეთრს გიორგაულს ეძახიან', შემდეგ დასკვნამდე მიდიან: ბექა-აღბუღას სამართლის შესავალში იგულისხმება არა გიორგი ბრწყინვალის მიერ მოჭრილი ეროვნული მონეტა, არამედ ფულის ის ნიშნები, რომლებიც საქართველოში ბრუნავდა მისი მეფობის პერიოდში, სახელდობრ უკანასკნელი ილხანების სახელით მოჭრილი მონეტები; სპეციალურ ლიტერატურაში "გიორგაულად" მიჩნეული მონეტების მოჭრა გიორგი ბრწყინვალის მიერ სრულებით არ არის გამორიცხული, მაგრამ თუ ამოსავალად აღბუღას სამართლის ცნობებს მივიღებთ, ამ მონეტების "გიორგაულად" მიჩნევის საკითხი თავისთავად მოიხსნება, რადგან იქ აშკარად სხვა ფულია ნავარაუდევი; დღესდღეობით ამ მონეტების მიკუთვნება გიორგი VIII-ის მეფობის პირველი წლებისათვის, უფრო მიზანშეწონილი ჩანს.

რაც შეეხება საქართველო-ოქროს ურდოს ურთიერთობის საკითხს, ქართულ წყაროებში მწირია ამის თაობაზე ინფორმაცია. ამ ვაკუუმს გარკვეულწილად ავსებენ ნუმიზმატიკური ძეგლები. სწორედ ასეთი ფაქტების დაცულობა განაპირობებს მათი, როგორც ისტორიული რეკონსტრუქციისათვის მნიშვნელოვანი, წყაროების განსაკუთრებულობას. ამ შემთხვევაში ირკვევა, რომ XIV ს-ის 50-იან წლებში საქართველო ხანმოკლე დროით ჯუჩის ულუსის გავლენის სფეროში იყო მოქცეული. ამის საილუსტრაციოდ დასახელებულია ხაშურის რაიონში აღმოჩენილი სამონეტო კომპლექსი, აღმოჩენა ახსნილია ინტენსიური ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობით – ქვეყნის სამონეტო ცირკულაციაში აქტიურად იყო ჩაბმული ილხანთა სახელით მოჭრილი მონეტები, რომელთა გავრცელების ტოპოგრაფიად დასახელებულია აღმოსავლეთ საქართველო.

კიდევ ერთი ნაშრომი, რომელიც ასევე მკვლევართა მონოგრაფიის *ქართული ნუმიზმატიკა.* (ნაწილი I) ერთგვარ დამატებას წარმოადგენს, არის *XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა ემისიები.* (თბილისი: მერიდიანი. 2011). ნაშრომს ერთვის ტაბულები.

ნაშრომი ეძღვნება XV ს-ის ქართული მონეტების მიმოხილვას. ამ პერიოდისათვის ქვეყანაში არსებულმა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ ასახვა ჰპოვა მონეტებზე. დაკნინდა XV ს-ის ქართული მონეტები: დაეცა წონა, ხარისხი, გაფორმება, მონეტებს არ უზის თარიღი, დამახინჯებულია წარწერები, რაც ართულებდა პალეოგრაფიულ ანალიზს. მაგრამ დამახინჯებულწარწერიანი მონეტების მეტ-ნაკლები სიზუსტით განსაზღვრა ასე თუ ისე მაინც ხერხდებოდა. განსხვავებული ვითარება შეიქმნა ანეპიგრაფიკული მონეტების შესწავლის თვალსაზრისით. ნუმიზმატიკურ მეცნიერებაში არსებული ამ ვაკუუმის შევსების მხრივ, განსაკუთრებული როლი შეასრულა 1938 წლის გორის არქეოლოგიურმა აღმოჩენამ, რომლის დროსაც გამოვლინდა განძი 10 000-მდე მონეტით. ნაშრომში მოცემულია არქეოლოგიური მონაპოვრის შესწავლის შედეგები. წარმოდგენილია XV ს-ის ნუმიზმატიკური მასალის აღწერილობა, მსჯელობა მათ დათარიღებაზე, აგრეთვე სინქრონული უცხოური მონეტებისა და წერილობითი წყაროების ცნობების საფუძველზე საქართველოში სამონეტო მიმოქცევის საკითხის ანალიზი. ლორეს, ლაგოდეხის, ცხინვალის, დუშეთისა და ხაშურის განძები მკვლევართ წერილობითი წყაროების მონაცემების არქეოლოგიური მონაპოვრებით გამყარების შესაძლებლობას აძლევთ, რითაც დასტურდება საქართველოში ადგილობრივ მონეტებთან ერთად, უცხოური – შირვანული თანგების, ვენეციური დუკატების, ოთმანური ფულის მიმოქცევა.

მეორე საკითხი რომელიც მიმოხილულია ნაშრომში არის *სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა XVI ს-ის საქართველოში.* საკითხის აქტუალობა იმითაც იყო განპირობებული, რომ XVI ს-ის ქართული მონეტები ყველაზე ნაკლებად იყო შესწავლილი. XVI ს-ში ქართველი მეფეები საკუთარი სახელით ახორციელებდნენ სამონეტო რეგალიას – დავით X (1505-1525 წწ.) ქართლში, გიორგი II იმერთ მეფე (1565-1585 წწ.) და, შესაძლებელია, ასევე იმერთ მეფე ბაგრატ III (1510-1565 წწ.). გარდა ამისა, დაუდგენელი ემიტენტის მიერ საქართველოში იჭრება და ინტენსიურად მიმოიქცევა თურქული ახჩების და სპარსეთის შაჰის თაჰმასპ I-ის (1524-1576 წწ.) მონეტების იმიტაციები. უცხოური მონეტებიდან მიმოქცევაში იყო ვენეციური ოქროს დუკატები და ოსმალური ალთუნები. ამავე დროს ფუნქციონირებას XVI ს-ში იწყებს ზაგემის ზარაფხანა კახეთში და აქ მოჭრილი ირანული ტიპის მონეტები ასევე ტრიალებს საქართველოს ფარგლებში. ეჭვ გარეშე მიიჩნევენ აგრეთვე ევროპული მონეტების ცირკულაციას.

უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა მკვლევართა კიდევ ერთი ნაშრომი *ქართული ნუმიზმატიკა.* (ნაწილი II. თბილისი: მერიდიანი. 2011). ნაშრომი ეძღვნება XIII-XIX სს. ქართული და უცხოური მონეტების მიმოხილვას. როგორც ავტორები თავად გვპირდებოდნენ, მეორე ნაწილში შესულია ადრე გამოქვეყნებული ცალკეული პერიოდის (XIII-XVI სს.) მიმოხილვისადმი მიძღვნილი ნაშრომები. აგრეთვე, მომდევნო პერიოდის (XVII-XIX სს.) ნუმიზმატიკური ნიმუშების შესწავლის ანალიზი. ნაშრომს ერთვის შენიშვნები და ტაბულები.

ვინაიდან წიგნში შესული XIII-XVI სს. ნუმიზმატიკური ძეგლების განხილვას ზემოთ უკვე შევეხე, როდესაც ცალკეული ნაშრომების მიმოხილვა წარმოვადგინე, ამჯერად, შევეხები შემდგომ პერიოდს – XVII-XIX საუკუნეების ნიმუშების განხილვას. გამოკვლევა, როგორც ზემოთ წარმოდგენილი მათივე ავტორობით შესრულებული ნაშრომები, გამოირჩევა კომპლექსური

ანალიზით ანუ კვლევა წარმოდგენილია ნუმიზმატიკური და წერილობითი წყაროების შეჯერებითი შესწავლით და შესრულებულია ქრონოლოგიური პრინციპით.

XVI-XVII საუკუნეები ერთ-ერთი ურთულესი პერიოდია საქართველოს ისტორიაში, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ნუმიზმატიკურ ძეგლებშიც. წამოიჭრა საქართველოს ზარაფხანებში ირანის შაჰის სახელით მოჭრილი მონეტების კუთვნილების საკითხი – იყო თუ არა ქართული ნუმიზმატიკური ძეგლები. ავტორები გვთავაზობენ საკითხის ისტორიოგრაფიას და თავიანთ თვალსაზრისს ამასთან დაკავშირებით – წერილობითი წყაროების ცნობების საფუძველზე გამორიცხავენ დ.კაპანაძის გამოთქმულ თვალსაზრისს – თბილისში ირანის შაჰის სახელით მოჭრილი მონეტები "საკუთრივ ქართული" ნუმიზმატიკური ძეგლებია. მკვლევრები, იმის გაასაზრებლად თუ რომელი ქვეყნის მემკვიდრეობას წარმოადგენდა ირანის შაჰების სახელით მოჭრილი ვერცხლისა და თბილისის ზარაფხანის სპილენძის ანონიმური მონეტები, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ რეგალიის საკითხს და ასკვნიან, რომ, როდესაც ქართველი მეფე-მთავრები საკუთარი სახელით ჭრიან მონეტებს, ბუნებრივია, რეგალიის უპირატესობა მათი პრეროგატივაა, შესაბამისად ეს მონეტები ქართული ნუმიზმატიკური ძეგლებია. ხოლო როდესაც საქართველოს ნებისმიერ ზარაფხანაში, ვინც არ უნდა აკონტროლობდეს მას, მონეტა იჭრება მხოლოდ და მხოლოდ ირანის შაჰის სახელით, ის სპარსეთის ნუმიზმატიკის კუთვნილებაა.

ნაშრომში შესწავლილია საქართველოში აღმოჩენილი XVII-XVIII საუკუნეების უცხოური მონეტები – ოსმალური, ირანული, ევროპული. აქ წარმოდგენილია მონეტების აღწერილობა, მსჯელობა შემოსვლის გზებზე, გავრცელების ტოპოგრაფიაზე.

შემდგომ ქრონოლოგიურად მოდის საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდი და შესაბამისად, მოცემულია ამ დროისათვის გავრცელებული მონეტების შესახებ მსჯელობა. ნაშრომის ეს ნაწილი მკვლევრების მიერ ასეა დასათაურებული: *1804-1834 წლებში თბილისში მოჭრილი რუსული ფული*. მოცემულია თბილისში მოჭრილი რუსული ნომინალების აღწერა. რუსეთის მთავრობამ ვერცხლის და სპილენძის მონეტებისათვის საერთო ტიპი შეიმუშავა და დაამტკიცა.

ჩემს მიზანს არ შეადგენდა მთლიანად განმეხილა ნაშრომში გამოთქმული ესა თუ ის აზრი, მხოლოდ შევჩერდი ზოგიერთი საკითხის ანალიზზე, რათა აღმენიშნა ნაშრომის მნიშვნელოვნობა საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციისათვის.

ნაშრომის ღირსებას, როგორც ეს დასკვნით ნაწილში მართებულად მითითებულია, წარმოადგენს ისტორიციზმი. ნაშრომის მნიშვნელოვანი სიახლეა ის გარემოებაც, რომ მკვლევრები ქართული ნუმიზმატიკის განვითარების მიმოხილვას გვთავაზობენ კომპლექსურად – ქართული მონეტების განხილვასთან ერთად მოცემულია საქართველოს სამონეტო მიმოქცევაში არსებული უცხოური მონეტების კვლევის ისტორიოგრაფიული მიღწევები თუ ზოგ შემთხვევაში ახლებური ხედვები და დაზუსტების მცდელობები.

ამდენად, განხილული ნაშრომები თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ნუმიზმატიკური ძეგლების კვლევის ისტორიის წარმოჩენა ნუმიზმატიკური მეცნიერების განვითარებისათვის, და, საერთოდ, საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ ეპიზოდის შესწავლა-რეკონსტრუქციისათვის.

Valuable Investigations in Georgian Numismatics

Ketevan Mania

As it well known coins represent a very special (complex) type of historical sources.

The review introduces several academic works by Professor Giorgi Dundua and Professor Tedo Dundua showing the importance of these contributions for concrete historical representations as well as theoretical generalizations in field of source-studies.

წელიწდეული *წახნაგი*: 2009-2010 წლების გამოშვებები

მარინე ქადაგიძე

წელიწდეულის – *წახნაგის* I და II გამოშვება 2009 და 2010 წელს გამოიცა მერაბ ღაღანიძის რედაქტორობით. წელიწდეული მიზნად ისახავს ფილოლოგიური ძიებების ასახვას ენისა და ლიტერატურის წახნაგთა მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

წელიწდეულში წარმოდგენილია სხვადასხვა თემატიკის და ჟანრის ფილოლოგიური კვლევის შედეგები, როგორც ქართული, ისე არაქართული ენობრივი და ლიტერატურული სამყაროდან.

კრებულს, კერძოდ, 2009 წლის გამოშვებას აქვს შემდეგი რუბრიკები: *ნარკვევი,ლექცია, პუბლიკაცია, მასალა, პორტრეტი, გამოხმაურება, ქრონიკა*. ბოლოში წარმოდგენილია მოკლე ინფორმაცია ავტორების შესახებ.

კრებული იხსნება რედაქტორის წინათქმით.

რუბრიკაში *ნარკვევი* იბეჭდება რამდენიმე ნაშრომი.

ნინო დობორჯგინიძის ნაშრომში *ქართული ენის ფუნქციური და თვისობრივი ლეგიტიმაციის საკითხები შუა საუკუნეებში* ისტორიული სოციოლინგვისტიკის სფეროს განეკუთვნება. ქართული ენის ფუნქციონირების ცალკეული საკითხები ინტერპრეტირებულია კულტურულ, პოლიტიკურ და რელიგიურ კონტექსტში. მკვლევარი განიხილავს ქართული ენის ფუნქციური და თვისობრივი ლეგიტიმაციის საკითხს. მისი მითითებით, შუა საუკუნეებში ქართული ენა ფუნქციურად ბერძნულის ტოლია, ხოლო თვისებრივად – არა. ნათესავით ქართველი და განსწავლულობით ბერძენი' – ეს კულტურული თანასწორობის ის საფეხურია, რომლის მიღწევაც ქართველს უნდოდა. ნ.დობორჯგინიძე აღნიშნავს, რომ შედარებით ღარიბი სალიტერატურო ტრადიციების მქონე ნაციონალური ენების მისამართით გამოთქმული საყვედურები იქცა ამ ენების გამომხატველობით საშუალებათა გამდიდრების, სამეცნიერო ტერმინების შექმნის, თარგმანების დახვეწისა და საბოლოოდ ბერძნულთან მათი ღირსეული მეტოქეობის წინაპირობად.

შუქია აფრიდონიძე სტატიაში *პოეტური მიმართვა ქართულ პოეზიაში* განიხილავს დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და გალაქტიონ ტაბიძის პოეტურ ნაწარმოებებს. მისი თქმით, მეოცე საუკუნის ახალმა მიმდინარეობებმა მნიშვნელოვნად შეცვალა მანამდე არსებული ესთეტიკური და იდეოლოგიურ-ეთიკური ღირებულებები, შეცვალა პოეტური მიმართვის ადრესატებიც და მათდამი დამოკიდებულებებიც.

რამაზ ქურდაძე სტატიაში *ზოგი სიტყვის წარმომავლობისთვის ქართულ ჟარგონში* აღნიშნავს, რომ ქართული ჟარგონის შესწავლისათვის აუცილებელია ლექსიკურ ერთეულთა გამოწვლილვითი ანალიზი.

სალომე ომიაძე – ნაშრომში *დისკურსის დეფინიციათა ანალიზი* – ეხება თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში დისკურსის გაგებას. მისი თქმით, დისკურსის განმარტებათა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სამი მიდგომა: სტრუქტურული, ფუნქციური და სტრუქტურულ-ფუნქციური. დისკურსის სტრუქტურა ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური კომპონენტებისგან აიგება. იგი ლინგვოკულტურული ერთობის წარმომადგენელთა შორის კომუნიკაციის შინაარსის ორგანიზაციის გადაფორმების პრაქტიკას წარმოადგენს.

ირმა რატიანი ნაშრომში *ფსევდოკარნავალური ნარატივი რომანში – კულტურათაშორისი დიალოგის ფორმა*, შეეხება რომანის ჟანრის სტრუქტურულად რთულ ასპექტს. ავტორი განასხვავებს რიტუალიზაციას და კარნავალიზაციას. მისი თქმით, ანალოგები კონტაქტის გარეშე უზრუნველყოფენ კონკრეტული ლიტერატურული ტექსტების სინთეზირებას სპეციალურ კულტურულ-შემოქმედებით მოდელში.

ნინო ფირცხალავა სტატიაში *ზრუნვის არაკის რეცეფცია ლიტერატურასა და ფილოსოფიაში* აკეთებს დასკვნას, რომ ჰერდერისა და გოეთესაგან ნასესხები 'ზრუნვის სიმბოლიკა' თომას

მანის *ჯადოსნურ მთაში* სინტაგმატურ დონეზე რომანის ენობრივ ქარგაში ოსტატურად ჩაქსოვილ, დამოუკიდებლად მოქმედ, მითოსური ფონის მატარებელ ურთიერთშეწყობილ სიტყვათა ჯგუფად ანუ სინტაგმად, ხოლო ჰაიდეგერის ნაშრომში კი პარადიგმატულ დონეზე ცნებად ქცეულ პარადიგმად გვევლინება.

მაკა ელბაქიძე ნაშრომში *სივრცული დიქოტომია შუასაუკუნეების რაინდულ რომანში* განიხილავს რაინდული რომანის მთავარ სივრცულ დიქოტომიას – სასახლის კარს /ტყეს. მკვლევარი მიიჩნევს, რომ შუასაუკუნეების რაინდებიც და რომანთა ავტორებიც უხიფათოდ აღწევენ თავს ტყეს, ინარჩუნებენ იდენტობას და სრულყოფენ რაინდული კოდექსით ნაკარნახევ ღირსებებს.

ნინო საყვარელიძე სტატიის სათაურში *არის თუ არა გრიგოლ ნოსელისეული "ჰური არსობისა" ოდენ ხორციელი* გამოტანილ კითხვას პასუხობს შემდეგნაირად: გრიგოლ ნოსელის მიზანი ქადაგების მეშვეობით მრევლის ეთიკურ-მორალური აღზრდა იყო. მარტივი შინაარსის მიღმა კი სულიერი არხის ამოკითხვაა შესაძლებელი.

მაია რაფავას წერილის – *იოანე მთვარაიძე, შავი მთის ქართველი მოღვაწე*. მიზანი, როგორც თავად მკვლევარი აღნიშნავს, შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიის ნაკლული ფურცლების შევსებაა. კერძოდ, ქართველი მოღვაწის იოანე მთვარაიძის შესახებ ცნობების მოძიება-დამოწმებაა. აღნიშნული პიროვნების საქმიანობის გამოკვლევა, იოანეს თვალსაჩინო ადგილს უმკვიდრებს ქართული მწერლობის ისტორიაში.

თამარ ოთხმეზური ნაშრომში *ეფრემ მცირე და 'შერძნულად სასწავლი' სიტყვები* მიიჩნევს, რომ ქართველ მწიგნობართათვის თავიანთი ტექსტების 'ელენ-ყოფა' იყო მოწიწების გამოხატვა ბერძნული ენისა და ელინური კულტურისადმი.

ქეთევან ბეზარაშვილის ნაშრომი *რიტორიკისა და ფილოსოფიის ურთიერთმიმართების ლიტერატურულ-თეორიული ასპექტი ქართველ ელინოფილთა ნააზრევში* საინტერესოა ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწის) შემოქმედების ახლებური გაანალიზების თვალსაზრისით.

ნესტან სულავა სტატიაში *შოთა რუსთაველის პოემის სათაურის გააზრების საღვთისმეტყველო თეორიული საფუძვლები* განსაზღვრავს რუსთაველის პოემის სათაურის არსს, მკვლევარის აზრით, ეს სათაური ერთდროულად არის მეტაფორაც, სიმბოლოც, ალეგორიაც, ენიგმაც, ალუზიაც.

ზურაბ კიკნაძე ნაშრომში *გურამიშვილის იგავი* – განიხილავს *დავითიანის* დასასრულ ლექსებს. მკვლევრის დასკვნით, *დავითიანი* მთლიანობაში ერთი იგავია, მეტაფორულად 'იგავთა ხეა'.

იუზა ევგენიძე სტატიაში *ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიის ერთი საკითხი* განიხილავს მწერლის დაბადების თარიღის დაზუსტების პრობლემას. ცნობების ანალიზით იგი ასკვნის, რომ ვაჟა არა 1861 წლის 14(26) ივლისს, არამედ 1862 წლის 15 მაისს არის დაბადებული.

ქეთევან ბეზარაშვილის, თამარ ლომიძის ერთობლივ ნაშრომში *'ამაღლებულისა' და 'განსაცვიფრებელის' ცნებები ძველ ლიტერატურულ-თეორიულ ნააზრევში და გალაქტიონ ტაბიძესთან*, განხილავენ რამდენიმე ნაწარმოებს, რომლებშიც, მათი აზრით, აისახა ანტიკური ხელოვნებისა და ქრისტიანული კულტურის გალაქტიონისეული აღქმა.

რუბრიკაში *ლექცია* იბეჭდება გურამ ლებანიძის ლექცია *ფილოლოგიის შესავალი*, ლექციები 1-4. აქ წარმოდგენილია თანამედროვე ფილოლოგიის სხვადასხვა საკითხი და ასპექტი, განსაზღვრულია ტერმინები.

რუბრიკაში *პუბლიკაცია* – იბეჭდება ლელა ხაჩიძის – *ქართული ჰიმნოგრაფიის აქამდე უცნობი ნიმუშები – 'კაპრაშიულნი'*, სადაც განიხილება ათონური კოლექციის ერთ-ერთი ხელნაწერი, რომელიც ძლისპირთა კრებულია. მკვლევრის აზრით, 'კაპრაშიულნი' ისევეა ნაწარმოები, როგორც 'მეჩულიულნი', ან 'მინჩხურნი'. 'მინჩხურნი' მინჩხის ავტოროობას გულისხმობს. გამოკლვევაში პირველად ქვეყნდება ყველა ის საგალობელი, რომელიც კაპრაშის სახელითაა ცნობილი.

ამავე რუბრიკაში წარმოდგენილია ნანა ფრუიძის *აკაკის 'ოცნება'*, რომელშიც აკაკის შემოქმედებაა განხილული.

წელიწდეულში გამოქვეყნებული მასალა, ფილოლოგიურ კვლევათა საყრდენია: საარქივო-დოკუმენტური და მემუარული წყაროები, ჩანაწერები და სხვ. მასში აგრეთვე დაბეჭდილია მთიულურ-გუდამაყრული ანდრეზები, ჩაწერილი და გამოცემული ზურაბ კიკნაძის მიერ.

წელიწდეულში არის აგრეთვე *მოქცევაჲ ქართლისაჲს წმინდა ნინოს ცხოვრების* თარგმანების შესახებ ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული მასალების აღნუსხვა – კლასიფიკაცია, შედგენილი დარეჯან მენაბდის მიერ.

რუსუდან დაუშვილი შეეხება ქართველ მწერალთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნას ემიგრაციაში (XX ს-ის 20-30-იანი წწ,). ნაშრომში განხილულია ქართული კოლონების, სათვისტომოების და ასოციაციების შექმნა და მათი საქმიანობა ემიგრაციაში. აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას და გიორგი წერეთლისადმი მიძღვნილი ხსოვნის დღეებისა და საიუბილეო თარიღების აღნიშვნა მნიშვნელოვანი იყო ემიგრანტებში ქართული მენტალიტეტის შენარჩუნებისათვის და ამასთან ხელს უწყობდა უცხოეთში ქართული ლიტერატურისა და კულტურის პროპაგანდას.

2009 წლის წელიწდეულში არის რუბრიკა *პორტრეტები*. აქ შესულია – კახაბერ ლორიას *ანა კალანდაძე: არ შევალ ტაძრად, უწმინდური სადაც შევიდა* და რუსუდან ნიშნიანიძის *ოთარ ჩხეიძის ღვაწლი* წერილები, რომლებშიც ნაჩვენებია, რომ XX ს-ის ქართული ლიტერატურის ეს ორი გამორჩეული წარმომადგენელი, არიან არა მარტო მწერლები, არამედ პროფესიონალი ფილოლოგებიც.

წელიწდეულის I გამოშვებაში არის რუბრიკა *გამოხმაურებები*. აქ იბეჭდება რეზო მარსაგიშვილის *კულტურათა დიალოგი და ორენოვანი ლექსიკონი*, რომელიც 2006 წელს ლონდონში დონალდ რეუილდის რედაქტორობით ორ ტომად გამოცემულ დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონს განიხილავს და მერაბ ღაღანიძის *გურული დიალექტის მონოგრაფიული შესწავლის ნაგვიანები ნაყოფი*, რომელიც შეეხება გრიგოლ იმნაიშვილის ნაშრომს *გურული დიალექტი* .

ზაზა ფირალიშვილი ნაშრომში *ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ახალი პერსპექტივა* მიმოიხილავს 2008 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ კრებულს *ლიტერატურის თეორია. XX ს-ის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები*. რეცენზენტის თქმით, 'კრებული წარმოადგენს ძალზე დამაჯერებელ მცდელობას იმისა, რომ მკითხველებს მხატვრული სიტყვის რაობის შესაძლო გააზრებათა მთელი მრავალფეროვნება შესთავაზოს'.

ბელა წიფურია განიხილავს ირმა რატიანის ნაშრომს *ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში: ესქატოლოგიური ანტიუტოპიის ინტერპრეტაციისთვის*. რეცენზენტი ნაშრომს ქართული კულტურის ანტიტოტალიტარული გამოცდილების კლვევაში გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად აფასებს.

ამავე რუბრიკაში წარმოდგენილია ექვთიმე კოჭლამაზაშვილის *გიორგი მთაწმინდელის "თვენის" გამოცემისათვის* და გაგა ლომიძის, *ინტერტექსტუალური ანუ გლობალისტური კრიტიკა*, რომელიც ზაზა შათირიშვილის ნაშრომს *გალაქტიონის პოეტიკა და რიტორიკა* შეეხება.

წელიწდეულის პირველი გამოცემის რუბრიკა *ქრონიკა* გვაწვდის ინფორმაციას 2008 წელს ჩატარებული ჰუმანიტარული პროფილის კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარების შესახებ. ესენია: II საერთაშორისო სიმპოზიუმი *ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები*, თემატური სამეცნიერო კონფერენცია *სულხან-საბა ორბელიანი და ქართული ევროპეიზმი: ლიტერატურა, კულტურა, ცნობიერება*, რომლებიც ჩატარდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ლიტერატურის ინსტიტუტში. აქვე ჩატარდა შოთა *ლე ქსმცოდნეობის II სამეცნიერო სესია*, ხოლო *სულხან-საბა ორბელიანის სემინარი* ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის მიერ იქნა ჩატარებული.

წელიწდეულის II გამოშვება 2010 წელს გამოიცა. იგი იხსნება რუბრიკით *აკაკი 170*. ამ რუბრიკაში იბეჭდება ნანა ფრუიძის *'ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში'... ანუ ვინ არის 'სულმწყთი?'*, თამარ ლომიძის *'მამათა'* და *'შვილთა' ბრძოლა მე-19 საუკუნის საქართველოში და ზოომორფულ მეტაფორათა ფუნქცია აკაკი წერეთლის პოეზიაში*, ზურაბ კიკნაძის *ხუთი ეტიუდი ილიასა და აკაკის პოეზიიდან*, ჯულიეტა გაბოძის *'ვარანცოვის დრო' (აკაკის უცნობი ლექსების დათარილებისათვის)*, ლამარა გვარამაძის *აკაკის ორი უცნობი თარგმანი*, მერაბ ღაღანიძის *აკაკის ფაუსტური პარაბოლა* (ნაწილი პირველი) სტატიები, რომლებშიც გაანალიზებულია აკაკის მხატვრული სამყარო.

რუბრიკაში *ნარკვევი* – დაბეჭდილია მარინე ბერიძის *'მეტყველების მეოთხე ფაქტურა'* და *საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი* . მკვლევარი აღნიშნავს, რომ 'კორპუსის ლინგვისტიკის,

როგორც ენათმეცნიერების ახალი დარგის, წარმოშობა ახალი ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებას და ჰუმანიტარული ცოდნის კვლევაში მის დაკვირვებას უკავშირდება'.

ამავე რუბრიკაში შუქია აფრიდონიძე აქვეყნებს სტატიას *სემანტიკის გრამატიკული კვალი (ქართული სინონიმური ზმნების მაგალითზე).* მანანა კობაიძე – *რითმა და მახვილი ქართულ დიალექტებში (შენიშვნები ქართული ლექსთაწყობის ბუნების შესახებ).* მისი თქმით ქართული ლექსთაწყობის ბუნების კვლევისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქართული დიალექტების ჩვენება და სარითმო მონაკვეთის აგებულება, რადგან ქართული ლექსის საზომისთვის მარცვლების რაოდენობასთან ერთად სიტყვათგასაყარის მახვილი ასრულებს გადამწყვეტ მნიშვნელობას.

ირმა რატიანი ნაშრომში *ნაციონალური ლიტერატურებისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის საზღვრები* განიხილავს ნაციონალური ლიტერატურებისა და ლიტერატურული პროცესის თეორიული ანალიზის მიმართებას გლობალიზაციის პროცესთან. მისი მტკიცებით, ნაციონალური ლიტერატურების საზღვრები არსებობს და მანამდე ინარჩუნებს ინდივუდუალობას, ვიდრე ინარჩუნებს მეხსიერებას.

ირმა ყარაულაშვილი წარმოადგენს ნაშრომს *ედესის მეფე აბგარი და უფლის მიერ რჩეული მმართველის ქრისტიანული იდეის ჩამოყალიბება.* სტატიაში განხილულია სად განისაზღვრა ქრისტიანი მმართველის ტრადიციული სახე. აბგარის ლეგენდის შესწავლისას მკვლევარი ასკვნის, რომ ევსევი კესარიელმა თავის ნაშრომებში ქრისტიანული მონარქის იდეა განავითარა.

ნინო საყვარელიძე ნაშრომში – *მლოცველი, როგორც 'თანამკუთვნელ ანგელოზთა'* წმიდა მაქსიმე აღმსარებლის მიხედვით ლოცვისა და მლოცველის მნიშვნელობას განმარტავს.

ნინო დობორჯგინიძე სტატიაში *ძველ ქართველ მთარგმნელთა თეორიის ტექნიკური და მეტაფორული დისკურსი,* წარმოადგენს კვლევას იმისა თუ რა ფუნქცია ჰქონდა მშობლიურ ენას ქართველთა ისტორიაში. ქართული ენის ისტორიული სოციოლინგვისტიკის საკითხების დასმით, მკვლევარი ასკვნის, რომ ძველ ქართველ მთარგმნელთა მეგატექსტები ზოგადად თარგმნის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი წყაროა.

თამარ ოთხმეზური ნაშრომში *პინდაროსი ძველ ქართულ მწერლობაში?* აჩვენებს, რომ შუასაუკუნეების ქართული ლიტერატურა და აზროვნება, ჩართული იყო ანტიკურ და ბიზანტიურ კულტურათაშორის არსებული ღრმა კავშირის – მემკვიდრეობითობის – კონტექსტში.

გიორგი მაისურაძე სტატიაში *ეგვიპტური 'ფანტაზია' ფროიდის კომენტარი თომას მანის 'იოსებსა და მის ძმებზე'* განიხილავს ფროიდის გამოხმაურებას თომას მანის ტეტრალოგიის *იოსების და მისი ძმების* მესამე ნაწილზე *იოსები ეგვიპტეში.*

ლევან ცაგარელის ნაშრომში *ანატოლ ფრანსი, არტურ შნიცლერი და სხვები ლეოპერუცის მსოფლმხედველობრივ პრიზმაში* იკვეთება ლეოპერუცის ლიტერატურული სილუეტი.

ამავე რუბრიკაში ბელა წიფურია წარმოადგენს ნაშრომს *კულტურული/სოციოკულტურული კონფლიქტი გარდამავალ საზოგადოებაში.* ავტორის აზრით, საქართველო კვლავ წარმოჩნდება, როგორც გარდამავალი საზოგადოება.

რუბრიკა *ლექცია* – ბეჭდავს გურამ ლებანიძის – ფილოლოგიის შესავალს (ლექციების კურსი), კერძოდ, მე–5-7 ლექციებს და, აგრეთვე, ზაზა ფირალიშვილის ორ ლექციას ფილოსოფიური ტექსტის თავისებურებების შესახებ.

რუბრიკაში *პუბლიკაციები* – გამოქვეყნებულია აკაკის უცნობი წერილი *ოსმალეთის ქართველებს,* რომელსაც მოსდევს ნანა ფრუიძის გამოკვლევა *აკაკი და ოსმალოს საქართველო* და, აგრეთვე, მამია გურიელის *ალავერდი,* რომელსაც ახლავს ლამარა შავგულიძის გამოკვლევა *მამია გურიელის ლექსი ალავერდი.*

რუბრიკაში *მასალა* ქვეყნდებოდა რუსუდან დაუშვილის *შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილე ემიგრაციაში.* პუბლიკაცია ნათლად აჩვენებს. რომ ამ თარიღის აღნიშვნამ მთელი ემიგრაცია გააერთიანა.

დარეჯან მენაბდე აქვეყნებს *სულხან-საბა ორბელიანი უცხოურ ენებზე (მასალა ბიბლიოგრაფიისათვის),* ხოლო ექვთიმე კოჭლამაზაშვილი წარმოადგენს თორნიკე ჭყონიას არქივის ახლად გამოვლენილ მასალებს. ამ არქივის სრული სახით გამოცემაც იგეგმება თორნიკე ჭყონიას დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით.

რუბრიკაში *პორტრეტი* დაბეჭდილია მანანა ბუკიას *ჟორჟ დიუმეზილი (შტრიხები პორტრეტისათვის).*

რუბრიკაში *გამოხმაურება* წარმოდგენილია ახლად გამოცემული წიგნების მიმოხილვები: ირინე მელიქიშვილის *პირველი ქართული სამეცნიერო ენციკლოპედიური ლექსიკონი (ქართული ენა: ენციკლოპედია)* (2008) მაია რაფავას *ღვთის მეტყველების პირველი ქართული სახელმძღვანელო (ექვთიმე მთაწმინდელი წინამძღვარი)* (2007), ლელა ხაჩიძის *დავით აღმაშენებლის პოეზიის კვლევის შემაჯამებელი შედეგი* (ესაა მიმოხილვა ლაურა გრიგოლაშვილის, წიგნისა დავით აღმაშენებლის გალობანი სინანულისანი, 2005), ცირა კილანავას *წიგნი ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიისა და პოეტიკის შესახებ* (ესაა მიმოხილვა ნესტან სულავას წიგნისა, *ქართული ჰიმნოგრაფია: ტრადიცია და პოეტიკა*, 2006). ირაკლი კიკნაველიძის *მონოგრაფიული ნარკვევი ფილადელფოს კიკნაძის შესახებ* (ესაა მიმოხილვა შალვა რატიანის წიგნისა *ფილადელფოს კიკნაძე* 2009), დავით კახაბერის *XIX ს-ის ქართული ლიტერატურა და ქრისტიანული ტრადიცია* (ესაა მიმოხილვა გულნარა კალანდარიშვილის წიგნისა, *ტრადიცია და თანამედროვეობა ახალ ქართულ ლიტერატურაში.* 2006), გაგა ლომიძის *ქართული რეალისტური პროზის პოეტიკა* (ესაა მიმოხილვა ირმა რატიანის წიგნისა, *ქრონოტოპი ილია ჭავჭავაძის პროზაში,* 2006.), სოლომონ ტაბუცაძის *ქართული ფოლკლორის ეგზისტენციალური ისტორია* (ესაა მიმოხილვა ზურაბ კიკნაძის წიგნისა *ქართული ფოლკლორი,* 2008), დამანა მელიქიშვილის *გაფრთხილება წარსულიდან* (ესაა მიმოხილვა მარინე ბერიძის წიგნისა *პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან.* 2005 წ.), თამარ ჭუმბურიძის *ხანგრძლივი შრომის ნაყოფი* (ესაა მიმოხილვა ჰაინრიხ რორბახერის ბიბლიოგრაფიულ ნაშრომისა *საქართველო გერმანულ ენაზე. გამოცემული ნაშრომების ბიბლიოგრაფია.*

წელიწდეულის მეორე გამოცემა რუბრიკაში *ახალი წიგნები,* მკითხველს აწვდის ფილოლოგიის და მომიჯნავე დარგებში არსებული ახალი გამოცემების ჩამონათვალს.

რუბრიკაში *ქრონიკა* მოწოდებულია ინფორმაცია კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე. კერძოდ, ესენია – ლინგვისტთა II საერთაშორისო სიმპოზიუმი *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება – მემკვიდრეობა და პერსპექტივები* (2008 წ. 9-11 ოქტომბერი), საერთაშორისო კონფერენცია *ჟორჟ დიუმეზილი და კავკასია* (2009 წ. 26 მარტი), საერთაშორისო კონფერენცია *"ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები* (2009 წ. 20-21 ოქტომბერი), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი: XX საუკუნის გამოცდილება* (2009 წ. 7-9 ოქტომბერი), I საერთაშორისო სიმპოზიუმი *ქართული ხელნაწერი* (2009 წ. 19-25 ოქტომბერი), IV საერთაშორისო კონფერენცია – *ვია ეგნატია – კულტურული, პოლიტიკური, რეგიონალური იდენტობანი: – ხალხები, სახელმწიფოები წარსულში და დღეს* (2009 წ. 21-23 ნოემბერი) და ლექსმცოდნეობის III სამეცნიერო სესია (2009 წ., 27 მაისი).

წელიწდეულში გამოქვეყნებულია სამეცნიერო ნარკვევები – ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ყველა შესაძლო დარგიდან. მასში იბეჭდება ახლადაღმოჩენილი, აქამდე გამოქვეყნებული, უთარგმნელი ტექსტები ლიტერატურული, ფილოლოგიური მემკვიდრეობიდან, აგრეთვე, საარქივო და მემუარული წყაროები, ჩანაწერები, ბიბლიოგრაფიული საძიებლები, სალექსიკონო მასალა.

კრებული ეხმაურება იმ მნიშვნელოვან წიგნებს, რომლებიც ქართულ სამეცნიერო სივრცეში ქვეყნდება და მიმოიხილავს აკადემიურ საუნივერსიტეტო ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს.

ამრიგად, ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეულის გამოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი საინტერესოა მეცნიერ-მკვლევართა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

Yearbook *Tsakhnagi*: Issues of 2009-2010

Marine Kadagidze

The yearbook *Tsakhnagi* ("tsakhnagi" is the Georgian word for "facet"*)* is intended to cover all topics and tendencies of the current discourse in field of philology reflecting multifaceted reality of Georgian scholarship.

The review introduces two (2009-2010) issues of the Yearbook.

The editor as well as designer of this publication is Professor Merab Ghaghanidze.

სოლიდური საისტორიო კრებული

ნიკო ჯავახიშვილი

2011 წლის ღვინობისთვეს ქართულმა საისტორიო საზოგადოებამ მიიღო ძვირფასი საჩუქარი, შესანიშნავ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წელიწდეულის – *საისტორიო კრებულის* პირველი ტომი (მოცულობა – 413 გვერდი).

როგორც ცნობილია, 1928-1929 წლებში თბილისში, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით გამოდიოდა საქართველოს ცენტრალური არქივის პერიოდული გამოცემა, სახელწოდებით – *საისტორიო კრებული*, რომლის მხოლოდ ოთხი ნომერი გამოიცა. XX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა აღადგინა ზემოხსენებული კრებული, მაგრამ შვიდი ტომის გამოცემის შემდეგ, ისიც შეწყდა.

ამჟამინდელი საისტორიო კრებულის გამოცემა მიზნად ისახავს წარსულის კარგი წამოწყების აღორძინება-გაგრძელებას. წელიწდეულის სარედაქციო კოლეგიაში გაერთიანებულნი არიან: პროფესორი ზაზა სხირტლაძე, მამუკა წურწუმია (მთავარი რედაქტორი) და პროფესორი გოჩა ჯაფარიძე, რედაქტორია ზაზა ხოზბერიძე. ბატონები გ. ჯაფარიძე და ზ. სხირტლაძე – გამოჩენილი მეცნიერები და თავიანთი დარგების აღიარებული სპეციალისტები არიან, ხოლო მ. წურწუმიას კარგად იცნობს ქართველი საისტორიო საზოგადოება, როგორც სამხედრო ისტორიის მკვლევარს და პროფესიონალ გამომცემელს, რომელიც XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში შექმნილ საკმაოდ მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში, იმ დროისათვის უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცემდა სამხედრო-ისტორიულ ჟურნალ *მხედარს*.

საისტორიო კრებულში გამოქვეყნებული სტატიების თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია.

რუბრიკაში *ისტორია* გამოქვეყნებულია შემდეგ მკვლევართა ნაშრომები: ზაზა ალექსიძე – *ვინ იყო ტაოს პირველი ეპისკოპოსი?*; დავით მუსხელიშვილი – *როდის ეწვია უხტანესი თბილისს?*; ზურაბ პაპასქირი – *მანასკერტის ბრძოლა და საქართველო-სელჩუკების ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი XI საუკუნის 60-იან წლებსა და 70-იანი წლების დამდეგს*; მიხეილ ბახტაძე – *ერთიანი ქართული სამეფოს ორად გაყოფის შესახებ XIII საუკუნის შუახანებში*; გიორგი ოთხმეზური – *თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობის შესახებ (რელიგიური ასპექტი)*; მირიან მახარაძე – *უზუნ ჰასანის მეოთხე ლაშქრობა საქართველოში*; ნიკო ჯავახიშვილი – *აფშართა დინასტიის წარმომადგენლებზე ქართველთა ქორწინებების ისტორიიდან.*

რუბრიკაში *წმინდა მიწა* დაბეჭდილია შემდეგი სტატიები: გოჩა ჯაფარიძე – *ბეენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის)*; მარიამ ნანობაშვილი – *XVI საუკუნის იტალიელი პილიგრიმის გარბარე მოროზინის მოგზაურობა წმინდა მიწაზე.*

რუბრიკაში *ქართველები უცხოეთში* გამოქვეყნებულია კონსტანტინე ფერაძის სტატია – *ქართველები ალჟირში XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში*, ხოლო რუბრიკაში *უცხოელები ქართველების შესახებ* წარმოდგენილია ბეჟან ჯავახიას გამოკვლევა – *ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ შუა საუკუნეების დასავლეთევროპელ მოგზაურთა წიგნებში (ბენედიქტ პოლონელი, ჟან დე მანდევილე).*

რუბრიკაში *სამხედრო ისტორია* გამოქვეყნებულია მამუკა წურწუმიას სტატია – *წაგრძელებული შუბით ბრძოლის წესი და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა: ქართული გამოცდილება*, ხოლო რუბრიკაში *წყაროთმცოდნეობა* წარმოდგენილია თემო ჯოჯუას და ირმა ბერიძის ნაშრომი – *1352 და 1356 წლების ორი კინკლოსური მინაწერი ივანე აბუსერისძის, პატრონი სითიხათუნისა და ამირსპასალარ აღბუღას მოხსენიებით (ტექსტის დადგენა, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი).*

რუბრიკაში *ნუმიზმატიკა* დაბეჭდილია მაია პატარიძის სტატია – *გაგრატ IV წოველისიმოსის მონეტა სოფელ შენაქოდან* და ირაკლი ფაღავას სტატია – *ჯავახთ უფლის მონეტები – კომპლექსური ანალიზი,* ხოლო რუბრიკაში *ხელოვნებათმცოდნეობა* გამოქვეყნებულია ზაზა სხირტლაძის სტატია – *წმინდა ნინოს ცხოვრების ციკლი გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის მოხატულობაში.*

რუბრიკაში *პოლემიკა* წარმოდგენილია ვლადიმერ კეკელიას ნაშრომი – *ქართულ სინოდიკონებში დაცულ ჯვაროსანთა მოსახსენებლების პროსოპოგრაფიული შესწავლის საკითხისათვის* და მამუკა წურწუმიას სტატია – *H1661 სვინაქსარის შესახებ.*

კრებულს სრულდება ნათელა ვაჩნაძის რეცენზიით ვალერი სილოგავას ნაშრომზე – *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა* (თბილისი, 2004).

საისტორიო კრებული ერთი მნიშვნელოვანი სიახლითაც გამოირჩევა: პირველად საქართველოში, აქ დაბეჭდილი ნაშრომების სამეცნიერო აპარატი იყენებს დამოწმების ე.წ. ჩიკაგოს სტილს, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი წესია საზღვარგარეთული სამეცნიერო გამოცემებისათვის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კრებულის რედაქტირებისა და კორექტირების ხარისხიც, რომელიც, მართლაც, სანიმუშო სტანდარტებს უტოლდება.

ამ მრავალმხრივი და საყურადღებო მასალების შემცველი წელიწდეულის გამოცემით ქართულ საისტორიო საზოგადოებას უაღრესად სოლიდური და ავტორიტეტული პერიოდული გამოცემა შეემატა.

Reputable Magazine *Historical Collection*

Niko Javakhishvili

The review presents first issue of the magazine *Historical Collection* published in 2011.

The editors of the issue are Professors Gocha Japharidze and Zaza Sxirtladze. Mamuka Tsurtsumia is an editor- in- chief of the magazine.

The reviewer considers all rubrics of the present issue underlining scientific novelty and excellence of printing of the publication under the analysis.

Eva Fuchslocher, *Vaterland, Sprache, Glaube. Orthodoxie und Nationenbildung am Beispiel Georgiens.* Stuttgrart: ibidem-Verlag, 2010, 229 pages. ISBN 978-3-89821-884-9

Keith Hitchins

Eva Fuchslocher has set for herself two crucial, intertwined tasks. The first is theoretical: to examine the origins and nature of the Georgian nation and thereby contribute to the ongoing debate on nation in general between modernists and traditionalists. Her second objective is historical: to trace the evolution of the Georgian nation from early in the first millennium AD down to the present. In both these pursuits she is drawn specifically to the ties that developed between the Georgian Orthodox Church and the Georgian nation. She also seeks to understand the role of language in nation building, or, as she asks, does the watchword, "Fatherland, Language, Faith," as a unifying force have meaning over the course of some 1500 years?

From the very beginning she takes issue with the modernist theorists of nation, notably Benedict Anderson in *Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism* (1983), Ernest Gellner in *Nations and Nationalism* (1983), and Eric Hobsbawm in *Nation and Nationalism since 1780* (1990). She finds their insistence that nations are products of the modern world highly debatable. Nations, she argues, were not solely the creations of mass media, industrialization, and urbanization, though she does not deny that these elements played a part in nation formation. The modernists, she points out, not only fail to give sufficient attention to culture and language, but also ignore religion and the church as molders of nations in the modern world. Far more sympathetic for her are the views of Adrian Hastings, who views the matter from a long historical perspective and does not hesitate to identify the existence of European nations as early as the Middle Ages. She cites his book, *The Construction of Nationhood: Ethnicity, Religion, and Nationalism* (1997) approvingly as one of her sources of inspiration precisely because he recognizes the existence of a religious nationalism and the presence of national structures, feelings, and symbols in Europe as far back as the Middle Ages.

After a succinct but penetrating exploration of some of the theoretical literature on nation Fuchslocher sets out her own ideas about how nations came into being by using Georgia as her case study. She has no hesitation in dating the emergence of the Georgian nation from the fourth century AD, that is, with the conversion of the King of Kartli to Christianity. Christianization was the decisive turning-point in the history of Georgia, she argues, because it led to the translation of the Bible into Georgian and the use of Georgian both in the church service and as a literary language. The connection between Georgian Orthodoxy and the Georgian nation seems to her to have become so close that the idea arose that if one were to be truly Georgian, one had to be Christian. Thus, the creation of a Georgian alphabet and the flourishing of Georgian literature, all under the auspices of the Church, emphasized the distinctiveness of the Georgians by separating them from the Persians and from other Christians and by turning them away from Greek culture and the Greek language, since these were no longer necessary for writing or for the church service. The overall result was a strengthening of national cohesion.

Fuchslocher discerns a remarkable continuity in the relationship of 'Fatherland, Language, Faith' over time and draws evidence of it from diverse sources. For example, she shows how medieval Christian myths fostered a sense of nationhood, especially by offering striking analogies between martyrdom for the faith and heroic death for the nation, which reinforced the connection between a religious and an ethnic identity. Moving to the modern period, in the nineteenth century, she judges the ideas of Ilia Chavchavadze about preserving the 'divine treasures' of 'Fatherland, Language, Faith'

bequeathed to Georgians by their forefathers to be the embodiment of the union of nation and church. But she also cites recent biographers of Chavchavadze who have suggested that, in a sense, he secularized the nation by giving increased attention to history and language as primarily responsible for binding the nation together.

Fuchslocher argues persuasively that the close association of church and nation not only continued but was reinforced in the post-Soviet period. She points to the thought of Zviad Gamsakhurdia, the former dissident and the first freely-elected President of Georgia, who insisted that Georgia could be nothing other than a Christian-Orthodox country. Even Eduard Shevernadze, upon his return to Georgia after the collapse of the Soviet Union, made his first important official visit to the Catholicos Ilia II and had himself baptized. Fuchslocher reminds us that even though Shevernadze did not take faith seriously, he was nonetheless certain that he needed the support of the church to remain in power. Then, she points to the closeness of church and state made evident in the crucial role of the church in public affairs, especially education, in the financial support the church receives from the state, and in the agreement between church and state in 2002, which she argues, aimed to unite the nation by making 'Fatherland, Language, Faith' a reality.

Eva Fuchslocher has made a strong case for the longevity of nations and the role of religion in contributing to their formation and preservation. She thus raises strong counterarguments to the insistence of the modernists on industrialization, capitalism, and the mass media as the decisive forces in the creation of nations. Through the Georgian example she has presented a convincing case. She may, nonetheless, find it useful to investigate more thoroughly the ideas on the origins and nature of nations propounded by Anthony D. Smith and the so-called ethno-symbolists, who, indeed, take the long view of nation formation and accord culture a significant role, but who also accept the essential modernity of nations and thus try to bridge the gap between those who regard nations as solely modern artifacts and those who defend the "naturalness" and antiquity of nations. She has drawn extensively on published materials in German and English; the next step will be to examine with equal diligence the rich literature in Georgian.

ევა ფუხსლოხერის *მამული, ენა, მართლმადიდებლური სარწმუნოება და ნაციის მშენებლობა: ქართული მაგალითი*

კეით ჰიჩინსი[1]

თავის წიგნში ევა ფუხსლოხერი მიზნად ისახავს გადაწყვიტოს ორი ურთიერთგადაჯაჭვული უმნიშვნელოვანესი ამოცანა: პირველი არის თეორიული ხასიათისა და გულისხმობს ქართული ნაციის წარმოშობისა და ბუნების გამოკვლევას და, ამგვარად, ხელს უწყობს მოდერნისტებსა და ტრადიციონალისტებს შორის მიმდინარე დებატების კონკრეტული ისტორიული მაგალითით გამდიდრებას. მეორე მიზანი ისტორიულია: თვალი მიადევნოს ქართული ნაციის ევოლუციას უძველესი დროიდან დღემდე. ორივე ამ ამოცანის გადაწყვეტისას ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ კავშირს, რომელიც არსებობდა და არსებობს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და ქართულ ნაციას შორის. ის, აგრეთვე, ცდილობს გაარკვიოს ენის მნიშვნელობა ქართული ნაციის ქმნადობის პროცესში.

ავტორი კარგად აჩვენებს ნაციების დღეგრძელობას და რელიგიის მნიშვნელობას მათი განგრძობადობისათვის. ის საფუძვლიან არგუმენტებს აყენებს მოდერნისტების იმ მტკიცებულების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ნაციებს წარმოშობს ინდუსტრიალიზაცია და კაპიტალიზმი. წიგნში წარმოდგენილი ქართული შემთხვევა საკმაოდ დამაჯერებელია ამ მხრივ. თუმც,რეცენზენტის აზრით, ავტორს შეიძლებოდა უფრო დეტალურად განეხილა ნაციების ბუნებისა და წარმოშობის შესახებ ის იდეა, რომელიც წამოაყენა ე.სმითმა ეთნოსიმბოლისტური მიდგომის ჩარჩოებში. ე.სმითი, მართალია, ხაზს უსვამს ნაციების ღრმა კულტურულ ფესვებს, მაგრამ ამავე დროს იზიარებს ნაციების წარმოშობას ახალ დროში.

შენიშვნა

[1] რეცენზიის ავტორი არის ილინოისის უნივერსიტეტის (აშშ) ისტორიის დეპარტამენტის პროფესორი, რომელსაც ეკუთვნის მრავალი საინტერესო ნაშრომი, მათ შორის, მონოგრაფიები: The Identity of Romania, Bucharest, The Encyclopaedic Publishishing House, 2009; The Peace Conferences of 1919-1923 and their aftermath:Ion IC Brătianu, HausHistoreus, 2011. ძალიან საგულისხმო პრეზენტაციით საქართველოს ისტორიის შესახებ ის წარსდგა ბუქარესტში 2010 წელს ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე. ამ კონფერენციის შესახებ იხ. ს.ქადაგიშვილი. *საერთაშორისო სიმპოზიუმი ბალკანეთი და კავკასია. პარალელური პროცესები ისტორიულ ბედში, მენტალობაში, კულტურაში და მომავლის ტენდენციები შავი ზღვის მოპირდაპირე სანაპიროებზე (ქართული წყაროთმცოდნეობა,* XII, 2010, გვ. 300-301).

პოლემიკა

მორიგი მითი: 'მენშევიკურ საქართველოს მიერ ოსთა გენოციდი'

პასუხი ლ. ჯიოევის მიერ ცხინვალის რეგიონში გამომავალ გაზეთში *რესპუბლიკა* (2011 წლის 8 ივნისი) დაბეჭდილ სტატიაზე *სამხრეთ ოსეთის გენოციდის 91-ე წლისთავი*

ლელა სარალიძე

ადამიანის ფანტაზიებს საზღვარი არა აქვს, ლ. ჯიოევიც ყოველგვარ ზღვარს გასცდა: სტატიაში იგი დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ "სამხრეთ ოსეთის გენოციდს", რომელიც, მისი აზრით, 1920 წელს მოაწყო საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, ივნისში 91-ე წელი უსრულდება. ეს "ისტორიული" თარიღი ჯერჯერობით უყურადღებოდ რჩება მიმდინარე წელსაც. თუმცა 1920 წლის "გენოციდი" ბევრად უფრო აშკარაა, ვიდრე სხვა დანაშაულობები, რომლებიც საქართველოს მთავრობის მიერ ჩადენილი იქნა შემდგომ, საბჭოთა პერიოდში. განსაკუთრებით, 1920 წელი სამხრეთ ოსეთის მიმართ საქართველოს მხრიდან გატარებული პოლიტიკა ლ. ჯიოევს ტერორის კულიმინაციად ესახება. მისი მითითებით, 1917 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ნოე ჟორდანიას მთავრობა არც კი ფიქრობდა ნაციონალური უფლებები მიეცა ხალხებისათვის, რომლებიც რუსეთის იმპერიის ქართული მიწების შემადგენლობაში შედიოდნენ. თუმცაღა თვით სახელწოდება 'სამხრეთ ოსეთი' აშკარად მიუთითებდა ამ ნაციონალურ-ტერიტორიული წარმონაქმნის განსხვავებულობაზე ახალი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში. ავტორის აზრით, ქართული სახელმწიფოებრიობის 'თავზე მოხვევა' სამხრეთ ოსეთის მხრიდან გასაგებ წინააღმდეგობას ხვდებოდა. აჯანყებულ რეგიონზე პირველი თავდასხმა ქართულმა ხელისუფლებამ 1918 წლის მარტში მოაწყო. შემდეგი შეიარაღებული შეჭრა განხორციელდა 1919 წლის მაისსა და დეკემბერში. სწორედ მაშინ სამხრეთ ოსეთი ფაქტობრივად ოკუპირებული იქნა მენშევიკური ჯარების მიერ. 'ცხინვალიდან სოფელ უანელამდე ყველგან ქართული გარნიზონები იდგა', დასძენს ლ. ჯიოევი.

ლ. ჯიოევი აშკარად არ ამბობს სიმართლეს, იმას, რომ არავითარი 'სამხრეთ ოსეთი' არ არსებობდა მაშინ. ტერმინი 'სამხრეთ ოსეთი' სრული ნონსენსია ისტორიული თვალსაზრისით და, შესაბამისად, მიუღებელიცაა, რადგან აღნიშნული ტერმინის ქვეშ მოიაზრება ოსებით დასახლებული საქართველოს ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორია. სახელწოდება საერთაშორისო სამართლის ნორმების გვერდის ავლით ეწოდა ქართულ მიწა-წყალს, რომელიც ჩრდილოეთიდან გადმოსულმა ოსებმა თანდათანობით დაიკავეს. ოსების საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლების ფაქტს, როგორც ცნობილია, ადასტურებს არაერთი ქართველი და უცხოელი ავტორი.

დავიწყოთ იქედან, რომ შიდა ქართლის ოსური თემები ქართლ-კახეთის სამეფოს განუყოფელი ნაწილი იყო და იგი რუსეთის იმპერიას 1801 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად დაექვემდებარა. როდესაც საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და 1918-1921 წლებში დემოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენდა, ბოლშევიკური რუსეთის კარნახით შიდა ქართლის ოსებით დასახლებულ ტერიტორიაზე დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ აჯანყება რამდენჯერმე მოეწყო. ცნობილია, რომ საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება მტრულად შეხვდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას. გაჭიანურებულმა შიდა პოლიტიკურმა კრიზისმა და საერთაშორისო ვითარებამ რუსეთი იძულებული გახადა ოფიციალურად ეღიარებინა ქართული სახელმწიფოს საუკუნოვანი მისწრაფება ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისაკენ. პარალელურად მიმდინარეობდა რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების ლეგალური თუ არალეგალური მუშაობა რუსეთისაგან ჩამოშორებული საქართველოს კვლავ იმპერიის ფარგლებში მოსაქცევად. ამ გეგმის განსახორციელებლად რუსეთი დიდძალ თანხას გამოყოფდა, იარაღით და სხვა საშუალებებით ეხმარებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ სეპარატისტულ ძალებს,

რომლებიც ლენინის და რუსეთის ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციებით იმართებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლის 7 მაისს საქართველოს და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი უსიტყვოდ სცნობდა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობას და ვალდებულებას იღებდა არ ჩარეულიყო მის საშინაო საქმეებში, რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება მანამდეც და შემდეგაც ძირს უთხრიდა ქვეყნის დამოუკიდებლობას.

ლ. ჯიოევი არასწორად (უმცირესობის აზრით) იყენებს ტერმინს 'მენშევიკური მთავრობა'. ქართველი სოციალ-დემოკრატები (ე.წ. მენშევიკები) სათავეში ედგნენ ახლადშექმნილ ქართულ სახელმწიფოს და საქართველოში რაოდენობრივად ისინი ბოლშევიკებზე გაცილებით მეტი იყვნენ, შესაბამისად, ქართული სახელმწიფო, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით მრავალმა ქვეყანამ აღიარა, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად იწოდებოდა.

რუსეთის ხელისუფლების მიერ წაქეზებული ოსი სეპარატისტების მისწრაფებები თავის დროზე მკაცრად გააკრიტიკა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტროსა და გლეხთა ცენტრის რწმუნებულმა ა. ფარნიევმა. გაზეთ *ერთობაში* მან სტატიაც კი გამოაქვეყნა, სადაც ბრალი დასდო ისტორიკოს ნ.ჯიოევს და სხვა ოს სეპარატისტებს, რომლებიც საქართველოსაგან გამოყოფას მოითხოვდნენ. ა. ფარნიევი წერდა:

> ...შარშან (იგულისხმება 1918 წელი - ლ.ს) ამიერკავკასიის წარმომადგენლების პირველ კრებაზე, 5 ივნისს, ჯავაში ნ. ჯიოევმა გაუბედავად აღძრა ოსების ცალკე გამოყოფის – დამოუკიდებლობის საკითხი, კრებამ უარი უთხრა. მაშ, ფრთხილად, აწონ-დაწონე, ნუ აყვებით უპასუხისმგებლო პოლიტიკანებს, ნუ დაივიწყებთ, რომ ოსები ერთ ადგილზე არა ხართ დასახლებული და არც ისე ადვილია ცალკე სახელმწიფოს შექმნა და მისი ხარჯების გაწევა... ერთადერთ მიუვალ სიმაგრედ მიაჩნიათ ჩვენს ნაციონალისტებს ჯავის ხეობა. ამ ხეობაში ცხოვრობენ ოსები დაახლოებით: ჯავის საზოგადოებაში – 700 კომლი, როკის ხეობაში – 400 კომლი. თითოეულ კომლზე რომ ვიანგარიშოთ საშუალოდ 10 სული მცხოვრები, სულ იქნებიან 16.000 სული. თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში კი ცხოვრობენ არა ნაკლებ 1000.000 სულისა. მაშ, დანარჩენი 84.000 ოსის ინტერესებს ვის ვანდობთ, ისინი ვის მიეკედლონ... მე ვფიქრობ ისინი, ვინც ოსების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობენ, მათ ან არაფერი გაეგებათ ქვეყნიერების ავ-კარგისა ან და განგებ სურთ შეატაკონ ქართველი და ოსის დემოკრატია ერთმანეთს და დალუპონ ის, რაც მოიპოვა ხალხმა (ფარნიევი 1918).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომლის მიერ გატარებულ ღონისძიებებს ლ. ჯიოევი 'ტერორის პოლიტიკას' უწოდებს, ეროვნული უმცირესობების საკითხის გადაწყვეტას საქართველოს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საკონსტიტუციო კომისიის მაშინდელი თავმჯდომარის პავლე საყვარელიძის აზრი. საკონსტიტუციო კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე მან, კერძოდ, განაცხადა:

> დღეს ჩვენი მოვალეობა არის შევქმნათ მთლიანი, მტკიცე ეროვნული ორგანიზმი და ავიცდინოთ ის მიზეზები, რომლის გამო სუსტდება და ირღვევა იგი. ამიტომ ჩვენ უნდა განვაცხადოთ: სხვა ერს ჩვენ აქ ვეღარ შევქმნით, სახელმწიფოში ახალ სახელმწიფოს ვეღარ დავაარსებთ, ჩვენ ვერ დავუშვებთ ვერც კურიებს, ვერც ავტონომიას და საზოგადოდ საჯარო უფლებრივი ხასიათის ორგანიზაციას... ჩვენ ვიღებთ საქართველოს და ვამბობთ, რომ იგი ეროვნული სახელმწიფოა, 95% და უფრო მეტიც აქ ქართველობაა. ამიტომ ჩვენ ვდგევართ ეროვნული სახელმწიფოს ნიადაგზე და მისი ინტერესების თვალსაზრისით ვსინჯავთ ეროვნულ უმცირესობათა საკითხს... ჩვენ ყველაფერს დავუშვებთ, მაგრამ ვერ შევქმნით საჯარო-უფლებრივ ორგანიზაციებს.

1918 წლის მაისში საქართველოს სუვერენული უფლებები აღდგა XIX საუკუნიდან რუსეთის მფლობელობაში მოქცეულ ერთიან ქართულ მიწა-წყალზე, მათ შორის, ოსებით დასახლებულ შიდა ქართლზეც. მთელი ეს ტერიტორია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქციაში ბუნებრივად მოექცა, რაზეც საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარი უფლებამოსილება კანონიერად განავრცო, როგორც ისტორიულად თავის კუთვნილ ერთ-ერთ პროვინციაზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ, ოსეთში აგრარული საკითხის გადაჭრის მიზნით, გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი ალექსანდრე ასათიანი წერდა:

> ცხინვალის ჩრდილოეთით, ლიახვის სათავეებში მდებარე მთიან ადგილას 130-მდე პატარა-პატარა ოსური სოფლებია, მცხოვრებლების რიცხვი დაახლოებით 1500 კომლამდე იქნება. ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სოფელი არის ჯავა, სადაც იმყოფება რაიონის კომისარის კანცელარია. მთელ ამ უბანს ეძახიან სამთო ოსეთის უბანს. ყველა აქ მცხოვრები ოსნი გლეხები არიან. ამ ალაგას ერთად ერთი თავადები მაჩაბლები არიან, რომელთა საკუთრებას შეადგენდა მთელი ეს ალაგი, დაახლოებით 70 000 დესეტინა. ძველად მაჩაბლები ჩიოდნენ, რომ ვითომ ოსები მათი ყმები ყოფილიყვნენ, მაგრამ ოსები მაგარნი გამოდგნენ თავიანთი უფლებების დაცვაში. ამოირჩიეს კაცები, რომლებიც დაუღალავად და მედგრად ჰკრეფდნენ საბუთებს და ყველა დაწესებულებაში ამტკიცებდნენ თავის უფლებებს. თვით პეტერბურგის სენატიც კი არ დარჩათ მათ მოუცლელი. ამასთან ერთად მთავრობამ კარგად იცოდა, რომ იმ მიუვალ ადგილებში, სადაც ეს ოსები ცხოვრობდნენ, ძნელია ცარიელი ძალით ამისთანა კერპი ხალხის დამორჩილება და ამიტომ დაადგინა: ოსები ცნობილ იყვნენ თავისუფალ გლეხებად, მაჩაბლებს მიეცეს საშვილიშვილოდ პენსია 5 000 მანეთი წელიწადში. იმ პირობით, რომ მათ მოსპონ ყოველივე თავისი საჩივრები ოსების ყმებად ცნობის შესახებ. მაჩაბლებს არა აქვთ უფლება აჰყარონ ოსები ამ ადგილებიდან, ოსები კი ვალდებულნი არიან გადაუხადონ მაჩაბლებს ყოველწლიურად მეათედი ყოველი მოსავლისა. ეს მეათედი მათ უნდა ჩააბარონ ადგილობრივ და არ არიან ვალდებულნი მიუტანონ თავად მაჩაბლებს მათ სახლში. ამ უკანასკნელ მუხლს ჰქონდა ძალიან დიდი მნიშვნელობა. იმ მთიანი ადგილებიდან თავადებს არ შეეძლოთ, უგზოობის გამო, ჩამოეტანათ ღალა სოფელ თამარაშენში, სადაც თვითონ მაჩაბლები ცხოვრობდნენ. ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ურიგდებოდნენ ოსებს ფულით, ისიც ძალიან პატარა ფასებში. ასე მაგალითად, სოფელი ჯავისთავი იხდიდა 97 მანეთს წელიწადში. ბევრჯერ სრულიად ვერაფერ ღალას ვერ იღებდნენ თავადები... და აი ეხლა სწორედ ეს (სამაჩაბლოს – ლ.ს.) მიწები იანვრის 24-ს (1919 წ) კანონით გამოცხადებულია მათზე მოსახლე ოსების სრულ საკუთრებად და სრულიად უსასყიდლოდ. ეს მიწები ჩამორთმეულია თავად მაჩაბლებისაგან დემიანოვის, ჟირნოვის და სხვა მემამულეთაგან, რომელნიც უკვე მეათედს კი არა, ერთ გროშსაც კი ვერ მოსთხოვენ მშრომელ ოსებს მათი ნაშრომიდან. ამ მიწებიდან ერთი მტკაველი მიწაც არ ეტოვებათ ამ მემამულეებს, გლეხ ოსებს კი მიეცემათ ამ მიწებზე აქტები, როგორც მათ საკუთარ მიწებზე. მერე ვინ შეადგინა ეს კანონი? – სოციალ-დემოკრატმა მინისტრმა ხომერიკმა; ვინ დაამტკიცა? – საქართველოს პარლამენტმა, სადაც უმრავლესობა სოციალ-დემოკრატები არიან. ეს კარგად უნდა დაიხსომონ სამაჩაბლოს ოსებმა (ასათიანი 1919).

ლ. ჯიოევი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ასეთ აგრარულ პოლიტიკას დანაშაულად თვლის, რასაც, მისი აზრით, ოსების მხრიდან 'გასაგები წინააღმდეგობა' მოჰყვა.

მიუხედავად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან არაერთი დათმობისა, ოსები კიდევ უფრო მეტს მოითხოვდნენ და კვლავ აგრძელებდნენ ბრძოლას. ოსების მიერ საქართველოს კუთვნილ მიწა-წყალზე ავტონომიური ერთეულის მოთხოვნა შეიარაღებული აჯანყების ფონზე მიმდინარეობდა. ცხინვალისა და ჯავის რაიონებში მცხოვრები ოსები იარაღით ხელში გამოვიდნენ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ. აჯანყება დაიწყო 1918 წლის 14 მარტს სოფელ ერედვში. 18 მარტს აჯანყებულებმა დაბა ცხინვალი აიღეს და იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ოსებმა წამებით მოკლეს გიორგი მაჩაბელი, სანდრო კეცხოველი, პეტრე ეფრემიძე, კოსტა ყაზიევი, კოტე ცერცვაძე. მათ მიზანს შეადგენდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, არარსებული "სამხრეთ ოსეთის" გამოყოფა საქართველოდან და საბჭოთა რუსეთთან მისი შეერთება. 1920 წლის 8 მაისს, სოფელ როკში ოსებმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს, ხოლო საბჭოთა ოსეთი რსფსრ შემადგენელ ნაწილად აღიარეს. აჯანყებულთა დასახმარებლად ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოვიდნენ ის რაზმები, რომლებიც იქ შიდა ქართლში ოსების 1919 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ გადავიდნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა, რომლის სათავეში ვალიკო ჯუღელი იყო აღკვეთა ოსების გამოსვლები. რუსეთის უხეში ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში თვალნათლივ გამოიკვეთა 1920 წლის 17 მაისის ნოტით, რომელიც რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა გამოუგზავნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. ნოტის შინაარსი ასეთი იყო:

...ჩვენ შეშფოთებით გავიგეთ, რომ სამხრეთ ოსეთში, სადაც გამოცხადებულია საბჭოთა რესპუბლიკა, ასეთი ხელისუფლების მოსპობისათვის გაგზავნილია ქვეითი ჯარები. თუ ეს სწორია, ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ გაიწვიოთ თქვენი ჯარები ოსეთიდან, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ოსეთს ისეთი ხელისუფლება უნდა ჰყავდეს, როგორიც სურს. საქართველოს ჩარევა ოსეთის საქმეებში იქნებოდა სრულიად გაუმართლებელი ჩარევა უცხო საქმეებში.

მაშინ, როდესაც საქართველოს კანონიერ მთავრობას გარეშე, მესამე ძალად წოდებული რსფსრ-ს მთავრობა ასე უყენებდა საკითხს, ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. მოვიყვანთ მხოლოდ, საქართველოს მთავრობის 1920 წლის 20 მაისის საპასუხო ნოტას. მისი შინაარსი ასეთია:

საქართველოს მთავრობა უაღრესად შეცბუნებულია თქვენი ნოტის იმ ნაწილით, რომელშიც ლაპარაკია საქართველოს მთავრობის განზრახვაზე იარაღის ძალით ჩაახშოს "სამხრეთ ოსეთის" საბჭოთა რესპუბლიკა. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მივაქციო თქვენი ყურადღება იმ გარემოებას, რომ საქართველოს ფარგლებში "სამხრეთ ოსეთი" არ არსებობს, არამედ საქართველოს ფარგლებში არსებობენ ოსური სოფლები, რომლებიც მდებარეობენ თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში, ეს სოფლები შეადგენენ საქართველოს უდავო ტერიტორიას... ეს ტერიტორია ხელშეკრულებით შედის საქართველოს საზღვრებში და იქ სხვა ხელისუფლება, გარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისა დაუშვებელია.

რუსეთის ხელისუფლების ნოტით წაქეზებულმა ოსებმა 1920 წლის 7 ივნისს ცხინვალი აიღეს. მეორე დღეს ხალხმრავალ მიტინგზე წაკითხულ იქნა "სამხრეთ ოსეთის" რევკომის შემდეგი შინაარსის ბრძანება: 'აჯანყებულმა გლეხებმა "სამხრეთ ოსეთიდან" განდევნეს საქართველოს მენშევიკური ჯარები და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება, ტერიტორიაზე ონიდან დუშეთამდე'. რომ არა გარეშე ძალის ჩარევა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყოველთვის ახერხებდა ოსი სეპარატისტების დამორჩილებას, რაც ოსების მხრიდან ქართველ ხელისუფალთა კრიტიკის საგანი ხდებოდა. საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ამ პერმანენტულ ბრძოლას მოსკოვის დავალებით, რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი ხელმძღვანელობდა, რომელიც გამოსცემდა ბრძანებებს ყოველი აჯანყების დაწყების და შეჩერების შესახებ.

1921 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპყრო, რის გამოც საქართველომ სახელმწიფოებრიობა დაკარგა. რუსეთის ხელისუფლების მიერ წაქეზებული ოსი სეპარატისტების მოძრაობა, რომელმაც მკვეთრად გამოხატული ხასიათი 1917 წლიდან მიიღო, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1922 წლის 20 აპრილს, ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" უკანონო ავტონომიური ოლქის შექმნით დაგვირგვინდა.

ოსი ავტორები ისტორიას ტენდენციურად, ცალმხრივად აფასებენ და არ ითვალისწინებენ, თუ რა პირობებში შეიქმნა ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქი. ისინი მხოლოდ შედეგებით აპელირებენ და მასალად საბჭოთა ისტორიოგრაფიის გაყალბებულ ისტორიულ ფაქტებს იყენებენ. მათთვის, ჩანს. ასე უფრო მოსახერხებელია მიზნის მიღწევა და საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. სინამდვილეში, თვით რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების მესვეურთაც გაუჭირდათ თავდაპირველად 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტის ამოქმედება, რადგან მათ დიდი ფანტაზია და ძალისხმევა შეალიეს ოსებით დასახლებულ ქართულ ტერიტორიაზე ახალი, ხელოვნურად გამოძერწილი, ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას.

ლ. ჯიოევი ცრუობს, როცა აცხადებს, რომ 'ქართული არმია არ განიცდიდა კადრების, სამხედრო საბრძოლო მასალის, ზარბაზნების, ტყვიამფრქვევებისა და ჯავშანმატარებლების სიმცირეს, რითაც ის ფართოდ აღიჭურვებოდა მისი დასავლეთელი მოკავშირეების მიერ'. ცნობილია, რომ 1920 წლის 20 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა ნოე ჟორდანიამ განცხადებით მიმართა ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ის, იტალიის წარმომადგენლებს თბილისში, სადაც გულისტკივილით აღნიშნა, რომ საქართველოს დასავლეთისაგან საკუთარი

საზღვრების დასაცავად არც ერთი ვაზნა არ მიუღია და საკუთარი ძალებით უმკლავდებოდა შინაურ თუ გარეშე მტერს.

ლ. ჯიოევი მორიგ ბრალდებას აყენებს და ამბობს, რომ 'საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ოსებს ასახლებდა და მათ ადგილზე ხდებოდა ქართველების ჩასახლება მეზობელი რაიონებიდნ'. როკისა და მამისონის საუღელტეხილო ხეობებში ქართველების ნაწილობრივი ჩასახლება მხოლოდ საქართველოს საზღვრების გამაგრებას, მისი არასაიმედო ელემენტებისაგან გაწმენდას, სამოქალაქო დაპირისპირების შენელებას და ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიის შექმნას ემსახურებოდა და განპირობებული იყო ოსებისადმი, როგორც არასაიმედო ელემენტისადმი, უნდობლობით. 1918-1920 წლებში შიდა ქართლში მცხოვრები ოსების აჯანყებები საქართველოსთვის კრიტიკულ მომენტებს დაემთხვა, რის გამოც საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ საჭიროდ ჩათვალა სასაზღვრო ზოლის სათანადო გამაგრება.

ასევე გაზვიადებულია ლ. ჯიოევის მოყვანილი ციფრები ოსების ე.წ. გენოციდთან დაკავშირებით. თვითმხილველთა მოწმობით, ამ მოვლენების დროს ჩრდილოეთ ოსეთში გადასულ ლტოლვილთა საერთო რაოდენობა 20 ათასამდე აღწევდა (ცნობები 1935: 122,127). 1920 წელს აჯანყებულ ოს ბოლშევიკთა მოგონებებში, რომელიც 1935 წელს გამოქვეყნდა ნათქვამია, რომ 'მეამბოხეთა დანაკარგი უმნიშვნელო იყო, აჯანყებულებმა ბრძოლით დაიხიეს უკან, იფარავდნენ ლტოლვილებს და ისე გადაიარეს უღელტეხილები'.

ლ. ჯიოევი, ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაციის გზით, ცდილობს საკუთარი ინტერესების თარგზე გამოჭრას ისტორია, რათა იგი სეპარატისტული პოლიტიკის სამსახურში ჩააყენოს. ასეთი გზა ყოვლად მიუღებელი და დამღუპველია, რადგან მას მხოლოდ დაპირისპირებამდე და სისხლისღვრამდე მივყავართ. წარსულის შეცდომები აღარ უნდა განმეორდეს.

დამოწმებანი

ასათიანი 1919: ა. ასათიანი.აგრარული რეფორმა ოსეთში. გაზეთი ერთობა, #32, 29 თებერვალი (1919).
ფარნიევი 1918: ა. ფარნიევი. ოსები საქართველოში (შესაზლებელია თუ არა ოსების დამოუკიდებლობა საქართველოში და ვინ მოითხოვს მას?), გაზეთი ერთობა, # 119, 11 ივნისი (1918).
ცნობები 1935: Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения, вып. II, Сталинир(1935).

One More Myth about Ossetians' "Genocide" by Social Democratic Government of Georgia

Answering to L. Jioev Concerning the Article *The 91st Anniversary of the Genocide of South Ossetia*

Lela Saralidze

On the basis of analyses of the archival data and scientific literature the author of the present paper critisizes the article *The 91st Anniversary of the Genocide of South Ossetia* by l. Jioev . The criticism concerns very term "South Ossetia" which teh author finds artificial. She shows that the term invented for reffering the ceratin region of Georgia with the intention to separate from newrly born Georgian state its region Shida Kartli.

This name was given to the Georgian land in violation of international law. Ossetians came from the north. The facts of the gradual occupation of the Georgian territories by Ossetians in the Middle Ages might be documented by evidences of various Georgian and non-Georgian sources.

The creation of illegitimate so-called "South Ossetian Autonomous District" in Georgia in April 1922 further aggravated the political situation. Georgian society negatively accepted the creation of such a district, since Georgia had not invaded territory inhabited by Ossetians, and had not deprive this national minority of their native land as they originally were settled in the North Caucasus.

After the establishment of Soviet power in Georgia, administrative unit called `South Ossetia" was established actually quite illegally within the Gori district.

As it well known almost all issues concerning the so-called 'South Ossetia' were falsified in Soviet historiography. L. Jioev inerprets the facts just using the tenets of this historiography and proposes a new myth on Ossetians's "genocide" by Georgians.

ქრონიკა

ვარლამ ჩერქეზიშვილის დაბადების 165-ე წლისთავისა და მისი თხზულებების პირველი ტომის გამოცემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

მაწუჩარ გუნცაძე
ზაზა ცინაძე

2011 წლის 25 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა ქართველი პატრიოტ-ანარქისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის დაბადებიდან 165-ე წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებათა პირველი ტომის პრეზენტაცია, რომელიც გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ.

ვარლამ ჩერქეზიშვილი დაიბადა 1846 წელს კახეთში, სოფელ თოხლიაურში (ახლანდელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტი). 1863 წელს წავიდა რუსეთში სასწავლებლად. 1866 წელს დააკავეს რუსეთის იმპერიის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ბრალდებით. 1871 წელს მეორედ დააკავეს და გადაასახლეს ციმბირში, საიდანაც 1875 წელს გაიქცა ევროპაში.

ემიგრაციაში ყოფნის დროს მას კავშირი ჰქონდა ისეთ ცნობილ ევროპელ ანარქისტებთან, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ელიზე რეკლიუ, პეტრე კროპოტკინი და სხვ. თანამშრობლობდა მათთან ერთად სხვადასხვა ანარქისტულ ჟურნალ-გაზეთში.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ვ. ჩერქეზიშვილი მკვიდრდება ლონდონში და იქ აგრძელებს მოღვაწეობას. ემიგრაციაში ყოფნის დროს ვარლამ ჩერქეზიშვილი არასდროს ივიწყებდა საკუთარ პატრიოტულ მოვალეობას და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა სტატიებს საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. იგი აგრეთვე თანამშრომლობდა ქართულ გაზეთებთან, მათ შორის, აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის *ივერია* და *ცნობის ფურცელი*.

ვარლამ ჩერქეზიშვილის დამსახურებით თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში პირველად დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი საერთაშორისო საზოგადოების წინაშე – ჰააგის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც იგი კვლავ აქტიურად იცავდა სამშობლოს ინტერესებს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე და იყენებდა თავის კავშირებს საქართველოს სასარგებლოდ, განსაკუთრებით კი პარიზის სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს. 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იგი კვლავ ემიგრაციაში წავიდა და სიცოცხლის ბოლომდე ლონდონში ცხოვრობდა, სადაც გარდაიცვალა 1925 წელს.

რაც შეეხება უშუალოდ ღონისძიებას, იგი შეიძლება ორ ეტაპად დავყოთ. პირველი – ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებათა პირველი ტომის პრეზენტაცია, ხოლო მეორე – სამეცნიერო კონფერენცია.

თხზულებების პირველი ტომი შედგება ვარლამ ჩერქეზიშვილის სტატიებისგან, რომელიც მან გამოაქვეყნა 1893-1904 წწ. *ივერიასა* და *ცნობის ფურცელში*. სტატიები დალაგებულია ქრონოლოგიური და თემატური პრინციპით. მათ თემატიკაში ასახულია ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, ეკონომიკური ვითარება, მხატვრობა და ზოგადად კულტურული საკითხები. ასევე საუბარია ევროპის ტექნოლოგიური განვითარების პროცესებზე და სამრეწველო რეფორმებზე, რომლებიც მიმდინარეობდა იმ პერიოდის ევროპაში. ვ. ჩერქეზიშვილის სტატიები ქართულ საზოგადოებას აწვდიდა ინფორმაციას სამრეწველო-სამეურნეო სიახლეებზე, რათა ისინი არ ჩამორჩენილიყვნენ ევროპულ მიღწევებს. მისი ზოგიერთი სტატია მიზნად ისახავდა ევროპული პოლიტიკური ლიდერების მოღვაწეობის უკეთ წარმოჩენას ქართველებისთვის.

აღნიშნული წერილები შეკრებილი და გამოცემულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, დიმიტრი შველიძისა და ამავე უნივერსიტეტის მაგისტრანტების ზაზა ცინაძის, თამარ სიდამონიძის და მანუჩარ გუნცაძის მიერ. წიგნი დაიბეჭდა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბაში და გამოიცა გამომცემლობა „კარპე დიემ“-ის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობის პროცესი საკმაოდ შრომატევადი იყო, რაც მდგომარეობდა ბიბლიოთეკებსა და არქივში დაცული საგაზეთო სტატიების მოძიებასა და შემდეგ მათ რედაქტირებში წიგნის სახით. ამ წიგნის გამოცემა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ გაზეთები, საიდანაც სტატიები იქნა შეკრებილი, არის ნაწილობრივ დაზიანებული და ზოგიერთი სტატია რთულად იკითხება. ამ წიგნის გამოცემა გაუადვილებს მუშაობის პროცესს ახალი და უახლესი პერიოდის ისტორიის მკვლევრებს, რადგან ეს სტატიები ქმნის ფართო წყაროთმცოდნეობით ბაზას მასში განხილული საკითხების ირგვლივ.

ღონისძიების მეორე ნაწილი მთლიანად მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენციას, სადაც განხილულ იქნა ვარლამ ჩერქეზიშვილის ცხოვრება და მისი ღვაწლი საქართველოსა და ქართველების წინაშე, მისი ანარქისტული საქმიანობა და კრიტიკული წერილები მარქსიზმის შესახებ.

კონფერენცია გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ. ვარლამ ჩერქეზიშვილისა და მის თხზულებათა პირველი ტომის შესახებ ისაუბრა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ თევზაძემ. ამის შემდეგ უშუალოდ მომხსენებლები გამოვიდნენ კონფერენციაზე.

პირველი მომხსენებელი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი დიმიტრი შველიძე, რომელმაც ისაუბრა ვ. ჩერქეზიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და განიხილა მისი ბიოგრაფიიდან საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტები როგორც საქართველოში, ისე ემიგრაციაში ყოფნის დროს.

შემდეგი მომხსენებელი იყო თინათინ წერეთლის სახელობის საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი გოჩა ფერაძე. მან მიმოიხილა ის არქივები, რომლებიც მან დაამუშავა ლონდონში ყოფნის დროს და ის მასალები, რომლებიც მან მოიპოვა ევროპაში. ეს მასალები ძირითადად ეხებოდა ვ. ჩერქეზიშვილის ევროპულ მოღვაწეობას.

კონფერენცია გაგრძელდა პოლიტოლოგიის დოქტორის ე. ბატიაშვილის გამოსვლით. მისი მოხსენება შეეხო ვარლამ ჩერქეზიშვილსა და იოსებ სტალინს შორის არსებულ პოლემიკას სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით. მომხსენებელმა განიხილა კამათის დროს ორივე მხარის მიერ მოყვანილი არგუმენტები.

შემდეგმა მომხსენებელმა თსუ სამაგისტრო პროგრამის *საქართველოს ისტორია* მაგისტრანტმა ზაზა ცინაძემ წარმოადგინა ვ. ჩერქეზიშვილის წერილის *ბელგიაში მოგზაურობის* ინტერპრეტაცია, სადაც განხილული იყო ჩერქეზიშვილის ხედვა ბელგიის მაგალითზე საქართველოს ეკონომიკური მოწყობის შესახებ. ასევე პარალელები იქნა გავლებული მისი იდეის თანამედროვე პერსპექტივებზე.

კონფერენცია განაგრძო თსუ სამაგისტრო პროგრამის *საქართველოს ისტორია* მაგისტრანტმა თამარ სიდამონიძემ. მან ისაუბრა ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ ქართველი საზოგადოებისათვის მარჯორი უორდროპის წარდგენაზე. ასევე მან მსმენელებს გააცნო ინფორმაცია იმ ლიტერატურის შესახებ, რომელიც მარჯორი უორდროპმა ქართულიდან ინგლისურად თარგმნა.

ვარლამ ჩერქეზიშვილის როლზე ჰააგის პეტიციის მომზადებაში და წარდგენაზე ისაუბრა თსუ სამაგისტრო პროგრამის *საქართველოს ისტორია* მაგისტრანტმა მანუჩარ გუნცაძემ. მან საზოგადოებას გააცნო ის მძიმე და შრომატევადი საქმე, რომელიც ვარლამ ჩერქეზიშვილმა გასწია ამ პეტიციის მომზადებისას.

ბოლო მომხსენებელი იყო ილიას უნივერსიტეტის მაგისტრანტი ნიკა ტურიაშვილი. მისი მოხსენება ეხებოდა ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ მარქსიზმის კრიტიკას. მომხსენებელმა განიხილა ვ.ჩერქეზიშვილის წერილები, რომლებშიც ასახული იყო მარქსიზმის კრიტიკა.

მომხსენებლების გამოსვლის შემდეგ ტრიბუნა დაეთმო სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებს, რომლებმაც ისაუბრეს კონფერენციისა და წიგნის მნიშვნელობაზე და ხაზი გაუსვეს აღნიშნული კუთხით მუშაობის გაგრძელების აუცილებლობას.

კონფერენციის დასრულების შემდეგ ღონისძიებაზე მისულ საზოგადოებას საჩუქრად გადაეცათ ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებების პირველი ტომი.

ჩატარებული ღონისძიება მნიშვნელოვანი იყო ვარლამ ჩერქეზიშვილის პიროვნების უკეთ წარმოსაჩენად და მის გასაცნობად ფართო საზოგადოებისათვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მის თხზულებათა პირველი ტომი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ კრებულის გამოცემა მეტად მნიშვნელოვანია როგორც ქართული ისტორიოგრაფიის, ისევე საქართველოსა და ევროპის ისტორიის კონკრეტული საკითხების კვლევის მიმართულებითაც.

Scientific Conference Dedicated to Varlam Cherkezishvili's 165th Anniversary and Publication of His Works (Volume I)

Manuchar Guntsadze
Zaza Tsinadze

To 165th anniversary of the outstanding Georgian thinker and political figure Varlam Cherkezishvili (1846-1925) was dedicated the scientific conference held under the aegis of the Georgian Academy of Sciences. The event commenced with presentation of the collection of works byCherkhezishvili. The scientific conference was opened by the President of the Georgian Academy of Sciences, Academician T.Gamkrelidze. Among the participants of the conference were: Prof.D.Shvelidze (Tbilisi State University), Dr. G.Peradze (Institute of law), Dr E.Batiashvili (Institute of Politology) and also master students:: Z. Tsinadze, M. Guntsadze, T. Sidamonidze (Javakhishvili Tbilisi State University, MA program *History of Georgia*), N.Turiashvili(Ilia's University).

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ჟურნალის – *შრომების* პირველი ტომის პრეზენტაცია

ლერი თავაძე

2011 წლის 18 თებერვალს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისში შედგა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ჟურნალის *შრომების* I ტომის (2011, გამომცემლობა "მერიდიანი") პრეზენტაცია.

აღნიშნულ ჟურნალში წარმოდგენილია თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტთა და საქართველოს ისტორიის პრობლემის კვლევით დაინტერესებულ სხვა მეცნიერთა ნაშრომები. სტატიების დიდი ნაწილი, საკონფერენციო მოხსენებათა სახით იქნა წარმოდგენილი 2010 წლის 28-29 ოქტომბერს, იმავე ინსტიტუტის ეგიდით ჩატარებულ კონფერენციაზე.

სხდომა წაიყვანა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ. შესავალი სიტყვაში მან მოკლედ ისაუბრა იმ წარმატებული ღონისძიებების შესახებ, რაც ფაკულტეტზე ჩატარდა უკანასკნელ დროს. მანვე, მოულოცა ავტორებსა და რედაქტორებს აღნიშნული ჟურნალის გამოსვლა და საგანგებოდ აღნიშნა იმ დიდი სამუშაოს შესრულება, რაც მათ გასწიეს *შრომების* I ტომის გამოსაცემად. მისი აზრით, ჟურნალი მნიშვნელოვანია, იმდენად, რამდენადაც იქ მრავლადაა წარმოდგენილი საქართველოს ისტორიის პრობლემატიკაზე მომუშავე სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ამავე ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ჟურნალის ერთ-ერთი რედაქტორი, პროფესორი თედო დუნდუა, რომელმაც ხაზი გაუსვა ჟურნალის მნიშვნელობას და იმ სამართალმემკვიდრეობას, რომელიც საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის გააჩნია ადრე არსებულ საქართველოს ისტორიის კათედრასთან. უნივერსიტეტის დაარსების პირველივე დღეებიდან აღნიშნული მიმართულება ავანგარდში ედგა იმ სამეცნიერო საქმეს, რომელიც უწყვეტად წარმოებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი აზრით, ჟურნალი საინტერესოა იმითაც, რომ მასში სტატიების გარდა წარმოდგენილია საერთაშორისო პრეზენტაციები, რეცენზიები, ქრონიკა და სხვა რუბრიკები. მან მადლობა გადაუხადა კრებულის ყველა ავტორს და რედკოლეგიის წევრს, მათ შორის, აკად. მარიამ ლორთქიფანიძეს, პროფ. მარიამ ჩხარტიშვილს, კრებულის ერთ-ერთ რედაქტორს ალექსანდრე ბოშიშვილს, დეკანს პროფ. დარეჯან თვალთვაძეს და გამომცემლობა *მერიდიანის* გუნდს წიგნის მაღალხარისხოვნად დაბეჭდვისათვის.

მომდევნო სიტყვით გამოვიდა ჟურნალის კიდევ ერთი რედაქტორი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი. მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას იმ ინტერესისთვის, რაც მათ გამოიჩინეს ამ ახალი გამოცემისადმი, ავტორებს, თანარედაქტორებს, ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამეცნიერო განყოფილებას და პირადად დეკანს, პროფესორ დარეჯან თვალთვაძეს იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც მან აღმოუჩინა საქართველოს ისტორიის ინსტიტუტს კონკრეტულად, აღნიშნული ჟურნალის გამოცემაში, აგრეთვე, საზოგადოდ იმ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებისათვის, რასაც ის იჩენდა წინა წლებში ინსტიტუტის მიერ განხორციელებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებისას. გამომსვლელმა ხაზი გაუსვა ჟურნალის უმთავრესს მიზანს: შეასრულოს ქართველოლოგიური კვლევებისათვის მედია საშუალების როლი, ხელი შეუწყოს დარგის სპეციალისტებს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლას და საჯარო სამეცნიერო სივრცის ჩამოყალიბებას.

აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ აღნიშნა იმის შესახებ, თუ რამდენად დიდი და საპასუხისმგებლოა რედაქციის და სარედაქციო კოლეგიის საქმე, რის გამოც მან მადლობა გადაუხადა შრომების I ტომის რედაქტორებს და შემდგენლებს იმ დიდი შრომისთვის რაც მათ გასწიეს მის მომზადებაში. მ. ლორთქიფანიძემ გამოყო რამდენიმე სტატია აღნიშნული ჟურნალიდან,

რომელიც, მისი აზრით, დიდ ყურადღებას იმსახურებს სპეციალისტ-ისტორიკოსთა და, აგრეთვე, საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ფართო მკითხველთა მხრიდან, მათ შორისაა ის სტატიები, რომლებიც შეეხება ქართველი ხალხის ეთნოგენეზისის, კრწანისის ბრძოლაში მონაწილე ქართული ჯარის შემადგენლობის, წმინდანისა და ქართული იდენტობის ჩამოყალიბების საკითხებს. მანვე დასძინა, რომ მისასალმებელია, რომ აღდგა ის ტრადიცია საისტორიო კრებულების პუბლიკაციისა, რომელიც წლების მანძილზე არსებობდა საქართველოს ისტორიის კათედრზე (ამჟამად ინსტიტუტი).

ჟურნალის დეტალური ანალიზი წარმოადგინა სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორმა ზურაბ პაპასქირმა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ სასიამოვნო ფაქტს, რომელიც ბოლო წლების მანძილზე შეიმჩნევა საქართველოში სამეცნიერო აქტივობის გამოცოცხლება. ზ. პაპასქირის თქმით, თითქმის არცერთი ნაშრომი, რომელიც კრებულშია წარმოდგენილი არ შეიცავს ფაქტების მშრალ კონსტატაციას, ნაშრომები მრავალი სამეცნიერო სიახლის შემცველია. მისი აზრით, რამდენიმე ნაშრომი უფრო მოიგებს, თუ მათ მეტი სამეცნიერო აპარატი ექნებათ დართული. მანვე გამოყო გ. დუნდუას და თ. დუნდუას თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი გიორგი V ბრწყინვალის სამონეტო ემისიის შესახებ და აღნიშნა იმ ღირსებების შესახებ, რომელიც ამ და სხვა პუბლიკაციებს გააჩნიათ საქართველოს ისტორიის ობიექტურად შესწავლის საქმეში.

ჟურნალის შესახებ ვრცლად ისაუბრა, აგრეთვე, პროფესორმა დიმიტრი შველიძემ. მან აღნიშნა იმის თაობაზე, რომ უკანასკნელ დროს ქართულ სამეცნიერო სივრცეში გაიზარდა ნაშრომებისა და სტატიების რაოდენობა, რაც, მისი აზრით, გარკვეული სოციალური ფაქტორებით არის განპირობებული. ყველაფერ ამას, ლოგიკურად, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. დ.შველიძემ ვრცლად დაახასიათა ყველა ის ნაშრომი, რომელიც შრომების I ტომში არის გამოქვეყნებული და გამოკვეთა ის სამეცნიერო სიახლეები, რომელიც მათშია წარმოდგენილი. ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე მომხსენებლის განცხადებით, აღნიშნული კრებული მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

ზემოაღნიშნულის გარდა, პრეზენტაციაზე გამოითქვა მრავალი შენიშვნა და კეთილი სურვილი ახლად დაფუძნებული ჟურნალის მისამართით. გამოიკვეთა ის ძირითადი კონტურები, რაც *შრომების* შემდგენლებმა უნდა გაითვალისწინონ მომავალში. მაგალითად, პროფესორმა ცირა ბარამიძემ, რომელმაც მიულოცა ჟურნალის გამოცემა საქართველოს ისტორიის ინსტიტუტს, გამოთქვა სურვილი, რომ ჟურნალის რედკოლეგიაში შეყვანილ იქნეს ენათმეცნიერიც, რადგან ინტერისციპლინური კვლევა, რომელსაც გვთავაზობს *შრომების* პირველი ტომი, საჭიროებს აღნიშნული დარგის სპეციელისტების მონაწილეობასაც გამოსაქვეყნებელი სტატიების ექსპერტიზის დროს.

საერთო ჯამში ახალმა ჟურნალმა დამსწრე საზოგადოების დადებითი შეფასება დაიმსახურა. ჟურნალის რედაქტორების განაცხადს იმის შესახებ, რომ იგეგმება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის *შრომების* პერიოდულ ორგანოდ ქცევა, წელიწადში სულ მცირე ორი ნომრის გამოცემა მაინც, აუდიტორია დიდი მოწონებით შეხვდა.

Presentation of the *Proceedings* of the Institute of Georgian History

Leri Tavadze

On Fabruary 18, 2011 at the Faculty of Humanities (Javakhishvili Tbilisi State University) there was presented the first issue of the journal *Proceedings* (Tbilisi, Publishing House *Meriidiani*, 2011, The Institute of Georgian History).

The editors of the journal T. Dundua, M. Chkhartishvili, A.Boshishvili informed the audience about the editorial policy and defined main fields covered by the journal. The editors expressed their gratitude to the dean Professor Tvaltvadze for financial and other kind of support, the director of the Publishing House *Meridiani* K.Rusia for excellence of printing, and all contributors for providing interesting and thought-provoking papers.

Professors D. Shvelidze and Z. Papaskiri presented detailed analysis of the material published in the issue under the question.

შოთა მესხიას იუბილესადმი მიძღვნილი საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის კონფერენცია

ლერი თავაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ცნობილი ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსის შოთა მესხიას (1916-1972) დაბადებიდან 95-ე წლისთავს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ორგანიზატორებმა კონფერენციის თარიღი დაამთხვიეს დამსახურებული მეცნიერის დაბადების დღეს – 27 აპრილს. კონფერენცია გაიმართა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ეგიდით.

საიუბილეო ღონისძიებები დაიწყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული შოთა მესხიას სხოვნისადმი მიძღვნილი სხდომით, რომელსაც უძღვებოდა ფაკულტეტის დეკანი პროფ. დარეჯან თვალთვაძე. კონფერენცია ჩატარდა იმავე დღის მეორე ნახევარში. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და ამავე ინსტიტუტის დოქტორანტებმა. სხდომას თავმჯდომარეობდა აკად. მარიამ ლორთქიფანიძე.

კონფერენციის პირველი მომხსენებელი იყო პროფ. მარიამ ჩხარტიშვილი, რომლის მოხსენების თემა იყო *ქართული ერთობა, როგორც მნემონიკური კოლექტივი*. მომხსენებელმა გამოყო რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი ქართველი ერის კოლექტიური მახსოვრობიდან. მისივე შეფასებით წარსულის კოლექტიური გააზრება, აუცილებელი კომპონენტია ერთიანი ეროვნული თვითშეგნების ჩამოსაყალიბებლად.

მომდევნო მომხსენებელი იყო, ამავე ინსტიტუტის მოწვეული მასწავლებელი, დოქტორანტი ლერი თავაძე – *ნოველისიმოსის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში*. ავტორმა მიმოიხილა ნოველისიმოსის ტიტულის წარმოშობა და როლი შუა საუკუნეების რომაულ/ბიზანტიურ სამყაროში და მისი ფუნქციისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით სცადა წარმოეჩინა ამ ტიტულის როლი ქართულ სამყაროში. მომხსენებლის მტკიცებით ნოველისიმოსობა მეფეების ბაგრატ IV-სა და გიორგი II-ის გარდა მიღებული ჰქონია ნიანია ქვაბულისძესაც. აღნიშნულ მოვლენას ის 1073 წლით ათარიღებს.

პროფ. მიხეილ ბახტაძემ მოხსენებაში *საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფისათვის*. ისაუბრა საქართველოს ისტორიის ისეთ მნიშვნელოვან მონაკვეთზე, როგორიცაა XIII საუკუნის მეორე ნახევარი, როდესაც ერთიანი ქართული მონარქია ორ ნაწილად გაიყო. როგორც გამომსვლელმა აღნიშნა, პოლიტიკურ დაშლას თან დაერთო ადმინისტრაციული თანამდებობების გაყოფაც, კერძოდ, ქვეყანაში ჩნდება ორი მანდატურთუხუცესი, ორი მსახურთუხუცესი და ა.შ. მისივე თქმით, დავით VI ნარინის დროს, დასავლეთ საქართველოში არსებულმა ადმინისტრაციული აპარატის დასუსტებამ, შექმნა საჭიროება შეედგინათ, ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი როგორიცაა *ხელმწიფის კარის გარიგება*. ამდენად, მ. ბახტაძემ უფრო გაამყარა მოსაზრება ამ ძეგლის დავით ნარინის ეპოქით დათარიღების შესახებ.

პროფ. თედო დუნდუას მოხსენება იყო *XVI ს. ქართული ფული, როგორც საისტორიო წყარო*. მომხსენებელი შეეხო, ერთიანი საქართველოს დანაწევრების პერიოდის ეროვნულ ემისიებს. საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ, ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოები ცალ-ცალკე აგრძელებდნენ ქართული ვალიუტის მოჭრას. ქართლში ეროვნული ემისიების გამოშვება 1525 წლის შემდეგ შეწყდა, რაც, როგორც ირკვევა, დაკავშირებული იყო იმ რთულ პოლიტიკურ ვითარებასთან, რაც იქ შეიქმნა ირანისა, მოგვიანებით ოსმალეთის აგრესიის წყალობით. კახეთში, როგორც წესი, ადგილობრივი ზარაფხანების მიერ უცხო ქვეყნების ფულის მინაბაძების მოჭრა ხდებოდა. იმერეთი კი, როგორც ირკვევა, იყო ადგილი, სადაც ბოლო ქართული ფული მოიჭრა, ვიდრე მოგვიანებით XVIII საუკუნეში არ განახლდა ეროვნული საფასის გამოშვება.

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროფ. დიმიტრი შველიძემ წარმოადგინა შემდეგი მოხსენება – *თეიმურაზ I: საგარეო პოლიტიკა და მისი შედეგები*. მომხსენებელი შეეხო კახეთის

მეფის თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკის რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს, რომლის გააზრებაც ავტორმა XVII საუკუნის ისტორიული პერსპექტივიდან სცადა. ავტორი დადებითად აფასებს თეიმურაზის მცდელობას რუსეთის მეშვეობით მოახერხოს და წინააღმდგობა გაუწიოს ირანის აგრესიას საქართველოში. მისი აზრით, რუსეთთან დაახლოება იყო თეიმურაზის დროინდელი ქართული სამეფო-სამთავროებისთვის ყველაზე სწორი გადაწყვეტილება, ვინაიდან რეალური ალტერნატივა, ვისი მეშვეობითაც შეიძლებოდა მომხდარიყო ირან-ოსმალეთის აგრესიის თავიდან აცილება ფაქტობრივად არ არსებობდა.

დოქტორანტი ალექსანდრე ბოშიშვილი აუდიტორიის წინაშე წარსდგა მოხსენებით *"ოსმალობის" გავლენა სოლაღაშვილების სამფლობელო სოფლების დემოგრაფიულ მდგომარეობაზე* (1721 წლის მეწინავე სადროშოს აღწერისა და 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით). მოხსენების ავტორი შეეცადა ქვემო ქართლის მაგალითზე ეჩვენებინა ის შედეგები, რაც საქართველოში მოჰყვა ოსმალების ბატონობას, რომელიც ისტორიოგრაფიაში "ოსმალობის" სახელით არის ცნობილი. როგორც ორი აღწერის შედარებამ – ოსმალების შემოსვლამდელმა და მათი ბატონობის დროინდელმა აღწერებმა ცხადჰყვეს, ოსმლეთის ბატონობა ქართლში არ ყოფილა ისეთი მძიმე, როგორც ეს აქამდე ითვლებოდა სამეცნიერო წრეებში, მოსახლეობა მთელ რიგ სოფლებში არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა.

პროფ. აპოლონ თაბუაშვილმა მოხსენებაში *ქართლ-კახეთის სამეფოსა და ყარაბაღის სახანოს დაპირისპირება აღა-მაჰმად ხანის ჯარებთან 1795 წლის ივნისში.* წარმოადგინა 1795 წლის ივნისში განვითარებული იმ პერიპეტიების დაწვრილებითი ანალიზი, რაც წინ უძღვოდა კრწანისის ბრძოლის (1795 წლის 11 სექტემბერი) ეპოპეას. სწორედ ამ დროს მოხდა მნიშვნელოვანი ბრძოლა ირანელებისა და ქართულ-ყარაბაღული (შუშის სახანო) გაერთიანებული ჯარებს შორის, რაც ამ უკანასკნელთა სრული გამარჯვებით დამთავრდა. მიუხედავად გამარჯვებისა, ქართველებმა აღარ დატოვეს ყარაბაღის დასაცავად საკუთარი არმია და რუსეთის ჯარების მოლოდინში, სამხედრო ძალები ირანის არმიის ძირითადი ნაწილების გამოჩენამდე აღმოსავლეთ საქართველოში გაიწვიეს.

კონფერენციაზე ბოლო მოხსენება წარმოადგინა პროფ. გიორგი ჟუჟუნაშვილმა – *შოთა მესხია და ქართულ-რუსული ურთიერთობის საკითხი.* მომხსენებელი ძირითადად შეეხო შოთა მესხიასა და იასე ციწცაძის ერთობლივ მონოგრაფიას. მომხსენებელმა ეს ნაშრომი განიხილა ქართული ისტორიოგრაფიის ისტორიის კონტექსტში, ასევე შეეხო საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისეთ საკითხებს, რომელიც პრობლემატურია დღესაც. მისი შენიშვნით, მიუხედავად იმისა, რომ შოთა მესხია ინტენსიურად არ იკვლევდა ქართულ-რუსულ ურთიერთობებს (მისი კვლევის ობიექტი შუა საუკუნეების ქალაქები და საქალაქო ცხოვრება იყო), მისი ღვაწლი ამ სფეროში მნიშვნელოვანია.

მოხსენებების შემდეგ, დაისვა კითხვები განხილული პრობლემების ირგვლივ და გაიმართა დისკუსია. სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორმა ზურაბ პაპასქირმა ვრცლად ისაუბრა შოთა მესხიას პიროვნებაზე და მის დამსახურებაზე საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში, კმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ უნივერსიტეტი არ ივიწყებს მისი საამაყო შვილების ამაგს და მიაგებს პატივს მათ ნათელ ხსოვნას.

დასასრულ, სხდომის თავმჯდომარემ აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ მადლობა გადაუხადა კონფერენციაზე გამოსულ მომხსენებლებს, ასევე იქ დამსწრე საზოგადოებას.

Conference Held by Institute of Georgian History Dedicated to 95th Anniversary of Shota Meskhia

Leri Tavadze

On April 27, 2011 by the Faculty of Humanities at the Javakhishvili Tbiliisi State University was organized memorial sesseion dedicated to 95th anniversary of the eminent Georgian historian Professor Shota Meskhia. The event commenced by the Faculty's dean Professor Daregjan Tvaltvadze's opening speech. It was concluded by the rector of the Tbilisis State University Aleksander Kvitashvili.

The memorial event continued with the scientific conference held by the Institute of Georgian History at the Faculty of Humanities. The session was presided by Academisian Mariam Lortkhipanidze. Among the participants of the conference were: Professors M. Chkhartishvili, T. Dundua, M. Bakhtadze, D. Shvelidze, G. Zhuzhnashvili, A. Tabuashvili and doctoral students: L. Tavadze and A. Boshishvili.

მეხუთე *ვია ეგნატია* კონფერენცია მაკედონიაში

სოფო ქადაგიშვილი

ვია ეგნატიას სამეცნიერო კონფერენცია წლების განმავლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო წრეებს შორის აკადემიური გამოცდილების გაფართოების საქმეში. თავად კონფერენციის სახელწოდებიდან გამომდინარე ნათლად ჩანს მისი არსი, რაც გამოიხატება სახელმწიფოებს შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაში. ამ კონფერენციების თემატიკა, როგორც წესი, ინტერდისციპლინურია, გარკვეული პერიოდულობით კონფერენციაზე თავს იყრიან მეცნიერები სხვადასხვა ქვეყნებიდან. აქ გამართული ცხოველი დისკუსიები იმის მანიშნებელია, რომ კონფერენცია თავის მიზანს ამართლებს. საქართველოს გარდა სიმპოზიუმის აქტიური წარმომადგენლები არიან მეცნიერები იტალიიდან, რუმინეთიდან, მაკედონიიდან, თურქეთიდან და ა.შ. *ვია ეგნატიას* სამეცნიერო ქსელის კონფერენციებს მაკედონიაში ჩაეყარა საფუძველი. თურქეთის და იტალიის შემდეგ, 2009 წელს საქართველოც იყო ამ მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფორუმის მასპინძელი. თბილისში ჩატარებული კონფერენციის ორგანიზატორებმა პროფესორებმა გიული ალასანიამ და მარიამ ჩხარტიშვილმა ძალისხმევა არ დაიშურეს, რომ ყველაფერი ამ კონფერენციაზე ყოფილიყო საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი.

2011 წლის 17-19 ივნისში მაკედონიაში წმ. კირილეს და მეთოდეს სახელობის სკოპიის უნივერსიტეტის ორგანიზატორობით ჩატარდა რიგით მეხუთე *ვია ეგნატია* საერთაშორისო კონფერენცია. სამეცნიერო სექციები, რომელთა მუშაობა ორი დღე გრძელდებოდა ოქრიდის ულამაზეს ტბასთან მდებარე უნივერსიტეტის სასტუმროში მიმდინარეობდა. მომხიბვლელი გარემო და სასიამოვნო ატმოსფერო სამეცნიერო საქმიანობას უფრო საინტერესოს ხდიდა. მონაწილეები იყვნენ მაკედონიიდან, საქართველოდან, თურქეთიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან, ხორვატიიდან და მონტენეგროდან. მონაწილეთა რეგისტრაციისა და სიმპოზიუმის ორგანიზატორის ლუბომირ ფრსკოვსკის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, კონფერენციამ მუშაობა დაიწყო მრგვალი მაგიდის გარშემო მონაწილეთა აკადემიური გამოცდილების გაცნობით. მოხსენებები გადანაწილდა სამ სექციაზე.

პირველი სექცია გახსნა იტალიის წარმომადგენელმა ანდრეა კარტენმა, რომელმაც წარმოადგინა მოხსენება *იტალიური რისორჯიმენტო, როგორც ბალკანელი ხალხების მართვის მოდელი.* დასამახსოვრებელი იყო ხორვატი მკვლევრის მარტინა ბიტუნიაცის პრეზენტაცია *ეგრაული ერთობა იუგოსლავიის შიდა ომში.* თურქეთსა და საბერძნეთს შორის ხალხთა მიგრაციას მიეძღვნა ბერძენი ისტორიკოსის ლამბროს ბალტიოსტის და თურქი მკვლევარი გუნ კუტის საკონფერენციო პრეზენტაციები. ექვსი მოხსენების შემდეგ პირველი სექცია ძალიან საინტერესოდ დასრულდა. დღის ბოლოს ორგანიზატორებმა სტუმრებს ქალაქ ოქრიდაში ერთ-ერთ რესტორანში უმასპინძლეს.

კონფერენციის მეორე სექცია გაიხსნა 18 ივნისს იტალიელი მკვლევრის ალბერტო ბეჩერელის პრეზენტაციით. ამ სექციის მომხსენებლები იყვნენ თურქი პროფესორი შულე კუტი და მონტენეგროელი ტატიანა კოპრივნიცა. ბოლო სექციაზე თავიანთი ერთობლივი მოხსენება წარადგინეს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა და ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის *საქართველოს ისტორია* მაგისტრანტმა სოფო ქადაგიშვილმა. მათმა საპრეზენტაციო თემამ *ქართული ნაციონალიზმი XIX საუკუნეში – ღირებულებები, იდეალები, სიმბოლოები* დიდი ინტერესი დაიმსახურა სტუმრებს შორის. ქართული ნაციონალური გამოცდილებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება გამოხატეს იტალიელმა მეცნიერებმა, რომლებიც ძალიან დააინტერესა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ქართული ერის მამად წოდებული მოღვაწისა და

ქართული ნაციონალური იდეის შემქნელ ილია ჭავჭავაძის ინსპირაციის წყარო ხშირად იყო იტალიაში მიმდინარე მოვლენები, კერძოდ, იტალიის ნაციონალური გმირი ჯუზეპე გარიბალდი.

კონფერენცია დასრულდა შემაჯამებელი დებატებით. ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს სტუმრებს საინტერესო მოხსენებებისთვის და თურქეთის დელეგაციამ გამოთქვა სურვილი შემდგომი *ვია ეგნატია* კონფერენციის მასპინძლობისა. მაკედონიაში ყოფნის მომდევნო ანუ მესამე დღე დატვირთული იყო კულტურული ღონისძიებებით, გიდის თანხლებით მოხდა ოქრიდის ულამაზესი და ისტორიული ადგილების მონახულება, ხოლო საღამო დაგვირგვინდა გამოსამშვიდობებელი ვახშმით.

ვია ეგნატიას საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია ქართული სამეცნიერო წრეებისთვის. გარდა ევროპული კვლევების გაცნობისა, ქართველ მკვლევრებს ეძლევათ შესაძლებლობა იმისა, რომ ქართული კულტურა და ისტორია გააცნონ ფართო საზოგადოებას. კონფერენციაზე დაიგეგმა საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის სამომავლო საერთო პროექტები და კონფერენციები. ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი კონფერენციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია, რაც განაპირობებს საქართველოს ამ კონფერენციაში აქტიურ ჩართულობას. იმედია, მომავალში საქართველოს ისტორიით დაინტერესება უცხო ქვეყნების მხრიდან უფრო ფართო სახეს მიიღებს.

The Fifth *Via Egnatia* Conference in Macedonia

Sopo Kadagishvili

From the beginning of the 21st century the interdisciplinary *Via Egnatia* conferences are regularly organized by the international scientific *Via Ergantia* Network. The first one was held in Macedonia, the second – in Turkey, the third in Italy, the fourth – in Georgia .As our readers are already aware from the previous issue of the journal the conference in Georgia was held in 2009.

The fifth conference of the above-mentioned network was organized on June 17-19, 2011 under the aegis of St Cyril and Methodius State University of Skopje (Faculty of low).

Participants were from Georgia, Greece. Macedonia, Monte Negro, Italy, Romania.

For the venue of the conference seatings was chosen the picturesque place at the Lake Orchid.

From Georgia the participants were Director of *The Georgian History Institute* , Javakhishvili Tbilisi State University Professor Mariam Chkhartishvili and master student of the MA Program *History of Georgia* (Tbilisi State University, Faculty of Humanities) Sopo Kadagishvili. They presented the paper entitled as Georgian *Nationalism in the Nineteenth Century: Values, Ideals, Symbols.*

The presentation caused animate interest of the conference participants as well as attendants. This presentation was one more possibility for Georgian scholars to disseminate information on Georgian history. It would be not out of place to mention here that Prof Chkhartishsvili is one of the founders of *Via Egnatia* International Scientific Network. She is also a member of Steering Board of *Via Egnatia Network.*

The *Vie Egnatia Conferences* create the favorable atmosphere for exchanging scientific ideas worldwide. and help to international partnership and collaboration.

საერთაშორისო კონფერენცია რომში: *ნაციათა თვითგანსაზღვრა XX საუკუნეში*

სოფო ქადაგიშვილი

2011 წლის 17-18 ნოემბერს იტალიის დედაქალაქ რომში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია: *ნაციათა თვითგანსაზღვრა XX საუკუნეში.* კონფერენციას უმასპინძლა რომის ლა საპიენზას უნივერსიტეტმა.

ბოლო წლებია უნივერსიტეტი და, კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპის კვლევის დეპარტამენტი პროფესორ ანტონელო ბიაჯინის ხელმძღვანელობით აქტიურად თანამშრომლობს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტთან და პირადად ინსტიტუტის ხელმძღვანელთან პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილთან. ეს მუდმივი ურთიერთობა ხელს უწყობს სპეციალისტთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვალას, საერთო ღონისძიებების, პროექტების ერთობლივ დაგეგმვა-განხორციელებას.

აღნიშნული ფაქტის მნიშვნელობა ი.ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისათვის კარგად ჩანს იმის გათვალსიწინებით თუ რას წარმოადგენს რომის ლა საპიენზას უნივერსიტეტი. ლა საპიენზა, როგორც ხშირად მოკლედ უწოდებენ მას, ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტია ევროპაში: 1303 წელს დაარსდა. დღეს იგი ღირსეულად განაგრძობს ტრადიციას. ამჟამად ლა საპიენზა ევროპის 30 საუკეთესო უნივერსიტეტების რიგებშია. ესაა რომის ყველაზე დიდი უნივერსიტეტი, რომელიც მოიცავს ოცდაერთ ფაკულტეტს. აქ სწავლობს 140 ათასზე მეტი სტუდენტი. ლა საპიენზა გამორჩევა კვლევებისა და სწავლების ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონით. აქ მოქმედებს საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. ეს საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან, მათ შორის, ცხადია, საქართველოდანაც მეორე და მესამე საფეხურის განათლება მიიღონ ამ მაღალი რანგის სასწავლებელში.

ძალიან დიდხანს იტალიელ მეცნიერთა თვალში საქართველო გამოცალკევებული არ იყო რუსეთმცოდნეობითი და სოვეტოლოგიური კვლევებისაგან. ახლა ვითარება რადიკალურად შეცვლილია. გაიზარდა ინტერესი საერთოდ კავკასიისა და, კონკრეტულად, საქართველოს მიმართ.

2011 წლის ნოემბერში ჩატარებული ზემოთ ხსენებული კონფერენცია სწორედ ინტერესის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს,

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულმა მომხსენებლებმა. მათ წარმოადგინეს XX საუკუნის ისტორიის მნიშვნელოვანი რაკურსები. მომხსენებლები იყვნენ: თავად იტალიიდან, საქართველოდან, აზერბაიჯანიდან და მონტენეგროდან. კონფერენცია ორ დღეს გაგრძელდა. პირველი დღე გამოყოფილი იყო ქართველი და მონტენეგროელი სტუმრებისთვის, ხოლო მეორე დღე მთლიანად იქნა მიძღვნილი აზერბაიჯანის საკითხისადმი. ამასთან ერთად მოეწყო ახალი წიგნის პრეზენტაციაც, რომელიც ეხებოდა ვერსალის კონფერენციის მნიშვნელოვან დეტალებს. კონკრეტულად, კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ ლა საპიენზას უნივერსიტეტის დოქტორები დანიელ პომიერი, ჯუზეპე მოტა და ანტონელო ბატაგლია. მათ, მართლაც, დიდი შრომა გასწიეს კონფერენციის სათანადო ორგანიზებისათვის.

სხდომა გახსნა ლა საპიენზას უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფესორმა ანტონელო ბიაჯინიმ. მონაწილეებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ლუიჯი ფრატი. ერთ-ერთი სექცია მთლიანად მიეძღვნა პრეზენტაციებს იტალიურ ენაზე, მომხსენებელებს. შორის იყვნენ ანდრეა კარტენი, ალესანდრო ვაგნინი, ანტონელო ბატაგლია და ა.შ. მცირედი შესვენების შემდეგ, ადგილი დაეთმო ინგლისურენოვან სექციას, რომელსაც თავმჯდომარეობდა კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი დანიელ პომიერი. სექციაზე თავდაპირველად მოსმენილ იქნა პრეზენტაცია ქართულ გამოცდილებაზე: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილის,

ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის *საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია* დოქტორანტის ნატო სონღულაშვილის და სამაგისტრო პროგრამის *საქართველოს ისტორია* მაგისტრანტის ერთობლივი ნაშრომი *პირველი ქართული რესპუბლიკა: იდენტობრივი პერსპექტივა* მოხსენებაში ყურადღება იყო გამახვილებული პირველი ქართული რესპუბლიკის საერთაშორისო პოლიტიკურ ორიენტაციაზე და იდენტობრივ პერცეფციებზე 1918–1921 წლებში. მოხსენების ვიზუალურმა და შინაარსობრივმა მხარემ მსმენელთა მოწონება და ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

პირველი დღე დასრულდა მონტენეგროელი პროფესორების რადოსლავ რასპოპოვიჩის და სლავკო ბურზანოვიჩის პრეზენტაციებით. დღის ბოლოს ორგანიზატორებმა სტუმრებს რესტორანში ვახშამზე უმასპინძლეს.

18 ნოემბერს ლა საპიენზას უნივერსიტეტში დაიწყო რიგით მესამე საკონფერენციო სესია, რომელიც მთლიანად დაეთმო აზერბაიჯანის საკითხს. სხდომას ამჯერადაც პროფესორი ბიაჯინი ხელმძღვანელობდა. უპირველეს ყოვლისა, პრორექტორმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისათვის და იმ ურთიერთობისათვის და პროექტებისათვის, რომელიც იტალიისა და აზერბაიჯანის უნივერსიტეტებს შორის დამყარდა უკანასკნელი წლების განმავლობაში. ამის შემდეგ აზერბაიჯანელ მკვლევარ – ჯამილ ჰასანლის საშუალება მიეცა ფართო აუდიტორიისთვის გაეცნო ნაშრომი: *აზერბაიჯანის პირველი რესპუბლიკა: აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის*. ისტორიკოსმა მიმოიხილა საქართველოს საკითხიც აზერბაიჯანთან მიმართებაში. საინტერესო იყო მისი განსხვავებული შეხედულებები ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით.

აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო კონფერენციის დასკვნითი ნაწილი, რომელიც მრგვალი მაგიდის ირგვლივ შეხვედრას წარმოადგენდა. შეხვედრას უძღვებოდა დანიელ პომიერი. ეს სხდომა იმით იყო განსაკუთრებით დასამახსოვრებელი, რომ მომხსენებლებს არაფორმალურ ვითარებაში სიტყვის წარმოთქმის შემთხვევა მიეცათ. სოფო ქადაგიშვილმა მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს უაღრესად საინტერესო კონფერენციისთვის და ქართველი მეცნიერების კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მიწვევისათვის. მან იმედი გამოთქვა, რომ მომავალში იტალიასა და საქართველოს შორის სამეცნიერო ურთიერთობები უფრო გაღრმავდება.

ლა საპიენზას უნივერსიტეტში საქართველოს წარმოჩენა ნამდვილად მნიშვნელოვანი ფაქტია ქართველოლოგიისათვის. როგორც აღვნიშნეთ, იტალიური მხარე სერიოზულად არის დაინტერესებული საქართველოს მხარესთან თანამშომლობით. ამასზე მეტყველებს თუნდ ისიც, რომ უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაში *ევროპის იდეა* ჩართულია პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი. ბოლო წლების აქტივობები კი იმის პროგნოზირების საშუალებას იძლევა, რომ კიდევ მეტი საერთო პროექტები და კონფერენციები იქნება განხორციელებული იტალიური და ქართული სამეცნიერო წრეების ინიციატივით.

International Conference in Rome:
Self-determination of Nations in the Twentieth Century

Sopo Kadagishvili

The international conference *Self determination of Nations in the Twentieth Century* was held On November 17-18, 2011 in Rome. The host organization was La Sapienza University of Rome.

The conference was opened by welcoming speech of Professor Luigi Frati La Sapienza University Rector. At the first session all presentations were made in Italian. The next session the presentations were made in English. This seating was presided by the organizer of the conference Daniel Pommier. First presentation on this section was on Georgian experience, in

particular, the paper by Tbilisi State University Professor Mariam Chkhartishvili, Doctoral student Nato Songulashvili and Master student Sopo Kadagishvili entitled as *The First Georgian Republic: Identity Perspective* was presented.

The conference was closed by the round table informal discussion was led again by Daniel Pommier. Sopo Kadagishvili expressed thanks to the organizers for giving Georgian scholars possibility to participate this conference. She also mentioned that in the last years La Sapienza University of Rome, in particular the Department of East European Studies with leadership of Professor Antonello Biagini intensively collaborates with Javakhishvili Tbilisi State University, namely, Institute of Georgian History and its director Professor Mariam Chkhartishvili.This collaboration is resulted in launching of joint projects and holding conferences.

გამოსათხოვარი

პროფესორი ვალერი სილოგავა – ქართული წყაროთმცოდნეობის თვალსაჩინო მკვლევარი

ლია ახალაძე

ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 2011 წლის 17 მარტს მოულოდნელად გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვალერი სილოგავა.

ვალერი სილოგავა დაიბადა 1945 წლის 20 აპრილს ქ. ფოთში. 1963 წელს დაამთავრა ფოთის მე-5 საშუალო სკოლა. 1964 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც სტუდენტობის წლებშივე გამოავლინა დიდი ინტერესი მეცნიერული კვლევისადმი. პირველი სამეცნიერო ნაშრომი სწორედ ამ დროს მოამზადა პროფ. შოთა მესხიას ხელმძღვანელობით, რომელიც გახდა მისი მეგზური ისტორიულ მეცნიერებაში. 1969 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ფაკულტეტის დეკანის შოთა მესხიას რეკომენდაციით გაიგზავნა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც გაიარა წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის კურსი პროფ. ნოდარ შოშიაშვილის ხელმძღვანელობით. 1970 წელს, ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლის პერიოდში, ვალერი სილოგავამ მუშაობა დაიწყო ხელნაწერთა ინსტიტუტში (ახლა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), სადაც ჩამოყალიბდა როგორც მკვლევარი და გამოიკვეთა მისი სამეცნიერო ინტერესების წრე – ეპიგრაფიკა, პალეოგრაფია, დიპლომატიკა.

1992 წლიდან, სხვადასხვა დროს პალეოგრაფიის კურსს კითხულობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თსუ სოხუმის ფილიალსა და თსუ მესხეთის (ახალქალაქის) ფილიალში.

2006 წლიდან არჩეული იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორად, პარალელურად იყო ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ახალქალაქის საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორი და საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი. მისი სალექციო კურსები საქართველოს ისტორიის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის, წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში გამოირჩეოდა მასალის ღრმა ცოდნითა და ეფექტური გადმოცემით, სტუდენტებთან ჰქონდა საოცრად თბილი და მეგობრული დამოკიდებულება. იყო მათი მეგზური და დამკვალიანებელი მეცნიერებაში.

უაღრესად ნაყოფიერი იყო ვალერი სილოგავას სამეცნიერო მოღვაწეობა, განსაკუთრებით XX საუკუნის 90-იანი წლებსა და XXI საუკუნის დასაწყისში, ფაქტობრივად ახლა იგი თავისი სამეცნიერო შესაძლებლობების მწვერვალზე იდგა, როცა შეეძლო დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე, გაცილებით მეტი გაეკეთებინა ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

ვალერი სილოგავას გამოქვეყნებული აქვს 20-მდე მონოგრაფია და 200-ზე მეტი სამეცნიერო სტატია. მისი ძირითადი სამეცნიერო ინტერესი იყო ქართული წყაროთმცოდნეობის, ეპიგრაფიკული ძეგლების, ქართული დიპლომატიკისა და სიგელთმცოდნეობის პრობლემების, ასევე ძველი ქართული საისტორიო თხზულებების კვლევა. ყველა მიმართულებით მკვლევარმა დატოვა მდიდარი და მრავალფეროვანი მემკვიდრეობა, რომელსაც წლების მანძილზე აგროვებდა და აღწერდა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოქონდა. ვალერი სილოგავას ძირითადი მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი ისტორიული წარწერა გადაერჩინა, გამოემზეურებინა და გამოექვეყნებინა, რითაც მყარი საფუძველი შექმნა ამ ძეგლების შემდგომი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევისათვის.

ვალერი სილოგავას სამეცნიერო ხასიათის პირველი ნაშრომები, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, 1968-69 წლებში გამოქვეყნდა, ყველა მათგანი ძველ ქართულ წარწერებს ეხება და მოხსენებათა თეზისების სახითაა წარმოდგენილი.

1972 წელს ვალერი სილოგავამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე *დასავლეთ საქართველოს IX-XIII საუკუნეების ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო* და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. აღნიშნული ნაშრომი ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსის სერიით 1980 წელს გამოიცა. ნაშრომში შევიდა 210 ლაპიდარული წარწერის ტექსტი, არქეოგრაფიული აღწერილობით, გამოცემებითა და შესაბამისი იკითხვისებით. წიგნის შესავალში მოცემულია წარწერების შესწავლის ისტორია, ხოლო წარწერათა ტექსტებთან საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილია ისტორიულ-ფილოლოგიური შენიშვნები დათარიღების ან ახლებური წაკითხვების დასაბუთებისათვის. ნაშრომს დართული აქვს ლაპიდარული წარწერების გრაფიკული მონახაზები და ფოტოსურათები.

დასავლეთ საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის საკითხს ავტორმა რამდენიმე პუბლიკაცია მიუძღვნა, მათ შორის ყველაზე ადრეულია *ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში* (1972), რომელშიც განხილულია იურიდიული ხასიათის რამდენიმე ლაპიდარული წარწერა. ხოლო ყველაზე გვიანი – *სამგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა* (2004), რომელშიც სამეგრელოს რამდენიმე ლაპიდარულ წარწერასთან ერთად მოცემულია აფხაზეთის ლაპიდარული წარწერების არქეოგრაფიული აღწერილობა, გამოცემები და დათარიღება, ლიხნის ფრესკული წარწერები და ცნობილი 'ლიხნის განძის' აღწერილობა. 1993 წელს გამოიცა კრებული ნოქალაქევი-არქეოპოლისი III, რომელშიც არქეოლოგიური გათხრების შედეგებთან ერთად წარმოდგენილია ვ. სილოგავას ნაშრომი 'ნოქალაქევის ქვეყნის' ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებიდან.

1972 წლიდან ვალერი სილოგავა დაინტერესებული იყო სვანეთის სიძველეების შესწავლით. იგი ჩართული იყო სვანეთის კომპლექსური შესწავლის ექსპედიციის მუშაობაში, რასაც მოჰყვა ახალი მასალების გამოვლენა და პუბლიკაციები სვანეთის სიძველეების შესახებ: *ისტორიული საბუთები წმ. კვირიკეს და ივლიტას ეკლესიიდან* (1973), *ისტორიული საბუთები ლაგურკიდან* (1973), *ქართული დიპლომატიკის საყურადღებო ძეგლები (სვანეთის ისტორიული საბუთები)* (1970), *ზემო სვანეთის ნაკაწრი წარწერები* (1976), *ქტიტორთა ფრესკული წარწერები ზემო სვანეთში* (1977), *ძველი ქართული წერილობითი ძეგლების შესწავლა სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიციის მიერ (10 წლის მუშაობის შედეგები)* (1981). ვალერი სილოგავას მოღვაწეობა სვანეთის კომპლექსური შესწავლის ექსპედიციაში, ერთგვარად შეჯამდა მის მონოგრაფიაში სვანეთის წერილობითი ძეგლები, რომელიც ორ ტომად გამოიცა 1986, 1988 წლებში. მონოგრაფიის პირველ ტომში წარმოდგენილია ისტორიული საბუთები და სულთა მატიანეები, ხოლო მეორე ტომში სვანეთის ეპიგრაფიკული ძეგლები. აღნიშნული ფუნდამენტური ნაშრომისათვის 1989 წელს ვ. სილოგავას მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. მიუხედავად ამისა, სვანეთზე, როგორც ქართული კულტურის უძველეს სავანეზე, მუშაობა შემდეგშიც გაგრძელდა. მკვლევარი დროდადრო აქვეყნებდა ნაშრომებს სვანეთის სიძველეებზე. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა: *უშგული* (1986. თანაავტორი რ. ყენია) *სვანების გადაწერილი ან მოგებული ძველი ქართული ხელნაწერები და საბუთების დამწერი სვანი მწიგნობრები* (2006), იგივე ნაშრომი შევიდა 2008 წელს გამოცემულ კრებულში *სვანეთი-ქართული კულტურის სავანე*, სადაც ავტორმა დამატების სახით წარმოადგინა *სვანური ისტორიული საბუთების, ანუ იურიდიული აქტების ნიმუშები და მესტიაში დაცული იშხნის 1033 წლის ოთხთავი და მისი ანდერძ-მოსახსენიებლები.*

სვანეთზე მუშაობის პარალელურად ვ. სილოგავა აქვეყნებს საინტერესო გამოკვლევებს ქართული ეპიგრაფიკისა და პალეოგრაფიის ისტორიიდან: *ქართული ქრონოლოგიური ტერმინოლოგიიდან ("ზედა წელი")* (1974), *ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები (შესწავლის შედეგები და ამოცანები)* (1975), *ქართული ეპიგრაფიკა და პალეოგრაფია ივ. ჯავახიშვილის მემკვიდრეობაში* (1977), *მარი ბროსე – ქართული ეპიგრაფიკის მკვლევარი* (1983, 1986), *მასალები მოსკოვის ქართული დასახლების ისტორიისათვის. დონის მონასტრის ორენოვანი (ქართულ-*

რუსული) ეპიტაფიები (1984) და ა.შ. ამავე პერიოდში ჩართული იყო ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის ყოფილი საეკლესიო მიზეუმის (A) კოლექციის, ტომი I (2) მომზადებაში, რომლისთვისაც მოამზადა მასალა *კლარჯული მრავალთავის* (A -144, X ს) *მინაწერები* (1976).

ქართული დიპლომატიკის მნიშვნელოვანი შენაძენია 1984 წელს გამოცემული ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის I ტომი, რომელიც მომზადდა თინათინ ენუქიძის, ვალერი სილოგავას და ნოდარ შოშიაშვილის რედაქტორობით. კორპუსის გამოცემა მიზნად ისახავდა ფეოდალური ეპოქის ქართული საბუთების სრული კრებულის გამოცემას კუთხობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით. კორპუსის პირველ წიგნში შევიდა IX-XIII საუკუნეების 46 საბუთი. ყველა საბუთს თან ახლავს სამეცნიერო-საცნობარო აპარატი, არქეოგრაფიული აღწერილობა, ბიბლიოგრაფია, კითხვა-სხვაობები, საძიებლები და ფოტოები. მომდევნო ტომებში უნდა შესულიყო ქრონოლოგიურად მომდევნო ეპოქის ქართული დიპლომატიკის უმნიშვნელოვანესი საბუთები. სამწუხაროდ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის ეს წამოწყება შემდეგში ვერ გაგრძელდა და ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი

ქართული დიპლომატიკის საკითხებს ეძღვნება ვალერი სილოგავას პუბლიკაციები *რკონის დაწერილის ფრაგმენტის ასლი და ტექსტის ზოგიერთი ადგილის წაკითხვა* (1991), *დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი* (1123/1124) (1981), *დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში დამოწმებული ძველი ქართული საბუთები და ანდერძის დამოწმება ძველ ქართულ საბუთებში* (1989, 1990), *დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტის დადგენასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი* (1993), ასევე 2003 წელს გამოცემული მონოგრაფია *ანდერძი დავით მეფისა შიომღვიმისადმი*, რომლის მეორე შევსებულ-შესწორებული ვარიანტი 2010 წელს კვლავ გამოქვეყნდა. იმავე 2003 წელს ავტორმა გამოსცა *ბაგრატიონ ხელმწიფეთა ავტოგრაფები* (XI-XII სს), რომელშიც ბაგრატიონთა სამეფო სახლის XI-XIII სს. ათი ქართველი მეფის ჩვენამდე მოღწეული ოცამდე ხელრთვა-დამტკიცება არის წარმოდგენილი. ბაგრატიონთა სამეფო სახლის შესწავლის ისტორიისათვის საყურადღებო ნაშრომია ვ. სილოგავას პუბლიკაციები *მეფისა და დედოფლის თამარ ბაგრატუნიანის წარწერა "მწვანე ყვავილადან"* (1971), *ბაგრატიონთა სამეფო სახლის ერთი წარწერა – დადგენილება* (2005, *XII საუკუნის კტიტორული წარწერის ფრაგმენტები ალავერდის საკურთხეველში დავით აღმაშენებლის მოხსენიებით* (1992), *ბაგრატის ტაძრის წარწერები* (1990, 1994, 1995, 1997), მონოგრაფია *გეთანიის წარწერები* (1994), *ბორენას წარწერა-ლექსი* (1998, 1999), *ბაგრატიონთა სამეფო სახლის ერთი წარწერა-დადგენილება* (2005) წინასწარი ცნობები *რუსუდან მეფის უცნობი "ხელის" შესახებ ჯავახეთის სოფელ გომანში* (2007), *მცხეთის სამთავროს უცნობი წარწერა ადარნასე ქართველთა მეფის შესახებ* (2008), *დავით აღმაშენებლის კიდევ ერთი უცნობი ავტოგრაფი* (2010) და ა.შ.

ვალერი სილოგავა ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაინტერესდა სამხრეთ საქართველოს წერილობითი ძეგლების შესწავლის საკითხით. XX საუკუნის 70-იანი წლებში გამოქვეყნდა მისი პუბლიკაციები: გამოკვლევა *ოშკის ტაძრის ქტიტორთა რელიეფების და აშენების თარიღის შესახებ ახლადაღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლების* მიხედვით (1977), *ყარსის ციხის ერთი ქართული წარწერის შესახებ* (1978, 1980), და ა.შ. სამხრეთ საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა კომპლექსურად წარმოებდა ხელნაწერთა ინსტიტუტის სპეციალური ეპიგრაფიკული ექსპედიციის მიერ, რომლის მუშაობის ანგარიში ვ. სილოგავამ ორჯერ 1980, 1983 წლებში გამოაქვეყნა *მრავალთავში: ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის 1977 წლის მუშაობის ანგარიში* (1980) და *სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის მიერ* (1983).

1990 წელს ვ. სილოგავა გახდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლი და ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე. ამ პერიოდიდან იწყება ვალერი სილოგავას ინტენსიური დაინტერესება საქართველოს ამ ისტორიული რეგიონის წარსულითა და მატერიალური კულტურით. იგი იყო მესხეთის მუდმივი სტუმარი, მკვლევარი და გულშემატკივარი. სამხრეთ საქართველოს – მესხეთ-ჯავახეთისადმი მიძღვნილი შრომებიდან აღსანიშნავია: *მესხეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა* ივ. გვარამაძის მიერ (1992), *თორელთა ფეოდალური სახლის*

ერთი მემორიალური ძეგლი (ახალდაბის წარწერა) (1993), *ვანის ქვაბთა საბუთების ახალი გამოცემისათვის (1994)*, *ხოთის ახალაღმოჩენილი წარწერები* (1997), *ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი (ღაღვის წარწერა)* (1998), *ეკლესიის მოდელი საფარიდან ხუროთმოძღვრის გამოსახულებით და წარწერით* (2000), *ეკლესიის მოდელი ახალდაბიდან და მის კედლებზე ამოკვეთილი წარწერა* (2000), *ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი თურქ-სელჩუკთა შემოსევის შესახებ XI ს. საქართველოში (მირაშხნის წარწერა)* (2000), *სათხის წარწერები* (2001), *V-VI სს. კიდევ ერთი მემორიალური სტელა ბოლნისიდან* (2003), *ახალი ეპიგრაფიკული მასალა სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში* (2006), *X ს. ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი წმ. ივლიტას (ახალციხე) ეკლესიაზე* (2007), *ზარზმის ლაპიდარული ეპიგრაფიკა* (2007), *ვაჩე – საფარის მონასტრის მიძინების ტაძრის ხუროთმოძღვარი* (2009), *განძანის წარწერის „მანგლაფას“ შესახებ* (2009) და ა.შ. ალბათ, ცალკე უნდა აღინიშნოს სამხრეთ საქართველოსადმი მიძღვნილი მონოგრაფიები: *ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები* (1994), კუმურდო (1994), *სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები* (2000). ყველა მათგანი წარმოადგენს სამხრეთ საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლების, როგორც საისტორიო წყაროს, წერილობით ფიქსაციას, იქვე მოცემულია ტესტის წაკითხვა-დათარიღება, შესაძლო იკითხვისები, გამოცემები და ფოტოსურათები. მმიუხედავად იმისა, რომ ბოლნისისა და კუმურდოს წარწერები არაერთხელ იყო გამოცემული ავტორმა თავის მონოგრაფიებში თავი მოუყარა და წარმოაჩინა ამ ტაძრების ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ არსებული ყველა მოსაზრება, რომელთა შეჯერების საფუძველზე მოგვცა კუმურდოსა და ბოლნისის წარწერების შესახებ ახლებური ხედვა. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემას, ვალერი სილოგავა იყო პირველი მკვლევარი, ვინც ამ მუზეუმის წარწერების კატალოგი შექმნა. მსგავსი ტიპის სამუშაოები ადრეც ჩაუტარებია მკვლევარს, რაც ასახულია შესაბამის პუბლიკაციებში: *აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები (წარწერების პუბლიკაცია)* (1969), *ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში* (2002), *ეპიგრაფიკული ძეგლები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში* (2002), *ეპიგრაფიკული ძეგლები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და მათი შესწავლა* (2002).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ვალერი სილოგავას სამეცნიერო ინტერესი თურქეთის საქართველოსა და საზღვარგარეთის სხვა ქართული სავანეების სიძველეთა შესწავლისადმი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი გამოხმაურება სომეხი ისტორიკოსის პარუირ მურადიანის მონოგრაფიაზე *სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები*, რომელშიც ავტორს მიუთითა დაშვებულ შეცდომებსა და ტენდენციურობაზე (1980), ამავე საკითხს შეეხო პუბლიკაციაში *По поводу возражений П. Мурадяна* (1980), ორივე სტატიაში ავტორი მეცნიერული ტაქტით ცდილობს წარმოაჩინოს სიმართლე და დაარწმუნოს ოპონენტი თავის მცდარ შეხედულებაში. საზღვარგარეთის ქართული სავანეების კვლევას მიუძღვნა ავტორმა პუბლიკაციები: *Нови дани за историата на грузино-болгарските отношения* (1980), *Новые материалы по истории грузино-болгарских взаимоотношений (1982)*, *Древнегрузинские надписи в Болгарии (1989)*, *სინის მთის ქართული წარწერები (1984, 1986)*, *Древнегрузинские надписи в Болгарии (1989)*, ერთი წარწერა არზრუმის ვილაიეთიდან (1993), ანისის ქართული წარწერა (1997), *ათონის ქართული სიძველეებიდან (2000)*, *ანისის და ყარსის ქართული ეპიგრაფიკა* (2001), *მონღოლური გადასახადები ანისის 1288 წლის ერთი ქართული ეპიგრაფიკული საბუთის მიხედვით, ორი სტელა ოშკის ტაძრიდან კტიტორთა რელიეფური გამოსახულებით* (2004), *Григорий Пакуриани* (2006), *XI საუკუნის ანგარიშ-მოხსენების ფრაგმენტი სინის მთის ქართულ ხელნაწერთა ახალი კოლექციიდან* (2008), *ივირონის სოფელ რადოლივოსის ქართველი იკონომოსის ანგარიში (XII ს-ის I ათეული)* (2009), *ბიზანტიის იმპერატორთა და ივირონის წინამძღვართა მოსახსენებლები XI საუკუნის ერთ ათონურ ქართულ ხელნაწერში* (2009), *ანტეფიქსის ნატეხი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტით პარხლის მიდამოების ეკლესიიდან* (2008), *XI საუკუნის ანგარიშ-მოხსენების ფრაგმენტი სინის მთის ქართულ ხელნაწერთა ახალი კოლექციიდან* (2009) და ა.შ.

2006 წელს გამოიცა ვალერი სილოგავას მონოგრაფია *ოშკი* X ს. მემორიალური ტაძარი, რომელშიც მოცემულია ოშკის ტაძარში გამოვლენილი ორი სტელის და მათი წარწერების პუბლიკაცია.

მათთან ერთად წარმოჩენილია ოშკის ტაძრის სხვა წარწერები. დადგენილია მათი ქრონოლოგია, განხილულია დეკორატიული რეპერტუარი, წარწერათა წაკითხვის ახლებური მონაცემები.

2006/2007 წლებში გამოქვეყნდა მონოგრაფია *ტაო-კლარჯეთი*, რომელიც ვალერი სილოგავამ შეასრულა კახა შენგელიასთან ერთად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვალერი სილოგავა 1990 წლიდან თსუ ახალციხის ფილიალში კითხულობდა ლექციებს, სადაც ქართული წყაროთმცოდნეობის კურსის სწავლების პროცესში აუცილებელი გახდა *ქართლის ცხოვრების* შესახებ მოკლე კონსპექტის გამოცემა. აქედან დაიწყო ვალერი სილოგავას ინტერესი *ქართლის ცხოვრებისა* და მისი ისტორიული თხზულებებისადმი. პირველი გზამკვლევი ამ მიმართულებით იყო პატარა, 16 გვერდიანი სალექციო კურსი "*ქართლის ცხოვრება*" (1992), მკვლევარმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია *ქართლის ცხოვრების* ძველი ციკლის ავტორს ჟამთააღმწერელსა და მის ისტორიულ თხზულებას. ამას მოჰყვა სტატიების ციკლი ჟამთააღმწერლის თხზულების შესწავლასთან დაკავშირებით: *ჟამთააღმწერლის ერთი ბუნდოვანი ადგილის განმარტებისათვის,* (2008), *ჟამთააღმწერლის ერთი წყაროს ინტერპრეტაციისთვის* (2008), *ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე. კრებულში: ქართლის ცხოვრება* (2008), *ორი ბიბლიური პარალელი ჟამთააღმწერელთან* (2008), *ჟამთააღმწერლის ერთი ადგილის კონიუნქტურისათვის* (2009) *ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე (ნაწყვეტი – ხელნაწერი H – 1067)* (2009).

ქართლის ცხოვრებასა და მის მკვლევრებს ვალერი სილოგავამ სხვა, არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა: *მარიამ ლორთქიფანიძე – "ქართლის ცხოვრების" მკვლევარი* (2007), *ქართლის ცხოვრების შესწავლის სათავეებთან. სოლომონ დოდაშვილი* (2008) და სხვ.

ვალერი სილოგავა წლების მანძილზე მუშაობდა მინაწერი დოკუმენტების, როგორც საისტორიო წყაროს შესწავლაზე მან სხვადასხვა დროს გამოავლინა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა არაერთი მინაწერი დოკუმენტი, მათ შორის, საგულისხმოა გამოცემა *კორიდეთის საბუთები* (XI-XIII) (1989), რომელშიც ავტორმა გამოაქვეყნა კორიდეთის ბერძნული ოთხთავის ხელნაწერის გვერდების აშიებზე, ან ძირითადი ტექსტისგან თავისუფალ გვერდებზე მინაწერი ქართული ისტორიული საბუთები, რომლებიც მნიშვნელოვანი წყაროა სამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის. აღნიშნულ საკითხს ეხება *მაღვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური წიგნები და მათი ანდერძ-მოსახსენებლები* (2001).

მკითხველი კარგად იცნობს ვალერი სილოგავას გამოკვლევებს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის, მისი ეპარქიების, ცალკეული საკელესიო ჰირებისა და ქართული ოთხთავების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის შემოქმედებაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი თანამშრომლობა გამოცემებში *Православная Энциклопедия, ნათელი ქრისტესი, საქართველო* და *დიდნი საქმენი*. მის მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გამოკვლევებს: *ტაო-კლარჯეთი, (კათედრები, მონასტრები, სიწმინდეები)* (2003), *პატრიარქი X ს-ის საქართველოში (პარხლის წარწერა* (2003), *ეფრემ მცირე* (2010), *"ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი", შუა საუკუნეების ქართული კულტურის კერები* (2010), *ტბეთის ეპარქია* (2010), *განის ეპარქია, ანისის ეპარქია* (2001), *ტბეთის ეპარქია, კუმურდოს ეპარქია, ანჩის ეპარქია* (2002), *წყაროსთავის ეპარქია, ერუშეთის ეპარქია, წურწყაბის ეპარქია, კარის ეპარქია, ახიზის ეპარქია, ერუშეთის ეპარქია, წუნდის ეპარქია* (2003), *ცაგერის ეპარქიის ისტორიიდან* (2004) და ა.შ. მონაწილეობდა უკანასკნელ ხანს განხორციელებულ ენციკლოპედიურ გამოცემებში: *ივანე ჯავახიშვილი* (2002) და *ქართული ენა* (2008).

გამოცდილება, რომელიც წლების მანძილზე დაუგროვდა მკვლევარს, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მოემზადებინა საქართველოს ისტორიის მოკლე, მაგრამ თვალსაჩინოებებით სავსე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის. ამ საქმეში მას თანადგომა და მხარდაჭერა გაუწია ახალგაზრდა მკვლევარმა, სახელმძღვანელოს თანაავტორმა კახა შენგელიამ.

ვალერის სილოგავა ხშირად მონაწილეობდა საერთაშორისო და ეროვნულ კონფერენციებში: რუსეთში, ბულგარეთში, საბერძნეთში, გერმანიაში და სხვ. მისი შრომები გამოქვეყნებულია რამდენიმე ენაზე: რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ ენებზე, ისეთ სოლიდურ გამოცემებში როგორიცაა: *ბედი ქართლისა, Caucasica, Cveneburi, Introductory guide, Археология, проблемы полеографии и кодикологии*, და ა.შ.

ვალერი სილოგავას წიგნები *ქართული წარწერების კორპუსის* II ტომი (1980), *სვანეთის წერილობითი ძეგლები* I და II ტომები 1986, 1988), *კორიდეთის სამუთები (X-XIII სს)* (1989), *ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები* (1994), *კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა* (1994), *ბეთანიის წარწერები* (1994), *წარწერები გარეჯის მრავალწყაროდან (IX-XIII სს)*, *ბაგრატიონ ხელმწიფეთა ავტოგრაფები* (X სს) (2003), *დავით აღმაშენებლის ანდერძი* (2003), *სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა* (2004), *ოშკი. X საუკუნის მემორიალური ტაძარი* (2006), *ტაო-კლარჯეთი* (2007) (თანაავტორი კახა შენგელია), *საქართველოს ისტორიის ფერადი, ილუსტრირებული სახელმძღვანელო* (2003) (თანაავტორი კახა შენგელია), *ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე* (ნაწყვეტი-ხელნაწერი H – 1067) (2009) და სხვები სამუდამოდ დარჩება ქართული ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვან შენაძენად.

ვალერი სილოგავა იყო რამდენიმე საკანდიდატო დისერტაციისა და მრავალი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. არაერთი მეცნიერ-მკვლევარის, განსაკუთრებითნ მესხეთის მკვიდრთა, დამკვალიანებელი და მეგზური ისტორიულ მეცნიერებაში. ჩვენგან წავიდა კარგი მეცნიერი და კოლეგა, რომელმაც თავისი სამეცნიერო მემკვიდრეობით გადაინაცვლა უკვდავებაში.

Prof. Valeri Silogava: the Outstanding Researcher in Field of Georgian Source Study

Lia Akhaladze

The paper presents Professor Valeri Silogava's (1946-2011) biographical details and the brief overview of his scientific works.

The huge legacy left by Professor Silogava – voluminal publications of the sources, monographs, and a great number of papers – surprises specialists by the excellence of investigation.

აკადემიკოსი თინათინ ყაუხჩიშვილი: მეცნიერი და მასწავლებელი

მოგონება

მარიკა ნასიძე

სიკვდილის მიახლოება სულით ძლიერთ ნაკლებად აშინებთ, რადგან მუდამ რჩებიან იმად, რაც არიან.
ფრენსის ბეკონი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის (მაშინ ასე ეწოდებოდა) წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში 1984 წელს მიმიღეს, ლაბორანტის თანამდებობაზე. ამ განყოფილებას მაშინ ბატონი რეზო კიკნაძე ხელმძღვანელობდა. მე სულ სამი თვის დამთავრებული მქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და ინსტიტუტში მისვლისთანავე მოვხვდი განყოფილების წლიური თემების წარდგენის სხდომებზე. წყაროთმცოდნეობის განყოფილება ტრადიციულად ინსტიტუტის ერთ-ერთ უძლიერეს განყოფილებად ითვლებოდა. მე არ ჩამოვთვლი რამდენი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორი, პროფესორი და აკადემიის წევრი დამხვდა მაშინ იმ განყოფილებაში, მაგრამ მერწმუნეთ, თითოეულ მათგანს უდიდესი წვლილი მიუძღვის თანამედროვე წყაროთმცოდნეობისა და ზოგადად ისტორიის მეცნიერების განვითარებაში.

ყოველი სხდომა იწყებოდა რომელიმე მომხსენებლის თემის წაკითხვითა და უმეტეს შემთხვევაში გადაიზრდებოდა ხოლმე ძალიან სერიოზულ სამეცნიერო პოლემიკაში. მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ იყო დავა (თუმცა ასეთებიც ხდებოდა). უმეტესად, ყველას მცდელობა მიმართული იყო იმისკენ, რომ თემა გამდიდრებულიყო დამატებითი ინფორმაციითა და სხვადასხვაენოვანი წყაროებით.

მე მაშინ, წარმოდგენა არ მქონდა თუ რა სახის წყაროზე მინდოდა მუშაობა და ბატონი რეზოს რჩევით ვაკვირდებოდი თითოეულ თემასა და მომხსენებელს. როდესაც ქალბატონი თინა ყაუხჩიშვილის მოხსენება მოვისმინე (იმ დროს ბერძნული წარწერების კორპუსზე მუშაობდა და საქართველოს სხვადასხვა ეკლესია-მონასტრების კედლებიდან წარწერების პირებს იღებდა), გადავწყვიტე მივსულიყავი მასთან და მეთხოვა მემუშავა მისი ხელმძღვანელობით. მივედი სალი კლდესავით მედგარ, ერთი შეხედვით, პირქუშ, მანდილოსანთან, რომელსაც მანამდე არ ვიცნობდი (მიუხედავად იმისა რომ, მისი შვილიშვილი ჩემი ახლო მეგობარი იყო. ვინც ქალბატონ თინას იცნობდა, მიხვდება, რომ ამას მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა!) მან ყურადღებით მომისმინა და მითხრა: – მე, ნანული პაპავა და ვალერი ვაშაკიძე ხვალ მივდივართ სვეტიცხოველში, წარწერების პირების ასაღებად, შეგიძლია წამოხვიდე.

მეორე დილით დათქმულ დროს წავედით სვეტიცხოველში და მაშინ ვნახე როგორი იყო ქალბატონი თინა მუშაობის დროს. სამ მეტრიანი კიბე, ზედ დოქტორი ვალერი ვაშაკიძე პერგამენტის ქაღალდის მთელი რულონით და ბერძნული წარწერები, რომელთა სიგრძე ზოგჯერ რამდენიმე პერგამენტის ხვეულას იკავებს. ვალერისთვის დახმარების სურვილი რომ გამოვთქვი, ქალბატონმა თინამ საკმაო უნდობლობით გადმომხედა, თუმცა ბევრი წარწერის პირი იყო ასაღები, ამიტომ დამთანხმდა. ზურგით ვგრძნობდი როგორ მაკვირდებოდა, ემანდ რამე არ გამორჩესო, გადაღებულ წარწერას იქვე ამოწმებდა, იქვე იწყებდა მის გაშიფვრას, წარწერაში სავარაუდოდ გამოტოვებული ასო-ნიშნების აღდგენას, ასოთა მოხაზულობის მიხედვით დათარიღებას. მოკლედ, არც ერთი წამი არ შეუსვენია და ასე გავიდა სამი სრული დღე სვეტიცხოველის კედლებზე. მესამე დღის ბოლოს, როდესაც უზომოდ დაღლილები თბილისში ვბრუნდებოდით, მითხრა: – გუნდში მიღებული ხარ, მაგრამ უნდა ისწავლო ძველი ბერძნული, უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტზე უნდა დაესწრო ჩემს ლექციებს და მერე ვნახოთო. ასე დაიწყო ჩემი

და ქალბატონი თინას ხანგრძლივი, თითქმის ოცდაექვსწლიანი, მე არ შემეშინდება ამ სიტყვის, მეგობრობა.

მთელი წელი ჩვენი პირველი საუბრის შემდეგ, იგი ყურადღებით მაკვირდებოდა, თუ რას ვაკეთებდი, როგორ ვაკეთებდი და ერთ მშვენიერ დღეს მითხრა: – '1951 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი – *ბერძნული წარწერები საქართველოში,* 1953 წელს კი ი. ტოლსტოის – *Греческие граффити древних городов Северного Причерноморья.* ამის შემდეგ მომინდა მემუშავა ბერძნულ გრაფიტოზე, მაგრამ მოხდა ისე, რომ ისტორიის ინსტიტუტის იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ დამავალა მემუშავა ბერძენ ავტორებზე, ინსტიტუტისთვის იმ პერიოდში ეს უფრო მნიშვნელოვანი იყო. ჩემი სურვილი განუხორციელებელი დარჩა და ეხლა მე მინდა შენ მოკიდო ამ საქმეს ხელი'. აი, ასე დავიწყე ქალბატონი თინას ხელმძღვანელობით დასავლეთ საქართველოს ბერძნულ გრაფიტოზე მუშაობა. ჩვენ ერთად შევძელით მისი სურვილის ხორცშესხმა – 2002 წელს გამოვიდა წიგნი *საქართველოს ბერძნული გრაფიტო.*

მე მადლობელი ვარ განგების, რომელმაც მომცა საშუალება ურთიერთობა მქონოდა ასეთ პიროვნებასთან და ასეთი მასშტაბის მეცნიერთან. ურთიერთობაში ის არ იყო მარტივი ადამიანი, შეფასებებში – ძალიან მკრალი, ხისტი. ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობისას მისთვის უპირველესი იყო სიმართლის თქმა ყოველგვარი შელამაზების გარეშე. შესაბამისად, მისგან მიღებული დიდი ქათინაური მგონი არავის ახსოვს, თუმცა ყოველთვის იგრძნობდი როდის იყო შენით კმაყოფილი და რამდენად. რამდენჯერ მიფიქრია, რომ ქალბატონი თინა მაგონებდა შავ ავაზას, რომელიც ეთამაშება თავის ბოკვერებს, ხან აქედან წაკრავს თათს, ხან იქიდან, რათა ისინი უფრო ძლიერები და მოხერხებულები გაიზარდონ.

მასთან რომ მივედი, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და ვთვლი რომ, ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში მან ძალიან დიდი როლი ითამაშა. პირდაპირობა, არა *ინტრიგას,* არა *უმეცრებას,* არა *მლიქნელობას,* არა *მიზნისკენ ქვემ-ქვემ სწრაფვას* – ასეთი იყო ქალბატონ თინას ცხოვრებისეული კრედო. თუ უკვე გაქვს რამე სათქმელი, წადი, იბრძოლე, განაცხადე … არ ხარ ამისთვის მზად? მოიცადე, მომაგრდი და, რაც მთავარია, არ დაკარგო სახე.

მე მაოცებდა ქალბატონი თინას შრომისუნარიანობა და საკუთარი საქმის უდიდესი სიყვარული. ის მუშაობდა ყველგან – კაბინეტში, ექსპედიციაში, სხდომაზე და ასე სიცოცხლის ბოლო წამამდე! როგორი მომთხოვნიც იყო საკუთარი თავის მიმართ, ასეთივე მომთხოვნი გახლდათ თავისი სტუდენტების, ასპირანტების, კოლეგების, მეგობრებისა თუ შვილიშვილების მიმართ.

აკადემიკოსი თინათინ ყაუხჩიშვილი უაღრესად ნაყოფიერ და მრავალმხრივ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. მისი სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის ერთ-ერთ სფეროს საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები წარმოადგენდა. კერძოდ, შეისწავლიდა ძველ ბერძენ ავტორებთან საქართველოს შესახებ შემონახულ ცნობებს. იგი ყოველთვის ეფუძნებოდა ელინ ავტორთა უახლეს, კრიტიკულ გამოცემებს, აზუსტებდა მათ მრავალ ხელნაწერთა გათვალისწინებით, აქვეყნებდა ბერძნულ ქართული პარალელური ტექსტით და კომენტარებით. მას გამოქვეყნებული აქვს წყაროთმცოდნეობითი ხასიათის მრავალი წიგნი და სტატია: 6 წიგნი *Scriptores Graeci (ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ,* 1967-1987 წწ.), *საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები* (1976), ჰეროდოტეს *ისტორია* 2 ტომად (1975 და 1976 წწ. სრული ტექსტის თარგმანი, გამოკვლევით და საძიებლით), სტრაბონის *გეოგრაფია* (1957 წ. IX წიგნის სრული თარგმანი, გამოკვლევა და საძიებელი), ჰიპოკრატეს ტრაქტატი *ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ* (1965წ. სრული თარგმანი, გამოკვლევითა და ინდექსით). და ეს მისი შრომების ჩამონათვალის ნახევარიც არ იქნება. თინათინ ყაუხჩიშვილმა პირველმა გაამახვილა ყურადღება ქართულ ისტორიოგრაფიაში მანამდე ნაკლებად ცნობილი ავტორების ცნობებზე: ჰერაკლიდე, ლიკოფრონი, დიონისიოს ჰალიკარნასელი, ნიკოლოზ დამასკელი, მემნონი, დიონისიოს პერიეგეტი, კლავდიუს ელიანუსი და სხვ.

თინათინ ყაუხჩიშვილის მრავალწლიანი მუშაობის გვირგვინად შეიძლება ჩაითვალოს 2004 წელს გამოცემული *საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი,* (მეორე გამოცემა). ეს არის მრავალწლიანი, შრომატევადი და სკრუპულოზური კვლევა-ძიების შემაჯამებელი ნაშრომი, რომელიც მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ 1000 -ზე მეტ ბერძნულ წარწერას. კორპუსში წარწერები განლაგებულია გეოგრაფიული პრინციპით და აღწუსხულია ძვ.წ. V საუკუნიდან

მოყოლაბული XIX საუკუნის ჩათვლით. თითოეულ ბერძნულ წარწერას დართული აქვს კომენტარი და ქართული თარგმანი. კორპუსს ახლავს ვრცელი მიმოხილვა ბერძნულ ეპიგრაფიკაზე, როგორც ფასდაუდებელ ნარატიულ წყაროზე, არა მხოლოდ საბერძნეთის, არამედ ბევრი სხვა ხალხის ისტორიისთვის, მათ შორის, საქართველოს ისტორიისთვისაც, ვინაიდან ძველ საბერძნეთს და შემდეგ ბიზანტიას მჭიდრო და, ამავე დროს, საკმაოდ რთული კონტაქტები ჰქონდა ჩვენს ქვეყანასთან. ბერძნულ წარწერათა კორპუსი გათვალისწინებული არ არის მხოლოდ ქართველი სპეციალისტებისათვის. მას ვრცელი და ყოვლისმომცველი მიმოხილვა ახლავს გერმანულ ენაზე. მოცემულია ბერძნულ სიტყვათა საძიებელი, სახელთა საძიებელი, ტექსტების საძიებელი. აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის ეს ნაშრომი ქმნის ფართო პერსპექტივას ახლებურად გავიაზროთ და ღრმად ჩავწვდეთ საქართველოს ურთიერთობებს გარე სამყაროსთან, შევავსოთ ჩვენი ცოდნა ეთნოგენეტიკურ, ეთნოლინგვისტურ, პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებში.

დღეს, როდესაც განათლებასა და მეცნიერებაში ახლებური მიდგომები ინერგება და გადახედვას ექვემდებარება კომუნისტურ ეპოქაში შექმნილ ნაშრომთა უმეტესობა, კიდევ უფრო ნათლად ჩანს, როგორი მსოფლიო მასშტაბისა და გაქანების მეცნიერი ბრძანდებოდა აკადემიკოსი თინათინ ყაუხჩიშვილი. მან შექმნა საქართველოს ძველი ისტორიის კვლევის ყველაზე არსებითი და მყარი წყაროთმცოდნეობითი საფუძველი, რომელსაც მეცნიერები დღეს უყოყმანოდ იზიარებენ და ეყრდნობიან.

Recalling Academician Tinatin Kaukhchishvili: Scholar and Teacher

Marika Nasidze

The author - doctoral student of Academician Tinatin Kaukhchishvili - recalls her teacher in diferrent situations and depicts vivid portrait of the late scholar.

The brief information about main works by Kaukhchishvili is also provided. According to author's opinion despite recent achievements of Georgian historiography, Kauckchishvili's works would retain their great importance for scholarship in field of Georgian studies in future.

ჟურნალში გამოსაქვეყნებელი სტატიის გაფორმების და წარმოდგენის წესები

სტატიის ენა
ჟურნალში სტატია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენებზე. როგორც ქართულენოვან, ისე ინგლისურენოვან სტატიებს უნდა ერთვოდეს რეზიუმეები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის სტრუქტურა
კვლევითი სტატია უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან: სათაური, ავტორის სახელი და გვარი, სტატიის ძირითადი ტექსტი, შენიშვნები (თუკი არის) , დამოწმებები, რეზიუმეები.

სტატიის სათაური
ბოლდი, დაცენტრილი, ფონტის ზომა 14, ფურცლის ზედა ხაზიდან დაცილებული 14 ზომის ფონტის ინტერვალით (2-ჯერ).

ავტორის სახელი და გვარი
ბოლდი, მარჯვენა კიდეში, ფონტის ზომა 12, სათაურიდან დაცილება 12 ზომის ფონტის ინტერვალით (1-ჯერ).

ძირითადი ტექსტი
ძირითადი ტექსტის ავტორის სახელიდან და გვარიდან დაცილება 14 ზომის ფონტის ინტერვალით (1-ჯერ)
ძირითადი ტექსტის ფონტის ზომა 11, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.

შენიშვნების ფონტის ზომა 12, ტექსტიდან დაცილება 12 ზომის ფონტის ინტერვალით (1-ჯერ)

შენიშვნების ტექსტი
ფონტის ზომა 9, ინტერვალი 1, ნუმერაცია ინდექსით, ყოველი შენიშვნის პირველი სტრიქონი აბზაცით.

დამოწმებანი
ბოლდი, აბზაცი, შენიშვნების ტექსტიდან დაცილება 12 ზომის ფონტის ინტერვალით (1-ჯერ)

დამოწმებანის ტექსტი
ფონტის ზომა 9, ინტერვალი 1, ***დამოწმებანიდან*** მისი ტექსტის დაცილება 12 ზომის ფონტის ინტერვალით (1–ჯერ). ლიტერატურა უნდა დალაგდეს ქართულ ანბანურ რიგზე.

ლიტერატურის მითითების წესი

სტატიის შიგნით ერთი ავტორის ნაშრომი:
(ჩხარტიშვილი 2009: 5)

სტატიის ბოლოში, სექციაში *დამოწმებანი* ერთი ავტორის ნაშრომი:
ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში, თბილისი, უნივერსალი (2009).

სტატიის შიგნით ორი ავტორის ნაშრომი:
(ჩხარტიშვილი, მანია 2011: 5)

სტატიის ბოლოში, სექციაში *დამოწმებანი* ორი ავტორის ნაშრომი:
ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერია და მისი მკითხველი საქართველო. ტ. 1, თბილისი, უნივერსალი (2011).

სტატიის შიგნით რამდენიმე ავტორის ნაშრომი:
(ლეფორი *და სხვები* 2008: 64)

სტატიის ბოლოში, სექციაში *დამოწმებანი* რამდენიმე ავტორის ნაშრომი:
ლეფორი და *სხვები* 2008: ჟ. ლეფორი, ნ. იკონომიდისი, დ. პაპახრისანთუ, ელენე მეტრეველის თანაავტორობით, ივირონის აქტები, I, დარსებიდან XI საუკუნის შუა წლებამდე. ფრანგულიდან თარგმნა ცისანა ბიბილაშვილმა. თბილისი (2008).

ერთსა და იმავე წელს გამოცემული ერთი და იმავე ავტორის რამდენიმე ნაშრომი:
ჩხარტიშვილი 2009ა: M. Chkhartishvili. On Georgian identity and culture (Nine international presentations by Professor Mariam Chkhrtishvili). Tbilisi: Universal (2009).
ჩხარტიშვილი 2009ბ: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში, თბილისი, უნივერსალი (2009).

ნაშრომი კრებულში:
კაშია 2005: ჯ. კაშია. ცალკეული შენიშვნები პატრიოტიზმის თემაზე. კრებ. საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. მთ. რედ.ზ. კიკნაძე, თბილისი, არეტე(2005).

ნაშრომი ჟურნალში:
ჩხარტიშვილი, მანია 2010: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართული ერთობის სოციალური "სიცოცხლის" ორი თვე ანუ დაკვირვება ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესზე 1878 წლის "ივერიის" 10 ნომრის მიხედვით. ჟურნ. ქართული წყაროთმცოდნეობა. XII. რედ. გ. ალასანია, მ. ჩხარტიშვილი. თბილისი, უნივერსალი,(2010).

წყაროს პუბლიკაცია:

სტატიის შიგნით:
(ყაუხჩიშვილი 1955: 5)

სტატიის ბოლოში, სექციაში *დამოწმებანი*:

ყაუხჩიშვილი 1955: *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I. თბილისი (1955).

სტატიის შიგნით საარქივო მასალა:

(ფონდი 416)

სტატიის ბოლოში, სექციაში *დამოწმებანი* საარქივო მასალა:
ფონდი 416: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საიტორიო არქივი. ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11.

სამეცნიერო თარგმანი:

სტატიის შიგნით:
(ჩხარტიშვილი 2004: 5)

სტატიის ბოლოში, სექციაში *დამოწმებანი*:
ჩხარტიშვილი 2004: ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი-მალანი). თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, (2004).

საინტერნეტო პუბლიკაცია:
ავტორი, ნაშრომის სათაური, ვებ-გვერდის სახელწოდება, ელექტრონული მისამართი
ნოსენკო: Елена Носенко. Еще раз о нации, этносе, этничности тому подобных понятиях, ვებ–გვერდი *Эхо*. http://echo.oranim.ac.il/main.php?p=news&id_news=59&id_personal=18

გამოცემა ავტორის და რედაქტორის გარეშე, საცნობარო ლიტერატურა:
შეიძლება მითითებული იყოს სათაურით.

სტატიის შიგნით:
(**ლექსიკონი** 1984: 34)

სტატიის ბოლოში, სექციაში *დამოწმებანი*:
ლექსიკონი 1984: Армяно-русский словарь Ереван. Изд. АН Арм ССР, (1984).

ფონტი:
სილფაინი ყველა ენისათვის.

აბზაცი:
აბზაცი უნდა გაკეთდეს კლავიშით Tab (ზოგ კომპიუტერზე ეს კლავიში აღნიშნულია ორი ურთიერთსაპირისპირო ისრით), რომელიც დაყენებული უნდა იყოს 2,5 სანტიმეტრზე

ტექსტში დამოწმებული ნაშრომის სათაური:
ნებისმიერი ნაშრომის სათაური ისმება არა ბრჭყალებში, არამედ წარმოდგენილია კურსივით. მაგალითად: *წმ. ნინოს ცხოვრება* არის მეოთხე საუკუნის თხზულება. გამონაკლისია მხოლოდ სექცია *დამოწმებანი*. ლიტერატურის ჩამონათვალში სათაურებისათვის კურსივი არ გამოიყენება, არც ბრჭყალები.

ციტირება:
ორ სტრიქონზე მეტი მოცულობის ამონარიდი ძირითადი ტექსტისაგან ზემოდანაც და ქვემოდანაც გამოიყოფა 10 ფონტის ზომის 1 ინტერვალით, მთელი ტექსტი შეიწევა აბზაცის დონეზე. ამონარიდის ტექსტის ფონტის ზომაა 10.
ორი ან ერთი სტრიქონის მოცულობის ამონარიდი ტექსტისაგან გამოიყოფა მხოლოდ ერთი ბრჭყალებით ''. თუ ამონარიდის ტექსტში, თავის მხრივ, არის ციტირება, გამოიყენება ორი ბრჭყალი: “ ”

ორი ბრჭყალი ამის გარდა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა უნდა გამოიხატოს ავტორის მიერ აზრის მიუღებლობა, მაგალითად, “სამხრეთ ოსეთი” ან აფხაზეთის “მთავრობა”, ანუ როცა გვინდა ვაჩვენოთ ჩვენ მიერ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ლეგიტიმურობის არაღიარება.

სასვენი ნიშნები:
აუცილებელია ტირესა და დეფისის განსხვავება. დეფისი არის პატარ ხაზი, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნეს კომპოზიტებისათვის. რაც შეეხება ტირეს – ესაა დიდი ხაზი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ სიტყვებს შორის.
ბრჭალების შემდგომ იწერება სასვენი ნიშანი, ხოლო შენიშვნის მაჩვენებელი რიცხვი იწერება სასვენი ნიშნის შემდგომ.
მაგალითად:
'და ჰყვა მის თანა ცოლი თჳსი, და მიიწია რაჲ ***ტრაპეზუნტად*** სანახებთა მათ ***სამეგრელოსათა***'.[1]

მოცულობა:
ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული გამოკვლევებისათვის, აგრეთვე წყაროს პუბლიკაციისა და თარგმანისათვის, კრიტიკული რეცენზიის, სამეცნიერო თარგმანისათვის, საერთაშორისო პრეზენტაციისათვის არანაკლებ 8 გვერდისა და არა უმეტეს 32 გვერდისა *შენიშვნების, დამოწმებანის* და *რეზიუმეების* ჩათვლით.

ქრონიკის, წიგნების მიმოხილვის, გამოსათხოვარის, მოსაგონარის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 16 გვერდს და არ უნდა იყოს 2 გვერდზე ნაკლები.

რეზიუმე:
უნდა იქნას წარმოდგენილი როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. ინგლისურ ენაზე რეზიუმე უნდა იყოს რედაქტირებული კომპეტენტური სპეციალისტის მიერ.
რეზიუმეს სათაურის, ავტორის სახელისა და გვარისათვის გამოყენებული უნდა იქნას ფონტის იგივე ზომები და იგივე გაფორმება, რაც სტატიის ძირითადი ტექსტისათვის, ტექსტისათვის ფონტის ზომაა 10.
რეზიუმეს მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს, ამავე დროს იგი არ უნდა იყოს 200 სიტყვაზე ნაკლები.
რეზიუმე უნდა დაერთოს ნებისმიერ ტექსტს რა რუბრიკაშიც არ უნდა იყოს იგი.
ინგლისურ ენაზე სტატიებს უნდა დაერთოს რეზიუმე ქართულად გაფორმებული ზემოთ აღწერილი წესის მიხედვით

კვლევითი სტატიის რეზიუმე უნდა პასუხობდეს შემდეგ ოთხ კითხვას:
რა არის საკვლევი პრობლემის არსი; როგორია მისი შესწავლის მდგომაროება; როგორია ავტორის დასკვნა, რა არგუმენტები მოჰყავს მას თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად.

ინფორმაციის, მიმოხილვის და ა.შ. სავალდებულო არაა ამგვარი მოთხოვნების მკაცრი დაცვა რეზიუმესათვის. ამ შემთხვევაში მოკლედ აღნიშნული უნდა იყოს თუ რას შეეხება პუბლიკაცია.

სტატიის წარმოდგენის წესი:
სტატია უნდა გადმოეგზავნოს გამომცემელს შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:
mary.chkhartishvili@gmail.com, chkharti@georgianstudies.ge

მარტის ბოლომდე გადმოგზავნილი სტატიები გამოქვეყნდება იმავე წლის ბოლოს. სტატიები, რომლებიც შემოვა რედაქციაში მარტის მომდევნო თვეებში გამოვა ჟურნალის მომდევნო წლის ნომერში.